რევაზ კვერენჩხილაძე

საბუთები ღალადებენ...

თბილისი 2007

უაკი 94(479.22)(093)+930.22(479.22)+930.253(479.22)
კ-452

წიგნში წარმოჩენილია

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაკარგვის ტრაგიკული გარემოებანი;

დამოუკიდებლობის სულისკვეთება და ამის გამომხატველი ძიმართველები, პუბლიცისტური წერილები, დაბეჭდილი თუ ზეპირად გავრცელებული ლექსები;

საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და კომპარტიის ცეკას დადგენილებანი და განკარგულებანი; პარტიის ხელმძღვანელთა აღიარებანი;

შინსახკომის მუშაობის მეთოდების მამხილებელ დაკითხვათა ოქმები თუ სხვა საიდუმლო მასალები მისივე მუშაკების განამხელი;

შინსახკომის ფარული თუ გაშიფრული აგენტების, დამსმენთა და პროვოკატორთა შეტყობინებანი;

რეპრესირებულთა ძონათხრობი, განცხადებანი შინაგან საქმეთა კომისრისა და პარტიის ცეკას სახელზე;

საპატიმროდან ძოწერილი ბარათები და ნაპატიმრალი ლექსები;

საქართველოს მწერალთა კავშირის დიდხანს გასაიდუმლოებული სტენოგრამები;

პარტიული ცენზურის დადგენილებანი.

ამ წიგნის ხელნაწერში გულდასმით წაკითხვისას მრავალი საქმიანი რჩევა-დარიგებისა და შენიშვნის მოცემისთვის, მასალებისა და ფოტოსურათების მოწოდებისთვის, რაც დიდად დამეხმარა წიგნის დახვეწასა და გაუმჯობესებაში, მინდა გულწრფელი მადლობით მოვიხსენიო ქალბატონები: რუსუდან ჯავახიშვილი და თამარ ჯავახიშვილი-ამირეჯიბისა, ბატონები: გურამ შარაძე, გიორგი ციციშვილი, გელა საითიძე, ილამაზ ძიწიშვილი, გურამ სოსელია, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, რევაზ ართილაყვა, დავით ტაკიძე, ზურაბ თორია, თეიმურაზ ყურული, ოთარ ბატიაშვილი.

რედაქტორი: გიორგი ციციშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: გელა საითიძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-99928-0-686-9

„ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, შვილები, ახლობლები, მაგრამ ყველა წარმოდგენა სიყვარულზე თავს იყრის ერთ სიტყვაში – „საშობლო“.

მარკუს ტულიუს ციცერონი
(ძვ. წ. 106-43 წ.წ.)

წინათქმა

ეს წიგნი დაიწერინა იმ სატკივარმა, რაც მეც და ჩვენი ქვეყნის ბევრ პატიოსან მოქალაქეს გვაწუხებს და ძილს გვიფრთხობს, რადგან *„არ არსებობს სიმშვიდე მისთვის, ვინც პატარა ერის შვილია“* (გიორგი გეგეჭკორი).

ამ გულის დამამძიმებელი დარდისა და ტკივილის გამოშწვეული მიზეზებია:

ის შეცდომები, რაც XX საუკუნის დასაწყისში დაუშვა ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და მათი თანამებრძოლების ნალოლიავებ-ანაღორძინები ეროვნული შეგნების შემდგომი განმტკიცების ნაცვლად თავი გააბრუებინა და გააბრიყვებინა ინტერნაციონალისტურ მარქსისტულ და სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებებს;

ზემოხსენებული მოძღვრებებით განპირობებული ჩვენი ის უბედობა, დამოუკიდებლობის მოპოვების შანსის გაჩენისას რომ ქართველი ხალხის საოცნებო, ნანატრი თავისუფლებისთვის, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაძღოლა ბედის ირონიით არგუნა სოციალ-დემოკრატების პარტიას, რომელსაც ეროვნულ სატკივარზე გაცილებით მეტად სოციალური საკითხების მოგვარება აწუხებდა;

ის უგულობა და უმოქმედობა, ეროვნული საკითხის მეორე რიგის მოსაგვარებლად ჩათვლა და იმ შორსმჭვრეტელობის უქონლობა და უთაურობა, რასაც სოციალ-დემოკრატები, მათი ხელმძღვანელობის ინტერნაციონალისტი უმრავლესობა იჩენდა საშვილიშვილო საქმის, საუკუნეებში ნაოცნებარი განძის, თითქმის ნახუქარი დამოუკიდებლობის მოვლა-პატრონობაში;

და კიდევ, ის სიმწარე და ტკივილი, შეშფოთება და ცრემლები, რაც გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ,

მისი ბოლშევიკურ იმპერიაში შეყვანამ, იქ გამეფებულმა წითელმა ტერორმა და განუკითხაობ, ამ საყოველთაო შიშის, თვალთვალის, დასმენის, დაპატიმრება-გამოძიების სასტიკი და საშინელი მეთოდების, გვემა-წამების, სისხლისმსმელობის, მასობრივი გადასახლება-დახვრეტების გაბატონებამ;

ბოლოს კი, ის აღშფოთება, რასაც იწვევს ძველი შეცდომების მიჩქმალვა-მიჩუმათება, გაუთვალისწინებლობა, გონება-ჩლუნგივით მათი ხელახლა ჩადენა, გამეორება და გამეორება...

სწორედ ამ მწარე სინამდვილის დამამტკიცებელი საბუთებია წარმოდგენილი ამ წიგნში.

გთხოვთ ისიც გაითვალისწინოთ – მე ყველაფერს ვერ მოვიცავდი, ეს არც მიცდია, ძვ. წ. VII-VI ს.ს. პოეტის საფოს სიტყვებით რომ ვთქვა, „არ მქონდა ზრახვა უნაპირო ცას შევხებოდი“.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ჩემი ტკივილიც და ამ წიგნის მთავარი და ერთადერთი თემაც საქართველოა. სხვაგვარად, პოეტ ჯანსულ ჩარკვიანის სიტყვით რომ ვთქვა, „საქართველოთი, საქართველოთი იწყება ჩემი ღია ბარათი“.

შესავალი

ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების თავისთავადობის შენარჩუნებისთვის წარმოებული მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ორი უკანასკნელი ასწლეული დაკავშირებულია ჩვენს ერთ-ერთ დიდ მეზობელთან, რომელსაც ეროვნების შენარჩუნებისთვის შემწედ ქცეული ჩვენივე სარწმუნოების, ქრისტიანული აღმსარებლობის გამო ვენდეთ და მფარველობა ვთხოვეთ.

იმან კი, მანამდე ბევრი სხვა ხალხის ჩამყლაპავმა (რაც ჩვენი ბედკრული ქვეყნის მეთვალყურეებს უნდა სცოდნოდათ და რასაც ჩვენი მეფეები უნდა გაეფრთხილებინა), მფარველობის ნაცვლად, უფრო რომ დავესუსტებინეთ, ფიზიკური განადგურების პირამდე მიყვანით მეტად და მეტად დამთბობი გავეხადეთ, ქრისტიან ქვეყანასთან დაახლოებით განაწყენებული მაჰმადიანი მეზობლების ჯარებს პირისპირ შეგვატოვა, ბევრჯერ გვიმუხთლა, დაგვამცირა, ბოლოს კი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო (მოგვიანებით – დანარჩენი საქართველოც) ვერაგულად თავის ნაწილად, გუბერნიებად აქცია...

კომუნისტურ საქართველოში ბევრს არ მიეცა საშუალება საჯაროდ გამოეთქვა თავისი გულწრფელი აზრი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, მით უფრო დასაფასებელია, რომ წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ჩაყლაპვის (1921) მწვავე განცდის ჟამს, 1924 წლის ბობოქარ დღეებში თეთრი რუსეთის 1801 წლის სიგელის გახსენებითაც მოშხამულ მიხეილ ჯავახიშვილს თავის №1 უბის წიგნაკში, მიუხედავად შიშიანობისა, ჩაუწერია: *„საქართველო გეოგრაფიად იქცა“*[1] და ეს ხალხური ლექსიც შეუტანია: *„მას გაუხმეს თავის კაცნა, ვინც ერეკლეს რუსი უქო“*.

მოგვიანებით მწერალმა და მეცნიერმა აკაკი გაწერელიამაც გამოთქვა თავისი აზრი, იქნებ უფრო დეკლარაციული, ვიდრე მეთოდოლოგიური, მაგრამ მაინც თავისი მოსაზრება:

> „ერეკლე II-ს ვერ დავაბრალებთ, რომ მას მშობლიური ერის უღრმესი ერთგულება და სიყვარული არ ამოძრავებდა. მაგრამ მან

დაუშვა დიდი შეცდომა: გაიმეორა ვახტანგ VI-ის მარცხი – ერთმორწმუნე სკვითებს ენდო და მძვინვარე იმპერიის ხახაში აღმოჩნდა პეტრე I-ის ღალატის შედეგად. მარტო ტოტლებენის მაგალითს უნდა დაერწმუნებინა ერეკლე II, რომ მისი ჩრდილოელი მეზობელი დიდმპყრობელი ვერაგი ხელისუფალი გახლდათ. სამწუხაროდ დიდ მეომარს შორსმჭვრეტელობა არ აღმოაჩნდა საკუთრივ პოლიტიკური ორიენტაციის სფეროში. მაგრამ ამ საკითხში სავსებით ვიზიარებ ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრს: რუსეთმა ჩვენ აგვაცილა შავი ზღვის და კასპიის ზღვის ღელვას (ე.ი. სულის მღაფავი სეფიანთა იმპერიისა და ოტომანთა აგრესიის მხრივ მოსალოდნელი საფრთხენი). მაგრამ საქართველო არანაკლები და ჯერ აშკარა, მერე შემპარავი აგრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა: ჩვენ სრული ეთნიკური და კულტურული გადაგვარება ანუ რუსიფიკაცია გველოდა. ვორონცოვი დიპლომატიურად ანხორციელებდა ამ კურსს, მომდევნო მეფისნაცვალი კი – აშკარად და მოურიდებლად. ამ დროს გამოუჩნდა ჩვენს ხალხს ჭეშმარიტი ლიდერი, ილია ჭავჭავაძე, რომელსაც თავისი დიადი და მესიანისტური მოღვაწეობის გამო წიწამურში შუბლი გაუხვრიტეს ბერდენის ტყვიით. არც სასანიდების, არც არაბთა ბატონობის საუკუნეში, არც მონგოლთა ბოტონობისას, არც სეფევიდების (ირანის 1625-1722) მმართველობისას, საქართველოში მეფობა ფაქტიურად არ გაუქმებულა, მხოლოდ ჩვენში რუსების მიერ ანექსიის შემდეგ აღვმოჩნდით სრული ეროვნული და კულტურული ასიმილაციის წინაშე, და ეს დაისახა მიზნად XIX საუკუნის რუსეთმა, რომელსაც ნესელროდები, ბეკენდორფები და დუბელტები მართავდნენ. არსებითად უსამშობლო

სკვითებს უნდა გადავეყლაპეთ, ბოლოს ლენინ-
სტალინის ტირანიასაც გადავურჩით".[2]

ერეკლე II-ის ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი, მხედრული სიმამაცე და ენერგია დიდად დასაფასებელია. მაგრამ არის თუ არა ეს საკმარისი ქვეყნის ბედის სწორად წასამართავად? ამაზე ბევრი ქართველი დაფიქრებულა, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილი. აი, მისი აზრი ამის თაობაზე:

„შეეპოვრობა სჯობია ენერგიას, შეუპოვარი
იყო დავით აღმაშენებელი, ენერგიული იყო
გიორგი სააკაძე, ერეკლე II".[3]

მეფის რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის გაუქმების ერთი საუკუნის თავზე, იმპერიიდან თავის დახსნის ყველაზე დიდი შესაძლებლობის გაჩენისას განვითარებულმა მოვლენებმაც დაამტკიცა, რომ მარტო ენერგიულობა და ამას მიმატებული სამშობლოს სიყვარული (რაც განსაკუთრებით აკლდა 1918-21 წლების საქართველოს მმართველ პარტიას) არ კმარა, ამ და კიდევ სხვა აუცილებელ თვისებებთან ერთად სწორი პოლიტიკის გატარება რომ აუცილებელზე აუცილებელია, ამის შესახებ 1921 წელსვე საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის ცხელ კვალზე კიდევ ერთმა ღირსეულმა ქართველმა მწერალმა სერგო ამაღლობელმა საქვეყნოდ განაცხადა წერილში „საქართველოს დამოუკიდებლობა":

„შეიძლება დიდი მამულიშვილი იყოთ,
შეიძლება მსხვერპლად მიიტანოთ სიცოცხლე
ერის საკურთხეველზე, მაგრამ ამავე დროს
ისეთი პოლიტიკა აწარმოოთ, რომელიც
დაამხობს ეროვნულ საქმეს, გაანადგურებს
ერის თავისუფლებას. ამიტომ არის საჭირო
დიდი სიფრთხილე, დიდი დაკვირვება, დიდი
ალღოს ქონება, რომ ერის თავისუფლებისაკენ
სავლელ გზას არ აცდე, გზის შერჩევაში არ
დამარცხდე.[4]

საქართველოს დაპყრობის 116 წლის შემდეგ რუსეთის ცარიზმის თეთრი იმპერიის წიალად, ბოლშევიკებად გადაქცევა მხოლოდ ფერის შეცვლა გამოდგა მეზობელი ერებისა და ხალხებისადმი მიმართულმა პოლიტიკამ თუ რაიმე ცვლილება

განიცადა, მხოლოდ უარესობისაკენ – უფრო ცბიერული და მუხანათური გახდა.

ეს პოლიტიკა – ერების, ტომების, ქვეყნების გაუმაძღარი ყლაპვა და იმაზე დაუფიქრებლობა, რომ გადაყლაპულის მონელება გაჭირდებოდა, საბედისწერო გამოდგა – მან რუსული იმპერია დანგრევამდე მიიყვანა.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მეცხრამეტეზე რომ არაფერი ვთქვათ, განათლებულ მეოცე საუკუნეში საბჭოთა იმპერიამ, ძმობასა და თანასწორობას რომ გვპირდებოდა, თავი რომ ხალხის გონებად და პატიოსნებად მოჰქონდა - ბევრჯერ მოინდომა ჩვენი გარუსება, საქართველოსა და ქართველების სახსენებელის მოსპობა.

ეს წიგნი, უმთავრესად საბუთების ენით, მოგვითხრობს ჩვენი უბედურების ამ უკანასკნელ ეტაპზე, რომელიც ბევრი ჩვენგანის სიცოცხლის წლებს დაემთხვა.

თავი I.
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ

„იქნებ ომმა ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება.“

კოტე აფხაზი, 1918

„რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველთა, - როგორც ქართველის.“

გრიგოლ რობაქიძე

საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან გაბატონებულმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა. რომელთაც, მართალია, ქართველი ერქვა, მაგრამ არსებითად რუსეთის ბოლშევიკური პარტიის შემადგენელი ნაწილი იყვნენ. ძმობისა და ბედნიერი ცხოვრების – კომუნიზმის დამყარების დროშით გაუგონარი საშინელებანი დაატრიალეს. ტყუილად არ უთქვამს მე-17 საუკუნის ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეს, ფილოსოფოსსა და მწერალს შარლ მონტესკიეს – უსასტიკესი ტირანია ისაა, რომელიც კანონიერებისა და სამართლიანობის დროშით გამოდისო.

მაგრამ სანამ ბოლშევიკ-კომუნისტების მოტანილ საშინელებათა საბუთებს გავეცნობით, ვნახოთ რა გააკეთეს ქართველებმა საქართველოში ბოლშევიკების გაბატონების წინააღმდეგ.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან ევროპასა და რუსეთს შავი ჭირივით მოედო სოციალ-დემოკრატიული და მარქსისტული იდეები, მაგრამ კიდევ უარესი ის იყო, რომ რუსეთში, რომლის შემადგენლობაში, სამწუხაროდ, ჩვენ ვიყავით მოქცეული, ეს მოძღვრება ბოლშევიზმში გადაიზარდა.

მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის საქართველოც მოიცვა სოციალ-დემოკრატიული, ინტერნაციონალურ-მარქსისტული იდეების ეპიდემიამ. ყველაზე ძლიერი პარტიულ ბრძოლებში გამოცდილ-გამოწრთობილი პარტიაც სოციალ-დემოკრატებისა იყო.

საშუალოდ, გამოცდილებაც და სიმძლავრეც აკლდა ეროვნული მიმართულების ორ სხვა პარტიას: შედარებით ადრე, 1904 წლის 1 აპრილს არჩილ ჯორჯაძის შექმნილ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას და მოგვიანებით ჩამოყალიბებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის შექმნის ადრეულ ცდებს ხელი შეუშალა 1905 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ გამეფებულმა რეპრესიებმა, თუმცა საქართველოდან დევნილმა ეროვნულად მოაზროვნე, პროგერმანულად განწყობილმა მოღვაწეებმა (პეტრე სურგულაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გერონტი ქიქოძე), რომელთაც გერმანული სახელისუფლო წრეებიდან დახმარების შეპირებაც ჰქონდათ მიცემული, - 1913 წელს შვეიცარიაში, ჟენევაში დააარსეს საზოგადოება *„თავისუფალი საქართველო“*, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს, *„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად“* გარდაქმნეს და მოღვაწეობა ბერლინში გააგრძელეს.

ამავე დროს, 1914 წელსვე საქართველოში შეიქმნა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა *„ქართული ეროვნული კომიტეტი“*, ხოლო ბერლინში მოქმედი კომიტეტის შიერ კოორდინაციისთვის საქართველოში მოვლინებულმა გიორგი მაჩაბელმა და გამოკვეთილად ეროვნულმა ძალებმა დააარსეს ბერლინური „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ფილიალი სპირიდონ კედიას, დავით ვაჩნაძისა და რეზო გაბაშვილის ხელმძღვანელობით (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918- 1921 წლების პოლიტიკაში, ტფილისი, 1925 წ.; ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა, 1918- 1921 წ.წ. თბ. 2001 წ.; გიორგი გოცირიძე, ქართული საზოგადოებრიობა და პირველი მსოფლიო ომი, თელავი, 1997 წ.).

ამ ხანებში, 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომით გაჩანაგებულ, მეურნეობამოშლილ, დაღლილ რუსეთში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ გადააყენა იმპერატორი ნიკოლოზ II – დაემხო მეფის ხელისუფლება. 1917 წლის 27 თებერვალს, პეტერბურგიდან გოგიტა ფაღავას გამოგზავნილი დეპეშის ენით რომ ვთქვათ, *„მთავრობაძე გარდაიცვალა“* – და გაჩნდა იმპერიიდან ჩვენი ქვეყნის თავის დახსნის

შესაძლებლობა.

XIX საუკუნის 60-იანელ მოღვაწეთა, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობის წყალობით, ქართველ ხალხში ეროვნული შეგნება გვარიანად აღორძინებული იყო. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მას დიდი საფრთხე შეუქმნა 1905 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ გამეფებულმა რეაქციამ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გვაზავას თქმით, ეს „*ის დრო იყო, როცა მინელდა რუსეთის პირველი რევოლუცია და რეაქციამ წამოპყო თავი. ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას გადაეფარა უფრო მეტი სიბნელე. ამ სიბნელეში ამოძრავდნენ ჩვენი მეტოქე ძალები და ხიფათს უმზადებდნენ ჩვენს დედაქალაქს – ერობის შემოღების სახით. ამ ეითომდა დემოკრატიული რეფორმით უნდოდათ ტფილისი ამოეკრათ საქართველოს წიაღიდან და გადაეცათ არაქართველების ხელში. საჭირო იყო ხმის ამოღება*".[1]

ამასთან რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქართველოს ნაწილი იმპერიის ინტერესებს იცავდა. ამიტომაც ქართველი სოციალ-დემოკრატები ფაქტიურად, მცირე გამონაკლისის გარდა, ომში იმპერიის დაცვის იდეას ემხრობოდნენ.

საქართველოს კი აწუხებდა თავისი ეროვნული პრობლემები და ტკივილები, რაც სოციალ-დემოკრატებს გულთან არც მიპ ქონდათ და ვერც მიიტანდნენ.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, იყვნენ და თანდათან მატულობდნენ საღად, ეროვნულად მოაზროვნე ქართველები. მაგალითად, ალ. ბენდიანიშვილის აზრით, „*სოციალისტ-ფედერალისტები იმედოვნებდნენ, რომ დიდ სახელმწიფოთა ჭიდილი წყალს დაასხამდა დაწაგრული ერების წისქვილზე. რუსეთის დამარცხება გააადვილებდა მათ გათავისუფლებას, ეროვნული სახელმწიფოების აღდგენას. ასევე ფიქრობდნენ ეროვნულ-დემოკრატებიც*".[2]

რუსეთის თებერვალ-მარტის, რევოლუციის შემდეგ საქართველო უკვე დამდგარი იყო დამოუკიდებლობის გზაზე და რადგანაც მოწინავე საზოგადოებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეკლესიის როლი იმპერიიდან თავის დახსნისთვის აუცილებელი ხალხის ერთიანობის ხელშეწყობის საქმეში, ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენაზე ზრუნვა

ადრიდანვე დაიწყო. და აი, გამარჯვებით დაგვირგვინდა საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად გადადგმული ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი - 1905 წელს შექმნილი *„ავტოკეფალისტთა საზოგადოების“* (ეპისკოპოსების ლეონიდის, კირიონ II-ის, პეტრესა და დავითის, აგრეთვე გამოჩენილი მოღვაწეების იოსებ ჩიჯავაძის, ამბროსი ხელაიას, ამბროსი ფხაკაძის, კალისტრატე ცინცაძის, პოლიევქტ კარბელაშვილისა და სხვათა) დაუცხრომელი ბრძოლა შავბნელი ეგზარხოსების წინააღმდეგ 1917 წლის 12 (25) მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით დამთავრდა.

ამასთან დაკავშირებით 1917 წლის 19 მარტს სიონის ტაძარში გამოსვლისას ეპისკოპოსი ლეონიდე აღნიშნავდა:

> „ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსო! ყურად ვიღოთ განთავისუფლებული ეკლესიის დედობრივი ძახილი. ფიცი და აღთქმა დავდოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შევეწირებით საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე ხანში თავისუფალ ეკლესიას გვერდში ამოვუყენებთ თავისუფალ საქართველოს“.[3]
>
> „ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვივოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნული დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო... დღესაც ვალად აქვს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვიპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი“.[4]

დიახ, როდესაც რუსეთში იმპერატორი გადააყენეს და თებერვალ-მარტის რევოლუციამ გაიმარჯვა, გონიერი ქართველები მიხვდნენ, რომ დგებოდა იმპერიიდან საქართველოს თავის დახსნის დრო და საჭირო იყო ამ შანსის გამოყენება.

ჩინებული მამულიშვილი, მიჩქმალულ-მიჩუმათებული, საქართველოს ეროვნული საქმისთვის თავდადებული მოღვაწე კოტე აფხაზი იმ დღეებში თავის ერთ-ერთი გამოსვლისას

მიუთითებდა:

„იქნებ ამ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ... ჩვენი პირი უნდა დასავლეთისკენ იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევქმნათ უნიტარული სახელმწიფო“.[5]

ერთ-ერთი პირველები იმ გონიერ ქართველებს შორის, რომლებიც მიხვდნენ, რომ ჩნდებოდა იმპერიიდან თავის დახსნის შანსი, ჩვენი მწერლები აღმოჩნდნენ. კეროდ, ასეთი იყო აზრი იმ დროს აღიარებული ოსტატისა, „ცისფერყანწელთაგან“ თავიანთ სულიერ მამად მიჩნეული გრიგოლ რობაქიძისა:

„იწყება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს: ვინ იცის, ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგუნოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველისა – როგორც ქართველის“.[6]

თავი II.
ქართველ მოღვაწეთა ძალისხმევა ხალხის შესაკავშირებლად

„ვინც ცოცხლობს „საქართველოს იდეით", მას მარად მისი მთელობა უნდა ახსოვდეს: მხოლოდ მაშინ გამობრუნდება თანდათან მისი ჯანმთელობა."

გრიგოლ რობაქიძე

თავისუფლების მოსაპოვებლად, დამოუკიდებლობის მისაღწევად, აუცილებელი იყო ხალხის ერთიანობა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს 1916 წელს საქვეყნოდ განაცხადა, გახლდათ ჩვენი ცნობილი ეროვნული მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი:

„ჩვენისთანა პატარა ერისათვის კიდევ უფრო საჭიროა შეკავშირება ყოველგვარ საქმეში, ვიდრე მრავალრიცხოვანი ერისათვის. ჩვენი დრო პატარა ერების ყოფნა-არყოფნის დრო არი. ამიტომ ჩვენ გვმართებს მჭიდროდ შეკავშირება და სიფხიზლე, რომ საქვეყნო ქარტეხილებმა არ აღგვგავოს ძირიანად. დაკნინება, დაქუცმაცება და ერთმანეთის გაუტანლობა ჩვენი ისტორიული სენია. საქართველო იმდენად მტერს არ დაუქცევია, რამდენადაც შინაურმა დაქსაქსულობამ დააქცია. ეს ისტორიული სენი ახლაც თან გვახლავს, მაგრამ სხვა რიგად იჩენს თავს. ეს არის ჩვენი ერთმანეთის გაუტანლობა, სხვადასხვა პარტიების და ჯგუფების სასტიკი ბრძოლა, გაუთავებელი ლანძღვა-გინება პოლემიკაში, ერთმანეთის დამცირება...

თუ ჩვენ მთავარ საკითხში ვერ შევთანხმდით, ვერც რამეს თვალსაჩინოს გავაკეთებთ. ჩვენი დრო კოლექტიური ძალის და კოლექტიური მოქმედების დროა. რაც უნდა ნიჭიერი და მხნე იყოს თითოეული ადამიანი, ის

შეუკავშირებლად, სხვის დაუხმარებლად ფონს ვერ გავა“. [1]

იმ დღეებისთვის ხომ ძალზე საჭირო და საშური იყო ერთიანობა, დღესაც არანაკლებ გვესაჭიროება!..

სულ მალე, ვინც ასევე აუცილებლად მიიჩნია ერთიანობა და საჯაროდ განაცხადა, რომ ქართველი მწერლების ერთ შემოქმედებით ოჯახად გაერთიანება იქნებოდა ხალხისთვის თავისუფლების მოსაპოვებლად საჭირო ერთიანობის მაგალითის მიცემა, გახლდათ ახალგაზრდა პოეტი ტიციან ტაბიძე – ერთ-ერთი ლიდერი „ცისფერყანწელებისა“, რომლებსაც უკიჟინებდნენ: თქვენ მხოლოდ ლექსის სრულყოფაზე ფიქრობთო.

მაგრამ ფაქტია, რომ, როდესაც ქართველი ერის ბედის შემობრუნების ჟამი დადგა, პირველები სწორედ „ცისფერყანწელები“ აღმოჩნდნენ, ჩვენს მომავალზე საქმიანი ზრუნვა რომ დაიწყეს.

ერს ესაჭიროებოდა წინამძღოლი, მაგრამ ისეთი მოღვაწეები, რომლებსაც ერის მამობის გაწევა შეეძლოთ, იმ დროისათვის აღარ გვყავდა – იმ პარტიების მესვეურთა წაქეზებით, რომელთა ინტერნაციონალიზმი აზრთა ბრძოლაში ვერა და ვერ სჯობნიდა ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის ეროვნულ მოძღვრებას, 1907 წელს ილია ფიზიკურად მოსპეს...

1912 წელს იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა;

1915 წელს – აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა გაგვშორდნენ...

ილიასა და ამ სამეულის შემცველი, მათი ფარდი მოღვაწეები არ ჩანდნენ, თუმცა ღირსეული ქართველები არცთუ ცოტა გვყავდა.

ამიტომ საზოგადოებამ დაიწყო ფიქრი ერის კოლექტიური წინამძღოლის გამოსანახავად.

„კავკასიის სამეფინაცვლოს ქართველთ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის“ რწმუნებულთა კრებაზე ექვთიმე თაყაიშვილის გამოსვლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, დადგა *„კავშირთა და კოოპერაციათა ხანა“, „ჩვენი დრო კოლექტიურ ძალის და კოლექტიური მოქმედების დროა, რაც უნდა ნიჭიერი იყოს თითოეული ადამიანი, ის შეუკავშირებლათ, სხვის დაუხმარებლათ ფონს ვერ გავა“, „არ მოგვეპოვება ისეთი დაწესებულება, რომელიც*

ხელმძღვანელობას უწევდეს ერს".[2]

და, როგორც ითქვა, ასეთ საპასუხისმგებლო ჟამს ჩვენმა მწერლებმა ამ მიზნის განხორციელებისთვის ხელშესაწყობად გადაწყვიტეს თავიანთი ორგანიზაციის შექმნა.

ერის ასეთი წინამძღოლობის პრეტენზია, არცთუ უსაფუძვლოდ, გამოაცხადა ქართულმა მწერლობამ, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად საუკუნეთა განმავლობაში ქართული იდეის, ქართული საქმის, ქართველთა ერთიანობის უპირველეს შემაკავშირებელ ძალას წარმოადგენდა.

და, აი, 1917 წლის 6 აპრილს, 22 წლის ტიციან ტაბიძემ გაზეთ „საქართველოში" გამოაქვეყნა „ღია ბარათი. მიმართვა ქართველ მწერლებს":

„მამულიშვილნო და მოქალაქენო!..

დღევანდელი დღე და ორივე ეს სიტყვა გვავალებს, სხვა დროს არ გვქონდა საშუალება არც შეერთებისათვის და არც ხმის ამოღებისათვის.

დღეს ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

ომის გამოცხადებისას ქვეყანა მოიარა გერმანელ მწერალთა და მეცნიერთა ქედმაღალმა მოწოდებამ, მოპირაპირეთაც უპასუხეს თავიანთი ღირსების შეგნებით.

ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს.

არავის არ აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ის მწერლების საღვთო მოვალეობაა.

თქვენ, ვისაც გაწვალებთ საქართველოზე ფიქრი, ვინც იტანჯოდით მისი სიწმინდის შესანახად და გიყვარდათ საქართველო უფროის ყველაფრისა, რაც წარმავალია და არამარადი, თქვენ ხალხი დაგიჯერებთ, რადგან თქვენი უწინაც სჯეროდა.

ეს ნდობა არის ერთადერთი და უდიდესი საჩუქარი უანგარობისა და სიწმინდისათვის ქართველი ხალხისაგან.

დღევანდელმა სასტიკმა ომმა გამოაჩინა, რომ არ არის სიტყვა უფრო წმინდა და ძვირფასი, როგორც სიტყვა „სამშობლო“.

კეთილშობილი საფრანგეთი, რომლის დეკადანსზე ასე უყვარდათ ამდენ ხანს ლაპარაკი, ეხლაც ემაგალითა მისგან უკვე დავალებულ კაცობრიობას. სამასზე მეტმა ყველაზე ნიჭიერმა პოეტმა, მწერლებმა და მხატვრებმა დასდვეს თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთისათვის არასის და სხვა თხრილებში. საფრანგეთი უკვე შეეჩვია იმ აზრს, რომ ორმოცდაათი წელი მისი მწერლობა ამის გამო იქნება გამწვე კრიზისში.

მონობაში დაბადებულ და აღზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და რომელსაც გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში ამართლებდა ქართველი ერი:

- არავის ვეყმოთ, არც ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა...

თავისუფალი და ბედნიერი საქართველო – ჩვენ შეგვაერთებს.

დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან ალბათ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფური თუ სხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა მათ წინ უსწრებდეს ქართველი მწერლების შეერთებული ხმა, რომელშიც ყოველ ჯგუფობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება.

დღეს, როცა ხალხში რიგდება ალბათ უთვალავი ფურცლები და მოწოდებები, საჭიროა იყოს მოწოდება ქართველი მწერლების, მოყვარული გულით და ნიჭიერი ხელით დაწერილი ეს მოწოდება მონახავს ხალხის გულს.

ბევრია კიდევ სხვა, რაც მოითხოვს

შეერთებას და ქართველ მწერალთა ლიგის დაარსებას. ეს ალბათ კრებაზე გამოჩნდება.

„სიტყვაკაზმული“ და „ქართველ მხატვართა“ საზოგადოებანი და თუ ისინი არა, კერძო საინიციატივო ჯგუფი მწერლების იკისრებენ საქმის დაწყებას.

დიდია მოვალეობა, რომ იყოს იჭვი ამის“.

და მართლაც სულ მალე შეიქმნა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებელი კომისია: კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე), კონსტანტინე აბაშისპირელი-გამსახურდია (მდივანი), შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი.

ამ კომისიის გაწეული მუშაობის შედეგად, ნახევარი წლის შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ დააფუძნა მთელ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში პირველი საამწერლო ორგანიზაცია *„ქართველ მწერალთა კავშირი“*.

ამ კავშირში ხალხისთვის გაერთიანების მაგალითის მისაცემად „ცისფერყანწელები“ გაერთიანდნენ იმ ლიტერატურულ დაჯგუფებასთან – აკადემიურ მწერლებთან, რომლებსაც ისინი წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით უპირისპირდებოდნენ და უკიჟინებდნენ: თქვენ პოეზია საქართველოს ბედზე მოთქმა-ტირილამდე დაიყვანეთ, სამგლოვიარო ზალად აქციეთ, პოეზიის ხარისხი კი ძალზე დააქვეითეთო.

თავის მხრივ, ჰქონდა ახსნა იმას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია, აკაკი და ვაჟა, ხოლო ხარისხობრივად უფრო დაბალ დონეზე მათი მიმბაძველები თავიანთ შემოქმედებით შესაძლებლობათა უმეტეს ნაწილს საქართველოს ბედზე წუხილსა და ურვას უთმობდნენ. სწორედ ამაზე ლაპარაკობდა მაშინ საკმაოდ ცნობილი, დღეს ჩვენში მივიწყებული მწერალი აკაკი პაპავა:

„...რა პატივს ჰყრიდა ნაზი ბულბული“, თუნდაც მისი გალია ოქროსი ყოფილიყო... ჩვენი გალია ხომ უხეშია. თუჯის ბორ-

კილებისაგან დაეღობათ, ვინ გაამტყუნებს ამ ბულბულს, რომ მარტო „დამიხსენით“, „ამაფრინეთ!“ იძახოს? თუნდ არამუსიკალურადაც.

ჩვენც ამას ვითხოვდით ქართული მწერლობისგან – გალიიდან თავის დახსნა გვინდოდა მეტად.

და იმათაც, ვისაც დიდი ბუნება ჰქონდა, გასწირეს თავი და „თავისუფლების“ სიმღერით ამოიწურენ.

პოეზია, თანდათან, პრინციპთა კონკრეტიზაციას ემსახურებოდა, ლოზუნგებს სჭედდა მტრის დასაკოდად. მას განსაზღვრული მიზანი უფრო იტაცებდა, მინამ უმეშვეო განცდა ხელოვანისა.

პროპაგანდა მაღალ აზრებისა და ხელოვნება სინონიმებად იქცნენ: მეორემ ბევრი დაჰკარგა, პირველმა საკმაოდ ისარგებლა.

პიროვნება წაიშალა, ინდივიდუალური ხელოვნება გაჰქრა და პოეზიაში ჯგუფობრიობამ დაიმკვიდრა.

...ბოლოს სურათი სანუგეშოდ იცვლება: საზოგადოებრივი დიფერენციაცია ნორმალურად ვითარდება – პოეზიას პუბლიცისტიკიდან ეძევებიან და ხელოვნება საკუთარ ბუდეს იჩენს.

ახლა ვისხამთ ფრთებს, თვალს ვახელთ და ძნელია ბევრის მოთხოვნა.

მაგრამ ერთი აშკარაა, ძველ მანერის მწერალს ვერ მივიღებთ, მშრალი რიტორიკა წუთითაც ვერ გვატყვევებს“.

ვინც ვერ გაიგებს, რომ მარადიულ თემებზე გულდადებით და დახვეწილად წერა, ამისათვის დიდი შემოქმედებითი დროის დათმობა ხშირად ეწირებოდა ეროვნულ სატკივარზე გამოხმაურებას, ყოველდღიურ, თითქოს წვრილმან ეროვნულ საზრუნავზე პასუხის გაცემას ლექსად თუ პუბლიცისტურ წერილად. – იმას ადვილად შეუძლია იქვას: რატომ აქვთ ილიასა

და აკაკის შედარებით სუსტი ლექსებიცო.

მაგრამ, გამოხატავდა რა განსაკუთრებით ილიასა და აკაკის მიმბაძველთა პატრიოტული პოეზიის ხარისხის ამაღლების მომთხოვნი საზოგადოების აზრს, აკაკი პაპავა იმასაც აღიარებდა, რომ ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე წერაც მაღალმხატვრულ დონეზე უნდა აიყვანონო.

მის მიერ ნახსენები ბულბულის თხოვნაში – „დამიხსენით“, „ამაფრინეთო“ - ნაგულისხმევი ერის ტყვეობიდან დახსნასა და თავისუფლების შენარჩუნებაზე წუხილი, ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერის მუდმივი თანამდევი იქნება. ამიტომ ჩვენი მწერლობა ვერასოდეს ვერ აუვლის გვერდს ეროვნულ საკითხს. ესაა, რომ მისი ასახვა უნდა აიყვანოს ხელოვნების მაღალ ხარისხში და მასთან ერთად მარადიულ თემებსაც გაბედულად შეეჭიდოს.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1917 წელს „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნას.

ყრილობის გახსნისას მისი მომწვევი კომისიისა და ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულმა პოეტმა კოტე მაყაშვილმა თავისი შესავალი სიტყვით სწორედ გაერთიანებისაკენ მოუწოდა მწერლებს:

> „ვერიდნეთ დანაწილების, დაქსაქსვის შხამს! ნუ შევუშინდებით ჩვენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას. ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ. ვეძებთ ჭეშმარიტების და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი გვაქვს, მხოლოდ მივდივართ საძიებლად სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთებს ჩვენ“.[3]

საქართველოს ბედის შემობრუნებისა და ამ საქმეში ქართველი მწერლების დიდი მისიის შეგნებით გამსჭვალული ეს მიმართვებიც მწერლებს ეკუთვნის:

> *იოსებ იმედაშვილი:* „ჩვენი დრო დიადი ისტორიული ხანაა და საშვილიშვილო

შეცდომებს ვერიდნეთ, მითუმეტეს, როდესაც გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწენი გვყავან.

შადიმან ბარათაშვილის, დიდი მოურავის, ლევან სჯულმდებლის და სხვათა მისთანათა შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენ გვჭირია არა ირაკლი მესამე, რომლის წინა მოსახელემ რუსეთის იმედით ქართველებს ყელი გამოსჭრა და საქართველო პირობის დამრღვევ რუსის გენერალ ტოტლებენის წინაშე წამოაჩოქა, არამედ აკაკი მეორე, რომლის წინა მოსახელემ თავისუფალი საქართველოს აღდგენა გვიგალობა.

ამას მოითხოვს ქართველი ხალხის განვითარების აუცილებლობა.

ქართველი დემოკრატიის ღირსეული ბელადიც ამ გზას უნდა დაადგეს".[4]

გრიგოლ რობაქიძე: „აი, ამ ჟამს, როცა ქართლის ბედი ცის მშვილდითაა შემორტყმული, უნდა წარმოვსთქვათ: საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის სიტყვას".[5]

ბოლოს ყრილობის მიმართვა ქართველ ხალხს:

„სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალამით მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივი ტყვეობისაგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე და ჩვენც მოგვცე საშუალება ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე".[6]

როგორც მოგახსენეთ, რუსეთში მონარქიის დამხობაში ქართველი ხალხი იმპერიიდან საქართველოს თავის დახსნის

შესაძლებლობის გაჩენას ხედავდა.

ამის გამო იყო, რომ ქართველები ამ რევოლუციას ხალხმრავალი მიტინგებით მიეგებენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში...

სწორედ ამ იმედის გამო მიესალმა გალაკტიონი 1917 წლის თებერვლის რევოლუციას ლექსით „დროშები ჩქარა!", რომელიც მაშინვე, 1917 წლის 13 მარტს დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატში":

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო
ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-
მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები...
დროშები ჩქარა!

გასაბჭოების შემდეგ ოფიციალურმა კრიტიკამ საქმე ისე წარმოადგინა თითქოს ამ ლექსით ოქტომბრის რევოლუციას მიესალმა.

არა და არა!

„დროშები ჩქარა!" საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების იმედს შესძახა გალაკტიონმა და არა ახალი, წითელი იმპერიის შექმნას!

ასევე დაემართა გიორგი ქუჩიშვილის ლექსს „აღდგომა", რომელშიც ავტორი ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე უგალობა ჩვენი ქვეყნის აღდგინების დასაწყისს:

საქართველო აღსდგა მკვდრეთით!
გზა მიეცით! ჩამოდექით!

გმირთა გმირი ამირანი
მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!
სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს...
გაუმარჯოს ბორკილაყრილ,
თავისუფალ საქართველოს!

ეს ლექსი ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა 1917 წლის 2 აპრილს, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის ქვეყნდება „საქართველოს“ სახელწოდებით, თარიღად 1921 წელი უზის და ისე გამოდის, თითქოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ესალმება.

ცხადია, პოეტი იძულებული შეიქმნა ამ დათმობაზე წასულიყო, რომ ლექსი წიგნში შეეტანა.

ასეთ მაგალითებს ჩვენ მრავლად შევხვდებით კომუნისტურ საქართველოში...

თავი III.
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

„სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალმით მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივი ტყვეობისაგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე.“

1917, ოქტომბერი

„1918 წლის მაისის 26. ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. 3 წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი.“

კონსტანტინე. გამსახურდია,
სოციალ-ფედერალისტი, 1921.25. V.
№70

ახლა, როცა ვიცით, როგორ გაისარჯნენ ქართველი მწერლები საქართველოს ბედის გადამწყვეტ ჟამს, ხალხისათვის გაერთიანების მაგალითის მისაცემად, ვნახოთ რა პოზიცია ეჭირა ჩვენი საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს.

როგორც ვთქვით, 1917 წლის თებერვლის რევოლუციისათვის საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი, ძლიერი ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. მხოლოდ სამწუხარო ის გახლდათ, რომ ამ პარტიას, განსაკუთრებით მის მემარცხენე მარქსისტულ უმრავლესობას, რომელიც რუსოფილებისგან შედგებოდა, თავი რუსეთის ასეთივე პარტიის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა, მის ლიდერებს საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა ვერ წარმოედგინათ, რუსეთის იმპერიაში კულტურული ავტონომიის მოპოვებით კმაყოფილდებოდნენ, მთელი ქართველების ეროვნული სატკივარი არ აწუხებდათ...

სწორედ ამას ადასტურებს იმ დღეების აქტიური მონაწილე გენერალი გიორგი კვინიტაძე: *„ძეძარცხენე მენშევიკები (ინტერნაციონალისტი მარქსისტები) იყვნენ რუსოფილები – არ უნდოდათ რუსეთისგან ჩამოშორება. ქადაგებდნენ კლასობრივ ბრძოლას“.*[1]

გ.კვინიტაძეს ასეთებად მიაჩნდა კაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი...

საინტერესოა მა'მინდელ მოღვაწეთა დღევანდელი შეფასებაც. აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს ისტორიკოსი გიორგი (ასანა) ნადირაძე ზემოხსენებული პოლიტიკოსებიდან ერთ-ერთს:

„– რით სჯობნიდნენ ქართველი მენშევიკები ბოლშევიკებს?

– არაფრით ან თითქმის არაფრით. აი, რა უთქვამს მენშევიკ ირაკლი (კაკი) წერეთელს:

„ჩვენ ვართ ისეთი ქართველები, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც პატრიოტიზმი, ვერც სამშობლოს და ქართული ენის ყვირილი, წარსული ჭირივით გვეჯავრება. ჩვენ ვიყურებით მომავლისაკენ“ (ინტერვიუდან ტელევიზიის კორესპონდენტთან, „ლს“, 2007, №4).

დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) პირველი მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟი, დიდ ბრიტანეთის მოქალაქე, აკაკი რამიშვილი თავის ნაშრომში „ჩვენი შეცდომები“ ასე გადმოსცემს მისთვის მამის ნათქვამს 1928 წელს:

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისთანავე, *„ორი დღის შემდეგ კავკასიის გენერალ-გუბერნატორმა ორივე ნოე (ე.ი. მამაჩემი ნოე რამიშვილი და ნოე ჟორდანია) სასახლეში მიგვიწვია. ჩვენგან რუსი მოსახლეობის ხელშეუხებლობის პირობა რომ მიიღო, გვითხრა, წადით და თქვენს ქართველ ერს მოუარეთო. ეს კი ხელისუფლების დროებით გადაცემას ნიშნავდა“.*

როგორ მოიქცა ამ შემოხვევაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი.

ამაზე ისევ აკაკი რამიშვილს მოვუსმინოთ:

ნოე ჟორდანიამ: *„დამოუკიდებლობის გამოცხადების ნაცვლად... პარტიის მიაღებინა დადგენილება თბილისში ქართველ მუშათა საბჭოს შექმნის შესახებ“, „თბილისში მუშათა საბჭო ცოტა ხანში ა/კ „საბჭოების რეგიონალური ცენტრი“*

გახდა, „ე.ი. ჟორდანიამ, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა ეროვნული ინტერესები, საქართველოში ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ძალაუფლება“.

1917 წლის 9 (22) მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი“).

აკაკი რამიშვილი თავის წიგნში იშველიებს ქიაზიმზადეს ნაშრომს ინგლისურ ენაზე „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის“ და ამბობს:

> „საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე შანსი მოგვეცა, როცა ლენინმა და სტალინმა 1917 წლის 15 ნოემბერს გააკეთეს განცხადება ერის თვითგამორკვევის შესახებ, საოცარია, რომ ამიერკავკასიის ერებმა მაშინვე არ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. მათ შეეძლოთ რუსეთთან ხელშეკრულების დადება. ხოლო შემდეგ, გერმანიაც არ დააყოვნებდა და აღიარებდა მათ დამოუკიდებლობას“.[2]

ვიმოწმებ რა ბ-ნ აკაკი რამიშვილს, იმასაც აღვნიშნავ – იმის მიუხედავად, რომ იგი შამის შეცდომებსაც არ მალავს და ცდილობს ობიექტური იყოს, – გამორიცხული არაა მისი ერთგვარი მიკერძოებულობა. მაგრამ აკაკი რამიშვილი მოვლენებისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას გამოხატავს, ამიტომ მკითხველმა ეს დამოკიდებულებაც უნდა იცოდეს.

როდესაც რუსეთში 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) სამხედრო გადატრიალებით გაბატონდნენ ბოლშევიკი კომუნისტები და გარეკეს იქაური ხელისუფლება სოციალ-დემოკრატებისა, რომელთა შემადგენელი ნაწილი იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ამ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა მაშინაც არ იჩქარეს კომუნისტური რუსეთისაგან გამიჯვნა.

რა გასაკვირია ასეთი პოზიცია ქართველი სოციალ-დემოკრატებისა, რომლებსაც თავისი ბედკრული ქვეყნისათვის ავტონომიაც კი არ ემეტებოდათ რუსეთის იმპერიაში, როცა სოციალისტ-ფედერალისტებიც (გრიგოლ რცხილაძე, თედო ღლონტი...) და ამ პარტიის მემარჯვენე ფრთა – ეროვნულ-დემოკრატები მხოლოდ 1917 წელს მივიდნენ სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნამდე და უკანასკნელნი

დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად გაფორმდნენ...

ნელ-ნელა დაიწყო პარტიათა დაახლოება არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის" საფუძველზე.

ახლა ვნახოთ, როგორ მოიქცა მაშინ ქართველი თავადაზნაურობა.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა ბევრს არ აკმაყოფილებდა, თანდათან იმძლავრა ეროვნულმა გრძნობამ, გადაიდგა ნაბიჯები დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ეროვნული ღირსებისა და მეობის აღდგენაზე, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაზე მეოცნებე ქართველთა შორის ჯეროვანი, დამსახურებული და მყარი ადგილი იმთავითვე დაიკავა ქართველმა თავადაზნაურობამ.

მალე სწორედ ქართლ-კახეთის თავადაზნაურები შეიკრიბნენ თავიანთ ყრილობაზე და ვინაიდან თავად ისინი მხოლოდ ერთი წოდების წარმომადგენლები იყვნენ და არა მთელი ერისა, თავისუფლებისკენ თავიანი სწრაფვისათვის კანონიერი სახის მისაცემად 1917 წლის 29 ოქტომბერს დაადგინეს მოეწვიათ ეროვნული ყრილობა, რომელიც, იქნებოდა რა მთელი ერის აზრისა და ნების გამომხატველი, აირჩევდა ეროვნულ საბჭოს.

თავად-აზნაურთა ამ ყრილობამ განსაზღვრა – მოსაწვევად განზრახული საქართველოს ეროვნულ კრებაზე (ყრილობაზე) წარდგენილი უნდა ყოფილიყვნენ: 1) ქალაქთა თვითმმართველობანი; 2) საერობო დაწესებულებანი; 3) კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებანი; 4) საკრედიტო ორგანიზაციები; 5) პოლიტიკური პარტიები.

ამათგან არჩეულ ეროვნულ საბჭოს ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა დეკლარაციის ძალით უნდა ჩაბარებოდა მათგან გადაცემული ქონება.

მაგრამ „ამ ხაზის საწინააღმდეგოდ, ჟორდნიამ, როგორც ამიერკავკასიის რეგიონალური საბჭოებისა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარემ, 1917 წლის 11 (24) ნოემბერს მოიწვია ამიერკავკასიის ყველა რევოლუციური ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტიების (გარდა ბოლშევიკებისა) სხდომა, რომელსაც, რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, მიაღებინა დადგენილება „ამიერკავკასიის

დროებითი კომისარიატის შემქნის შესახებ".

მართლაც, 1917 წლის 15 (28) ნოემბერს გაუქმდა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი") და აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად შეიქმნა *ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა – კომისარიატი*, რომლის თავმჯდომარე გახდა სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი ევგენი გეგეჭკორი, მანვე შეითავსა საგარეო საქმეთა და შრომის კომისრობა (შინაგან საქმეთა კომისარი – აკაკი ჩხენკელი, იუსტიციის კომისარი – შალვა ალექსი-მესხიშვილი).

ამ საქმეში თავდაპირველად ჩვენი ეროვნული მიმართულების პარტიებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ როცა აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად ამიერკავკასიის კომისარიატის მეთაური იყო ნოე ჟორდანია და მისი პარტია, რაც თავად ნოემ დაადასტურა თავის მოგონებებში „ჩემი წარსული": ყველა ძირითადი პოლიტიკური საკითხი მენშევიკური პარტიის ბიუროში წყდებოდაო (გვ.112), ამასთან, რადგანაც ისედაც დაწყებული იყო (განსაკუთრებით რუსეთში ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ) საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთმანეთთან დაახლოება ეროვნულ ნიადაგზე – შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ჩხენკელი. მას, ინტერნაციონალისტ სოციალ-დემოკრატთაგან განსხვავებით, გულში ეროვნული ნაპერწკალი უღვიოდა და ამის გამო ყველა პარტიისთვის მისაღები კანდიდატურა იყო.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის პასუხად კი 4 დღის შემდეგ, თავად-აზნაურთა ყრილობის 1917 წლის 29 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად,. ზემოთ ნახსენები ინტერპარტიული საბჭოს ხელმძღვანელობით 19 ნოემბერს (ძვ.სტ.) თბილისში, ოპერის თეატრში დაიწყო საქართველოს ეროვნული ყრილობა (კრება).

ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა და გაგრძელდა 4 დღეს. მასში მონაწილეობდა 320 დელეგატი.

ვინაიდან ქართველ სოციალ-დემოკრატებს ჰყავდათ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში გამოჩენილი მოღვაწეები, წინასწარ შედგენილ-შეთანხმებული სიით ყრილობის მუშაობის გასაძღოლად არჩეული პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა მიანდვეს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს ნოე ჟორდანიას.

ყრილობის თავმჯდომარის ამხანაგებად, ანუ მოადგილეებად აირჩიეს:

აკაკი ჩხენკელი – ზემოხსენებული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული ორიენტაციის არამარქსისტული სოციალისტების ჯგუფიდან (რომელშიც აგრეთვე შედიოდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე), იყო მენშევიკური რუსეთის მთავრობის წევრი, შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომი") თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი (1918.22.IV-1918.25.V), ვიდრე დაინიშნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად – (1918.26.V - 1919.29.II).

წარსულის შეცდომებზე მხოლოდ იმ მიზნით ვსაუბრობთ, რომ დღეს და მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავს შეცდომათა განმეორება. სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთი ამ საკითხს ასე არ უდგება დღევანდელ საქართველოშიც და ემიგრანტთა შთამომავლებშიც. მისასალმებელია, როდესაც აკაკი რამიშვილი თავის წიგნში მამის მცდარ ნაბიჯებსაც არ უვლის გვერდს. მაგრამ გულსატკენია, როდესაც ნოე ჟორდანიას შთამომაყალინი იმის გამო არ ესალმებიან აკაკი ჩხენკელის შვილიშვილს, რომ მის ბაბუას უთანხმოება ჰქონდა დიდ ნოესთან – დამოუკიდებლობა არ უნდოდა, მისმა პოლიტიკამ საქართველოს გასაბჭოება დააჩქარაო.[3]

მართალია, საწყენია შენს ბაბუაზე რომ ასე იტყვიან, მაგრამ ხომ არის ამ სიტყვებში სიმართლის ნაწილი?..

ეროვნული ყრილობის თავმჯდომარის შემდეგი მოადგილეები იყვნენ:

გიორგი ლასხიშვილი – სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული მიდრეკილების ცენტრისტთა, კავკასიის კონფედერაციის მომხრეთა ჯგუფიდან, რომელშიც მის გარდა შედიოდნენ: შალვა მესხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე. გ. ლასხიშვილს ეკუთვნის საინტერესო მემუარები;

გრიგოლ ვეშაპელი (ნამდვილი გვარი ვეშაპიძე) – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, ამ პარტიაშიც ორი ფრთა იყო: ილია ჭავჭავაძის მიმდევარი ცენტრისტები – გიორგი გვაზავა, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ზურაბიშვილი; ულტრანაციონალისტები – მიხაკო წერეთელი, დავით ვაჩნაძე, რევაზ

გაბაშვილი, სპირიდონ კედია, გიორგი წინამძღვრიშვილი;

ვეშაპელი გახლდათ ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. 1921 წლიდან ემიგრაციაში იყო. ერთხანს ანტისაბჭოთა მოღვაწეობას ეწეოდა, შემდეგ ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ქადაგება დაიწყო. სოციალ-დემოკრატები დევნიდნენ, სტამბა დაურბიეს. კაფეში კრების დროს თავს დაესხნენ, ბოლოს პარიზში მოკლა ემიგრანტმა მერაბიშვილმა. მკვლელი გაამართლეს.

ამ ისტორიას ასე გადმოგვცემს დამოუკიდებელი საქართველოს მოიავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი:

ხაჩიძე „იყო პირადი მოწმე ვეშაპელის მოკვლისა, მისი ყოფილი მდივანი და თანამშრომელი, მაგრამ ამ ერთადერთმა მოწმემაც არ გაამართლა ბატონ ტორესის (დამცველი) იმედი: მან შეასრულა სასამართლოში მიცემული ფიცი და უჩვენა სიმართლე, თვით ტორესის შეკითხვაზე უპასუხა, რომ ვეშაპელი მის „ახალ საქართველოს" სცემდა არა გასაყიდათ (ტორესი ამტკიცებდა, თითქოს ვეშაპელი ამ გაზეთის შემოსავლით ცხოვრობდა), არამედ საპროპაგანდოდ, რომ ფულს თავის გამოცემის ხარჯების დასაფარავად ის იღებდა რუსეთის პარიზულ საელჩოსაგან, რომ ის იყო ფაქტიურად საელჩოს მოხელე და თავის გაზეთის შინაარსს და პოლიტიკურ ხაზს იმუშავებდა საელჩოში ს. ფირუმოვთან ერთად. ამ ჩვენებამ თავიდანვე გამოარკვია ვეშაპელის ნამდვილი როლი".[4]

შალვა მაღლაკელიძეც ასე იგონებდა (წიგნში „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ", თბ. 1994, გვ. 138-139): ვეშაპელს აკეთებინეს საბჭოური საქმე, საბჭოთა კავშირში დაბრუნებას ქადაგებდა, მაგრამ ნამეტანი მემარჯვენე იყო და სასურველად არ მიიჩნიეს მისი საბჭოეთში დაბრუნება, ამიტომ მისივე კაცს მერაბიშვილს, შენიღბულ საბჭოელს, მოაკვლევინესო.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი საქართველოში მწვავედ, მაგრამ სამართლიანად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატ ხელისუფალთა ანტიეროვნულ ქმედებებს და იქნებ ისინი მას სამშობლოში დაბრუნების ქადაგებას ამის გამოც უთვლიდნენ საბჭოების მხარეზე გადასვლად.

სხვა საქმეა, რომ ვეშაპელს იმაზეც უნდა ეფიქრა, რა ელოდებოდა სამშობლოში დაბრუნებულებს. თუმცა ამის

გათვალისწინება 1925 წელს ცოტა ძნელი იყო. ეტყობა, ეს ვერც გ. ვეშაპელმა განჭვრიტა და ვერც მაშინ პარიზში მივლინებულმა პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმა.

მაგრამ დავუბრუნდეთ საქართველოს ეროვნული ყრილობის თავმჯდომარის მოადგილეების ჩამოთვლას:

ვლადიმერ გობეჩია – სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა პარტიიდან);

პავლე დავითის ძე საყვარელიძე – „ალიონის" ჯგუფიდან.

ეროვნულ-დემოკრატ დავით ვაჩნაძის მიხედვით („რუსულ ჩანგზე დაკრული") 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო დადგენილება.

1) კოტე აფხაზისა და დავით ნიჟარაძის მიერ ქართველი ერისათვის ბოძებული ქართველ თავადაზნაურთა ქონება გადასცემოდა ქართულ ეროვნულ ბანკს;

აკაკი ჩხენკელი

2) ვინაიდან რუსეთმა გააუქმა 1783 წლის ხელშეკრულება, დამოუკიდებლობის მოსამზადებლად მოწვეულ იქნეს 120-წევრიანი „ქართული ეროვნული საბჭო";

3) დაინიშნოს სამხედრო კომისია ჯარის შესაქმნელად.

ეროვნული ყრილობის მუშაობას პრესაში აშუქებდა გრიგოლ რობაქიძე.

ამ ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო.

გაგაცნობთ ამ ეროვნული საბჭოს ზოგიერთ გამოჩენილ წევრს, ცნობილ მოღვაწეს.

ეროვნულ საბჭოში, რასაკვირველია, ყველაზე მეტი წევრი - 25 შეეიდა მაშინ საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. მათ შორის იყვნენ:

ნოე ჟორდანია – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ინტერნაციონალისტი მარქსისტი, კლასთა ბრძოლის დამცველი, რუსოფილი, რუსეთის იმპერიაში საქართველოს დარჩენის მომხრე მხოლოდ კულტურულ ავტონომიად. და უცებ,

1918 წლიდან საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მეორე თავმჯდომარე;

ევგენი გეგეჭკორი – იურისტი, პუბლიცისტი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, 1917.15.XI-1918 წლებში ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის – კომისარიატის თავმჯდომარე, შემდეგ, 1919.21.II-დან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, ერთ-ერთი იმათ შორის, ვინც, სამწუხაროდ, გულგრილად მოეკიდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე საქართველოს წარმომადგენლის გაგზავნას, რამაც შელახა საქართველოს ინტერესები. შემდეგ უარი განაცხადა ამ ზავის ცნობაზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო (ამის თაობაზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი), 1921 წლიდან ემიგრაციაში მიდის.

დავით ონიაშვილი – იურისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გოეთეს „ფაუსტის" მთარგმნელი, 1924 წლის აჯანყების მზადებაში მონაწილეობისათვის ავადმყოფობის გამო პირობითად დასჯილი, 1937 წელს დახვრიტეს;

ნოე რამიშვილი – ამიერკავკასიის მთავარობის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე (1918.26.V-1918.22.VI), ნოე ჟორდანიას მთავრობაში – შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი (1919.21.II-დან), 1921 წლიდან ემიგრაციაში იყო პარიზში, 1930 წლის 7 დეკემბერს პარმენ ჭანტურიძის, „ჭკუიდან შეშლილი ქართველის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს".[5]

შალვა მაღლაკელიძის მიხედვით „ნაღდი ანტიკომუნისტი ნ. რამიშვილი საბჭოეთის დაქირავებულმა აგენტმა კეჭაყმაძემ მოკლა" (ზემოხსენებული მოგონებანი, გვ.140. მკვლელის გვარი ან ერთს ეშლება ან მეორეს).

ნოე რამიშვილი კატეგორიულად წინააღმდეგი ყოფილა ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს განძის გაყიდვისა და ამით გაჭირვებული ემიგრანტებისათვის დახმარების გაწევისა. თითქოს ესეც იყო ერთი მიზეზი მისი მოკვლისა. სხვათა შორის, განძის გაყიდვა ნოე ჟორდანიამაც არაფრით არ ქნაო;

ირაკლი (კაკი) წერეთელი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსოფილი. 1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის მინისტრი, 1921 წლიდან ემიგრაციაში

იყო;

ნოე ხომერიკი – ამიერკავკასიის მთავრობისა და დამოუკიდებელი საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრი; ემიგრაციაში. სტამბოლში გახდა თავმჯდომარე იმ პოლიტიკური კომისიისა, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შედიოდა. 1924 წლის აჯანყების მზადების სახელმძღვანელოდ პარიზიდან მოვლინებული, ადრე, 1923 წელს დააპატიმრეს და აჯანყების დამარცხების შემდეგ დახვრიტეს;*

ვალერიან ჯუღელი – ნოე ჟორდანიას ერთგული; აკაკი რამიშვილის მიხედვით: გაბოლშევიკებული სტუდენტი, სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, შემდეგ გვარდიის სარდალი, დააპატიმრეს 1924 წლის აჯანყებამდე, დახვრიტეს 1924 წლის 29 აგვისტოს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან ეროვნულ საბჭოში შედიოდა 9 წევრი, მათ შორის:

სპირიდონ კედია – ამ პარტიის დამაარსებელი, ლიდერი;

შალვა ამირეჯიბი – პოეტი, „ცისფერყანწელთა" მეგობარი, მისი ორი ლექსი „მასკარადი" და „ლეკური" შეტანილია 1919 წელს გამოცემულ ახალი პოეზიის ანთოლოგიაში, იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ამ პარტიის თავმჯდომარე (კოტე აფხაზის მერე). გასაბჭოების შემდეგ დამოუკიდებლობის ანუ პარიტეტული კომიტეტის წევრია. 1924 წელს დაპატიმრებას დამალვით გადაურჩა, ემიგრაციაში წასული ვერა ფაღავასადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

მე უსწორ ბრძოლის სისხლიან ველზედ
ერთად დამცვივდა, ვით ქარს ძახველი,
პოეტის ქნარი, მიბმული ყელზედ
და მეომარის ბასრი მახვილი;

გიორგი გვაზავა – იურისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ილია

---

* 1924 წლის ივლისის ბოლოს გადაუყვანიათ რუსეთში სუზდალში, ხოლო აჯანყების ჩახშობისთანავე კავკასიისაკენ წამოუყვანიათ ბენია ჩხიკვიშვილთან, გოგიტა ფაღავასთან, ვასი ნოდიასთან და გიორგი წინამძღვრიშვილთან ერთად. დაუხვრეტიათ სადღაც გზაში ხარკოვსა და როსტოვს შორის.

ჭავჭავაძის მიმდევარი, პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ავტორი. 1921 წლიდან ემიგრაციაშია;

ნიკო ნიკოლაძე – პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ილია ჭავჭავაძის მიმდევარი;

გერონტი ქიქოძე – მწერალი. მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

ფედერალისტთა პარტიიდან 10 წევრი, მათ შორის:

იოსებ ბარათაშვილი – ადვოკატი, საზოგადო მოღვაწე;

იოსებ გედევანიშვილი – 1905-1923 წლებში ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი, ამ პარტიის შეიარაღებულ რაზმთან ერთად 1906 წელს დუშეთის ხაზინის გატაცების მონაწილე; დრამატურგი, 1914 წელს ციხეში დაწერა ზღაპარი – ფეერია „სინათლე", რომელშიც ამხილა რუსეთის ბატონობის სისასტიკე. საქართველოს ეროვნული საბჭოს, შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრი. რუსეთის არმიის კაპიტანი, დამოუკიდებელი საქართველოს პოლკოვნიკი, გენერალი, 1921 წლის თებერვალში სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის უფროსობისას მისმა ჯარებმა სასტიკი მარცხი განიცადეს; 1924 წელს კომპარტიაში შევიდა;

შალვა მესხიშვილი - ამიერკავკასიის ფედერაციის კომისარიატის წევრი 1917 წლის 15 ნოემბრიდან; დამოუკიდებელი საქართველო იუსტიციის მინისტრი 1918 წლის 26 მაისიდან;

გრიგოლ რცხილაძე – ფედერალისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საერთო მოქმედების ნიადაგზე დგომის მომხრე, ჟურნალისტი, „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების" თავმჯდომარე 1908-1917 წლებში;

დიმიტრი უზნაძე - ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომი") რწმუნებული სახალხო განათლების საქმეში, ფილოსოფიის დოქტორი, განწყობის თეორიის შემქმნელი;

სამსონ ფირცხალავა – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. ემიგრაციიდან დაბრუნებული გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

ავტონომიის მომხრეობის გამო სოციალ-დემოკრატთა პარტიიდან გამოყოფილი „ალიონის" ჯგუფიდან - 4. მათ შორის:

ივანე გომართელი - ექიმი, ლიტერატორი, კრიტიკოსი,

მწერალთა კავშირის წევრი, საზოგადო მოღვაწე;

პეტრე ქავთარაძე – იურისტი, მწერალთა კავშირის წევრი, სოფოკლეს „ოიდიპოსისა“ და „ანტიგონეს“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგიისა“ და ოვიდიუსის „ჰეროიდების“ მთარგმნელი, „გულაგის“ ბანაკში გადასახლებულს შიმშილით სული ამოხდა.

აჭარას ეროვნულ საბჭოში წარმოადგენდა სამი წევრი:

მემედ ბეგ აბაშიძე -- მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აჭარის დედასამშობლოსთან შემომტკიცებისათვის მებრძოლი, აჭარის მეჯლისის თანათავმჯდომარე;

უპარტიოებისათვის განკუთვნილ ადგილებზე სამართლიანად მოხვდა ორი ღირსეული ქართველი – ესენი იყვნენ:

კოტე აფხაზი – გენერალი, ილია ჭავჭავაძის დისწული, აღმ. საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეული ორი ვადით 1913-1916 წ.წ. თავადაზნაურობამ ქართველ ერს სწორედ მისი წინადადებით უბოძა 60 მლნ. ოქროს მანეთის ღირებულების ქონება (ასევე მოიქცა დას. საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით ნიჟარაძე). მონაწილეობდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში. შემდეგში, საბჭოურ პერიოდში 1921 წლიდან იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიის წევრი, დახვრიტეს 1923 წლის 19 მაისს;

კოტე მაყაშვილი – პოეტი, ერთი თვის წინ დაარსებული „ქართველ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე, რამდენიმე წლის შემდეგ, 1921 წლის თებერვალში კოჯორთან საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას შეწირული მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის მარო მაყაშვილის ძაძა.

სოხუმის ოლქიდან ეროვნულ საბჭოში ორი წარმომადგენელი, ზაქათალას ოლქიდან და ცხინვალის რეგიონიდან – თითო-თითო დეპუტატები იყვნენ.

პასუხად სოციალ-დემოკრატების იმ ნაბიჯისა, რომელიც შეიძლებოდა ჩათვლილიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის (აბა საქართველო ვის ახსოვდა!ძ გამოცხადების ცდად -- კერძოდ, დროებითი მოაერობის, კომისარიატის შექმნის საპირისპიროდ, როგორც ვთქვით, შეიქმნა მოსკოვის დროებითი მთავრობის

ფილიალი – „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ – „ოზაკომი“.

ამ ოზაკომმა, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირა ცალკე საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნას.

ქართველი მენშევიკები მოღვაწეობას, სავალალოდ, არა ეროვნული ინტერესების დაცვის გზით განაგრძნობდნენ, არამედ მხოლოდ პარტიული ინტერესების გათვალისწინებით. 1917 წლის 11 დეკემბერს ნოე ჟორდანიას პარტიის შეიარაღებულმა რაზმმა – „წითელმა გვარდიამ“ (შემდეგში რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ „საქართველოს გვარდიად“ გარდაქმნა და რეგულარულ ჯარებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა) ვალიკო ჯუღელის მეთაურობით ხელში ჩაიგო თბილისის არსენალი.

არსენალის აღებით კარგი საქმე გაკეთდა.

სწორედ ასე შეაფასა ეს ფაქტი იმავე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის წევრმა, მაგრამ ინტერნაციონალისტ თანაფრაქციელთაგან განსხვავებით, ეროვნული ინტერესების გაბედულმა დამცველმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ:

> „ეს არის ის ისტორიული 1917 წლის 12 დეკემბერი, როდესაც მუშათა გვარდიამ საქართველოს სატახტო ქალაქის თოფხანა ხელთ იგდო, თბილისი რუსული გარნიზონისაგან გაწმინდა და საქართველოს გათავისუფლებას და მის დამოუკიდებლობის აღდგენას რეალური და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა“.[5ა]

გაჭიანურებულ მსოფლიო ომში გადაღლილმა პროლეტარული რევოლუციის პირამდე მიყვანილმა რუსეთმა კი მოკავშირე ანტანტის ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) მოწინააღმდეგე გერმანიასა და ოსმალეთთან სეპარატისტული მოლაპარაკება დაიწყო.

მხოლოდ ზავს შეეძლო სამწლიანი ომით დაქცეული რუსეთის დამშეულ-გატანჯულ ჯარისკაცებში უკმაყოფილების ჩაცხრომა, მხოლოდ ომის შეწყვეტას შეეძლო რევოლუციის თავიდან აცილება, თორემ ბოლშევიკები ხელისუფლებას დაჰკარგავდნენ.

ამიტომ ლენინმა თავის წარმომადგენელს დაავალა: თუ საჭირო გახდეს, ნახევარი უკრაინა დავთმოთ, ოღონდ ზავს მივაღწიოთო.

ასეთ ვითარებაში გულუბრყვილობა იყო ჩვენი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელთა იმედი - რუსი კომუნისტები ქართველი სოციალ-დემოკრატების ინტერესებს როგორ არ დაიცავენო?! და მოლაპარაკებაზე ბრესტ-ლიტოვსკში ქართველი სოციალ-დემოკრატების გულგრილობის გამო საქართველოს წარმომადგენლის გაუმგზავრელობამ ჩვენს ქვეყანაზე დამღუპველი გავლენა იქონია!

კომისარიატის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა ჭოჭმანობდა, თვალი რუსეთისკენ ეჭირა, თავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა...

სოციალ-დემოკრატთა მერყეე ნაბიჯებზე მაშინვე, 1918 წლის 20 თებერვალს წერდა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „სახალხო საქმე" წერილში „საქართველო გაყიდეს":

> „ბოლშევიკების მთვარობამ ქედი მოიხარა გერმანიის წინაშე და დაიწყო ვედრება როგორმე გამირიგდი, რაც გინდა წაიღეო. ამ დროს ოსმალეთმა წინადადება მისცა ა/კ კომისარიატს (იმავე მენშევიკების საოლქო კომიტეტს), დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკება გაატარეო. მენშევიკებმა იმის მაგიერ, რომ სიხარულით მისალმებოდნენ ამას, დაეკანონებინათ ფაქტიური დამოუკიდებლობა, შეეკრათ ზავი, რომელიც მაშინ ჩვენთვის უფრო მოსაგები იქნებოდა, ამით დაეცვათ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ძირშივე ჩაეკლათ ეს ყოველგვარი ანარქია, – ამის მაგივრად იუკადრისეს კიდეც ოსმალეთის წინადადება, ჩვენ პეტერბურგიდან ველით ბრძანებას, უიმისოდ არა შეგვიძლია რაო..."

გავეცნოთ ქართველ სოციალ-დემოკრატთა იმდროინდელი პოზიციის სხვა შეფასებასაც:

მართალია. 1918 წლის 16 თებერვალს ვეჰებ ფაშასგან დაგვიანებით მიიღეს ტელეგრამა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „თურქეთი ამიერკავკასიას იწვევდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის."[6]

დიახ, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს.

მიუხედავად უპარტიო სომეხი პაპაჯანოვისა და ნოე

რამი'შვილის რჩევისა – მიეღოთ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე მიწვევა, ამიერკავკასიის კომისარიატი ვერა და ვერ შეთანხმდა და საკითხი განსახილველად გადაეცა ამიერკავკასიის საბჭოების რეგიონულ ცენტრს, ე.ი. ნოე ჟორდანიას, მისი პასუხი კი შემდეგნაირი იყო: *„ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ და ამას ვერ გადავწყვეტთ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეშე, რომელიც ახლა იქნა მოწვეული“.*[7]

ვაი, შე უბედური საქართველო! შენმა გონებადაბინდულმა შვილებმა ასე აიღეს ხელი შენზე! რუსეთის დამფუძნებელი კრებაა ჩვენი პატრონიო...

ამ დროს ეს დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებისაგან უკვე გარეკილი იყო.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის კომისარიატს ან უნდა ეცნო ბოლშევიკების ხელისუფლება, ან ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება დაეწყო.

ბოლოს კომისარიატმა, როგორც იქნა, ეს მეორე გზა აირჩია. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ვერა და ვერ წარმოედგინათ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს. თუ რამეს აკეთებდნენ, ისევ და ისევ ამიერკავკასიისთვის.

მართლაც, 1918 წლის 10 (23) თებერვალს რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ წევრთა კრებამ შექმნა საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის იმპერიის მასშტაბით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ საქართველო მთლად არ ჰყავდა დავიწყებული, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს (1907-1912) დეპუტატობის დროს, ეხებოდა რა საქართველოს სკოლებში მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობას, განაცხადა:

> „თქვენ უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ ქართული ენა – ეს ის ენაა, რომელზეც ჯერ კიდევ IV საუკუნეში თარგმნილი იყო სახარება, ანუ იმ დროს, როცა ბევრი აქ მყოფი ბატონი ნაციონალისტის წინაპარი ტყეში დაეხეტებოდა“.[8]

ხოლო ჩვენი ეროვნული ინტერესების შესახებ განუცხადებია: *„როცა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და*

პროლეტარიატის მოთხოვნები გაგებულ იქნება. როცა წარმოიშვება ძალა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პოლონეთის ავტონომიის ესოდენ სასურველ ხორცშესხმას (სიცილი). ეს ეხება არა მხოლოდ პოლონეთს, არამედ რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ხალხს (ხმა: ებრაელებსაც?) დიახ, ებრაელებიც, ქართველებიც, სომხებიც მაშინ დაიკმაყოფილებენ თავიანთ კანონიერ ეროვნულ მოთხოვნებს, როცა ისინი შესმენილი იქნება სრულიად რუსეთის პროლეტარიატის ხმასთან". [9]

აი, ასეთი იყო ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალისტი, რუსოფილი ხელმძღვანელი ბირთვი, მისი მომხრე უმრავლესობა და ამიტომაც სეიმმა ყურად არ იღო ბრესტში საზავო მოლაპარაკებაზე საქართველოს წარმომადგენლის მიწვევა.

ამ დროს, 1918 წლის 24 თებერვალს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ გიორგი გვაზავამ (ჯერ კიდევ 1909 წელს თბილისში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმ საიდუმლო ჯგუფის წევრმა მიხაკო წერეთელთან ერთად, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეების პროპაგანდას ეწეოდა) ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების პასუხად ზემოხსენებულ ამიერკავკასიის სეიმში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოითხოვა.

აკაკი რამიშვილი თვლიდა: მაშინ რომ გიორგი გვაზავასთვის დაეჯერებინათ, საქართველო ბევრ უბედურებას გადარჩებოდა. ესეც ნოე ჟორდანიას ჯგუფის პოლიტიკოსების დიდი შეცდომა იყოთ და აქაც კაზემ'ხადეს იმოწმებს. [10]

მარტში სოციალ-ფედერალისტებიც ითხოვდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აი, ისტორიკოს გიორგი ციციშვილის აზრი ამ საკითხზე:

> „ჯერ კიდევ 1918 წლის 18 მარტს მან (შალვა ნუცუბიძემ, რ.კ.) აღძრა საქართველოს მთავრობის შექმნის საკითხი. ეს იყო სწორი პოზიციის გამოხატვა. როგორც ცნობილია, სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციამ ჯერ კიდევ 10 მარტს მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ხდებოდა საქართ-

ველოსთვის იმ უაღრესად რთულ სიტუაციაში, როცა თურქეთმა ისარგებლა გამარჯვებულ გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ბრესტის ზავით. მან იურიდიულად რუსეთზე დამოკიდებულ ამიერკავკასიის მთავრობას მოსთხოვა ზავის საფუძველზე კუთვნილი (და ვითომ მორალით გამართლებული) ყარსი, არდაგანი, ბათუმის ოლქის დაცლა და დაიწყო კიდეც მათში თავისი ჯარების შეყვანა".[11]

1918 წლის 5 აპრილს გაზ. „ერთობაში" ამიერკავკასიის სეიმი თავის მანიფესტში აცხადებს: *„ძზად ვართ დავთმოთ ყარსიც, არდაგანიც, მაგრამ ბათუმი არასოდეს".*

ბათუმის დაცვა ჩინებულია, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ეროვნული გრძნობების არასაკმარისობამ ადვილად ათქმევინა უარი ყარსსა და არდაგანზე.

ასე დაიკარგა რამდენიმე ათეული წლის წინ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878) დროს რუსულ ხიშტთან ერთად ქართული მილიციის მიერ დაბრუნებული და ამ ომის დამსრულებელი სან-სტეფანოს ზავით (1878.3.III) ჩვენთვის მოკუთვნებული ის ოლქები. რუსეთი თვლიდა, რომ თავის იმპერიას დაუბრუნა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ჩვენი იქნებოდა.

1918 წლის 17 თებერვალს (2.III) ბრესტ-ლიტოვსკიდან მოდის ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის დეპეშა:

„თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები".

ამან აღშფოთება გამოიწვია საქართველოში, მაგრამ გვიანი იყო...

საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე (1917 წ.) ნოე ჟორდანია პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით რუსეთის დამფუძნებელ კრებას თხოვდა საქართველოსთვის მიენიჭებინა ფართო თვითმმართველობა.

ეროვნულ ყრილობაზე რომ ამას იქით ვერ წავიდა „ქართული" პარტიის მიერ ეროვნული ინტერესების დაცვა, რაღა გასაკვირია, ამას იქით ვერ წასულიყო ამიერკავკასიის კომისარიატი, იმის მიუხედავად, რომ მისი მთავარი ხელმძღვანელები ქართველი

პოლიტიკოსები იყვნენ – კომისარიატი. ხომ თავს რუსეთის ნაწილად თვლიდა.

ამიტომ იყო, რომ თუმცა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება ჯერ კიდევ გვარიანად შორს იყო და ოსმალეთთან მოლაპარაკებას შეეძლო ჩვენთვის სასარგებლო შედეგების მოტანა, კომისარიატმა 1918 წლის 4 იანვარს ასე უპასუხა ოსმალეთს: ზავზე მოლაპარაკებას მაშინ შევუდგებით, როგორც კი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება სათანადო უფლებას მოგვცემსო.

ორი დღის შემდეგ კი, 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა ეს დამფუძნებელი კრება გარეკეს.

ხოლო ქართველ სოციალ-დემოკრატებს – ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელებს თუ მის მიერ შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატის ნაცვლად დაფუძნებულ ა/კ ფედერაციის მთავრობას (თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი; მინისტრები: შინაგან საქმეთა – ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა – აკაკი ჩხენკელი, მიწათმოქმედებისა – ნოე ხომერიკი, საზღვაო – ვლადიმერ გობეჩია) ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება საერთოდ გამოეპარათ. თუმცა ლენინს, რომლის იმედიც, როგორც ამბობენ, მათ ჰქონდათ (რუსეთის ბოლშევიკები ჩვენს ინტერესებს როგორ არ დაიცავენო?!), ამიერკავკასია რუსეთის ნაწილად მიაჩნდა და ბრესტში მისი მიწვევა საჭიროდ არ ჩათვალა.

შედეგად 1918 წლის 2 მარტს რუსეთმა თურქებს დაუთმო ყარსი-არდაგან-ბათუმის ოლქები. მე ვცდილობ იმ დროის სულისკვეთება გადმოვცე, ხოლო ყველაფერ ამის თაობაზე ზუსტი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ერთ-ერთ ბოლო გამოკვლევებში: გურამ შარაძე, გიორგი შარაძე, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, თბ. 2001; გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, თბ. 2003.

ცოტა ხანში, 1918 წლის 13 ნოემბერს რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გააუქმა და ოსმალები უნდა გასულიყვნენ დაკავებული ტერიტორიებიდან, მაგრამ... როგორც ვთქვი, გვიან იყო...

როგორც რუსი მკვლევარი რუზანოვსკი წერს ინგლისურ ენაზე გამოცემულ „რუსეთის ისტორიაში", ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე საქართველოს დაუსწრებლობა ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო. გერმანიამ რუსეთს წაართვა

უკრაინა, პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი. მოლაპარაკებაზე რომ საქართველოს დელეგაცია ყოფილიყო, ჩვენც დაგვიცავდაო.[12]

მით უმეტეს, რომ 1914 წლიდან ქართველ ნაციონალისტებს გიორგი მაჩაბლის მეთაურობით კავშირი ჰქონდათ გერმანიასთან. საკმარისი იყო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის დასწრება და გერმანია ჩვენს მხარეს დაიჭერდაო. ეს აღუნიშნავს ნოე რამიშვილს 1928 წელს. [13]

ისიც სათქმელია, რომ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო. ეს, ერთი მხრივ, გერმანიას ავალებდა ოსმალეთის ინტერესები გაეთვალისწინებინა, მეორე მხრივ, მას შეეძლო ოსმალეთი საქართველოს მიმართ დათმობის გამოჩენაზე დაეყოლებინა (ყველაფერ ამაში გასარკვევად იხ. ლევან თოიძე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ჟ. „საისტორიო ვერტიკალები", 1991, №1).

მაგრამ ახლა გერმანიის ჯარები საქართველოდან გავიდნენ და მათი ადგილი ინგლისის ჯარებმა დაიჭირეს.

ბრესტ-ლიტოვსკზე საუბრის დასამთავრებლად კი ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა ვოქვათ:

მსახიობ აკაკი ვასაძეს თავის მოგონებებში „სტალინის აგარაკზე, ავტორის თვალით" მოჰყავს იოსებ სტალინის ნათქვამი – მე ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე ვიყავი, ეს საკითხიც თურქეთის მხარესთან მოგვარებული მქონდა, მაგრამ ტიფი შემეყარა, მოსკოვში გამაქანეს და საქმე გაფუჭდაო. [14]

მაგრამ ისტორიკოსები, მათ შორის პროფესორი გურამ ყორანაშვილი, ამტკიცებენ- იმ დროს სტალინი იქ არ ყოფილაო.[15] გამოდის, ან სტალინს შეეშალა რაღაც, ან მსახიობმა ზუსტად ვერ გაიხსენა სტალინთან საუბარი.

ოსმალეთი მოითხოვდა ბრესტის ზავის გადაწყვეტილებათა ცნობას, გვაჩქარებდა – დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო. ამას გენერალ გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანიც" ადასტურებს:

> „მე ვიცოდი, რომ ჩვენი დელეგაცია ტრაპიზონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთის სარდლობასთან, რომ ოსმალები მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ბრესტ-ლიტოვსკის

ხელშეკრულების ძალით ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის, ე.ი. მთელი აჭარის გადაცემას".[16]

ეს ჩვენთვის წამგებიანი იყო, ამიტომ საქართველო ფეხს ითრევდა.

ალბათ ამას გულისხმობდა კრიტიკოსი და ექიმი ივანე გომართელი, როდესაც 1922 წელს ჟურნალ „ხომალდში" წერდა:

„ისტორიას არ ახსოვს ისეთი კურიოზი, რომ ერი მონობის ბორკილს ამსხვრევდეს, დამოუკიდებლობას აცხადებდეს და ამავე დროს ჰღაღადებდეს – იძულებული ვარ დამოუკიდებლობა გამოვაცხადო, ეს ჩემი გამარჯვება კი არა დამარცხებაა".

რატომ უკვირდა ივანე გომართელს? ეს მართლაც ჩვენი, სოციალ-დემოკრატების საპატრონო საქართველოს დამარცხება იყო.

წართმეული მიწების დაკანონებასთან ერთად, როგორც ნოე რამიშვილიც მიუთითებდა, ოსმალეთის მშვიდობიანი განვითარება მოითხოვდა რუსეთის მოსაზღვრეობიდან თავის დასახსნელად, მასსა და რუსეთს შორის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას.

მეორე მხრივ, დიდი სიძნელეები შეგვიქმნა იმან, რომ დემორალიზებულმა რუსეთის ჯარებმა დაიწყეს ოსმალეთის ფრონტის მიტოვება და საქართველოს გავლით შინ დაბრუნება, რუსები ფეხს ითრევდნენ, საქართველოში დალექვას ცდილობდნენ, თბილისის აკლებით იმუქრებოდნენ. აი, რა მოგონება დაგვიტოვა ამის თაობაზე ამ ამბების უშუალო მონაწილემ გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა:

„შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე: ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეულ ჩვენს ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ. ...მაგრამ ვიდრე ოსმალები ჩვენამდე მოაღწევდნენ, რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ. ...ამ უკან დახეულ რუსეთის ჯარებს გზა თბილისზე ჰქონდათ. მიაღწევდნენ თბილისამდე და

როგორც მტერი ალყაშემორტყმულ ქალაქს, გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნებს. ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობა გადამდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა არმიის საოლქო ყრილობისათვის".[17]

ამას ისიც დაემატა, რომ თურქები ყარსისა და ბათუმის ოლქზე პრეტენზიების გამოცხადებით არ დაკმაყოფილდნენ და 1918 წლის 15 აპრილს (ძვ. სტ.) ბათუმი დაიკავეს (მომდევნო დღეებში – ახალციხეც, ახალქალაქი და ოზურგეთიც... შემდეგში ამ ქალაქების განთავისუფლებას მრავალი ქართველი შეეწირა).

არადა, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს" (პეტრე სურგულაძე, გიორგი მაჩაბელი) პირველი მსოფლიო ომის წინ თურქეთთან მოლაპარაკებაც უწარმოებია და გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევია (იხ. მიხეილ სვანიძე, ქართველები და თურქთა საიდუმლო... „ლს", 1992, №29), მაგრამ საქართველოს პატრონობა სოციალ-დემოკრატებს ერგოთ, მათი მრწამსი კი ეროვნულ ინტერესებს არ ითვალისწინებდა, ხოლო როცა პრაქტიკამ ისინი აიძულა ეროვნული პრობლემებისთვისაც გაეწიათ ანგარიში, მაშინაც არ ჩქარობდნენ...

დამოუკიდებლობის გამოცხადების დაგვიანებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერნაციონალისტი, რუსოფილი ხელმძღვანელობის დანაშაულთან ერთად ისიც ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცება-გაბრუება ხალხსაც უბნევდა გზა-კვალს.

ტყუილად არ აცხადებდა გაზ. „ერთობა" დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს, 1918 წლის 25 მაისს, მრავალსიმბოლო სათაურიან („იძულებითი ნაბიჯი") წერილში:

„ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, თითქმის მთელი დემოკრატია, სოციალ-დემოკრატიის დროშას მიყვება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა".

ამ წერილს დამოუკიდებლობის გამოცხადების მესამე დღეს ამავე გაზეთის მოწინავე წერილიც ეხმიანებოდა:

„საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის

ნოე რამიშვილი

ძალდატანებით წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ იგი დავიცვათ".

სოციალ-დემოკრატებს საქართველო დამოუკიდებლად ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, ეს იყო, რომ ტრაპიზონის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ (რომელშიც გერმანიის ჩართვის თაობაზე რეზო გაბაშვილს ძლივს მიუღია მანდატი ნოე ჟორდანიისგან) 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამ ფედერაციაში შემავალ ქვეყნებს საერთო ინტერესები არ აერთიანებდათ – აზერბაიჯანს ოსმალეთის მხარე ეჭირა, სომხეთი ომის გაგრძელებას ემხრობოდა, საქართველოსთვის კი ომი დამღუპველი იყო, რადგან ჯარი არ ჰყავდა.

მალე, როგორც იქნა, კარლო ჩხეიძემ სეიმში განაცხადა: ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთს არ სცნობსო (ნოე ჟორდანია თავის ბროშურაში „ზა დვა გოდა", 1919 წ., დანანებით იტყვის: რუსეთთან კავშირი გაწყდა და მარტო დავრჩითო).

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა მიმართა ნოე რამიშვილს: დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, მაშინ შესაძლოა გერმანია დაგვეხმაროსო. ნოე რამიშვილი მიემხრო აკაკი ჩხენკელს.

მართლაც, ომიდან რუსეთის ჩამოშორებით რამდენადმე გამაგრებულმა გერმანიამ ფონ შულენბურგისა და ფონ კრესის სახით საქართველოს დახმარების ხელი გაუწოდა. საქართველოში დაბანაკებულ გერმანელ სამხედრო ტყვეებს ჯარისკაცის ფორმები ჩააცვეს და ისინი საქართველოს ინტერესების დაცვას შეუდგნენ.

თანდათან მწიფდებოდა ფედერაციიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების აზრი.

ქართველი ინტელიგენციის ასეთი სულისკვეთება გამოიხატა

სრულიად ახალგაზრდა პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი") 1918 წელს თქმული ამ სიტყვებით:

„ჩვენ ჩვენის ხელით დავიჭრით ყელებს,
თუ ჩვენთვის დღესაც აღარ გათენდა."

და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ იყო, ავტორმა სულ მალე. 1919 წლის 30 იანვარს დაამტკიცა, როცა საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის თურქთაგან დაცვისას ბრძოლის ველი დაჭრილმაც არ მიატოვა და დამპყრობელს თავი შეაკლა!..

ბოლოს ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა, 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა პირველი, კოალიციური მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი დაინიშნა, მანვე შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრობა, სხვა სამინისტროები ჩაბარდათ: საგარეო საქმეთა – აკაკი ჩხენკელს, სამხედრო – გრიგოლ გიორგაძეს, ფინანსთა და ვაჭრობისა – გიორგი ჟურულს, განათლებისა – გიორგი ლასხიშვილს, მიწათმოქმედებისა და შრომის – ნოე ხომერიკს, იუსტიციის – შალვა მესხიშვილს და გზათა – ივანე ლორთქიფანიძეს.

დამოუკიდებლობის აქტი

ნოე რამიშვილსა და აკაკი ჩხენკელს უნდა ვუმადლოდეთო დამოუკიდებლობის გამოცხადებას – ამბობენ აკაკი რამიშვილი (ხომ არაა ცოტა გაზვიადებული?) და იმასაც აღნიშნავს: გენერალი კვინიტაძე თვლიდა, გამოხატავდა რა გარკვეული წრეების აზრს, რომ ნოე რამიშვილს შეეძლო ისეთივე სამსახური გაეწია საქართველოსათვის, რაც პოლონეთის პილსუდსკიმ გაუწიაო. ნოე რამიშვილი ხელადვე უნდა გამოყოფოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და წმინდა ეროვნული გზა აერჩია. მაშინ ჯარიც და ოფიცრობაც მის ირგვლივ დაირაზმებოდა. მაგრამ ეს ნოე რამიშვილმა ვერ შეძლო.

და ამას შეცდომად უთვლიან სხვებიც და მისი ვაჟიც.

ნოე რამიშვილი და აკაკი ჩხენკელი ცდილობდნენ მთავრობაში ილია ჭავჭავაძის მიმდევარი ეროვნულ-დემოკრატების ნიკო ნიკოლაძის, გიორგი გვაზავას, ივანე ზურაბიშვილის შეყვანას, რასაც მხარი არ დაუჭირეს უკიდურესი შეხედულებებისა და ზომების მიმდევარმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის წევრებმა (მიხაკო წერეთელმა, დავით ვაჩნაძემ, რევაზ გაბაშვილმა, სპირიდონ კედიამ).

ნოე რამიშვილის მთავრობის მოწვევით საქართველოში შემოვიდა გერმანიის ჯარი, რომელმაც შეაჩერა ოსმალთა წინსვლა. მაგრამ მალე მსოფლიო ომიდან გერმანიის გამოთიშვის შედეგად ბათუმში ბრიტანელი ჯარისკაცები გამოჩნდნენ.

ნოე ჟორდანია

ნოე რამიშვილი კარგი ორგანიზატორი და მტკიცე პიროვნება იყო (საგანგებო რაზმი შექმნა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად).

ნოე ჟორდანიას მომხრეები კი იმთავითვე ცდილობდნენ თავიანთი, ინტერნაციონალისტ მარქსისტების უმრავლესობის, რუსოფილების ფრთის წარმომადგენელი ნოე ჟორდანია ყოფილიყო მთავრობის თავმჯდომარე.

როგორც აკაკი რამიშვილი თვლიდა (ის კი, საზოგადოების ნაწილის აზრს გამოხატავდა). დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის სამმა მთავარმა პირმა ნოე რამიშვილმა, მხედართმთავარმა გენერალმა კვინიტაძემ და დიდმა დიპლომატმა აკაკი ჩხენკელმა (ჩხენკელს ქართული დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ სანდოზე სანდო იყოო) ვერ მოახერხეს სამთა კავშირის შექმნა, თორემ ველარავინ გადააყენებდა ნოე რამიშვილის მთავრობასო.

მე მხოლოდ მოსაზრებას გადმოვცემ!

კვინიტაძეც თავის მოგონებებში დადებითად აფასებდა ნოე რამიშვილს როგორც თავმჯდომარეს: რომ ეთხოვა, ხელად გავკოჭავდი ვალიკო ჯუღელს (რომელიც იძახოდა - მხოლოდ ნოე ჟორდანიას მთავრობას დავემორჩილებიო), გვარდია დაიშლებოდა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოც და გადატრიალება არ მოხდებოდაო.

მიაჩნდათ, ამას ხელს ისიც შეუწყობდა, გიორგი გეგეჭკორი რომ გერმანიაში ელჩად არ გაეგზავნათ და აკაკი წერეთელსაც ევროპაში რამდენიმე დღე არ დაეკარგათ.

ეროვნულ-დემოკრატებს პარლამენტის სხდომის წინ ნოე რამიშვილისათვის უთხოვიათ: ჩვენს პარტიაში გადმოდიო, თავმჯდომარეობაც შეუთავაზებიათ – ეს ეროვნულ-დემოკრატებს არჩევნებს მოაგებინებდათო. მაგრამ ნოე რამიშვილმა არ ქნა. თუმცა, როცა ეროვნული ორიენტაცია აირჩია, სოციალიზმი და კლასთა ბრძოლა ერთხელაც არ უხსენებიაო.[18]

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საჭირო იყო ეროვნულ საბჭოს უფრო კანონიერი სახე მისცემოდა. ამისათვის მისი ძველი შემადგენლობა გაიზარდა 121-მდე.

აი, ზოგიერთი დამატებულთაგანი:

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან:

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე – რუსეთის მასშტაბით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ცოტა ხნის წინ ამიერ-კავკასიის სეიმის თავმჯდომარე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან:

რეზო გაბაშვილი – შვილი ცნობილი მწერლის ეკატერინე გაბაშვილისა, უკიდურესი ნაციონალისტი (მიხაკო წერეთელთან და სპირიდონ კედიასთან ერთად), მნიშვნელოვანი მოგონებების ავტორი.

ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და მოღვაწე, ემიგრაციაში წაღებული საქართველოს განძის უანგარო მცველი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კომუნისტური ხელისუფლებისგან შერისხული, შინსახკომის, უშიშროების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი.

ფედერალისტთა პარტიიდან:

არჩილ ჯაჯანაშვილი – მწერალი, შემდეგში 1938 წელს რეპრესირებული.

ამ შევსებულ ეროვნულ საბჭოში კიდევ უფრო საგრძნობი გახდა სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა.

და, აი, 1918 წლის 23 ივნისს მენშევიკური საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე ირაკლი (კაკი) წერეთელმა დააყენა მოთხოვნა: მთავრობის თავმჯდომარე უმრავლესობის ლიდერი

ნოე ჟორდანია უნდა იყოსო.

ნოე რამიშვილი დათანხმდა, ეტყობა, სამოქალაქო ომის დაწყებას მოერიდაო.

ასე შეექმნა მეორე, ერიპარტიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობა: ნოე ჟორდანია – მთავრობის თავმჯდომარე, ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, კარლო ჩხეიძე – დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა, საშხედრო და სახალხო განათლების მინისტრი, კონსტანტინე კანდელაკი – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.

ამას კი, აი, რა მოჰყვა:

ჯერ კიდევ ორი დღით ადრე, 1918 წლის 21 ივნისს საქართველოს ეროვნულ საბჭოში ნოე ჟორდანიამ სიტყვა წარმოთქვა წითელი გვარდიის დაკანონების თაობაზე. ამაზე ასეთი იყო ეროვნულ-დემოკრატ დათა ვაჩნაძის გამოხმაურება: *„ჩვენ გვაქვს წარსულის მაგალითები და ჩვენ გვეგონა, რომ წარმოგიდგენდნენ არა სახალხო გვარდიის მოწყობის კანონპროექტს, არამედ რეგულარული ჯარის შექმნისას".*[19]

ნოე ჟორდანიას ასეთმა პოზიციამ გამოიწვია გვარდიის გაძლიერება: მის გენერალურ შტაბში შეიყვანეს ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი და ვლადიმერ ვოიტინსკი.

გვარდიას მხარს უჭერდნენ: ვალიკო ჯუღელი, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, ივანე გომართელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი (რეგულარული ჯარი ბოლოსდაბოლოს უნდა მოისპოს და სახალხო მილიცია დაარსდესო).

რეგულარულ ჯარს ეშრომოდნენ: გენერალი გ. კვინიტაძე (ჩვენთვის მილიციური წესი მიუღებელიაო), კოტე აფხაზი, ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, ვასილ წერეთელი (სახალხო გვარდია მარტო სოციალისტებისაგან შექმნილი იქნებაო).

სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ თავისი გაიტანა:

> „სახალხო გვარდიის შესახებ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 2 ივლისს მიიღო კანონი. სახალხო გვარდია ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე კომპლექტდებოდა. მშვიდობიანობის დროს ადგილზე, რაიონულ შტაბებთან არსებობდა მხოლოდ მეთაურებისა და უნტეროფიცრების კადრების ნაწილი.

ადგილობრივ შტაბებთან მიწერილი იყო პირადი შემადგენლობა, რომელსაც მობილიზაციის დროს იწვევდნენ. ისინი სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას არასამუშაო საათებში და სასწავლო შეკრებებზე გადიოდნენ".[20]

ოლივერ უორდროპი ინგლისის წარმომადგენელი

სამწუხაროდ, მარტო ამით არ შემოიფარგლა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი:

როგორც საქართველოს პარლამენტის სხდომაზე (1918 წ. ივნისი) გრიგოლ ვეშაპელმა განაცხადა, *„საქართველოს ოფიციალურმა მთავრობამ ვერ შეასრულა დადგენილება ქართული ეროვნული დროშის შესახებ. საქართველოს პარლამენტის და მთავრობის სასახლეზე წითელი დროშა ფრიალებს, რომელიც დღეს ბოლშევიკური რუსეთის ბაირაღად არის ცნობილი ყველგან".*[21]

ამას ხელადვე მოჰყვა დასავლეთის რეაქცია: ამერიკელმა პროფესორმა, რომელსაც უნდა დაედგინა შეიძლებოდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, დაუყოვნებლივ აცნობა თავის მთავრობას წითელი დროშის აფრიალება.

მემარცხენე მენშევიკებს, ნოე ჟორდანიას მომხრეებს მტრად მიაჩნიათ თავად-აზნაურობა, სანდო ძმებად კი – რუსი და სომეხი მუშებიო.

მემარჯვენე მენშევიკები კი (სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ისიდორე რამიშვილი, ვლასა მგელაძე) რამდენადმე უფრო ეროვნული ორიენტაციის და ძლიერი ჯარის შექმნის მომხრენი, სამწუხაროდ, იოლად ჩამოსცილდნენ საქართველოს ხელმძღვანელობას 1918 წელს.

ინგლისის ჯარი ბაკოში



ფონ კრესი, ჟურნალ-გაზეთების რედაქცია „იმერეთში". მარცხნიდან: ა. დათეშიძე, დ. დათეშიძე – ქალაქის თავი, გენ. დ. ართმელიძე, ფონ კრესი, გენ. ტ. ვაშაკიძე. ფონ კრესის ადიუტანტი ბარონი გამმი, დავით კლდიაშვილი

ამასობაში 1918 წლის 27 აგვისტოს ხელი მოეწერა ბრესტის ხელშეკრულების დამატებას, რომლის მიხედვით რუსეთი თანახმა იყო გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა სცნოსო.[22]

ბრესტში ჩვენი ოლქების წარმომეადგენლებიც თითქოს რამდენადმე გამოსწორდა - 1918 წლის 30 ოქტომბერს პირველ მსოფლიო ომში ოსმალების დამარცხების შემდეგ დადებული მუდროსის ზავის ძალით გამარჯვებული ანტანის სახელმწიფოთა სასარგებლოდ ბევრი რამის გადაწყვეტასთან ერთად ოსმალეთს თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან, მათ შორის ჩვენი ისტორიული ოლქებიდანაც უნდა გაეყვანა. .

ესეც ვერ გამოვიყენეთ...

ჩვენები თავის თავს ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილად თვლიდნენ, მხოლოდ 1918 წლის 14-19 ნოემბერს, სოციალ-დემოკრატების მერვე ყრილობაზე, როგორც იქნა, გამოეყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და გაფორმდნენ „საქართველოს



გერმანიის ჯარი საქართველოში

დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად“.

კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას რეგულარული ჯარის შექმნაზე. ამას მოითხოვდნენ პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატები დავით ვანნაძე და რევაზ გაბაშვილი. ამ უკანასკნელმა თქვა: მთავრობამ რაზმს (ე.ი. გვარდიას) აუარება ქონება და შეკაზმულობა მისცა, ღღეს კი არაფერი გააჩნია ამ რაზმს, რადგან მისი შემადგენლობა ჭრელიაო.

ხევსურები მიემგზავრებიან სახალხო გვარდიაში ჩასაწერად

გვარდიამ პირველ ხანებში, განსაკუთრებით თურქებისგან საქართველოს დაცვისას 1918 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოს ჯარი არ ჰყავდა, დადებითი როლი ითამაშაო...

მაგრამ იმასაც ამბობენ, გვარდიაში დისციპლინა მოიკოჭლებდაო, ამის მაგალითად ამ ამბავს ასახელებენ: ერთ-ერთი ბრძოლის დროს გვარდიის ერთმა ნაწილმა მრავალი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც სტრატეგიული მაღლობი აიღო, ღამით ამ ნაწილს მოსვენება მოსურვებია და ქვევით, სოფელში ჩამოსულა. ასე რომ დილით მაღლობი ხელახლა ასაღები აღმოჩნდა...

ერთი მაგალითი გენერალ გიორგი მაზნიაშვილსაც

მოჰყავს თავის მოგონებებში:

„ღამის 10 საათზე თავის ნებით მოიხსნენ პოზიციებიდან და დაბრუნდნენ უკან სურამში. ეს გარემოება ჩვენ დილამდის არავინ ვიცოდით, რადგან გვარდიელებმა თავისი წასვლა არ აცნობეს მთავარ შტაბსაც კი, არამც თუ მე“.[23]

ასე წაშლილა კარგად მოფიქრებული ოპერაცია.

როგორც კი მთავრობის თავმჯდომარე გახდა, მეორე დღესვე ნოე ჟორდანიას გვარდიისათვის 50 ათასი რუსული რუბლი გადაურიცხავს, ჯარისათვის კი – არაფერი.

გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ესეც აღნიშნა თავის მოგონებებში და ისიც, რომ საწყობებში დალაგებული უამრავი ამუნიცია და შეიარაღება ვერ აღმოაჩინა, ვერ გამოიყენა გვარდიის სარდლობამ, გვარდიის შემადგენლობა ჭრელი იყოთ და ისიც თუ როგორ უკმეხად უარყო ვალიკო ჯუღელმა ალექსანდრე შერვაშიძის შემოთავაზება 1500 ცხენოსანი აფხაზით გვარდიის გაძლიერების შესახებ.[24]



შევარდენთა კოლონა 1919 წ.

გენერალი კვინიტაძე იმაზეც თანახმა იყო – იარსებოს გვარდიამაც, მაგრამ ომის დროს გვარდიელები საერთო მობილიზაციის წესით იქნან გაწვეულებით.

ამ დროს საქართველოს 60 გენერალი და ხუთი ათასი ოფიცერი ჰყავდა. *„მაშინ საქართველოში თავმოყრილი იყო რუსეთის ფრონტებიდან წამოსული. სამხედრო სამსახურში დიდად გამოცდილნი მხედართმთავარნი, რომელთაც ბრწყინვალე წარსული ჰქონდათ. მათ მიადწიეს სამსახურის უმაღლეს საფეხურებს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით და შრომით. ესენი იყვნენ გენერლები*

ოდიშელიძე, გაბაშვილი, ანდრონიკაშვილი, იმნაძე, გედევანიშვილი და მრავალი სხვა".[25]

ამას გამოყენება უნდოდა...

საღად მოაზროვნე მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ აუცილებელი იყო რეგულარული ჯარის შექმნა. ასე სწამდათ გენერლებს გიორგი კვინიტაძეს, გიორგი მაზნიაშვილს, 1920-1921 წლებში საქართველოს სამხედრო მინისტრს გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელსაც გასაბჭოების შემდეგაც არ ასვენებდა საქართველოს ბედი და შთამომავლობას დაუტოვა წარსულის მიღწევებისა თუ შეცდომების ღრმა ანალიზით აღბეჭილი „ფიქრები საქართველოზე".

მან შეცდომად ჩათვალა „სამხედრო ორგანიზაციის ორსისტემიანობის ზედმეტად გახანგრძლივება".

> „დროთა განმავლობაში, სახელმწიფო თავდაცვის საქმის ინტერესებს უფრო შეეფერებოდა, რომ ორი სამხედრო სისტემა აღარ დარჩენილიყო პარალელურად... საჭირო იყო რეგულარული ჯარის დისციპლინასა და სხეულზე სახალხო გვარდიის პოლიტიკური შეგნებისა და მოქალაქეობრივი ენთუზიაზმის დამყნობა და ამრიგად ამ ორი სამხედრო ორგანიზაციის სინთეზი და შედუღება, მათ მთლიან და ჩამოსხმულ ორგანიზაციად გადაქცევა. აი, ეს რეფორმა დაგვიანდა და ამ დაგვიანებას კი არ ჰქონდა საკმაო გასამართლებელი საბუთი".

მით უმეტეს, რომ იმ ზემოხსენებულ გენერლებსა და ოფიცრებში რუსეთის იმპერიის არმიის ფარაჯებით შებოჭილი ქართული სული სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ელოდა, რათა თავისი მხედრული ცოდნა და გამოცდილება მისი სამსახურისთვის ეძღვნა:

> „ქართველი ხალხის უძველესი და მაღალი ეროვნულ-პოლიტიკური მემკვიდრეობა თურმე ისე მტკიცედ იყო გამჯდარი ამ ერის თითოეული შვილის არსების ღრმა კუნჭულში, რომ თითქოს საბოლოოდ გადაგვარებულ და ქართული ენის უცოდინარ სარდლებსაც კი მშობლიური ენა გამოაბა და რუსული შინელის ქვეშ

სააკაძეების გული ააძგერა“.

ასეთივე მდგომარეობაში იყო მრავალი ინტელიგენტიც:

„მეტად საინტერესო და საგულისხმიეროა ის ერთის შეხედვით სასწაულებრივი, პირდაპირ ჯადოსნური გარდაქმნა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ მოუხდინა ქართველ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც თითქოს საბოლოოდ გადარუსებული და მოწყვეტილი იყო მშობლიური კულტურის წყაროსა და ნიადაგს, ის თილისმა, რომელიც, მაგალითად, საყველპურო ქართულის უცოდინარ ქართველ პროფესორს რამოდენიმე თვეში საშუალება მისცა მშობლიურ ენაზე სამეცნიერო ლექციები ეკითხა, იყო, რასაკვირველია, არა ზეგარდმოსული სულიწმინდის მოფენა, არამედ განძი ძველი კულტურული დიდებისა, ამ მემკვიდრეობითი პოტენციის გაშლა და ამოფრქვევა“.[26]

ერთი სიტყვით, კარგი ბაზა არსებობდა რეგულარული ჯარის შესაქმნელად, მაგრამ არ იყო ნოე ჟორდანიას პოლიტიკური ნება. სამაგიეროდ დიდ ყურადღებას აქცევდა გვარდიას, მაგრამ დიდ მიკერძოებასაც იჩენდა – გვარდიის ხელმძღვანელობას მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის ერთგულ ხალხს ანდობდა. ამაზე მიუთითებს იმ წლებში შექმნილი სამხედრო სკოლის ენერგიული უფროსი და რეგულარული ჯარის მშენებლობის მომხრე გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე.

„დაიწყო ნაციონალური კორპუსების შედგენა. ქართული კორპუსის შედგენა მიენდო პოლკოვნიკ ახმეტელაშვილს. კორპუსის შტაბის უფროსად დაინიშნა შტ. კაპიტანი ი.გედევანიშვილი. ეს პირები იმ დროს ჩვენი რევოლუციური მოღვაწეების განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. სამართლიანობა კი მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი თავის დანიშნულებას არ შეეფერებოდა“.[27]

ასეთი წინააღმდეგობებით უხდებოდათ ნამდვილი ჯარის მშენებლობა რეგულარული არმიის აუცილებლობის მომ-

ხრეებს.

აი, ამის რამდენიმე მაგალითი:

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მიხედვით, *„სამხედრო საბჭოში საკითხები წყდებოდა ხშირად ყოველისშემძლებელი ნოე რამიშვილის ერთი ხმით და ამასთან არავითარ მოხსენებებს, არავითარ საბუთებს სამხედრო საქმის სპეციალისტებისას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა“.*

მაგალითი მეორე: 1920 წლის ბოლოს შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანში მე-11 ცალკე არმია ყალიბდება, რომლის სამიზნე საქართველო არისო. წინადადებაზე - დროებითი სიმაგრეებისათვის ხარჯთაღრიცხვით საჭიროა სამასი ათასი ოქროო – მთავრობამ უარი თქვა“.[28]

მაგალითი მესამე: 1920 წლის დეკემბერში თუ 1921-ის განგაშიან იანვარში საქართველოს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ, სხდომაზე, რომელზეც არ მიიწვიეს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნით... ნაცვლად მოახლოებული სარფთხის წინაშე მობილიზებისა, ნოე რამიშვილის მხარდაჭერით მიიღეს წინადადება: დათხოვნილ იქნეს უვადო შეებულებაში ყველა



დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

ჯარისკაცი, რომელმაც ჯარში იმსახურა ორი წელიწადი და მეტი.[29]

ჩვენ არ გვაქვს უფლება არ გავითვალისწინოთ გენერალ გიორგი კვინიტაძის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის და მაშინდელი ამბების მთავარი მოქმედი პირის უახლოესი ადამიანის და ამდენად, ალბათ, რამდენადმე მიკერძოებული აკაკი ნოეს ძე რამიშვილის მოგონებანი.

ახლა ვნახოთ, როგორი იყო უცხოელის, სამხედრო საძინისტროს გერმანელი მრჩეველის აზრი საქართველოს ჯარის საკითხზე. აი, რა შეატყობინა თავის მთავრობას ამ მრჩეველმა ბერლინში გაგზავნილი რაპორტით:

> „პრემიერ-მინისტრს სახალხო გვარდია პირადად თავისი და რეჟიმის დამცველ ძალად მიაჩნია, ხოლო ჯარის მოწყობა კი ვერ ხერხდება“.[30]

გენერალ ფონ კრესს კი ასეთი დეპეშა გაუგზავნია ბერლინში:

> „სანამ ქართული ჯარის შექმნა არ მოხერხდება, მანამდე გერმანიამ საქართველო არ უნდა ცნოსო“.

აი, ასე ფუჭდებოდა საქართველოს საქმე. მაშინაც კი, როცა რეგულარულ ჯარში 30 ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა, გვარდიაში კი გაცილებით ნაკლები, მთავარი ყურადღება ამ უკანასკნელს ეთმობოდა.

1917-1918 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატული მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების შეჯამება მოგვცა ჩვენი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვეშაპელმა 1918 წლის 15 ივნისის სხდომაზე პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წარმოთქმულ სიტყვაში:

> „რუსის ჯარის შინ წაბრძანების შემდეგ საქართველოს რომ რეგულარული ჯარი შეედგინა, რუსეთის ბოლშევიკურ ფედერაციას რომ დროზე ჩამოვშორებოდით, დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა და საკუთარი სახელმწიფო შეგვექმნა, ბრესტ-ლიტოვსკში

კარლო ჩხეიძე

გიორგი გკაზავა

სპირიდონ კედია

რომ ოსმალეთ-გერმანიის წინადადებით კონფერენციაში მონაწილეობა მიგვეღო, ჩვენი ძველი მეზობელი ერები რომ ამიერკავკასიის უცნაური პოლიტიკით ჩვენდა საუბედუროდ არ აგვერია, ოსმალეთი რომ სომხური დიპლომატობით არ გაგვეღიზიანებინა და საქართველოს წინააღმდეგ არ აგვემხედრებინა, საერთაშორისო პერსპექტივები რომ დროზე გაგვერკვია და უცხოეთში მოქმედ თავდადებულ ქართველ მამულიშვილების ღვაწლით დროზე გვესარგებლა, მაშინ უჯარო ქვეყანას ოტომანის იმპერიას არ დავატაკებდით და საქრისტიანო საქართველოსთან მთელი სამაპ მადიანო საქართველოც თავისუფალი იქნებოდა";

და კიდევ ერთი ამონარიდი:

„ჩვენი მთავრობის პირველშობილი შეცდომა ის არის, რომ სოციალისტური პოლიტიკის და ეკონომიკის მოციქულებმა იკისრეს არასოციალისტური სახელმწიფოს აშენება".[31]

შეკსებული ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 13 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე იმავე 1918 წლის 4 ოქტომბერს ეროვნული საბჭო პარლამენტად იქცა.

თავის მხრივ ამ პარლამენტმა 1918 წლის 20 ნოემბერს მიიღო



გრიგოლ ყეშაპელი რეზო გაბაშვილი ზურაბ ავალიშვილი

საარჩევნო დებულება.

ამ საარჩევნო დებულების თანახმად, მთლად კანონიერი, არჩევითი სახე რომ მიეცათ, დაახლოებით სამი თვის შემდეგ, 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს საქართველოში გაიმართა არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა 504.136 ამომრჩეველი. ე.ი. ნახევარ მილიონზე ცოტა მეტი.

არჩევნები ჩატარდა პარტიული სიების მიხედვით. კენჭი ეყარა 15 საკანდიდატო პარტიულ სიას, რომელთაგან მხოლოდ 4 პარტიას ერგო ადგილები დამფუძნებელ კრებაში.

ყველაზე მეტი მანდატი - 109, რა თქმა უნდა, მიიღო სოციალ-დემოკრატების ძველმა, დიდმა და პარტიულ ბრძოლებში გვარიანად გამობრძმედილმა პარტიამ (მაშინ ხომ საქართველო სოციალიზმის ხელით იყო შეპრყრობილი), ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა – მხოლოდ 8-8, სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა) - 5.

(ამ დროისათვის „ალიონისტები" დაბრუნებული იყვნენ (1919 წლის იანვარი) სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რადგან ამ უკანასკნელმა არათუ ავტონომიად, არამედ დამოუკიდებლად გამოაცხადა საქართველო.

სოციალ-რევოლუციონერებიც 1918 წლის ივნისში გამოეყვნენ რუსებს).

გარდა ზემოხსენებული პროგრამებისა დამფუძნებელი კრების წევრთაგან უნდა აღინიშნოს:

დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი) - მწერალი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ძმა პოეტ გიორგი ქუჩიშვილისა. მიუხედავად ხსენებული პარტიის წევრობისა

დიდი ეროვნული სულის ადამიანი იყო, რომლის პატრიოტული გრძნობებით გაჟღენთილ პუბლიცისტიკასთან შეხვედრა წინ გვაქვს.

შალვა ნუცუბიძე – მეცნიერი, შემდეგში აკადემიკოსი, ფილოსოფიური შრომების ავტორი და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი.

დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობის მოპოვებით ზურგგამაგრებულმა, ისედაც ფართო უფლების მქონე ნოე ჟორდანიამ, თუმცა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაინც, კიდევ უფრო მეტად, თითქმის დიქტატორობამდე განიმტკიცა ხელისუფლება, ოპოზიციურ პარტიებს არაფერი არგუნა, სამაგიეროდ თითო სოციალ-დემოკრატ მინისტრს რამდენიმე სამინისტრო დაუქვემდებარა.

ეს მთავრობა დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1919 წლის 21 მარტს.

1920 წლის 15 იანვარს ლორდ კერზონის თაოსნობით მოკავშირეთა (ანტანტის) უზენაესმა საბჭომ დეფაქტოდ ცნო საქართველო. ოთხი თვის შემდეგ, 1920 წლის 7 მაისს კი ბოლშევიკურმა რუსეთმა იურიდიულად გვაღიარა ძველ საზღვრებში და ამის გამო ივლისში ბათუმიდან გავიდნენ ინგლისის ჯარები, რომლებიც ოსმალეთის ინტერესებს იცავდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით აღიარებულ საზღვრებში.

დიახ, რუსეთმა იურიდიულად გვცნო. ჩვენთან ხელშეკრულება დადო და ეს მეტად და მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის! მაგრამ გულში თურმე სხვა რამ ედო...

ორიოდე სიტყვით უნდა დავუბრუნდეთ ამიერკავკასიის ქვეყნების ერთმანეთთან შეუთანხმებლობას, რამაც მათ XX საუკუნის დასაწყისშიც მოუტანა ზიანი და იმ საუკუნის მიწურულიდანაც უქმნის სიძნელეებს.

დასავლეთის ქვეყნებს (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) ცალ-ცალკე საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე უფრო მთელი ამიერკავკასია

აინტერესებდათ. ამიტომ ამ ქვეყნებისგან ისინი მოითხოვდნენ: ერთიანეთს შორის სადაო საკითხები მოაგვარეთ, ბრძოლის უნარიანობა გამოიჩინეთ და ჩვენც დაგეხმარებითო. მაგალითად, თვით სომხეთის მეგობრის აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონის გამოგზავნილმა გენერალმა ჰარბორდმა შეისწავლა მდგომარეობა და საჭიროდ ჩათვალა მანდატის გავრცელება მთელ ამიერკავკასიაზე.

როგორ ასრულებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები ამ რჩევას?

სომხეთი საქართველოს მიმართ იჩენდა უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს, რის გამოც მისთვის კატასტროფით დამთავრებული ომიც კი გამოგვიცხადა.

როგორც გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე იგონებდა, *„1918 წლის 31 დეკემბერს 24 საათზე, როდესაც ერთი დღის წინ ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს შულავერთან სომხები და შედგნეს ისინი ბამბაკის ხეობაში, ინგლისელების მოთხოვნით ჩამოვარდა დროებითი ზავი“.*[32]

სომხეთი ბათუმის პორტთან და რკინიგზასთან დაკავშირებითაც გადაჭარბებულ მოთხოვნას გვიყენებდა. .

ნოე ჟორდანია – „სომხები იწყოდნენ რუსეთისკენ, მოვა ის და გვიხსნის თურქებისგანო... ბაქო ოსმალეთისაკენ“. მაგრამ ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებდა.

მოლად სხვის მოიმედეთა შესახებ კიდევ უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. იმ დღეებში ნოე ჟორდანიას გარდა სხვებმაც, კერძოდ გაზ. „ერთობამაც“ გამოთქვა აზრი სომხეთის მაგალითზე (1920.19.X):

> „სომხეთი გაწითლდა, გაწითლდა ძალაუნებურად... გარეშე ევროპის იმპერიალისტების ძალაზე დაყრდნობამ გააცრუა სომხეთის იმედები, ევროპამ მანდატიც კი არ მიიღო.
>
> მხოლოდ თავის შინაგან ძალებზე დაყრდნობას, მხოლოდ თვითმოქმედებას და რევოლუციური საქმიანობის გაძლიერებას, მთავრობის გარშემო მტკიცეთ შემოკრებას შეუძლია იხსნას ხალხი და რესპუბლიკა“.

ეს შემდეგაც უნდა გაეთვალისწინებინა და დღესაც უნდა ესმოდეს სომხეთსაც და საქართველოსაც.

საქართველო და აზერბაიჯანი 1919 წლის ივნისში

შეთანხმდნენ სამხედრო დარგში ურთიერთ დახმარების თაობაზე. სომხებმა კი ამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს;

როდესაც 1920 წლის 15 იანვარს ლორდ კერზონის თაოსნობით მოკავშირეთა უზენაესმა საბჭომ საქართველო და აზერბაიჯანი „დეფაქტოდ" სცნო, სომხეთი თავდაცვის საკითხების თაობაზე თათბირზეც მოიწვიეს. მაგრამ მან ყარაბახის გამო აზერბაიჯანს ომი გამოუცხადა.[33]

ამას ემატებოდა ჩვენი სოციალ-დემოკრატების მიერ დასავლეთის ლანძღვა-გინება...

ყოველივე ამის გამო დასავლეთმა ნელ-ნელა ჩვენზე გული აიყარა...

ისედაც, გერმანიისა და მისი მოკავშირეების (ავსტრია-უნგრეთი) კაპიტულაციის შემდეგ (1918.X-XI) ანტანტა რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ ერებს პირველად მტრულად შეხვდა. მოგვიანებით, გავლენის სფეროების განაწილების მიხედვით, როგორც გრიგოლ ლორთქიფანიძე წერდა, *„სპარსეთით დაკმაყოფილებულმა ინგლისმა ნება დართო მოსკოვს საქართველო „გაენთავისუფლებინა".*[34] *„1921 წელს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულება დადო და ამით კვლავ კარი გაუღო რუსეთის გაბატონებას კავკასიაში, კერძოდ საქართველოში".*[35]

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მაშინდელ მსოფლიოში როგორ შეფასდა ქართველი ხალხის, ქართველი სოციალ-დემოკრატების ბოლოს და ბოლოს გამოჩენილი ძალისხმევით შექმნილი საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.) და მისი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა.

1920 წელს საქართველოს ესტუმრნენ ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოჩენილი მოღვაწეები. აი, სამი მათგანის მაშინვე საქვეყნოდ გამოთქმული აზრი:

ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი რამზეი მაკდონალდი („ნეიშენი", 1920.16.X):

> „...მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით. ...თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ

რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე".

„თუ ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ყველა შეცდომის შემდეგ რაიმე ისწავლა და მზად არის იხელმძღვანელოს უბრალო გონიერების და მომავლის განჭვრეტით – მან თავის მხრივ მზარი უნდა დაუჭიროს საქართველოს".

ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე, პირველი სოციალისტური მთავრობა, ჟურნ. „ლე პიპლ", 1920.20.X:

„ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, სხვები პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს ან ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა... ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი სურვილისა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ... შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობებთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების გონიერება, სიბრძნე. ...მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იძლევა დიდ დადებით პერსპექტივებს ქართველი მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიკური წარმატებებისათვის, მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, თუ

საქართველოს არ ექნა საერთაშორისო სტატუსი, თუ იგი არ იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფოს მიერ".

სოციალ-დემოკრატია აღიარებული ლიდერი კარლ კაუცკი:

„კრულვა და შავი ზიზღი ყოველსავე ძალას, რომელიც მშვიდობიანად განწყობილ საქართველოს გარედან ომით, ან შიგნით სამოქალაქო ომით ემუქრება".[36]

მაგრამ საერთაშორისო აღიარებას არ ჩქარობდნენ ევროპის ქვეყნები, ისინი უფრო იმაზე ფიქრობდნენ რუსეთის იმპერიას არ ვაწყენინოთო. სულ ცოტა ხანში საქართველოს პირველ რესპუბლიკას ევროპის, განსაკუთრებით ინგლისის, გულგრილობის გამო რუსული ბოლშევიკური იმპერია გადაყლაპავს, ამ იმპერიის გაძლიერების წინაშე გამოჩენილი ეს გულგრილობა კი ევროპასაც და მთელ მსოფლიოსაც მთელი 70 წლის განმავლობაში შიშისა და კანკალის ფასად დაუჯდა...

თავი IV.
დამოუკიდებლობის გადასარჩენად

„გათავისუფლებული და აღდგენილი ქართველი ერის არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დამოუკიდებელ საქართველოსი და მისი მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა."

სამსონ ფირცხალავა, 1918.17.XI

„დღესაც შეშფოთებულია საქართველოს სული.
რას მოასწავებს?
ნუთუ საქართველოს ბედი განსაცდელშია! მსოფლიოს ძალთა შეჯახებაში საქართველოს არ ეშინია ღირსეული წვლილი დაიდოს, მხოლოდ მას ეშინიან – პატარა წმიდა სანთელივით სხვის ხატს არ შეადნეს."

ლევან მეტრეველი, 1919.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ საერთო-სახალხო სიხარული გამოიწვია. ხალხთან ერთად მისი მწერლობაც ზეიმობდა.

ყველას რომ ეგონა იოსებ გრიშაშვილი მხოლოდ ქალის სიშიშვლის, ეროტიული გრძნობების მომღერალიაო, ის სამშობლოს ბედზე წუხილსაც არაერთხელ შეუშფოთებია. მაგრამ სიყვარულის თემამ დაჩრდილა გრიშაშვილი-პატრიოტი. ცოტას ახსოვდა სამშობლოს მწარე ხვედრით დასევდიანებული მისი ლექსები:

აი, თუნდაც 1912 წელს დაწერილი, სიმღერად ქცეული სტრიქონები ლექსიდან „სამშობლოს ნანგრევებში".

სიზმრად ვნახე – საქართველო სისხლის
ზღვაში ბანაობდა
და დროშა კი, დაფლეთილი, ქარის

ფრთებზე ქანაობდა.

მერე 1921 წლის თებერვლის დღეების გამო, ხალხმა ასე რომ შეცვალა: „და დრო'შა კი, დაფლეთილი, კოჯრის მთაზე ქანაობდაო".

1914 წელს ი. გრი'ბა'შვილი წერს ლექსს „სატრფო ავად გვყოლია" და საქართველოს მომავალზე ლოცულობს:

დე, მე ვიყო ზვარაკი! დე, დამენთქას მე ბედი!
ოღონდ სატრფო მიცოცხლე:
მომავალის მორბედი
დაგედები მალამოდ -
ოღონდ აღსდეგ, მომავალს ერთად
მივესალამოთ!

და მაინც საყვედურობდნენ, ეგონათ ქალის სიმ'შვენიერის მეტი არაფერი ახსოვსო. ამის პასუხად აღმოხდა 1915 წელს:

ვის შეუძლია ცილი დამწამოს, ვის შეუძლიან
მითხრას ართქმული
რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო,
ჩემი ერი და ჩემი მამული!

1917 წელს პოეტი რუსეთის იმპერატორის დამხობას მიესალმა ლექსით: „1917 წელი", ხოლო საქართველოს დახსნას სიმღერით – „დავიხსნათ სამ'შობლო, დავიხსნათ მამ'ული!"

ვალერიან გუნიას იუბილეზე ამ დიდ მამ'ული'შვილს ლექსი „დათოვლილი მედროშე" უძღვნა, დამოუკიდებლობის გამოცხადებას კი, ფედერალისტთა პარტიის წევრი პოეტი ეროვნულობის მრწამსით აღინთო და 1918 წლის 26 მაისს შეხვდა ლექსით „საქართველოს ზადიკი":'

მიყვარდა ტუჩი! - და შევიძაგე
თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა.
რად მინდა ვარდი! რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს... ჯვარსა...

და მეც დამკოცნის სხვა ანგელოსი
და მეც დღეიდან დამეუფლება
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!

1918 წელს ქართველთა ბედნიერ დღეს კიდევ ერთი,

მიუხედავად სოციალ-დემოკრატობისა ჩვენი ქვეყნის ერთგული პოეტი ვასო ტუქსიშვილი (ჩოხელაშვილი) შეხვდა აღტაცებით:

შორს, წიაღიდან საუკუნეთა,
ვით მოგონება განცვიფრებული,
მოფრინავს გუნდი ცეცხლის ჰუნეთა
და შევარდენთა ანცი კრებული
მოაქვთ გვირგვინი და მოსჩანს ოდენ
მაღალ ჯიღაზე წითლად სწერია:
„თავისუფლებავ, შენ გიხაროდენ,
ვითარმედ იშვებს დღეს ივერია!..“

ამ სიხარულმა მოგვიანებითაც ბევრი ლექსი წარმოშვა პოეტი ვარლამ რუხაძე 1920 წელს ასე მიესალმა საქართველოს დამოუკიდელობას:

საქართველო აღსდგა! დღეს ეს სიტყვა ითქვა
და აზვირთდა ხალხი, შვებით დანამული,
შორს გასტყორცნა სევდა, გულს რომ აწვა
ვით ქვა
და ჭაღარა ბელადს უსმენს განაბული.[2]

როგორც ხედავთ, უკვე იმ დროიდან მიგვიწევდა გული პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ბელადებად გამოცხადებისაკენ...

მაგრამ თავისუფლებით ტკბობა ცოტა ხანს დასცალდათ მაშინდელ ქართველებს - 1918 წლიდან თურქეთმა რამდენიმე წლის წინ დაბრუნებულ სხვა მიწებთან ერთად ქართული ბათუმიც დაიჩემა და აი, 1919 წელს ბათუმში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ი. გრიშაშვილი მისთვის ჩვეული არტისტიზმით კითხულობს ლექსს „ბათუმისთვის“ (1919):

და უნდათ, რომ საქართველო ეს პატარა
ნატვრისთვალი –
კვლავ გახადონ სხვისი მონა მორჩილი და
შენამკრთალი...

მხოლოდ ორი წლის შემდეგ, როცა იძულებული გავხდებით დავძლიოთ ჩვენი ევროპელი მფარველის, გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამმარცხებელი და ასპარეზიდან ჩამომცილებელი ანტანის სახელმწიფოების ინგლისისა და საფრანგეთის უნდობლობა (ჩვენს მოწინააღმდეგეს

ერთგულობდითო), მათი მფარველობა მოვიპოვოთ, – აი, ამის მერე ინგლისის ჯარების სარდლობის დახმარებით ჩვენი ჯარები შევა ბათუმში, იქ, მთავარ მოედანზე აღლუმს გამართავს, ინგლის-საფრანგეთის დროშები დაეშვება და საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება...

მაგრამ ჩვენი ჭირთაომენა ამით არ დამთავრდება, ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა რუსეთი ახალ სივერაგეს ჩაიდენს – თურქეთს გაურიგდება, ჩვენი ისტორიული ოლქების, მათ შორის ბათუმის სანაცვლოდ საქართველოს მიერთების, ოკუპაციის თანხმობას მიიღებს და საქართველოში ხელისუფლების ცვლის დროისათვის – მენშევიკური მთავრობის ემიგრაციაში წასვლისას და ვითომ ჩვენი მფარველის ინგლისის ჩუმი თანხმობით საქართველოს გასაბჭოების დღეებში ბათუმი ისევ დასაბრუნებელი გვექნება...

მაგრამ ვიდრე ყველაფერი ეს მოხდება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნობასთან ერთად გონიერი ქართველები ამ განძთა მოვლა-გაფრთხილებაზე ზრუნავდნენ და სხვებსაც მოუწოდებდნენ სიფრთხილისაკენ.

როცა კიდევ ერთი მეზობლის შემოტევის შემდეგ მთავარმა საფრთხემ იჩინა თავი – ჩვენმა ადრინდელმა ჩამყლაპავმა ვეშაპმა ისევ გაიღვიძა, 1920 წელს ჟურნალმა „ცისარტყელამ“ (№4) დაბეჭდა თავისუფალი საქართველოს დასამხობად აღძრული ძალების სივერაგით აღშფოთებული პოეტის ი. გრიშაშვილის ლაზათიანად ნათქვამი სიტყვები:

ბევრჯერ აიკლეს ეს მიდამო და სპარსთა
ჯარსა
ალეწინებდნენ ზუჩ-მუზარადს, ჩაჩქან-
აბჯარსა,
მაგრამ ვცხოვრობდით მოყვარულნი დროთ
ტრიალისა.
დღეს კი ქართველი ძილში მუდამ წყევლას
აჩაღებს
და წყევლის იმას, ვინც ჩრდილეთის ველურ
ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა.

ერთ-ერთი პირველები, თუ მთლად პირველნი არა, ქართველი მწერლები იყვნენ, ვინც განგაშის ზარებსაც იმთავითვე

არისხებდნენ – ამ განძს, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას დაცვა და მოვლა უნდაო.

ჯერ კიდევ 1917 წლის 5 დეკემბერს ამ ზრუნვამ აკაკი შანიძეს, შემდეგში დიდ ენათმეცნიერს, მაშინ კი, როგორც პოეზიისათვის ხარკის გადამხდელ ყველა ქართველს და საშშობლოს ბედით შეშფოთებულ, მის მომავალზე მზრუნველ ადამიანს დააწერინა „ქართული ეროვნული ჰიმნი“ და შემოაკვრევინა განგაშის ზარი:

აბა ფხიზლად ქართველებო! მივყვეთ მამა-
პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ
გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი ბოღაზს და ნუ ვაღებთ
დარიალსა!

და კვლავ იმეორებდა:

აბა ფრთხილად, ქართველებო, ნუ, ნუ, ვაღებ
დარიალსა!

როგორც ვიცით, კონკურსში ჩვენი ეროვნული ჰიმნისათვის სხვა ტექსტს მისცეს უპირატესობა. ეს იყო „დიდება“.

18 წლის გიორგი ლეონიძემაც იგრძნო უბედურება და წინაპარს უხმო საშველად (ჰიმნი „თამარ“):

და გიხმობთ შველად: თამარ, ჰოი, თამარ!
ივერია იავარ იქმნა!

1918 წლის 20 ნოემბერს გაზეთ „ერთობაში“ გაისმა გიორგი ქუჩიშვილის „ამონაკვნესი“:

ვისაც ხელი გავუწოდეთ,
ვინც კი გულით შევიყვარეთ,
ყველა მტრულად გვეკიდება,
ყველა გვლანძღავს შინ და გარეთ.

ნეტა ვის რა ვაწყენინეთ,
ანდა ვის რა დავუშავეთ,
რომ ყველანი გარდაქმნილან
ჩვენი ქვეყნის მესაფლავეთ?

ეჰ, არავინ არ დაგვინდო,
არც არავინ გაგვიტანა,
ვინც კი ძმობა შემოგვფიცა,
ყველამ ზურგში დაგვცა დანა...

ძვირფასო მკითხველო, თავად განსაჯეთ დღესაც რამდენად მტკივნეულია ეს საკითხი!..

მომდევნო 1919 წელს (11.VI – „სოციალისტ-ფედერალისტი") მწერალმა ლევან მეტრეველმა ასე გამოხატა ჩვენი ხალხის უმთავრესი სატკივარი:

„ქართული სული"

დღესაც შეშფოთებულია საქართველოს სული,
რას მოასწავებს?
ნუთუ საქართველოს ბედი განსაცდელშია!
მსოფლიო ძალთა შეჯახებაში საქართველოს
არ ეშინია ღირსეული წვლილი დაიდოს.
მხოლოდ მას ეშინიან – პატარა წმიდა
სანთელივით სხვის ხატს არ შეადნეს.

საქართველოს ამ გადარჩენას რუსეთის ბოლშევიზმი ემუქრებოდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შალვა შარაშიძემ, რომელიც მწერლობაში ცნობილია „თაგუნას" ფსევდონიმით, სიზმარში ნახულად გვამცნო (1919 წ.) რა მოყვებოდა საქართველოში ბოლშევიკების გამარჯვებას...

ჩვენი სახელოვანი მოღვაწე იოსებ იმედაშვილიც, „ექიმ შტოკმანის" ფსევდონიმს ამოფარებული, თავის ჟურნალ „თეტრსა და ცხოვრებაში" 1920 წლის 15 თებერვალს აქვეყნებს მეტად დამახასიათებელ სათაურიან ძმაფრ მოწოდებას *„ძილშიც იფხიზლე"*:

„ჩვენი სახელმწიფო უკვე ჩვენს საკუთარ ძალ-ღონეს მიეყუდნა, ხოლო ხალხმა, ერმა იგრძნო და განიცადა თუ არა ეს დიდი მოვლენა!

თითქმის არა!

დღეს თითოეული ჩვენგანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი, რა ხელობის, წოდების და სქესისაც უნდა იყოს, ძილშიც უნდა ფხიზლობდეს, ნაკისრ საქმეს მთელის თავისის არსებით ასრულებდეს, წმინდა შრომით მეცნიერება-ხელოვნების ტაძარს

ამშვენებდეს, დაუცხრომელი მუშაობით ქვეყნის დოვლათსა ჰქმნიდეს, რათა ქვეყანა ჩვენი გაბრწყინდეს ცოდნით, ქონებით მოღონიერდეს, ნივთიერად წელში გაიმართოს, ზე წამოდგეს და მზეს თვალები გაუსწოროს.

ამის მაგიერ რას ვხედავთ?

საზოგადო დაწესებულებანი აიღეთ: გაუთავებელი ლაპარაკი.

სასწავლებლებში – ან ცუღლუტობა, ან მეცნიერების მიძალების მაგიერ ტალანებში გაუთავებელი არშიყობა, ან – ახ, ერთი ელექტრო ჩაქრესო, რომ...

დროს დაფასება ხომ სრულიად ზუდმეტ ბარგადაა მიჩნეული.

რაც ჩვენ ხალხს შეუძლიან, სამწუხაროდ დღეს მის მეათედს არ იჩენს. თითქოს უმეტესობას უქნარობის სენი შეეყარაო – მინდვრის მშრომელი, ქარხნის მუშა, მოხელე, მასწავლებელი თუ მოსწავლე მხოლოდ გარეგნულად ასრულებს თავის მოვალეობას, ქვეყანა კი იფიტება...

ვაი, იმ ქვეყანას, სადაც პატიოსანი და ბეჯითი შრომა არ ბატონობს... ვაი, იმ ხალხს, ვინც მუყაითი შრომის წმინდა ოფლში არ ბუღრაობს საქვეყნო დოვლათის შესაქმნელად, მეცნიერება – ხელოვნების ასაყვავებლად.

ჩვენი თავი ჩვენ მხოლოდ მაშინ მოგვეყუდნება, როცა თითოეული ჩვენგანი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს...

და აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ერთგულ შვილს, ვისაც საქვეყნო ზრუნვა წმინდა მცნებად მიუჩნევია და სამშობლოს თავისუფლება მხოლოდ ცარიელ ბგერად არ უჩანს...

ძილშიც იფხიზლე! - აი, რას ჩაგვძახის ჩვენი დრო".

ვასო ტუქსიშვილიც აყრილიყვნენ სამშობლოს („წითელი ყორანი", „ერთობა", 1920.8.V):

თავზე დაგვჩხავლა შავმა ყორანმა,
დღეს იმას წითლად უცვლია ფერი,
მოსწყურებია შენი გულიდან
ადინოს წმინდა სისხლის ჩანჩქერი!

ხალხის მაშინდელი ლოცვა და ღაღადი გამოხატა გიორგი ქუჩიშვილმა ლექსში „ჩემი ვედრება“:

„ღმერთო, მაღალო! მხურვალე ლოცვით
შემოგავედრებ სამშობლოს ჩემსა:
შენ უწინამძღვრე ამ პატარა ნავს
და ნუ შეახლი დამღუპველ გემსა
ღმერთო! ისმინე ვედრება ჩემი:
გადაარჩინე ქართველი ერი,
რომ განახლებულ სხვა ერთა შორის
სცხოვრობდეს იგიც, სვებედნიერი“.[3]

მაგრამ იმავე 1920 წელს ბევრს ვერ გაეგო ის უბრალო ამბავი, რომ ბოლშევიკური ფერის წითელი დროშის აფრიალება დასავლეთს დააბნევდა ჩვენი ორიენტაციის გაგებაში. არადა პოეტი ვარლამ რუხაძე, რომელსაც ვერ დასწამებ - საქართველო არ უყვარდაო, თურქეთის დაჩემებულ ბათუმს ამხნევებდა: *„მოვდივართ, მოგვაქვს დროშა წითელი“* (სალამი ბათუმს, „ერთობა“, 1920.1.VII).

იმავე პოეტის გადმოცემით საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობასაც მთავრობის სასახლე ასეთი ფერით შეხვდა: *„ქალაქს ამშვენებს თეთრი იები, წითელდროშება ტევრი – სასახლეს“* („ერთობა“, 1921.1.II).

დავით მეჩონგურეც (ქარცივაძე), ესეც თავგადაკლული პატრიოტი, იმავე გაზეთში, დამოუკიდებლობის მეორე წლისთავზე (1920.28.V) ამაყად ამბობდა: *„დღეს იქ ლაღად დაფრიალებს ძმობის დროშა წითელფერი“.*

პოეტებზე რა უნდა თქვა, როცა ამას პოლიტიკოსები ვერ ხვდებოდნენ, როცა სოციალ-დემოკრატთა ოფიციოზი „ერთობა“ იმავე 1920 წელს (12.III) არშინიანი ასოებით ესალმებოდა რუსეთის სოციალისტურ რევოლუციას (სინამდვილეში ბოლშევიკური გადატრიალება რომ იყო): „გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ტყუილად არ უთქვამს გრიგოლ გიორგაძეს დამფუძნებელი

კრების 1920 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე: *„აქ ზოგიერთები ძალზე ეარშიყებიან ბოლშევიკებს“.*

ასე გაორებულ საქართველოს 6 თვის შემდეგ დამოუკიდებლობის დაცვა მოუწევდა. როგორ დაიცავდა?! აკი, აკი!..

...ეაგრამ დავუბრუნდეთ ქართველთა ფხიზელი და გამჭრიახი ნაწილის ლოცვას: *„ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი: გადაარჩინე ქართველი ერი!“*

ბევრს ამ გადარჩენის ერთადერთ იმედად ქართული გვარდია მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მისი შექმნის 3 წლისთავზე, 1920 წლის მიწურულს, გიორგი ქუჩიშვილთან და სოლომონ თავაძესთან ერთად გალაკტიონ ტაბიძემაც უძღვნა ლექსი გვარდიას და აქ შესძახა პირველად – საქართველო უპირველესად ყოვლისაო!

გვარდია

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება –
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ უნახივარ,
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა
საქართველო – უპირველეს ყოვლისა!

დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ,
მაინც დაფნით გელის შენ, გალაკტიონ
ამღერება რეზონანსთ მომავლისა:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

დღეს ჰყვავის ბზა, ალუბლები, ატამი...
ისევ დღეა შენი მაშასადამე –
შორეული სული დოვინ, დოვენ დოვლისა
საქართველო – უპირველეს ყოვლისა!
საქართველო – უპირველეს ყოვლისა![4]

1921 წლის 27 იანვარს, როგორც გაზეთი „ერი“ (1921.№7)

იუწყებოდა, პოეტების ერთმა ჯგუფმა ამ ლექსისთვის გალაკტიონი „პოეტების მეფედ“ გამოაცხადაო!..

სულ მალე კი, 1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოში დამკვიდრებულ ინტერნაციონალისტ, რუსოფილ ბოლშევიკურ ხელისუფლებას არ ეჯავშნიკა ამ ლექსში რამდენიმეჯერ განმეორებული რეფრენი „საქართველო – უპირველეს ყოვლისა!“

პოეტი იძულებული გახდა სათაურადაც და ლექსშიც დაეტოვებინა მეორე რეფრენი - „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

გიორგი ლეონიძემაც ჯერ კიდევ 1918 წელს გაზეთ „საქართველოში“ წინასწარმეტყველური წერილი „არაგვიელნი“ გამოაქვეყნა:

> არაგვიელს „არ უყვარდა არაბული ტფილისი, იგი გოგირდს აყრიდა სპარსულ საქართველოს, მანვე აუპრიალა საკირე რუსებს...
>
> როგორი ხმები დადის, ახლა არაგვზე ჯანყი ისევ იკრიფება, რადგანაც წვიმების დროა და ეს წვიმები სისხლისა იქნება.
>
> ტერორი დადის წითელი ჩოხით.
>
> მოსაკრეფი იარაღი ბევრს არ ჩაუბარებია და ყველას ეყოფა ოღონდაც კი მდევარშა იკივლოს...
>
> ჰქსოვენ კარვებს ბანაკის დასაცემად და ფხას უსინჯავენ ხანჯლებს.
>
> ნაბათი ღრინავს“.[5]

ხოლო კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალიზმის იდეა რომ ეროვნულობას წაშლის საფრთხეს უქმნიდა, ამ ახალგაზრდა პოეტმა თავის ხალხს ეს საშიშროებაც თავის დროზე ამცნო:

> „ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება, მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს, ნაცია – ალფა და ომეგა კულტურისა – უარყოფილია“.[6]

დიახ, მრისხანე ვეშაპი მოექანებოდა საქართველოს ჩასაყლაპაად. მტერი უკვე კარზე იყო მომდგარი და გაზეთ „ერთობაში“ 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლამდე ოთხი დღით ადრე,

განწირულის ხმა გაისმა პოეტ ვასო ტუქსიშვილის ლექსში „გამარჯვება ან სიკვდილი“:

„სისხლის გრიგალი სუნთქავს შენს ქუჩებს,
დედა თბილისო! ღრიალებს მტკვარი,
რკინა მუქარით შორს დაწვავს ტუჩებს,
ბობოქრობს მტერი კარზე შომდგარი.

რა თქმა უნდა, ეს ნაწილია იმისა, რაც მაშინ იბეჭდებოდა დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული აღტაცების გამო თუ ამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე განგაშის ზარების დასარისხებლად.

მაგრამ ეს განგაშის ზარი მაშინ სათანადოდ არ შეისმინეს!

ვაი, რომ ბეკრმა ეს არც 70 წლის შემდეგ, ჩვენს დღეებში გაიგო და გაიცნობიერა!

სამსონ ფირცხალავა

გარეშე მტერი ადრეც მრავალრიცხოვანი და ვერაგი იყო. დღეისათვის კი მტრებს რიცხოვნებაც მოემატა და სიძლიერე-სივერაგეც! და ამ წლებში მეტი ერთიანობა, მეტი წინდახედულება გვმართებდა.

განა არ იყო მაშინ, 1918-1920 წლებში, ხალხი, ვისაც კარგად ესმოდა ყველაფერი?

აი, ოთხი ამონარიდი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველის სამსონ ფირცხალავას მაშინდელი პუბლიცისტური წერილებიდან:

1. „წინად არაფერი გვქონდა და მხოლოდ ვეძებდით. დღეს კი უდიდესი საგანძური გვაქვს — ეროვნული თავისუფლება, საკუთარი დამოუკიდებელი არსებობა, რომლის მოვლა-პატრონობა ფრიად სამძიმო და სერიოზული საქმეა: მონები ვიყავით, თითქოს გადავეჩვიეთ თავისუფლების სიტკბოებას და მხოლოდ მომავლის ოცნებით ვინუგეშებდით თავს. ეხლა თავისუფლები ვართ, ვიგემეთ მისი სიმშვენიერე და დღეს რომ იგი დავკარგოთ, ჩვენი ცხოვრება პირდაპირ აუტანელი

შეიქმნებოდა... განთავისუფლებული და აღდგენილი ქართველი ერის არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დამოუკიდებელ საქართველოსი და მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა.

ეს უდიდესი და უმწვავესი საკითხია ჩვენი დღევანდელობის და მის გარშემო ისე ერთსულოვნად უნდა შემოკრბეს მთელი შეგნებული ქართველობა, როგორც გაერთიანდა მაისის 26-ს საქართველო განთავისუფლების დღეს.

საერთაშორისო ვითარება კიდევ მეტად გართულდა. ახალი ქარიშხალია მოსალოდნელი და ამ დროს ყოველ ქართველ პარტიას ერთადერთი სათაყვანებელი მიზანი უნდა ჰქონდეს – დაცვა ყოვლის საშუალებით ჩვენის სახელმწიფოებრივობის, ჩვენის დამოუკიდებელი არსებობის. გარეშე ამისა დახშულია და მკვდარი ჩვენთვის ყოველი ბედნიერება, ადვილად მოგვტეხავს ყოველი მავნე ძალა".

იმ დროისათვის ხომ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ეს სიტყვები, დღეისთვისაც ფრიად და ფრიად საგულისხმოა.

ჩაიხედეთ საკუთარ გულებში და შეამოწმეთ, რამდენი ფიქრობს ასე და რამდენს არ აღელვებს ეს.

რა თქმა უნდა, ყველას გვაწუხებს ცხოვრების სიდუხჭირე, მოუწყობლობა, სიმწირე, მაგრამ რამდენს შეგიძლიათ ამაზე მაღლა დააყენოთ მთავარი განძი – საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა?!

2. სამსონ ფირცხალავამ კი ამის შემდეგაც ბევრჯერ შემოპკრა განგაშის ზარს:

„ჩვენი ხსნა, ჩვენი გამარჯვება ჩვენი ჯარია და ჩვენი მთავრობის მთელი გულისყური ეხლა უნდა მიქცეული იქნეს ჯარისაკენ. ყველაფერი შეგვიძლია დავთმოთ დღეს დროებით, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევიარაღდეთ, უნდა შევქმნათ ძლიერი ჯარი!"

არ ისმინა სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ სამსონ ფირცხალავასა და მასაკით საღად მოაზროვნეთა ეს რჩევა. ეს მთავრობა და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია ბოლომდე ჯიუტად დარჩა სახალხო ლაშქრის – ქართული გვარდიის იმედად. არ ეცადნენ რეგულარული, გაწვრთნილი და ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას და შედეგი თქვენთვის ცნობილია!

დღეს, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა სხვანაირად უყურებენ ამ საკითხს. და მაინც მეტია გასაკეთებელი. მაგრამ ამის სასარგებლოდ დღეს დროებით რაღაც-რაღაცეების დათმობაზე რომ მიდგება ჯერი (როგორც 1918 წელს სიმონ ფირცხალავა მოითხოვდა), გულზე ხელი დაიდეთ, ბევრს შეგიძლიათ ეს გააკეთოთ?

არადა, როგორც დღეს ვსაყვედურობთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას – დამოუკიდებლობას ვერ მოაურაო – ასევე არ დაგვინდობს ჩვენი შთამომავლობა დღევანდელ ქართველობას, რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა რომ დავუშვაო!

სამსონ ფირცხალავა კი დაუღალავად განაგრძობდა:

> 3. „გარეშე ეროვნული თავისუფლებისა ვერასოდეს დამყარდება სოციალისტური წყობილება".
>
> „ბევრია ჩვენში კიდევ ისეთი, რომელიც „რუსული სულით" სულდგმულობს".

იმ ცხონებულმა რა იცოდა, რომ მისი ნათქვამი ზოგიერთ დღევანდელ ქართველსაც შეეხებოდა.

აი, კიდევ ერთი მისი გაფრთხილება:

> 4. „ბოლშევიკური მთავრობის დამყარება სომხეთში კარგს არაფერს გვიქადის, ჩვენს მდგომარეობას უფრო ართულებს და თავისუფლების დასაცავად, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად კიდევ მეტი ენერგიის გამოჩენა და ფხიზელი მზადება გვჭირდება".[7]

ახლა, პატივცემულო მკითხველო, თავად განსაჯეთ, ეს შეგონებაც არის თუ არა დღევანდელ დღეს საგულისხმო.

იმ მშფოთვარე დღეებში დამფუძნებელმა კრებამ იურიდიულად გააფორმა საქართველოს დამოუკიდებლობა – თავის პირველივე სხდომაზე, 1919 წლის12 მარტს აღიარა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს

დავით თურდოსპირელი (ჩხეიძე)

დამოუკიდებლობის აქტი, რასაც ხელი მოაწერა იმ დღეს დამსწრე 99-მა წევრმა."

ამავე დროს გრძელდებოდა იმედის გამოთქმა ჩვენი დამოუკიდებლობის ღღეგრძელობის თაობაზე და შიშის ზარების შემოკვრაც მისი დაკარგვის საფრთხის გამო.

ზემოხსენებულ სამსონ ფირცხალავა-სავით დიდი ჭირისუფლობა გაუწია საქართველოს მეორე შესანიშნავმა მოღვაწემ, მწერალმა **დავით თურდოსპირელმა** (ჩხეიძე). ის საქართველოს დემოკრატიული რესპუ-ბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი იყო და ხელს აწერს ჩვენი დამოუკიდებლობის აქტს.

აი, რა იმედი და შიში გამოათქმევინა მას ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებამ:

„არა ერთი სახელმწიფო საუკუნეთა ქარავანის დენაში ისე იბადება და ისპობა, რომ ერთი რა არის, ერთხელაც არ ჰღირსებია ისეთი წამი, როგორსაც ჩვენ გუშინ განვიცდიდით.

უბადლო მჭერმეტყველნი დემოსთენე, იპოკრატი და ციცერონიც რომ წამომდ-გარიყვნენ სამარედან – ისინიც კი ვერ შესძლებდნენ ჩვენი აღტაცების გამოთქმას.

...აუარებელ, უანგარიშო მებრძოლებმა მოწამებრივ ტანჯვის შემდეგ სიკვდილის ძილს იმიტომ მისცეს უდრტვინველად თავი, რომ ეს მომხიბლავი ამბავი სიზმრად ენახათ და ეანდერძად ჩვენთვის.

ფრთხილად, ფრთხილად, საყვარელო ხალხო! გუშინდელი ბედნიერება „ლურჯ ჩიტსავით" სათუთი და იშვიათია... ფრთხილად, არ გაგისხლტეს ხელიდან. აღარ ამოგიღამდეს ნეტარებით გაბრწყინებული თვალები..."

სამწუხაროდ, გამართლდა ეს შიში, რომელზეც მაშინ უფრო ნაკლებ ლაპარაკობდნენ, ვიდრე აღტაცებაზე. დანარჩენს

დ.თურდოსპირელი გვეტყვის:

„გუშინ მთელი ქართველი ერი გამოსულიყო გარეთ და მწუხარედ ვალალებდა: ბათუმი წაგვართვეს მუხანათურად, ბათუმი დავკარგეთო – გლოვის ტალღებად მიმოიფანტებოდა ჰაერში.

არა, არ მინდა, წაიღეთ, მომაშორეთ ეგ თავისუფლება, თუკი მას ვერ ეღირსება მისი ტრფიალი - ბათუმი“.

დავით თურდოსპირელი, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, ფრონტზე ორკვირიანი მოგზაურობის შედეგად წერს ვრცელ ნარკვევს, რომელშიც გადმოცემულია ის იმედები, რასაც ხალხი ამყარებდა თავის გვარდიაზე:

„ყველა წოდების და ხელობის ხალხი თოფქვეშაა დამდგარი და გამოცვლილა, მონათლულა თავისუფლების წმინდა დროშის ფრიალში...

თავსაც შემოევლებიან საქართველოს:

„ოღონდ რესპუბლიკა გადავარჩინოთ და თუნდა თვითოეულ ჩვენგანს იობის წყლულები გაუჩნდეს – არ ვინაღვლებთო“.

იხარებდეთ, საქართველოს ტვირთმძიმენო, იამაყეთ საქართველოს დედებო... თქვენ დაურწიეთ აკვანი მათ, რომელთაც უარყვეს პირადი ცხოვრება, რომ შეჰქმნან საქართველოს ლამაზი მომავალი“.[9]

ჩვენდა სავალალოდ ასე ერთსულოვნად განწყობილი ხალხი სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ სწორი გზით ვერ წაიყვანა...

1921 წლის დასაწყისისათვის უსაშველო შეიქმნა საქართველოს მდგომარეობა, ქართველი ხალხის უმეტესობა მზად იყო დამოუკიდებლობის დასაცავად. რა გასაკვირია, რომ ამ წმინდათა-წმინდა მოვალეობის შესასრულებლად პირველ რიგში აღმოჩნდა ჩვენი ახლადშექმნილი უნივერსიტეტი.

არ შეძლებია არ გაგაცნოთ უძალლესი განათლების ჩვენი ამ კერის მაშინდელი, უაღრესად განგაშიანი, ტრაგიკული დღეების განცხადება·

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ კომიტეტს

პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე, 16 თებერვალს, 1921 წელს ფრონტზე შექმნილ მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავ დღეს მოგახსენეთ.

ა) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ-სასწავლო ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფი ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი და ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის.

რექტორი პროფ.: ივ. ჯავახიშვილი

საბჭოს მდივნის მაგიერ, პროფ.: ა. შანიძე

მაგრამ ფუჭად ჩაიკლის ხალხის მზადყოფნა და მოწადინება თუ ქვეყნის ხელმძღვანელობა ხალხის ამ მისწრაფებათა შესრულებას არ ჩქარობს.

სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც ერგოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს გაძღოლა, იმის გამო, რომ მათთვის უცხო იყო ეროვნული გრძნობები და ტკივილები, გარეშე საფრთხის წინაშე სათანადოდ ვერც თავის მომზადება შესძლეს და ვერც ხალხის მობილიზება.

აი, იმდროინდელი ქართველების აზრი ამის თაობაზე:

გაზეთი „საქართველო“ 1918 წლის ზაფხულში წერდა:

„სამწუხაროდ, დამტკიცდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატთა სახელმწიფო უფლებრივ საკითხთა გადაწყვეტაში სარგებლობს ყოველი საზომით, გარდა ეროვნულისა...“

ახლა მოშყავს სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილის, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეწირული მარო მაყაშვილის მაშინდელი შეფასება, ზუსტი და ჭკვიანური (დღიურიდან):

„ყოველი სოციალისტის ლაპარკში ეხლა ნაციონალურ-პატრიოტული ელემენტებიც შეიპარა. ყველამ იგრძნო, რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია. მაგრამ სოციალისტებს არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც მაგ პარტიას აღმერთებენ. აი, რა ხდება ახლა საქართველოში“.

და ხედავდა რა, საიდან მოდიოდა მთავარი საფრთხე – საქართველოს ხელახალი ჩაყლაპვა, – რა გასაკვირია ამ ქალიშვილს იმ ტრაგიკულ დღეებში აღმოხდენოდა:

„ერეკლე, ერეკლევ, რაზედ დაგვღუპე. მართალია, შენც სხვა გზა არა გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი, იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ? რა დაგიშავა საბრალო ერმა? ღმერთო!“[10]

ცხადია, მარო მაყაშვილი მაშინ გავრცელებულ შეხედულებებს გადმოსცემდა.

ახლაც, 1921 წელს 1801 წელთან შედარებით, არანაკლები უბედურება ტრიალებდა, თანაც შეგნებული დათმობა საქართველოს ინტერესებისა.

მაშინ თუ რუსეთმა გვიმუხთლა, პირი შეგვიშალა და მის სიტყვას მინდობილი ერეკლე მეფე დააღალატა, ახლა თვით ჩვენი სოციალ-დემოკრატები სათანადოდ ვერ იცავდნენ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

სხვა რა დაერქმევა იმას, რასაც ახლა მოგახსენებთ, ვიმოწმებ რა ჩვენს ცნობილ მეცნიერსა და მოღვაწეს, შალვა ხიდაშელს.

1912 წელს სოციალ-დემოკრატების ერთ ჯგუფს შეუდგენია საქართველოს რუკის პროექტი, რომლის *„მიხედვით საინგილო გამოცხადებული იყო აზერბაიჯანის კუთვნილებად, აფხაზეთი – ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო ახალციხე, ახალქალაქი და*

ბორჩალოს მაზრა (ნავთლუღამდე) - სომხეთისა.

რამდენიმე წლის შემდეგ ნიე ეორდანია თბილისს აცხადებდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად, რომლის მხოლოდ დასავლეთი ნაწილი („ჯერა") უნდა ყოფილიყო ქართველებისა. მისი საშრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შესატყვისად – სომხებისა და აზერბაიჯანისა".

შემდეგში სოციალ-დემოკრატებში იმატა ეროვნულმა ინტერესებმა, მაგრამ არა მკონია მთლად იმდენად, როგორც მიიჩნევდა შალვა ხიდაშელი: *„ქართველი სოციალ-დემოკრატების სწორ შეფასებას ის უშლიდა ხელს, რომ განსხვავებით მათი თეორიისაგან. მათი პოლიტიკა ფაქტობრივად ეროვნული იყო... ეს თავისებურება მაშინვე იყო შენიშნული შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის სერგი დანელიას მიერ, რომელიც წერდა: „რეალური პოლიტიკა მენშევიზმისა სავსებით ეწინააღმდეგება მის იდეოლოგიას" (ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიკური ვითარებისათვის, თბ. 1920, გვ. 3-4). ქართველი ხალხის ხშირად გაუცნობიერებელმა მისწრაფებამ გადასძლია პარტიის თეორიას და ხელისუფლება იძულებული გახდა პოლიტიკა ეროვნული გზით წარემართა".*[11]

სამწუხაროდ, მთლად ასე არ იყო, საკმარისი არ აღმოჩნდა, ნაგვიანევი გამოდგა სოციალ-დემოკრატების ეს შემობრუნება ეროვნულობისაკენ. ეს ახალგაზრდა და გამოუცდელმა მარო მაყაშვილმაც შენიშნა და ამასვე ადასტურებს ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა ზურაბ ავალიშვილი:

> „როცა 1921 წელს თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა – საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა, რომ ავადმყოფი გაბრუებული და ამ ოპერაციისათვის უკვე მომზადებული იყო მასზე არანაკლებ გამოცდილი, თუმცა არა მასავით გამბედავი ქართველი სოციალ-დემოკრატიის მიერ".[12]

თავი V.
დამოუკიდებლობის დაკარგვა, გასაბჭოება

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.“

კოლაუ ნადირაძე,
25 თებერვალი, 1969 წ. თბილისი

„25/II-ის უქმე პატივახდილ დედაკაცის
უქმეა, რომელიც სწორედ 25/II
იხმარეს ძალით.“

მიხეილ ჯავახიშვილი,
უბის წიგნაკი №1, 1924

გასაგები იყო რუსეთის კომუნისტური ხელისუფლების მიერ სივერაგის გამოჩენა საქართველოს წინააღმდეგ. გასაგები იყო რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების არარუსი წარმომადგენლების, კერძოდ, სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მოტივები საქართველოს წითელ რუსეთთან შეერთების საქმეში -- ეს რომ არ გამოსვლოდათ, რუსეთში ემიგრანტებად დარჩებოდნენ და დიდ იანამდებობებზე შეიძლება არ დაეტოვებინათ. ამიტომ წერდა სტალინი:

„განაპირა მხარეების გამოყოფა ძირს გამოუთხრიდა ცენტრალური რუსეთის ძლიერებას“, „ჩვენ წინააღმდეგი ვართ რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფისა“.

აი, რა ათქმევინა ითხებ ჯუღაშვილს მისი სტალინად გადამქცევი ბოლშევიკური პარტიის პოზიციამ, რაც მას ავალებდა ბოლშევიკების სახელმწიფოებრივ-იმპერიული ინტერესების გათვალისწინებით შეეხედა რუსეთიდან „განაპირა მხარეების“ ჩამოცილებისთვის.

ერთი სიტყვით, სტალინისთვის საქართველო „განაპირა მხარე“ იყო და რა გასაკვირია, ასე თოლად შელეოდა.

ი. სტალინი გამოდიოდა საქართველოში მცხოვრები სხვა

ეროვნების ხალხის ქართველებისგან დამცველად. იმაზე კი ხმას არ იღებდა, რომ ეს იყო დამპყრობელთაგან საქართველოსთვის თავსმოხვეული უბედურება. პირიქით, ქართველებს ბრალს დებდა შოვინიზმში. ამის დადასტურებაა ეს ოთხი ამონარიდი:

„ავიღოთ საქართველო, აქ არის 30 პროცენტზე მეტი არაქართველი მოსახლეობა. მათ შორის: სომხები, აფხაზები, აჭარლები (?), ოსები, თათრები. სათავეში ქართველები დგანან (აბა, ვინ უნდა იდგეს? რ.კ.) ქართველ კომუნისტთა ერთ ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა – მაინცდამაინც დიდი ანგარიში არ გაუწიონ ამ წვრილ ეროვნებებს...

...ეს არის შოვინიზმი – მავნე და საშიში შოვინიზმი“.

მაგრამ ნუთუ ეს შოვინიზმია?!

ბოდიში უნდა მოვუხადოთ მსოფლიო პროლეტარიატის ყოვლისმცოდნე ბელადს, მაგრამ მას არ ცოდნია რა არის ნამდვილი შოვინიზმი.

ეს რომ ასეა, ამას განმარტავს ჩვენი ის დიდი მწერალი, რომლის დახვრეტას თავად ბელადმა მოაწერა ხელი, შემდეგ კი, როგორც ამბობენ, ამ საქმეში „უდანაშაულო“ ბერიასთვის უკითხავს: სად არის ქართველების ცოცხალი კლასიკოსი.

აი, რა ჩაუწერია მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში:

„ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს“.[1]

ი. სტალინს ასევე მოჰყავდა თბილისის მცხოვრებთა პროცენტული შემადგენლობა და ნიშნისმოგებით ამთავრებდა: *„ესეც თქვენი საქართველოს დედაქალაქი!“*

ის დანაშაულად უთვლიდა ქართველებს, რომ ისინი უხსოვარი დროიდან საქართველოში ცხოვრობენ:

„...საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა საქართველოს ართმევდა

იმ პრივილეგიური მდგომარეობის წილს, რაც მას შეეძლო დაეკავებინა თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით... თვითონ განსაჯეთ: საქართველოს აქვს თავისი ნავსადგური – ბათუმი, საიდანაც შემოდის დასავლეთის საქონელი, საქართველოს აქვს ისეთი სარკინიგზო კვანძი, როგორიც არის თბილისი";

„...შეგვიძლია თუ არა ჩვენ უგულვებელვყოთ ნაციონალური მშვიდობიანობის ინტერესები ამიერკავკასიაში და შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც ქართველები პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიმართ? არა, ჩვენ არ შეგვიძლია ეს დავუშვათ".

ამბობენ, იოსებ ჯუღაშვილს საქართველოში აწყენინეს, აიძულეს სხვაგან გადახვეწილიყოო.

თუ აწყენინეს, მაშინაც მსგავსი აზრებისა და შეხედულებებისთვის მოხდა ეს, მაგრამ ისეთი რა უნდა ეწყენინებინათ, ისე რას უნდა გაებოროტებინე, რომ შენს მშობელ ერს დაამადლო – ღმერთმა ასეთი კარგი და მოხერხებული საცხოვრისი რატომ გარგუნაო!..

რატომ უნდა შეგშურებოდა მშობელი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობის გამოცხადება, რატომ უნდა წაგექეზებინა ამის მოწინააღმდეგე სეპარატისტები?

„...აღარას ვამბობ გმირ აფხაზეთზე, შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც ერთსულოვნად აჯანყდა თბილისის „მთავრობის" შავი ბანდების წინააღმდეგ და იარაღით ხელში იცავს მათ წინააღმდეგ სოხუმს".[2]

მითხარით, ქართველთა რომელმა მტერმა თქვა და ამბობს ამაზე უარესს საქართველოს წინააღმდეგ?!

სტალინის ეს სიტყვები და საქმეები დღესაც ხელს უშლის ჩვენი ბედის ბორბლის წაღმა ტრიალს და ამიტომ იყო, რომ რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, რეზო ჭეიშვილმა მას „მაოხარი მკვდარი" უწოდა და მრავალი წერილი და წიგნი უძღვნა.

ეს რომ ამას ამბობდა და აკეთებდა მისი გაუნათლებელი

შიმდევრის სერგო ორჯონიკიძის გამყიდველობა რაღა გასაკვირია!

მაგრამ ცოტა გაუგებარი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გულგრილობა დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

ამ გულგრილობის დასახასიათებლად ჯერ შინაურების გულისტკივილს გაგაგებინებთ:

არის სიმართლის ნაწილი პარიზელი ემიგრანტის, „ივერიის" რედაქტორის (ამ ჟურნალის არსებობის მეორე ნახევრის მანძილზე) მიხეილ ქავთარაძის მიერ 1969 წელს. აჯანყების 45-ე წლისთავზე ლევილში წარმოთქმულ სიტყვაში:

> „ყოველ ეჭვს გარეშეა, 1921 წლის მეომრებს რომ აგვისტოელთა (იგულისხმება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილენი, რ.კ.) სული სდგომოდა, რამდენიმე ათასი ფეხშიშველი რუსი ქართულ სახელმწიფოს ვერ წააქცევდა.[3]

ახლა კი ქართველი სოციალ-დემოკრატების დანაშაულებრივი უმოქმედობის შესახებ. გავეცნოთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის სპირიდონ კედიას შეხედულებას, გადმოცემულს მისი მეუღლის სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებში:

1919 წლის 26 მაისს *„დღესასწაულის მორე დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს მეთაურში წავიკითხეთ: „ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არასოდეს არ ყოფილა ფეტიში". კიდევ ბოდიშს იხდიდნენ რუსეთის წინაშე. ამათ ვერაფერმა უშველა. ისტორიამ ეს დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნისა ძალის ძალად მისჩარა ამ ხალხს, რომელნიც ამის წინააღმდეგ იყვნენ...*

...ბოლშევიკები უახლოვდებოდნენ ქუთაისს, იქ მთავრობამ უკანასკნელად მოიწვია დამფუძნებელი კრება, სადაც პირველი მინისტრი რამიშვილი ირწმუნებოდა, რომ ერთ საამ თვეში ჩვენ თბილისში დავბრუნდებითო. .

ამ კრებაზედ სპირიდონის ნათქვამი გადმომცა ილიკო ფანცხავამ, კომუნისტმა, რომელიც დასწრებია ამას, რასაკვირველია, არალეგალურად. ჩვენს სკოლაში იყო მასწავლებლად.

სპირიდონს ნათქვამს ეხლაც. ალბათ, ბევრი იგონებს.

მინისტრ რამიშვილისათვის გაცეცხლებულს (სპირიდონს) უთქვამს: „ღმერმა გვარგუნა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა და ისე,

რომ თქვენ არამც თუ იბრძოლეთ და სიცხლი დაჰღვარეთ ამისთვის, პირიქით წინააღმდეგიც კი იყავით, ამას ისე მოუარეთ, რომ შემოსულ მტერს თქრის სინზედ მიართვით; ქვეყნის დასაცავად ჯარი არ შეჰქმენით, პარტიის მცველად კი გვარდია გაიჩინეთ, ეხლა ლაპარაკობთ თბილისში დაბრუნებაზედ. სამი და ექვსი კი არა, იქნება ბევრი ასეული თვეც გავიდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ვეღარ ვნახოთო".[4]

არანაკლებ მკაცრია ფრანგი მწერლის რემონ დიუგეს შეფასება:

> „საქართველოს მთავრობა რუსეთის ბოლშევიკურ პარტიასთან ყველა დათმობაზე მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მოკალათებული 300-კაციანი საბჭოთა დელეგაცია პროპაგანდისტებისა და ჯაშუშების ნამდვილი ბუდე იყო და არსებობდა მათი ინტრიგების უდაო საბუთები, საქართველოს მთავრობა ვერაფერს ხედავდა. ამ მთავრობას არც წითელი ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის, ხოცვა-ჟლეტისა და ქვეყანაში დატრიალებული უბედურების შემდეგ ახელია თვალი... ნურავინ შემედავება – სამმილიონიანი საქართველო უძლური იყო მტერს გამკვლავებოდა, არ შეეძლო დიდი რუსეთიდან მოსული ურდო დაემარცხებინაო... ქართველმა მეომრებმა მარტო მოახერხეს უკუეგდოთ მტერი. წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, საქართველოს მთავრობის ბრძანება რომ არა – შეეწყვიტათ მტრის დევნა. ეს მოსკოვის მოთხოვნით მოხდა".[5]

რა თქმა უნდა, ამ მტკიცებას ცოტა გულუბრყვილობა დაჰკრავს – იქნებ შესაძლებელი იყო აზერბაიჯანიდან მე-11 წითელი არმიის შემოტევის მოგერიება. მაგრამ იმავდროულად შავი ზღვის სანაპიროდან დენიკინისა, ხოლო სამხედრო გზით ბოლშევიკური რუსეთის გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის სიღრმისაკენ მრისხანედ დაძრული არმიების დაწოლას, თანაც მტრულად განწყობილი მეზობლების გარემოცვისა და საერთაშორისო გულგრილობის პირობებში, ჩვენი ქვეყანა,

ალბათ, ვერ გაუძლებდა.

ამას ემატებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეებით თითქმის საყოველთაო თავის გაბრუებულობა, პარტიებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბატონობა, მის ხელმძღვანელობაში მომძლავრებული რუსოფილობა და, მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შედარებით ნაკლები გავლენა.

ცხადია, ესეც ხელს უწყობდა დამოუკიდებლობის დამცველთა დამარცხებას.

ამას ნაკლებად ითვალისწინებდნენ მიხეილ ქავთარაძეც და აკაკი პაპავაც, მომდევნო თაობებიც, თვით ზოგიერთი დღევანდელი მკვლევარიც.

ის კი ესმოდათ, როგორც დავით თურდოსპირელი ამბობდა:

„მთელს კულტურულ ქვეყნიერებას წარღვნა
მოელის თუ ბოლშევიზმს არ აუგო წესი".[6]

ევროპელ სოციალ-დემოკრატებსაც კარგად ესმოდათ მაშინდელი მოვლენების არსი და ხმაც აღიმაღლეს საქართველოზე რუსეთის თავდასხმის წინააღმდეგ. აი, პატარა ამონაწერი შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროტესტო რეზოლუციიდან:

„ეს თავდასხმა ააშკარავებს იმპერიალისტურ ხასიათს ცარიზმის შთამომავლებისა - ბოლშევიკებისა, რომლებიც ამჟამად რუსეთზე ბატონობენ და პრეტენზიას აცხადებენ სოციალიზმის მოციქულთა როლზე. ამ თავდასხმის დანაშაულებრივობა კიდევ იმით გამოიხატება, რომ საქართველოს მართავენ სოციალისტები, რომელთა შორის ბევრი მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი როგორც თავისუფლებისათვის პირველი მებრძოლნი რუსი ხალხის რიგებში, მუშათა კლასის დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულნი, ისინი აღჭურვილნი არიან ძალაუფლებით ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებით".[7]

მაგრამ მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური სიბეცის, გულარხეინობის, სხვისი ჭირის არად ჩათვლის გამო მთელი სერიოზულობით არ მოეკიდა ახალი საშინელი ურდოს შეკავებას და, გავიმეორებ, შემდეგ 70 წლის განმავლობაში შიშით ძრწოდა

ბოლშევიკების სასტიკად გამაგრებული, შეიარაღებული სახელმწიფოს - ბოროტების იმპერიის წინაშე, რომლის არნახულად გაძლიერებაში დიდზე დიდი წვლილი ქართველებს მიუძღოდათ.

მსოფლიოს ამ მაშინდელ გულარხეინობაზე ბევრს უფიქრია, ალბათ, აზრი საჯაროდაც გამოუთქვამს, მე. სხვათა შორის, აგერ ახლა ამოვიკითხე კარგი წიგნის თავგადაკლული მაძიებლის, ემზარ კვიტაიშვილის მიერ რამდენიმე დღით ნათხოვებ (მენ ეს აუცილებლად უნდა წაიკითხოო) რუსი ემიგრანტი მწერლის რომან გულის წიგნში:

ანტიბოლშევიკ ემიგრანტს, ლიტერატორ ვ.ა. ბურცევს, რომელიც თავის საუბარსა თუ გამოსვლებს ყოველთვის ამ სიტყვებით ამთავრებდა – *Проклятье вам большевики!* ასე უწინასწარმეტყველია: *„Мир видит страшной опасности большевизма и преступно попустительствует его распространению. зачто страшно расплатиться“* (მსოფლიო ხედავს ბოლშევიზმის საშინელ საფრთხეს და დანაშაულებრივად ნებაზე მიუშვა მისი გავრცელება, რაც საშინლად ძვირად დაუჯდება).[8]

ჩვენთვის ამას კიდევ ერთი სავალალო გარემოება ემატებოდა – სწორედ რუსოფილმა ბოლშევიკმა ქართველებმა მოაყენეს საქართველოს რუსული არმიები 1921 წლის თებერვალში.

სწორედ მათ შესახებ მიიღო ეს დადგენილება საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებში, 1921 წლის 21 თებერვალს.

> „ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობს შეიარაღებულ ბრძოლაში რესპუბლიკის წინააღმდეგ, ან ამ ბრძოლას უწევს აქტიურ დახმარებას, გამოცხადდეს საქართველოს მოღალატედ.
>
> ...გამოირკვა, რომ ქალაქ შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.
>
> ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა,

მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებული იქნან საქართველოს ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვათ მათ მთელი ქონება და გამოცხადდნენ საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე".

გაივლის ცოტა ხანი და 24 მარტს საქართველოს დამპყრობი ბოლშევიკების რევოლუციური კომიტეტი თავისი №7 დეკრეტით დაითხოვს დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, საბჭოთა რუსეთმა მრავალ სივერაგეს მიმართა, რომ თავი ემარილებინა – ქართველ ხალხს მენშევიკების ბატონობისგან ვათავისუფლებო.

ჯერ კიდევ 1920 წლის მაისში უკვე გაბოლშევიკებული აზერბაიჯანიდან, წითელ ხიდთან პროვოკაცია მოაწყვეს – საზღვარი გადმოლახეს...

მაგრამ გარეშე ძალების სიკერაგესთან ერთად შინაური ბედოვლათობაც უშლიდა ხელს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეს და ამ ორი მოვლენის განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია.

ქართულმა არმიამ მტერი უკუაგდო წითელ ხიდთან, მაგრამ...

მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე მოგონება დაგვიტოვა 1918 წლის აგვისტოში შექმნილი სამხედრო სკოლის უფროსმა, გენერალმა ალექსანდრე ჩხეიძემ:

გენ. გიორგი კვინიტაძე

„საქმე უკვე გათავებულად ითვლებოდა, როცა მთელი გვარდია, ღამით შიშის გამო, მტრის დაუდევნებლად ერთბაშად ხრამზე აღმოჩნდა, ჩვენი საზღვრების უკან და ამგვარად მტერს 20 ვერსის მანძილზე მოსცილდა".

საჭირო გახდა ზომების მიღება და გაიცა ბრძანება სამხედრო სკოლის გასაგზავნად.

„17 მაისს სადახლოში მივიღე საბრძოლო ოპერა-

ტიული ბრძანება. მებრძანებოდა – დავძრულიყავ კერპილზე. იქ გამეთენებია ღამე და 18 დილით გადავსულიყავი შეტევაზე ბოლშევიკების მარცხენა ფრთის შემოვლით.

გენ. გიორგი მაზნიაშვილი

...უკვე ცხენზე ვიჯექი და ჩემს წინ გავატარე სამხედრო სკოლა, რომელიც წინმავალში იყო დანიშნული, რომ მოირბინა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა და გადმომცა მთავარსარდლის ბრძანება – განსაკუთრებულ ბრძანებამდე შესრულებული არ იქნეს საბრძოლო ბრძანება“.

ეს იყო ფაქტი, მაგრამ მას დიდი შედეგები ჰქონდა.

„ამ მომენტიდან ბოლშევიკები გადარჩენილი იყვნენ და საქართველო განწირული დასაცავად – ეს შეიძლება ისტორიულ დღედ ჩაითვალოს და მთავრობის განკარგულება – საშინელ შეცდომად.

მთავარსარდალი ტფილისს წავიდა, გლეჯდა იქაურობას, მაგრამ ვერაფერს გახდა. მთავრობა დათანხმდა ბოლშევიკების წინადადებაზე – დაეწყოთ მოლაპარაკება“.

ამ ზავის შემდეგ ბოლშევიკებმა ლაგოდეხში პოლკი ააჯენეს.

1 ოქტომბერს გენერალმა კვინიტაძემ მთავარსარდლობა დატოვა.

1920 წლის ნოემბრის გაწვევა გადაიდო და დაინიშნა 1921 წლის 1-15 თებერვლისთვის.

ასე რომ, როდესაც 1921 წლის თებერვალში მოსკოვმა გამოიყენა საქართველო-სომხეთის სასაზღვრო რაიონში, ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში“ ვითომ ომიდარი მშრომელთა აჯანყება შენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ და შეაკოწიწა

ზემოხსენებული რევკომი, რომელსაც უკარნახა ლენინს დახმარება თხოვეთო, ლენინმა, თუმცა ჩვენს მენშევიკ ლიდერებს ეფიცებოდა – იქვენს დამოუკიდებლობას მივესალმებიო, კარგა ხნის წინათ დასახული გზებითა და გეგმებით გამოგზავნა წითელი არმიები. ესეცაა, რომ მას ამ ნაბიჯის გადასადგმელად ქართველები ი.სტალინი და ბოლშევიკური რუსეთის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი ს.ორჯონიკიძე აქეზებდნენ!

სწორედ ამ დროს ბიმდინარეობდა ქართულ ჯარში გაწვევა და გამოუცდელი ბიჭების ბრძოლაში ჩაბმა. ამას იგივე გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე გვიდასტურებს:

„სამხედრო ისტორიაში გაუგონარი ამბავი! ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებმაც მხოლოდ ორი დღეა, რაც სამხედრო ფორმა ჩაიცვეს, ბრძოლაში იქმნენ გამოყვანილი, მაგრამ გამოაშკარავდა, რომ სკოლაში ჯანსაღი სული ტრიალებდა, იუნკერთა გუნდი იყო დასაყრდნობი ქვაკუთხედი. ოფიცრებმა, კადრის ნაცვლებმა ბრწყინვალედ შესძლეს ახალგაზრდა ჯარისკაცებში სამხედრო სულის განმტკიცება...

რაც შეეხება დამოუკიდებლობის გამოცხადებისას და მის წინ თავგამოჩენილ „წითელ გვარდიას", მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამზრახველებმა „სახალხო გვარდიად" მონათლეს და რეგულარული არმიის ნაცვლად სტრატეგიულ დასაყრდენად სწორედ ის მიიჩნიეს, სამწუხაროდ მან მთლად ვერ გაამართლა იმედები."

ისევ გენერალ ალექსანდრე ჩხეიძეს მოვუსმინოთ, როგორ მოიქცნენ მდ. ხრამისკენ გაქცეული გვარდიელები:

„16 თებერვალს დილით, შიშისაგან დამფრთხალი, ხრამზე მდგომი გვარდია ერთიანად უკან გამოიქცა, ჯერ სადგურ სანდარაზე და შემდეგ ტფილისში. მე-2 საარმიო ბრიგადა განადგურებულ იქნა ხეობებში და ამგვარად ფრონტი მოღიავებული

და სრულიად გაწმენდილი იყო. რომ მტრის ერთ ცხენოსან ბრიგადას ენერგიულად ედევნა, იმავე დღესვე შეეძლო ტფილისში შემოვარდნილიყო. მაგრამ მტერმა არც კი იცოდა გვარდიის გამოქცევა და ორი დღე იდგა თავის პოზიციაზე.



მხოლოდ ახლა მოიგონეს ერთი ადამიანი, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველთვის მხოლოდ ასეთ წუთებში იგონებდნენ ხოლმე!

გენერალი ოდიშელიძე გადაყენებულ იქნა. მთავარსარდლად დანიშნეს გენერალი კვინიტაძე, თუმცა ყველა გამოცდილი მეომრისთვის აშკარა იყო, რომ ტფილისის საქმე უკვე წაგებულია".

„18 თებერვალს დილით გავიგეთ, რომ ბოლშევიკებმა მოიტანეს იერიში სოღანლუღზე. გვარდიის ერთი ათასეული თოფგაუსროლელად გაიპარა თავის სანგრებიდან, გარღვეულ ალაგას შემოიჭრნენ ბოლშევიკები..."

ზემოთ სიამაყით განვაცხადე, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად აღმდგარი იყო მთელი ქართველი ხალხი. მაგრამ იმ დღეების მომსწრენი იმასაც გვეუბნებიან, სრული მეცნიერული ობიექტურობისა და სიმართლის დამცველ ისტორიკოსთა ანალიზიც იმაში გვარწმუნებს, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული ქართველებიდან ზოგიერთნი მზად ვერ აღმოჩნდნენ თავისუფლებისთვის რაღაც მსხვერპლის გასაღებად

„უნდა ვსთქვა, რომ ომში ჩვენმა ხალხმა ერთნაირად ვერ გამოიჩინა პატრიოტიზმი! ამას ჩვენ ვხედავდით ძალიან ხშირად, რასაც გზა და გზა აღვნიშნავ! შინდისში ცხენების საკვებავი ერთი ფუთი თივის საფასურად 200 მანეთი გამომართვეს, როდესაც დაწესებული ფასი ნახევარს არ აღემატებოდა! ეს წვრილმანია, მაგრამ დასამახსოვრებელი!"[9]

ამით უნდა დავამთავროთ გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მოგონებათა ციტირება.

უმთავრესად მოვლენების მონაწილეთა მიერ გადმოცემული იმ დღეების ამბების გაცნობის შემდეგ მოულოდნელად არ უნდა გვეჩვენოს 1921 წლის 24 თებერვალს ჩვენი მთავრობისა და ჯარებისგან საქართველოს დედაქალაქის დატოვება, 25 თებერვალს თბილისში ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლა, ამას მოყოლილი სხვა უსიამოვნო ამბებიც...

მარტში, ბათუმში მყოფი დავით თურდოსპირელი, რომელიც იქ ჩაჰყვა მალე ემიგრაციაში წასულ მთავრობას და უკანდახეულ გვარდიას, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, გაზეთ „ერთობის" უკვე ბათუმში გადატანილ გამოცემაში ბეჭდავს ერთ-ერთ ბოლო წერილს, რომელშიც გულმოკლული აღიარებს: საქართველოს ვერ მოვუარეთო და ლაპარაკობს შინაურ გამყიდველებზე, *„რომელნიც საქართველოს რძით იკვებებოდნენ და მისდამი სიყვარულის ნაცვლად შხამ-ბალღამით იკვებოდნენ"*:

„ეს ტაკიმასხარები მოუძღვიან წინ რუსის ჯარს. არა, წინ კი არ მოუძღვიან, უკან მოსანჩალებენ. რა ბიჭები არიან ფილიპე და მისი დოსტები, წინ წამოუძღვნენ, ვიღამ მოუსვას ლაჩრულად თუ გაუჭირდებათ?

როგორც იუდას აჩრდილი საუკუნეთა წყევლისაგან დაძრწის შეჩვენებული, ისე მათი სახელი იქნება სამარადისოდ წყეულ-კრულ-ვილი!"[10]

მოგვიანებით მწერალმა როდიონ ქორქიამ, როგორც დამსწრემ, პირდაპირ დაასახელა ერთ-ერთი უძღები შვილი:

„1922 წელს ორჯონიკიძემ შეკრიბა პარტიის ძველი მუშაკები. ვიყავით 62 კაცი. ორჯონიკიძემ პირდაპირ განაცხადა: ლენინს არ უნდოდა საქართველოს გასაბჭოება, ეს მე გავაკეთეო, მე შემოვიყვანე წითელი ჯარი საქართველოში“.[11]

დავუბრუნდეთ დავით თურდოსპირელის კორესპონდენციებს. მან მწარე სინამდვილის აღიარებასთან ერთად რუსეთის იმპერიის არასახარბიელო ხვედრიც იწინასწარმეტყველა:

„ყველაფერს მიეჩვევნენ ბოლშევიკები, ყოველგვარ სისაძაგლეს... არცა რცხვენიათ... ტყუილად კი არ თქვა დოსტოევსკიმ: *Ковсему человек. подлец. привыкает.*

ბოლშევიკებიც ყველაფერს ეჩვევიან და აღარ არის სამარცხვინო საქმე, რომელიც მათ აღტაცებით არ ჩაიდინონ და არ შეიშნონ... ასეთი ბუნებისანი არიან ისინი და ამიტომ არიან საშინელნი... მისთვის იბრძვიან ასე გააფთრებით...

...ასე შეაწუხებენ მრავალ ერს... მაგრამ ადრე თუ გვიან დამარცხდებიან... ტყუილია, ვითომც მარტო ერთი დაკვრა-ღა იყოს საჭირო, მაგრამ დიდი ბრძოლის შემდეგ იგი დამარცხდება... კანონია ცხოვრების, რომ ჭეშმარიტებამ ბოროტება უნდა სძლიოს...“[12]

ასევე წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დავით თურდოსპირელის ეს იმედი, გამოთქმული საქართველოსთვის არცთუ დალხენილ დროს, 1921 წლის 15 იანვარს გაზ. „ერთობაში“ დაბეჭდილ ლექსში „მომავალი საქართველო“:

გაივლის დრო და ჩემს სამშობლოში
დიდნი ქალაქნი აღშენდებიან...

ყველა ის უბედურება, რაზეც აქ მოხმობილი საბუთები მოგითხრობთ, რუსეთის, იმჟამად უკვე წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალ დაპყრობას მოჰყვა

კომუნისტები დიდხანს თვალებში ნაცარს აყრიდნენ ქართველ ხალხს და ამტკიცებდნენ: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება

საქართველოს მშრომელების თხოვნით მოხდაო.

მაგრამ, აი, რას ამბობენ საბუთები:

1920 წლის აგვისტოდან საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდლის გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი:

> „თუ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა და უპირველესად ყოვლისა, თბილისისა, უფრო რეალური გახდება.
>
> ...მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჯარები შეფერხდებიან“.[13]

ალბათ შენიშნეთ, ორჯერაა ნახსენები სიტყვა „ოკუპაცია“ – გენერალი თავის სახელს არქმევს წითელი რუსეთის ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ 1921 წელს.

რა თქმა უნდა, რუსები თურქებს გაურიგდნენ: საქართველო ჩვენ დაგვითმე, თქვენთვის წართმეული მისი სამი ოლქი კი უკან წაიღეთო. ასე შეუქმნეს გარანტიები მე-11 არმიის იმ გარუსებულ გენერალს, ხოლო გარუსებულნი რომ რუსებზე მეტად რუსობდნენ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ და სტალინისა და ორჯონიკიძის მაგალითიც ამის დასტურია.

ამ ორი ქართველის დაჟინებით მიღებულმა ამ გარანტიებმა რუსეთის კომუნისტების პოლიტბიუროც დაარწმუნა – საქართველოს დაპყრობა ხახვივით შეგვრჩებაო.

როგორც რუსეთის კომუნისტების ერთ-ერთი მრისხანე ბელადი ლევ ტროცკი წერს სტალინის ბიოგრაფიაში:

> „ორჯონიკიძე, რომელსაც მხარს უჭერდა სტალინი, იმ აზრის იყო, რომ წითელ არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეპყრო საქართველო. ლენინმა მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის ქართველ წევრებს და პოლიტბიურომ გადაწყვეტილება მიიღო

პირველ თებერვალს, 1921 წელს, როდესაც მე ურალში ვიყავი".

"როგორც სჩანს – სტალინს დაავიწყდა, რომ ჩვენ საქართველოსთან მეგობრობის და არა აგრესიის პაქტს მოვაწერეთ ხელი 1920 წლის შვიდ მაისს და ამის შემდეგ მისი ბრძანებით ოცდაერთი წლის თვრამეტ თებერვალს წითელმა არმიამ საქართველოს საზღვარი გადალახა".[14]

თითქოს თავად ტროცკი რომ დასწრებოდა პოლიტბიუროს იმ სხდომას, თავიდან აგვცილდებოდა უბედურება!

თითქოს ადრე მისი ნათქვამი არ იყოს: „ხოლო თუ საქართველოს დატოვება დაგვჭირდა, კარებს ისე გავიჯახუნებთ, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩება".

მაგრამ ჩვენ მაინც მადლობელი უნდა ვიყოთ – მან, რა თქმა უნდა, სხვებმაც, მაგრამ მანაც შემოგვინახა ჩვენი „გამაბედნიერებლების" ვინაობა. და ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ ეს მთავარი „გამაბედნიერებლები" ქართველები იყვნენ!

ახლა სიტყვა მივცეთ ქართველი კომუნისტების მაშინდელ ლიდერს, ფილიპე მახარაძეს, რომლის საიდუმლო მოხსენებიდან რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი საქართველოს გასაბჭოების ცხრა თვის თავზე ირკვევა, რომ საქართველოს კომუნისტებმა საერთოდ არაფერი იცოდნენ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარებას თუ აპირებდნენ:

პირდაპირ გასაკვირია, როგორ დატოვა ასეთი საბუთი:

„...როდესაც დაიწყო წითელი ჯარის შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არ იცოდა, ეჭვიც კი არ ჰქონდა, ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციის მხრივ, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა. ცხადია, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შემოტევისას, გაესწორებინათ ანგარიში აქაიქ კიდევ დარჩენილი ჩვენი ორგანიზაციი-

სათვის და დაეჭირათ არამც თუ კომუნისტები, არამედ ცოტად თუ ბევრად მათი თანამგრძნობნიც. ამრიგად, მოხდა შემდეგი:

1. საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე".

ხომ საოცარი აღიარებაა, ბატონებო? არც მეორე პუნქტშია ნაკლებ გამაოგნებელი გამოტყდომა.

„2. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც, მეტი რომ არ ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა. რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს, უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა".

აღარც თვით ფ. მახარაძეს დაუჯერებენ კომუნისტების დღეს შემორჩენილი კუდები, ახლაც რომ იმეორებენ: კომუნისტებმა მაშინაც გაგაბედნიერეთ და ახლაც ვაპირებთ თქვენს გაბედნიერებასო?

მაშინ ფ.მახარაძის აღიარების მოლად მოიმაკვდინებელ დასასრულს მოუსმინონ:

„იმთავითვე რამდენიმე ძალაუფლების ორგანო აღმოჩნდა: ერთი მხრივ საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად ითვლებიან უზენაეს ორგანოებად, (მეორე მხრივ) კავბიურო რ.კ.პ. და მე-11 არმიის „რევკომენ სოვეტი", რომლებიც არიან ნამდვილი უზენაესი ორგანოები ძალაუფლებისა. ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილად წყვეტს საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, საქართველოს ცკ-ისა და რევკომის დაუკითხავად".

და ბოლოს უსინდისო კაპიტულაცია, ხელის აღება ნამუსზე,

რაც ჩანს უკანასკნელ ფრაზაში:

> „ახლა არსებითად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მათი სრულიად, ორგანულად რუსეთთან შეერთებისა“.[15]

ფ. მახარაძეს მსედველობაში ქქონდა ამირკავკასიის რესპუბლიკები და უბედური საქართველოც ხომ აქ იყო!

ხედავთ, როგორ თხასავით გაყიდა, გააჩუქა, უარი თქვა საქართველოზე - არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო საქართველოს რუსეთთან შეერთებისათ, თანაც არა უბრალოდ, არამედ „ორგანულად“ შეერთებისათ, ე.ი. საბოლოოდ, დაუბრუნებლად, მოსანელებლად, ასიმილირებისა და ყველაფერი უბედურებისთვის გაიმეტა...

თავის რუს (თუ გარუსებულ) ბატონებს კი მისწერა საიდუმლოდ: არაფერი ვაცოდით თუ მოდითოდით, არაფერი გვკითხეთო, მაგრამ ამას აქაურებს ხომ ვერ გაუმხელდა - არაფრად გვაგდებენო, და თავი დაიფახა, კიდევ ეროი სამარცხვინო აღიარება დატოვა, კერძოდ, აი, რა თქვა თბილისში, ნაძალადევის სახალხო სახლში გამოსვლისას, 1921 წლის 13 მარტს და რა შემოუნახა შთამომავლობას გაზეთმა „კომუნისტმა“ (1921.16, III):

> „ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი... დიახ, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოვუძღოდით მათ. ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავისი ძალაუფლებით... ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“.

მაგრამ ტყუილად ბაქიბუქობდა ფ. მახარაძე - რომ ვუთხრათ საქართველოს დატოვებენო...

არ ვიცი, რას ელოდა ის გამეიდველი მთავრობა, დამოუკიდებელ საქართველოში დამპყრობლებს რომ მოუძღოდა, მაპატიეთ, მე-11 არმიის ხიშტებს ამოფარებული რომ შემოეძურწა.

ნუთუ იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ, რომ სჯეროდათ რუსი კომუნისტები ხელისუფლებას აგვაღებინებენ და დამოუკიდებელ საქართველოს ჩვენი კომუნისტური ხელისუფლება გავუძღვებითო?

ამისთვის იკლავდა თავს რუსეთი?

სულ მალე მიხვდნენ როგორ მიდიოდა კომუნისტური რუსეთი ყოველგვარ უსინდისობაზე, მიხვდნენ და ფაფხური დაიწყეს. აი, რას წერდა (იხ. კრებული „დაპყრობის 60 წლისთავი“) ემიგრანტი მოღვაწე დავით ვაშაძე:

> „ქართველი ბოლშევიკები დანაშაულს გრძნობენ და მოსკოვის წინააღმდეგ ოპოზიციას ჰქმნიან, მოსკოვის მიერ საქართველოს საქმეებში ჩაურევლობას ითხოვენ. ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, შალვა ელიავა, ძმები ოკუჯავები, რომლებმაც მოსკოვში აბელ ენუქიძეში იპოვეს დამხმარე – მანუგეშებელი ძალა და რომლებმაც საქართველოს კარები გაუღეს საბჭოთა რუსეთს, მხოლოდ ცოდვების მონანიებად გარდაიქცნენ, მოსკოვმა ყველა სიცოცხლეს გამოასალმა“.

ეს ხალხი წინააღმდეგი იყო საქართველოს საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის ფედერაციის სახით გაერთიანებისა აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად (სტალინის ავტონომიზაციის იდეა), მათ უნდოდათ დამოუკიდებელ რესპუბლიკად შესვლა. ბუდუ მდივნის და მის მომხრეთა ამ აზრს არ იზიარებდნენ მოწამლული ბოლშევიკები სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა, შალვა ოკუჯავა, ლევან ღოღობერიძე, მამია ორახელაშვილი. ლენინმა მოითხოვა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რასაც შემდეგ სტალინიც მიემხრო. მაგრამ ბუდუ მდივანს და მის თანამზრახველებს ურჩობა დაუმახსოვრეს, ერთხანს ნაციონალ-უკლონისტებად შერისხვა აკმარეს, 1937 წელს კი უბრალოდ მოსპეს.

ფ. მახარაძე, ეტყობა იმიტომ დაინდეს, რომ ბოლშევიკების ყველაზე დიდი წინამძღოლი იყო, თანაც გაუხსენეს 1921 წლის ბოლოს როგორ მისწერა რუსეთის კომპარტიის ცეკას: „ახლა არსებითად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მათი (ე.ი. ამიერკავკასიის რესპუბლიკების) სრულიად, ორგანიულად რუსეთთან შეერთებისა“.

ამ დამსახურებისთვის დაასაფლავეს მთაწმინდაზე, მაგრამ მოხდა ის, რაც მოუვა თავისი ქვეყნის ყველა გამყიდველს!

(საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მტრული

მოქმედების გამო სხვა ბოლშევიკებთან ერთად დაპატიმრებული, აი, ეს ფილიპე მახარაძე ნოე ჟორდანიამ შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილთან შეუთანხმებლად ციხიდან გაათავისუფლა).

უნდა გავიმეორო: გასაგებია რუსეთის კომუნისტური ხელისუფლების წასვლა სივერაგეზე, საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების დარღვევაზე – წითელ იმპერიას არ უნდოდა დაეკარგა გეშრილი ლუკმა – საქართველო;

რუსეთის კომუნისტური ხელისუფლების იმ არარუსი წარმომადგენლების – სტალინისა და ორჯონიკიძის რუსებზე მეტად თავგამოდებაც გასაგებია – ეშინოდათ საქართველოსადმი მიკერძოება არ დაგეწამონო.

მაგრამ გაუგებარი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გულგრილი მოქმედება დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

ამაზე მიუთითებს ნოე ჟორდანიას ადიუტანტის კოტე იმნაძის ჩანაწერი:

> „1921 წლის 24 თებერვალი. 8 საათი. მთავრობის თავმჯდომარემ პოლკოვნიკ გედევანიშვილს ფრონტის მდგომარეობის გაშუქება მოსთხოვა. ღენერალი კვინიტაძე კედლის რუკას მიუბრუნდა და ჩაილაპარაკა: „ვსიო რავნო – ია ოტსტუპაიუ!“ ასე ურყევი გადაწყვეტილების აუცილებლობა მთავარსარდალმა სათანადოდ დაასაბუთა. ღენერალმა ოდიშელიძემ წინააღმდეგობა გაუწია: უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთო...
>
> ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ამცნო გადაწყვეტილება (რომ ჯარს უკან დაეხია).
>
> გრიგოლ ვეშაპელი წინააღმდეგია.
>
> ნოე ჟორდანია: ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება. თუ არ მოგწონთ, მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ ან სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ...
>
> სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა“.[16]

დიახ, ქართველები მზად იყვნენ თავისუფლების დასაცავად, მაგრამ ერთია სურვილი, მოწადინება და მეორე – ამ სურვილით, მისწრაფებით შეპყრობილი ხალხის დარაზმვა, მისი ძალის სწორად გამოყენება, მოხერხებულად შეერთება არმიის მოქმედებასთან.

სამწუხაროდ ეს არ მოხდა. სამაგიეროდ, ჩვენდა სავალალოდ, მიუხედავად იმისა, თითქოს მდგომარეობა მთლად უსაშველოდ არ გამოიყურებოდა, უცებ ჩვენს ჯარს დააწყებინეს თბილისიდან უკან დახევა, დედაქალაქის დაცლა...

უხელისუფლებოდ, წესრიგის დამცველთა გარეშე დარჩენილ ქალაქს, სადაც დილამდე, არც ახალი ხელისუფლება და მისი არმია აპირებდა გამოჩენას, მოსალოდნელი იყო მძარცველები დაპატრონებოდნენ, გაეპარტახებინათ...

აი, ასეთ ვითარებაში რამდენიმე კაცმა მ.შ. პოეტმა პაოლო იაშვილმა, ითავა წესრიგის დაცვა.

ამაზე პ. იაშვილი იძულებული შეიქნა დრამატულად მიმდინარე მწერალთა კაშირის პრეზიდიუმის სხდომაზე 1937 წლის 27 მაისს ასე ეთქვა: უმთავრესად ბესო ლომინაძის გავლენით დავრჩი თბილისში გასაბჭოების ღამეს. არ დავუჯერე ჭორებს ტერორის და აწიოკების შესახებო.[17]

ეს ამბავი 1921 წლის თებერვლის დღეების მონაწილე ჩვენი მწერლობის ცნობილმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემაც გაიხსენა 1989 წელს გაზეთ „თბილისში" (№118): თებერვლის იმ ტრაგიკულ დღეებში, 24-ის ღამით უხელისუფლებო *„თბილისის აკლებისაგან გადარჩენაში სამაგალითო როლი შეასრულა ქართველ მწერალთა პატარა ჯგუფმა პოეტ პაოლო იაშვილის მეთაურობით"*.

შეიძლება ვინმემ იფიქროს ეს ამბავი შელამაზებულად ხომ არ გადმოსცესო, კომუნისტური ხელისუფლება ბევრ ვინმეს აიძულებდა ასე მოქცეულიყო.

მაგრამ, აი, საშუალება გვაქვს გავეცნოთ ამ აქციის უშუალო მონაწილის გალაქტიონ ვაშაძის მოგონებას, რომელიც ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში" (№3) თითქმის მაშინვე, 1923 წელს დაიბეჭდა, როცა კომუნისტებს ჯერ კიდევ მთლად არ ჰქონდათ დაწყებული ისტორიის შელამაზება.

აი, ეს მოგონებაც:

„ზედმეტი არ იქნება შევეხო საქართველოსათვის ისტორიულ 1921 წლის 25 თებერვლის

წინა ღამეს, როდესაც დაიწყო ბოლშევიკების მასობრივი დატყვევება, მე დავიმალე. გადატრიალების ღამეს (ხსენებული ღამე) ჩემთან შემოვიდა ჩუმად ორი შეიარაღებული პირი და დამიწყეს ღვიძება. პირველად კიდეც შემეშინდა, მაგრამ ვიცანი მათში ჩემი ორი საუკეთესო ამხანაგი (მგოსანი პაოლო იაშვილი და მეტრეველი) და ვკითხე, რაშია საქმე-თქო. მენშევიკური მთავრობა გაიქცა. ბოლშევიკები შემოდიან, ქალაქში არავითარი ხელისუფლება არაა, გვთხოვეს მივიღოთ სათანადო ზომები წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად ბოლშევიკების შემოსვლამდეო", – მიპასუხეს მათ. უპირველესად ყოვლისა მე დავუწყე ძებნა ქალაქში დარჩენილ ამხანაგებს, რომელნიც დატუსაღებას გადარჩნენ, მაგრამ ვერავინ ვიპოვე და ჩვენ სამმა გამოვაცხადეთ თავი ქალაქის დამცველ დროებით რევოლუციურ კომიტეტათ. გამოვუშვით მოწოდება მცხოვრებლებისადმი და შევუდექით შეიარაღებული დაცვის მოწყობას. მაგრამ ხელს გვიშლიდა ის გარემოება, რომ ქუჩები გაჭედილი იყო უკან დახეული მენშევიკების ჯარებით, რომლებიც ისე უწესრიგოდ მოდიოდნენ, რომ არ იცოდნენ საით უნდა წასულიყვნენ, როდესაც მე ვაჩერებდი ჯარისკაცებს და ვეკითხებოდი სად მიდიხართ და სადაა თქვენი ხელმძღვანელობა-თქო, ყველა ერთი და იმავე პასუხს მაძლევდა: „ხელმძღვანელებმა მიგვატოვეს და არ ვიცით სად მივდივართო". ჯარების უკან დახევა გაგრძელდა დილის 8 საათამდე. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ექსცესები უკან დახეულ ჯარისკაცებსა და საზოგადოების ნაძირალებისაგან, მაგრამ კომიტეტმა წინდაწინვე მიიღო სათანადო ზომები და ასეთი შემთხვევა ძალიან ცოტა იყო...

ასე მუშაობდა კომიტეტი დილის 10 საათამდე, როდესაც ხელისუფლება საბო-

ლოოდ ჩაიბარა კომუნისტებისაგან შემდგარმა ქალაქის რევკომმა".

ძვირფასო მკითხველებო, ალბათ თქვენც შეგაძრწუნათ იმის გაგონებამ – ხელმძღვანელებმა მიგვატოვესო...

აი, ამიტომ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ძვირს – თავისუფლების დასაცავად მზად მყოფი ხალხის დარაზმვა და გაძღოლა ვერ შესძლეს-მეთქი.

სხვათა შორის პ. იაშვილი და ლ. მეტრეველი ხალხით გაჭედილ რკინიგზის სადგურში უნახავს გენერალ გ. მაზნიაშვილს და უთქვამს ხალხი დაწყნარეთ, მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობას გააგებინეთ, რომ საქართველოს მთავრობამ თბილისი დატოვა და ქალაქი ნაძირალებს არ გააძარცვინონო...

გენერლის დასკვნა ასეთია: *„...რომ არ ჰქონდა ადგილი მაროდიორობასა და ძარცვას. ჩემი აზრით, სხვათა შორის, ეს გარემოება უნდა მიეწეროს ჩვენი პოეტების ზემოხსენებული ჯგუფის უნარიანობასაც".*[18]

მწერლებს პაოლო იაშვილსა და ლევან მეტრეველს, განსაკუთრებით პირველს, ამ ნაბიჯს შემდგომში (და დღესაც) ზოგიერთი მწერალიც და სხვებიც, კომუნისტების წინაშე ქედის მოხრად, ბოლშევიკებთან ლაშის სიხარულით შეგებებად უთვლიდა...

გაკიცხვა ადვილია, მაგრამ შექმნილი მდგომარეობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ?

იმასაც შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული ლევან მეტრეველ'ის მწერალია, რომელიც 1919 წელს შეშფოთებული წერდა, გულისხმობდა რა საქართველოს: „მას ეშინიან – პატარა წმინდა სანთელივით სხვის ხატს არ შეადნესო" და არა მგონია, 1921-ში ამ სხვის ხატს სიხარულით შეგებებოდა, ან ის, ან პაოლო იაშვილი!

თბილისიდან უკან დახეულ მთავრობას და სარდლობას იმედი ჰქონდა მცხეთაში გავმაგრდებითო... პრეზიდენტს უთხოვია – მცხეთაში გამაღვიძეთო, მაგრამ არ შეაწუხეს...

ასეთი უთაობა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულშიც ბევრი გამოვიჩინეთ და 21-ე საუკუნეშიც არ გვაკლია! ვიმეორებთ და ვიმეორებთ წარსულის შეცდომებს და სიგლახეებს...

ისევ წარსულს უნდა დავუბრუნდეთ.

ბოლშევიკები ქუთაისშიც რომ შევიდნენ და მათი არმიების სხვა ნაწილები ზღვისპირეთიდან თუ საქართველოს სამხედრო გზიდანაც მოიწევდნენ, – მენშევიკური მთავრობა მიხვდა, რომ საქართველო დაკარგული ჰქონდა და იმაზე დაიწყო ზრუნვა – აჭარა თურქებს არ დარჩენოდა.

თურქეთის მიერ ბათუმის წართმევამ ჯერ კიდევ 1918 წელს შეაშფოთა ახალგაზრდა პოეტი პაოლო იაშვილი და ეს გადმოსცა ლექსში „დაცემულ ბათუმს“.

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე პრიალა ხმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათუმთან დავტოვოთ ძვლები.

1919 წელს კი იოსებ გრიშაშვილიც ააღელვა ჩვენი ზღვისპირა ქალაქის ბედმა და ეს ამაღელვებლად გამოხატა ლექსში „ბათუმისთვის“:

...დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ
დარაზმა და დაამზადა –
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და
არამზადა.
ყველა-მეთქი! ვისაც გულში არ უღვივის
წმინდა გრძნობა,
ვინც საკუთარ ტვინის ბოგირს ვერასოდეს
დაეყრდნობა –
და უნდათ, რომ საქართველო – ეს პატარა
ნატვრის თვალი,
კვლავ გახადონ სხვისი მონა – მორჩილი და
შენამკრთალი.
არასოდეს! ვიდრე ზეცა არ შეწყვიტავს მზის
ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს
და შეაჩერებს,
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის
ასე ზრუნავს,
არ მოკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს...
მაინც ბრუნავს...

ცოტა ხანში კი, თავში საცემად არამარტო დამოუკიდებლობის

დათმობა მოგვიხდა, ბათუმიც კინაღამ დავკარგეთ.

მაგრამ საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლის წინ ნოე ჟორდანიამ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები პირადულ და პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენა და სასახელო ნაბიჯი გადადგა – ბათუმის ციხიდან გაათავისუფლა ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე და მას უთხრა:

„ჩვენ საქართველოს ვტოვებთ, ბოლშევიკებთან დადებული დროებითი ზავის მთავარი მიზანია - ბათუმი თურქებს არ დავუტოვოთ. ეს იქნება საშინელი ტრაგედია, რომელსაც მომავალი თაობები არც ჩვენ, არც თქვენ არ გვაპატიებენ.

ამიტომ ჩვენ გავაგზავნეთ საჯავახოში მატარებელი მე-11 არმიის ნაწილების ჩამოყვანის დასაჩქარებლად. თანაც დავალება მივეცით გენერალ გ. მაზნიაშვილს, რომ თქვენ დაგემორჩილოს და დაგეხმაროთ ბათუმიდან თურქების გარეკვაში.

ამ საქმის მოგვარებას დიდი ამაგი დასდო ემიგრაციაში წასასვლელი გემიდან საგანგებოდ ამისთვის ჩამოსულმა და საქართველოში დარჩენილმა მენშევიკური მთავრობის მეთაურის მოადგილემ და სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ.

1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაცია (სამხედრო მინისტრი – გრიგოლ ლორთქიფანიძე, სამხედრო მრჩეველი – ივანე გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი – ალექსანდრე დგებუაძე, დელეგაციის მდივანი – დავით შარაშიძე) და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დელეგაცია (აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი, ალექსანდრე სვანიძე, შალვა ელიავა, გამბაროვი).

> გრ. ლორთქიფანიძე: ჩვენ ვდგავართ ამ პრინციპულ ნიადაგზედ, რომ როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს. ვიმეორებ, როგორც არ უნდა იყოს ის, საჭიროა, რომ მოინახოს ის საერთო საშუალება, რომელიც

აგვაცილებს საფრთხეს, რომელიც მოელის საქართველოს მთლიანობას.

მ. ორახელაშვილი: ჩვენ არა ვართ წინააღმ-დეგი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ. მარგამ ეს საკითხი მეორეხარისხოვანია.

გ. ლორთქიფანიძე: დღეს ყველაზე დიდი საშური საკითხი და პირველ რიგში განსახილ-ველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება".[19]

გრიგოლ ლორთქიფანიძის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილისა და აჭარის მეჯლისის თავმჯდომარის მემედ ბეგ აბაშიძის მტკიცე პოზიციამ თურქების ჯარები და ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში გამაგრებული მათი სარდალი ქიაზიმბეიც აიძულეს წასულიყვნენ. (პოლკოვნიკ ქიაზიმბეის მოთხოვნაზე – ოსმალეთის ხელისუფლება იცანიო – მემედს უპასუხნია: „ჩვენ, აჭარლები, მიერთებული ვართ დედა-საქართველოსთანო", – იხ. ნ. ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, ბათუმი, 1971 წ.).

1921 წლის 23 მარტს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა გემით ემიგრაციაში გაემგზავრა.

24 მარტს, როგორც ვთქვით, ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრება დაითხოვეს.

ასე დაასრულა არსებობა საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ (1918-1921).

ასე ვერ მოვუარეთ დამოუკიდებლობას, დავკარგეთ თავისუფლება, ასე ჩავიდინეთ დანაშაული, რომლის სიმძიმეზე ადრევე მიგვითითა, გაგვაფრთხილა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა ჭირისუფალმა სამსონ ფირცხალავამ:

„მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა
უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე
თავისუფლების განუხორციელებლობა".

დიახ, ბევრწილად ჩვენ თვითონვე ვერ მოვუარეთ, ვერ შევინარჩუნეთ თავისუფლება და მიმული, არ შევისმინეთ ჩვენი დიდი წინაპრის შეგონება და გაფრთხილება, ვერ შევასრულეთ ხვეწნა-შუდარა საქართველოს უდიდეს ჭირისუფალსა და

მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“.

ამ შეგონებას, ამ ანდერძს კიდევ ერთხელ მთელი სიმკაცრით გვიმეორებს ჩვენი დიდებული ბრძენკაცის ილია ჭავჭავაძის აჩრდილი XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში და თუ ახლაც გავუცუდებთ იმედს, ვერ შევუსრულებთ თხოვნა-ვედრებას, მოწოდება-მოთხოვნას – შთამომავლობის წყევლა-კრულვას დავიმსახურებთ!

დამოუკიდებლობის დაკარგვამ სასტიკი დაღი დააჩნია ბევრ ქართველს, მათ შორის ბელეტრისტ მიხეილ ჯავახიშვილს. აი, რა ჩაწერა მან 1924 წელს უბის წიგნაკში:

„ბაზალეთის ტბის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი ამოიღო. ამავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელი ხიშტით უკანვე ჩააგდო“;

და მაინც ამ დარტყმით შეძრწუნებული ქართველები ომხდარის გაანალიზების უნარს არ კარგავენ, კატასტროფის იზეზებს ეძებენ. აქაც მიხეილ ჯავახიშვილს უნდა მოვუხმოთ:

„მთელი ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქართული ენერგია აფეთქებით თავდებოდა, ხანგრძლივობა არა გვყოფნიდა (დაღლილი ერი ვართ)“;

„გამძლეობა და შეუპოვრობა ვაჟკაცობაზე უფრო ძნელია“.[20]

ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიამ ცხელ კვალზე გამოთქვა თავისი შეფასებები:

„ჩვენი თაობის უწმინდესი სისხლი და ენერგია საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებაში და მისთვის ბრძოლაში დაიხარჯა. ტყუილა კი არ სჯერა ასე გულუბრყვილოდ ქართველ ხალხს, რომ რამოდენიმე საუკუნის წინ მამულისათვის დაღვრილი სისხლი ახლაც აჩნია სიპ ლოდებსაც საქართველოში და იმ სისხლის წაშლა და დავიწყება მართლაც შეუძლებელია“.

„სამი წელიწადი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისა, ეს ქართველებისთვის ისეთ დიდ მანძილს წარმოადგენს, რომ ჩვენი უკან მობრუნება აწი ყოვლად მოუხერხებელია“.[21]

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე კი ასე აფასებდა ამ განძის შესანარჩუნებლად გაწეულ ბრძოლას:

საქართველომ *„თავის უკანასკნელი უთანასწორო ბრძოლითა და მისი წინამორბედი თავდაცვითი ომებით მტკიცე კვარცხლბეკი დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობას“.*

მართლაც, ეს კვარცხლბეკი გვარიანად გამოგვადგა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისას, მაგრამ იმ კვარცხლბეკის შენებისას დაშვებული შეცდომები არ უნდა გადმოგვყოლოდა.

თავი VI.
გლოვა

„დაბერებული, მოჩვარული და ნაწამები
კიდევ ბევრ ჯვარცმას გადაიტანს შენი სხეული,
ო, კიდევ ბევრჯერ შენ ცრემლებით დაინამები
და კიდევ ბევრჯერ დაგიტირებ თვალდახეული.“

კოლაუ ნადირაძე, 1922

„და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი.“

იოსებ გრიშაშვილი



შავჩოხოსნები,
მარცხნიდან: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი.
„მწერლები შავ ჩოხებში გამოწყობილნი ჩუმად გლოვობდნენ თავისუფლების დაკარგვას“.

აკაკი პაპავა

1921 წლის დასაწყისისთვის მდგომარეობა უსაშველო შეიქმნა – დამოუკიდებლობა დაკარგეთ, თავისუფლება წაგვართვეს. 25 თებერვალს თბილისში რუსეთის მე-11 არმია შემოვიდა და აღლუმი გამართა.

მეორე დღეს დაასაფლავეს ამ არმიასთან ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლებში დაღუპული საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველები.

აი, როგორ იგონებდა ამ ამბავს გერონტი ქიქოძე:

„მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენა, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებულ მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებული იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სახლის შენობაა აღმართული“.[1]

ეს პროცესია მოხსენიებულია გრიგოლ რობაქიძის რომანში „გრაალის მცველნი“.

> გავიდა ცოტა ხანი და როგორც იმ დღეების მომსწრე კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი იგონებდა, საბჭოთა ხელისუფლებმა „იმის ნებაც კი დართეს, რომ ხალხს პანაშვიდი გადაეხადა, ხოლო როცა მღვდელმა ღაღადებით წარმოთქვა – შეიწყალე და აცხოვნე, უფალო, სამშობლოს სადარაჯოზე გმირულად დაცემულ მებრძოლთა სულიო – ხალხში გაისმა ხმამაღალი ქვითინი.
>
> პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა დიდი გრძნობით წაიკითხა თავისი ახალი ლექსი:
>
> „ჩემთა საყვარელ ძმათა საფლავზე
> ჰოტენტოტივით დავებოტები“.
>
> ეს პანაშვიდი-დემონსტრაცია დამთავრდა

იმით, რომ მხოლოდ პოეტი ი. მჭედლიშვილი დააპატიმრეს.

ხალხში ხმა დაირხა, რომ ის იმავე დღეს გაათავისუფლეს პროფ. შ. ნუცუბიძის დახმარებითო".[2]

ეს იყო პოლიტიკურ ნიადაგზე მწერლის დაპატიმრების პირველი შემთხვევა საბჭოთა საქართველოში.

ჩვენ კიდევ შევხვდებით იოსებ მჭედლიშვილის ლექსებს, რომლებშიც გაცილებით აშკარად იყო გამოხატული ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

ერთი ქართველის უდროოდ სიკვდილიც დასანანია. ქართველები მუდამ მადლიერი იყვნენ და იქნებიან იმათი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შეეწირა. ასე ვიქცევით ჩვენ 1921 წლის თებერვლის უბედურების დღეებში დაღუპულთა ხსოვნის წინაშე.

მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ სრულად გამოიყენა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მსხვერპლის გასაღებად მზადმყოფი ყველა ქართველი? ასეთები კი მუდამ ბევრი ჰყავდა საქართველოს!

არა! და ვერც გამოიყენებდნენ საქართველოს მაშინდელი მესვეურები. დიახ, სწორედ ჩვენში უნდა ვეძიოთ უპირველესად ყოვლისა უბედურების მიზეზები, თორემ მტერი იმის მტერია – უნდა გიმტროს. ასე განსჯის ყველა გონიერი ქართველი და ასე განსაჯა ცხელ კვალზე, 1921 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის წლისთავზე კონსტანტინე გამსახურდიამ:

„ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზებიც ქართველი ერის შინაგან არსებაშია საძებნელი. უნდა ვაღიაროთ, და მე მგონია შეცდომათა აღიარება სჯობია შეცდომების მიფუჩეჩებას, რომ ჩვენ ამ სამი წლის დიდ „ეგზამენში" ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე განსაზღვრულ პარტიას. ქართველთა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნულ სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველმა ინტელიგენ-

ციამ ვერ მოახერხა სწორი ორიენტაცია ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში".[3]

სწორედ ამაზე ფიქრმა შეაძრწუნა საქართველოს ასევე დიდი მოამაგე მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც უბის წიგნაკისივის გაუნდევია ეს მწარე დაკვირვება:

„ყოველ ქართველს ყოველ ჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ნახევარმა საქართველომ მარაბდის ბრძოლის დროს 10.000 მოკლული გასწირა, ხოლო ერთობლივმა საქართველომ 1921 წელს თავის დამოუკიდებლობას ასი მოკლული ვერ შესწირა".[4]

ამ შეფასებებში ორივე მწერალი მართალია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ზემოხსენებული „ერთობლივი საქართველოს" უდიდეს ნაწილს – გლეხობას დამოუკიდებელი საქართველოს მმართველმა პარტიამ და მთავრობამ იმედები არ გაუმართლა – საკუთრებაში არ დაუკანონა მიწა, რომლისთვისაც ის თავგამოდებით იბრძოლებდა.

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ ტაბახმელასთან დაღუპულთა დაკრძალვას.

მათ შორის იყო მოწყალების და მარო მაყაშვილი, პოეტ კოტე მაყაშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის ქალიშვილი.

საქართველოსათვის თავგანწირულ ამ ყმაწვილ ქალს მიეძღვნა რაჟდენ გვეტაძის სონეტი, რომელიც ასე მთავრდება:

მოჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს;
მოულოდნელად თქვენს სასთუმალს
მოძვრება ჯვარი --
ვით ქაფის სვეტი, წამოდგებით გაშლილ
ქოჩორით
და მოგონებით გულდაწყვეტილს დიდხანს
გაჩერებთ:
ქოროღლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი.

1982 წელს გამოსულ „ქართული პოეზიის" ბიბლიოთეკის მე-

14 ტომში დაბეჭდილ ამ ლექსს თარიღად უზის 1920. ეს ცენზურის თვალის ასახვევად გაკეთდა. თორემ 1921 წლის თებერვლის ბოლოს დაღუპულზე პოეტი 1920 წელს როგორ დაწერდა ლექსს?!

აი, ასე ძალადობდა ლექსებზეც და მათ ავტორებზეც ახალი, კომუნისტური რეჟიმი 1921 წლიდან. ასეთი და უარესი ძალადობის, შერისხვის მაგალითებს კიდევ ბევრს გავეცნობით.

იარაღის შემართვის ტოლფასი იყო კონსტანტინე გამსახურდიას ის ნაბიჯი, როცა საქართველოს გასაბჭოებიდან ორიოდე თვის შემდეგ 1921 წლის 7 მაისს მან გააგზავნა „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი".

ამ კორექტულ, პოლიტიკურად გამართულ წერილში მთელი პირდაპირობითაა გამოთქმული ქართველი ხალხის წუხილი, გამოწვეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვით:

> „დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა, და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკული სახელმწიფო ენა აღარ არის.
>
> ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს".[5]

იმავე 1921 წელს არანაკლებ პირდაპირ და უშიშრად წერდა კონსტანტინე რუსიფიკატორთა მიერ სეპარატიზმის წაქეზებაზე საქართველოში:

დანარჩენ საქართველოსა და აფხაზეთს შორის *„საზღვრების გაკვლევას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნოძორის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2000 წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიული ჭაპანს და არ ჩამოგვცილდებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან".*[6]

გასაბჭოებიდან ორი თვის შემდეგ, 1921 წლის 7 მაისს

გამოსულ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთდროულ გაზეთ „პოეზიის დღეში“ დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ნაღველი იგრძნობოდა უმეტეს ლექსებში.

აი, რას დასტიროდა ცისფერყანწელი პოეტი შალვა აფხაიძე „გამოსათხოვარ მონოლოგში“:

> მაწვალებს სიტყვა უანდამატო
> და საქართველო გაკრული ჯვარზე.

ნაზი ხმის პოეტს, პოლიტიკასთან ნაკლებად დაკავშირებულ ხარიტონ ვარდოშვილსაც „უცნაური აგონია“ დაემართა, რადგან, *„ასეთი იყო უეცარი ხაშიშროება, სტიროდა მწარედ საქართველო და სახოება“.*

დუტუ მეგრელის „საკვდილის ანრდილიც“ უთუოდ 1921 წლის 25 თებერვლის სევდის, იმედის წართმევის გამოძახილია.

ალექსანდრე აბაშელიც ამის გამო მოთქვამდა („ჩამქრალი სანთელი“, 1921):

> შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს,
> ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა სანთელი

და კიდევ:

> ლექსი დააღრჩო წვრილმა ამბავმა,
> ამონაწერმა გაზეთებიდან

ინტერნაციონალისტური იდეებით პოეზიის გაწყალება არც ვახტანგ კოტეტიშვილს ეხატებოდა გულზე. იმავე „პოეზიის დღეში“ 1921 წელს ის ჯიუტად იმეორებდა: ეროვნული შემოქმედება გაიმარჯვებსო, ხოლო გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ 1921 წლის 20 მაისს წინასწარმეტყველებდა: – საქართველოში 1917 წლიდან, განსაკურებით კი 1921-დან სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დალექვა კარგს არაფერს მოგვიტანსო:

> „გახსოვდეთ, რომ ყოველი ლტოლვილის საქართველოში დასახლება იქნება იმ ეროვნული შუღლის დათესვა, რომელიც დღევანდელ პირობებში ადვილად ჰხარობს და მალე მოსამკელად მივიღებთ „ინტერნაციონალის“ ყვავილებს კი არა, ეროვნული ანტაგონიზმის ეკლებს“.

მაგრამ ინტერნაციონალიზმზე მეოცნებე, სინამდვილეში

ყველასა და ყველაფრის გარუსებაზე დათანხმებული და წინაპართა საფლავების მაგინებელი ქართველი ბოლშევიკები განა შეისმენდნენ ამ გაფრთხილებას?!

ამ ეროვნული შუღლის დათესვის შედეგად გამოსხმულმა ეკლებმა შემდეგ და შემდეგ ქართველი ხალხი სისხლის დენამდე დაკაწრა და დაგლიჯა.

1924 წელს ჟურნალ „ლეილაში" კონსტანტინე (კოკი) აბაშიძეც შემოქმედების თავისუფლებას ქადაგებდა:

> „კოლექტივიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ: კოლექტივიზმი შემოქმედებაში, კოლექტივიზმი ყველგან და ყველაფერში. პიროვნება მივიწყებულია. ჩვენი მწერლობა ასცდა ამ საერთო ფერხულს, იგი დაუბრუნდა თავის თავს, თავის მეს... იგი დგას თავის პოზიციაზე და გვიმტკიცებს: ხელოვანი იყო და იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი. ჭეშმარიტი ხელოვნების ერთადერთი გზა იყო, არის და იქნება თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი".

მაგრამ კომუნისტურმა ცენზურამ თანდათან შეზღუდა შემოქმედების თავისუფლება და მას დაუტოვა ერთადერთი გზა – დაშტამპული სოციალისტური რეალიზმი.

ბევრი არ დაემორჩილა ამ გზას. ასე მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ესეში ჩინებული ლიტერატორი ერეკლე ტატიშვილი წერდა:

„მონობა?!

რა საფიქრებელია! სიკვდილი სჯობიან!"

და თავადაც კომუნისტური ცენზურის მორჩილებას, როგორც შესანიშნავმა ესეისტმა, გაცლა ამჯობინა, ესეების წერას თავი მიანება.

გასაბჭოების პირველ თვეებში ახალი კომუნისტური ხელისუფლება ირწმუნებოდა – დამოუკიდებლობას არავინ გვართმევს, ჩვენ მას უზრუნველვყოფთო.

ერთხანს ამას, როგორც წყალწაღებული ხავსს, მოეჭიდნენ დამოუკიდებლობის ერთგული ქართველები, იფიქრეს: იქნებ მართლაც შესაძლებელია კომუნისტურმა საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნოსო.

ამის გამოძახილი უნდა იყოს სერგო ამაღლობელის ეს

სიტყვები:

„ქართველი გლეხი მჭადის ნატეხით მოილხენს თუ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტია. ქართველი მუშა მეოთხედ გირვანქა პურს ლოღნით გეახლება, საქართველოს დამოუკიდებლობა თუ რეალობაა“.[7]

ვახტანგ კოტეტიშვილი კი უფრო კატეგორიულია, ეს საკითხი სათუოდ არ მიაჩნდა. აი, რას წერდა იგი:

„საქართველოს მშრომელი ხალხი აიტანს შიმშილს, სიცივეს, შავ ჭირს, თვით სიკვდილის წინაშეც კი არ შედრკება, მაგრამ თავისი ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას არ დასთმობს არსოდეს“.[8]

ვინ იტყვის, რომ ეს სადღეისო თავსატეხი და საზრუნავი არ არის!

მაგრამ დავუბრუნდეთ მე-20 საუკუნის ტრაგიკულ დღეებს. მაშინ ბოლშევიკებს არ მოსწონდათ ასეთი აზრები, დამსმენებისთვის განძი იყო სერგო ამაღლობელის ასეთი გამონათქვამიც:

„დღეს ჩვენში არც კაპიტალიზმია და არც სოციალიზმი. მარტო სახელი სოციალიზმს არ ქმნის“.[9]

ასეთი აზრების გამოთქმას 1921-1922 წლებში ითმენდნენ, მაგრამ იმახსოვრებდნენ, ხოლო 1937 წლისთვის ცა თანდათან მოიქუფრება...

როგორ დაუვიწყებდნენ კომუნისტები ყოველივე ამას გამოჩენილ მოღვაწეებს, ლიტერატურის მკვლევარს ვახტანგ კოტეტიშვილსა და დრამატურგსა და თეატრმცოდნე სერგო ამაღლობელს!

და მართლაც ორივე მოსპეს 1938 წელს.

'სერგო ამაღლობელი სხვა წერილ'შიც კანონიერად მოითხოვდა: *„თავისთავად დაწესებულებათა გაეროვნება არც ნაციონალიზმია და მითუმეტეს არც შოვინიზმი. ეს უბრალო ადამიანური და ელემენტარული მოთხოვნილებაა, რომლის წინააღმდეგ დღეს პრინციპიალურად ვერავინ ხმას ვერ ამოიღებს, მაგრამ არ ყმარა პრინციპების ჰაერში ჩამოკიდება. პოლიტიკა უმთავრესად პრაქტიკაა და ამდენად ყოველი პრინციპი სინამდვილეში უნდა ნაღდდებოდეს, იქ უნდა*

მტკიცდებოდეს".[10]

1922 წელსაც აწუხებდა ს. ამაღლობელს ეს ეროვნული სატკივარ-საზრუნავი:

„არაერთხელ ყოფილა გამოტანილი დადგენილება ქართული ენის სახელმწიფოებრივობის შესახებ, მაგრამ ზოგი დადგენილება ამისათვის არ არსებობს, რომ შესრულდეს".[11]

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „პოეზიის დღე" 1922 წელსაც განაგრძობდა შეურიგებელი ლექსების ბეჭდვას.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე, პოეტი კოტე მაყაშვილი სწორედ აქ დაბეჭდილ ლექსში („ჩემს მაროს") საკუთარ უბედურებასთან ერთად (1921 წლის თებერვალში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისას ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლებში დაიღუპა მისი ქალიშვილი, მოწყალების და მარო მაყაშვილი) საერთო ტრაგედიასაც - საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვასაც დასტიროდა:

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა
მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
...
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ
მხობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე
მშობელი!
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიტირო
რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა
ცრემლთა მშრობელი!

იქვე, 1922 წლის „პოეზიის დღეში" კონსტანტინე გამსახურდიაც მთელი პირდაპირობით და სიმწვავით იცავდა საქართველოს და ქართულ ენას:

„ისინი, ვინც ათეულ წლებს ატარებენ ჩვენი ეროვნების წრეში და ქართულ ლაპარაკსა და წერას არ კადრულობენ, ღირსი არ არიან ჩვენ მათ გასაგებ ენაზე ველაპარაკოთ, ვისაც საქართველო და ქართული კულტურა ქართველებიანად უყვარს (და არა

უქართველებოდ), მათ კეთილ ინებონ და ჩვენი
ენაც ისწავლონ".

ამას მწერალი წერდა ბოლშევიკურ საქართველოში, დღეს კი დამოუკიდებელ საქართველოში ვერიდებით ამის ხმამაღლა თქმას.

საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ბეჭდვითმა ორგანომაც, „ლომისმაც" შეშფოთებული ლექსებით დაიწყო 1922 წელი – 8 იანვარს შეორე ნომერში გამოჩნდა „ობოლი მუშის" ანუ სოლომონ თავაძის ლექსი არაორაზროვანი სათაურით „1921 წლის გარდაცვალებაზე" და იქვე 1 ოქტომბერს დაბეჭდილი მეორე ლექსი „ღამე ლანდებით". პოეტი სხვა ლექსებშიც არა და არ ურიგდებოდა თავისუფლების დაკარგვას:

გაფრინდა სიყრმის ნაზი ზმანება
და შეიცვალა ქვეყანამ ფერი...
ბნელ უფსკრულებში მიექანება
მშობლიურ ცისქვეშ სისხლის ნამქერი.

ღმერთო, მშველელი დღეს არვინ მივის
და ტანჯვის სერზე ჯვარს ვერ ავიტან,
როცა სამშობლო მოსჩანს ლანდივით
ამ შავი ღამის ცივ მწვერვალიდან.

ჟურნალ „ლომის'შივე" 1923 წელს ზედიზედ იბეჭდება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამწარებული პოეტის ვასო ტუქსიშვილის ლექსები:

„საყვედური ბიძას" – რომელშიც გაისმა შინაურთა ღალატით (რასაც პოეტი „უწამლო სენს" უწოდებს) გაოგნებული პოეტის ამოძახილი: *„ნამუსის ქედი ჩამოწვა, ქვეშ მოიტანა „სოფელი!";*

„ორი შაირი" – ჩვენებურ მოღალატეთა მიერ მოყვანილი „მოკეთის" „მოფერება":

მოსისხლე კერაზე მიზის, მიცქერის მოძმე-
მოყვრედა,
ფეხზე შემდგარი შაშხანა დაჰკიდა დედა
ბოძზედა!
ვინ მოიყვანა ჩემს კარზედ, ვინ წამოუძღვა
მოგზედა?

„წვერწვეტი შაირი" –
ნობათი საქართველოს დამღუპველებს:

სიკვდილო გარს მივლი, რას მელაციცები?
ვიღაც დასვრილი ძმობას მეფიცები:
„უნებლივ გაგთელე!“ – მეტყვი მოწიწებით –
ვეღარ გამამთელებ მე მაგ კოწიწებით...
თებერვალს გადამცეს, როგორც ნაობარი,
იქ თავში ქვა დამცეს, გავხდი ხეიბარი,
მარტმა მითნია, ან გზა საით არი?
ვინ ხარ, რა გიქნია, წადი, წაეთარი!“[12]

ჟურნალ „ხომალდშიც“ ალ. აბაშელი კვლავ და კვლავ იჩენდა შეურიგებლობას:

დამიხშეს ფიქრთა სურნელება და
მომიშხამეს,
ანთებულ გულში ჩამისვენეს ქრისტეს
ბარძიმი.

ცისფერყანწელი კოლაუ ნადირაძის მწვავე სიტყვები 1922 წელს ნაკარნახევი იყო სამშობლოს ბედზე წუხილით და მისი გამოფხიზლების სურვილით:

„მე საქართველო მაგონდება ისევ ტკივილით:
მისი წარსული უიმედო და მომავალი,
დღეს ცივი ქარი დაგვტრიალებს მწარე
კივილით,
სამშობლო ბრიყვო, რომ იტვირთე უმადლო
ვალი.
დაბერებული, მოჩვარული და ნაწამები
კიდევ ბევრ ჯვარცმას გადაიტანს შენი
სხეული,
ო, კიდევ ბევრჯერ შენ ცრემლებით დაინამები
და კიდევ ბევრჯერ დაგიტირებ
თვალდახეული“.[13]

რას საქმიანობდა ამ დროს საქართველოს მწერალთა კავშირი?

აი, იმ დროის მომსწრე, შემდეგ ემიგრაციაში წასული მწერლის აკაკი პაპავას ნაამბობი:

„მაშინ ქართული მწერლობა მტკივნეულად
განიცდიდა 26 მაისის საქართველოს დაკარგ-
ვას. პირველ თვეებში ჩვენი კავშირი მხნეობით

და თავგამოდებით იცავდა ძველ ტრადიციებს, მწერლები შავ ჩოხებში გამოწყობილნი ჩუმად გლოვობდნენ თავისუფლების დაკარგვას".[14]

ძვირფასო მეგობრებო, თქვენ ალბათ გინახავთ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამ ჩოხოსანთაგან ოთხი რჩეული ქართველი მწერლისა და მოღვაწის ალექსანდრე აბაშელის, პაელე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიასა და ვახტანგ კოტეტიშვილის სურათი...

დიახ, ქართველმა მწერლებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად მტკიცენეულად განიცადეს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ეს კიდეც გამოხატეს ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებში, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი და კიდევ მრავალგზის გვექნება.

1917 წელს პეტერბურგსა და მოსკოვში ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და სამოქალაქო ომის გაჩაღების შედეგად დატრიალებულ უბედურებებს საქართველოში ბევრი რუსი მწერალი და ხელოვნების მოღვაწე გამოექცა. ქართველი საზოგადოებრიობა, კერძოდ, მწერლები მათ ღირსეულად დაუხვდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩამოსულთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებსაც საქართველო უყვარდათ მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში.

ჩვენ ყველას უნდა ვიცნობდეთ, მეგობრებსაც და ვითომ მეგობრებსაც, იმიტომ, რომ ასეთი რამ მათ 70 წლის შემდეგაც გაიმეორეს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა.

ახლა გაგაცნობთ ადგილს ცნობილი რუსი მწერლის ილია ერენბურგის მოგონებიდან, რომელიც კარგად გვისურათებს 20-იანი წლების თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას.

ყირიმიდან თეთრგვარდიელებს გამორიდებული ი. ერენბურგი და მისი თანამგზავრები 1920 წელს ბარჟით ფოთში მოვიდნენ. ახლა მოვუსმინოთ თავად მწერალს:

„იქიდან მატარებლით თბილისამდე ჩავაღწიეთ. საით წავიდეთ? სადაა საელჩო? საითაა მოსკოვი? ჩვენ ცოტათი დავიბენით უცხო ქალაქში უსაბუთოდ და უფულოდ.

არის ხოლმე ცხოვრებაში ის ბედნიერი

შემთხვევითობა, რომელსაც ზოგჯერ მიმართავენ მწერლები, როდესაც გამოუვალ ამბავს ბედნიერ დაბოლოებას მიაწერენ. გოლოვინის პროსპექტზე ოსიპ მანდელშტამი შემოგვხვდა, გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა. იგი ფეხქვეშ უკვე ნიადაგს გრძნობდა და საქმიანად გვითხრა: „ახლა ჩვენ ტიციან ტაბიძესთან წავალთ და იგი შესანიშნავ დუქანში წაგვიყვანს...“

მანდელშტამმა გვიამბო თავისი თავგადასავალი. ბათუმში შავი ჭირის ეპიდემიის შიში ჰქონდათ და ალყა შემოარტყეს იმ უბანს, სადაც ოსიპ ემილის ძესა და მის ძმას ოთახი უქირავნიათ. მანდელშტამი მარჩიელობდა, რისგან მოვკვდები: რომანტიკული ჭირისაგან თუ ვულგარული შიმშილისაგანო. მისი ფიქრი შეწყვიტეს მენშევიკების საიდუმლო პოლიციის აგენტებმა, რომლებმაც იოსიპ ემილის ძე ციხეში ჩასვეს. ამაოდ ცდილობდა იგი დაერწმუნებინა ციხეში ცხოვრებისათვის არ ვარ შექმნილიო – ამან არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ის ამბობდა: იოსიპ მანდელშტამი ვარ, პოეტური კრებულის „ქვის“ ავტორი, მას კი უპასუხებდნენ – გენერალ ვრანგელისა და ბოლშევიკების ჯაშუში ხარო. საკმარისი იყო შეგეხედათ ოსიპ ემილის ძისათვის, რომ მიმხვდარიყავით, რა ცოტა მსგავსება ჰქონდა არა თუ ორმაგ, არამედ ჩვეულებრივ ჯაშუშთანაც კი, მაგრამ მენშევიკების აგენტებს განსჯის დრო არ ჰ ქონდათ: ისინი ასრულებდნენ გეგმას, იქნებ გადაჭარბებითაც კი (თვით ყველაზე სულელური სათავგადასავლო რომანის ავტორიც კი ზრუნავს ცოტათი მაინც მიამსგავსოს სიმართლეს თავისი ნაწარმოები, პოლიციელები კი თავს არ იმტვრევდნენ – ურჩევნიათ სხვებს უტეხონ თავები). შემთხვევით ბათუმში ჩასულან ქართველი

პოეტები და გაზეთში წაუკითხავთ, რომ „ორმაგი ჯაშუში ოსიპ მანდელშტამი“ თავს პოეტად ასაღებსო. მათ მოახერხეს ოსიპ ემილის ძის გათავისუფლება.

ეს რომ მოგვიყვა, მანდელშტამი ეპოქის თავისებურებებზე ფილოსოფოსობას კი არ მოჰყვა, არამედ წაგვიყვანა ტიციან ტაბიძესთან, რომელიც აღტაცებული წამოძახილებით გვეხვეოდა, კითხულობდა ლექსებს, შემდეგ კი თავის მეგობართან პაოლო იაშვილთან გაიქცა. ჩვენ გავშეშდით, როცა დუქნის მაგიდაზე დახვავებული ნაირ-ნაირი სანოვაგე დავინახეთ, რომლის არსებობის დავიწყება კარგა ხანია მოვასწარით“.[15]

ცოტა გრძელი ამონაწერი გამომივიდა, მაგრამ ერთი რომ ეპოქას გვიხატავს, მეორე – სულ მალე გაიგებთ, ამას რისთვის ვაკეთებ.

მანამდე მოვუსმინოთ ტიციან ტაბიძეს, იმას, ვინც მანდელშტამი იხსნა ბათუმში:

„1920 წლის აგვისტოში მე ვიყავი ბათუმში. ერთხელ ზღვის ნაპირზე, ბანაობის დროს მე დამეწია ბათუმის ებრაელთა კოლონიის ეროვნული საბჭო მთელი შემადგენლობით (მათ გაეგოთ, რომ მე ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი) და მთხოვეს მეშუამდგომლა, ვისთანაც საჭირო იყო, რომ გამენთავისუფლებია მანდელშტამი, რომელიც ყირიმიდან მომავალი დაეტუსაღებიათ ბათუმში. მე გამეგონა მანდელშტამის სახელი და როგორც პოეტმა მოვალეობად მივიჩნიე მისი ბედის შემსუბუქება“.

პაოლომ თავისი პალტო ი. ერენბურგს აჩუქა, ტიციანისა – ო. მანდელშტამს.

ამ უკანასკნელს მაშინაც საჩოთირო თვისებები გამოუჩენია. გასაბჭოების შემდეგ ჩამოსული კი ხელოვანთა სასახლეში დაეპატრონა რუსი მწერლების ოთახს და ისე იქცეოდა, რომ რუსებმა უჩივლეს. კოტე მაყაშვილი იძულებული გამხდარა ო.

მანდელშტამი იმ ოთახიდან გამოეძევებინა.

ბათუმში ჩამოსულ ო. მანდელშტამს „ცისფერი ყანწების" საგინებელი წერილი დაუბეჭდავს, შემდეგ კი მოსკოვში საქართველო უპატივცემულოდ მოუხსენებია და ტ. ტაბიძის გულისწყრომა გამოუწვევია. კერძოდ, აი, რა დაუწერია რუს პოეტს:

„Маленькое независимое государство, выросшее на чужой крови, хотело быть безкровным. Оно надеялось чистеньким и благополучным войти в историю, сжатое грозными силами, стать чем то вроде новой Швейцарией, нейтральным от рождения невинным клочком земли".

ამაზე ტიციან ტაბიძე ასე წერდა („მოგზაური ჭინტოლი"):

„ვისი სახელით ლაპარაკობს მანდელშტამი? განა მას დაავიწყდა თვითონ ებრაელია და ძალად რუსობს?

ასეთი გაიძვერა მაწანწალები სახელს უფუჭებენ რუსულ მწერლობას საქართველოში".[16]

მწარე სიტყვებია, მაგრამ უსამართლობა და უმადურობა არავის ეპატიება!

შალვა ამირეჯიბი

თავი VII.
„ჩეკას“ შექმნა; ცენზურა; პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი

„არის დრო ბობოქარი, დაუდეგარი და ქართველი მწერალი, ისედაც ჩქარი და მოუსვენარი, დღეს მარტოოდენ ნერვების ცახცახით ცხოვრობს.“

მიხეილ ბოჭორიშვილი,
გაზეთი „ლომისი“, 1923, №32

დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების ზემოხსენებულ დადგენილებას და დავით თურდოსპირელის აზრს – საქართველოს გასაბჭოებაში შინაური გამყიდველების როლზე მოგვიანებით ემიგრაციაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში, პოეტი შალვა ამირეჯიბიც შეუერთდა:

„საქართველო დაამხო არა მარტო გარეშე ძალის ზარბაზანმა და ხიშტმა, არამედ ქადაგებამაც, რომელიც თავის თავს ხალხურს უწოდებდა და ქართველ ერს „ქართული“ რეგალიებით მოევლინა. ბრძოლა ისეთ გარეშე ძალასთან და ისეთ ბოლშევიზმთან, რომელიც ჩვენში „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის“, „საქართველოს საბჭოთა მთავრობის“, „საქართველოს ჩეკასა“ და სხვა .ამგვარი სახელწოდებით შემოვიდა, არც ისე ადვილი საქმე იყო! ბოლშევიზმი ჰყვიროდა: დიახ, მე ბოლშევიზმი ვარ, მაგრამ მე ქართველი ბოლშევიზმი ვარო!“[1]

ჩემი მხრივ, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ გასაბჭოების შემდეგ ქართველმა კომუნისტებმა, არ ვიცი ცბიერულად თუ ცოტა თავადაც სჯეროდათ, განაცხადეს: საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო.

ცოტა თავად კომუნისტებსაც რომ სჯეროდათ, იქიდან ჩანს, რომ რიღესაც საქართველო 1922 წლის დამლევს შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში შეიყვანეს, რაც დასაწყისი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნების იმედის გაცრუებისა, თვით

ისინიც კი, ვინც მე-11 არმიას საქართველოში შემოუძღვნენ (ბოლო მდივანი და სხვები) შეწუხდნენ, შეფუცხუნდნენ, მაგრამ გვიანი იყო. ისინი „უკლონისტებად" შერაცხეს, ამისთვისაც დატუქსეს და იმიტომაც, რომ ისინი თავს იკავებდნენ ეროვნული ძალების მიმართ ტერორის გამოყენებისა თუ პოლიტპატიმრების საქართველოდან გადასახლებისგან.

მოგვიანებით კიდეც მოხპეს.

სხვათა შორის, საქართველოს ჩეკას უფროსებიც კოტე ცინცაძე და კოლია ოკუჯავა ნაციონალისტურ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ და ამიტომ გადააყენეს.

ასეთი ხალხის მაგივრად დაუნდობელ ადამიანებს აწინაურებდნენ. აი, ამის მაგალითი:

როგორც ლ.ბერიას უსაიდუმლოესი და უძველესი თანამშრომელი მანუჩარ შელია მოწმობს, 1922 წელს საქართველოში ჩამოსულ სტალინს უთქვამს: საქართველოში სარეველამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნასო.

სუფრაზე მერიქიფედ მყოფ ჩეკას განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს, საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსს ლ. ბერიას უპასუხნია: *„სარეველასაც აღმოვფხვრით და*



მეტეხის საპერობილე, სიბჭოთა წლებში – „გამასწორებელი სახლი №2"

„მეტეხი" – ბევრის წელში გამტეხი"

დავით მეჩონგურე (ქარცივაძე)

საქართველოსაც გადაგხნავთო".[2]

ცოტა ხანში მას საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოადგილედ ნაშნავენ. 1927 წლიდან კი ამ პასუხმა თავმჯდომარეობა მოუტანა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, კომუნისტების მტკიცებას – საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც შევინარჩუნებთო – როგორც წყალწაღებული ნავს, ისე ჩაეჭიდა თავისუფლება და დამოუკიდებლობაწართმეული ზოგიერთი ქართველი, იფიქრა: ჯანდაბას, იყოს კომუნისტური ხელისუფლება, ოღონდ დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთო. ამას იმდროინდელი მოღვაწის ქრისტეფორე იმნაიშვილის მოგონებაც ადასტურებს:

> „თუ რა მოელოდა საქართველოს ახალი მდგომარეობის შექმნის გამო, ამაზე ხალხის აზრი მეტად ჭრელი იყო, ფართე მასაში ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს „ბოლშევიკებთან საერთო ენა მოინახებოდა და ეს საქართველოს დაპყრობა არ გადაიქცეოდა ისეთ დაპყრობად, როგორც ეს ხდება ასეთ შემთხვევაში".[3]

მაგრამ მალე, ეს იმედიც რომ გაუცრუვდათ, თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენაზე დაიწყეს „ფიქრი, აჯანყებისთვის მზადება მიჰყვეს ხელი, რაზეც ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. ახლა კი საუბარი იმ მოძრაობის ხელთამძღვანელი საგანგებო კომისიის („ჩეკას") შექმნის თაობაზე გავაგრძელოთ.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა პირველივე დღეებიდან დაიწყეს პოლიტიკური რეპრესიები. მათ დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდათ გარდა პროლეტარიატისა ყველა სხვა კლასისა და ფენის დათრგუნვა-მოსპობა. ამიტომ საჭირო აღარ იყო ბრალდების ძებნა, გასამართლება. ეს იყო მანამდე გაუგონარი ბარბაროსული ანგარიშსწორება!

საყოველთაოდ გახდა ცნობილი რუსი ბოლშევიკების ბელადის ლენინის განკარგულებანი დაუნდობელი წითელი ტერორის განხორციელებისა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ბურჟუები, თავადები,

სასულიერო პირნი, ინტელიგენტები, მეფის არმიის ოფიცრები იყვნენ.

ლენინის, ბოლშევიკური რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს იუსტიციის სახალხო კომისრის დ. კურსკის, შინაგან საქმეთა სახკომის გ. პეტროვსკისა და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ვლ. ბონჩ-ბრუევიჩის ხელმოწერილ სახკომსაბჭოს 1918 წლის 5 სექტემბრის „დადგენილებაში წითელი ტერორის შესახებ" ნათქვამს – *„აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკა დავიცვათ კლასობრივი მტრებისაგან მათი საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირების გზით; დაბვრეტას ექვემდებარება თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან, შეთქმულებთან და ამბოხებულებთან დაკავშირებული ყველა პიროვნება"*, – რა გასაკვირია, გამოხმაურებოდნენ ყოველივე ამის შესასრულებლად შექმნილი „საგანგებო კომისიის" ანუ „ჩეკას" მაღალჩინოსნები.

აი, რა ინსტრუქციას აძლევდა ამის თაობაზე რიგით ჩეკისტებს ერთ-ერთი ბობოლა ჩეკისტი მ. ლაცისი გაზეთ „კრასნი ტერორში" 1918 წლის 16 ნოემბერს:

> „ჩვენ ვანადგურებთ ზედმეტ კლასებს, ადამიანებს. არ ეძიოთ გამოძიებისას იმის მასალები და დამამტკიცებელი საბუთები, რომ ბრალდებული სიტყვით ან საქმით მოქმედებდა საბჭოების წინააღმდეგ. პირველი შეკითხვა უნდა იყოს რომელ კლასს ეკუთვნის ის, როგორია მისი წარმოშობა, აღზრდა, განათლება, ან პროფესია. ამ შეკითხვებმა უნდა განსაზღვროს ბრალდებულის ბედი. ამაშია წითელი ტერორის აზრი და არსი".[4]

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაბატონებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ – საქართველოს რევკომმა: მამია ორახელაშვილმა (თავმჯდომარე), შალვა ელიავამ, მიხეილ ოკუჯავამ, ლადო დუმბაძემ და გიორგი ელისაბედაშვილმა იმავე დღეს დაადგინეს: *„დაუყოვნებლივ დაიწყოს ჩეკას ორგანიზაცია და დროებით თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ელისაბედაშვილი"*.

გასაბჭოებისთანავე საქართველოს ჩეკისტებმა ნიჭიერად და შთაგონებით გადმოიღეს რუსი ბოლშევიკების მავნე გამომგონებლობა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ

ბრძოლაში – მათ. ე.ი. ქართველმა ჩეკისტებმა, დაწესებულებებთან შექმნეს საგანგებო კომისიის დამხმარეთა ინსტიტუტი. ამას, სხვათა შორის, პარტია კარნახობდა საგანგებო კომისიას. აი, ამისი დადასტურება:

საქართველოს კპ ცკ-ის პრეზიდიუმმა 1921 წლის თებერვლის ბოლოს განიხილა:

„ამხ. კვანტალიანის წინადადება დაწესებულებებთან ხელშემწყობი ბიუროების ორგანიზების შესახებ.

დაადგინა:

წინადადება მიღებულ იქნას.

წინადადება მიეცეს ცკ-ის სამდივნოს საგანგებო კომისიასთან ერთად შეიმუშაოს ამ ბიუროების ინსტრუქცია. ეთხოვოს პარტიის, კერძოდ, ტფილისისა და ბათუმის ორგანიზაციის ყველა წევრს ყოველნაირად დაეხმაროს მუშაობაში საგანგებო კომისიას იმ მხრივ, რომ ორგანიზაციის ყოველივე წევრი იქცეს, ასე ვთქვათ, საგანგებო კომისიის აგენტად მენშევიკებისა და ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცკ-ის მდივანი კახიანი“.[5]

ჩეკამაც მაშინვე დაიწყო მოქმედება. როგორც ლ.ბერიას უახლოესი და ათეული წლების მანძილზე უსაიდუმლოესი სანდოზე სანდო თანამშრომელი მანუჩარ (კაკო) გიორგის ძე შელია თავის მემუარებში აღიარებს. ჩეკამ თავისი ხალხი შეგზავნა მენშევიკებთან – 17 კაცი, ეროვნულ-დემოკრატებთან – 14, ფედერალისტებთან – 8, სოციალ-რევოლუციონერებთან, ანუ ესერებთან – 3 კაცი.[6]

ტერორის დაუნდობლად ჩასატარებლად საჭირო იყო მაგარი ხელი, შეუდრეკელი პიროვნებანი და, აი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა 1921 წლის 7 ივლისს ი.სტალინის წინადადებით საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ.მახარაძე, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მოხსნა და მის ადგილას ბუდუ მდივანი დანიშნა.

ასევე პლენუმმა 1921 წლის 8 აგვისტოს სტალინის წინადადებით დაადგინა: მოიხსნას თანამდებობიდან ბობოლა

მენშევიკები და მათ ადგილას ნელ-ნელა დაინიშნონ აქტიური მუშებიო (პრეზიდენტის არქივი).

პარტიამ ასევე გაამკაცრა ცენზურა. წარმოგიდგენთ ამონაწერს საქართველოს კპ ცკ-ის პრეზიდიუმის 1923 წლის 15 მაისის განკარგულებიდან:

„გაზეთებში „ლომისი" და „პოეზიის დღე" საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ.

1. გაზეთი ლომისი" დაიხუროს;

2. წინადადება მიეცეს ჩეკას – გამოიძახოს და დაკითხოს გაზეთებში „პოეზიის დღე" და „ლომისი" დაბეჭდილი სტატიების ავტორები;

3. დაევალოს ცკ-ის აგიტპროპს – გაარკვიოს მთავლიტში ვის ევალებოდა გამოცემაზე მეთვალყურეობა. ამხ. შავიშვილს გამოეცხადოს საყვედური გაზეთებში „ლომისი" და „პოეზიის დღე" საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სტატიების გაშვებისათვის.

წინადადება მიეცეს მთავლიტს – მკაცრად ადევნოს თვალი საქართველოს ყველა გამოცემას;

4. წინადადება მიეცეს განსახკომს – მოხსნას კ. გამსახურდია უნივერსიტეტიდან;

5. წინადადება მიეცეს ზომლეთელს (ბათუმი) არ ითანამშრომლოს ბურჟუაზიულ გამოცემებთან".[7]

მოგაწვდით კიდევ ერთ საბუთს:

1921 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა (განსახკომი) ითხოვა პიესა „საძ'ობლოს" დადგმის ნებართვა.

საქართველოს კპ ცკ-ის პრეზიდიუმმა დაადგინა (ოქმი №21, 22.XI.1921):

1. უარი ეთქვას;

2. წინადადება მიეცეს განსახკომს რეპერტუარიდან პიესა „ღალატიც" მოხსნას;

3. წინადადება მიეცეს საქრევკომს მთელ რესპუბლიკაში აიკრძალოს ჰიმნი „დიდება";

4. წინადადება მიეცეს განსახკომს ცკ-ის პრეზიდიუმს წარმოუდგინოს თავისი მოსაზრებანი ქართული თეატრის მხარდაჭერის შესახებ.

ცკ-ის მდივანი ორახელაშვილი".[8]

ეტყობა, ამის გამოძახილი იყო, რომ საქართველოს განათლების კომისარიატის კოლეგიაში შეიყვანეს რუსი მწერალი იონა ბრიხნიჩევი (კოლეგიის თავმჯდომარე – საქართველოს განათლების სახკომი ვ. კანდელაკი, მოადგილე – მარიამ ორახელაშვილი);[9]

ბოლშევიკური ხელისუფლება არა მარტო ოპოზიციურად განწყობილ ძალებს ზღუდავდა, არამედ ლიტერატურაში თავის დასაყრდენ პროლეტარულ მწერლებსაც უთვლიდა თუ უმოწმებდა ნაბიჯებს და რადგან „პროლეტკულტი" რუსეთში გამოცდილი ორგანიზაცია იყო, აქაურს კი არ ენდობოდნენ, ქართველ პროლეტარულ მწერლებს მხოლოდ იმ რუსული ორგანიზაციის ერთგულებას თხოვდნენ - საბჭოთა რუსეთში დაარსებული „პროლეტკულტის" ხაზის ერთგული იყავით, ჩვენი ნებართვის გარეშე თვით პროლეტარული მწერლების თაოსნობით გამოცემულ ჟურნალშიც გეკრძალებათ თანამშრომლობაო:

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმმა 1923 წლის 1 ივნისს დაამტკიცა (ოქმი №41) ცკ-ის სამდივნოს სწორედ ასეთი დადგენილება:

„ამხ. რ.კალაძის პროლეტკულტიდან მოხსნისა და ს.ეულის, ი.ვაკელის, ნ.ზომლეთელისა და სამსონიძისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ - ცკ-ის სანქციის გარეშე პროლეტარული მწერლების გაზეთში „ქარხნის ჰანგები" მონაწილეობისათ-ვის".[10]

კოჯრის და ტაბახმელას მიდამოებში მე-11, წითელ არმიასთან ბრძოლაში, დაღუპული ქართველი ახალგაზრდების საფლავებთან სამგლოვიარო ლექსის წაკითხვისთვის მწერალ იოსებ მჭედლიშვილის 1921 წელს დაპატიმრებაზე გაკვრით უკვე მოგახსენეთ. იმ ლექსში პოეტმა უმეტეს ქართველთა

გლოვაც გამოხატა და რწმენაც – მე მაინც რაღაცას ველი, რაღაცა მჯერაო.

რა თქმა უნდა, საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებლობის აღდგენა სჯეროდა.

ამ რწმენამ დიდხანს ვერ შეარიგა ის ბოლშევიკურ სინამდვილესთან, საოცარ გულახდილ ლექსებს წერდა და უფრო გასაკვირი ისაა, ზოგიერთის დაბეჭდვაც მოახერხა. მაგალითად, როგორ დაანებეს 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" დაებეჭდა ლექსი „საყვედურები ჩემს თავს"? ალბათ იმიტომ, რომ ეშმაკური ხერხი იხმარა – თავისთავს აყვედრიდა, რად არ გჯერა საბჭოეთის მიღწევებიო და შემდეგ ეშმაკურად შეაპარა: *„რატომ არ გინდა შეურიგდე იმ სინამდვილეს, რომ შენს მხარეში უკეთესად სხვა გრძნობდეს თავსა?"*

პოეტს არ სწამდა ის თავისუფლება, რომელიც მოგონილი იყო საბჭოეთის მცირერიცხოვანი ერების მრავალრიცხოვან „კეთილისმყოფელებში" გასათქვეფად, მას კი ცინიკურად აძლევდა ნებას – შენც წადი სხვაგან, ვინ დაგიშლის, ვინ დაგაბრკოლებსო.

კიდევ ერთ ლექსზე წუხდა არ დამიბეჭდესო. აბა ვინ გამოუქვეყნებდა ასეთ სტრიქონებს: *„იმდენი ჰქენით, კოლექტივის გოდორში ჩამდეთ", „სიმდიდრისათვის თაღლითობთ იმდენს, რომ ვისაც ჰქონდა, ჩამოართვით საცხოვრებელი და პოლიტცოდნას თქვენშიც ყველა იმისთვის იძენს, რომ ჯიბისათვის მოიხმაროს მარქსი, ბებელი".*

ან იმას ვინ გამოუმზეურებდა, ლექსში სტალინის დედას რომ ეკითხებოდა: შენმა შვილმა მუცელში კოლხოზები არ დაგიარსაო?

1921 წელს პოეტი ადვილად გადარჩა. უფრო გასაკვირი ისაა, ამ ლექსების პატრონმა 1937 წელსაც დააღწია თავი – აქ იმან უშველა, რომ იმ დროს რუსი მეუღლის მიერ ჩრდილოეთში წაყვანილი შვილის საძებნელად იყო წასული... ან იქნებ სწორედ იმიტომაც გაემგზავრა, რომ მოსალოდნელ ხიფათს გასცლოდა.

თუმცა, 1942, მრისხანე წელს მას მაინც მისწვდა შინსახკომის კლანჭები. მაგრამ ამაზე იმ ეპოქის შესახებ საუბრისას მოგახსენებთ.

რა აღტაცებით შეეგება იოსებ გრიშაშვილი საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ამის თაობაზეც მოკლედ უკვე გიამბეთ.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო დღეს კი, 1921 წლის 25 თებერვალს, იოსებ გრიშაშვილი წერს თავის ერთ-ერთ ყველაზე მგზნებარე და მრისხანე ლექსს „ახალ ხელისუფლებას" (იგივე „ქართველ ბოლშევიკებს" ანუ „რუსული ჩექმა"), რომელშიც პოეტი ზიზღს უცხადებს რუსეთის კომპარტიის იმ შარიონეტებს, სხვისი იარაღით, წითელი მე-11 არმიის ხიშტებით რომ შემოვიდნენ დამოუკიდებელ საქართველოში და რუსულ ჩექმებს გაათელინეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენი საუფროვანი დროშა. აი, ეს ლექსი:

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს
გააჯავრებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ
ახალ მთავრებს:
თქვენ ამბობდით: საქართველომ, რაც გინდ
ბევრი გაიბრძოლოს
დიდ რუსეთის კომუნისტად გადიქცევა მაინც
ბოლოს!
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით, ჩვენც
მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის
ხიშტით შემოხველით.
განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი ან ზედ დავსვით
ვინმე მეფედ,
რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ
და ააშხეფეთ;
განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ დროშას
წითელს,
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს
და ყველა სკვითელს;
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს,
ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ
რუსულ ჩექმას,
ზეინაბად გადეიქცევით, გულს ჩავიკლავთ
აღთქმას შმაგურს

და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არც ერთ
კუთხეს, არც ერთ აგურს,
...მაგრამ თქვენში თუ ვიპოვით ჩვენზე კარგს
და ჩვენზე ძლიერს:
უანგარო მამულიშვილს, უანგარო ივერიელს,
და დაიცავთ ჩვენი ერის სილამაზეს, ენას,
დოვლათს,
და ჩვენს ცხელ მზეს არ გარდაქმნით
ჩრდილოეთის მსუსხავ თოვლად,
თუ აღადგენთ საქართველოს ისტორიულ
მთლიან ხაზად,
მაშინ ჩვენს გულს ქვეშევრდომულს თქვენ
დაგიფენთ ფიანდაზად.
ხოლო, ვინმემ თუ გაჰბედა, რომ მოგვსპოს და
გადაგვთელოს –
ვიტყვი: მოკვდა საქართველო, გაუმარჯოს
საქართველოს!

რეჟისორ მარიამ აბრამიშვილის მოგონების მიხედვით იოსებ გრიშაშვილს ამ ლექსით მთავრობისათვის მოუმართავს თავის შემოქმედებით საღამოზე ოპერის თეატრში.''

ეს ლექსი ზეპირად ვრცელდებოდა, დაბეჭდვა მხოლოდ 1989 წლის 12 დეკემბერს ეღირსა – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოაქვეყნა მწერალმა ბონდო არველაძემ.

მაგრამ ი. გრიშაშვილის აღშფოთება ერთ-ორ პოეტურ ნაწარმოებში ვერ ჩაეტეოდა. აკი პოეტი 1922 წელსაც, გასაბჭოებულ საქართველოშიც წერს საშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სევდით დამძიმებულ მშვენიერ ლექსს „ჩემი ლოცვა", რომელსაც ამავე წელს „ილიონში" (№1) დაბეჭდვის შემდეგ დიდხანს არ ღირსებია გამომზეურება;

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ
სხვაგვარი:
მე არ მინდა სასწაულად მომივლინო
ნინოს ჯვარი,
ახ, არ მინდა მე არც საბა, ახ, არ მინდა არც
ისახარ –
დღეს ჩემს გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა
ჩაისახა:
მე მინდა რომ საქართველო – ეს სამოთხის

შვების წყარო, –
მტრებს არ მისცე საჯირითოდ, შეიტკბო და
შეიყვარო!..
მეუფეო, ყოველ მხრიდან გვეხვეოდა მტერი
გველად:
ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის
ასაგველად,
სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ
ურდო, ურდოთ...
მაგრამ კმარა, მეუფეო, აღარა გვსურს
გავიქურდოთ,
გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი,
სენი...
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი...
დაიხსენი...
ღმერთო! ხმლების ნიშნობაში ბევრჯელ
დილა დავაღამეთ,
ბევრჯელ ჩვენი პერანგები მტრების სისხლით
გავახამეთ –
და ჰა, ღმერთო, ხელაღპრობით გეეედრება
ხალხის გული:
მზით შეგვიმკე ჩვენ ეს შუბლი, შუბლი
ტანჯვით გადახნული,
დაგვაძინე როგორც ქარი, გაგვაღვიძე
როგორც მთვარე...
საქართველო, მეუფეო, დაიფარე... დაიფარე...
მაგრამ თუკი, ოი, ღმერთო – ჩაგვითვლიან
ლოცვას ტყვილად:
ლოცვას წყევლად გადავაქცევთ, ავადუღებთ
ცრემლებს ტყვიად, –
და ვაი მას, ვინც მტრის სტვირზე თავის
ჰანგსაც ახმატკბილებს,
მას პასუხსაც არ ვაკადრებთ, მას
ჩავუმტვრევთ სიბრძნის კბილებს
მას შხამადაც შერგებია ჩვენი დედის ტკბილი
ხსენი...
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი...
დაიხსენი...

1922 წლის 8 დეკემბერს რუსთაველის თეატრში კ.

მარჯანიშვილის დადგმით „ცხვრის წყაროს“ წარმოდგენის დროს უცებ მოქმედება შეჩერდა და რეჟისორმა ალ. წუწუნავამ საზოგადოებას ამცნო: სპექტაკლს ჩვენებური სახელოვანი დრამატურგი და მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი ესწრებაო.

დარბაზმა ოვაცია გაუმართა ალ. სუმბათაშვილს, ბუნებრივია, ვიღაცას გაახსენდებოდა და ი. გრიშაშვილს მოითხოვდა მსახიობისადმი მიძღვნილი ლექსის წაკითხვას.

ი. გრიშაშვილმა მისთვის ჩვეული არტისტულობით წაიკითხა ჯერ კიდევ 1916 წელს დაწერილი, საქართველოს გმირულ წარსულზე შექმნილი დრამის ავტორისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის პატრიოტული სულისკვეთება ამჟამად უფრო მკვეთრად გაისმა და „ღალატის“ ავტორისადმი მიმართული გულმხურვალე მისალმება ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში გადაიზარდა...

ხოლო როცა საქართველოს, ისეც დამწვარ-
დატანჯულსა
უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას,
რჯულსა –
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის ფიცით
და მსურს მეც ვთქვა: ხანჯლის დაკვრა
ქართველებმა გულში ვიცით

მეფის რუსეთისადმი მიმართული ეს სიტყვები ახლა სულ სხვანაირად – ახალი დამპყრობლებისა და მათ მიერ დასმული ხელისუფლების წინააღმდეგ აჟღერდა, ხოლო „რუსული ჩექმის“ მწარე სიტყვები ხომ უშუალოდ საქართველოს ახალ კომუნისტურ ხელისუფლებას ამათრახებდა.

ამას ვინ მოუთმენდა? და პოეტი ერთი დღის შემდეგ, 5 დეკემბერს დააპატიმრეს.

პოეტმა-ფუნაგორისტებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს მომხდარი ფაქტით და გაავრცელეს კვიმატი ლექსი, რომლის ერთი, უფრო დელიკატური ვარიანტი, ასეთია:

გრიშაშვილი ციხეშია,
ვერ გამოვა დიდხანს, დიდხანს
და ლექსების წერის ნაცვლად
დაჯდება და კეფას იფხანს.

არ გამართლდა ამ ფუნაგორიის წინასწარმეტყველება – ოთხებ გრიშაშვილი არც ისე დიდხანს იჯდა ციხეში.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ (თავმჯდომარე – კოტე მაყაშვილი) ოთხებ გრიშაშვილის თავდებით გასათავისუფლებად საგანგებო კომისიასთან (ანუ – ჩეკასთან) მოსალაპარაკებლად თავისი მანდატით აღჭურვა მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი კონსტანტინე გამსახურდია (1922. 12.III. №369).[12]

კ. მაყაშვილის, კ. გამსახურდიას, შ. დადიანის და საერთოდ სამწერლო ორგანიზაციის ავტორიტეტმა იხსნა ი. გრიშაშვილი. ამათგან ამ ამბის თაობაზე. როგორც ვიცით, მარტო შ. დადიანმა დაგვიტოვა მოგონება:

> „ზოგიერთი ჩვენი მწერალი და მათ შორის გრიშაშვილიც დაატუსაღეს, კოტე (მაყაშვილი, რ. კ .) გაემართა მთავრობისაკენ და მეც თან წამიყვანა.
>
> კოტე და მე დიდი ზრდილობით მიგვიღო ცინცაძემ (ჩეკას უფროსი, რ. კ.) ძალიან თავაზიანად მოგვისმინა და როდესაც ავუხსენით, რომ დატუსაღებულებს არავითარი პოლიტიკური დიდი დანაშაული არ მიუძღოდათ, მაშინ გვკითხა ვინ უთავდებებს იმათ, რომ თუნდაც ასეთ არა დიდ დანაშაულს აღარ ჩაიდენენო. მაშინ კოტემ დიდის რიხით განუცხადა, რომ თავდები მე და შალვა ვართო. ამაზე ცინცაძეს გაეცინა, შემოგვხედა და გვითხრა: „თქვენ კი გენდობითო?“ ამაზე დავინახე, რომ მაყაშვილი გაფითრდა, მე კი გამეღიმა, მაგრამ უთუოდ ეს ღმეჭა უფრო იყო, ვიღრე ღიმილი, მაგრამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ კოტემ და მე მაშინ, როდესაც ცინცაძემ ჩვენი თანდასწრებით ტელეფონით უბრძანა, რომ ტუსაღები გაენთავისუფლებინათ“.[13]

დრამატურგი სიო ჭანტურიშვილი გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკას ჩამოშორდა. მაგრამ მაინც არ უვიწყებდნენ

დამოუკიდებელი საქართველოს ერთგულებას (მაშინ ის გურიის ერობის თავმჯდომარე იყო). გავიდა ხანი და იგი 1923 წელს მეორედ დააპატიმრეს.

სწორედ მაშინდელი შეიაბეჭდილებები შემორჩა სიოს ერთ-ერთ ვაჟს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ლევან ჭანტურიშვილს. ჩემთვის გადმოცემულ ამ მოგონებას დღეს დოკუმენტის ღირებულება აქვს:

„მე პატარა ვიყავი, როდესაც ზაფხულის ერთ დღეს დედამ ციხეში წამიყვანა მამასთან შესახვედრად. კარგად მახსოვს სახლი, ის ახლაც იქ დგას, ნიაღვრისა და პავლე ინგოროყვას ქუჩების გადაკვეთაზე, მისი ახლანდელი ბინადარნი აინუნშიც არ არიან, რა ხდებოდა მათ შენობაში.

შევედით დიდ ცარიელ ოთახში, რომელიც გადატიხრული იყო მოაჯირით.

იქითა მხარეს ქვევიდან კიბეები ამოდიოდა. სულ მალე წვეროსნებმა დაიწყეს ამოსვლა. მე ვიღაცამ ამიტაცა და ხელიდან ხელში გადაცემით მოაჯირს იქით აღმოვჩნდი. იქ მამაჩემმა ამიყვანა ხელში, მკოცნიდა. მე კი უფრო ეზოსაკენ ვიყურებოდი, სადაც სატვირთო მანქანა იდგა – კარგად ჩანდა ეს შორეულ ფანჯარაში.

მრავალი წლის შემდეგ ეს მოგონებები გავუზიარე ჩემს აწ განსვენებულ ნათესავს თამარ დოლიძეს, რომელიც ხანმოკლე დროით თვითონაც იყო დაპატიმრებული. მან მითხრა: ის სატვირთო მანქანა რომ არახრახდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, სარდაფში პატიმრებს ხვრეტდნენო“.

მაშინ, 1923 წელს, ისევე როგორც იოსებ მჭედლიშვილი და იოსებ გრიშაშვილი, დავით თურდოსპირელი და სამსონ ფირცხალავა, იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი) და სილიბისტრო რემონიძე (თაქართქილაძე), სიო ჭანტურიშვილიც საგანგებო კომისიის („ჩეკას“) ბრჭყალებიდან

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს შუამდგომლობამ იხსნა.

მაგრამ 30-იან წლებში სიო ჭანტურიშვილი და სილიბისტრო რემონიძე დახვრიტეს, ხოლო მოგვიანებით, 1951 წელს, ემიგრაციიდან ბებერი ძველების მშობლიურ მიწაში ჩასასვენებლად დაბრუნებული 79 წლის სამსონ ფირცხალავა უსინდისოდ დააპატიმრეს, 1952 წელს გადაასახლეს და სადღაც გზაში დაიღუპა...

საქართველოში შემოსვლისთანავე ბოლშევიკებმა სასულიერო პირებს წვერის გაპარსვა და ანაფორის გახდა მოსთხოვეს, ბევრი მღვდელი გადაასახლეს, ზოგიერთი კიდეც დახვრიტეს...

1922 წლის ოქტომბერში საქართველოს კპ ცკ-ის ნაციონალურ-უკლონისტური ხელმძღვანელობის გადადგომის შემდეგ მათ ნაცვლად დასმული მკაცრი ხელმძღვანელობის მეთაური ბესო ლომინაძე მოსკოვს ატყობინებდა: ჩვენ 1923 წელს 1500-ზე მეტი ეკლესია დავკეტეთო. ბევრი ეკლესია დაანგრიეს, ზოგი თავლად, საწყობად, მაღაზიად, უკეთეს შემთხვევაში კლუბად გადააკეთეს. ერთ-ერთ გადაკეთებულ ეკლესიაში, თბილისის ცენტრში ჭადრაკის კლუბი იყო...

გაასამართლეს პატრიარქი ამბროსი, რომელმაც გენუის კონფერენციას წარუდგინა თხოვნა საქართველოს საქმეში ჩაერიეთო... პატრიარქს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ 9 წლის პატიმრობით შეუცვალეს.

მართალია, ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი იმ წლებში გაამართლეს, მაგრამ 1924 წელს ეს 70 წლის მოხუცი დახვრიტეს...

წარმოგიდგენთ იმ დღეების მოწმის ემიგრანტი პოეტის შალვა ამირეჯიბის ჩანაწერს:

> „VIII საუკუნეში მოწამებრივად აღსრულებული არგვეთის მთავრების – წმინდა დავითისა და წმინდა კონსტანტინეს ნეშტი მოწამეთას მონასტერში განისვენებდა. გადმოცემით ამ ორი ნეტარი წმინდანის სხეულები ხელუხლებელი იყო. კომუნისტებმა მათი სხეულის ნაწილების შეურაცხყოფა

განიზრახეს. ჩეკამ და კომკავშირლებმა მონასტრისაკენ მიმავალი ყველა გზა წითელ რაზმებს გადააკეტინეს. ბერებმა მონასტრის კარი გამოკეტეს. მათ არ უნდოდათ წმინდა ადგილის შეურაცხყოფასა და მკრეხელობაში მონაწილეობა და მოწამეთა დატოვეს. კომუნისტებმა კარი შეაძტვრიეს და მონასტერში შეცვივდნენ. გახსნეს ორივე კუბო. ხელში აიღეს წმინდა დავითისა და წმინდა კონსტანტინეს სხეულის ნაწილები. ეს თავზარდამცემი კორტეჟი ქუთაისისაკენ საბჭოების დროშების ფრიალით დაიძრა. ერთ-ერთ ბოლშევიკს, რომელიც მანქანაში იჯდა, ხელში ორივე წამებულის თავის ქალა ეჭირა. ერთმანეთს ურახუნებდა და გაჰკიოდა – თუ წმინდანები არიან დამსაჯონო! ხალხში აღშფოთებული შეძახილები ისმოდა, – შენ უკვე დასჯილი ხარ, შეშლილხარ, ამ საშინელებას რომ სჩადიხარო. ამის გამო რამდენიმე კაცი მაშინვე დააპატიმრეს. ბოლშევიკებმა წმინდანთა ძვლები ყველას დასანახად გამოფინეს და მოსახლეობას უბრძანეს ძვლების წინ ჩაევლოთ. ხალხმა დიდი მოწიწებით ჩაიარა წმინდანთა ნეშტთან. ხმა დაირხა: ნამდვილი ცხედრები ბერებმა საიმედო ადგილას გადამალესო. ხალხმა დაიჯერა და შვებით ამოისუნთქა".

უნდა შეგახსენოთ: წარსულის შეცდომებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ აღარ გავიმეორეთ. მაგრამ არ გვიყვარს შეცდომებზე საუბარი, არადა, ეს რომ სცოდნოდათ, იქნებ XXI საუკუნეში უშველებელი თვითმცლელი ავტომანქანით არ შეეძტვრიათ გლდანის ეკლესიის კარები. ეს ამბავი, ამ ღვთის საგმობი საქმის შემსრულებელთა და დამკვეთთა სახელები და სახეები ხომ სიტყვიერი და წერილობითი სამუალების გარდა ვიდეოგამოსახულებითაც გადაეცემა ჩვენს შთამომავლობას!..

მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი განძი და სიფიცარ-სალოცავი

ენა, მამული და სარწმუნოებაა. მამული ჯერ 1801 წელს წაგვართვა იერიმა რუსეთმა. შემდეგ 1921 წელს – წითელმა მოსკოვმა. სარწმუნოების დამოუკიდებლობაც ამ ერთმორწმუნე მეზობელმა გაგვიუქმა და ჩვენი ეკლესია-მონასტრების ფრესკები თეორი სადებავით გადაგვიღება. ახლა უნდა მოგახსენოთ როგორ ეცადა ჩვენი ენისა და მწერლობის მოსპობას:

ამაზე მოგვითხრო ასევე იმ დღეების მომსწრე მოღვაწემ და მწერალმა, საქართველოში ახლადდამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასასურველმა, აკაკი პაპავამ.

იგი განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული აკადემიური ცენტრის სახელოვნო კომიტეტში (თავმჯდომარე – გრიგოლ რობაქიძე). განაგებდა ლიტერატურის განყოფილებას.

განათლების კომისარიატში რუსები ბატონობდნენ.

აი, როგორ იგონებდა ამ ამბავს აკაკი პაპავა ემიგრაციაში ყოფნისას პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონში“:

> „განათლების კომისარიატი ბრიხნიჩოვისა და ბოგდატიევის მეთაურობით სასტიკად გვიტევდა და ჩვენი კავშირი კომუნისტური მწერლების სათარეშოდ უნდოდათ გაეხადათ. დატრიალდა ეულის მეთაურობით მათი სექტორი.
>
> მაგრამ მტკიცედ შეკრული დაუხვდა მათ მთელი ქართველი მწერლობა და მებრძოლი საქართველო.
>
> და, აი, სიმტკიცე გამოიჩინეს გრიგოლ რობაქიძემ და მისმა მეგობრებმა პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ნ. მიწიშვილმა და სხვებმა, რომელთაც „შემარბილებელი“, ცოტა უცნაური და ჩვენთვის მიუღებელი პოზიცია დაიჭირეს და თავიდანვე თანამშრომლობის გეზი აიღეს.
>
> ყველა ამათ გრიგოლის მეთაურობით ჩააგონეს ხელისუფლებას, რომ მწერალთა სიმაგრის აღება მეტად ძნელი საქმე იყო და ბევრ რამეში დათმობა სჯობდა... და ორახელაშვილ-ელიავა-მდივნის ურჩობა მოსტეხეს.

ბრძოლა პირველივე დღიდან გამწვავდა. ჩვენი ასპარეზი დღითი-დღე იზღუდებოდა, შავი ძალები ბრიხნიჩოვის მეთაურობით შეუპოვრად გვიტევდნენ და მე სულ მალე „ჩეკას“ განკარგულებაში მოვხვდი.

მწერალთა ერთმა წრემ ფილიპე მახარაძეს მიმართა, როგორც ქართველ მწერალს და „კავშირის ძველ წევრს“... ფ. მახარაძემ კ. ცინცაძეს „ლმობიერება“ მოსთხოვა და მე ჩეკას კლანჭებიდან დამიხსნეს, მაგრამ ლიტერატურული განყოფილება ჩამომართვეს“.[14]

ფ. მახარაძეს მსგავსი მოსაწონი საქმეები სხვაც რომ ჰქონდეს გაკეთებული, ვერა და ვერ გადასწონის საქართველოს წინაშე ჩადენილ მის მთავარ დანაშაულს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ის (და „ჩეკას“ უფროსი კოტე ცინცაძე) ცოტა რიგიანად მოქცეულა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მოგვიანებით, 1925 წლის აპრილში თბილისში რუსეთის პროლეტარულ მწერალთა უკიდურესი მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერის ილია ვარდინის (ეს ვარდინი ქართველი იანიჩარი ილარიონ მგელაძე გახლდათ) მოხსენების ირგვლივ გამართული კამათის დროს, როდესაც მომხსენებლის მემარცხენული გამოსვლით წაქეზებულ-გამხნევებულმა ქართველმა პროლეტ-მწერლებმა ცისფერ-ყანწელები გალანძღეს. ტიციან ტაბიძე იძულებული შეიქმნა გაეხსენებინა: *ვიღაც ბოგდატიევმა 4 წლის წინათ ლათინურ შრიფტზე გადასვლა გვირჩია, მაგრამ მადლობა ღმერთს, ახლა ცოტა უკან დაიხიაო.* – და ამით პროლეტმწერლებსა და სხვა მემარცხენეებს უთხრა: თქვენ იმათ უდგეხართ გვერდით, ვინც ჩვენი ენის მოსპობაზე ოცნებობსო.

გამოჩნდა მეორე პატარა ჭკუის დიდი კოლოფი – ვლადიმერ სუტირინი – ის 1928 წელს ა/კ პროლეტმწერალთა ასოციაციის სამდივნოში შეიყვანეს...

აი, კრიტიკოს ალექსანდრე დუდუჩავას გამოსვლის ფრაგმენტი 1933 წელს გამართულ მწერალთა აქტივის კრებაზე. ეს გახლავთ სტენოგრამული ჩანაწერი:

„სუტირინი ამტკიცებდა, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის გეოგრაფიული პირობები ისეთია, რომ აქ არ შეიძლება პოეზია

განვითარდეს, აქ მხოლოდ პროზა უნდა აღორძინდესო (სიცილი და ხმები: იყო კი პირიქით)".

აი, ასეთ „კეთილისმყოფელებს" გვიგზავნიდა მოსკოვის ბოლშევიკური ხელისუფლება. ასე ცდილობდნენ ისინი ქართული ენისა და მწერლობის წაშლას

მაგრამ ამ საქმეში რომ აქაური ბოლშევიკი ქართველებიც არანაკლებ თავგამოდებული იყვნენ, ესეც ფაქტია აი, რამდენიმე დადასტურება:

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ყოველივე ქართულის, ეროვნულის უარყოფის ერთ მაგალითს 1985 წელს მიუნხენში იხსენებდა ემიგრანტი მოღვაწე ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური):

„ოპერაში დადგეს არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". საზოგადოებრიობამ იგი გულთბილად მიიღო, მაგრამ პრესამ განგაში ატეხა, „კომუნისტის" ფურცლებზე გამოვიდა სილია თოდრიას ლანძღვით აღსავსე რეცენზია: „ოპერა ნაციონალისტურიაო". ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ თამარის გამოჩენას ლაშქარი ხვდებოდა ქართული დროშებითა და სიმღერით: „ქართველო ხელი ხმალს იკარ..." ალბათ, სილია თოდრიას, როგორც „რაპპ"-ის ერთ-ერთ იდეოლოგს, სურდა, თამარს ქართული ლაშქარი მარქსის დროშის ფრიალით და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვედროდა. ეს ოპერაც აკრძალეს".[15]

ხალხს ქართული წიგნის ბედიც აწუხებდა. ფხიზელი ქართველები გასაბჭოებისთანავე მიხვდნენ, რომ საბჭოთა კავშირში შესვლა, რაც სინამდვილეში უზარმაზარ რუსეთში შესვლა და გასარუსებლად განწირვა იყო, ყოველივე ქართულს მოსპობას უქადდა.

აი, რას წერდა გრ. შავგულიძე 1922 წელს:

„დღეს თქვენ დაივლით ტფილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში, ყველა უმთავრეს წიგნის მაღაზიებსა თუ საწყობებს და პირდაპირ გული გეტკინებათ, რომ აქ, საქართველოს გულში, სადაც უნდა ფეთქდეს

ჩვენი ეროვნული კულტურის მთავარი არტერია და მისი აქ, ამ ადგილას ძალოვანი ახმაურება, ადუღება, აელვარება, – უნდა გამაცოცხლებელ სითბოს აძლევდეს მთელ საქართველოს – ქართული წიგნი, ნაყოფი საქართველოს გონებრივი შემოქმედებისა სანთლით საძებარი ხდება...“[16]

„...ხდება ასეთი კურიოზი ტფილისში, საქართველოს დედაქალაქში რუსთაველის პროსპექტზე შვიდი რუსული წიგნის მაღაზიაა და არც ერთი ქართული“.[17]

(მადლობა ღმერთს, ღღეს ასეთი თანაფარდობა აღარაა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქართული წიგნის მაღაზია ქრება რუსთაველიდანაც და სხვა ქუჩებიდანაც).

წიგნებთან ერთად ქართველებსაც აქრობდნენ და იცილებდნენ.

1923 წელს უნდოდათ მენშევიკთა აღწერა, მაგრამ 12 ათასამდე არიან და აღწერა ტექნიკურად შეუძლებელია, ამიტომ მათი ყრილობის დელეგატებს ანკეტები დაურიგეთ და ამის შეტის გაკეთება ახლა არ შეგვიძლიათ.[18]

ეს აღწერა, არ იფიქროთ, კარგი საქმისთვის უნდოდათ. პირიქით, ყოველმხრივ ცდილობდნენ სხვადასხვა ხერხებით – დაპატიმრება-დახვრეტით, გადასახლებით და ა.შ. ჩამოეცილებინათ მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგე მენშევიკები.

აი, ამის ერთი საბუთი:

„საქართველოს სახკომსაბჭოს სხდომის ოქმი №31/ს 1925.23.XII:

მოისმინეს:

1. სუზდალის საპყრობილეში მყოფი ქართველი მენშევიკების განცხადება.

დაადგინეს:

1. ქ. სუზდალში სასჯელის მოსახდელად მყოფი ქართველი მენშევიკების: 1) კალისტრატე გაგუა, 2) ზაქარია გურული, 3) ალექსანდრე დგებუაძე, 4) გრიგოლ ლორთქიფანიძე, 5) ლეო რუხაძე, 6) ვლადიმერ ჯიბლაძე – მათი სასჯელის ვადის გათავების

შემდეგ, კავკასიაში, კერძოდ კი ამიერ-კავკასიაში დაბრუნება არასასურველად იქნეს ცნობილი;

2. წინადადება მიეცეს საქართველოს საგანგებო კომისიას აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ქ. სუზდალში სასჯელის მოსახდელად მყოფი ქართველი მენშევიკები ვადის გათავების შემდეგ გაგზავნილ იქნან უკრაინაში, თურქესტანში ან ციმბირში.

თავმჯდომარე – ს. ჯუღელი"

ეს ოქმი გაგზავნეს საქართველოს კპ ცკ-ში 1925 წლის 25 დეკემბერს.[19]

1921-23 წლებზე საუბარს დავამთავრებ მწერალ როდიონ ქორქიას ჩანაწერებით „ეპოქის ამბები":

„მყავდა სტუდენტობის და გიმნაზიის ამხანაგი ხუტა ხუბუტია, სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში, საექიმოზე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებიდან იყო უკრაინის ჩეკას თავმჯდომარე. 1923 წელს შევხვდი ხარკოვში. მითხრა: 600 კაცი – თეთრები ჩემის ხელით მყავსო დახვრეტილი. მისი ფსევდონიმი იყო „აისელი".

ამ კაცს უყვარდა მუსიკა, სიმღერა, ბინაზე ჰქონდა ყველა აღმოსავლური საკრავები, თვითონაც მშვენივრად უკრავდა.

ერთხელ ცოლი – რუსის ქალი ყენია, გააჯავრა. ყენიამ უკივლა: „АХ ты паразит! паразит!"

ხუტამ იცინა, იცინა და მერე დაუკრა სახი".[20]

თავი VIII.
1921-1923 წლების დაუმორჩილებლობა; 1924 წლის აჯანყება

„ქვეყანა სისხლით რომ მოირწყ-
ება, ეს ნათელია.“

გალაკტიონ ტაბიძე,
„მნათობი“, 1924, №5.

„მონობა?!
რა საფიქრებელია! სიკვდილი
სჯობიან!“

ერეკლე ტატიშვილი

დგებოდა 1924 წელი. აფეთქების წერტილს უახლოვდებოდა ხალხის დრტვინვა და მრისხანება, ხელისუფლებას აშფოთებდა უმეტესი ქართველობის წინააღმდეგობა და შინაურმა გამყიდველებმა თვალის დაუხამხამებლად გაწირეს ქართველი ერის ნაღები.

სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა მოძრაობაზე შეიქმნა და 2003 წელს გამოვიდა მეტად მნიშვნელოვანი წიგნი ისტორიკოს პროფ. გიორგი (გოგი) ციციშვილისა, რომელშიც გათვალისწინებულ-გაანალიზებულია ამ მოძრაობაზე მანამდე დაწერილი უამრავი, ზოგი ნაჩქარევად, არასწორ, გადაუმოწმებელ მასალებზე დაყრდნობილი საეჭვო, ზოგჯერ აშკარად მცდარი დასკვნების შემცველი ნარკვევი და წიგნი. ამდენად ეს წიგნი გზამკვლევია იმ წლების მოძრაობაში გასაკრვევად.[1]

ახლა კი მიეყვეთ თხრობას.

დიდი მნიშვნელობა და მაგალითის ძალა შეიძინა ქართველი ხალხის 1924 წლის გაბრძოლებამ, აი, რას წერდა ამის თაობაზე ემირგანტი პოეტი შალვა ამირეჯიბი:

„საქართველოს გამოღვიძება და მისი ნამდვილი ბრძოლა თავისი თავისუფლებისათვის ამ აგვისტოს დღეებიდან დაიწყო.

ამიტომ, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ისინი, ვინც ამ დღეებში საქართველოსთვის თავი

დასდო, მოვიგონოთ აგრეთვე ისინიც, ვინც იყო ამ ბრძოლის ბაირახტარი – ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ყველა მათ საუკუნო ხსენება შევუთვალოთ".[2]

ვიდრე უშუალოდ 1924 წლის აჯანყებას მივადგებით, , უკან უნდა დავიხიოთ და თვალი გავადევნოთ, თუ როგორ შეხვდნენ საქართველოს გასაბჭოებას ანუ ოკუპირებას ქართველები, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პარტიები, ვინ რას ფიქრობდა, როგორ აფასებდა შექმნილ ვითარებას, ვინ რა გზას ირჩევდა სამომავლო მოქმედებისთვის.

სამოოდე წლით განცდილი საუკუნებრივი ოცნების ახდენის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გაცუდება ხალხისათვის ტრაგედია იყო და ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას ისევ თავისუფლებააღდგენილი და დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს ნახვა ეწადა, ეს ესიზმრებოდა და ეს აბოდებდა...

ყოფილ მმართველ პარტიას – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ძლივს გამოყოფილი ქართველი სოციალ-დემოკრატების ანუ მენშევიკების თავისთავად იმპერიის მასშტაბით სახელგანთქმული მოღვაწეებით მდიდარ რაზმს, რომლის ხელმძღვანელობის უმრავლესობისთვის ეროვნული გრძნობა, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ინტერესები დიდ (რომ არ ვთქვა – არავითარ) ღირებულებას არ წარმოადგენდა. ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

სწორედ ამიტომ ვერ შესძლეს მათ საქართველოს დამოუკიდებლობის მოვლა-პატრონობა და შენარჩუნება...

რა ბედი ეწია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გასაბჭოების პირველ წლებში?

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლამ მაშინვე ცხადყო, რომ ისინი არავითარი სხვა პარტიის არსებობას არ მოითმენდნენ.

მართლაც, ბოლშევიკების მონათესავე სოციალ-დემოკრატები ანუ მენშევიკები, რომლებმაც დიდი ყოყმანის შემდეგ გაბედეს იმპერიიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში ჩადგომა, დამპყრობლებმა იმთავითვე თავიანთ დაუძინებელ მტრად გამოაცხადეს.

1. ალეშვილი ამბერკი
2. თოდუა გიორგი
3. კვპახიძე ვახი
4. თელია ხოლოძისი
5. გოთუა ლევანი
6 ქეთია კალიტვარეე
7 დავითაშვილი ვახი
8. ეკვანია თინები
9. ხუციულავა ვანდო
10 ამბასაძე შთია
11 ლაბუაძე ჩეტია
12 ბაკალაძე ხერიანდანი
13 ბარათაშვილი ვახტანგი
14. შთია ბაშა
15. ვარანკეთელაშვილი ბაქტონა
16 ხელაძე ვანი
17. ბაშაკაძე ბენი
18. ჩეტია ხაბანი
19 დავითაშვილი ვანი
20 ანთაშაძე ხეკეტანი
21 ჯიუტი ლიუბენი
22 ლაშხაშაძე ბანბენი
23 ვახანერა ხანგნა
24 ეანია ხალვა
25. წულაია ჩიკოლანი 26 [illegible]



ხიდთავი — ხიდისადგილ ქალაქი ხაჩანახლები კომპლექსი, სადაც [illegible] ქართველები ახლდნენ ხახულს.

ბაგრატ აქ დარჩენილი თუ ეშგრაგაში წასული ხოცვა-დეპორტაციები ასევე გარანტირებულნი ფიქრსა და ზრუნვას დამოუკიდებლობის აღსადგენად. ჯერ იყო და, ქართველი ბალშეკიანების ქალაქს ნაგებენენ. დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველყოფილი

რაღაც ამის მაგვარი ამქვეყნიდან, ამაზე მიუთითებს ხოცვა-დეპორტაციათა ერთიანობა ცნობილი მოღვწის, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის, კოტე ანდრონიკაშვილის ჩვენება:

„ჩვენ მივედით ფ. მახარაძესთან და ვუთხარით: ერთი გზა გვაქვს – თანამშრომლობა საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში.

პარიტეტული კომიტეტის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მთავარი იყო ეროვნული საკითხი, სხვას ნაკლებ ვაქცევდით ყურადღებას. თუ მთავრობა ეროვნულ გზას აირჩევდა, მასთან ვითანამშრომლებდით.

ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ ვიბრძოდით და არა საქართველოს ხელისუფლების".[3]

საქართველოს ბედზე სხვებიც ფიქრობდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც იყო.

კოტე
ანდრონიკაშვილი

ახლა სწორედ მასზე, გასაბჭოების შემდეგ მის მდგომარეობაზე ვისაუბროთ.

მართალია, სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალურ მსოფლმხედველობასთან ეროვნული იდეის დასაპირისპირებლად ჯერ კიდევ ადრე იყო ცდა – შექმნილიყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მაგრამ რეაქციას მოყოლილი პირველი მსოფლიო ომი (1914-1918) ხელს უშლიდა ამ საქმეს. ასე რომ ბოლოს და ბოლოს შექმნილი ეს პარტია ვერც რიცხობრივად და ვერც გავლენით, ჩვენდა სავალალოდ, დიდ მეტოქეობას ვერ უწევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

1921 წლის იანვრისთვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: სპირიდონ კედია (თავმჯდომარე), შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე ასათიანი, კოტე აფხაზი, ალექსანდრე ახმეტელი, რეზო გაბაშვილი, პარმენ გოთუა, სერგი დანელია, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ნიკო თავდგირიძე, რაფიელ ინგილო (ივანიცკი), მიხეილ იშხნელი, შალვა ქარუმიძე, გიორგი წინამძღვრიშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი.

პარტიის ხელმძღვანელობა 1921 წლის 15-16 მარტს, საქართველოში ბოლშევიკების გაბატონებისთანავე აიძულეს

დაედგინა:

„1. დაშლილი იქნეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია;

2. წინადადება მიეცეს პარტიის ყოფილ წევრებს არ დასტოვონ სამშობლო;

3. უარყოფილ იქნეს პოლიტიკური მუშაობა, დაცულ იქნეს ლოიალი პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა მშობელი ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური აღდგენისათვის.

აღნიშნული რეზოლუცია გადაეცა ბათუმში რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს".[4]

ეს ასე იყო გამართლებული რეზოლუციაში: *„საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით საქართველოში ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაჰკარგა რეალური მნიშვნელობა, ვინაიდან ამ პრტიის ძირითადმა მიზანმა, საქართველოს ეროვნულმა თვითგამორკვევამ მოიპოვა მტკიცე საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში".*

ვითომ სჯეროდათ ამის დამწერებს – საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში ეროვნულმა თვითგამორკვევამ მტკიცე საფუძველი მოიპოვაო? ეს ხომ იძულებით დაწერილია! (ისე, ასეთი გულუბრყვილონიც იყვნენ, ერთხანს სჯეროდათ ბოლშევიკების უსირცხვილო დაპირებისა: საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბევრი რიგითი წევრი იმთავითვე არ დაემორჩილა ზემოხსენებულ რეზოლუციას ამ პარტიის დაშლის შესახებ - საკითხი კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა, თანაც დადგენილება პრესაში არ გამოქვეყნებულა და ბევრმა ვერ გაიგოო – და ფარულად გააგრძელეს მუშაობა, მით უმეტეს, რომ 1921 წლის ნოემბერში რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის ბიურომ მიიღო დადგენილება „ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რუსპუბლიკების ფედერაციის" შექმნის აუცილებლობის შესახებ, რაც მოიწონა ლენინმა, რომელსაც უნდოდა დასავლეთისთვის დაემტკიცებინა (და ამაში მას არწმუნებდნენ ჩვენი „კეთილისმყოფელი" თანამემამულენი სტალინი და ორჯონიკიძე), – ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ერთმანეთში სასაზღვრო კონფლიქტი არა აქვთო.

რა თქმა უნდა, ამას ხელადვე კვერი დაუკრა თბილისის კომუნისტურმა ხელისუფლებამ – საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე (1922.25.II-4.III) ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა მაამია ორახელაშვილი.

ამან ბევრი დაარწმუნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ იკარგებოდა, ცრუ გამოდგა ქართველი ბოლშევიკების ქადილი: საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო.

მალე ამ დაღგენილებებს მათი შესრულებაც მოჰყვა:

1922 წლის ბოლოს, 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა, ხოლო იმავე თვის მიწურულს, 30 დეკემბერს ქვეყნიერებას მოეკვლინა სსრკ, რომელშიც ზემოხსენებული ფედერაცია შეიყვანეს.

ამ იმედის გაცრუების შემდეგ უფრო იმატა ხალხის მღელვარებამ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა იმ დღეების მომსწრის, ემიგრანტი პოლიტიკური მოღვაწის, იურისტის, საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის წევრის, დამფუძნებელი კრების ასეთივე კომისიის თავმჯდომარის, დამოუკიდებლობის აქტის პროექტის ერთ-ერთი ავტორის, რაჟდენ არსენიძის მოგონება „აჯანყება საქართველოში“:

> „სანამ უკანასკნელ თავგანწირულებამდე მივიდოდა, წაავლებდა ხელს იარაღს თავის უსაზღვრო აღშფოთების გამოსახატავად, ქართველმა ხალხმა სამი წლის განმავლობაში ყოველი სხვა გზა და საშუალებები სცადა, რომ კომუნისტური ბატონობა თავიდან მოეშორებინა. მანიფესტაციები, მიტინგები, მოთხოვნები, მოლაპარაკება ძალით შემოჭრილ ბატონებთან! ბოლშევიკებს წაუყენეს ასეთი „შეღავათიანი“ პირობაც კი: მომხდარიყო შეკითხვა ხალხისადმი, თუნდაც მხოლოდ მუშებისა და გლეხებისადმი და თუ ამაში უმრავლესობა კი არა დაახლოებით ერთი მესამედი მაინც აღმოჩნდებოდა ბოლშევიკების მომხრე – მთელი ერი და ყველა პოლიტიკური პარტია ხელს აიღებდნენ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს

წინადადება ბოლშევიკებმა თავის გაზეთებში სასაცილოდ აიგდეს. ისინი უცხო ხიშტით იყვნენ შემოსული საქართველოში 1921 წლის თებერვალში და მომავალშიც იმავე ხიშტებზე დაყრდნობა აირჩიეს თავისი ბატონობის გასაგრძელებლად".[5]

აი, როგორ იგონებდა 1922 წლის ამბებს იმ დღეების მეორე მოწმე ვალიკო ჩუბინიძე:

„გლოვით იწყება ეს წელიწადი... 11 თებერვალს რუს ურდოთა შემოსევის წლისთავზე მთელ საქართველოში იმართება მოსწავლე ახალგაზრდობის სამგლოვიარო და საპროტესტო დემონსტრაციები. ჩეკისტთა ბრბოები ყველგან შეუბრალებლათ და უხეშად უსწორდებიან ნორჩ თაობას, იხმარიებენ ცეცხლის მქრობელთა რაზმებს, რევოლვერებსა და თოფებსაც კი მიმართავენ. ლანჩხუთში მოჰკლეს კიდეც ერთი, თბილისში ველური ჩეკისტები მოსწავლე ქალებსაც კი თმებით ათრევდნენ რუსთაველის გამზირზე...

სამი თვის შემდეგ, 24, 25, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის უკვდავ დღეს – ეწყობა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. შეიარაღებულ ჩეკისტებსა და უიარაღო დემონსტრანტებს შორის ალაგ-ალაგ შეტაკებები ხდება. თბილისში, შორაპანში დემონსტრაციებს ტყვიით უმასპინძლდებიან, ხოლო გურიაში მიტინგს ბომბებს ესვრიან, კვდება რამდენიმე კაცი და იჭრება ორმოცამდე. ამასთან ერთად ხდება მასიური დაპატიმრება. საქართველოს ციხეები კვლავ ივსება ქართველი ხალხით".

„დამპყრობელთა სისხლიანი ბუნება თანდათან აშკარავდება. საქართველოს რევოლუციურ კერას – გურიას აწიოკებენ. გაყაჩაღებულ ბოლშევიკ მანწკავას რაზმის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი ცნობილი ობოლაძის მეთაურობით ღვოის რისხვად

ევლინება გურიის მშვიდობიან მოსახლეობას. ტყეში გაჭრილ ყაჩაღებთან უძლური ობოლაძე შურს იძიებს ბინადარ მშრომელ გურიაზე. ეს ჯალათი ხვრეტს გლეხებს და მათ გასისხლიანებულ გვამებს ყვავ-ყორნების და ძაღლების საჯიჯგნად ჰყრის თვალსაჩინო – ოზურგეთის შემავალ გზაზე, რათა ასეთი შემზარავი სურათით ტერორის ქვეშ დააყენოს მოსახლეობა... ობოლაძე სხვა მრავალთა შორის სწვავს მანწკვას ძმის – ვასილის სახლს და გულქვა სადისტი თავის ხელით ცეცხლის ალში აგდებს და ცოცხლად სწვავს სახლის პატრონის 12 წლის ვაჟს, ამ ბარბაროსს, ამ თავშეუკავებელ მხეცს გასაგები მიზეზით კლავს მანწკავას ნათესავი და პირადი მეგობარი. და ეს ხდება საბაბათ კიდევ უარესი რეპრესიებისა. მკვლელობის დღიდან იწყებენ ოზურგეთში უდანაშაულო ხალხის მასიურათ ხვრეტას. თბილისის ციხეებიდან გაყავთ და წუთისოფელს ასალმებენ 92 მოქალაქეს".[6]

ყველაფერმა ამან: ბოლშევიკების იავდაპირველი ბაქიობის – დამოუკიდებლობას ჩვენც შევინარჩუნებთო – გაცრუებამ, ხალხის ბობოქრობამ, შეურიგებლობამ, მათი გამოსვლების დარბევამ და სოციალ-დემოკრატების, უკიდურესი ზომების მომხრე სამხედროების გავლენამ წარმოშვა დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის აზრი.

1922 წლის მაისში მართლაც შეიქმნა „დამოუკიდებლობის (ანუ პარიტეტული) კომიტეტი", რომელშიც თანაბრობის ანუ პარიტეტის პრინციპის საფუძველზე გაერთიანდა მაშინ საქართველოში არსებული ხუთი შთავარი პარტია: სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-რევოლუციონერები ანუ ესერები და „სხიველები" (მენშევიკების პარტიაში აღმოცენებული ოპოზიციური ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა კომუნისტებთან თანამშრომლობას) და დაიწყეს მომავალი მოქმედების გზებზე მსჯელობა.[7]

დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეები, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ: გოგიტა ფაღავა (შექმნიდან 1922 წლის მაისიდან

აგვისტომდე), ნიკოლოზ ქარცივაძე (1922 წლის აგვისტოდან დაპატიმრებამდე, 1923 წლის მარტამდე), კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი (1923 წლის მაისიდან 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე).

როგორი იყო ეროვნულ-დემოკრატების დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი?

იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის აღსადგენად გასაბჭოებისთანავე ნაჩქარევმა გაბრძოლებებმა ვერ გაამართლა, შედეგები კი სავალალო დატოვა, კერძოდ, 1921 წელს ოავისუფლებისმოყვარე სვანებისა და კახელების აჯანყებამ (რომელსაც ეროვნუ-დემოკრატიული პარტიის ფიცხი, უკიდურესი ზომების მომხრე ზოგიერომა წევრმაც დაუჭირა მხარი) სანუკვარ მიზანს ვერ მიაღწია, ბევრი საუკეთესო ქართველი კი დაიღუპა; 1922 წელსაც მეფის რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, მხედრული ნიჭით დაჯილდოებული, I მსოფლიო ომის არაერთ ბრძოლაში გამარჯვებული ოფიცრისა და საქართველოს გულმხურვალე პატრიოტის ქაქუცა ჩოლოყაშვილის წაქეზებით ხევსურთა აჯანყებამაც იგივე შედეგი მოიტანა (სამწუხაროდ, მარტო სამშობლოს თუნდაც გულანთებული სიყვარული და პირადი მხედრული ნიჭი და მამაცობა არ შველის საქმეს...), სოციალ-დემოკრატები კი მაინც უკიდურესი მოქმედებისკენ იხრებოდნენ, – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უნდობლად უყურებდა პარიტეტულ კომიტეტს.

აი, რა განაცხადა მოგვიანებით, 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესზე, 1925 წლის 18 აგვისტოს მოწმედ გასულმა, ადრე სოციალ-ფედერალისტთა უფროსი თაობის წარმომადგენელმა, ახლა კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხუთკაციანი (კოტე აფხაზიან, შალვა ამირეჯიბთან, გიორგი წინამძღვრიშვილთან, იასონ ჯავახიშვილთან ერთად) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრმა მიხეილ ჯავახიშვილმა:

> „ჩვენს პარტიას თავაზობდნენ, მაგრამ არ შევდიოდით პარიტეტულ კომიტეტში იმიტომ, რომ მენშევიკებს უნდობლად ვუყურებდით, რადგან მათ ასე ადვილად წააგეს ბრძოლა, თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად დაყარეს იარაღი...“[8]

ხომ საგულისხმო განცხადებაა?!

შემდეგაც, როცა დამკომში შეეიდნენ, მიუხედავად თანაბარი ხმის ქონისა, სოციალ-დემოკრატებს მეტი გავლენა, მეტი ძალა ჰქონდათ, გადაწყვეტილებებს მაინ ზეგავლენით იღებდნენ...

ეროვნულ-დემოკრატების ხელმძღვანელთა ნაწილი წინააღმდეგი იყო საბჭოების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის უკან მოუხედავად დაწყებისა.

ტყუილად კი არ იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლის დადგენილებაში ნათქვამი: დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური აღდგენისთვისო.

გრძნობდნენ – ახალ პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის მეთოდებიც უნდა შეეცვლათ და ბრძოლის ფრონტიც.

კონსტანტინე გამსახურდია ამ ხანებში წერდა: *„როცა ერთი ერი მეორეს პოლიტიკური გავლენის ზონაში მოექცევა, პოლიტიკურ დაპყრობას კულტურული მოყვება. მხედარს მწერალი შეენაცვლება, მახვილის მტვირთველს – კულტურის აგენტი“.*[9]

ამ საკითხს მწერალი ორი წლის შემდეგაც დაუბრუნდა და საზოგადოებრიობა გააფრთხილა:

> „ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს. საქართველოში კულტურული საალყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა. ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“.[10]

ამ საკითხზე დღევანდელი მკვლევარების შეხედულებათა ერთი მაგალითი ასეთია: მიმოიხილავს რა მე-20 საუკუნის ოციანი წლების საქართველოში მიმდინარე პროცესებში მონაწილეთა მოსაზრებებს საბჭოთა წყობილებისთვის ბოიკოტის გაწევის შესახებ, ისტორიკოსი გიორგი ციციშვილი მიიჩნევს, რომ სწორი იყო ნიკოლოზ ქარცივაძის აზრი – არ უნდა მოუწოდოთ ბოიკოტისკენ, თორემ ამან

შეიძლება საჰსახურიდან დათხოვნა გამოიწვიოს, რაც საბჭოთა დაწესებულებებში ქართულ ელემენტებს შეასუსტებსო:

> „მართლაც, საბჭოთა რუსეთში ბევრი იყო ისეთი სპეციალისტი და მუშაკი, რომლებიც სიამოვნებით კისრულობდნენ ქართველების შენაცვლებას, მაშასადამე, საგნობრივად ჩანს, რომ „დამკომში" და, საერთოდ, ეროვნულ მოძრაობაში აჩქარებული, ფიცხი ხალხის გვერდით იყვნენ რეალობიდან გამომდინარე პიროვნებანიც".[11]

ამას შეიძლება შემდეგი დავუმატოთ: მოსკოვი მოხარული იყო და აქეზებდა რუსი სპეციალისტების აქ ჩამოსახლებას – ამით ჩქარდებოდა მისი სანუკვარი ოცნება – ჩვენი ასიმილირება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოზომილი, ზომიერი ქმედების, ეროვნული ბრძოლის ლეგალური მიმდინარეობის მომხრე იყო, რითაც ძალებიც შემოინახებოდა და საქმეც გაკეთდებოდა.

მაგრამ ედპ-შიც იყვნენ უკიდურეს შეხედულებათა და ზომების მიმდევარნი, მაგალითად, სპირიდონ კედიას ემიგრაციაში წასვლის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელად გამხდარი კოტე აფხაზი, პარტიის ცკ-ის წევრი, პოეტი შალვა ამირეჯიბი, აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატი სამხედროები, პარტიის ცკ-ის წევრები დავით ვაჩნაძე, მიხეილ იშხნელი, გიორგი წინამძღვრიშვილი.

მით უმეტეს ძალისმიერი მოქმედებისკენ იხრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, სამხედროები...

როცა არ გამართლდა საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში გავრცელებული მოლოდინი - ბოლშევიკები საქართველოდან მალე წავლენო (გრიგოლ რცხილაძე: *„საბჭოთა ხელისუფლების უდღეურობა მოლაპარაკების ყველა მონაწილეს უდაოდ ეჩვენებოდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენა ახლო მომავლის საქმედ"*, მიხეილ ჯავახიშვილი: *„ბოლშევიკების საქართველოდან წასვლის შემთხვევაში .. იმ დროს ამას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდნენ – ხელისუფლება ყოფილი მთავრობის დაბრუნებამდე გადადის პარიტეტული კომიტეტის ხელში")* – პირიქით, ბოლშევიკები საქართველოში ფეხს სულ უფრო მყარად იკიდებდნენ; როცა ქართველი ბოლშევიკების დაპირებაც გაცუდდა – საქართველოს

დამოუკიდებლობას შეინარჩუნებთო და ამის მაგივრად ქართველმა კომუნისტებმა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და მასში საქართველოს შესვლის გადაწყვეტილება მიიღეს, სოციალ-დემოკრატებმა და მათი პარტიის წევრმა სამხედროებმა, მათთან ერთად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი სამხედროების უკიდურესი ზომების მიმდევარმა ნაწილმა, როგორც უკვე ვთქვით, 1922 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტი და სამხედრო ცენტრი შექმნეს.

თუმცა დამოუკიდებლობის კომიტეტში, უფრო ეროვნულ-დემოკრატების მოთხოვნით, სამხედროების მოქმედებათა გონივრულ ჩარჩოებში მოსაქცევად, სამხედრო ცენტრისთვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა „სამხედრო კომისია" (სოციალ-დემოკრატებიდან – ნოე ხომერიკი, ეროვნულ-დემოკრატებიდან – მიხეილ ჯავახიშვილი) – „სამხედრო ცენტრის" სრული გაკონტროლება მაინც ძნელი იყო. ის უფრო და უფრო აჩაღებდა აჯანყებისთვის მზადებას.

მაგრამ არც ჩეკას ეძინა, მან ბევრი რამ იცოდა და 1923 წლის მარტში დააპატიმრეს ისევ გამოცოცხლებული და არალეგალურად მომუშავე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, მათ შორის მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ამ დროისთვის იყო პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და წევრი დამოუკიდებლობის ანუ პარიტეტული კომიტეტის იმ სამხედრო კომისიისა, რომელსაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სამხედრო ცენტრისთვის.[12]

მწერალი ექვსი თვე იჯდა ჯერ ჩეკაში (*„საკანში ძალიან არეული ხალხი დამხვდა და მათში იყო მიხეილ ჯავახიშვილი"* – იგონებდა შალვა ბერიშვილი თავის „შეულამაზებელ ფურცლებში"),[13] შემდეგ ორთაჭალის ციხეში, დახვრეტაც კი დაუპირეს...

მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ხელი მოაწერინეს *„გამომძიებლის მიერ შეთხზულ ოქმზე"*. ამას რომ მოფერებით არ გააკეთებინებდნენ, ამის თაობაზე სანდოზე სანდო მოწმობა დაგვიტოვა საქართველოს ჩეკას სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ, 1922 წლიდან 30 წლის განმავლობაში, ხსენებულ დაწესებულებათა „საიდუმლო განყოფილების" ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსმა მანუჩარ (კაკო) გიორგის ძე შელიამ:

„1923 წლის 21-30 აპრილს ჩვენ ჩეკას

საიდუმლო სარდაფებში ჩავატარეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა ათეულიანი ჯგუფის დაკითხვა, მათ წამების ქვეშ აღიარეს, რომ 1922 წლიდან, ესე იგი, როდესაც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. დაპატიმრებულებმა დაასახელეს 72 კაცი, რომელთა დაჭერაც ჩვენ ერთ თვეში მოვახერხეთ".[14]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილმა ხელი მოაწერა ამ პარტიის დასაშლელად კონფერენციის მოწვევას:

„ნაციონალ-დემოკრატების და რადიკალ-დემოკრატების პარტიის თვითლიკვიდაციის დეკლარაციაში" პარტიის გაუქმების თაობაზე მისი ცკ-ის 1921 წლის მარტის ბათუმის დადგენილების შეუსრულებლობის მიზეზების აღნიშვნის შემდეგ ნათქვამი იყო:

„ამიტომ ახლა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები საჭიროდ ვთვლით გადამჭრელ ზომებს სრული ლიკვიდაციისათვის კონფერენციის მოსაწვევად".

ამ განცხადებას ხელს აწერდნენ:

გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე
ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე
მაჭავარიანი იოსებ
დანელია სერგი
ჯავახიშვილი დიმიტრი
წვერავა ნიკოლოზ
ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე
თავდგირიძე ნ. კ.
თორაძე ა. დ.
ამირეჯიბი გიორგი
კეცხოველი ნიკოლოზ
მგალობლიშვილი ვ.
ჯანელიძე გ. – სარევიზიო კომისიის წევრი
ნიჟარაძე ა. – სარევიზიო კომისიის წევრი

ეს დეკლარაცია გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში" 1923

წლის 8 აგვისტოს, მანამდე კი, 3 აგვისტოს მიხეილ ჯავახიშვილი გაათავისუფლეს.

რა ექნა, არ მოეწერა? თავს წააგებდა, პარტიას კი ბოლშევიკები მაინც დაშლიდნენ და მეტსაც უზამდნენ. მაშინ ბევრი იყო იძულებული ასეთ ვალდებულებაზე ხელი მოეწერა. აი, ამის მოწმობა შალვა ბერიშვილისა:

„მთელი 1923 წელი საქართველოში ჩეკა ატარებდა ყველა ძველი პარტიის და ახალგაზრდა ორგანიზაციის ლიკვიდაციას, იწვევდნენ კრებებს წარმოება-დაწესებულებებში და სოფლებში და ყველას აწერინებდნენ ხელს – გამოვდივარ ამა და ამ პარტიიდან, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის როდისმე რომელიმე პარტიის წევრი. თანაც არალეგალური პარტიის თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელები წევრებს აძლევდნენ ამის უფლებას, რათა ამით გადაერჩინათ თავი და აეცილებინათ პატიმრობა და გადასახლება“.[15]

1923 წელს თავად შალვა მეტეხიდან ჩეკაში გადაიყვანეს, რომ დაერწმუნებინათ ლიკვიდაციის კრებაზე გამოდიო...

პატიმრობაში მიხეილ ჯავახიშვილმა ასე ჩამოაყალიბა თავისი მოქმედების გეგმა. ამ გეგმიდან შევჩერდები პირველ და ბოლო, მეშვიდე მუხლზე:

1. „მინდა შევქმნა ჯგუფი ლიტერატორებისა, რომლებიც იმუშავებენ, როგორც „სმენა ვეხოველები“.

სახელწოდება მოდის რუსული ემიგრანტული კრებულიდან – „სმენა ვეხ“ (გეზის შეცვლა), ვეხოველებს სურდათ რუსეთს ნეპმანური (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), ესე იგი, ბურჟუაზიული გზით ევლო. თუ ეს არ იყო გამოძიების კარნახით აღიარებული, მიხეილ ჯავახიშვილისთვის სარისკო იყო ასეთი ჯგუფის შექმნის სურვილის გამხელა.

7. „მე ვიკისრებ ჩოლოყაშვილის ბანდების დაშლას მასთან მოლაპარაკებით, ოღონდ ეს ცნობა საიდუმლოდ უნდა გქონდეთ შენახული, რომ მოწინააღმდეგეებმა არ დამასწრონ მასთან მოლაპარაკება. მე დავიხმარებ ოფიც. გ. ხიმშიაშვილს“.[16]

1922 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა სამხედრო რაზმი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, რომელიც ამ პარტიის ცეკას მორჩილი უნდა ყოფილიყო. აკი მიხეილ ჯავახიშვილმა იქნა: „ჩოლოყაშვილს დავალება ჰქონდა ჩვენგან, რომ მას არ გაეძარცა ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ“.

ეს დავალება მომდინარეობდა ზემოხსენებული პოზიციიდან – თუ მთავრობა ეროვნულ გზას აირჩევდა, მასთან ვითანამშრომლებდითო.

მაგრამ ქაქუცა ურჩობდა. ამ დაუმორჩილებლობის გამოვლინება იყო ჯერ კიდევ 1921 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკასგან დამოუკიდებლად არსებული სამხედროების ცენტრის მეთაურის (თუ ყველაზე გავლენიანი პირის) კოტე აფხაზისგან ქიზიყში მოვლინებული შალვა ამირეჯიბის მიერ გაცემული ნებართვით ქაქუცას მიერ ედპ-ის ცეკას საწინააღმდეგოდ მოწყობილი აჯანყება.

ეროვნული გზის აირჩევ მთავრობასთან თანამშრომლობის იმედი რომ გაქარწყლდა, ამის შემდეგაც ეროვნულ-დემოკრატები ფრთხილად ეკიდებოდნენ მთავრობასთან და სამოქალაქო ომიდან გამარჯვებულ-გამოწრთობილად გამოსულ წითელ არმიასთან იარაღით მარტო ქართველების დაპირისპირებას, გამარჯვება საეჭვოდ მიაჩნდათ, აჯანყება კი ბევრ საუკეთესო ქართველს შეიწირავდა.

ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებლობის კომიტეტშიც ამ პოზიციას იცავდნენ და კომიტეტის დაქვემდებარებაში გადასული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიფიცხის დაშოშმინებაც აქედან გამომდინარეობდა. ესაა, რომ ზოგი რამ გამოძიების კორექტირებული ჩანს, მაგალითად, ჩოლოყაშვილის ბანდებით – ამას მწერალი არ იტყოდა...

ახლა უნდა დავუბრუნდეთ იმას, რომ ჩვენამ ბევრი რამ იცოდა და 1923 წელს საჭიროდ მიიჩნია ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობისთვის თავი წაეჭრა „სამხედრო ცენტრის“ სახით, ცენტრი მან უფრო საშიშრად ჩათვალა და მას დასჯის ზომაც უფრო მკაცრი შეუფარდა. მართლაც იმავე 1923 წლის 3 მარტს, გაცემის შედეგად დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ წევრები, მათ ბრალი დასდეს 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების მოწყობასა და ახალი აჯანყების მზადებაში, 19 მაისს განაჩენი გამოუტანეს და 1923 წლის 20 მაისს გამოესალმა დახვრიტეს:

კოტე აფხაზი

„სამხედრო ცენტრის“ ხუთი წევრი, სამი გენერალი – ცენტრის ხელმძღვანელი – ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე და კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე აფხაზი (აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლი, ილია ჭავჭავაძის დისწული, რომელმაც ჩეკას თანამშრომლის მანუჩარ, იგივე კაკო შელიას თქმით, „ვაჟკაცურად აღიარა ერის დასაცავად გაწეული ქმედებები, რაზეც თავად აგებდა პასუხს“) და ორი პოლკოვნიკი – როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი და გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი, აგრეთვე „სამხედრო ცენტრთან“ მჭიდროდ დაკავშირებული პოლკოვნიკები: ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი; ოფიცრები – ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი; სამხედრო მოხელე მიხეილ ნიკოლოზის ძე ზანდუკელი, იასონ მათეს ძე კერესელიძე, სიმონ იაგორის ძე ჭიაბრიშვილი და ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე.[17]

ამ „სამხედრო ცენტრთან“ დაკავშირებით 1923 წლის მარტში დააპატიმრეს აგრეთვე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე. მაშინ ის გადარჩა...

ჩვენ უკვე ვახსენეთ ქაქუცა ჩალოყაშვილის გმირული ბრძოლა, მაგრამ საკმაოდ გაძლიერებულ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან და წითელ ჯართან ბრძოლაში რომ, სამწუხაროდ, მისი ვაჟკაცობა უძლური აღმოჩნდა, ხოლო მისი რაზმის შეიარაღებულ გამოსვლებს ხელისუფლების სადამსჯელო ორგანოების გაფთრება მოჰყვა – ესეც ფაქტია:

1922 წელს ხევსურეთის ამჯანყებელმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისთან დაიბარა თანაგიმნაზიელი ლევან **რაზიკაშვილი.** თუმცა ამ უკანასკნელს, როგორც მაღაროსკარის მილიციის უფროსს, ევალებოდა, მაინც ვერ შესძლო დაეპატიმრებინა საქართველოს თავისუფლებისა და

დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლი კახეთის რაზმის ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში მისი გიმნაზიელი მეგობარი ქაქუცა. ეს მას, ვაჟა-ფშაველას შვილებს შორის გამორჩეულად კარგ და ჭკვიან ვაჟკაცს, არ დაანება ვაჟას შვილობამ, ვაჟას ოჯახში მიღებულმა ზნეობრიობის გაკვეთილებმა, მთის სტუმარ-მასპინძლობის ადათმა, სოციალისტ-დემოკრატთა პარტიის მიმართ მისმა დიდმა თანაგრძნობამ.

ქაქუცა
ჩოლოყაშვილი

სწორედ ეს შეიქნა იმის მიზეზი, რომ ის თიანეთის ჩეკაში დაიბარეს. ლევანი თავს დამნაშავედ არ თვლიდა, ამიტომ ჩეკაში თავისი ფეხით მისულა. იქ კი დააპატიმრეს – ჩოლოყაშვილის კაცი ხარო.

ლევან რაზიკაშვილის გადასარჩენად თანასოფლელებთან ერთად 1922 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირმაც (თავმჯდომარე – კოტე მაყაშვილი) იშუამდგომლა: ვაჟა-ფშაველას ხუთსულიანი და თავად მისი სამსულიანი ოჯახი ლევანის სარჩენიაო და საგანგებო კომისია ნამუსზე შეაგდო – ი

„მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე“:

მიხა ხელაშვილი

„რაზმში ერთი ფშაველი გვყავდა მიხა ხელაშვილი, რომელიც მაღაროსკარის ბრძოლებში შემოგვიერთდა. იგი სოფლის ყოფილი დიაკვანი გახლდათ. დაახლოებით ოცდა-ერთი თუ ოცდაორი წლის ჭაბუკი, დიდი ნიჭის პატრონი და მშვენიერ ლექსებსაც წერდა. ის ვაჟა-ფშაველას სოფლიდან იყო და ძალიან ბაძავდა მას. ზამთარში, როცა კარგი, მზიანი ამინდი იდგა, იგი ბინის მახლობლად წამოწვებოდა მყუდროზე და ორი-სამი საათის შემდეგ ახალ ლექსს შემოგვიტანდა ხოლმე. მიხა მუდამ თან ატარებდა ერთ აბგას, რომელშიც ქაღალდები და საერთოდ სხვა ნაწერი მასალები ელაგა. ჩვენი მისი ბევრი ლექსი დავტოვეთ საქართველოში, თუ ისინიც ისევე უმოწყალოდ არ დაიღუპა, როგორც მათი ახალგაზრდა, ზებუნებრივი მადლით დაჯილდოებული ავტორი. იმდენად ნიჭიერი იყო მიხა, რომ ყველას გვაკვირვებდა. ამიტომ იყო, რომ ერთხელ ქაქუცამ მითხრა: „თუ მშვიდობაა, მიხას აუცილებლად უნივერსიტეტი უნდა გავათავებინო, ცოდოა ამისთანა ნიჭი დაიღუპოსო“.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო! 1923 წელს, როცა დუშეთის ტყეებში ვტრიალებდით, მიხამ ბელადს სთხოვა: ორი-სამი დღით სახლში წავალ, დედას და ნათესავებს ვნახავო. როგორც ჩანს საბედისწეროდ დართო მას ნება ქაქუცამ, ის იყო მისი შუბლისწერაც“.[19]

ეს ამბავი მოგვიანებით მოხდა.

ამბობენ მიხა იმთავითვე მტრულად შეხვდა ახალი

ხელისუფლების უგუნურ ნაბიჯებს – „კომსომოლა“ ახალგაზრდებმა რომ ეკლესიების ნგრევა-შეურაცხყოფა დაიწყეს, მიხა მათ ვაუკაცურად დახვედრია: ეს ნიჭიერი პოეტი თავის თავს „კომუნისტების მტერს“ უწოდებდა.

მიხა რომ ნიჭიერი პოეტი იყო, ამის დასადასტურებლად მარტო ეს მაგალითიც კმარა: მას ეკუთვნის მშვენიერი ქმნილება „ლექსო, ამოგიქომ ოხერო“, რომლის ავტორის გამხელა აკრძალული იყო და დიდხანს ხალხური პოეზიის ერთ ბრწყინვალე ნიმუშად ითვლებოდა.

მწერალი გიორგი ბაქანიძე თავის ჩანაწერებში („გზადაგზა“) ამბობს:

> „მერე მეორე ლექსის კაცმა, თიანელმა ვინმე ჭიჭოშვილმა შური იძია და ზუსტად იმგვარივე სიკვდილით დასაჯა ხელაშვილის მკვლელიო, პირადად არც იცნობდა, მაგრამ მელექსეობა იცოდა მისი და მეტი არც სჭირდებოდა – პოეტმა პოეტისათვის იძია შური“.[20]

ახლა ისევ 1924 წლის აჯანყების წინა ამბებს უნდა დავუბრუნდეთ. ზემოხსენებული მოვლენების შემდეგ, საკითხში, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მომავალში, სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების გზები მკვეთრად გაიყო, როგორც ისტორიკოსი გიორგი ციციშვილი ბრძანებს:

> „სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებლობის აღსადგენად დაუყოვნებლივ შეუდგნენ აჯანყების მზადებას. ამავე გზას დამოუკიდებლობის კომიტეტი სწორედ ნიკოლოზ ქარცივაძის დაპატიმრების შემდეგ მოსული ხელმძღვანელის, სოციალ-დემოკრატ კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით დაადგა“.[21]

ნოე ჟორდანიას ემისარი, ყოფილი მთავრობისა და მენშევიკური პარტიის ცკ-ის წევრი ნოე ხომერიკი, რომელიც საქართველოში 1922 წლის ნოემბერში ჩამოვიდა, აჯანყების მომხრე იყო და ამას თავს ახვევდა დამოუკიდებლობის კომიტეტს. მაგრამ ნოე ხომერიკის ხელმძღვანელობის მომძლავრებამდე დამკომიც და სამხედრო ცენტრიც ბრძოლის დაწყებამდე

აუცილებლად თვლიდა ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობას, ეროვნულ ძალთა შემდგომ კონსოლიდაციას და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად გამოსვლის მომენტის ზუსტად შერჩევას.[22]

მეორე ნოეც, პარიზში დარჩენილი რამი'შვილიც აჯანყების მთავარი მომხრე იყო. მისი მოკვლის ერთ-ერთ მიზეზად ესეც მიაჩნდათ. იგი ევროპის დახმარებას ჰპირდებოდა აჯანყებულებს.

ამავე დროს პარიზიდან ნოე ჟორდანია, ყოველ შემთხვევაში 1924 წლის აჯანყების წინ, იწერებოდა: მარტო არ გამოხვიდეთ, ჯერ დაღესტანმა ჩაკეტოს რუსის ჯარის ჩამოსასვლელი, მერე აზერბაიჯანი გამოვიდეს, შემდეგ საქართველო, თორემ ავანტიურა იქნებაო (აქვე შეიძლება ითქვას, ნოე ჟორდანიას წერილებს მუდამ რეპრესიები მოსდევდა).

ეროვნულ-დემოკრატებს (კერძოდ, ამ პარტიის ცკ-ის წევრს იასონ ჯავახიშვილს თავდაპირველად სოციალ-დემოკ-რატებივით, მაგალითად, კოტე ანდრონიკაშვილსავით) თითქოს მოეჩვენათ ბოლშევიკების მმართველობა და ჩვენი ეროვნული ინტერესები ეგებ შეთავსდესო.

ეს იმედი მალე გაქარწყლდა. მაგრამ დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად შეიარაღებული გამოსვლების დაწყებისთვის ეროვნულ-დემოკრატების აზრით, ქართველ ხალხს მხოლოდ ისეთი ხელსაყრელი პირობების დროს უნდა მიემართა, როგორიც შეიქმნებოდა რუსი ხალხის ან მთელი კავკასიის აჯანყების, ანდა გარეშე ძალით საბჭოთა კავშირის დაშარცხების შემთხვევაში.

მართალია, ქართველ ხალხს ჰქონდა აჯანყების მიზეზი, როგორც სოციალ-დემოკრატების გამოჩენილი მოღვაწე კაკი წერეთელი წერდა:

> „აგვისტოს აჯანყებამ იფეთქა იმ ნიადაგზე, რომელიც შექმნა მოსკოვ-საბჭოთა ხელი-სუფლებამ, საქართველო რომ იარაღით დაიპყრო. ბოლშევიკური ტირანია ხალხს არ აძლევს ლეგალურ საშუალებას თავისი ადამიანური უფლებების დასაცავად და მას შეიარაღებული ბრძოლისაკენ უბიძგებს და როცა ხალხი იარაღით ხელში გამოდის, ბოლშევიკები შემთხვევით სარგებლობენ და

ხალხის საუკეთესო შვილების წინააღმდეგ სისხლიან ზომებს მიმართავენ, როგორც ეს მოხდა აგვისტოს აჯანყების შემდეგ".

მაგრამ 1924 წლის აჯანყების მზადებაზე რომ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი რამ:

პირველი ის, რომ მაშინ ქართველი ხალხის 95 %-ის სანუკვარი მისწრაფება – საქართველოს გათავისუფლება და დამოუკიდებლობის დაბრუნება, ხალხის წმინდათა წმინდა გრძნობა და სურვილი, სავსებით კანონიერი და კეთილშობილი გრძნობა იყო.

მეორე მხრივ, აქვე დგება აჯანყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი. მათ, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელობის ძირითად ბირთვს – სოციალ-დემოკრატებს ხომ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მაშინ ვერ მოუარეს, როცა ხელისუფლებას სათავეში ედგნენ და ახლა, 1924 წელს, პარიზიდან არცთუ კვალიფიციური , რეალობას მოწყვეტილი ხელმძღვანელობით ვერ შესძლებდნენ 1922 წელს სამოქალაქო ომიდან გამარჯვებით გამოსული რუსეთის კომუნისტური ხელისუფლების უკვე საკმაოდ გამოწრთობილი წითელი არმიისა და ჩეკა-გეპეუს (ანუ საგანგებო კომისიისა და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს) ძლევას, მტრებს კი მისცემდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების გაჟლეტის საბაბს.

ეს მართლაც ასე მოხდა, კომუნისტებმა გაჟუჟეს რჩეული ქაროველები, საუკუნეებში დაწმენდილსისხლიანი, ჯიშიანი თავადაზნაურობა, უწინ ჩვენში განათლებისა და ცოდნის, მწიგნობრობის ერთ-ერთი გამავრცელებელი, სკოლების დამაარსებელი, წიგნების გადამწერი და მემატიანე სამღვდელოების შთამომავალნი – ჩვენი სულიერი ცხოვრების წინამძღოლი სასულიერო პირები, ჩვენი ინტელიგენცია, ოფიცრობა და გენერალიტეტი...

უკანასკნელ წლებში ჩვენთვის ცნობილი გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის შეხედულება 1924 წლის აჯანყებაზე. როგორც უკვე მოხსენიებული ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე გადმოგვცემს, აი, რა აზრის ყოფილა აჯანყებაზე ემიგრაციაში წასული ამ პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია:

„აგვისტოს აჯანყების წინა ხანებში ს.

კედიამ გარკვევით აჯანყების არასასურ-
ველობა განაცხადა, სადაც საჭირო იყო.
ასეთივე შინაარსის შემცველი წერილი
ჩაიტანა ექიმმა წულუკიძემ საქართველოში
ერ. დემ. პარტიის ადგილობრივი ხელმძღვა-
ნელობის მიმართ.

იგი აღნიშნავდა მარტო ქართველთა
აჯანყების გამარჯვების შეუძლებლობას და
რაც შეეხება აჯანყების მორალურ მხარეს, ე.
ი. მის მორალურ გამარჯვებას – მას მიაჩნდა,
რომ თუმცა მორალურ მხარეს დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მნიშვნელობა
არ ღირდა იმ დიდ მსხვერპლად, რომელიც
აჯანყებას მოჰყვებოდა. ამ საკითხის გამო
საუბარში რამდენიმე წლის შემდეგ მან თქვა:

„ის რჩეულნი და უკეთესნი, რომელნიც
ათასობით დაიხვრიტნენ, ცოცხლად რომ
დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიო-
ტული ელემენტების არსებობა, თვით საბჭოთა
პირობებშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას
მოუტანდა – ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა
და უვარგისებს გაუხსნა გზაო".[23]

უნდა ითქვას, რომ რჩეულებთან და უკეთესებთან ერთად ბევრი უბრალო ხალხიც დაიხვრიტა!

ასევე საღად მსჯელობდა ზემოხსენებული კაკი წერეთელი:

კაკი წერეთელი

„...ამ თვალსაზრისით ჩვენ
მოვალენი ვართ ავწონ-
დავწონოთ ჩვენი ტაქტიკა,
გადავხედოთ მას. თუ
მილიტარისტულ დესპოტ-
თან ბრძოლაში შეიარაღებუ-
ლი აჯანყების ტექნიკური
მომზადება არამიზანშეწო-
ნილად უნდა ჩაითვალოს,
მით უფრო დამღუპველია იგი
ქართველი ხალხისათვის
ეროვნული დამოუკი-
დებლობისათვის ბრძოლაში,

როცა მის პირისპირ დგას სრულიად რუსეთის მილიტარისტული დესპოტია. რაც უფრო მეტი იქნება მასაში სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციები, მით უფრო იოლად იმსხვერპლებს მათ „ჩეკა“, ხოლო, თუ საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მივიდა, ხალხის გარდაუვალი დამარცხებითა და წარმოუდგენელი მსხვერპლით დამთავრდება. ქართველმა ხალხმა სწორად უნდა შეაფასოს ის, თუ როგორ უყურებს მას ევროპა და ის როლიც, რასაც მის ცხოვრებაში რუსეთი ასრულებს“.

„ასეთ ვითარებაში სოციალ-დემოკრატია, როგორც ხალხის ხელმძღვანელი, ვალდებულია განსაკუთრებული სიფრთხილით იმოქმედოს: გააცნოს ხალხს არსებული ვითარება და ძალთა თანაფარდობა. ის მოვალეა მიუთითოს ხალხს მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ის გზები, რომლითაც უნდა წავიდეს, რათა თავიდან აიცილოს დამარცხება, რომლისთვისაც წინასწარ არის განწირული“.

სოციალ-დემოკრატთა ლიდერი კაკი წერეთელი იმ გუნდის წევრი იყო, რომელსაც პარტიული მრწამსი არ ანებებდა გულიანად მოჰკიდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და შემდეგ ამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას, მაგრამ შემდეგ, როგორც ახლა დავინახეთ, გვარიანად შეუცვლია აზრი. საქართველოს წინაშე თავისი დანაშაულიც გაუაზრებია. ამას ადასტურებს რუსი ემიგრანტი მწერლისა და მოღვაწის რომან გულის წიგნში მოყვნილი ფაქტები:

საფრანგეთის სოციალისტთა ყრილობის თავმჯდომარეს გამოუცხადებია: გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი კაკი წერეთელი გვესწრებაო და წინასწარ გაუფრთხილებლად მისთვის სიტყვა მიუცია. კაკი იძულებული შეიქნა გამოსულიყო. აი, რა უთქვამს მას:

ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი ყურადღებით ძალიან ნასიამოვნები ვარ, მაგრამ... მე უკვე დავღუპე ორი ქვეყანა, რუსეთი და საქართ-

ველო, ნუთუ თქვენ გინდათ მესამეც – საფრანგეთიც დაეღუპო?..[24]

ჩვენი ეროვნულ-დემოკრატებიც ასევე ფრთხილობდნენ, ამიტომ იყო, რომ ისინი ფეხს ითრეოდნენ 1922 წელს შექმნილ პარიტეტულ კომიტეტში შესვლაზე და თუ შემდეგ მაინც შევიდნენ – უფრო იმისთვის, რომ გამოუსწორებელი ნაბიჯების გადადგმისგან დაეცვათ ცხელი თავები – უმთავრესად სოციალ-დემოკრატები და ზოგიერთი ეროვნულ-დემოკრატიც.

გავიდა ცოტა ხანი და მართალი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება და მისი სადამსჯელო ორგანოები, მისი არმია ისე მომძლავრებული არიან, რომ არც ისე იოლია მათთან ბრძოლაო...

მიუხედავად ჩავარღნებისა სოციალ-დემოკრატები მაინც განაგრძობდნენ აჯანყებისათვის მზადების წაქეზებას.

სოციალ-დემოკრატების პარიზელი ხელმძღვანელები რომ აჯანყებას აგულიანებდნენ, ხალხს ევროპის დახმარების უსაფუძვლო იმედებს უნერგავდნენ და ჩეკას შესაძლებლობებს უგულვებელყოფდნენ, ეს კარგად ჩანს ემიგრანტი მოღვაწის, შემდეგში ჰიტლერის არმიის გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებიდან:

ჩეხოსლოვაკიაში მყოფი შ. მაღლაკელიძისთვის ნოე ჟორდანიას შეუთვლია:

„სასურველი არის შენ უკან დაბრუნდეო საქართველოში, ინფორმაცია გვაქვსო, რომ მეტისმეტად საჭირო ხარო, როგორც სამხედრო პირიო. ე. ი. გამოთხოვილი ვყოფილვართ ემიგრაციიდან ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი პარიტეტული კომიტეტის მიერ. მე ახალი ჩამოსული ვარ და ვიცი ეს პარიტეტული კომიტეტი, ამიტომ კატეგორიული უარი ვუთხარი. თანაც არ მეუბნება აჯანყება იწყებაო, უბრალოდ, შენი იქ ყოფნა აუცილებელი არისო და შენთან ერთად მოდიან ის პირები, რომლებსაც ისინი მოითხოვენო. მე ადრე თავიდან ვაცნობე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პარიტეტულმა კომიტეტმა იმოქმედოს: იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდის

პარიტეტული კომიტეტი ხელის გულზე უდევს საბჭოთა მთავრობასთქო. საიდან ვიცი მე ეს: როდესაც კოტე ცინცაძე გადააყენეს, დანიშნეს კოლია ოკუჯავა და დადგა საკითხი, რომ მე უცხოეთში უნდა წავიდე, კოლია ოკუჯავა მეხმარება და გამაფრთხილა თავიდანვე ჩეკას შენობაში, რომ არსებობს მოსკოვის ქუჩასთან ოდა „ბაბი გოროდოკი". გენერალ-გუბერნატორი ვიყავი და სულ არ ვიცოდი, „ბაბი გოროდოკი" თუ ქვეოდა იმ ადგილს. იქო, განაგრძო ოკუჯავამ, ნაგაზია ეზოში. გრძელი ეზოა. ვინმე რომ შემოვა მთავარი ქუჩიდანო, ფანჯრიდან გამოიჭყიტინებენო, მახსოვს სიტყვა „გამოიჭყიტინებენო", თუ უცნობი დაინახეს, უკანა კარებით გაიპარებიანო, ე. ი. ქვეყანამ იცის მათი არსებობა და მითხრა რომეო, იქნებ რამენაირად ამის შესახებ ჟორდანიას აცნობოო და ასეთ პირობებში გამოსვლები როგორ შეიძლებაო, ხომ დაიღუპა ხალხიო".[25]


შალვა მაღლაკელიძე

მკვლევარ ავთანდილ მენთეშაშვილის მიხედვით ი სტალინსაც შეუთვლია ნოე ჟორდანიასთვის: ავანტიურა არ მოაწყოთ, უკიდურეს შემთხვევაში მოსკოვის ხელისუფლებაზე მეორე ინტერნაციონალის მეშვეობით იმოქმედეთო.[26]

მაგრამ პარიზიდან საგანგებოდ ჩამოსულმა სოციალ-დემოკრატმა ემისრებმა, როგორც ამას სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებდა, სულ სხვანაირი დაპირებები ჩამოიტანეს:

„1924 წლის მაისში დამოუკიდებლობის კომიტეტს ტექნიკური მუშაობა უკვე დამთავრებული ჰქონდა. აი, ამ დროს ჩამოვიდნენ სწორედ ემიგრაციიდან ბ. ნოდია (რომელიც საგანგებოდ იყო გაგზავნილი ტფილისიდან პარიზში ცნობისათვის თუ

რამდენად საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყებას საქართველოში), ბ. ჩხიკვიშვილი, ცინცაბაძე და ცენტერაძე, რომელთაგან დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოისმინა, რომ გარეშე პირობები ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას და დამოუკიდებლობის კომიტეტსაც მეტი არა დარჩენოდა, რომ აჯანყების გეგმის განხორციელებას შესდგომოდა".[27]

უნდა შეენიშნო: ს. ზალდასტანიშვილის მტკიცება – 1924 წლის მაისში დამკომის ტექნიკური მუშაობა დამთავრებული ჰქონდაო, – თუ მას ეს აჯანყების ორი აუცილებელი პირობიდან საშინაო პირობად მიაჩნდა, მთლად არ შეეფერება იმდროინდელ რეალურ მდგომარეობას.

ასე შეჰყავდათ შეცდომაში არახელსაყრელი პირობების გამო აჯანყების დაწყების ისედაც შემცდარი მომხრეები.

ზემოხსენებული ემისრებისგან განსხვავებით, როგორც ამას კატეგორიულად აცხადებდა მეორე ემიგრანტი სიმონ გოგიბერიძე 1935 წელს (ბრძოლა სამშობლოსათვის, „მნათობი", 1990, №9, გვ. 156), 1924 წლის ზაფხულში პარიზიდან არალეგალურად ჩამოსულმა ყოფილმა გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯუღელმა აჯანყების მზადების გურიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას „სიტყვასიტყვით განაცხადა შემდეგი: *„არავითარი დახმარების იმედი საზღვარგარეთიდან ჩვენ არ უნდა გექონდეს აჯანყების მოხდენამდის და თუ ჩვენ აჯანყების პირველსავე დაკვრაზედ განვთავისუფლდებით და დაახლოებით ერთ თვეს შეეძლებთ მტერს გავუმკლავდეთ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენები აუცილებლად რამეს მოახერხებენ".*

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩეკას ჰქონდა საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები აჯანყების მზადების შესახებ.

დიახ, ჩეკამ ყველაფერი იცოდა. და ისევე, როგორც წინა წლებში, აპირებდა აჯანყების მოთავეები ადრევე შეეპყრო. მაგრამ ეს რომ გაიგო ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსულმა სტალინმა, ჩვენს ჩეკას რჩევა მისცა: აცალეთ, თავი გამოამჟღავნონ და ყველა ჩვენს მტერს ერთიანად

ჩამოიშორებთო.

თავდაპირველად აჯანყების დაწყება განზრახული იყო 1924 წლის 17 აგვისტოს თბილისსა და ბათუმში ერთდროულად, რადგან მხედველობაში ჰქონდათ მიღებული, რომ ჯარი საზაფხულოდ გაყვანილი იყო თბილისიდან.

ამის თაობაზე მოვისმინოთ მოგვიანებით, 1925 წელს, სასამართლო პროცესზე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარის კოტე ანდრონიკაშვილის ნათქვამი:

> „თბილისი ხელში უნდა ჩაგვეგდო აგვისტოში, როცა ჯარი ქალაქგარეთ იქნებოდა გასული, მაგრამ, ეტყობა გაგვცეს, 16-17 აგვისტოს ჯარით აივსო ქალაქი. ამის გამო გამოსვლაზე უარი ვქვით...“

ამასთან, იმის გამო, რომ ჩეკა და მისი აგენტები კარგად მუშაობდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები დიდი კონსპირაციულობით არ გამოირჩეოდნენ, აჯანყების ამ თავდაპირველი თარიღის წინ, 7 აგვისტოს დააპატიმრეს ემიგრაციიდან საგანგებოდ მოვლინებული ემისრები ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა - ყველა, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატი, აგრეთვე მენშევიკთა თბილისის კომიტეტის მთელი შემადგენლობა და ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტი.

ვალიკო ჯუღელს, რომ ეგონა ჩვენი საიდუმლოაო, ჩეკაში სულ დაწვრილებით უამბეს აჯანყების გეგმაზე, მან თავის მოკვლა სცადა, მაგრამ არ დაანებეს.

მიხვდა რა, ხალხი ტყუილუბრალოდ გაიჟლიტებაო, ითხოვა – გაფრთხილების, აჯანყებაზე უარის თქმის მოწოდებით მიემართაკ მენშევიკების ცკ-ს და სახალხო გვარდიის წევრებსო (ვ. ჯუღელი ხომ გვარდიის სარდალი იყო!); მაგრამ ვალიკო ჯუღელის 9,11, 12, და 24 აგვისტოს წერილები სტალინისეული ზემოხსენებული გეგმის თანახმად ხალხს დაუმალეს, არ გამოაქვეყნეს.

ესეც ნაწილი იყო იმ გეგმისა, რომელიც ითვალისწინებდა მოწინააღმდეგეთა და უკმაყოფილოთა სრულ გამოვლენას და მათ მოსპობას.

ხოლო ვისი ჩამოცილება-ამოჟლეტა ჰქონდა დაგეგმილი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას, ეს კარგად ჩანს მისი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მიხა

კახიანის საიდუმლო ბარათიდან საკ. კპ (ბ) ცკ-სადმი:

„საქართველოში იმდენი ინტელიგენტია, რომ მათ შეუძლიათ მოემსახურონ არამარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიას და კიდევ ჩრდილოეთ კავკასიასაც... ვიდრე ჩვენს წინაშე საბჭოთა საქართველოში დგას ეს მრისხანე ციფრი - 120-130 ათასი თავადაზნაურობა, კადრის ოფიცრობა, ვაჭრები და ა. შ. დარწმუნებული ვერ ვიქნებით იმაში, რომ ეს საწვავი მასალა არ აალდება ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას – საერთაშორისო ან შიდა გართულებათა დროს“.

ე. ი. ხოცვა-ჟლეტის ნებას იძლეოდა საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს ქართველი წევრი, მეორე მხრივ შემხვედრ თაოსნობას იჩენდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი.

სოციალ-დემოკრატებმა საფრთხე სერიოზულად არ ჩათვალეს და მათი დაჟინებით აჯანყების დაწყება მაინც გადაწყვიტეს, დათქვეს ახალი თარიღი - 29 აგვისტო და სიმძიმის პროვინციაში გადატანა.

და, აი, როგორც ემიგრანტი პოეტი შალვა ამირეჯიბი იგონებდა, *„28 აგვისტოს, ბედნის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარემ, კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში“.*[28]

მაგრამ აქაც ბედოვლათობა გამოიჩინეს.

მოულოდნელად ჭიათურაში 28 აგვისტოს დილას დაიწყო გამოსვლები - 30-მდე კაცმა ხელთ იგდო ქალაქი და ამით გაამხილეს აჯანყების დაწყება.

ამის მიზეზი, შეიძლება ითქვს, დოყლაპიობა იყო – დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებულმა შორაპნის მაზრაში, პერევისელმა ძველმა სოციალ-დემოკრატმა გიორგი წერეთელმა, როგორც ემიგრანტი მოღვაწე შალვა ბერიშვილი იგონებდა, *„აი, იმ გ. წერეთელმა შეცდომით ჩამოიტანა აჯანყების დრო, მან გვითხრა 28 აგვისტოს გამთენიისასო, თურმე კი ყოფილა მეორე დღე – 29 აგვისტო და არა 28“.*[29]

საბჭოებმა ხელათვე გაღაისროლეს ჯარი ჭიათურაში...

მიუხედავად აჯანყების გამომჟღავნებისა, 29-ში მაინც მოხდა გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რადგან ჭიათურაში გამოსვლების ადრე დაწყება არ შეუტყვია პარიტეტულ კომიტეტს.

ასეთ ვითარებაში რა ნაყოფი უნდა გამოეღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლისა და თავგანწირვისთვის ქართველებისა და მათი ისეთი გულანთებული წინამძღოლის მზადყოფნას, როგორიც იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

და, აი, 1924 წლის აგვისტოს შიწურულს დაიწყო წინასწარ გაცემულ-გამჟღავნებული აჯანყება და ასევე დაიწყო აჯანყებულთა წინასწარ მოფიქრებული ჟლეტა. ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში წინასწარ 29 აგვისტოს დილითვე დააპატიმრეს აჯანყების ბევრი მოთავე.

1924 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში" ქვეყნდება ოპერატიული ცნობა:

> „საქართველოს საგანგებო კომისიისაგან.
>
> მენშევიკურმა ბანდიტებმა თავადებთან, აზნაურებთან, გენერლებთან და ვაჭრებთან ერთად მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლები ჭიათურაში და საქართველოს ზოგიერთ სხვა ადგილებში. ამიტომ საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირები, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი და როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები, დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით".

იქვე ქვეყნდება სია: ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფალავა (სამივე მენშევიკთა პარტიის ცეკას საზღვარგარეთის ბიუროს წევრი, პარიზიდან ნოე ჟორდანიას რწმუნებით ჩამოსულნი აჯანყების სახელმღვანელოდ), აგრეთვე

გიორგი წინამძღვრიშვილი - ეროვნ. დემ. პარტიის ცკ-ის წევრი;

ვასილ ნოდია — საშხედრო კომისიის წევრი;

სოლომონ ყარალაშვილი — გენ. მაიორი და ს. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი;

მიხეილ კოღუაშვილი – მემარჯვენე ფედერალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბიქტორ ცენტერაძე – მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს რწმუნებული, არალეგალურად ჩამოსული.

1925 წელს „კომუნისტში" (№199) დახვრეტილთა კიდევ ერთი სია გამოქვეყნდა. მათი კვალიფიკაცია ასეთი იყო: ბანდის წევრები და ხელშემწყობნი. აი, ისინიც:

გიორგი დავითის ძე ციციანოვი
პაატა ვასილის ძე ჩოლოყაშვილი
ვლადიმერ დავითის ძე ნაზარაშვილი
მიხეილ თამამუქის ძე ანჩაბაძე
ივანე ალექსანდრეს ძე ლეონიძე
ბიძინა მაყაშვილი
მიხა საბაშვილი
მუშნი დადიანი
თედორე ასათიანი (ქუთაისის მენშევიკთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, ქუთაისის და მიმდებარე რაიონების სამხედრო ორგანიზაციების ხელმძღვანელი)
რაფიელ ჩხეიძე
ვასო ჩიტაიშვილი
გიორგი სალუქვაძე
ვანო ცომაია
გაბო ცისკარიშვილი
მიხეილ გვასალია
ნესტორ გარდაფხაძე
ლეო დგებუაძე
სარდიონ თევზაძე
გედეონ სვანიძე
ვარლამ კაპანაძე

მაგრამ ვინ იცის, რამდენი იყო გამოუქვეყნებელი სიები!.. და საერთოდ უსიოდ დახვრეტილები!..

კვლავ დავბრუნდეთ 1924 წელში.

გარდა იმისა, რომ თვითონ ხელისუფლება და მისი სადამსჯელო აპარატი განურჩევლად აპატიმრებდნენ და ჟლეტდნენ არა მარტო გამოსვლებში მონაწილეებს, არამედ იმათაც, ვინც თავიანთ პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ,

– პრესა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გლეხებსა და მუშებს აქეზებდნენ თავად-აზნაურთა და სხვათა წინააღმდეგ: „კომუნისტი“ იუწყებოდა: იწყება მაზრაში ნამდვილი აჯანყება გლეხებისა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ“.[30]

ხოლო გამცემლობის შესახებ პირდაპირ დაწერა მწერალმა როდიონ ქორქიამ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩეკა ასეთი ჩვენების მიცემისას იყენებდა როგორც მორალურ, ასევე ფიზიკურ ზემოქმედებას:

„ილო მოსაშვილმა დიდი ბოროტება ჩაიდინა 1924 წელს, ილო ყოფილა მენშევიკების პარიტეტული კომიტეტის აგენტი კახეთში, როცა მენშევიკების მოწყობილი აჯანყება დამარცხდა, ილო დაიჭირეს. მან თავი იხსნა იმით, რომ ჩეკას გადასცა აჯანყებულთა სია. 400 კაცი ჩამოთვალა. ეს 400 კაცი დახვრიტეს, ილო გადარჩა“.[31]

ბრალდებულ კოტე ანდრონიკაშვილის ჩვენებით კახეთში აჯანყებას მასობრივი ხასიათი არ მიუღია. მიუხედავად ამისა იქ თავად-აზნაურთა ბევრი წარმომადგენელი დასაჯეს.[32]

აჯანყებას ბევრი ინტელიგენტი ემხრობოდა, ასევე თავად-აზნაურობა (რომელიც საქართველოში შეადგენდა 130 ათასს, ანუ მთელი მოსახლეობის 5%-ს). აჯანყებას მხარს უჭერდა 7500 კადრის ოფიცერი...

დახვრეტები გრძელდებოდა 30, 31 აგვისტოს და 1-4 სექტემბერს. 4 ათასამდე კაცი დახოცეს თუ დახვრიტეს.

მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში ჩაუწერია 1926 წელს:

„თელავში დასახვრეტი ხალხი თითო-თითოდ აპყავდათ ზევით ფარდულში და ხვრეტდნენ, პატიმრებს თავზე სისხლი ჩამოსდიოდათ“;

„ზუგდიდში აგვისტოში რამდენიმე კაცი დახვრიტეს, ოდნავ მიწა მიაყარეს და წავიდნენ სხვების მოსაყვანად. ერთი გამოფხიზლდა, საფლავიდან ამოფოფხდა და გლეხს შეაფარა თავი. თოვლივით გათეთრდა და შეირყა ჭკუაზე“.

ალექსანდრე გაბესკირია იხსენებდა ტერენტი გრანელთან დაკავშირებით:

„1924 წლის აჯანყების ჩახშობის დღეებში

ტერენტის შევეფეთე. მან მითხრა: იქ ვიყავიო – გულისხმობდა წყაროს ქუჩას, რომლის ქვემოთ, ხრამში ჩაუხოცავთ გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი – დაცვას შევეპარეო, „იცი, საკუთარი თავი შემჯავრდა, ისეთი რბილი იყო მიწა, ფეხები შიგ მეფლობოდა, ფეხქვეშ ადამიანის სისხლის სუნი მცემდა, მეგონა მეც იმ სისხლიან მიწაში ვეფლობოდი... გამოვაღწიე... მაგრამ ხომ ხედავ, მთელი ღამე არ მძინებია..."[33]

მერე გაიცა განკარგულება დახვრეტების შეწყვეტის შესახებ.

როგორც სოფიო ჩიჯავაძე-კედია იგონებდა, *„ზოგმა თავი დააღწია და სამშვიდობოს გავიდა. მეტი წილი კი ხელისუფლებას ჩაჰბარდა, რომელმაც ისინი გაასამართლა და ციმბირში გადაასახლა".*[34]

1924 წლის 4 სექტემბერს დააპატიმრეს პარიტეტული ან-უ დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი კოტე ანდრონიკაშვილი, კომიტეტის მდივანი, ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი, სოციალ-დემოკრატთა ცკ-ის სამხედრო კომისიის წევრი გიორგი ჯინორია, პარიტეტული კომიტეტის წევრი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ იშხნელი.

მათ 5 სექტემბერს დაშლილად გამოაცხადებინეს პარიტეტული (დამოუკიდებლობის) კომიტეტი.[35]

5 სექტემბერი დანიშნული იყო ნებაყოფლობითი დანებების უკანასკნელ დღედ.[36]

ყველაზე გვიან დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის წევრი, მწერალი მიხეილ ბოჭორიშვილი.

დააპატიმრეს აგრეთვე სოც. ფედერალისტები გრიგოლ რცხილაძე და სამსონ დადიანი (ეს უკანასკნელი 1922-შიც დაუპატიმრებიათ ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობისთვის, 1923 წლის თებერვალშიც – თუმცა არაფერს ვაკეთებდიო).

ვინაიდან გაცემული იყო დახვრეტის შეწყვეტის განკარგულება, ესენი ყველანი გაასამართლეს 1925 წელს. მანამდე 1924 წლის 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის (სინამდვილეში გადატრიალება რომ იყო) 7 წლისთავზე საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკ-მა) ამნისტია გამოაცხადა.

ამნისტიაში ნათქვამი იყო:

განთავისუფლდნენ „აგრეთვე ისინიც ვისი საქმე გამოძიებაშია ა. წ. აგვისტოს მომხდარ გამოსვლებში მომზადებისა და მონაწილეობისათვის, უკეთუ ამ დანაშაულის ჩადენის დროს ისინი არ იყვნენ ინიციატორი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“.

> „იმ პირთ, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი სასჯელი, ეს სასჯელი შეეცვალოთ თავისუფლების აღკვეთით ათი წლის სასტიკი იზოლაციით“.

1925 წელს 47 გასამართლებულიდან კონსტანტინე (კოტე) ემანუელის ძე ანდრონიკაშვილს, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილს, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილს, გრიგოლ ევგენის ძე ჯინორიასა და მიხეილ ნიკოლოზის ძე იმხნელს მიუსაჯეს დახვრეტა, მაგრამ რადგანაც მათ განცხადებით მიმართეს თავიანთ პარტიებს და გამოსვლები დაგმეს, აგრეთვე ამნისტიითაც ერგებოდათ, დახვრეტა 10-წლიანი თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლაციით შეუცვალეს.[37]

სხვებს:

ვლადიმერ ალექსის ძე გეგეჭკორს - 3 წელი მიუსაჯეს.

დავით ეფრემის ძე ონიაშვილს – პირობითი სასჯელი ავადმყოფობის გამო.

გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძე და სამსონ პლატონის ძე დადიანი გაათავისუფლეს.

ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძეს - ერთხელ უკვე გასამართლებულს სამხედრო ცენტრთან დაკავშირებით, ადრინდელი პატიმრობა ჩაეთვალა და გათავისუფლდა, მაგრამ 1937-ში დახვრიტეს.

1923 წლის 3 აგვისტოს გათავისუფლებული მიხეილ ჯავახიშვილი ამ სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოდიოდა. სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილზე საუბრის დროს საკმაოდ შეეხები 1921-1924 წლების ამბებს.

1921-1923 წლებში ხალხს აპატიმრებდნენ რაიმე კონკრეტული დანაშაულის გარეშე, ბრალდების წაუყენებლად,

მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არასაიმედოდ მიაჩნდათ. აი, ამის მაგალითი:

1922 წლის 24 მაისს, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ხელის შესაშლელად „ჩეკამ" ერავალ ქართველთან ერთად დააპატიმრა ძველი არმიის ოფიცერი, 1918 წელს საქართველოს მთავრობის სასახლის კომენდანტი, 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის უფროსი, პირველი ქართული სამხედრო ჟურნალ „მხედარის" ხელმძღვანელი, „დ. მეჩონგურის" ფსევდონიმით ცნობილი პოეტი დავით ერდიშხანის ძე ქარცივაძე.

მას, ისევე როგორც ბევრ სხვას, თუმცა ბევრჯერ მოითხოვა, კონკრეტული ბრალდება ვერ წაუყენეს, ვერც წაუყენებდნენ, ვინაიდან არაფერი ჩაუდენია. აკი უთხრა მას საქართველოს „ჩეკას" უფროსმა კოტე ცინცაძემ: „რა საჭიროა ფაქტი, თქვენ არესტანტები კი არა ხართ, თქვენ ჩვენი პოლიტიკური მტრები ხართ და როგორც კი შეიცვლება პოლიტიკური სიტუაცია და ჩვენ გავმაგრდებით, მაშინ გაგათავისუფლებთ".

მაგრამ ხშირად ისე ხდებოდა, როგორც დ. ქარცივაძეს დამართეს: რამდენიმე წელი მეტეხის საკნებში აყურყუტეს. შემდეგ, 1924 წლის ზაფხულის მიწურულს, როდესაც დამოუკიდებლობის აღსადგენად ქართველი ხალხის გაბრძოლება დამარცხდა, დ. ქარცივაძე გაიყვანეს და თვალის დაუხამხამებლად დახვრიტეს. შეიძლება ახალ დაპატიმრებულთათვის ადგილის გამოსათავისუფლებლად, უფრო კი როგორც სიმართლის, აი, ასე დაუფარავად და ხმამაღლა მთქმელი:

> „მოქალაქე გამომძიებლის მიქასის მიერ უცხო, რუსულ ენაზე დაწერილ ოქმზე ხელს არ ვაწერ შემდეგი მოსაზრებით: ერთი, რომ მე ვცხოვრობ საქართველოში, სადაც ქართული ენა ადგილობრივი მთავრობის დეკრეტის ძალით სახელმწიფო ენა არის. და მეორეც – მე, როგორც ქართველ მწერალს – მგოსანს, ქართული ენა უფრო გამეგება...
>
> ...მარტოდმარტო დავდივარ ჩემს ფიქრებთან ერთად და ჩემს თავს ვეკითხები, ვის ხელში ვართ, ეს არის კომუნიზმი? ამას თესავს

ლენინი? მარქს, მარქს, შე ბებერო მარქს, ერთი ამოიხედე ქვესკნელიდან და დახედე შენის მოძღვრების ცხოვრებაში გამტარებელთ, ერთი თვალი გადაავლე „სოციალისტების“ მოქმედებას, ნუთუ ასე ქადაგებდი ერის თვითგამორკვევას, როგორც პატარა საქართველო და მისი სხვა მხარეები გამოარკვია ამ ჯურის ხალხმა? ერთი ამოდი საფლავიდან, მაგრამ ფრთხილად კი: თუ გაიგეს, მეტეხი არ აგცილდება და ვინ იცის, შენმა მოხუცმა ძარღვებმა ვერ აიტანოს კომუნიზმის თავისუფლების სიშვენიერე. ეჰ, მოძღვარო კარლ მარქსო!..

...უნდა დაიგმოს მოძალადეების, ოკუპანტების საქციელი. რა გინდათ? ვინ მოგიწვიათ? მოგვშორდით, წადი თქვენს მხარეში, თქვენს თავს მოუარეთ...

...კვლავ საქართველო და მე ორივე მონა ვართ. ვინ დაგვიმონავა? ვისი ხელი იყო, რომ სულიერი და ხორციელი ბორკილი დაგვადეს. ჩვენივე ძმა?

ეს ხომ ღალატია?..“[38]

დავით მეჩონგურე რომ ქართული ენის თავგადაკლული დამცველი იყო, ეს ამ ფაქტიდანაც ჩანს: მეტეხში გამომწყვდეულმა პოეტმა 1923 წელს ლექსად დაწერილი თხოვნით მიმართა საქართველოს მწერალთა კონფერენციას, მაგრამ იმას კი არ ითხოვდა, ციხიდან დამიხსენითო, არამედ ევედრებოდა:

ბარათი – თხოვნა
(სრ. საქართველოს მწერალთა
კონფერენციას)

ჩვენი ოჯახის წევრთა კრებაზე
რა კარგი იყო მეც ვყოფილიყავ!
მეც მეთქვა ჩემი თავის ნებაზე,
მაგრამ... ცხოვრებამ უდროთ გამრიყა...
მეც ვგრძნობ, კეთილნო, თქვენს სავალ გზაზე
დგას ბოროტება თოფაღმართული,
მაგრამ... არ მითხრათ უარი აღთქმაზე,

შემომინახეთ სიტყვა ქართული
თქვენთან ვარ სულით ჭირს და ლხენაში...
ვერას დაგვაკლებს წუთით ბურუსი,
გთხოვთ: შემინახეთ ამ ბნელ ღამეში
სიტყვა ქართული, სიტყვა ფირუზი

დ. მეჩონგურე, 19 ოქტომბერი, 1923 წ.
მეტეხის ციხე.

საპყრობილემ დავით მეჩონგურეს შეაქმნევინა კიდევ ერთი ლექსი, რომელსაც დღეს საბუთის ღირებულება აქვს. 1922 წლის 3 ივლისს მე-12 საკანში დაწერილ, პატიმარ ოსიკო ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში იწინასწარმეტყველა:

მე მივდიოდი, სევდა მაღრჩობდა,
სევდას დაეპყრო ჩემი არსება...
ნეტავი ამ დროს მტერი თუ გრძნობდა,
რომ მონა-ერი კვლავაც აღსდგება?!

აჯანყების ხელმძღვანელთა გასამართლების შემდეგ იმ წლების განუკითხაობა თვით საქართველოს იმდროინდელმა ერთ-ერთმა ლიდერმა ფილიპე მახარაძემ საკმაოდ გულგრილად აღიარა: *„აჯანყების დროს დაიხვრიტა შეიძლება ისეთებიც, ვინც არაფერში ყოფილა დაშნაშავე. მაშინ ამის გარჩევის დრო არ იყო“.*[39]

აჯანყების დღეებში დახვრიტეს ივანე მაჩაბლის შვილი ნიკუშა.

გაწირეს, აგრეთვე, ცნობილი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის შვილი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი. ის თავის მეგობრებთან ერთად 8 თვით ადრე დააპატიმრეს პატარა სტამბის მოწყობისათვის, აჯანყების დღეებში კი იმ ძველ პატიმრებთან ერთად, რომლებიც დავით მეჩონგურესავით გულზე არ ეხატათ, გიორგი (გია) აბაშიძეც დახვრიტეს. სოფიო ჩიჯავაძე-კედია თავის მოგონებებში სინანულით აღსავსე სიტყვებით იხსენებდა ამ ახალგაზრდას: კიტა აბაშიძის შვილი გია, დედით ორბელიანი, ჩემი საყვარელი მოსწავლე, რომლის შესახებ ჯალათი ამბობდა: ეს გველის წლოკვი ვერ გაეტეხეო“.[40]

ასევე არ დაინდეს ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარის კორნელი კეკელიძის ვაჟი...

ამ წლებში დახვრეტებს ხელმძღვანელობდნენ საშა ობოლაძე (ამის გამო იგი ადრევე მოკლეს), ლევან ღოღობერიძე, ვალიკო

ტალახაძე, დომენტი მშვენიერაძე. სადგურ ყვირილასთან ჩადენილი არნახული დანაშაულის - ვაგონში ჩაშწყვდეული პატიმრების ჩაცხრილვის უშუალო შემსრულებელი ვინმე ეორობიოვი იყო.

როგორც მთავარმა ჯალათმა სერგო ორჯონიკიძემ 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მოახსენა, *„აჯანყების ჩახშობისას სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი, აქედან სულ მცირე 95 პროცენტი თავადაზნაურობაა“.*[41]

ძაგრაძ ამ საშინელ მსხვერპლს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობა ჯერ კიდევ მაშინ, 1924-ში შეაფასა ზემოხსენებულმა პოეტმა მიხა ხელაშვილმა მისი მეგობრის, ბოლშევიკებისგან დახვრეტილი ივანე მთიბელიშვილის დის პარასკოსათვის მიწერილ ბარათში:

> „ნუ იფიქრებ, რომ შენი ძმა მოკვდა და აღარ არის, მოკლეს და დაიკარგა. არა! ის არც მკვდარია და არც დაკარგული, ერთი კი არა, არამედ მრავალი ვაჟკაცი შეეწირა თავის სამშობლოს საქართველოს მსხვერპლად... იმათი სახელი მქუხარებს და ზეობს სამშობლოსათვის... ისინი უკვდავნი არიან, საქართველოს არსებობამდის დაუვიწყარნი. გუშინ შენი ძმა მოკლეს და ხვალ ჩემსაც იგივეს გაიგონებ, ჩვენი გზა ერთია...“[42]

ქართველთა ეს გაბრძოლება ახალი საუკუნის მიჯნაზეც ასე ფასდება საქართველოს სიკეთისათვის თავგადადებული კიდევ ერთი ქართველის – ჭაბუა ამირეჯიბისგან:

> „ხალხისა და მამულისათვის მძიმე მსხვერპლის გაღება თუ მტერზე პირისპირ მისვლა ყოველთვის სიკეთეა, მაშინაც კი, როცა იმ მსხვერპლსა და ძალისხმევას ხელშესახები სარგებლობა არა მოსდევს რა. ეს უნარი სულგრძელთა, მიზანმიმსწრაფთა და თავდადებულთა ხვედრია“.[43]

1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოხდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 25 მაისის დეკრეტით.

1924 წელს ხალხის ურჩობის გაძლიერებასთან ერთად ხელისუფლებაც გამკაცრდა. ამაზე მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები:

1924 წელი. გამოდის იმ დროისათვის შეტად მნიშვნელოვანი ჟურნალი „კავკასიონი". *„რედაქტორმა ჰ. ინგოროყვამ უდიდესი სიძნელე სძლია და ჟურნალს როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, ისეთი სახე მისცა, რომელიც გამოცემას ქართული ხელოვნების დღესასწაულად ხდის"* (არჩილ ჯაჯანაშვილი, „ქართული სიტყვა", 1924, №1).

საგულისხმოა აგრეთვე იმ წლებში თითო-ოროლა ნომრით არსებობადამთავრებული გამოცემებიდან ერთ-ერთის შეფასებაც:

ჟურნალის ნომრებს *„ჰფარავთ პოეზიაში ქრისტესავით მშვიდად შემოსული პავლე ინგოროყვას მადლი"*.[44]

მაგრამ ასე არ ფიქრობდა ცენზურა და 1924 წლის 3 ივნისს მთავლიტის კოლეგიამ დაადგინა:

> „ვინაიდან ჟურნალი „კავკასიონი" არის ნაციონალისტური, შოვინისტური და კონტრ-რევოლუციური, რომელიც არ სდგას საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ამიტომ „კავკასიონი" დაიხუროს.
>
> თავმჯდომარე – გოგიბერიძე, მდივანი – ნ. დოლიძე.
>
> ესწრებოდნენ:
>
> საგანგებო კომისიიდან - ბოროვოი,
>
> ცკ-ის აგიტპროპიდან – ხოფერია".[45]

1924 წელს ახლადდაარსებულ ჟურნალ „მნათობში" (№5) დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა", რომელშიც პირდაპირ იყო ნათქვამი: *„ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება – ეს ნათელია"*.

ამან ჟურნალის მთელი ტირაჟის შეცვლა და ნაკლებწიგნიერი, მაგრამ დიდი პარტიული ფუნქციონერების გულისწყრომა გამოიწვია:

> სერგო ორჯონიკიძე: „ჟურნალ „მნათობში" ამასწინათ დაბეჭდილი იყო გ.ტ. პოემა, სადაც

ავტორი მხატვრული ფორმის სახით გვაწვდის მეტად ვულგარულ რეაქციულ სახეებს. ეს ლექსი აშკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გზა არაფრად არ ვარგა".[46]

არც მეორე პარტიული ხელმძღვანელი იყო კმაყოფილი:

მიხა კახიანი: „ჩვენ საკმაოთ დიდი ყურადღება მივაქციეთ ჩვენ „თანამგზავრებს". მათ არა აქვთ, ჩემი აზრით, საბუთი იყვნენ ჩვენითა უკმაყოფილო. სამაგიეროთ ჩვენ შეგვიძლია არ ვიყოთ კმაყოფილი და ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართული ცხოვრების ასახვაში და თანამედროვე მუშურ-გლეხური მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში „თანამგზავრებმა" მიაღწიეს მეტად მცირე შედეგებს".[47]

ამ პარტიული ფუნქციონერების გულისწყრომაზე თვით გალაკტიონიც მიუთითებს *(„მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა". ჟურნალი აიკრძალა, მაკრატლებით დადიოდნენ და სჭრიდნენ. პოემა არაა შეტანილი არც ერთ წიგნში)* და მასზე დაწერილი შესანიშნავი წიგნების ავტორებიც: ვახტანგ ჯავახაძე და რეზი თვარაძე, აგრეთვე ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე.[48]

ეს პოემა კი, რომლისთვისაც ავტორი ერთხანს კიდეც დაუპატიმრებიათ, მხოლოდ გალაკტიონის 12-ტომეულის მე-8 ტომში შევიდა 1970 წელს.

აჯანყების ჩახშობამ ახალგაზრდა გიორგი ლეონიძის პოეტურ სულსაც წარუშლელი დაღი დააჩნია. 1924 წელს იგი წერს სონეტს „საქართველო", რომელშიც ასეთი საგულისხმო სტრიქონებია:

„ვინ დაჩექმული ჩემი სული შხამებ დარია"
„მოდის შამქორი, სოღანლუხი, დროშების
მტვერი,
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი
და შენი სისხლი გაჭედილი სულში
ზანზარებს".[49]

ბოლოს მომყავს კიდევ ორი შეფასება 1924 წლის აჯანყებისა, ერთი მონაწილისა, მეორე ჩვენი თანამედროვისა:

სიმონ გოგიბერიძე: „ჩვენს წარსულში ხშირად გვქონდა შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული, და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონგოლი იყო და ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს, გონიერ ხერხად სთვლიდა, თავი ერის მხსნელად მოჰქოდნათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით, გარდა ქართველებისა. საბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა: „გიჟი“, „უანგარიშო“, „წინდაუხედავი“, მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისაგან თითქმის მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტეხელი... აი ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით.

1921-1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღვოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს, ასეთმა ხალხმა მორეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი... და ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარ ეროვნულ საქართველოსი.

აი ამ საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ. ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მან იცის, რომ ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისიც ღირსია ის, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“. („მნათობი“, 1990, №9, გვ. 173).

ჭაბუა ამირეჯიბი: „მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ იმ ცნობილი მოსაზრებით, რომ

დაღვრილი სისხლი, თუნდ ერთი წვეთი იყოს, მომავალში უთუოდ დაიყივლებს, სისხლისმღვრელს პასუხს მოსთხოვს და ერი თავისას გაინაღდებს. ეს ასეა და ამას სოციალური თუ ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლების ისტორია ადასტურებს, მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ის არანაკლებ ცნობილი მოსაზრება, რომ მოუმზადებელი, მოტყუებაზე დაფუძნებული აჯანყების დამარცხებას ტერორი და ერისა თუ კლასის ხანგრძლივი პასიურობა მოსდევს. წინააღმდეგობის განახლებამდე, სულ ცოტა, ერთი თაობის მანძილია და აჯანყების მაპროვოცირებელ ემიგრაციას სამშობლოში დაბრუნება არ ეწერა".

თავი IX.
1924-დან 1937-მდე

„მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით...“

მიხეილ ჯავახიშვილი, 1926 წ.

აუნაზღაურებელი სისხლით და მარცხით დასრულდა ქართველოთა თავგანწირული გაბრძოლება დაკარგული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღსადგენად. კიდევ ერთხელ საქართველო სისხლით შეიღება. ეს იმას ნიშნავდა, რომ გაგრძელდებოდა და ვინ იცის, როდემდე გასტანდა ქართველი ხალხის გასაბჭოება, ანუ, ახალი, რუსული, კომუნისტური იმპერიის ფერის მიხედვით თუ ვიტყვით, – გაწითლება!

მაგრამ იმის იმედიც იყო, რომ ქართველები არა და არ მიიღებდნენ, არ შეურიგდებოდნენ ამ გაწითლებას. ეს ასე აისახა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში:

„დედა-მდინარევ! სამი ათასი წელიწადია, რაც სწითლდები. დღეს რაც წითელი ქსოვილი მოიძებნებოდა, შენს ნაპირებს გადააფარეს, მაგრამ მაინც ვერ გაწითლდი. წითელი კი ხარ სისხლით“.

არ შეურიგდებოდა! არ დაემორჩილებოდა!..

მაგრამ გონიერ ქართველებს საქართველოს მომავლის შიშიც უწამლავდა ცხოვრებას.

ამ გონიერ ქართველებს შორის არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო მიხეილ ჯავახიშვილი. აკი უბის წიგნაკისთვისაც გაუნდვია ეს შიში:

“მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით
და მე მეშინიან ჩემივე შიშის“ (1926 წ.).

ამ შიშმა საქართველოს მომავლის გამო შეაქმნევინა რომანი-გაფრთხილება, რომანი-წინასწარმეტყველება „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც ქართველთა უმეტესობამ სწორედ ასე გაიგო, ზოგიერთი შეურაცხმყოფელი ადგილიც მოყვრის მიერ სიმართლის პირში თქმად, გამაფრთხილებელი სილის გაწკნად მიიღო, იმიტომ რომ მათ გულს უღრნიდა საქართველოს მომავლის შიში, ხოლო ჭკუამოკლე „პატრიოტებმა“ რომანში მაშინაც მხოლოდ ქართველთა შეურაცხყოფა დაინახეს და

დღესაც. როცა ასე საშინლად გამართლდა მწერლის წინასწარხედვა. დღესაც უგონებენ: „ჯაყოს ხიხნებში“ მწერალმა მხოლოდ თავისი პირადი დრამა ასახაო.

საკმარისია გავეცნოთ 2005 წელს წიგნად გამოცემულ მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკებს, კერძოდ, უშუალოდ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაკეთებულ ჩანაწერს, რომ გაიგო რა უსაშველო ტკივილმა დააწერინა მიხეილს ეს რომანი სწორედ ქართველი ერის საქმიგოდ.

აი, ეს ჩანაწერიც:

> „ჯაყოს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის“ (1925 წ.).

მაინც როგორ არ ეშინოდა მ. ჯავახიშვილს ამ წიგნაკების შენახვა თვით 1937 წელს? ან რა სასწაულად გადაურჩა ეს წიგნაკები ყოვლის მომკვლელ ჩეკისტებს? თუმცა, იქნებ მათ მხოლოდ 1936-1937 წლების ჩანაწერები აინტერესებდათ და წაიღეს, თორემ რატომ წყდება ჩანაწერები 1935 წლით?..

როგორც ვიცით, მეფის რუსეთი ყოველივე ქართულის წაშლას ლამობდა. ამაზე მიუთითებდა, სხვათა შორის, 1916 წელს ჟურნალ „ცხოვრებაში“ (№1) ბესარიონ ჭიათურელის წერილი „ჩვენი გადაგვარება და ეროვნული სახელების მოსპობა“:

> „1913 წლის პირველი იანვრიდან უმაღლესათ ებრძანა ქართველ სამღვდელოებას, რომ საიდუმლო ნათლისღების შესრულების დროს ისეთი სახელები დაარქვით ბავშვებს, რომელ სახელებსაც ეკლესია დღესასწაულობდესო...“

ამიერიდან აღარ შეგვეძლება მივცეთ წმინდა ქართული სახელები – ჩვენს აეტორი და მოყავს ნუსხა მამაკაცთა და ქალთა ქართული სახელებისა.

მართალია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1921 წლის 8 იელისს ი. სტალინის თანდასწრებით ასეთი დადგენილება მიიღო „Принять за правило строжайшее соблюдение интересов грузинского языка во всех без исключения учреждениях обслуживающее

грузинское население".

ეს არ იყო სრულყოფილი დადგენილება თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ საქართველოს კომპარტიაში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

გასაბჭოებულ საქართველოში თითქოს შემდეგაც იცავდნენ ქართულ ენას, მაგრამ როგორც მკვლევარი ალ. დაუშვილი ნაშრომში „თბილისი 1937" (თბ.1997) აღნიშნავს,

> „1923 წელს დამტკიცდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი და მისი ხმარება ყველა სახელმწიფო და კომერციულ დაწესებულებაში სავალდებულო გახდა. მიღებული დადგენილება მოითხოვდა, რომ ოფიციალური საქმის წარმოება ყველგან ყოფილიყო ქართულ ენაზე, მაგრამ მისი რეალიზაცია გარკვეულად გაძნელდა".

თუმცა, არც ქართველი ხალხი იყო მუნჯი და უენო მონა-მორჩილი.

1925 წლის 22 ივნისს მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, კომპოზიტორმა ია კარგარეთელმა და რედაქტორ-გამომცემელმა ანასტასია წერეთელმა საქართველოს ხელისუფლებას – მაშია ირახელაშვილს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს შალვა ელიავას, ცაკის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს და განათლების კომისარს დავით კანდელაკს მიართეს:

> „მემორანდუმი
>
> ქართველ ხელოვანთა ერთი ჯგუფისა
>
> ამ მოკლე ხანში სახელგამის გამგედ დაინიშნა მოქალაქე ვირაპი, კაცი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა და მწერლობისა ქართულ კომუნისტურ ხელოვნებასთან თანამშრომლობს ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რაც თავის დროზე აღნიშნული იყო ქართველ ხელოვანთა კავშირის დეკლარაციაში. მოქ. ვირაპის დანიშვნაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის

დარღვევას, რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას უშუალო კავშირი ვიქონიოთ მთავრობის მოხელესთან, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი პროფესიის მიხედვით, და ჩვენ იმდენად ლოიალური ვართ, რომ არ გვინდა დავარღვიოთ საქართველოს მთავრობისავე დეკრეტი სახელმწიფო ენის სავალდებულო ხმარების შესახებ.

ჩვენ გამოვთქვამთ განცვიფრებას: ნუთუ ქართველობას არ მოეძებნება ისეთი ქართველი კომუნისტები, რომელთაც უფრო მაღალი თანამდებობის შესრულება შეუძლიათ. ნუთუ საქართველოში არ არის თვით კომუნისტურ წრეებშიც ისეთი კაცი, რომელსაც ქართული სახელგამის ხელმძღვანელობა შეეძლოს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, მთავრობა არ დაინახავს ამაში არალოიალობას და უყურადღებოდ არ დატოვებს ამ განცხადებას, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის სიყვარულით და ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალური განწყობილებით".[1]

1924 წლის აგვისტოს აჯანყებით გაწაღებული ცეცხლი ღველფში ინახებოდა და დროდადრო ღვივდებოდა.

მაგრამ ხსოვნის არასათანადოდ შემონახვის გამო სასაყვედუროც ჰქონდა საზოგადოებას. ამის ერთი დასტურია მიხეილ ჯავახიშვილის ეს ჩანაწერი უბის წიგნაკში:

„1925/28/VIII მარიამობის წირვა და წლის პანაშვიდი იყო ბაკურიანში. ასი ოჯახი მაინც იქნებოდა, რომელთა ნათესავები დაუხვრიტეს. მაგრამ პანაშვიდს ორიოდე მოხუცი და ხუთიოდე ბავშვი დაესწრო. ამ ამბავის სიღრმე და მნიშვნელობა განუზომელია. ამავე დღეებში ჩვეულებრივი სიმღერა. დუდუკი. ზურნა".

და მაინც ჩახშობილი აჯანყების გამოძახილი იყო დაუმორჩილებლობის ის გამოვლინებანი, რომლის ერთ მაგალითს ახლა მოგახსენებთ.

1926 წელს ხელისუფლებას არ მოეწონა საქართველოს მწერალთა ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლა:

„რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულისტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, რომ მე მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა. მთლიანად ქართული რაიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან-მეთქი".[2]

ამის გამო მწერალი ჩრდილოეთში გაგზავნეს (მამია ორახელაშვილმა და ლევან ღოღობერიძემ გამასახლაო – ამბობს მწერალი ავტობიოგრაფიაში).[3]

შავჩოხოსანთა სურათის ცნობილი ოთხეულიდან (ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი...) ერთ-ერთის, პავლე ინგოროყვას მოგონების მიხედვით, აი, რას წერს მისი სიძე, ცნობილი კინორეჟისორი გუგული მგელაძე:

„ბატონი კონსტანტინე გამსახურდია მოსკოვის „ბუტირკის" ციხეში იჯდა. პავლეს მოუხერხებია და პატარა ბარათი შეუგზავნია ტუსაღისათვის: ამა და ამ დროს შავი ჩოხით ჩავიცლი ისე, რომ შენი საკნის ფანჯრიდან ვჩანდეო!

ზუსტად ბარათში ნახსენებ დროს ჩაუვლია ციხის წინ შავ ჩოხაში გამოწყობილ პავლე ინგოროყვას...

კონსტანტინე გამსახურდიას გათავისუფლების თაობაზე პავლე იმდენჯერ ჩასულა მოსკოვში და თურმე ისე მოაბეზრა თავი მაშინდელ ჩეკას უფროსს, რომ ამ უკანასკნელს, მოთმინებიდან გამოსულს, უყვირია: „Или арестуйте этого Инороква, или-же освободите Гамсахурдия".[4]

კონსტანტინე გამსახურდია 1927 წელს საქართველოს ცაკ-ის

შუამდგომლობით გაათავისუფლეს - ჯაშუშობის დამადასტურებელი მასალა არ არსებობ.

ვინაიდან კონსტანტინე გამსახურდიაზეა საუბარი, ბარემ აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს მისი მოგონებიდან „ლანდებთან ლაციცი“:

> „რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა მე გადმომცა მწერალთა კავშირისათვის: ილიას, აკაკის, გრიგოლ ორბელიანისა და ვაჟას დიდი სურათები, მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმულნი. ესენი დავაკიდინე სალექციო დარბაზში. ბენიტო ბუაჩიძემ და პ. ქიქოძემ უბრძანეს სასახლის კომენდანტს: ეს სურათები გარეთ გაეტანათ, ხოლო მათ ნაცვლად დოსტოევსკისა და გორკის პორტრეტები გამოეფინათ. მე საჯაროდ განვაცხადე: ვინც გაბედავს ჩვენი კლასიკოსების სურათების ჩამოხსნას, ჩემს სვანურ სატევართან ექნება-მეთქი საქმე. მლიქვნელები შეკრთნენ და ის პორტრეტები დღესაც ამშვენებს ჩვენს ლექტორიუმს“.[5]

აი, ასეთი ბრძოლა იყო გაჩაღებული ლიტერატურაში კომუნისტური ხელისუფლების დასაყრდენ და ამის გამო ჭარბ უფლებამინიჭებულ, მაგრამ უმთავრესად მწერლურ ნიჭს მოკლებულ პროლეტარულ მწერლებსა და სხვადასხვა საბჭოთა ჯგუფების ეროვნულად განწყობილ ნიჭიერ მწერლებს შორის

პროლეტმწერლების გაბრიყვების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის, ფილიპე გოგიჩაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს უკვდავ ჰეროსტრატეს, ფილიპე მახარაძეს. აი, რას ჩაგონებდა ეს სამშობლოს მგმობელი ბოლშევიკი ასევე სამშობლოს უარმყოფელ პროლეტმწერლებს: *„თამარის და გორგასალის კულტურას ჩვენ ვერ მივიღებთ“.*

მან ილია ჭავჭავაძის ფიზიკურად მოსპობის წაქეზება არ იკმარა და მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის გასაქარწყლებლად ყოველი ღონე იხმარა:

> „ილია ჭავჭავაძე... იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი, როგორც მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი

დამცველი, ფეოდალური საქართველოს თაყვანისმცემელი და მონარქისტი, რეაქციონერი და კონსერვატორი".[6]

ილიასა და მისი მიმდევრების მწერლობა ჩვენ არაფრად გამოგვადგება, ნამდვილ მწერლობას პროლეტარული მწერლები ქმნიანო და აშ-უბედურებმაც დაიჯერეს და ირწმუნეს, ლანძღეს და თათხეს ჩვენი კლასიკოსები:

ბენიტო ბუაჩიძე - „ჩვენ მოვითხოვთ სკოლის სახელმძღვანელოები ხელახლა იქნეს განწმენდილი ძველი სახარებიდან და მამაშვილური პატრიოტიზმით სავსე წიგნებიდან".[7]

ალექსანდრე სულავა – „კლასიკოსებისგან სწავლის" ლოზუნგის რეალიზაციას ჩვენს სინამდვილეში უფრო მეტი ზიანი მოაქვს პროლეტარულ მწერლობაში, ვიდრე სარგებლობა"; ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები" უაღრესად ნაციონალისტური და რეაქციონური ნაწარმოებია, რომლის ფორმულას „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო, არაერთი წვინტლიანი ინტელიგენტი აუსლოკინებია";

„აკაკის „თავო ჩემო ბედი არ გიწერია" და „გამზრდელში", ნ. ბარათაშვილის ლექსებში არავითარი საკაცობრიო იდეები და ჰანგები არაა".[8]

დავით რონდელი (ცაგარეიშვილი) – ლექსის კულტურას უწუნებდა აკაკის – პრიმიტიულიაო.[9]

დიმიტრი ბენაშვილი – „ილია დიდი რეაქციონერი და ნაციონალისტია".

მემარცხენე ფრონტელებიც (ყოფილი ფუტურისტები) აგდებულად იხსენიებდნენ კლასიკოსებს. დასანანია, რომ ჟურნალის ანკეტას „კლასიკოსების პრობლემა" სიმონ ჩიქოვანმაც ასე უპასუხა:

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა ისე გაიარეს ლიტერატურაში, რომ პუშკინის როლი ვერ შეასრულეს მწერლობაში მხატვრული გზით. მათი რაიმე

ძირეული გამოყენება თანამედროვე მწერლობაში ნაძალადევად მოთრეული მიმბაძველობა იქნება“.

„ბარათაშვილის ცნება ქართულ მწერლობაში უფრო პიროვნების გაიდეალებაა, ვიდრე პოეტური დაფასება“.

ბოლოს საზგასმული დასკვნა:

„საქართველოში, საბედნიეროდ, მისაბაძი კლასიკოსი არ არსებობს“.[10]

შემდეგ მისდგნენ მათ თანამედროვეებს...

ბენიტო ბუაჩიძე: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ დამწყები ვართ კაცობრიობის ისტორიაში ოდესმე არსებული მწერლობათა შორის ყველაზე ძლიერი, ყველაზე უდიდესი მწერლობის“.[11]

ამ ბრძოლის შედეგი იყო 1917 წელს შექმნილი ნამდვილად თავისუფალი მწერალთა კავშირის გაუქმება გასაბჭოების 5 წლისთავზე და 1926 წლის ყრილობაზე „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ შექმნა, მასში პროლეტმწერლების შეყვანა, მათი წარმომადგენლის, მწერლობაში მაინცდამაინც არაფრით გამორჩეული, მაგრამ კომპარტიის ერთგული მსახურის სილიბისტრო თოდრიას აქ კავშირის თავმჯდომარედ დანიშვნა.

და აი, 1927 წელს, მაშინ, როცა პროლეტარული მწერლები დაუნდობლად ებრძოდნენ ეროვნულ ნიადაგზე მდგარ აკადემიურ და ცისფერყანწელ მწერალთა ჯგუფებს, რამდენიმე ჩვენმა პატრიოტმა მწერალმა, მათ შორის, შალვა დადიანმა, კონსტანტინე კაპანელმა, გერონტი ქიქოძემ და მიხეილ ჯავახიშვილმა შექმნეს ახალი სამწერლო ჯგუფი „არიფიონი“.

გალაკტიონ ტაბიძე: „ფაქტიურად ჯავახიშვილის მიერ არის შექმნილი „არიფიონი“, მაგრამ იგი არასოდეს არ გამოდის როგორც ლიდერი, იგი ეფარება ჯგუფს, იგი თავს იცავს ამით თავდასხმებისაგან. თუ დრო მოითხოვს, ლიდერათაც გამოდგება (ეს ისეთი ჯგუფია, რომ ყველა ლიდერები არიან)“.[12]

ახლადშექმნილმა სამწერლო ჯგუფმა თავის

სალიტერატურო ალმანახ „არიფიონ'ში" (1928) გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო:

> „ქართული ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.
>
> კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი „არიფიონს" ორგანულ ერთეულად მიაჩნია".

ეს ითქვა იმ დროს, როდესაც პროლეტარულ მწერლებს ჩაგონებული ჰქონდათ – ნამდვილი მწერლობა თქვენგან იწყებათ და ისინიც, ამაში დაჯერებულნი, თავგამოდებით ებრძოდნენ როგორც კლასიკურ მწერლობას, ასევე მათ თანამედროვე არაპროლეტარულ მწერლებს.

არიფიონელები კიდევ უფრო შორს წავიდნენ.

ალმანახ „არიფიონ'ში" დაბეჭდილ წერილში „არიფიონი ჰერეთ'ში" გერონტი ქიქოძე წერდა:

> „ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ, ამ მხრით დიდად განვსხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონურ ოდების წერა'ში. ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ თანადროულობა იმა'ში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიციეით მისდიო და უჭიხვინო რევოლუციის ეტლს. მაგრამ ჩვენ არც იმ მუდამ პირქუშ ცრუმამულიშვილებს ვგავართ, რომელნიც იმავე ეტლს წყევლითა და ლანძღვით მისდევენ".

რა თქმა უნდა, როცა ძველი სამწერლო ჯგუფები მოსპობამდე ჰყავდათ მიყვანილი, ახალ, თანაც საკმაოდ ურჩ სამწერლო გაერთიანებას არც საბჭოთა ხელისუფლება გაახარებდა და არც ლიტერატურა'ში მისი ნების გამომხატველი პროლეტმწერალთა ასოციაცია.

ამავე ბრძოლის ერთ-ერთი უმწვავესი შედეგი იყო მწერალთა ორგანიზაციაში დიდი წმენდის ჩატარება.

1930 წლის 15 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელის ბენიტო ბუაჩიძის წინადადებით დაადგინა: „ჩატარდეს წმენდა მემარჯვენე რეაქციული მწერლებისაგან“ და ამისთვის გამოყო საგანგებო კომისია.

კომისიას ცოტა ხნით სიმონ წვერავა თავმჯდომარეობდა, შემდეგ – პროლეტმწერალთა აქტიური წევრი შალვა რადიანი, მასში შედიოდნენ: კიდევ ერთი პროლეტმწერალი სიმონ წვერავა, მაშინ პროლეტმწერლებზე უფრო მემარცხენე პოზიციაზე მდგარი, ფუტურისტობიდან მემარცხენე ფრონტელებად გადაქცეული ჯგუფის წევრი სიმონ ჩიქოვანი, ცისფერყანწელი ტიციან ტაბიძე და აკადემიური მწერლობის წარმომადგენელი არისტო ჭუმბაძე.

1931 წლის 17 მაისს მწერალთა ფედერაციამ დაამტკიცა რამდენიმე დღის წინ (9.V) ხელმოწერილი ამ კომისიის ოქმი, რომლის მიხედვით გაირიცხა მრავალი მწერალი.

ოქმში ეს ასე იყო დასაბუთებული:

„მწერალთა ფედერაცია შემავალი ჯგუფებით უნდა იძლეოდეს მთლიანად საბჭოთა სინამდვილის დამცველსა და მისი ინტერესებისათვის მებრძოლ მწერლებს“;

„ამჟამად ფედერაციაში ერთი მხრივ ფერშეცვლილი კონტრრევოლუციაა, ზედმეტი ესთეტიზმი, აპოლიტიზმი, პასიური წინააღმდეგობა“;

„ყველაზე მეტად ასეთი ძალებით დამძიმებულია აკადემიური მწერლების ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობა უმთავრესად მემარჯვენე და რეაქციონურ მწერლობას უჭირავს ხელში“;

„საჭიროა ამ ატმოსფეროს გარკვევა და მწერალთა ფედერაციის შემადგენლობის ფილტრაციაში გატარება, საჭიროა მწერალთა ფედერაციიდან ისეთი ხალხის მოშორება,

რომლებიც მწერლების საერთო საქმიანობას ხელს უშლის და ამ რეაქციონურ ატმოსფეროს აფართოებს. საჭიროა ახალი ძალების ფედერაციაში დაწინაურება“;

„ფედერაციამ უნდა გასწმინდოს თავისი ორგანიზმი ყველა მავნე ელემენტებისაგან“;

„მწერალთა ფედერაცია უნდა გახდეს სოციალისტურ მშენებლობაში საჭირო და უშუალო მონაწილე ორგანიზაცია“.

მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა კომისიის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ფედერაციიდან გარიცხა:

1. პავლე ინგოროყვა (ერთხმად), რომელიც ასე იყო დახასიათებული კომისიის ოქმის განმარტებით ნაწილში:

„პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი თავის რეაქციონური საქმიანობა ჟურნალის მთლიანი ტენდენციის ჩამოყალიბებისას. ამავე რეაქციონური ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეგეევ გამოააშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლითაც. მისი მტკიცება: „ქართული ენა იჩაგრება“, „ქართული კულტურა კვდება“ და „საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულ ეროვნულ შემოქმედებას გასაქანი არა აქვს“.

„ინგოროყვა თავის თეორიებით და პრაქტიკული მუშაობით ქართული მწერლობის რეაქციონურ ნაწილს ორგანიზატორობდა. ისევე ხელმძღვანელობდა რეაქციონური „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განზრახულ მწერალთა თავშესაფარს“.

2. კონსტანტინე გამსახურდია (ერთხმად) - „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და

ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის თავადაზნაურული იდეოლოგიის შოვინიზმის და „შავი ჩოხის" ტრადიციის დასაცავად, თავის გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი თანადროულობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავის პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე".

3. გერონტი ქიქოძე (პრეზიდიუმზე დაიცვეს ი.ტატიშვილმა, ლეო ქიაჩელმა და სანდრო შანშიაშვილმა) – „კომისიის მიერ გარიცხულ იქნა, როგორც ანტისაბჭოთა მწერალი და ფეოდალური მსოფლმხედველობის აკადემიური წარმომადგენელი და თეორეტიკოსი. ამ დებულების გამამჟღავნებელი მასალა მან დაბეჭდა ჟურნალ „არიფიონში" 1928 წელს. ამ წერილში მან ჩვენი ქვეყნის სოციალური ტენდენციის მატარებელ ინდუსტრიალიზაციასა და კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციასა და კოოპერაციას შორის იგივეობის ნიშანი დასვა. ამ დებულებიდან მან გამოიტანა ჯვარის მონასტრის უპირატესობა და უდიადესობა ზაჰესთან შედარებით და ჩვენი ინდუსტრიალიზაციის მიღწევები ადამიანის გამომფიტავ მოვლენად ჩათვალა, ხოლო კომუნისტური წყობილება მან აღიარა თემობრივი წყობილების ორიგინალურ გაგრძელებად.

ეს მოსაზრებები მან შემდეგშიც განავითარა ზეპირ გამოსვლებში, ხოლო უკანასკნელ დისპუტში მან დუმილი არჩია და ამით თავისი წინანდელი შეხედულებები დასტოვა მომავალი

მოვლენების პროგრამად“.

4. შალვა შარაშიძე („თაგუნა“) – „ეშმაკის მათრახის“ მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღენთილი მწერალი. მენშევიკების აზრების აგიტატორი. თავის ბოლოდროინდელ ნაწარმოებში დასცინის მენშევიკური ხითხითით და გესლით საბჭოთა ხელისუფლებას“.

5. იოსებ იმედაშვილი – „ცნობილი რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას. უკიდურესი შოვინისტი“.[13]

1932 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში შემოიღეს პასპორტი, რათა გაეკონტროლებინათ, შეეჩერებინათ მოსახლეობის მიგრაცია: კოლექტივიზაციით შეშფოთებული გლეხობა ქალაქში გარბოდა, ხოლო ინდუსტრიალიზაციის გაუსაძლისი ტემპებით გადაქანცული მუშები – სოფლისკენ. პასპორტი და მისი მფლობელის საცხოვრებელ ადგილას მიწერა ამ ადგილს აჯაჭვავდა ადამიანს.

1939 წლამდე პასპორტში ეროვნებათა გრაფაში ცალკე იყო გამოყოფილი „აჭარელი“ – იმპერიას აწყობდა აჭარელი ცალკე ეროვნებად გამოეცხადებინა.

საქართველოს კპ VIII ყრილობის საარჩევნო კომისიის მოხსენებაში, იქ, სადაც ლაპარაკია ყრილობის დელეგატთა ნაციონალურ შემადგენლობაზე, ცალკე ეროვნებად იყო გამოყოფილი „ადჟარეცი“ (მოგეხსენებათ, ასეთ ყრილობაზე და არა მარტო იქ, მოხსენებები რუსულ ენაზე ტარდებოდა!).[14]

საქართველოს კპ X ყრილობის (1937) ანკეტებში ისაკ ექვთიმეს ძე ჟვანიას, 1891 წელს დაბადებულს, დაბალი განათლების მქონეს, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ი) თავმჯდომარეს, ეროვნების გრაფაში უწერია – მეგრელი; პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორს ნაზიკო ნურის ასულ ჯინჭარაძეს (დაბად. 1906 წ.) ეროვნება ჯერ დაუწერია „გრუზინ“ მერე გადაუშლია და ჩაუწერია – „ადჟარკა“; კოლმეურნეობის ბრიგადირიც დაუდ ოსმანის ძე შარაბიძეც და ბათუმის ნავსადგურის საწყობის გამგეც იუსუფ მამედის ძე შარვაშიძეც (დაბ. 1903 წ.) წერენ –

„აჭარელიო“.

ამ სეპარატიზმს, ქართველი ერის დაქუცმაცებას „საბჭოთა კავშირის“ შირმასა და რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობის ლოზუნგებს ამოფარებული რუსული იმპერიული ძალები აქეზებდნენ.

1925 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა (8.IX. №205) მეგრული სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ა. გეგეჭკორის წერილმა საზოგადოებას გააცნო ვინმე ციბაკი ბუკონიასა და სოლომონ ბესელიას საჩივარი მიხეილ კალინინის სახელზე – საქართველოსგან გვიხსენით, დამოუკიდებლობა გვინდაო; რუსეთში იმიტომ შევედით, რომ საბოლოოდ და სამუდამოდ შევერთებოდით რუსეთის მშრომელ მასასო.

ასეთივე თხოვნით საქართველოს ცაკისთვის მიუმართავთ ვიღაც გრიგოლ ახალაიას და სხვებს...

ქვეყნის ერთიანობის ასეთი ხელყოფის წინააღმდეგ სხვა ჭკუადამჯდარ ქართველებთან ერთად მუდამ გამოდიოდნენ ქართველი მწერლები. აი, რა განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ 1932 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე:

> „აქ გამობრძანდნენ ჩვენი აფხაზი ამხანაგები. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდედიდან აფხაზის სისხლი მაქვს. მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავდა ისინი, მაგრამ აქ გამოვიდა ორი ახალგაზრდა კაცი, პირველი გრიგოლია, მეგრელი, ჩემი მეზობელი, მეორე – ჭკადუა, ესეც მეგრელი და რუსულად გველაპარაკა აფხაზეთის სახელით. რაშია საქმე, აფხაზები არიან მაგენი, თუ ვინ არიან?“

თქმა არ უნდა, ამას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის გამგე კარლო ორაგველიძე, რომელმაც ძველი ცოდვებიც არ დაუვიწყა შწერალს: ქართველი ერის განსაკუთრებულობას ქადაგებს: ამბობს – საქართველოში ნაციონალიზმი არ არისო, მაშ, პარტია ცდება, როცა ამბობს – არისო? ნაციონალისტობაა, როცა კ. გამსახურდიამ პლენუმზე თქვა: აფხაზეთის მეგრელმა რუსულად რატომ უნდა ილაპარაკოსო. ასევე ნაციონალისტობაა, როცა ამბობს - ბაღდათს მაიაკოვსკი რატომ უნდა ერქვას, როდესაც ქართველი

მწერლის სახელი არც ერთ ქალაქს არ ჰქვიათ.[15]

ამასობაში შინსახკომი განაგრძობდა თავლთუალს. დევნას, დაპატიმრებას, გამოძიებას...

ზოგიერთი გამომძიებელი ხვდებოდა, რომ ადგილი ჰქონდა შურის, ეჭვიანობის, ვერაგობის გამო უდანაშაულო ადამიანების დასჯას...

უფრო იშვიათად ისეთნიც იყვნენ, ვინც ამას დამსმენის , ან მსხვერპლის, ანდა ორივეს გასაგონად აღიარებდნენ, მაგრამ მათი ადამიანობის გამოვლინება ამას იქით ვერ მიდიოდა – საბჭოური დრო, შინსახკომის შიში მათ აიძულებდა სწორედ დასმენისა და ვერაგობის მსხვერპლი დაესაჯათ.

ამის ერთ მაგალითზე მოგვითხრო მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონის" ქართულ ენაზე სამაგალითოდ მოარგმნელმა ქალბატონმა თინათინ ჯავახიშვილმა (1902-1976), რომელიც 1932-1934 წლებში მოსკოვში ცხოვრებისას, ყოველ საღამოს სამხატვრო თეატრში ატარებდა. დანარჩენს თვითონ გადმოგვცემს:

> ამ თეატრის „ერთ-ერთი მსახიობი ვაჟი ჩემი გატაცების საგნად იქცა. ჩემი გატაცება, შეიძლება ითქვას, პლატონური იყო, რადგან მე მას არავის ვუმხელდი, მაგრამ მსახიობი, რომელსაც პირადად კარგად ვიცნობდი, გრძნობდა ჩემს მდგომარეობას... მსახიობის ცოლმა, რომელიც აგრეთვე მსახიობი იყო და ამავე თეატრში მუშაობდა, ყველას შესამჩნევად ეჭვიანობა დაიწყო...
>
> თავს შევებრძოლე, შემეშინდა, შეუფერებელი ნაბიჯი არ გადამედგა. გადავწყვიტე სამშობლოში დავბრუნებულიყავი და, თუ შევძლებდი, ყველაფერი დავიწყებისათვის მიმეცა. შევუდექი სამზადისს. ერთ მშვენიერ დღეს ბარგიც ჩავალაგე და ბილეთის საყიდლად მივდიოდი, როცა კარზე ფოსტალიონმა დამიკაკუნა, ღია ბარათი მივიღე. მსახიობის ცოლი შინ შეპატიჟებოდა...

ქეთილმა ქალმა, ვისთანაც ბინად ვიდექი და ვისაც ყველაფერი წინასწარ გავუმხილე, არ მირჩია წასვლა.

– ნუ წახვალთ. ადამიანები ბოროტები არიან. რა იცით, რა მიზნით გეპატიჟებათ? – მითხრა მან.

მე მაინც წავედი...

წამოვედი, ქალმა გამოთხოვებისას მაკოცა, მითხრა:

– უჩვენოდ არ წახვიდეთ თბილისში, უეჭველად გამაგებინეთ, როდის წახვალთ.

მეც ვაცნობე...

აქ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: სახლიდან გამოსვლისას სადარბაზო შემოსასვლელთან მანქანა გაჩერდა...

მთელი სიცოცხლე მეხსომება ის გამოძიება, რომელიც „ჩემი საქმის" გარშემო მიმდინარეობდა.

გამომძიებელმა მსახიობ ქალს ჰკითხა:

– როგორ ფიქრობთ, ეს ქალი, თქვენი სტუმარი, ნორმალურია?

– მე მაგის არანორმალურობა არ შემინიშნავს, – ურცხვად უპასუხა მან.

– მაშ, როგორ მოხდა, რომ სტუმრად გეწვიათ და პირველსავე წუთებში სავსებით უცნობ ადამიანთან ხელისუფლების აუგად ხსენება დაიწყო? აი, გეუბნებით, მე არა მჯერა, რასაც თქვენ ამტკიცებთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ..."[16]

...და ასე წაიყვანეს, ასე აირია მისი ცხოვრება...

ხელავთ, რუსი გამომძიებელი რა ადვილად მიხვდა, რომ მსახიობი ქალი ტყუოდა, ეჭვიანობის გამო სწამებდა ქართველ ქალიშვილს საბჭოთა მთავრობის ლანძღვას...

უფრო გასაოცარი ისაა, რომ ხმამაღლა, ბრალდებულის გასაგებადაც უთხრა მსახიობ ქალს: თქვენი ნათქვამი არ მჯერათ.

მაგრამ საშიში დრო იყო, გამომძიებელს არ შეეძლო, ეშინოდა აშკარა, უსაფუძვლო დასმენაც კი ყურადღების გარეშე დაეტოვებინა. აკი თქვა: ახლა ისეთი სიტუაცია არისო...

და ვინ იცის, ასე რამდენი უდანაშაულო, მოშურნის, სხვის თანამდებობაზე, ბინაზე, ქონებაზე, ცოლზე დახარბებულის, სხვაზე რაიმეს გამო გადაკიდებულის უსაფუძვლო დასმენით რამდენი უდანაშაულო ადამიანი გაუგზავნიათ ციხესა და გადასახლებაში!..

კეთილი სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ ისინიც, ვინც აქ ნახსენებ ბინის გამქირაველელ ქალივით სიკეთის ქმნას ცდილობდნენ იმ საშინ დროში.

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის 1924 წელს გამოხატული ერთსულოვნება დიდხანს აშფოთებდა და ელანდებოდა კომუნისტურ ხელისუფლებასა და მის შინსახკომს.

სწორედ მაშინდელი აჯანყების მინავლებული ცეცხლის გაღვივება დაინახეს 1932-1933 წლებში ბათუმელ მოსწავლეთა საქართველოს ისტორიითა და პოეზიით დაინტერესებაში.

გთავაზობთ ამონარიდს პავლე მოსეს ძე მორჩილაძის თხოვნიდან საქართველოს სსრ პროკურორისადმი მისი საქმის გადასინჯვის თაობაზე:

> „ჯერ კიდევ მეექვსე კლასის მოსწავლე, ე. ი. 13 წლის ვიყავი, როდესაც კლასის მოსწავლეთა ჯგუფმა (დიმიტრი ძიმისტარიშვილი, შოთა გოგუა და მე) შევქმენით საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე, ამის მიზეზი იყო ბავშვებისათვის ბუნებრივი რომანტიზმი და გარდა ამისა, ის, რომ, როგორც მოგეხსენებათ, იმ წლებში ჯერ კიდევ სკოლებში არ ისწავლებოდა საქართველოს ისტორია.
>
> აღნიშნულმა წრემ იარსება მხოლოდ 2-3 თვე, რის შემდეგ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო დაიშალა. 3 დღეც არ იყო გასული წრის დაშლის შემდეგ, როდესაც მე, შოთა გოგუა და დიმიტრი ძიმისტარიშვილი დაგვაპატიმრა აჭარის პოლიტსამმართველომ. სამი დღის შემდეგ ჩვენ მოგვაწერინეს ხელი რაღაც ქაღალდებზე და გაგვათავისუფლეს“.

ეს მოხდა 1934 წელს. იმავე ხანებში ამ წრესთან დააკავშირეს საქმე სხვა ასეთი მოსწავლეებისა, მათ შორის, დამწყები პოეტის ლაშა ტბაურისა (ლავრენტი ლაზარეს ძე ძიმისტარიშვილი), რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ პატრიოტულ ლექსებს წერდნენ.

1934 წლის დასასრულს მოკლეს ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე სერგეი კიროვი. ეს ი. სტალინმა გამოიყენა ოპოზიციის საბოლოოდ მოსასპობად. ს. კიროვის მოკვლის დღესვე 1934 წლის 1 დეკემბერს სსრკ ცაკ-მა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება კოდექსების გამკაცრების შესახებ: ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტული აქტების საქმეთა გამოძიება უნდა დასრულებულიყო 10 დღეში, საბრალდებო დასკვნა ბრალდებულს საქმის განხილვის წინა დღეს ჩაბარებოდა, განხილვა მხარეთა დაუსწრებლად წატარებულიყო, განაჩენის საკასაციო გასაჩივრება და შეწყალების შუამდგომლობის აღძვრა იკრძალებოდა.

1935 წლის დასაწყისიდან გამკაცრებულმა შინსახკომმა ზემოხსენებული ახალგაზრდები ისევ დააპატიმრა და სასწრაფოდ გაამზადა საბრალდებო დასკვნა: საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე ფიქრობდნენ, საიდუმლო მიმოწერისათვის შიფრი გამოიგონესო (უკიცი გამომძიებელი „შიფრის" ნაცვლად „შრიფტს" წერს).

აი, რას წერდა ამ მეორე ჯგუფის წევრი იოსებ მელიტონის ძე ებრალიძე:

> „აჭარის შინაგან საქმეთა კომისარიატის გამომძიებელს ვინმე ჩახავას საქმე მიყავდა როგორც შუასაუკუნეების ინკვიზიტორს: მიძახებდა დაკითხვაზე ღამის 2-3 საათზე, მკითხავდა სიბნელეში, ცხვირწინ იარაღს მიტრიალებდა, მცემდა, დახვრეტით მემუქრებოდა, ხან კი მპირდებოდა, რომ თუ ვაღიარებდი წრის ან ჯგუფის არსებობას და დავასახელებდი წევრებს, გამათავისუფლებდა. რომ არ ვიცოდი რა მეთქვა?"

გაგაცნობთ კიდევ ერთ აღგილს აქავე იოსებ ებრალიძის 1954 წლის სექტემბრის განცხადებიდან:

> „გამოძიების ყოფილმა მუშაკებმა (ჩახავა, რუხაძე, გოგლიძე) ჩემს მიმართ გამოიყენეს

გამოძიების არასაბჭოური მეთოდები, ქანცის გაცლით ისეთ მდგომარეობამდე მიმიყვანეს, რომ მზად ვიყავი ცრუ ჩვენებები მიმეცა ჩემს საწინააღმდეგოდ.

საბოლოო ჯამში ჩემზე შეაკოწიწეს საქმე (გრიშა ჩახავამ არაერთხელ მცემა).“

იოსებ ებრალიძის კიდევ ერთი განცხადებიდან:

„1932 წელს კ. არჯევანიძემ ბათუმის განათლების მუშაკთა სახლში წაიკითხა იდეურად გაუმართლებელი ლექსი, რომელსაც მე ვისმენდი. ამისათვის 17 წლისა გადამასახლეს ყაზახეთში, 1937 წელს დედის ავადმყოფობის გამო წამოვედი. ამავე წლის ნოემბერში დამაპატიმრეს, დამიმატეს 10 წელი შრომაგასწორების ბანაკში. 1947 წლის 5 ნოემბერს, ადრე გამათავისუფლეს კარგი მუშაობისათვის. 1951 წლის 27 იანვარს ყოველგვარი დანაშაულის გარეშე სათათბირომ სამუდამოდ გადამასახლა კრასნოიარსკის მხარეში“.[17]

პოეტი ლაშა ტბაური კი გადასახლება'ში დაიღუპა.

მას შემდეგ, რაც პროლეტარულ მწერლებს ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ჭეშმარიტი მწერლები დაათრგუნვინეს, ზოგი აიძულეს საბჭოური თემების დამუშავებაზე გადასულიყვნენ, ზოგიერთი, ვინც ამას თავი აარიდა, მწერლობას სულ ჩამოცილდა, სხვები სიტყვაკაზმული მწერლობიდან თარგმანზე, ლიტერატურის კვლევასა და ისტორიაზე გადავიდნენ, ერთი სიტყვით, როცა პროლეტმწერლებს 'შავი საქმე გააკეთებინეს, 1932 წელს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მათი ორგანიზაციები გააუქმეს, მათ შეუზღუდავ ბატონობას თითქოს ზღვარი დაედო, მაგრამ ლიტერატურაში კლასობრივი ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა, კომპარტია და ყოფილი პროლეტმწერლები საბჭოური ლიტერატურის მაგისტრალური, მალე „სოციალისტურ რეალიზმად“

სახელდებული გზიდან გადახვევას არ ითმენდნენ.

აი, ამის ერთი მაგალითი:

მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე (1934.16-19.VI) კავშირის თავმჯდომარეს მალაქია ტოროშელიძემ ასე შეაფასა კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრება (გაზეთი „სიტყვა და საქმე") – ტალანტი ხელისუფლებას უნდა ებრძოდესო: *„განა ყველა ხელისუფლებას!*

განა გამსახურდიამ არ იცოდა, რას წერდა! რასაკვირველია, იცოდა, რომ სწერდა მას, რასაც მე ვამბობ, გერმანიის ფაშისტებს კი არ აგინებს, არამედ ჩვენ გვაგინებს".[18]

კიდევ ერთი ამბავი 1934 წლისა, რაც ამტკიცებს, რომ ხელისუფლება თანდათან მკაცრდებოდა.

1931 წელს გრიგოლ რობაქიძე მესამედ და საბოლოოდ წავიდა საზღვარგარეთ.

ერთხანს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო - 1931 წლის 26 მაისს მწერალთა ფედერაციამ ა/კ ფინსახკომში იშუამდგომლა გრ. რობაქიძეს პიესა „ლამარასთვის" კუთვნილი ჰონორარიდან 300 მანეთი ვალუტით საზღვარგარეთ გადაურიცხეთო.

დიახ, ერთხანს შედარებით ყველაფერი რიგზე იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ადრე გრ. რობაძიძეს, ისევე, როგორც სხვა ნიჭიერ მწერლებს, უდიერად აკრიტიკებდნენ: შინაგან ემიგრანტად მოიხსენიებდნენ, პროვოკაციულად ეკითხებოდნენ: რასიზმი როგორ გესმითო.

გრ. რობაქიძეც ხაზგასმით პასუხობდა: მხოლოდ როგორც ადამიანთა შორის არსებული ჯიშთა განსხვავება. იდეოლოგიური მომენტი ჩემს აზრში საძებარი არაა, სწორად დაიხსომეთო!

ცხადია, ასეთ მომენტებს გულისხმობდა მწერალი, როცა აღმოხდებოდა: მოდი და იცხოვრე საქართველოში. ესაა ხელოვანის თვითმკვლელობაო.

ისე თვითონაც საკმაოდ ჯიქურ პასუხობდა პროლეტმწერლებს. თქვენ უნიჭო აგიტატორები ხართო.

საშობლოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ აქ მის გარშემოც და საერთოდაც ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ ურჩევიათ – დაბრუნება საშიშიაო.

საზღვარგარეთ დარჩენის შემდეგ ხომ ლანძღეს და აგინეს. მარტო კომუნისტი კრიტიკოსის გრიგოლ მუშიშვილის (ხოფერია) წიგნი-პამფლეტი „გველის პერანგოსანი" რად ღირს!

სხვები აბობდნენ პიესა „ლამარაში“ მიწასთან დაბრუნების იდეა მისტიციზმამდეა აყვანილიო.

მაგრამ მისტიციზმის დაბრალებას ვინ ჩიკის, მთლად წაართვეს ეს პიესა: 1934 წლიდან „ლამარას“ ვაჟა-ფშაველას სახელთან აკავშირებენ, მისი დადგმის მაკეტებზე რობაქიძის გვარი წაშალეს და ვაჟა დააწერეს.

ყველაფერ ამაზე გულისტკენამ გამოხატულება იპოვა ნიკოლო მიწიშვილისთვის გამოგზავნილ წერილში.

მტრად გამოცხადებულის წერილი უნდა დაგეგმო თუ არ გინდოდა თავზე უბედურება დაგტეხოდა. ასე მოიქცნენ ნიკოლო მიწიშვილიც და წერილში მოხსენებული სხვა მწერლებიც.

და აი, 1934 წლის 19 აპრილს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა „იაშვილის, მიწიშვილის, გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის განცხადება გრ. რობაქიძის შესახებ“.

ძვირფასო მკითხველებო, ნუ გაგიკვირდებათ თუ ახლა ჩვენი ცნობილი მწერლებისგან თქმული გრიგოლ რობაქიძის სალანძღავ სიტყვებს წაიკითხავთ. საშინელი დრო იყო, არ გალანძღავდი და შავი დღის მოლოდინში უნდა გატანჯულიყავი;

სხედან მარცხნიდან: კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, თამარ იაშვილი, ნინო ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი.
დგანან: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი.

გალანძღავდი და ღამეები არ გეძინა, თავი გეხიზღებოდა; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ, არც ამ ლანძღვამ გადაარჩინა ზოგიერთი მწერალი...

ახლა ვნახოთ თვით ოქმი:

„ამხ. პ. იაშვილი – განცხადებაში გრ. რობაქიძეზე და მის მოღალატეობრივ მუშაობაზე გამოთქმული აზრი ახალი არ არის. ჩვენ ამის შესახებ წინადაც გვქონია გაზეთში მოთავსებული წერილი. ეს განცხადება გამოწვეულია იმ პროვოკაციული წერილით, რომელიც გრ. რობაქიძემ გამოუგზავნა ამხ. ნ. მიწიშვილს.

ამხ. ს. შანშიაშვილი – ამხანაგების განცხადებამ ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქოს გრ. რობაქიძე დიდი ვინმე ყოფილიყოს. ის აქაც არარაობა იყო და არც საზღვარგარეთ წარმოადგენს დიდ ფიგურას. ეს განცხადება რომ ძალიან გავახმაუროთ, გრ. რობაქიძე გამოიყენებს, ფაშისტ როზენბერგს ეტყვის, ხომ ხედავ, რა დიდი კაცი ვყოფილვარო.

ამხ. მიხ. ჯავახიშვილი – საქმე ეგრეც არ არის, როგორც შანშიაშვილმა გვიამბო; გრ. რობაქიძეს ქართულ მწერლობაში საპატიო ადგილი ეჭირა, ერთი მხრივ კი მართალია სანდრო, რომ ასეთი განცხადებების ფართო გახმაურება გრ. რობაქიძეს საზღვარგარეთ კაპიტალს შესძენს. აქიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია. ამხანაგების განცხადებას ვეურთდები“.

და ბოლოს ოქმის დასკვნა:

„სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა, განიხილა რა ფაშისტ გრ. რობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ მწერალთა ერთი ჯგუფის პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის და ნ. მიწიშვილის განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს

საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი აქტივი, დაადგინა:

ეთხოვოს სსსრ ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრ. რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, თვალთმაქცურად გადასული კონტრრევოლუციონურ ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სამშობლოს მოღალატეთ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგის განხორციელებით".

ორიოდე სიტყვა ვთქვათ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის კიდევ ერთი სხდომის შესახებ, რომელიც გაიმართა 1935 წლის 17 მარტს.

ეს იყო გაფართოებული სხდომა, უფრო სწორად ხოტბის აღვლენა. ხოტბის საგანი – საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი – ლ. ბერია, საბაბი – მისი დაჯილდოება ლენინის ორდენით.

მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი თათარიშვილი.

ეს განათლებული კაცი თვითონ იყო უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი, შიგნიდან უყურებდა ყველაფერს და იცოდა: უნდა ექო და ედიდებინა...

მწერლებიც, რომლებიც სიმართლისთვის მებრძოლნი უნდა ყოფილიყვნენ, მიხვდნენ, რომ აღარ შეიძლებოდა ბერიას ძველებურად აგდებულად მოხსენიება, რაღაც საშინელი ძალა აიძულებდა მათ სიყალბე ელაპარაკნათ.

აი, რა ითქვა პრეზიდიუმის ამ სხდომაზე:

„მ. ჯავახიშვილი – საქართველოს მწერალთა მასამ წამოაყენა შესანიშნავი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია. ჩვენ ვიცით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგთან ერთად რა დიდი ყურადღებით ეპყრობა ამხ. ლ. ბერია მწერლობას, გავუგზავნოთ მისალმება და აღუთქვათ, რომ გავამართლებთ მათ იმედებს.

ს. ჩიქოვანი – პირობა მივცეთ...

ესალმებიან ს.შანშიაშვილი და ალ. ჭეიშვილი.

ტ. ტაბიძე - 1931 წლის ოქტომბრის 30-დან იწყება ა/კავკასიაში და საქართველოში მუშაობის გადახალისება უშუალოდ სტალინის მიერ დასახული ამოცანების მიხედვით. მთავარი ხელმძღვანელი ჩვენი მიღწევებისა არის ლ. ბერია... ჩვენ რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა, უნდა ვისწავლოთ ამხ. ლ. ბერიას მიერ შექმნილი ახალი სტილით მუშაობა.

კ. გამსახურდია – ის დიდი გარდატეხა, რომელიც მოხდა ქართველ საბჭოთა მწერლებისადმი დამოკიდებულებაში, შედეგია ამხ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობისა... მეტეხის ციხე, დილეგი, ამხ. ბერიამ კულტურულ სასახლედ გადააქცია...“

გაიელის 2 წელი და გამოჩნდება ბერიას ნამდვილი დამოკიდებ-ულება ქართველი მწერლებისადმი და, მართალია მეტეხის ციხე გააუქმა, მაგრამ მწერლებისთვის, ხელოვნების მუშაკთათვის, მეცნიერთათვის და სხვებისთვისაც სხვა ციხეებში გამონახა ადგილები.

მემარცხენე, ე. ი. კომუნისტებზე უფრო კომუნისტურ პოზიციებზე მდგომი პროლეტარული მწერალი, პროლეტმწერლების ლიდერობის პრეტენზიის მქონე პლატონ ქიქოძე სასტიკ ბრძოლას ეწეოდა სხვადასხვა დაჯგუფებათა და თვით შედარებით ნორმალური პროლეტმწერლების წინააღმდეგ. ეგონა ყველაფერი პროლეტმწერლებიდან იწყება და მომავალი მხოლოდ მას აქვსო. ასე ჩაუნერგა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ. ვაჟა-ფშაველას ყველაზე უკულტუროს, ანტისაზოგადოებრივს უწოდებდა, „არ ვიცი რა მოსაზრებით ატარებს კლასიკოსის სახელსო* („ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, გვ. 63) ამის მიუხედავად, არ აპატიეს, როცა

---

* თავად კი რა განათლებული იყო, მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკში ჩანაწერი გვიჩვენებს: „პატ. ქიქოძემ საჯარო მოხსენების დროს უპასუხა ბ. ჟღენტს: „შექსპირი ლესინგის გავლენით წერდა“ და „ეს მწერლები დეკამერონით და ბეატრიჩეს სტილით სწერენ“. ასეთი კრიტიკოსები წიგნებსაც კი ბეჭდავდნენ“.

გაამხილა: *კლასიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი პარტიის ბრძოლაა, იგი პარტიის მიერ არაერთხელ სანქცია ქმნილიაო.*

პლატონ ქიქოძე 1935 წელს გადაასახლეს, მოსალოდნელი იყო მისჯილი რამდენიმე წლის მოხდის შემდეგ დაბრუნებოდა, მაგრამ, აი, რა გავიგე 1998 წელს, როდესაც ადრე საქართველოში ნამოღვაწარმა და მიუხედავად იმისა, რომ აქ მშობლები დაუხვრიტეს, ჩვენი ქვეყნის მოყვარულმა, ამჟამად სანკტ-პეტერბურგელმა ერნესტ პერენმა ჩვენი ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკს, გურამ სოსელიას გამოუგზავნა 1937 წლის ოქტომბერში დახვრეტილი სოლოვეცკის ცხის 1111 პატიმრის სია, რომელშიც რამდენიმე სხვა ქართველთან ერთად აღმოჩნდა ჩაწერილი: „პლატონ იოსების ძე ქიქოძე, 1905 წ. ქუთაისი, აზნაური, უნივერსიტეტის პროფესორი; „ლიტერატურული გაზეთის" (თბილისი) რედაქტორი, სკკპ(ბ) წევრი, მიესაჯა 5 წელი შრომაგასწორების ბანაკი (1935.11.IX; 58-10 სსრკ მსს კომისარიატის საგანგებო სათათბირო).[19]

იმ დღიდან პლატონ ქიქოძე განისვენებს სანდორმოხის მემორიალურ სასაფლაოზე ლენინგრადის ოლქის მედვეჟეგორსკ-პოვენეცის გზატკეცილის მე-19 კილომეტრზე...

ამ დახვრეტილთაგან ყველას ასევე მისჯილი ჰქონდა რამდენიმე წელი, მაგრამ ყველა ასევე უმოწყალოდ დახვრიტეს. მიზეზი? უნდოდათ შემარცხენე თუ მემარჯვენე ოპოზიციის საბოლოოდ მოშორება, ამისათვის მოჩვენებითი კანონიერების დარღვეასაც არ დაერიდნენ.

ეს მხოლოდ ერთი ციხიდან დახვრეტილთა მაგალითია, მაგრამ საბჭოთა კავშირში სხვაც მრავალი იყო ასეთი ციხე და იქაც ხვრეტდნენ სხვადასხვა ვადამისჯილ პატიმრებს...

პლ. ქიქოძის ჯგუფის წევრებიდან პოეტ **ფრიდონ ნაროუშვილის** ლექსში „ეგნატე ნინოშვილი და ილია ჭავჭავაძე ხელოვნების სასახლეში" (დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი ეგნატე", ზესტაფონი, 1934.25.V), შეიძლება ითქვას, თავხედურად აისახა მწერალთა სასახლეში მიმდინარე დაუნდობელი ბრძოლები ლიტერატურაში ბოლშევიკური პარტიის ინტერესების დამცველ, ხელისუფლებისგან უფლებრივ-მორალურად და ფინანსურად მხარდაჭერილ, ნაკლებნიჭიერ პროლეტარულ მწერლებსა და ეროვნული ინტერესების დამცველ ნიჭიერ მწერლებს შორის:

აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან
ჩვენი ეგნატე, მათი ილია,
აქ ორნაირი ტრიალებს დანა,
დარბაზი ორად გაყოფილია.

ამ ლექსში პოეტი არასაკადრისად იხსენიებს ჩვენს დიდ ეროვნულ მოღვაწეს („ჯორჯაძის დინგი"), სხვაგან უღირსად ლანძღავდა ილიას: „გლეხების სისხლით გულგაპოხილი, გლეხების სისხლით შეღებილია", „ფეოდალ-კლასიკს ჰქონდა მამული, მეტყველ პირუტყვებს აძრობდა ტყავსაც, ქონდა გლეხების მას სიყვარული, ვით ხარი უყვარს ღონიერ ყასაბს"; ლანძღავდა მის თანამედროვე საუკეთესო მწერლებსაც და მოღვაწეებს: ტიციან ტაბიძეს „მეარღნე ტიტე" უწოდა, პაოლო იაშვილს „თავბლუ ცისფერი ყანწებით" და „სუფრის მელექსე", ვახტანგ კოტეტიშვილს – „კაციჭამია", ყველას ერთად კი - „პლეადა წუნკალ შოვინისტების".

ამ პლეადაში პროფ. ივანე ჯავახიშვილიც მოაქცია; აქებდა და აქეზებდა მრისხანე და დაუნდობელ დაწესებულებას - სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (Государственное Политическое Управление): *„ვაშა გ.პ.უ. – შენი განაჩენი ბოლშევიკურად არის დაწერილი! როგორც პოეტმა პოლიტიკურმა, უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი, სოციალიზმის ყველა მავნებელი დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი!"*

ასე აბუჩად იგდებდა ეროვნულ მოღვაწეებს „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციაში", ასე აკეთებინეს შავი საქმეები, ასე აქეზებდა შინსახკომს – დაუნდობლად გაანადგურე ხალხი, მაგრამ გავიდა ხანი და თვით ფრ. ნაროუშვილი უმოწყალოდ მოიცილეს და სადღაც გადასახლებაში დაიღუპა.

ასევე მკაცრად მოექცნენ პლატონ ქიქოძის ჯგუფის მეორე პოეტსაც – კალე ფეოდოსიშვილს (ვეკუა), იმის მიუხედავად, რომ ერთგულად ამცირა კლასიკოსები – მე-19 საუკუნის მთელ ქართულ მწერლობასა და ილია ჭავჭავაძეზე მაღლა დააყენა ეგნატე ნინოშვილი: „თავს შემოვავლებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას, დიდ ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან ბაასი" („პროლეტარული მწერლობა", 1927, №1), თავი გამოიდო და მშობლიურ კომპარტიას ისიც კი შეეპირდა (ლექსი „ქალაქის ბაღში" - ჟურნალი „მერცხალი", 1926, №4): *ოუ მიბრძანებ მამასაც მოვკლავ და დედასაც*

გავანადგურებო, რასაც კრიტიკოსი პლატონ ქიქოძე ნიმუშად უსახავდა პროლეტკულტწერილებს – აი, მისი მსჯელობა (სტილი, რა თქმა უნდა, დაცულია):

> „ფეოდოსიშვილი ანვითარებს კულტს პროლეტარული ეთიკისას, მოვიყვანოთ მშვენიერი მაგალითი, მის ლექსს „ქალაქის ბაღში" – დან: „მე მამას მოვკლავ, დავაღრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა".[20]

ამის სანაცვლოდ რა ძიიღეს მათი გამაბრიყვებელი ვერაგი ბოლშევიკური პარტიისაგან, უკვე მოგახსენეთ.

ხომ მამა-პაპათა საფლავების მაოხრებელნი იყვნენ, მაინც ცოდვა იყო მათი დაღუპვა – გავიდოდა დრო, შეიგნებდნენ თავიანთ შეცდომებს და, ალბათ, კიდევ გამოადგებოდნენ ქვეყანას.

ამათ მაგალითზე შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ:

საბჭოური წლების უკმაყოფილონი და მოწინააღმდეგენი ხომ 1921 წლიდან, განსაკუთრებით 1924 და 1937-38 წლებში ავიწროვეს და დევნეს, ციხეებსა და გადასახლებაში ამცირეს და აწამეს, გაუსაძლისი შრომით და შიმშილით დააჩაბუნეს და დააბერეს, ორთაჭალასა თუ ვაკეში ხვრიტეს და იქაურ თხრილებში ჩამარხეს, – არც კომუნისტების ერთგული ხალხი, თვით ჩეკასა და შინსახკომის მუშაკები, პარტიის რაიკომის მდივნები არ დაინდეს, ერთი სიტყვით თავისიანებს მისდგნენ...

ენაკვიმატმა ხალხმა ეს ჯერ კიდევ 1922 წელს შენიშნა და სატირის შუბზე წამოაგო:

> ჩეკამ უთხრა ცეკას: აწი რაღა ვქნაო?
> დავიჭირე სუყველა, ვინც კი რამე სთქვაო,
> საქმე აღარა მაქვს რა, არც დარდი
> მასვენებსო...
> ცეკამ ასე მიუგო: უნდა მისდგე ჩვენებსო![21]

სატირის ავტორმა ისიც შენიშნა, ვინ იყო დატუსაღება-ხოცვა-ულეტის ნამდვილი დამკვეთი.

ახლა 1934 წელს რეპრესირებულ კიდევ ერთ მწერალზე მოგახსენებთ. ამ წელს ახალგაზრდა მწერლის გიორგი შატბერაშვილის „დუშმანის" დადგმაზე დაიბეჭდა არაკომპეტენტური, პიესის განმაქიქებელი რეცენზია,

რომელსაც ხელს აწერდა ვინმე ივ. კიკნაძე.

ალმა-ატაში გადასახლებულ გიორგი შატბერაშვილს ჩააკითხეს მშობლებმა

გ. შატბერაშვილმა ამის გამო პარტიის ცკ-ში შეიტანა განცხადება და აღნიშნა რეცენზიის არაკვალიფიციურობა.

ამას დაემთხვა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულმა დამცველებმა გ. შატბერაშვილის ლექსში ანტისაბჭოურობა დაინახეს. ეს კარგად გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ მათ მიერ გამოქვეყნებული წერილების სათაურებში: „სკეპტიციზმის შხამით მოწამლული" – ასეთი წერილით მისცა დასაბამი ამ დევნას ოფიციალური კრიტიკის წარმომადგენელმა ვანო წულუკიძემ, „დაკარგული იმედები" – ასე გამოეხმაურა პარტიის მიერ დანიშნული მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დავით დემეტრაძე, „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია" – ასე დაასხა ცეცხლს ნავთი პარტიის ცკ-ის წარმომადგენელმა კარლო ორაგველიძემ. „მეტი სიფხიზლე" – მოუწოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ შალაქია ტორონელიძემ, „კონტრრევოლუციური ტროცკიზმის უდღეური ნაშთები" – საშინელი ბრალდებით დააგვირგვინა ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციამ.

ყველაფერი ეს გამოიყენა ზემოხსენებულმა რეცენზენტმა ივ. კიკნაძემ.

დანარჩენს გვეტყვის ამონაწერი გიორგი შატბერაშვილის განცხადებიდან საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის გიგაურისადმი (საქმე №233, ფურც. 229-231):

„რა ვიცოდი თუ ჩემი რეცენზენტი მცირე ხნის შემდეგ ჩემი ბედის მსაჯული, ჩემი საქმის გამომძიებელი აღმოჩნდებოდა!

საქმის ძიების დროს გამომძიებელი ივ. კიკნაძე შეურაცხყოფილი ადამიანის ტონით,

ხშირად სადისტურად დამცინოდა იმის გამო, რომ რუსული ენა კარგად არ ვიცოდი (დაკითხვას რუსულად აწარმოებდა), ან თუ რომელიმე ლიტერატურული ფაქტის არცოდნას გამოვამჟღავნებდი... „განა შეიძლება შენ ვინმეს ლიტერატურის უცოდინარობას უსაყვედურებდე?" – ცინიკურად მომმართავდა ის...

რასაკვირველია, ჩემს გამომძიებელს წაკითხული ჰქონდა ჩემი განცხადება მისი რეცენზიის შესახებ და სამაგიეროს თავისებურად მიხდიდა: ყოველნაირად ცდილობდა საქმის გაბერვას და მის დაკავშირებას პ. ქიქოძის საქმესთან, ცდილობდა გამოვეცხადებინე მის თანამოაზრედ, მაშინ, როცა პ. ქიქოძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩემი საქმე გაბერა და დაპატიმრებამდე მიმიყვანა.

ივ. კიკნაძის პატივმოყვარეობის გაღიზიანება ძვირად დამიჯდა: ათი წლის განმავლობაში მე მოწყვეტილი ვიყავი ჩემს საქმეს".[22]

შემდეგ ამას მწერალი ლექსების წიგნის „გზა, განვლილი გზა" (1964) წინასიტყვაობაში ასეთ განმარტებას დაუმატებს: „პირველი ლიტერატურული ცდების შემდეგ დადგა ათი წელი დუმილისა (1934-1944). ამ ხნის განმავლობაში არაფერი გამომიქვეყნებია, სოფლის მასწავლებლად ვმუშაობდი".

კომუნისტური ხელისუფლება თავის მიერ ნებადართული ღონისძიებების საჯაროდ ჩატარებასაც გაურბოდა. ხალხის რეაქციის, თუნდაც სიხარულის გამოხატვის ეშინოდა. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ასეთი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ 1935 წელს, გარდაცვალების 20 წლისთავზე ვაჟა-ფშაველას ნეშტის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენება მთავრობის დადგენილებით ხდებოდა, ეს პროცედურა რატომღაც ღამით, 10 საათის შემდეგ ჩატარდა, თანაც პატარა მანქანით, რომელშიც კუბო სიგრძით არ ჩაეტია და გარდი-გარდმო

მოათავსეს. ლევან ასათიანს უბის წიგნაკში ჩაუწერია: *„საწყალი ვაჟა-ფშაველა, ასე საცოდავად ჩაკვეტებული მანქანაში, გავგზავნეთ მოაწმინდისაკენ. რატომ ხდებოდა ასე ჩუმად და საიდუმლოდ ეს აბბავი, ვერ ამიხსნია. ჩვენ ქურდებივით მოვიპარეთ თითქოს მისი სხეული, რომ ქვეყანას არ გაეგო.* „Почему так нищенски все это обставлено?" – *მკითხა მიკოლა ბაჟანმა.*[23]

კომუნისტური ხელისუფლება თითქოს ყოვლისშემძლე იყო, მაგრამ ხალხის თავშეყრის მაინც ეშინოდა. ასევე აფრთხობდა მხატვრული სიტყვის თავისუფლება, თუნდაც მას პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონოდა. პარტიული ხელმძღვანელები და მათი მსახური კრიტიკოსები ჭკუას ასწავლიდნენ მწერლებს, ხან კურიოზული დარიგებებით თავს უხერხულობაში იგდებდნენ, ღმერთმა იცის რა ცოდვებს არ ხედავდნენ ლექსის ამა თუ იმ სტრიქონში. მაგალითად, მწერალთა ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია თავაძემ გიორგი ლეონიძეს ლექსის ამ სტრიქონზე – „რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა", – ასე თქვა:

„სხვა რომ არ იყოს, ეს არის მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის გაბიაბრუება, რაც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს მკითხველს".[24]

იმ მკითხველს კი, რომელზეც ასე ზრუნავდნენ, არასოდეს ჩაუთვლია დანტეს აგდებად გიორგი ლეონიძის ზემოხსენებული სტრიქონები.

ამ თავში იმაზე ვისაუბრებთ თუ როგორ გრძელდებოდა ქართველი ხალხის დამოურჩილებლობა და ხელისუფლების ბრძოლა მის წინააღმდეგ, რეპრესირებულთა ამბავიც ამ დაუმორჩილებლობისა და ხელისუფლების ჭიდილი იყო. ამ თავის დასასრულიც დაუმორჩილებლობის მაგალითს უნდა დავუთმოთ.

პოეტი იოსებ გრიშაშვილი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებისთანავე მრისხანე ლექსით („რუსული ჩექმა"), მწარე სიმართლით შეეგება ახალ, ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მაგრამ შემდეგ, იძულებული შეიქნა ბერია და საბჭოეთი ექო და ედიდებინა, გულში სულ სხვა ტკივილს ინახავდა. ეს თუნდაც 1935 წელს დაწერილი ლექსის „აბანოს ცრემლების" იმ სიტყვებიდანაც ჩანს, რაც პოეტმა თავისი გრძნობების

შესანიბღავად გოგირდის წყალს ათქმევინა:

განა არ მახსოვს კარგი დღეები?
განა არ ვსტირი წარსულს ნიადაგ?
შემომესივნენ ვიღაცეები
და ძირში სთხრიან ძვირფას ნიადაგს
.....
დღეს თვით მონა ვარ უცხო მხარისა,
ვილევი, ვქრები, მოვკვდი გავთავდი,
მირევენ წყაროს ნატახტარისას
და მაცხელებენ თათრული ნავთით.

მინდა მოვუხმო თამარს, რუსთაველს,
მაგრამ სად არის? სევდამ დამფერა,
დღეს ჩემს ლულისქვეშ მკერდს ისუფთავებს
ვიღაც მატრონა, ვიღაც ხამფერა.

1937 წლის საშინელებათა მზადება რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებიდან და საქართველოში გასაბჭოების პირველივე დღიდან, 1921 წლის 25 თებერვლიდან დაიწყო.

1921-1924 წლებში თუ განუკითხავად ხვრეტდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი თავადი, ან აზნაური, მღვდელი, ან ინტელიგენტი იყო, შემდეგ და შემდეგ საჩვენებლად საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები აამოქმედეს.

ეს ორგანოები იმთავითვე კომუნისტური ხელისუფლების მითითებით მოქმედებდა და მისი მეთოდები შესაბამისად ბინძური იყო.

მაშინდელ ციხეებში გაბატონებულ სისასტიკეზე კრებულში „დაპყრობის 60 წლისთავი" (პარიზი, 1981) მოგვითხრო ქრისტეფორე იმნაიშვილმა:

„ქუთაისის ჩეკას სარდაფში გვაძლევდნენ ას გრამ ჭადს და ლობიოს ნახარშ წვენს. აქ იყო „კომენდანტ სმერტი" - ჯალათი ახუნდოვი, საზიზღარი შეხედულობის, იცვამდა თეთრ ჩერქესკას და სისხლით შეღებილი იყო. ამ ჯალათს მოყავდა სისრულეში დახვრეტა. სარდაფში ჩაკლავდა და შემდეგ მიჰქონდა

საღორიის ტყეში.

ჩეკას ციხის სარდაფში ხდებოდა „საშინელი წამება და ყვირილი. შეუკრავდნენ ხელებს და მიყავდათ. ჩაყრიდნენ საბარგო მანქანაში. ეს საბარგო მანქანა ამუშავებული ყავდათ, რომ ყვირილის ხმა გარეთ არ გასულიყო. წაიყვანდნენ საბურთალოზე და გამზადებულ ორმოში ჩაყრიდნენ. ყოველ ღამით მიმდინარეობდა ეს არგაგონილი წამება და მხეცური ჩაკვლა ადამიანების. ერთ ღამეს გამოუძახეს რამდენიმე პირს, მათ შორის იყო ერთი ნიგოეთელი ორმოცაძე. როცა გაიყვანეს და მოუნდომა ჯალათმა შულმანმა ხელების შეკვრა, ორმოცაძემ მოასწრო ჯიბიდან ნატეხი ჭიქის ამოღება და დაკრა სახეში შულმანს და მაგრად დაასახიჩრა. ორმოცაძე მოკლეს კარიდორში“ (სხვა ცნობებით, შულმანს სუსლიკა ანდრონიკაშვილმა ჩაარჭო ლურსმანი ყბაში).

მაგრამ თურმე ძალე უფრო საშინელი დღეები დადგებოდა.

თავი X.
1937-1938 წლები

„უკვე ახალ კონსტიტუციაში ვცხოვრობთ, როდესაც უკვე მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს კანონს სასჯელის ვადისა“.

გრიგოლ ლორთქიფანიძე
ბარათი „თავისუფალი“
დასახლებიდან –
ვორონეჟი, 1937 წლის 5 იანვარი

„ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.“
ტიციან ტაბიძე, 1926 წ.

საოცარია, როგორ დაიჯერა ბოლშევიკების სამართლიანობა – მისჯილი ვადის მოხდის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გამათავისუფლებენო, როგორ შეცდა მაინ ისეთი პრინციპული მოწინააღმდეგე, როგორიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას არა შორეული ემიგრაციიდან, არამედ საბჭოეთში, უმეტესწილად საპყრობილეებიდან და „თავისუფალი“ დასახლების აღგილებიდან უწევდა წინააღმდეგობას და მრავალგზის დაუფარავად ეუბნებოდა სიმართლეს:

I. „საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს მოქ. ლევან ღოღობერიძეს“

წარმოგიდგენთ ორ ამონარიდს ამ ბარათიდან: *„ძირითადად დაწესებულებათა გაეროვნებას სრულიად ზერელე ხასიათი აქვს და ეს პროცესი, როგორც ჩანს, ამ ჟამათ არამც თუ მოდუნებულია, არამედ დენაციონალიზაციის რეციდივებს აქვს ადგილი“;*

„აჭარაში ქართველებს და ქართველ მაჰმადიანებს ისე უპირდაპირებენ ერთიმეორეს, როგორც ორ ეროვნებას „აჭარელისა“ და „ქართველის“ სახელწოდებით“;

ბარათის საერთო დასკვნა კი ასეთია:

1. „ზაკფედერაციის“ გაუქმება და საქართველოს... საკითხის მოგვარება; 2. მიწის რეფორმისათვის წერტილის დასმა, მიწის თუ საკუთრების არა, უვადო მიწათმფლობელობის უფლების სრული განკარგულება: შეძენა და გასხვისება, განსაზღვრულ ფარგლებში, მაგალითად, ორი ნორმა; 3. მუშა-მოსამსახურეს იმის გარანტია, რომ მას არ დაითხოვენ უეცრივ, უმიზეზოდ, თვითნებურად; 4. სრული პოლიტიკურ-ეროვნული ამნისტია“ (პირველი პუბლიკაცია შოთა ბადრიძისა – გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989.30.VII).

გრიგოლ ლორთქიფანიძე

II. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სოც. დემ. პარტიის ცენტრალურ სალიკვიდაციო ბიუროს, არჩილ რუხაძეს, ანდრო ფარნიევს და სხვებს“:

> „ნუთუ თქვენ არ გახსოვთ ს. ორჯონიკიძე თქვენს თბილისურ კონფერენციაზე როგორ ამტკიცებდა, რომ პატარა ხალხებს, როგორიც საქართველოა, არ შეუძლია ჰქონდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, უფრო მეტიც, ქართველ ხალხს არ შეუძლია ჰქონდეს სახელმწიფო – ნაციონალური ორგანიზაციის რაღაც სუროგატიც კი, რადგან ის შეადგენს იმ ტერიტორიის მოსახლეობის 75 %-ს, რომელიც მიუღებელია იწოდებოდეს საქართველოდ“ (Грузия. Тифлис. «Литературная Грузия». 1991. №8).

III. მისალოცი დეპეშა ი. ბ. სტალინს, რომელიც გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1929 წლის 21 დეკემბერს კურსკიდან (სადაც ის იმეცადინებოდა „თავისუფალ“ დასახლებაში) გაუგზავნა მისი

დაბადების 50 წლისთავზე:

„მოსკოვი. კრემლი. სტალინს

დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ. რომაულ ტრიუმფებში მონაწილეობდა სპეციალური მონა, რომელიც დიად გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. შუასაუკუნეების რუს მეფეებთან კრიტიკა წარმოდგენილი იყო სალოსების სახით. რომაელი ავგუსტებისა და რუსი მეფეების მონები იმუნიტეტით სარგებლობდნენ.

არ ვდგავარ რა ავგუსტოსის ტრიუმფალური ეტლის სატერფულზე და არც კარის სალოსი ვარ, ცხადია, ასეთი იმუნიტეტის იმედი არ მაქვს, მაგრამ თავს მაინც ვაძლევ იმის ნებას, რომ ერთგვარი დისონანსი შევიტანო იმ მაქებართა ქოროში, რომელიც თქვენ გეხვევათ ახლა, თქვენს ნახევარსაუკუნოვან დღეს.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და სხვ. ამას მრავალი ჩვენგანი გულწრფელად გისურვებთ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს იუბილეს დაემთხვა ორი უმნიშვნელოვანესი, აღმაშფოთებელი, წინააღმდეგობრივი და თქვენს მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ნაციონალური პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისთვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებათა მინიჭება, იმავდროულად საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ავტონომიის ნარჩენების საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გარდაქმნა ერთიან რუსულ სამეფისნაცვლოდ კრინიცკის მეთაურობით.

საუკეთესო საიუბილეო მისალმებასთან ერთად გისურვებთ, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევონ ძველრუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და რომ მოსკოვის დიდ-მპყრობელობამ მეტათ ვერ შეძლოს გაეხვიოს

ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების მეწამულ ტოგაში“.

IV. 1933 წლის ჩვენება:

„მე ვიყავი მტკიცე მოწინააღმდეგე ბოლშევიკური ხაზისა... წინააღმდეგი ვიყავი ოქტომბრის რევოლუციისა და მომხრე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა“.

გასული საუკუნის 30-იანი წლების საბჭოური სისასტიკის კვალს ატარებს 1937 წლის 5 იანვრის წერილი, რომელშიც გრ. ლორთქიფანიძე იმედს გამოთქვამდა – კონსტიტუციის მიღებით უკვე ძალა და სიმტკიცე აქვს სასჯელის ვადის კანონსო.

მართლაც, უთხრეს 13 იანვარს სამშობლოში წასასვლელ საბუთებს გაგიმზადებთო, მაგრამ...

და ეს კაცი, რომელმაც 5 იანვარს მშვენივრად დაწერილი ბარათი გამოაგზავნა, 17 იანვარს საშინელ დღეში ჩავარდნილი, დათრგუნული გზავნის აჩხა-ბაჩხად, ასოებგამორჩენილ, წერტილ-მძიმეების გარეშე დაწერილ ბარათს:

„ძვირასო შვილობილო, მრავალს გაკოცებ სიყვარულით ჩემი ამბავი არ გეცოდინება. გვითხრეს: მოდით 13 იანვარს დაგიმზადებთ სამშობლოში წასასვლელ დოკუმენტებსო. მივედით გამოგვიცხადეს დაპატიმრება და ჩხრეკა იმავე საღამოს გამოგვიცხადეს 21/XII-ის დადგენილება „ოსობოე ზაკლუჩენიე“-ს ხუთი წელი გამასწორებელი ლაგერი. 17/I გაგვაგზავნეს ციმბირში – მარინსკში ხოლო იქედან კუზნეცკში მომიყვანეს აქ ვართ პერესილკაში ამგვარად თვეზე მეტია გვათრევენ ეტაპსა და პერესილკაში გამოგვიცხადეს გაგზავნით „გორნოშორის“ ლაგერში (რკინიგზის შენებაზე) ყველაზე მძიმე ლაგერია ამ ციმბირში. მთებში სადაც ზაფხული თითქმის არ იცის, ალექსანდრე ძალიან დასუსტებულია, ძვლები... მე თითქოს არა მიშავს მხოლოდ ჯერჯერობით ტილებმა

ამიკლეს და მაწამებენ. ველით ამ დღეებში გამომგზავრებას იციან თუ არა სახლში ჩემი ამბავი არ ვიცი. მოკითხვა გრიშას და სხვებს შენ მამა".

მართლაც გამოამგზავრეს გრიგოლ ლორთქიფანიძე, მაგრამ როგორც პატიმარი, და თბილისში, ჩეკას შინაგან ციხეში ამოხდა სული 1937 წლის 2 სექტემბერს... (დაკითხვებისას შემოაკვდათ?)

1936 წლის 1 აგვისტოდან იწყება პატიმართათვის სამხედრო კოლეგიებისა და სამხედრო ტრიბუნალის მიერ განაჩენის გამოტანა პირველი კატეგორიით (ე.ი. დახვრეტა) და მეორე კატეგორიით (ე.ი. 10 წლით გადასახლება).

მაგრამ 1937 წლისთვის პატიმართა დაკითხვის ხერხები იცვლება, ადრინდელი სიბინძურე და სიმკაცრე საშინელებამდე აპყავთ. ამაზე მოგვითხრობენ ლ. ბერიას საიმედო თანამშრომლები, პროკურატურისა და სპეცკოლეგიის მუშაკები:[1]

კონსტანტინე სერგის ძე სავიცკის ჩვენება:

„ეს მითითება პატიმრისაგან ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ ჩვენების მიღების თაობაზე მოდიოდა თვით ბერიასაგან, რომელმაც ჯერ კიდევ 1937 წლის დასაწყისში დაჰკითხა პატიმარი კარპე მოდებაძე – საქმარგანტრესტის ყოფილი მმართველი, მიიღო მისგან ჩვენებები პირადად მის, ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ. მოდებაძის დაკითხვა სტენოგრაფირებული იქნა და ის გააცნეს გამოძიების ყველა მუშაკს. ამის შემდეგ ოპერატიულ თათბირზე გოგლიძე, ქობულოვი მოდებაძის დაკითხვის მაგალითზე უთითებდნენ, როგორ უნდა ეწარმოებინათ გამოძიება და რა მიმართულებით დაეკითხათ პატიმრები".

გამომძიებელ ალექსანდრე სამუელის ძე ხაზანის ჩვენება:

„...იმ დროს მე გამოძიებაში ვმონაწილეობ-

დი ძირითადად თვალჭრელიძესთან ერთად. ჩვენ დაპატიმრებულებს ვცემდით როგორც ჩემს კაბინეტში, ასევე თვალჭრელიძესთან, მაგრამ უფრო ხშირად მის კაბინეტში. პატიმარს ვცემდით როგორც მარტოდ, ასევე სხვა პატიმრებთან ერთად.

...მრავალ შემთხვევაში ჩვენ ვაღწევდით იმას, რომ პატიმარს დაეწერა განცხადება, ან თავისი ხელით დაეწერა აღიარებითი ჩვენება, ითვლებოდა, რომ ასეთი დოკუმენტი უფრო დამაჯერებელი იყო".

შინსახკომის თანამშრომელი ფედორ ვასილევიჩ ბუდნიკოვი ხელს აწერს განაჩენის სისრულეში მოყვანის იმ ოქმს (1937.9.VI), რომელშიც აღნიშნული არაა მთავარ დახვრეტილ პირთა გვარები (ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე, სიმონ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე, მიხ. სტეფანეს ძე ოკუჯავა, გიორგი გიგილოს ძე ელიავა, გიორგი დავითის ძე ყურულოვი, ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე).

ამის თაობაზე დაკითხვისას 1955 წლის 11 ივნისს მან, იმჟამად პენსიონერმა, თქვა: ასე ხდებოდაო.

ამას გარდა, ფ.ვ. ბუდნიკოვმა აღიარა: *„იყო შემთხვევები, როცა დაკითხვისას ცემით კვდებოდნენ პატიმრები. მომკვდართა გვარები არ მახსოვს. მე ვიცი, რომ განსაკურთებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ოპერ-მუშაკები: სავიცკი, ხაზანი, პარამონოვი, კრიმიანი".*

ზემოხსენებული უკლონისტობისა და ტროცკისტობისთვის დაპატიმრებული ჯგუფის (ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე და სხვ.), სხვა მრავალი პატიმრის დახვრეტა სისრულეში მოუყვანია შინსახკომის კომენდანტ საშურკინს (ეს აჩვენა თათუზოვმა, მაშინ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგიის თავმჯდომარემ – ჩვენ მოშორებით ვიდექითო).

შემდეგში ამ „სასახელო" საქმეებისთვის ლენინის ორდენით დაჯილდოებული ეს ჯალათი, გალოთებულ-გალეშილი, იატაკზე გართხმული ღმერთს შებღაოდა, პატიებას თხოვდა...

აი, კიდევ ერთი მოწმობა – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის თანაშემწის, იუსტიციის პოლკოვნიკ ჯურის დასკვნა 1956 წლის 10 იანვრისა: 1936-1942 წლებში შინსახკომის შინაგანი ციხის ზედამხედველის ევტიხი

მელიტონის ძე სურმავას დაკითხვის გამო:

„დაკითხულმა მოწმემ ე.მ. სურმავამ აჩვენა, რომ ტოროშელიძეს სცემდნენ „ცხელ საკანში", სადაც ტემპერატურა აჰყავდათ 60° სიცხემდე, და „ცივ საკანში", სადაც ზამთარში საგანგებოდ შეპყრიდნენ თოვლს ან წყალს ასხამდნენ, ხოლო პატიმარს ტანსაცმელს ხდიდნენ".

„მოწმე ბ.ს. კახიანმა აჩვენა, რომ ის მოწმე იყო დაკითხვებზე ტოროშელიძის ისეთი სასტიკი ცემისა იმ მდგომარეობამდე, რომ მისი სხეული გალურჯებული იყო და მასზე „ცოცხალი ადგილი" სრულიად აღარ დარჩა".

ამნაირი დაკითხვების შემდეგ მალაქია ტოროშელიძე იძულებული შეიქნა დაეწერა ასეთი განცხადება:

„გამომძიებლებთან ჩემი ცხრათვიანი ბრძოლის შემდეგ იმ რწმენამდე მივედი, რომ ყოველგვარი შემდგომი წინააღმდეგობა უნაყოფოა".[2]

მაინც რას ემართლებოდნენ ამ საცოდავს?

გაითვალისწინეს რა მისი რევოლუციურ-პარტიული მოღვაწეობა, განსწავლულობა, ჟურნალისტურ-ლიტერატურული ნიჭი, სასულიერო სემინარიიდან სტალინთან ახლობლობა-ამხანაგობა, იმედი, რომ ფაქტებსა და მოვლენებს ისე გააშუქებდა, როგორც ეს პარტიას, სტალინსა და ბერიას აწყობდა, ის სანდო პიროვნებად მიიჩნიეს და როგორც მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის იმგვარად დაწერის მთავარ ორგანიზატორად გამოიყენეს, როცა რევოლუციურ მოძრაობაში ყველაზე წინ სტალინის როლი და ლიდერობა წამოიწევდა. მერე ამ ნაშრომის ავტორობა, რომლის შექმნაში მთავარი წვლილი საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგეს ერმილე (ერიკ) ბედიას მიუძღვის და ლ. ბერიას მიაწერეს – აქაოდა პარტიის ინტერესები ასე მოითხოვსო...

ამასთან ერთად მალაქია ტოროშელიძე 1932 წელს შექმნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდო-

მარედაც (შეთავსებით) იმიტომ დანიშნეს, რომ იქ პარტიის პოლიტიკის ურყევად გატარებასთან ერთად მომავალ, 1934 წელს საკავშირო მწერალთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე ქართულ მწერლობაზე ისეთი მოხსენების დაწერის ორგანიზებისათვის შეეწყო ხელი, რომ მსოფლიოს დაენახა – რუსეთის იმპერიის მმართველი სტალინი უჩინარი და უისტორიო ტომის კი არა უძველესი კულტურისა და მწერლობის ქვეყნის შვილი იყო.

და ყველაფერი ამის მოგვარების შემდეგ, როგორც საჭოჭმანო საქმეების მოწმე, მალაქია ტოროშელიძეც უსინდისოდ მოიცილეს და ერიკ ბედიაც თავის მუშა ჯგუფთან ერთად ზედ მიაყოლეს...

აქვე ვიტყვი მწერალთა კავშირის კიდევ ერთ პარტიულ ხელმძღვანელზე, მეორე სახელმწიფო მოღვაწე აკაკი თათარიშვილზე.

მასაც შეთავსებით მიანდვეს მწერალთა ხელმძღვანელობა. აქ მან ნამეტანი გამოიდო თავი, მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე, 1937 წლის 5-11 მაისს მეტისმეტად გულახდილად თქვა:

> „პოეტების სექცია ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა იმ შემოქმედებითს ლაბორატორიად, სადაც გაშლილი უნდა იყოს ყოველდღიური მუშაობა დიდი სტალინის პოლიტიკური პოეზიის ნიშნის ქვეშ, ძირითადი ამოცანა პოეტური სექციისა ის არის, რომ უხელმძღვანელოს პოეტებს თვით ნაწარმოების შექმნის პროცესში, რომ პოეტების მუშაობა დაყენებულ იქნეს კოლექტიური კონტროლის ქვეშ".[3]

ეფიქრობ, მოახლოებული უბედურების თავიდან ასაცილებლად გამოიჩინა ასეთი გულმოდგინება, თორემ ამ ჭკვიან და განათლებულ კაცს ასეთი საჭოჭმანო რამ არ უნდა წამოცდენოდა – ან სექციას როგორ უნდა ეხელმძღვანელა პოეტებისათვის „თვით ნაწარმოების შექმნის პროცესში?" ანდა ეს საბჭოთა კომპარტიის ტოტალური თვალთვალის პოლიტიკის გამამუღავნებელი სიტყვები როგორ გამოიტანა საჯაროდ – პოეტების მუშაობა დაყენებულ იქნეს კოლექტიური კონტროლის ქვეშო.

არც ძირითად სამუშაოებზე გაწეული ღვაწლი დაუფასეს, არც

პოეტების სულში ჩაძვრომა, ისე მოსპეს.

8 წლით გადასახლებული იყო, აგრეთვე, მისი მეუღლე. ის 1951 წელსაც დააბეზღეს და მეორეჯერ გადაასახლეს, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ გადასახლებიდან დაბრმავებული დაბრუნდა...

მწერალთა კავშირში ცეკას კიდევ ერთ თვალსა და ყურს დავით დემეტრაძეს პრეზიდიუმის სხდომებზე მწერალთა დაკითხვები ატარებინეს, საუკეთესო ქართველი მწერლები მოსასპობად გააგზავნინეს და როგორც ყველაფერი ამის მოწმეს, 1937 წლის 3 დეკემბერს შინსახკომის სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა (საქმე №25830).

1955 წლის 10 სექტემბერს ნიკიტა ხრუშჩოვისათვის გაგზავნილ წერილში სოფიო თალაკვაძე თავის ქმარზე, მწერალ სევასტი თალაკვაძეზე წერდა:

> „განსაკუთრებით აკრიტიკებდა ის ბერიას, რომელსაც იცნობდა 1920 წლიდან, როცა მენშევიკების მიერ გასახლებულ რიგ აქტიურ ბოლშევიკებს შორის ვიყავით მე და ჩემი ქმარი. ბერია მაშინ მუშაობდა ბაქოში აზერბაიჯანის კპ ცკ-ის საქმეთა მმართველად.
>
> სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, რომელთანაც ჩვენ ერთ ბინაში ვცხოვრობდით, თალაკვაძე გულს უწყალებდა ბერიას: „საიდან გაჩნდი, როგორ მოხვდი პარტიაში, აქამდე კაციშვილს არ უნახავხარ! და ა.შ.“

საწყალი ქალი, საბჭოთა იმპერიის მმართველს თავს აწონებდა ძველი ბოლშევიკობით და ქმრის მიერ ბერიას აბუჩად აგდებით.

მის ქმარს კი, და ბევრ სხვასაც, ძვირად დაუჯდა სწორედ ბერიას პიროვნების აუგად მოხსენიება, მისი კარიერის ხანმოკლეობის ბრმად დაჯერება, იმის განუჭვრეტელობა, რომ რევოლუციური მოძრაობის ისტორიის გადაკეთება, მასში სტალინის როლის განდიდება, თვით ბერიასთვის ბევრი დამსახურების მიწერა, ხელისუფლების განმტკიცებისთვის ბრძოლის კომუნისტური მეთოდებიდან, საბჭოური კომუნისტური ხელისუფლების მთავარი მბრძანებლის მდუმარე

თანხმობიდან ამომდინარეობდა.

ძველ ბოლშევიკს სევასტი თალაკვაძეს სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო (ის საქართველოს წიგნის პალატას ხელმძღვანელობდა 1926-1936 წლებში) თავზე საყრელი ჰქონდა მასალები რევოლუციურ წარსულზე. თავადაც ხომ ამ მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა და კარგად იცოდა ვინ რას წარმოადგენდა, ვის რა ავტორიტეტი ჰქონდა მაშინ.

მას ძველმა ბოლშევიკურმა პრინციპულობამ (ამ შემთხვევაში – მოსაწონმა) არ დაანება ყველაფერი სტალინისთვის მიეწერა.

აი, ს. თალაკვაძემ 1925 წელს გამოცემული თავისი წიგნი „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის" სტალინს გაუგზავნა, მისგან კი არცთუ სასიამოვნო პასუხი მიიღო: ჩემი სანქციის გარეშე ჩემზე არაფერი დაწეროო (იხ. ს. თალაკვაძის მეუღლის განცხადება ა/კ სამხედრო ოლქის პროკურატურას).

მოგვიანებით ს. თალაკვაძეს მოსკოვშივე გაუგზავნია ნაშრომი „ბელადის პორტრეტი". ეტყობა, არც ეს მოსწონებიათ – პასუხის ღირსიც არ გახადეს.

ერთხელ, ს. თალაკვაძეს ბუდუ მდივანისთვის უთხოვია – დამითმე ერთი საღამო, ჩემს ახალ პიესას გაეცანიო. როგორც სევასტიმ დაკითხვაზე თქვა, ბუდუს ურჩევია:

> „თავი დაანებე წერას, ახლა წერა არ შეიძლება, ისე არ დაწერ, როგორც ითხოვენ, სულს ამოგხდიან, უკეთესია მოიცადე. მერე იქნება შესაძლებელი დაწერა, როცა უკეთესი დრო დადგება".

მაგრამ კაცს რომ წერის მანია შეიპყრობს, ძნელია მისი შეჩერება.

საქმე შინსახკომის მოსაგვარებელი შეიქნა – ვიღაცებს ათქმევინეს ტერორისტული ორგანიზაცია გვქონდა და მისი წევრი ს. თალაკვაძეც იყოო.

როცა სევასტიმ საფრთხე იგრძნო, გაახსენდა, რომ მან ძველი ბოლშევიკებისთვის დამახასიათებელი კლასობრივი პრინციპულობა გამოიჩინა და იდეურად მავნედ მიჩნეული გამოცემებისგან გაწმინდა ჩვენი წიგნის პალატა.

სწორედ ეს უპატაკა ს. თალაკვაძემ დაპატიმრებამდე ათიოდე დღით ადრე (1936.12.VIII) კომპარტიის ა/კ სამხარეო კომიტეტის მდივანს ლ. ბერიას – იქნებ თავი გადავირჩინოო:

„როცა ჩემს დაწესებულებაში ჩვენი საკონტროლო საარქივო ბეჭდური ცალების იდეურ გაწმენდას ეხებოდა საქმე, მე არ შემეძლო (ჩემს განსაკუთრებულ მდგომარეობაში) პასიური ვყოფილიყავი აქ, დაუდევრობა გამომეჩინა, სიფხიზლე მომედუნებია და სინამდვილეში ეს ასე არც ყოფილა. ამხ. ვალოდია მირცხულავა კარგი ამხანაგი და კარგი ბიჭია, მაგრამ სათანადო ობიექტურობით იქ ვერ გაერკვა.

ოფიციალურ ინსტრუქციამდე შევუდექი ამ საქმეს (როცა ცეკაში შესვლის დროს შემთხვევით გავიგე ეს აკრძალვა წიგნებისა). მე თვითონ საკუთარი ინიციატივით დავაყენე ეს საკითხი მთავლიტში და საბიბლიოთეკო სამმართველოში, რადგან ისინი პირვანდელი ინსტრუქციის ძალით ასეთი წიგნებიდან გაწმენდას მხოლოდ ბიბლიოთეკებს უპირებდნენ. ჩვენზე არ ფიქრობდნენ მის გავრცელებას (როგორც არა ბიბლიოთეკაზე). მე აღვძარი საქმე, რომ ჩვენს საკონტროლო-საარქივო ცალებზეც გავრცელებულიყო ეს. ამიტომ, მართალია მე დირექტორი ვარ იმ დაწესებულებისა, სადაც ეს დარჩენილი ტროცკისტული წიგნები აღმოჩნდა, მაგრამ ასეთ გარემოებაში მოხდა ეს, რომ საყვედური ჩემზე არაა სამართლიანი. ეს დანაშაულებრივი სიმძიმე აქ მთლად მთავლიტმა და საბიბლიოთეკო სამმართველომ უნდა ზიდონ, იმათ უშუალოდ ეხებოდა ეს საქმე, მაგრამ ეს შემდეგ, მერე გამოვასწორე; როგორც კი შევნიშნე...“[4]

მაგრამ არ დაუფასა ლ. ბერიამ წიგნის პალატის დარბევა, სავალდებულო ცალების მოსპობა – ს. თალაკვაძე დახვრიტეს 1937 წლის 26 ივნისს.

ლენინის სიკვდილის მერე სტალინი რომ გვარიანად მომაგრდა, ნელ-ნელა საქართველოში პირველი მარქსისტული

მუშათა წრის შექმნიდან ყველაფრის მისთვის მიწერა დაიწყეს.

როგორ შეეძლო ეს მოეთმინა ს. თალაკვაძეს!

ვერც მეორე ძველი ბოლშევიკი, ლიტერატორი, „რევოლუციის მატიანის“ რედაქტორად, „მთავლიტისა“ და ცენტრარქივის უფროსად ნამოღვაწარი რაჟდენ კალაძე (პოეტ კარლო კალაძის მამა) შეურიგდა ამ გაყალბებას. ჩხრეკისას მისი ბინიდან წაღებული წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ“ (რომელიც ბერიას შექმნილად ითვლებოდა) რ. კალაძის ჩასწორებებით იყო აჭრელებული. შინსახკომის სათანადო აქტში აღნიშნეს: თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფში რ. კალაძეს ამოუშლია ალ. წულუკიძის გვარი და თავისი შეუტანია, მარქსიზმის საქართველოში გავრცელებას ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძეს მიაწერსო და ა.შ.

დაკითხვაზე რ. კალაძემ ისიც თქვა: *„ენუქიძეს მივწერე: პარტია აქებს კეცხოველს, მე და თქვენ კი, ვინც აქტიურ მუშაობას ვეწეოდით, უყურადღებოდ გვტოვებენ“*.

დაკითხვაზე აღიარა: ბერიას წიგნში სტალინის როლიც გადიდებულიაო.

> “პარმენ ცინცაძემ მიამბო: მასთან მისულა ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენელი და შეკითხვაზე: გლეხთა მიტინგებზე 1905-1907 წლებში საქართველოში ვინ გამოდიოდა? მე დავასახელეო ტროცკისტი თედო კალანდაძე. ამასთან ცინცაძემ აღშფოთებით მითხრა, რომ თედო კალანდაძის ნაცვლად ვიღაც სხვა ჩაწერესო.
>
> ...მე სოლიდარობა გამოვუცხადე ცინცაძეს, მეც აღვშფოთდი იმის გამო, რომ თურმე ისტორიის ფალსიფიცირება ხდება და ისტორიის კვლევის ინსტიტუტი შეცდომაში შეყავთ“.
>
> „არაქელ ოქუაშვილმა ჩემთან საუბარში თქვა: 1897 წელს თვით მე შევქმენი თბილისის სახელოსნოში პირველი მუშათა წრეო. მეც მეთანხმებოდა ჩემი ნარკვევების სისწორეში. ბერიას მოხსენების მერე კი „კომუნისტში“ წავიკითხე ოქუაშვილის მოგონება – სრულიად

საწინააღმდეგოს ამტკიცებდა“.

„1932 წლის ბოლოს თუ 1933 წლის დასაწყისში მე წერილობით მივმართე საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს ბერიას, ვთხოვე ნება დაერთო გამომექვეყნებინა ჩემი მოგონებები მეფის იატაკქვეშეთში სტალინის მუშაობაზე. ბერიამ მალაქია ტოროშელიძეს დაავალა შეემოწმებინა ჩემი ხელნაწერი და ამის შესახებ დასკვნა წარმოედგინა. ტოროშელიძემ გადაათვალიერა ეს ხელნაწერი და ყოვლად უსაფუძვლოდ ჩააცივდა ჩემს მიერ ნახსენებ ზედმეტ სახელს, რომლითაც ლადო კეცხოველი 1899 წელს იხსენიებდა სტალინს („საწყალი ბიჭი“) და წინადადება მომცა ამომეღო ეს ადგილი. ამის შემდეგ ტოროშელიძემ დამიწყო ჩაგონება და დამარწმუნა, რომ საერთოდ არაა საჭირო სტალინზე წერა, ვინაიდან, როგორც მან თქვა: „კარგად დაწერ, დაგადანაშაულებენ, რომ გაბერე და დაგარტყამენ, ხოლო მოკრძალებულად დაწერ და მაინც დაგარტყამენ და ბელადის დაუფასებლობაში დაგადანაშაულებენ“.[5]

გასაკვირი ის კი არაა, რომ რ. კალაძე დახვრიტეს 1937 წლის 13 ივლისს, არამედ ის, რომ მან ვერ იგრძნო, არ შეუშინდა საშინელი საფრთხის მოახლოებას, უფრო მეტიც, თვით დაკითხვაზეც განაგრძო სიმართლის მტკიცება!

ადრე რევოლუციის მუზეუმის (1926-1931), შემდეგ სახელგამის დირექტორის (1933-1936) ბართლომე (ბარონ) ბიბინეიშვილის დაღუპვის ნამდვილი მიზეზი ის შეიქნა, რომ სევასტი თალაკვაძესა და რაჟდენ კალაძესავით, მანაც, როგორც ძველმა ბოლშევიკმა, სიმართლე იცოდა რევოლუციური წარსულის შესახებ და მის დაცვას ცდილობდა თავის ლიტერატურულ ნაშრომებშიც, კერძოდ ბიოგრაფიულ წიგნში „კამო“.

ამის თაობაზე დაკითხვისას ჯერ კიდევ 1935 წელს ამბობდა ოთხი ადამიანი:

ა) ალექსანდრე ლევანის ძე თუმანოვი (რომლის სიძე იყო ბარონი) - ბარონის წიგნის „კამოს" გამოცემა შეარჩევს იქამდე, *„ვიდრე მას ხაზი არ გაუსვა ამხ. სტალინის როლს. ბ. ბიბინეიშვილის ნათქვამიდან ვიცი, რომ მან გააზვიადა ამხ. სტალინის როლი ამ წიგნში მას შემდეგ, რაც მამია ორახელაშვილმა შენიშვნა მისცა: პირვანდელი ტექსტი, სადაც ამხ. სტალინის როლი დაკნინებულია, მიუღებელია".*

ბ) მიხეილ ივანეს ძე კარაპეტიანი (ძველი ბოლშევიკების საზოგადოების წევრი მოსკოვში; ბ. ბიბინეიშვილის „კამო" ამ საზოგადოებას უნდა გამოეცა. სწორედ ამის თაობაზე ჩამოსულა თბილისში):

> „ბარონმა მითხრა: მაიძულებენ – პარტიის ისტორია გავაყალბო, წინადადება მომცეს გადავაკეთო „კამოს" ჩემს მიერ თავდაპირველად შედგენილი ტექსტი და ახალ ტექსტში წინ წამოვწიო სტალინის როლი, თუმცა სტალინს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ მოძრაობაში".

ბ. ბიბინეიშვილის საქმის გადასინჯვისას 1956 წლის 25 ივნისს დაკითხულმა ივანე სიმონის ძე ფრანგულიანმაც და ალფეს სიმონის ძე ხელაძემაც ეს მიუთითეს ბარონის დაპატიმრების მიზეზად:

> „კამოს" გამო პარტკოლეგიაშიც კი გამომიძახეს, კიდევ ერთი წიგნი ჰქონდა მემუარული, ორივეში ცოტა იყო სტალინზე, ბევრი უსიამოვნება შეხვდა და დაპატიმრების მიზეზიც ეს იყო".[6]

ბარონ ბიბინეიშვილი დახვრიტეს 1937 წლის 28 ივნისს.

დავით კოპალი (კოპალეიშვილი) - იურისტი და პოეტი, რომელიც ხელს აწერს „ქართველ მწერალთა კავშირის" დამფუძნებელ (1917 წ.) წესდებას, საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალგზის დააპატიმრა, როგორც ანტისაბჭოურად განწყობილი პიროვნება, ვიდრე 1937 წლის 15 აპრილს საბოლოოდ არ წაიყვანეს.

აქ მომყავს ამონარიდი მისი ლექსებიდან, რომლებსაც დღეს საბ-უთის ღირებულება აქვს.

1924 წელს მეტეხის ციხეში მჯდარი დავითი მოწმე გახდა როგორ მიიყვანეს იქ საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი:

მძიმედ გაიღო ციხის კარები,
ვით ქანდაკება მარმარილოსი,
შემოაბრძანეს ციხე მეტეხში
ტანჯულ ქართლოსის კათოლიკოსი.

იქვე, ექსპრომტად შეუოხვაზს ლექსი გადასახლებაში გასაგზავნ ქართველებზე:

ტკბილო სამშობლოვ! ტყვე საქართველოვ!
მშვიდობით! წასვლის ჩამოჰკრეს ზარი!
შენი მზე აწი ვეღარ გაგვათბობს –
რუსეთს გვასახლებს გველი საზარი!

და ბოლოს, ციხიდანვე ბიმართავდა შვილებს:

შვილო ივერ, ნელი
თქვენი წერილი გადავიკითხე,
კარგად ყოფილხართ, მეტად მიამა
ასე მგონია, ჩემთან იყავით
და მიძახოდით: წამოდი, მამა!
ტირილი ვაჟკაცს არ მეკადრება,
ცრემლმა ბალიში მაინც დანამა,
სიზმარში მესმის – კარებთან ყვირით:
„ციხის უფროსო, გვიჩვენე მამა“.

ვიდრე ლ. ბერიას 1937 წლის 15 მაისის მოხსენების გამო პოლიტიკური რეპრესიების უფრო გამკაცრების ამბებზე გადავიდოდეთ, ეპოქის შედარებით ნაკლებ სიგლახეებზე საუბრით დიდი შესვენება მოვაწყოთ:

კრიტიკოსმა ივანე გომართელმა ჯერ კიდევ 1920 წელს შენიშნა („ცისარტყელა“) ძველი პოეტები სამშობლოს განთავისუფლებას სწირავენ თავს, ესენი (პროლეტმწერლები რ. კ.) – მუშათა კლასის განთავისუფლებასო.

დიახ, პროლეტარულ მწერლებს სამშობლოს ბედი არ ანაღვლებდათ. ეს მერე და მერეც გამოყვა ჩვენს გასაბჭოებულ მწერლებს, რომელთაგან ზოგიერთმა ახალი, საბჭოთა

სამშობლოს განდიდებაში გამოიჩინა თავი.

შენი სამშობლო სად არიო – ასეთ კითხვას სვამდა ერთი პოეტი (მარიკა მიქელაძე) და ლექსშივე თავად პასუხობდა: თბილისელსაც და ჩრდილოეთელსაც ერთი და იგივე სამშობლო აქვთო. ერთი სიტყვით, ხელს უწყობდა ადამიანთა ახალი ჯიშის – საბჭოთა ადამიანის გამოყვანა-გაზრდას.

გადიოდა დრო და უფრო და უფრო მძიმდებოდა ვითარება: ქართული საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგიაში (1971 წ.) ბავშვებისთვის იმის ჩანერგვასთან ერთად – საქართველო თებერვლიდან იწყებაო (თებერვალი „საქართველოს დაბადების დღეა" – ალეკო შენგელია; „ჩვენს ძამ-ულს თებერვალში გაუთენდა შვების დილა" – ირაკლი აბაშიძე...) იმ აზრსაც აჩვევდნენ – რუს, ჩუვაშ, ბელორუს, უზბეკ, ყირგიზ ბავშვებთან ერთად ერთი სამშობლო გაქვთო (გიორგი კაჭახიძე).

ერთი სიტყვით, საქმე ისე მიჰყავდათ, როგორც შემდეგ ზაურ ბოლქვაძის მწარე იუმორით ითქვა: საქართველო რუსეთია, საქართველო ისე ჰქვიაო.

ასეთი მდგომარეობის დროს დიდად გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო შედარებით ახალგაზრდა პოეტს ხ. ბერულავას ასეთი ქებათა-ქება ეთქვა: „დიდება რუსის უებრო ძმობას, არ დამარცხდება ვინც იმას ენდო".

ცხადია, ამ პოეტმა კარგად იცოდა, როგორი ძმობა გამოიჩინა რუსეთის იმპერატორმა და საქართველოში მოვლინებულმა მისმა გენერალმა ტოტლებენმა, როცა გადამწყვეტი ჟამის უკანასკნელ წუთებში მათზე მინდობილი ერეკლე II მრავალრიცხოვან მტერს შეატოვეს.

მაგრამ ერთმა კვიმატმა მწერალმა ამაში ეჭვი შეიტანა: თუ ეს იცოდა, საქართველოში ერიოვნული მოძრაობა რომ აბობოქრდა, პოეტმა რაღა მაშინ გააგრძელა რუსული გულის სიმართლის მტკიცებაო.[7]

აქვე არ შეიძლება არ ითქვას იმ საშარცხვინო ამბავზე, რომ ზემოხსენებულ საბავშვო ანთოლოგიაში შეტანილია (გვ. 194) მშობელი შამის დამბეზღებელი პავლიკ მოროზოვის საქებარი ლექსები (ნ. კილასონიასი).

შეიძლება გაიძულებდნენ რაღაც დათმობაზე წასულიყავი, მაგრამ ანთოლოგიაში, ისიც საბავშვო ანთოლოგიაში რატომ უნდა შეგეტანა ზნეობრივ დათმობაზე წასვლით შექმნილი ლექსი!

ეს საყვედური თანაბრად ეკუთვნით ავტორებსაც და ანთოლოგიის შემდგენლებსაც.

რუს ბოლშევიკებს მარტო წითელ იმპერიაში კომუნისტური სამოთხის დამყარება არ აკმაყოფილებდათ. ისინი დანარჩენი მსოფლიოს გაბედნიერებისთვისაც (იგულისხმება – დასაპყრობად) იკლავდნენ თავს: მათი ეს თაყვანმოდება საქართველოს პროლეტარულმა მწერლებმაც აიტაცეს და წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ იმათ, ვინც ამ ბრძოლაში მათთან არ იდგნენ:

სანდრო ეული – „ჩვენ უთქვენოდაც სამყაროს ვიპყრობთ!" „მომხსენებელი იმ აზრს იცავს – ყველას აჯერებს – ხუთ მეექვსედზეც აინთება ცეცხლი ოქტომბრის";

გიორგი ქუჩიშვილი – „მარქს-ლენინური მაღალი მცნება ხვალ მთელ მსოფლიოს დაეუფლება".

თავიანთი იდეებისა და საქმეების სამართლიანობის ერთადერთობაში დარწმუნებულობამ ბოლშევიკი კომუნისტები გააყოყოჩა, თავისი თავის ქებით დააავადა. ეს მეხოტბეობა განსაკუთრებით პროლეტარულმა მწერლებმა შეიტკბეს. ამან იქამდე მიიყვანა ჩვენი პოეტები, რომ ლექსებში ხან ბოლშევიკი ლიდერების თხზულებათა სახელწოდებები შეჰქონდათ (კ. ლორთქიფანიძე: „ავიღებ ლენინს „რა ვაკეთოთ" და ამ წიგნიდან დატრიალდება სული ქარიშხლის"), ხან ციტატები:

„ეს კაცი ახლა ყოველ უბრალო ნივთში თუ არი, რომელიც ჩვენთან ოქტომბრის შემდეგ გაკეთებულა! სხვა მომაკვდავი უეცრივ და მათი სხეულით არ გადასულა ხალხში – (ბუხარინ)" – კარლო კალაძე.

„მხოლოდ ლიბკნეხტი ისვრის ლოზუნგებს: „ომი – ომს ძმებო და გაფიცვები, ხალხს ვერ უშველის ნოსკეს ლაყბობა, მეფის ორდენი და გაფიცვები" (ივანე ყიფიანი),

ეს კერპთაყვანისცემლობა აგერ ბოლო დრომდეც კი იჩენდა თავს - 1980 წელს „ცისკარში" (№5) იბეჭდება ლექსი, რომელშიც ავტორი (თეიმურაზ ჯანგულაშვილი) სხვის მიერ დაწერილ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ლიდერის ლეონიდ ბრეჟნევის წიგნებს ახარებდა ახალგაზრდობას და მოუწოდებდა: ეს წიგნები წარიმძღვარეთ კეთილ მრჩევლადო:

გადაშლილი დევს „მცირე მიწა" ჩემს
მაგიდაზე,
ეს ცეცხლოვანი სტრიქონები კვლავ
გამიტაცებს,

„აღორძინებას“ ეკითხულობდი გუშინწინ
ღამით
და აი ახლა შთაგონებით ჩავცქერი „ყამირს“

აბა, პარტიული ბელადების განდიდება ხომ ნორმად ითვლებოდა:

1922 წელს ვასო გორგაძე წერს ლექსს „ლენინ“;

1924 წელს, ბოლშევიკების ბელადის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოჩნდა ლექსები: კოლაუ ნადირაძისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა – „ლენინ“, რომელშიც პოეტმა იწინასწარმეტყველა: „პოეზია დაეუფლა ლენინის სახელს, როგორც ისტორია“.

ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ მცირე შესწორებით – ლენინის სახელი დაეუფლა და გაბატონდა პოეზიაზე და თუ ლენინზე დაწერილი ლექსი ორთქლმავალივით არ მიათრევდა სხვა ლექსებს, ისე წიგნს არ გამოგიცემდნენ. ასე რომ, სათვალავი არა აქვს იმ პოეტებს, რომლებმაც ლენინს უძღვნეს ლექსები.

ლენინი ბოლშევიკთა ლიდერის ადგილზე სტალინმა შეცვალა სტალინს რომ პროლეტარული მწერლები შეაქებდნენ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ბოლშევიკური პარტიის მიერ მათი ლიდერების ხოტბის შესასხმელად წაქეზებულ-ძალდატანებული არაპროლეტარული პოეტებიც იძულებული იყვნენ ახალი ბელადის სადიდებელი ემღერათ:

სტალინი ლექსში „ორი ბელადი“ პირველად პროლეტარულმა პოეტმა სანდრო ეულმა მოიხსენია ჯერ კიდევ 1925 წელს „დავსცქერი პორტრეტს ორი ბელადის: ლენინი ავად, სტალინი – მასთან“.

რა იცოდა იმ გულუბრყვილო ადამიანმა, რომ ბოლშევიკებმა ამჯერადაც გააბრიყვეს – ეს სურათი შეკოწიწებულ-ნაყალბევი იყო – ფოტოგრაფმა სტალინი ლენინს შემდეგ მიუსვა გვერდზე.

ეს მაგალითიც მხოლოდ იმიტომ მოვიყვანე, რომ ბევრს მიაჩნდა: სტალინის ლიდერობა-ბელადობა პირველად ქართულ პოეზიაში ტიციან ტაბიძემ აღიარაო 1926 წელს.

შემდეგ თითქოს კიდეც ამუხრუჭებდნენ ქებას. ამას უკვე ნახსენები სევასტი თალაკვაძის თხზულებებზე სტალინის პასუხიც ადასტურებს (ჩემი სანქციის გარეშე ჩემზე არაფერი დაწეროთ).

მაგრამ დადგა დრო და თვით პარტიამ საჭიროდ ჩათვალა ხოტბის ეამი მოვიდაო. ამაში გვარწმუნებს პოეტ ირაკლი

აბაშიძის ეს ცნობა:

„ეს იყო, როგორც მახსოვს, 1933 წლის დასაწყისში, მწერალთა კავშირში მოვიდა პარტიის წარმომადგენელი და მწერალთა სპეციალურ კრებაზე განაცხადა, რომ თუ მანამდე აკრძალულივით იყო, დღეიდან ნებადართულია და უკვე არამც თუ სასურველი, არამედ საჭიროც, დაიწეროს მხატვრული ნაწარმოებები ხალხთა დიდ ბელადზე, ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე.

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა, როგორც ამნისტიამ. ახლა მე მიჭირს ასე ირონიულად თქმა ამისა, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ გაიხსნა ნამდვილი ლიტერატურული მარათონი, ვინ ვის...“ (ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბ. 2003, გვ. 31).

კარგი ბატონო, ლექსებით ადიდეს ლენინი და სტალინი, მაგრამ ეს რაღა იყო, რომ დახურდავდნენ, დაწვრილმანდნენ და ლექსებით დაუწყეს ლაქუცი საკავშირო მნიშვნელობის კერპებს: ვოროშილოვს (კალე ბობოხიძე, შალვა იოსელიანი), განსაკუთრებით კი სიყვარულში ეფიცებოდნენ კაცობრიობის გასაბედნიერებლად საქართველოდან აფრენილ მოღვაწეებს: მიხა ცხაკაიას (ალიო შაშაშვილი: “დარჩება ძეგლად ხალხის გულში ლენინი, მიხა და მათი ბრძოლის ისტორია ლეგენდარული“); ბორის ძნელაძის კომკავშირს (კალე ბობოხიძე, ალექსანდრე საჯაია).

და, რა თქმა უნდა, საკავშირო მნიშვნელობის ფერშალს სერგო ორჯონიკიძეს და საქართველოს რისხვას ლავრენტი ბერიას (ბოლოს ესეც გასაკავშიროვდა), რომლებიც ცალკე საუბრის თემაა.

ჯერ კიდევ 1936 წელს კალე ბობოხიძემ მთელი პოემა „კავკასიონი ქარიშხალში“ უძღვნა საქართველოს გამყიდველს სერგო ორჯონიკიძეს.

1936 წელს ნიკოლო მიწიშვილის ლექსებიც აქებდა სერგო ორჯონიკიძეს („ლს“).

1937 წლის თებერვალში „კომუნისტში“ იბეჭდება ორჯონიკიძის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლექსები გიორგი ქუჩიშვილისა, იაკინთე ლისაშვილისა, სანდრო

შანშიაშვილისა.

„ჩვენი თაობაც“ უნდა გამოხმაურებოდა ამ მოვლენას:

ილია ხოშტარია – „ცრემლებს ვღვრი, ვლოცულობ გულანთებული, არ მჯერა, რომ შენ უკვე აღარ ხარ: ...და ჩემს ეზოში დაფნის ფოთოლი სტიროდა უძვირფასეს სერგოს დაკარგვას“.

სანუკვარი ლექსების ბეჭდვისათვის გზა რომ გაეკვალა, ახალგაზრდა პოეტი ლადო სულაბერიძეც იძულებული იყო გამოთხოვებოდა „ძმობლიურ სერგოს“: „მზად ვიყავ სისხლი მშობლიური გამეღო ყმაწვილს შენი სიცოცხლის გადასარჩენა“.

1937 წელს კი „ლიტერატურულ საქართველოში“ სერგო ასე დაიტირეს ლექსებით: დავით გაჩეჩილაძე -- „უკვდავებაა სერგოს სახელი“, შალვა აფხაიძე – „ხალხის გლოვა“. კალე ბობოხიძე – „ღვიძლ სერგოს სტირის კავკასიონი“ და წერილებით: სანდრო შანშიაშვილი – „ჩვენი შთამგონებელი“, პავლე საყვარელიძე – „უკვდავია, უკვდავად დარჩება“.

სერგო ორჯონიკიძის გლოვა 1938 წელსაც გაგრძელდა (კალე ბობოხიძე, გიორგი ქუჩიშვილი...).

თქმა არ უნდა, არც შემდეგ დავიწყნიათ...

მერე ლავრენტი ბერიას ჯერიც დადგა.

ჯერ კიდევ 1936 წლის 12 აგვისტოს „კომუნისტში“ დაბეჭდილ ს. ორჯონიკიძისადმი მიძღვნილ პოემაში „კავკასიონი ქარიშხალში“ ყოფილმა პროლეტმწერალმა კალე ბობოხიძემ ბერიაც გამოიყვანა გმირად: *„და კავკასიონს მრავალერიანს რა დიდებული დღენი ელირსა, აქ სტალინურად იბრძვის ბერია, მსგავსი ძლიერი ელვა-მეხისა“.*

1937 წლის 26 თებერვალს იმავე „კომუნისტში“ იბეჭდება ბერიასადმი მიძღვნილი ხოტბა, რომელიც კომუნისტური ხელისუფლების ფავორიტად ქცეული პოეტ ილო მოსაშვილს წაუკითხავს საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო ყრილობაზე ამავე წლის 11 თებერვალს.

„ლიტერატურულ საქართველოში“ ხომ ერთი ამბავი ატეხეს, დაშინებული მწერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბერიას ქებაში. ბიჭი იყავი და ნუ შეგეშინდებოდა:

ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) - „სიმღერა

საშობლოზე" – „ჩემო საშობლოვ, დღეს შენი ერი განახლებული ქართლის ერია, ასე ხმიერად და ბედნიერად შენ არასოდეს არ გიმღერია, ალისფერია შენი მიდამო, ეგ შენი დროშაც ალისფერია, შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია";

ილო მოსაშვილი – *„ჩემო ქვეყანავ, აღარა სტირი, შავი წარსულის წიგნი დახურე, მოვიდა დრო და მოვიდა გმირი, შენი ნამდვილი მოჭირნახულე";*

ვერც პოეტურ ელიტაში შესვლის პრეტენზიის მქონე ორი ახალგაზრდა პოეტი იქნებოდა გამონაკლისი – ერთი მათგანი (ირ. აბაშიძე) ლექსში „საოქტომბრო მიძღვნა ამხანაგ ლ. ბერიას" („ლს", 1937.5.XI) ამბობდა:

იყავ დღეგრძელი და როცა ქვეყნად
მოვა ოქტომბრის წელი სამოცი,
გვემღეროს შენთვის კვლავ ასე ერთხმად
შაირი, ხოტბა და მისალოცი

. . . და ეს (და ამის მსგავსი მრავალი) იწერება იმ წლის ნოემბერში, რომლის წინა თვეებში ბერიამ საიქიოში გაისტუმრა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, სამი საუკეთესო მწერალი: პაოლო იაშვილი (ივლისში), მიხეილ ჯავახიშვილი (სექტემბერში), ტიციან ტაბიძე (ოქტომბერში).

წლის ბოლოს ილო მოსაშვილიც იტყვის ლექსში სიცოცხლე მართლაც სასიხარულოაო. მისთვის მართლაც სიხარული იყო – „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა სურათი – მწერალთა სასახლის ბაღის კიბეებზე დგანან დაპატიმრება-დახვრეტას გადარჩენილი მწერლები, მათ შორის ილო მოსიშვილიც...

1937 წლის 15 მაისს საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე ცეკას პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ მოხსენებაში ქართველ მწერლებზე მკაცრი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა:

„ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკთა შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადასინჯონ თავიანთი კავშირურთიერთობა ქართველი ხალხის

მტრებთან – აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან, სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად, მაგალითად, პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს.

სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძისაგან ჯიქიასაკენ, ჯიქიასაგან აღნიაშვილისაკენ, ღოღობერიძისაგან ლომინაძისაკენ და, ბოლოს, ელიავას კლანჭებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდეკ ზოგიერთები...

I რიგი მარცხნიდან, სხედან: ნიკოლო მიწიშვილი, თამარ იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, მარო შანშიაშვილი; II რიგი, სხედან: ვალერიან გაფრინდაშვილი, ეფემია ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ნინო ტაბიძე, ალი არსენიშვილი; დგანან: რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე.

ჩემს მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაჰგმობენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირურთიერთობას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი".[8]

ამის კვალობაზე მწერალთა კავშირის მრავალდღიან პრეზიდიუმის სხდომებზე დაიწყეს ლ. ბერიას მოხსენებაში ჩამოთვლილი მწერლების (და არა მარტო მათი) დამუშავება-დაკითხვა. ადრე დაპატიმრებული მწერლების ბედის გაუარესებაშიც საკმაო წვლილი შეიტანა იმ მოხსენების მკაცრმა შეფასებებმა.

ლ. ბერიას ამ მოხსენების შემდეგ მალე, 1937 წლის 8 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ნიკოლო მიწიშვილი.

ნ. მიწიშვილი იყო ის მწერალი, რომელიც წინ აღუდგა რუსული იმპერიული ძალების განზრახვას – 1934 წლისათვის ჩასატარებელ სსრკ მწერალთა კავშირის დასაფუძნებელ ყრილობაზე ეროვნულ მწერლობათა შესახებ მხოლოდ 1917 წლამდე ესაუბრათ, ისიც არა გაერთიანებულ, არამედ ყრილობის კომისიების სხდომებზე, რომელსაც მხოლოდ შინაურები დაესწრებოდნენ რუსი მწერლების თამადობით, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგი მხატვრული ლიტერატურა ერთიან (რა თქმა უნდა, თანდათან რუსულ ენაზე გადასაყვანად განზრახულ) საბჭოთა მწერლობად წარმოედგინათ ყრილობის პლენარულ სხდომებზე, რომლებსაც მთელი მსოფლიოდან მოწვეული ცნობილი მწერლები, ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და სააგენტოების კორესპონდენტები, ჟურნალისტები დაესწრებოდნენ.

აი, ამის წინააღმდეგ ამოიღო ხმა ნ. მიწიშვილმა: 1933 წელს, როდესაც თბილისში მომავალი ყრილობის მოსამზადებლად ჩამოსული იყო რუსი მწერლების მრავალრიცხოვანი ბრიგადა, „სალიტერატურო გაზეთში" (№18) გამოაქვეყნა სტატია „საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები", რომელშიც ითხოვდა ეს საკითხები დასმულიყო და

განხილულიყო მომავალი ყრილობის სწორედ პლენარულ სხდომაზე".[9]

აქ უფუოდ გათვალისწინებული იყო ი. სტალინის სურვილი – მსოფლიოსათვის გაეცნოთ ქართული კულტურისა და ლიტერატურის სიძველე და სიმდიდრე.

ამ სტატიის მოთხოვნა განიხილა და მოიწონა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის" პრეზიდიუმმა 5 დეკემბრის იმ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სსრკ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის ზემოხსენებული ბრიგადის წევრები.

ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ეროვნული, მათ შორის ქართული, მწერლობის შესახებ, მოხსენებები მათლაც ყრილობის პლენარულ სხდომაზე გაკეთდა მთელი მსოფლიოს გასაგონად და ამით ი. სტალინის სურვილის შესრულებასთან ერთად (მსოფლიომ გაიგო, რომ ის რომელიღაც უჩინარი ტომის შვილი კი არ არის, არამედ უძველესი კულტურის, მწერლობის მქონე ქართველი ერის წარმომადგენელია) თავიდან იქნა აცილებული ეროვნულ მწერლობათა ერთიან საბჭოთა ლიტერატურაში გათქვეფის განზრახვის შესრულება.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავის სხვა პოლიტიკურ თამაშებშიც გამოიყენა მწერალი ნიკოლო მიწიშვილი. ეტყობა ამ უკანასკნელმა ირწმუნა გასაბჭოების პირველ წლებში ქართველი ბოლშევიკების ქადილი – საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო – და დათანხმდა პარიზში გამგზავრებას (1922-1925), რათა იქ მყოფ ემიგრანტ სოციალ-დემოკრატებში რღვევა შეეტანა, დაერწმუნებინა სამშობლოში დაბრუნდითო.

შემდეგ ნ. მიწიშვილი მიხვდა ქართველი კომუნისტების სივერაგეს, კომუნისტებმა კი, როგორც მათ სჩვეოდათ, გადაწყვიტეს მისი, როგორც არასასურველი მოწმის, მოცილება. დაიწყო მისი დევნა...

მწერალთა პრეზიდიუმის 1937 წლის 27-30 მაისის მრავალდღიან სხდომაზე ნიკოლო იძულებული გახდა თავი ემართლებინა: მოღალატეებად გამოცხადებულ ხალხთან ურთიერთობა მქოდნა, მაგრამ არა საიდუმლო, რა ვიცოდი, თუ მტრები იყვნენო...

არ დაუჯერეს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ გაზეთში განაცხადა: ნ. მიწიშვილის გამოსვლა ორჭოფული და საეჭვებით თვალთმაქცური იყოო.

ერთხელაც ნ. მიწიშვილს ნერვებმა უმტყუნა და საქართველოს კომპარტიის ლიდერს ლ. ბერიას აგინა მწერალ სანდრო შანშიაშვილის ოჯახში გამართულ წვეულებაზე.

ამაზე მოგვითხრობს მწერალ ნიკოლო მიწიშვილის საქმის გადასინჯვისას 1956 წელს დაკითხულ მოწმეთა ჩვენებანი:

„ს. შანშიაშვილი - ბერიას სადღეგრძელო ვთქვი. მიწიშვილმა სასტიკი უარი თქვა შესმაზე და ბერია გალანძღა – პლაგიატ შ. დადიანს იცავსო და ა.შ. სამჯერ გავაფრთხილე, მერე ვუთხარი: წადი და ჩემთან აღარ მოხვიდე-მეთქი;

გ. ლეონიძე – ვფიქრობ, ბერიას გინებისათვის დააპატიმრეს. სხვა მიზეზი არაფერი უნდა ყოფილიყო. იმ დროს მეორე ოთახში ვიყავი. მე და ტიციანი გამოგვიძახა ბერიამ, გამოგვლანძღა, მაგრამ გვაპატია. მიწიშვილზე თქვა: ციხეში დავალპობო.

შ. აფხაიძე - 1936 წლის ბოლოს ს. შანშიაშვილთან ვიყავით: მე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე, რეჟისორი კ. პატარიძე, არტისტი ა. ვასაძე. ამ ორს რეპეტიციაზე ეჩქარებოდათ და ადრე წავიდნენ, ლეონიძე მეორე ოთახში იყო გასული. ამ დროს მიწიშვილმა დაიწყო ბერიას ლანძღვა: სხვისი წიგნის მიმთვისებელიო (ეტყობა მხედველობაში ჰქონდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორია. ამაზე მაშინ დიდი მითქმა-მოქმა იყო), ქურდებს მფარველობსო, „მეგრული პოლიტიკის“ გამტარებელი, თავისი დამქაშების, დიდი გაიძვერების მიერ დაწინაურებული ატამანიაო...

მე და ტაბიძემ ვაწყნარეთ. მერე გავიგე – ადრეც უგინებიაო“.

ბუნებრივია, დაისვა კითხვა: ვინ გასცა ნ. მიწიშვილი? დაკითხულთა პასუხები ასეთი იყო:

„ს. შანშიაშვილი – მე მოსკოვში ვიყავი ორდენის მისაღებად. როცა დავბრუნდი, მოვახსენე ამის თაობაზე ცკ-ის პასუხისმგებელ

მუშაკს დემეტრაძეს, დამალვა არ შემეძლო – ისედაც იცოდნენ. ამის მერე მიწიშვილი არ მესალმებოდა, ეგონა, რომ მე მივიტანე ამბავი. მალე დაიჭირეს.

შ. აფხაიძე – ორი დღის მერე ბერიამ ყველაფერი იცოდა. მე დღესაც მაწვალებს და საიდუმლოდ რჩება კითხვა: ახლო მეგობრებიდან ვინ იყო ენის მიმტანი? ყველა გამოიძახა ბერიამ. მე და შანშიაშვილი ქალაქში არ ვიყავით. ლეონიძემ გადმომცა როგორი გააფთრებული იყო ბერია, ლანძღავდა და ემუქრებოდა მიწიშვილს – ციხეში დავალპობო და კიდეც აასრულა".

მაგრამ ჩემი ლანძღვისთვის ვაპატიმრებო ამას ბერია საჯაროდ ვერ იტყოდა. აბიტომ ხალხის მტრობა უნდა დაებრალებინა. ამისათვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი იყო ნ. მიწიშვილის საზღვარგარეთ ყოფნა 1922-1925 წლებში თვით ხელისუფლების, ლ. ბერიას დაკალებით.

აი, რა თქვეს ამის თაობაზე დაკითხულებმა:

„გ. ლეონიძე – ნ. მიწიშვილი ერთ-ერთი პირველი თანამგზავრი იყო როგორც ლიტერატორი და როგორც საბჭოთა მოქალაქე. მგონი 1925* წელს, ის გაემგზავრა პარიზში, როგორც მაშინ ამბობდნენ, თითქოსდა დავალებით, მენშევიკების დასაქსაქსავად, „გასახრწნელად", საერთოდ ევროპიდან ქართველი ემიგრანტების დასაბრუნებლად...

შ. აფხაიძე – თვით მიწიშვილისაგან ვიცოდით, რომ ის იქ ხელისუფლებამ გაგზავნა: ემიგრანტებში უნდა ჩაეტარებინა მუშაობა და დაერწმუნებინა მოტყუებული მენშევიკები, მერყევი ემიგრანტები, რომ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და ჩართულიყვნენ შრომაში სახალხო წყობილების სასარგებლოდ.

დავით ვლადიმერის ძე ლომაძე (ძველი პარტიული, საბჭოთა ხელისუფლების ნდობით

---

* სწორია – 1922 წ.

აღჭურვილი, რ. კ.) – მიწიშვილი საბჭოთა ხელისუფლების დავალებით გაიგზავნა ემიგრაციის გასახრწნელად. ამის გამო მენშევიკებმა კიდეც გალახეს. მე დამევალა პარიზში ნ. მიწიშვილთან შეხვედრა. ჩვენი დავალებით მან ყოფილი გენერლის მდივნისაგან მიხაკო წერეთლის მიერ შექმნილი შიფრი ფარულად წამოიღო".[10]

8 ივნისს, როდესაც ნ. მიწიშვილი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ის უკვე დაპატიმრებული იყო.

30 ივნისს ნ. მიწიშვილზე ქვეყნდება გიორგი ნატროშვილის წერილი „ხალხის მტერი მწერლის ნიღბით".[11]

1937 წლის 13 ივლისს ნ. მიწიშვილი დახვრიტეს...

ბოლშევიკური ხელისუფლებისგან მხატვრულ ლიტერატურაში თავის დასაყრდენად პროლეტარული მწერლების აღიარებამ, მათთვის იმის ჩაგონებამ – ნამდვილ მწერლობას თქვენ ქმნით, აქამდელი მწერლობა პროლეტარიატს არ გამოადგებაო, – გამოიწვია მთავრობის მორალური და ფინანსური მხარდაჭერით გაბატონებული პროლეტმწერლების მიერ ჭეშმარიტი მწერლების შევიწროვება და დარბევა.

როცა ამ შავი საქმეების გაკეთების შემდეგ დადგა ამის ყველაზე უხეშად შემსრულებელ პროლეტარულ მწერალთა ხელმძღვანელებისა და მათი დამქაშების სანაგვეზე მოსროლის დრო, თავის გადარჩენის გამო უახლოესმა მეგობრებმა დაიწყეს ერთმანეთის გაწირვა და ჩაძირვა.

1937 წლის 5-11 მაისს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე სწორედ ასე მისდგნენ პროლეტარულ მწერალთა ლიდერს ბენიტო (მირიან) ბუაჩიძეს: მას წამოუძახეს პარტიის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების (პროლეტმწერალთა ორგანიზაციების დაშლის თაობაზე) შემდეგაც გამოაქვეყნა ძველი შეცდომებით გაჯერებული წიგნიო, რომლის შესავალში გათქვა პარტიის საიდუმლოება, უხერხულობაში ჩააყენა პარტია, როცა გაამხილა: „რასაკვირველია მე ვმეთაურობდი საქართველოს და ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების ხელმძღანელობას, იმ ხელმძღვანელობას, რომელიც ძირითადად ატარებდა სწორ

პარტიულ ხაზს, ასრულებდა ლიტერატურის პროლეტარული და საბჭოთა ფრონტის მთელ რიგ მნიშვნელოვან ამოცანებს...“

ცხადია, პარტიას არ ესიამოვნებოდა იმის გამხელა, რომ მისი ხაზი იყო უპარტიო მწერალთა დათრგუნვა.

მალე უახლოესმა მეგობარმა, კრიტიკოსმა შალვა რადიანმაც (შეწირული) გაწირა ბენიტო: სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს „გაცვეთილი ოდები“, „სასახლის პოეზია“, „ოპერული ბუტაფორია“ უწოდაო.[12]

ეს ხომ ყელის გამოჭრას უდრიდა!

ცხადია, ეს დამუშავება მეტი სიმწვავით გაგრძელდა ლ. ბერიას 15 მაისის მოხსენების შემდეგ, 27-30 მაისს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე.

1937 წლის სტენოგრამებმა შემოგვინახა მთავრობის ნებიერი პროლეტმწერლის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ბენიტოსთვის ზიანის მომტანი (ამავე დროს მწერლობის ისტორიისათვის ფასდაუდებელი) აღიარებანი:

> კ. ლორთქიფანიძე: „რაპპ-ის (რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რ. კ.) ზედა ფენა ტროცკისტული იყო. საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა - ბუაჩიძე, ეული, რადიანი, ლუარსამიძე, სულავა, დოლიძე, წვერავა, ჩხიკვაძე, რომელიც რაპპ-ის მცდარ ლოზუნგებს ატარებდა, ეყრდნობოდა მის ახლო მდგომ შემოქმედებით ჯგუფს: ლორთქიფანიძეს, მაშაშვილს, კალაძეს, ბოლო ხანებში კაჭახიძეს და აბაშიძეს“.
>
> „ერთი ყველაზე საშინელი, კონტრრევოლუციური რეაქციული ლოზუნგი – ეს იყო რაპპ-ში „მტერი თუ მოკავშირე“.

მოიტანა ადგილები, რას წერდნენ შანშიაშვილი, რადიანი და ბუაჩიძე.

ასეთი მიდგომით იმ ხალხს ვუძნელებდით საბჭოთა მწერლობასთან დაახლოებასო.

> „როგორ ხდებოდა საქართველოს პროლეტარულ მწერლების ასოციაციაში კადრების შერჩევა? რასაკვირველია ძმა-ბიჭობის მიხედვით. მაგალითად, ჩვენ ფედერაციის

მდიენად წამოვაყენეთ სიმონ წვერავა (ხმა – შენც იყავი აქ), მეც ვიყავი, მაგრამ შემდეგ მომხსნეს (ხმა – რაზე მოგხსნეს?) ამაზე მერე ვიტყვი. არც ავტორიტეტით, არც საზოგადოებრივ-ლიტერატურული ღირებულებით სიმონ წვერავა ამ ადგილს არ შეეფერებოდა. მე ამას ვლაპარაკობ არა იმიტომ, რომ დავჩრდილო ამხ. სიმონ წვერავა, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს სამართლიანობა. რატომ ხდებოდა ეს? ეს ხდებოდა იმისთვის, რომ უფრო ყურმოჭრილი, ორტოდოქსალური გამტარებელი უნდოდათ რაპპ-ის ხელმძღვანელობისა".

„მე მგონია მწერალთა კავშირის მუშაობაში ყველაზე უფრო სამარცხვინო ფაქტი, მე ამას ხაზს ვუსვამ, იყო ფედერაციის წმენდა".

„ასევე იყო დაყრდნობილი ამხ. ს. წვერავა შემოქმედებითად უფრო ნაკლებ საინტერესო, უფრო სუსტ ძალებზე, ისეთ ძალებზე, რომელნიც არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდნენ არც მათი მოახლოების, არც მათი დაშორების თვალსაზრისით. ასეთ მწერლებზე დაყრდნობით ის ატარებდა ფედერაციის წმენდას, რასაკვირველია, ამაში მონაწილეობას იღებდა ბენიტო ბუაჩიძე. საბედნიეროდ მე არ მიმიღია მონაწილეობა (პეტრე სამსონიძის რეპლიკა – დირექტივა შენიც იქნებოდა).

მესამე და მთავარი რა იყო ჩვენი უბედურება? ის, რომ ჩვენი თავი გადავაფასეთ... ჩვენ ჩვენს თავს მივეცით უფრო მეტი წონა, ვიდრე სინამდვილეში გვქონდა... აი, ამ ჩვენი საკუთარი თავის გაზვიადებამ ძალიან ბევრი პროლეტარული მწერალი, შეიძლება ნიჭიერიც, დაამახინჯა და ჩამოაშორა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას".

მეოთხე – „უდიდესი შეცდომები თანამგზავრობის საკითხებში... ასოციაციის

ხელმძღვანელები უგულვებელყოფდნენ იმ წამყვან ძალებს საქართველოს საბჭოთა მწერლებისა, რომლებიც მაშინ და დღესაც აწარმოებდნენ თავიანთ მუშაობას. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ეს ხალხი გამორიცხა თავისი მუშაობის ორბიტიდან, დააყენა მტრების ბანაკში და ამავე დროს დაეყრდნო შემოქმედებითად ნაკლებ მნიშვნელოვან ძალებს, ეს იყო ვასო გორგაძე, მაშინ სერგო კლდიაშვილი, რ. გვეტაძე და მთელი რიგი ამხანაგები, რომლებიც არ მოხსნეს".

მეხუთე, „რაპპ-ის უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ რაპპი ძალიან ნაკლებად აკრიტიკებდა იმ ამხანაგებს, რომლებიც რასაკვირველია ახლო იყვნენ მათთან... მაგ., ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე.

შემდეგ, მაინცდამაინც შეცდომის მონახვა.

შემდეგ, ლოზუნგი „გადემიანების" შესახებ. რაპპ-ში იყვნენ ამხანაგები, რომლებიც ებრძოდნენ ამ ლოზუნგს, მაგრამ იყვნენ ისეთნიც, რომელთაც გადემიანების საკითხი გასანდროეულებათ კინაღამ გამოაცხადეს (ეული – მე მათთან არავითარი კავშირი არ მქონია). უნდა გეთქვა შენს სიტყვაში".

„იწყებოდა დავითაშვილის კლასიკოსობიდან და მთავრდებოდა სანდრო ეულამდე, როგორც მწერლობის პიონერი. ნიჭიერი, თავმდაბალი ბ. ჩხეიძე კი აითვალწუნეს ბენაშვილმა, ნატროშვილმა, შავგულიძემ".

„პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში იყო 200 კაცი და დღეს აი ამ ხალხიდან არის დარჩენილი 15-20 კაცი. თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს ხალხი მაინცდამაინც მწერლები უნდა ყოფილიყვნენ, არამედ ამას ედვა საფუძვლად ის, რომ მუშათა გაწვევა მოგონილი იყო როგორც რუსეთში, ისე აქ იმისთვის, რომ ჩვენ უფრო მეტი ბრძოლა გვეწარმოებინა უპარტიო მწერლებთან (გამსახურდია – მაშინაც

ვიცოდით ეს ამბავი), რასაკვირველია, შემდეგ ეს ხალხი გაქრა, გაიფანტა...“

„რაპპ-ში იყო ჯანსაღი ნაწილიც (სამსონიძე – ჩემი პიესა მიღებული იყო რუსთაველის თეატრში და პროლეტარული მწერლების ასოციაციამ არ გაუშვა. ეს იყო პოზიცია? თქვენი პოზიცია იყო კაციჭამიების პოზიცია). მე ისევე ვარ რაპპ-ელი, როგორც თქვენ (სამსონიძე – დიდი განსხვავებაა...), თუ რაპპ-ში ცოტათი თუ ბევრად მოვჩანდი ეს იმიტომ, რომ მე სხვებზე უფრო მეტად ვმუშაობდი (სამსონიძე – იმიტომ, რომ გაბერილი იყავი ბუშტივით და გასკდი კიდეც)“.

შემდეგ კ. ლორთქიანიძე მისდგა კ. გამსახურდიას:

„...ლაპარაკობდნენ იმათზე, ვინც სწერს თანამედროვე თემაზე და თქვით: არაფერს ვიტყვი დუბლიორებისა და სუროგატების შესახებო. ეს ჩემს თავზე მივიღე. „მთვარის მოტაცებასა“ და „გოეთეს რომანში“ უფრო მეტია დუბლიორობა და სუროგატობა“.

„ჩვენ ვიყავით ყანწელებზე გაღიზიანებული, იყო ცუდი ურთიერთობა ჩვენს შორის“.

„ამიტომ გალაკტიონი უკრიტიკოდ მივიღეთ, სუსტსაც უქებდნენ. ასევე აქეს ჩხიკვაძის სუსტი რომანი „რომანტიული ამბავი“.

„წერდნენ ლექსებს, მიჰქონდათ კაბინეტში და იქ უკითხავდნენ ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, შანშიაშვილი, ბააზოვი (ტ. ტაბიძე – მივიღებ შენს შენიშვნას იმის შემდეგ, რაც შენ რაპპ-ელები გააკრიტიკე და თითქმის კაციჭამია უწოდე შენს თავს; ა. არსენიშვილი ტ. ტაბიძეზე – პრინიმაეტ სვინია; ტ. ტაბიძე – შენისთანა ღორი არც შემოსულა აქ...; დ. დემეტრაძე - ყოვლად დაუშვებელია ეს, თქვენ შემოგაქვთ სრული დეზორგანიზაცია...)“.

სხდომა დამთავრდა ღამის პირველის ნახევარზე.

შემდეგი სხდომა გაიმართა 30 მაისს.ვანო წულუკიძემ

სასტიკად გალანძღა ცისფერყანწელები (იქვე, გვ. 4-10), გუგული ბუხნიკაშვილმა პლატონ ქიქოძეს „ტოროშელიძის ლეკვი" უწოდა, კ. ლორთქიფანიძის გამოსვლაზე კი თქვა: ისე გამოვიდა, რომ ჯანსაღი მგონი მარტო თვითონ დარჩაო.

> რაჟდენ გვეტაძე – „მან (კ. ლორთქიფანიძემ, რ.კ.) აქ თავი მოგვაჩვენა, როგორც წინათ იტყოდნენ, „აღდგომის ბატკნად". ნამდვილად კი ის ყველაზედ უფრო პასუხისმგებელია ყველა შეცდომისთვის, რომლებიც საქართველოში „რაპპს"საკმაოდ დიდად ჰქონდა".
>
> „ლორთქიფანიძემ თავის გამოსვლაში აიფარა უცოდველი ნიღაბი და თვალთმაქცურად მთელი ჭუჭყი შეახოცა თავის ამხანაგებს ბუაჩიძეს, ლუარსამიძეს, მელაძეს, სულავას და სხვებს, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით და ეს ბოლოს და ბოლოს უნდა ითქვას, რომ ბუაჩიძის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია ლორთქიფანიძის გარეშე, რომ ლორთქიფანიძე იყო რაპპ-ის ბოროტი სული და ის ხშირად თავზე ახვევდა თავის ზრახვებს არა მარტო ბუაჩიძეს, არამედ მთელ რაპპ-საც".
>
> „ლორთქიფანიძე არამარტო უპარტიო მწერლებს, არამედ თავის ამხანაგებსაც არ ინდობდა. ამავე გზით არაერთხელ მოუწადინებია პროლეტარული ლიტერატურის მიღწევად გამოეცხადებია ისეთი უვარგისი და ანტიპარტიული ლექსი, როგორიც არის მისი „საბარგო ავტომობილი".
>
> მისი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" „ნაწილობრივ თავის სტრუქტურით და მთლიანად ფინალით წარმოადგენს კინოსურათების დოვჟენკოს „ზემლიას" და „პუტიოვკა ჟიზნის" უხეირო კომპილაციას".
>
> ახლაც აცხადებს, თითქოს, გ. ტაბიძე მან და ბუაჩიძემ განგებ გაბერეს, შეცდომა იყო ს. კლდიაშვილის და რ. გვეტაძის ასოციაციასთან დაახლოებაო. „ყველა ამის შემდეგ... გაუგებრობას უნდა მიეწეროს ის გარემოება,

> რომ დღეს ლორთქიფანიძე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში იმყოფება და კვლავ განაგრძობს დეზორგანიზაციის შეტანას ჩვენს რიგებში“.

სხდომის მთავარ მიზანდასახულობაზე – პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის დამუშავებაზე გადასვლისა და დრამატულად მიმდინარე დაკითხვისას კვლავ ამოტივტივდა კ. ლორთქიფანიძის ენის მიტანა – თავის დაცვისას პაოლომ იკითხა: რაში დასჭირდა კ. ლორთქიფანიძეს იმის თქმა, თითქოს ახლო ურთიერთობა მქონდა კახიანთან, ორახელაშვილთან, ქართველიშვილთან (ფურც. 22-37).

ამასობაში კ. ლორთქიფანიძემ ზოგი რამ გაარკვია და მეორედ გამოსულმა თქვა (ფურც. 19-37): ჩემზე კ. გამსახურდიას ნათქვამი ილო მოსაშვილმა და ნიკო მიწიშვილმა მომიტანესო და ამიტომ „ჩემი გამოსვლის ის ნაწილი, რაც კ. გამსახურდიას რომანებს ეხებოდა, უკან მიმაქვს. ეს იმ გაფუჭებული ატმოსფეროს ბრალია, რომელიც ჯერ კიდევ არის მწერალთა კავშირში. მითხრეს შენ გგულისხმობდაო“.

„ლიტერატურულმა საქართველომ“ (№13) მკაცრად გააკრიტიკა კ. ლორთქიფანიძე უპრინციპობისთვის:

> „თავის პირველ სიტყვაში მან დაუსაბუთებლად „არასაინტერესო“ და „სუსტ“ მწერლებად მონათლა ს. კლდიაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. მან კომპილაცია უწოდა „მთვარის მოტაცებას“ და „გოეტეს ცხოვრების რომანს“, მაგრამ თავის მეორე გამოსვლისას ამ ნაწარმოებების ასეთი დახასიათება უკანვე წაიღო, რადგან „გავიგე, რომ კ. გამსახურდიას მის მიერ დასახელებულ ლიტერატურულ სუროგატებს შორის ნაგულისხმევი არ ჰქონია ჩემი წიგნებიო. რაკი მას ჩემი რომანი სუროგატად არ მიაჩნია, არც მე ვთვლი მის ნაწარმოებს კომპილაციადო“. კ. ლორთქიფანიძის მხრივ ეს იყო საკითხისადმი აშკარა უპრინციპო მიდგომა“.

ბესო ჟღენტმაც დიდი ადგილი დაუთმო კ. ლორთქიფანიძეს (ფურც. 38-67): „კომუნისტში“ გავაკრიტიკე და იმის შემდეგ ჩემი ციტატები შეკრიბა, ახლა აქ გამოიტანაო.

„სულ ერთნაირ პოზიციაზე იდგნენ ბ. ბუაჩიძე და კ. ლორთქიფანიძე, ჰქონდათ ტენდენცია გ. ტაბიძის მიჩქმალვისა (კ. გამსახურდია - ბესო, თუ ასეთი ცნობები გქონდა ლორთქიფანიძეზე, რატომ დაუჭირე მხარი მის მდივნად არჩევას?). ბუაჩიძის მოსკოვში წასვლის შემდეგ ლორთქიფანიძე უკვე სხვა განწყობილებით მოდიოდა მწერალთა კავშირში...“

დავით დემეტრაძემ დასკვნით სიტყვაში თქვა (ფურც. 81-დან):

„უპრინციპო იყო კ. ლორთქიფანიძის გამოსვლა. დავუშვათ კ. გამსახურდიამ ეს თქვა არა თქვენზე, არამედ ლ. ქიაჩელის ან შ. აფხაიძის შესახებ, მაშინ რას იტყვით, სწორი ყოფილა კ. გამსახურდია? როგორ შეიძლება, თქვენ ხელმძღვანელი ხართ მწერალთა კავშირისა და ამბობთ: თუ არ მგულისხმობ, ვიბრუნებ ჩემ სიტყვებსო“.

მ. ჯავახიშვილისა და ტ. ტაბიძის კუთხეში მიმწყვდევისას, 9 ივნისის სხდომაზე დ. დემეტრაძემ განაცხადა:

„...ლორთქიფანიძეს ადრე უნდა ეთქვა, რომ გასვიანი მწერალთა კავშირის გარეშე ადგენდა მწერალთა ჯგუფს, არჩევდა გამსახურდიას, ჯავახიშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, გალაკ-ტიონს...“

დაიფრთხალმა ლორთქიფანიძემ, როგორც ამას სტენოგრამა ადასტურებს, ხელად წამოიძახა: აწი მაშინვე ვიტყვი ასეთ ამბავს

მაინც ვერ უშველა დასმენის ამ ქვეშერდომულმა მზადყოფნამ – სხდომის დასასრულს სანდრო ეულმა განაცხადა:

„გუშინდელი გამოსვლის გამო, ვითომ აქ ვინმეს უნდოდა კ. ლორთქიფანიძის დაბნევა, პარტჯგუფის წინადადებაა კ. ლორთქიფანიძე გამოყვანილ იქნეს სამდივნოდან.

ს. შანშიაშვილი – ჯერ გავარკვიოთ, ეს მოქმედება დანაშაულია თუ არა.

გ. ბუხნიკაშვილი – უხერხულია, ხელმძღვა-

ნელობაში დარჩეს როგორც მდივანი, მაგრამ როგორც მწერალს არავინ სჯის.

კ. ლორთქიფანიძე – მე ნათლად ვთქვი. რაც შეეხება ჩემს მდივნობას, იმდენი ლაპარაკი ატყდა ბუაჩიძესთან დაკავშირებით, რომ...

შ. რადიანი – შენ სხვას აძლევდი შეკითხვას და ამ პროცესში თვითონ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს შეეხე, 4 სხვადასხვა რედაქცია მოგვეცი.

კ. ლორთქიფანიძე – მთელი შენი ცხოვრება უხეიროდ ლაპარაკობდი...

დ. დემეტრაძე – ასეთი უპასუხისმგებლო, დაბნეული განცხადებების შემდეგ არ შეიძლება სამდივნოში იყოს".[13]

და გამოიყვანეს სამდივნოდან, სადაც მხოლოდ ორი თვე გაძლო (1937.14.IV-1937.9.VI).

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ასე სცა პატივი თავის მეგობარს, პროლეტმწერალთა ლიდერს 1926-1931 წლებში, ბენიტო ბუაჩიძეს პრეზიდიუმის სხდომაზე (სინამდვილეში უფრო დაკითხვა რომ იყო).

მაგრამ თავად მას ბენიტომ დააწერინა ეს სტრიქონები? – „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არ მიმაჩნია ადამიანად".

ანდა ბენიტომ აიღებინა ხელი საქართველოზე, როცა ინტერნაციონალისტი ბოლშევიკების წინაშე თავს იწონებდა ასეთი სიტყვებით? „არ მეშინია უცხოეთში ბედის მოღუნვის, ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლოს მიწის სიშორე, სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის, მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი";

ან მისმა მეგობარმა ურჩია: სირცხვილ-ნამუსზე ხელი აიღე და იმ მანქანის საქებარი ლექსი დაწერე, რომლითაც საუკეთესო ქართველები დასახვრეტად გადაჰყავთო?..

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა კ. ლორთქიფანიძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, ფერიცვალობაზე.

სერგეი ესენინის სიკვდილისთანავე ტიციან ტაბიძის მიერ ლექსად გამოხატული თანაგრძნობის, რუსი მგოსნის ძმასავით დატირების („სერგეი ესენინს", „ქართული მწერლობა", 1926, №1) საპასუხოდ იმავე წელს იმავე ჟურნალში (№4-5) კ. ლორთქიფანიძე ბეჭდავს გამკიცხავ ლექსს „რამდენიმე სიტყვა

ესენინს და სხვებს", რომელსაც სწორედ ტიციანის ლექსის სტრიქონი წაუმძღვარა:

„შევსვამთ საწამლავს ჩვენც როგორც მირონს"
ლექსი „სერგეი ესენინს", ტიციან ტაბიძე.
„ქართული მწერლობა", 1926, №1

აჰა ლექსიც დავწერე, მამძიმებდა ფიქრები:
ღამე იყო და გული მოგონებით მიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი, ფერმიხდილი,
მიმქრალი,
როგორც თავი დამხრჩვალი, ესენინის
მიცქერდა.
მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავსძახო:
მავნეა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა,
სასიკვდილო თოკზე რომ გადმოჰკიდო
კისერი?
თვითმკვლელობა რათ გვინდა, მოვა დრო და
მოვკვდებით
პოეტებო ვუმღეროთ ახალ ქვეყნის ალიონს.
სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ
თოკივით,
საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ.

მაგრამ კიდევ უფრო ამაზრზენი იყო ის, რომ, როცა თვითმკვლელი (როგორც შემდეგ დადასტურდა – მოკლული) სერგეი ესენინის მიჩუმათების ნაცვლად 60-იანი წლებიდან პოლიტიკურ ამინდში ერთგვარი დათბობის შედეგად აღსდგა მისი პოეტური ღირსება და ბრწყინვალება, – ჩვენმა პოეტმა სცადა 20-იანი წლების თავისი ურაბოლშევიკური პოეტური წარსულის გადასხვაფერება, ახალი თაობებისათვის თავისი თავის იმაზე უკეთ წარდგენა, ვიდრე ის სინამდვილეში იყო. ამისათვის მან ასე გადააკეთა ზემოთ მოყვანილი ლექსი და 1978 წლის 6 ოქტომბერს საზოგადოებას „ლიტერატურულ საქართველოში" გააცნო რედაქციის შემდეგი შენიშვნით:

„გამომცემლობა "მერანში" იბეჭდება კ. ლორთქიფანიძის

რჩეული თხზულებების მეოთხე ტომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნა მწერლის მიერ 20-იან წლებში დაწერილი ლექსები. ვბეჭდავთ ორ ლექსს ამ ტომიდან:

სერგეი ესენინს
1925 წელს, 28 დეკემბერს, ღამით, ლენინგრადის
სასტუმრო „ანგლეტერში“ თავი ჩამოიხრჩო
პოეტმა სერგეი ესენინმა
გაზეთებიდან

ასე მწარედ არასდროს მე გული არ მტკენია,
ის მარყუჟი თითქოსდა მეც კისერზე
მიჭერდეს.
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,
შენისთანა ბულბული ბაღში არ გაგვიჩერდეს
მაშ რა მოხდა იმ ღამეს, გული რად
მოგვიკალი,
შენ არასდროს არ იყავ ლაჩარი და გამქცევი,
თოკი არა – კისერზე მოვიხვიოთ გრიგალი,
რომ მგოსნები კვდებოდნენ, როგორც
ჯარისკაცები.

აი, ასე, უწინ თუ ხულიგნობად მოიხსენიებდა ესენინის თვითმკვლელობას, ახლა საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოს ჩვენს პოეტს 20-იან წლებშიც ბულბულად მიაჩნდა რუსი მგოსანი, თითქოს ესენინის ამ ნაბიჯმა უჩვეულოდ ატკინა გული, თითქოს მანამდე ახალი ცხოვრებიდან გაქცევას არ აბრალებდა ესენინს...

მკითხველებს და ლიტერატურულ საზოგადოებას ვერ მოატყუებ. აკი აკაკი ბაქრაძეს მაშინვე შენიშნა ეს და საზოგადოებას ამცნო.

ახლა კი თავისი პარტიისაგან და მეგობრებისგანაც განწირულ პროლეტმწერალთა ლიდერს დავუბრუნდეთ.

8 იანვარს პრეზიდიუმმა კავშირიდან გარიცხა ბენიტო (მირიან) ბუაჩიძე, მშობლიურმა კავშირმაც და კომპარტიამაც თვალის დაუხამხამებლად მოიცილა, როგორც მოწმე იმ არასაკადრისი საქმეებისა, რომელიც ასე აკეთებინეს.

ბ. ბუაჩიძე დახვრიტეს 1937 წლის 3 ოქტომბერს.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემედ აბაშიძის საქმის გადასინჯვისას დაკითხული აჭარის შინსახკომის იმდროინდელი მუშაკის, ბერძენი დემიან არისტარხის ძე ხარას წვენება:

„აჭარის შინსახკომში ოპერატიული მუშაკები სცემდნენ ყველას, ვინც არ იძლეოდა აღიარების ჩვენებებს. როგორც წესი, პატიმართა ჩვენებები, სადაც ისინი თავის დანაშაულს უარყოფდნენ, – არ ჩაიწერებოდა.

დ. ა. ხარა 1938 წელს საშსახურიდან დაითხოვეს, რადგან შინსახკომში მისი შემდგომი გამოყენება შეუძლებლად ჩათვალეს.

კომუნისტებმა ხელისუფლების აღებიდანვე გამოიჩინეს დაუნდობლობა.

ახალი საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა ყველა კლასის წარმომადგენელს, გარდა პროლეტარიატისა. შემედ აბაშიძე კი ბეგი იყო და რა გასაკვირია, რომ ის, საარქივო ცნობის მახედვით ჯერ კიდევ 1921 წლის 6 დეკემბერს დააპატიმრეს, როგორც „ძავნე ელემენტი". მეორე დღეს მას დაკითხვაზე განუცხადებია: 1903-1919 წლებში სოციალისტ-ფედერალისტი ვიყავი. საბჭოთა ხელისუფლების დროს არავითარ კონტრრევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიმიღია.

თითქოს ენდვნენ, შემედ-ბეგი და მისი ძმები 4 თვის პატიმრობის შემდეგ კი გაათავისუფლეს, მაგრამ თბილისიდან არ გაუშვეს, რბილად რომ ვთქვათ, აჭარას გაარიდეს. მაგრამ აბაშიძეებმა უკეთ იცოდნენ, რა ერქვა ამას, როგორი იყო ეს „გარიდება". ამიტომ სიტყვა მივცეთ შემედ აბაშიძეს, წარმოგიდგენთ მის ახლადმოპოვებულ განცხადებას.

„ასლი – საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
ს.ს. სახალხო კომისართა საბჭოს ძმათა აბაშიძეთაგან – შემედ აბაშიძისაგან
მე-4 თვეა დატყვევებულები ვიყავით.

ზოგიერთი ჩვენთაგანი ადრეევე გაგვანთავისუფლეს, ხოლო ყველანი კი ვიმყოფებით ტფილისში. ტფილისში ჩვენ არ გვაქვს არავითარი საქმე, არც ქონება, არ გვყავს ნათესაობა. არა თუ ტფილისში, ჩვენს სამშობლო აჭარაშიაც ჩვენ არ გვაქვს ისეთი მამულები, რომლის შემოსავლითაც ცხოვრება შეგვეძლოს. ჩვენ გთხოვთ დაგვაბრუნოთ ჩვენს სამშობლოში, სადაც მოვახერხებთ ცხოვრებას ისე, რომ ოჯახსაც მოვუაროთ და სახელმწიფოსაც არ დავაწვეთ მეტ ბარგად.

ჩვენ არა ვართ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლების წინააღმდეგი. არც ერთ ჩვენთაგანს არასოდეს იოტის ოდნავ არ შეუბღალავს თქვენი სიტყვა და საქმიანობა. პირიქით, კომუნისტების შემოსვლისას, ჩვენ ვეხმარებოდით ახალი წყობილების განმტკიცებას, როგორც კი ჩვენ ეს შეგვეძლო.

ნუთუ ჩვენ მარტო იმისათვის უნდა დავისაჯოთ, რომ გვარი გვაქვს „აბაშიძე"? მაგრამ რუსეთში და საქართველოშიაც ცოტაა „დიდი" გვარისკაცი, რომელიც ეხმარება ახალ ხელისუფლებას და რომელთაც კომუნისტები არ სდევნიან?

ჩვენ ისტორიულადაც არ უნდა დავისაჯოთ, ვინაიდან აჭარის ფუხარა ხალხს თავის სიცოცხლეში არ დაუნახავს ჩვენით რაიმე შევიწროება.

ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ არც მემამულე, არც კაპიტალისტი, აშკარაა არ მოგვეპოვება ის საღსარი, რომლითაც ჩვენ შეგვეძლებოდა ჩვენი მოძმეთა დაჩაგვრა ე.ი. ისტორიულადაც ჩვენ მართალი ვართ.

თუკი ჩვენდამი სათანადო ყურადღება ვერ დავიმსახურეთ, ყველანი ჩვენგანი ამ ხელწერილით სიტყვას ვდებთ, რომ არავითარ პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობას აღარ მივიღებთ. მოგვეცით ნება როგორც უბრალო

მოქალაქეებმა ვიცხოვროთ ჩვენს ოჯახში.
მემედ აბაშიძე, 1922.19.III".

კომისარია საბჭოს კი მიმართავდა, მაგრამ ცხადია, საქმე პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ამიტომ მ. აბაშიძის ამ განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადეს: *„შეეკითხოთ პარტიას – რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ ამათი დაბრუნება ბათუმში".*

შეეკითხოთ პარტიასო!..

ეს გახლავთ იმის კიდევ ერთი დადასტურება, რომ ყველა ის უბედურება და განუკითხაობა, ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენელთა (გარდა პროლეტარიატისა) ადამიანური უფლებების აბუჩად აგდება, დამცირება, ქონების გაპარტახება, ოჯახის დარბევა, ციხეებში გამოკეტვა, წამება, გადასახლება, დახვრეტა და ამას მიმატებული ეროვნული თავისთავადობის დაკარგვის, ქართველების გადაშენების – გარუსების მტკივნეულზე მტკივნეული საფრთხის გაგრძელება, ერთი სიტყვით, ყველანაირი საშინელება – 1921 წლის თებერვალში ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვამ, საქართველოში ბოლშევიკ-კომუნისტების დაუნდობელი პარტიის გაბატონებამ გამოიწვია.

ამიტომ მართებდა ჩვენს მაშინდელ წინაპრებს მეტი წინდახედულობა, შორსმჭვრეტელობა იდეალების, იდეოლოგიის შერჩევაში, ეით უმეტეს, რომ მათ დახვდათ მცირერიცხოვანი ერისთვის მეტად მნიშვნელოვანი ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის ძალისხმევით გვარიანად მომძლავრებული, სწორ გზაზე დაყენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა!

ამიტომ მართებდა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას, მიუხედავად არაეროვნული სულისა, მათთვის გარემოებათა გამო თითქმის ნაჩუქარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში მაინც გამოეჩინა თავი, მაგრამ მისმა იდეოლოგიამ მას დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ხომ დააკარგვინა ძვირფასი დრო, შემდეგაც ამ ძვირფასი განძის დაცვისთვის საუკეთესო გზების არჩევაშიც უკან ექაჩებოდა...

ახლა კვლავ მემედ აბაშიძეს დავუბრუნდეთ და ვნახოთ მემედბეგისა და მისი ძმების თხოვნაზე – ბათუმში დაგვაბრუნეთო – რა გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ.

პარტიამ, ცკ-ის პრეზიდიუმმა ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით თავის მხრივ 1922 წლის 20 მარტს დაადგინა: *„შევეკითხოთ ბათუმის საოლქო კომიტეტს – შესაძლებლად მიაჩნიათ თუ არა ძმები აბაშიძეების ბათუმში დაბრუნება“.*

ბათუმის ხელმძღვანელობამ არჩია აჭარიდან შორს ყოფილიყვნენ აბაშიძეები და, აი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმმა 1922 წლის 13 აპრილს დაადგინა:

„ბათუმიდან გამოსახლებული ბეგების შესახებ.

მიეცეთ თბილისში სამსახურში მოწყობის შესაძლებლობა.

მანამდე სახკომსაბჭომ მათ გამოუყოს დახმარება 25 მლნ. ოდენობით“.

ცხრა თვის შემდეგ, 1923 წლის 24 იანვარს, ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის, როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი, აჭარის ჩეკამ ისევ დააპატიმრა მემედ აბაშიძე და 19 ივნისის დადგენილებით საქართველოდან გაასახლეს ვადის მიუთითებლად.

ცხადია, ეს მოკლე-მოკლე ვადიანი დაპატიმრებები და გადასახლებები შემზღუდავ-შემავიწროებელი, დამამცირებელი აქციები იყო. მაგრამ საცოცხლეს მაინც არ შეხებიან.

1937 წლის 12 ივლისს კი საბოლოოდ წაიყვანეს. საბრალდებო დასკვნაში ეწერა: 1934 წელს საოჯახეებო კ/რ ნაციონალისტური ტერორისტული ორგანიზაციის „ნაციონალისტური პარტიის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ერმალოს ძე ლალიძემ გადაიბირა და ხელმძღვანელ კომიტეტში შეიყვანაო.

1937 წლის 17 სექტემბერს მემედ აბაშიძეს სიკვდილი მიუსაჯეს.[14]

გამოჩენილი რუსი პოეტის სერგეი ესენინის თვითმკვლელობა (უფრო მკვლელობა რომ იყო) პოეტმა ტიციან ტაბიძემ ლექსით გამოიგლოვა და 1926 წელს დაწერილ ამ ლექსში თავისი და თავის თანამემამულეთა თუ თანამოკალმეთა ბედიც იწინასწარმეტყველა:

არ გამოცვლილა ხომ პოეზია –
მუზები ცისკრის კარებს აღებენ,
ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,

ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.

ის დრო, რომელსაც ტიციან ტაბიძე გულისხმობდა, 1921 წლიდან იყო დამდგარი...

მართალია, იმ ლექსში, საიდანაც ეს სიტყვები მოვიყვანე, თავისი ბედი იწინასწარმეტყველა, მაგრამ ის მაშინ, 1926 წელს ვერაფრით ვერ განჭვრეტდა თუ მთლად ისეთი საშინელი დრო დადგებოდა, როგორიც შეიქმნა 1937 წელი.

კომუნისტების მოტანილმა წყეულმა ხანამ, განსაკუთრებით 1921-1924 და 1937-1938 წლებში, ტიციან ტაბიძემდე ბევრზე ბევრი ქართველი შეიწირა, მრავალს მეტეხისა და შინსახკომის შინაგანი ციხის საკნებში გამომწყვდევის სიმწარე აგემა, ათასებს სოლოვკის, ნარიმის და სხვა ბანაკების საშინელებანი განაცდევინა, ბოლოს ტიციანის უახლოეს მეგობარ პოეტს პაოლო იაშვილს თავი მოაკვლევინა, მისგან პატივცემულ უფროს თანამოკალმეს, აღიარებულ დიდოსტატს, მიხეილ ჯავახიშვილს სიცოცხლე მოუსწრაფა და ტიციანსაც მუხანათურად წამოეწია...

იმ ავი დროს დასასურათებლად წარმოგიდგენთ საბუთებს, რომლებიც მოწოდებული იქნება ქრონოლოგიის დაცვით:

ლ. ბერიას ზემოთ მითითებულ 1937 წლის 15 მაისის მოხსენებას მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ხელადვე გამოეხმაურა პრეზიდიუმის მრავალდღიანი (27-30 მაისი) სხდომით.

პირველი, ვისი დამუშავება-დაკითხვაც დაიწყეს, პაოლო იაშვილი იყო.

მაგრამ მას მანამდეც არ მოკლებია შინსახკომის ყურადღება.

პაოლო იაშვილის საქმე-ფორმულიარის №971-51 მიმოხილვითი ცნობის მიხედვით შინსახკომმა პოეტზე, როგორც 1919-1920 წლებში მენშევიკების დროს ცისფერყანწელთა ერთ-ერთ ხელმძღვანელზე, მასალების შეგროვება-დამუშავება ჯერ კიდევ 1929 წლიდან დაიწყო.

1932 წლის იანვარში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (გპუ) მოახსენებდნენ: პ. იაშვილის მონაწილეობა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში არ დასტურდებაო.

შემდეგ შინსახკომს, კერძოდ, იქაურ მუშაკს ქადაგიშვილს,

პოეტის შესახებ ცნობებს აწვდიდა აგენტი „კრიტიკოსი“.

1937 წლის 27 მაისიდან კი პაოლოს ბევრი რამ გაუხსენეს, ხალხის მტრებთან რატომ მეგობრობდიო.

პაოლო იძულებული შეიქნა თავი ემართლებინა: რა ვიცოდი ხალხის მტრები თუ იყვნენო:

> „ყოველ წუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შევწირო თავი. ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებული მუშაობისა“.

ეს 28 მაისის სხდომაზეც განმეორდა:

> „მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან, არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები... ვგმობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან“, სავსებით ვიღებ ბერიას მკაცრ გაფრთხილებას, გარდავიქმნებიო და ა.შ.
>
> მიუხედავად ამისა გაზეთში ასე გალანძღეს პაოლო:
>
> „ყველასათვის ცხადი შეიქმნა პ. იაშვილის სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობს. პ. იაშვილი ცდილობს მწერალთა საზოგადოებრიობას თავი დიდი საქმის კაცად მოაჩვენოს, რომელსაც თითქოს დასახმარებლად მიმართავდნენ ბ. ლომინაძე, ვ. ჯიქია და სხვები. მე ვიყავი ის, რომელმაც წესრიგი დავამყარე მენშევიკების გაქცევის შემდეგო. ვ. ჯიქიას ხვეწნა-მუდარის შემდეგ მე მივეშველე რიონჰესს, მუშახელი შევუგროვეო. მე დამაკისრეს მოსკოვში სამგორის პრობლემის პრაქტიკული მოგვარებაო. საკითხავია, რატომ მაინცდამაინც პ. იაშვილს მიმართავდნენ ხალხის გამომჟღავნებული მტრები?“

ასე განმეორდა რამდენიმეჯერ...

შემდეგ გაფართოებულ პრეზიდიუმზე, 8 ივნისს, როცა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა დავით დემეტრაძემ მწერლებს უსაყვედურა რატომ არ გაამხილეთ ოქვენთან

ქეიფისას ნიკოლო მიწივშილმა ბერია რომ ლანძღაო: *„...ეს შანშიაშვილის, ლეონიძის, ტაბიძის დანაშაულია. შანშიაშვილი ვალდებული იყო თუ არა ეს ამბავი მწერალთა კავშირისათვის ეცნობებინა? ეს ჩვენი კავშირის ტრადიციაა. პარტიულებმა უნდა თქვან ყველაფერი...“* – მორიგი რისხვისა და თავისმართლების მომლოდინე პაოლო აღაშფოთა ამ კოლექტიური ჯაშუშობის მოთხოვნამ, ვერ მოითმინა და ჩაილაპარაკა. მაგრამ ისე რომ სტენოგრაფისტის მახვილ ყურს არ გამოეპარა და შემოგვინახა მისი ეს რეპლიკა: *„ასეთი ტრადიცია იყო კავშირში, მართალია, ვის მიქონდა ასეთი ამბები, პარტიულის გარდა?“*

იმ დღეს პაოლომ ერთხელ კიდევ დაიმცირა თავი, ბოლოს ასეც თქვა:

> „პოლიტიკური დასკვნები მე უკვე გავაკეთე უკანასკნელ გამოსვლაში აქტივის კრებაზე. ვიტყვი, მხოლოდ ერთს, მე თუ მომეცა საშუალება, ამხ. ლ. ბერიას მკაცრი გაფრთხილების საპასუხოდ ისე გარდავქმნი ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ საბჭოთა მწერლის დიდი და საპატიო სახელი ღირსეულად ვატარო...“

3 ივლისს, როცა პაოლოს ცეცხლი ჰქონდა შენთებული, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა კ. ორაგველიძემ კოცონზე ნავთი დაუსხა – შს კომისარ სერგო გოგლიძეს აცნობა: უნივერსიტეტის ზოგიერთი კომკავშირელი და მეცნიერ-მუშაკი აცხადებს ესა და ეს ლექსი ანტისაბჭოთაოო...

შემდეგ სხდომაზე კი, 22 ივლისს, როცა წინა სხდომაზე გამოთქმული მოთხოვნის თანახმად კიდევ ერთხელ უნდა გამოსულიყო, რათა ეთქვა „სრული სიმართლე – რატომ ჰქონდა კავშირი ხალხის მტრებთან“, ისეთი საზიზღრობანი მოისმინა, მიხვდა, რომ არ დაუჯერებდნენ, რადგან მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, დარწმუნდა – თავის მართლებას აზრი აღარ აქვსო და... შინსახკომში წამებას სიკვდილი არჩია – სხდომიდან გამოსულმა მწერალთა სახახლის მეორე სართულზე თოფით თავი მოიკლა...

პაოლომ დატოვა თავის მოკვლის წინა ღამეს დაწერილი ბარათი!

შინსახკომის მიმოხილვითი ცნობის მიხედვით „საქმეში არის ასლი პ. იამშვილის სიკვდილისწინა წერილისა ბერიას სახელზე,

რომელიც დამოწმებულია გოგლიძის მიერ".

(იხ. აგრეთვე, ირაკლი აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბილისი, 2003, გვ. 117).

„ჩემი სიკვდილის მიზეზია პოეტის სახელის შეუთავსებლობა იმ შეურაცხყოფებთან, რაც მე მომაყენეს ადამიანებმა, რომლებთანაც ვმეგობრობდი და რომლებიც (ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ) მართლა ქართველი ხალხის მტრები აღმოჩნდნენ".

ერთი კვირის შემდეგ, 28 ივლისს პრეზიდიუმის სხდომაზე განსვენებული პოეტი აუგად მოიხსენიეს:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი 1937 წლის 28 ივლისი.

მოისმინეს – ინფორმაცია პავლე იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკაციული აქტის შესახებ.

დაადგინეს – საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა აქტივთან ერთად, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია პავლე იაშვილის მიერ ჩადენილ პროვოკაციული აქტის შესახებ, აღნიშნავს:

პავლე იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლების ნიღაბს ამოფარებული თვალთმაქცურად აწარმოებდა მოღალატურ ჯაშუშურ მუშაობას ქართველ მშრომელი ხალხის და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან ტროცკისტულ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოთ.

და როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამომჟღავნებულ იქნა, მან მოინდომა

გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგენს პროვოკატორულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართველი საბჭოთა მწერლობა მთელის სიმკაცრით ჰკიცხავს და ჰგმობს პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი ზიზღით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დაუნდობლად და გამანადგურებლად შეებრძოლება კლასობრივი მტრის უკანასკნელ ნამსხვრევებს ლიტერატურულ ფრონტზე და კიდევ მეტი ერთსულოვნებით დარაზმავს მთელ თავის შემოქმედებით ძალებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და სოციალისტური აღმშენებლობის გარშემო.

თავმჯდომარე დ. დემეტრაძე

მდივანი ირ. ქავჟარაძე."

აი, ასე ჩააფურთხეს იმ საფლავში, რომელიც მისთვის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გაიმეტეს და რომელზეც ყვავილის დადება, ისევე, როგორც მისი ბინადარის სახელისა და ლექსების ხსენება დიდხანს აკრძალული იყო.[15]

ლ. ბერიას 1937 წლის 15 მაისის მოხსენებაში მკაცრად გაკიცხული მწერლებიდან პაოლო იაშვილის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის საბოლოო დამუშავების ჯერი დადგა. იგი ადრიდანვე ლანძღეს „კვაჭი კვაჭანტირაძისთვის" (ავანტიურისტული რომანიაო), „ჯაყოს ხიჩნებისთვის" (მაგინებელ კომუნისტებს ბრიყვი ქართველებიც დაემატნენ – გაფრთხილების ნაცვლად ერის შეურაცხყოფა დააბრალეს), „დამპატიჟესაოვის" (ყალბი, საბჭოთა წყობილების

მიხეილ ჯავახიშვილი

ცილისმწამებლური მოთხრობა არისო), შემდეგ სხვა ნაწარმოებებისთვისაც...

ასე ძალადობდნენ მთელ ჭეშმარიტ ქართულ მწერლობაზე და ეს კარგად ჩანს „უბის წიგნაკში" მიხეილ ჯავახიშვილის 1924 წლის ორი ჩანაწერიდან:

„დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია" (1924 წ.).

„ლიბრეტოსაც კი მოსკოვი ამტკიცებს. ცენტრიზმი კარგია ერთი მთლიანი ერით დასახლებულ ქვეყანაში, რუსეთში კი ამას სხვანაირი ხასიათი აქვს" (1924 წ.).

ეს რომ ასე იყო, ამის დასადასტურებლად მოიყავს რამდენიმე საბუთი, ესაა, რომ აქ მოსკოვის ნაცვლად საბჭოთა თბილისი იძლევა ნებართვას რა დაიწეროს, რა დადგას:

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ 1937 წლის 7 აგვისტოს (ოქმი №19) განიხილა საკითხი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 1937-1938 წლების რეპერტუარის შესახებ (მომხსენ. – ჩარკვიანი, აზრი გამოთქვა ბერიამ) და დაადგინა შემდეგი რეპერტუარი: ხ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „ლატავრა", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", ბ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", ჯ. ვერდის „აიდა" და „ტრუბადურები", ჟ. ბიზეს „კარმენი", პუჩინის „ტოსკა", შ. გუნოს „ესმერალდა".

„წინადადება მიეცეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს – მომავალ სეზონში უზრუნველყოს, რომ დაიწეროს და დაიდგას ოპერა თემაზე „კეცხოველი", მუსიკალური კომედია თემაზე „ცხოვრება გაუმჯობესდა, ცხოვრება უფრო საამური გახდა" და ერთი ნაციონალური ბალეტი".

1937 წლის 20 აგვისტოს სხდომის ოქმიდან №23:

„კინოსურათის „დიდი დაფიონის“ შესახებ (აზრი გამოთქვეს ბედიამ, ბერიამ).

დაადგინეს: ნება მიეცეს საქართველოს სახკინმრეწვს გადასცეს წარმოებაში კინოფილმი „დიდი დაფიონი“ რეჟისორ მ. ჭიაურელისა და გ. ცაგარელის სცენარით“.

ახლა კი დავუბრუნდეთ მიხეილ ჯავახიშვილის გმობა-გაკიცხვას. იგი იმდენად ავიწროვეს, რომ მწერალ შალვა სოსლანისათვის მოსკოვს მიწერილ ბარათში ათქმევინეს:

„აგერ ორი წელიწადია ჩემი წიგნი აღარ გამოსულა. წელიწადზე მეტია თითქმის აღარაფერი დამიწერია და ამდენივე ხანია სამსახურში აღარ ვარ. როგორ ვცხოვრობ - მე თვითონ არ ვიცი, ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გავხევდი“.

უბის წიგნაკში კი ჩაწერს:

„მე მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ – ვაება და კაეშანია. მეუბნებიან გმირული რამ დაწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე – თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი – სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი“;

1927 წელი – „დღეეანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერ სწერს, როცა სატირალი აქვს, იცინის და საცა ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს!“

1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში ბობოლა კომუნისტის სერგეი კიროვის მკვლელობა ოსებ სტალინმა ოპოზიციის საბოლოოდ განადგურებისათვის გამოიყენა. კვლავ აზვირთდა ოდნავ შესუსტებული რეპრესიები, ყურები ცქვიტეს საბჭოთა ხელისუფლების დამცველებმა, გაძლაფრდა თავის გადარჩენის

გრძნობა, რამაც ზოგიერთებს ცოდვები ჩაადენინა. აქ წარმოგიდგენთ ერთ-ერთი მათგანის ნამოქმედარს, რაც პირველად ქართული ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან №25510/17 საარქივო საქმის გამოცდილმა მუშაკმა ნანა ქიქოძემ გამოამზეურა („იქნებ თავის შეკავება ჯობდა?").

„საქართველოს მწერალთა კავშირის პარტჯგუფს

საიდუმლოდ

განცხადება

ამ ბოლო დროს საქართველოს საბჭოთა მწერლებს შორის ადგილი ჰქონდა აშკარა პოლიტიკურ მტრულ შეხედულებათა აგიტაციას, რაზეც ჯერ ყურადღება არავის მიუქცევია და რასაც ჩემი აზრით სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც მახსოვს ამ თვის 15-ში თუ 16-ში საღამოს მიხ. ჯავახიშვილი მიმტკიცებდა, რომ არსებობს ხუთი კატეგორიის სისხლი, მისი შეხედულებით ყველაზე საუკეთესოა პირველი კატეგორია, რომელიც აქვთ ინგლისელებს, გერმანელებსა და მასთან გვქონია ჩვენც ქართველებს, თუმცა ადგილი აქვს აღრევას და გვხვდება პირველთან ერთად მეორე და მესამეცო, მისი აზრით 4 და 5 კატეგორიის სისხლს, რომელიც ინდოელებს და სხვა შავკანიანებს აქვს, არ შეუძლია შექმნას არავითარი კულტურა – ისინი ველურებიაო. ხოლო ყველაზე საუკეთესო არის პირველი კატეგორია, რომელიც ქმნის კულტურას, ხოლო ამას ქვემოთ ნაკლები და ნაკლები ხარისხის სისხლია, რომელიც კულტურას ვერ შექმნისო. მან დაასახელა სხვათა შორის, რამდენიმე და როგორც მახსოვს, მათ შორის მიულერის თეორია ამ საკითხზე, რომელსაც ის თავის საუბარში ეყრდნობოდა. ამ ჩვენს საუბარს მაშინ ყურს უგდებდა ვასო გორგაძეც. როცა მე მიხ. ჯავახიშვილს საწინააღმდეგოს ვუმტკიცებდი, მიხეილს მოჰყავდა მაგალითები ვითომ ისტორიიდან, თითქოს ინდოელებს

ჰქონიათ ობიექტური პირობები კულტურის შესაქმნელად, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ვერაფერი ვერ შექმნესო. მაშინ მეგონა, რომ ეს მიხეილ ჯავახიშვილმა შემთხვევით წამოროშა, რადგან შესაძლოა არც თვითონ იყოს გარკვეული იმაში თუ რას იცავს. მაგრამ ამა თვესვე, როდესაც ის იყო თამადათ ბანკეტზე აზერბაიჯანელ მწერლებთან შეხვედრის დროს, მიხეილმა იგივე აზრები გაიმეორა დაახლოებით. თუმცა მას აქ ხმაურის გამო არ დააცალეს კარგად გამოეთქვა თავისი აზრი. მან, როგორც მე შორიდან გავიგონე დაახლოებით შემდეგი აზრი გამოთქვა: რომ სისხლს დიდი მნიშვნელობა აქვს და ახალი თეორია ამტკიცებს, რომ კავკასიის ხალხებს დაახლოებით ერთგვარი სისხლი აქვთო (ცხადია, ამით უნდოდა მას პატივი ეცა აზერბაიჯანელი მწერლებისათვის). ერთი სიტყვა არც მაშინ და არც შემდეგ ამაზე აქ არაფერი თქმულა – ხოლო ერთმა აზერბაიჯანელმა მწერალმა რაღაც საწინააღმდეგო წამოუძახა, რომელიც მე არ გამიგონია სიშორის გამო. იქ იყვნენ მაშინ ამხ. დ. დემეტრაძე და სხვა ამხანაგებიც ხელმძღვანელობიდან. მიხეილ ჯავახიშვილი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო (პირადი საუბრის დროს ჩვენთან), რომ თურმე მას პირადათ გაუსინჯავს სისხლი და აღმოსჩენია პირველი კატეგორიის სისხლი, ე. ი. ვარდისფერ-„საუკეთესო“. მაშ და ამიერიდან აღარაფერი სთქვას ჩემზე პაოლო იაშვილმა სისხლის შესახებ, რადგან მე ნამდვილი წმინდა, პირველი კატეგორიის სისხლი აღმომაჩნდაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც მიხ. ჯავახიშვილს ამ საგანზე საუბარი რომ ჩამოუგდოთ, იმავე აზრებს განავითარებს. ეს კი მე მიმაჩნია კლასიურად მტრული შეხედულებების აგიტაციად სავსებით

ლეგალურ ფორმაში, რაზედაც საჭიროა ყურადღების მიქცევა და შესაფერისი დასკვნების გამოტანა, რომ ბოლო მოეღოს რასიული თეორიის აგიტაციას, რაც სრულიად დაუბრკოლებლად ალბათ კიდევ გაგრძელდება იმავე მიხ. ჯავახიშვილის ან კიდევ სხვების მიერაც, რომელთაც მან, ე. ი. ჯავახიშვილმა აგიტაცია გაუწია და „მოამზადა" – ან დამოუკიდებლადაც კი.

ი. ლისაშვილი

25.6.35 წ."

როგორც ხედავთ, იაკინთე ლისაშვილმა (ხომერიკმა) „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს" კი არ მიმართა, არამედ მის უფრო ფხიზელ დამსჯელ ნაწილს – პარტიულ ჯგუფს.

მართალია, ეს განცხადება თვით პარტიის თავლმა და ყურმა, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა დავით დემეტრაძემ სასაცილოდ აიგდო – სანდრო ეული მომგვარეთ, ეს სანიანგო მასალა უნდა გადავცეო. მაგრამ გერმანიაში უკვე ფაშისტები ბატონობდნენ და მათი რასობრივი თეორიის მიმდევრად გამოცხადება მაშინ ხომ საშიში იყო, 1937 წლისთვის უფრო დამღუპველი აღმოჩნდებოდა.

განაწყენებულმა ი. ლისაშვილმა კი ახლა თავად კომპარტიის ცეკას მიმართა და, რა ქვეშევრდომული გულმოდგინება გამოიჩინა, თავად ნახეთ:

„საქართველოს კპ (ბ) ცეკას

ივნისში 27-ში მე გადავეცი განცხადება მწერალთა კავშირის ფრაქციის სახელზე ამხ. დ. დემეტრაძეს მწერალი მიხ. ჯავახიშვილის შესახებ. ვატყობდი, რომ ამხ. დემეტრაძეს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა ეს საქმე. მითხრა – ეს მასალა სანდრო ეულისათვის მინდოდა მიმეცა „ნიანგში" მოსათავსებლადო, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ (როგორც მახსოვს, 2-ში თუ 3 ივლისს) ამ განცხადების ასლი გადავეცი ცეკაში ამხ. ვ. გოგეშვილს. ამხ. გოგეშვილმა მაშინვე სერიოზული ყურადღება მიაქცია ამ დოკუმენტს და განმიცხადა, რომ

საქმე გამოკვლეული იქნებაო. დღეს კი, ე. ი. 5 ივლისს ამხ. დ. დემეტრაძეს ამ საკითხში განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო (შესაძლოა, იმიტომ, რომ ამის შესახებ ცეკაში ამხ. გოგეშვილმა ან სხვა ამხანაგმა უთხრა მას), მან ამავე დღეს ჩემთან ერთად დაჰკითხა ამხ. ვასო გორგაძეს, რომელმაც სავსებით დაადასტურა ჩემი განცხადება მიხ. ჯავახიშვილთან საუბრის შესახებ ამავე განცხადებაზე ხელის მოწერით. ამავე საღამოს ამხ. დ. დემეტრაძეს გამოუძახია თვით მიხ ჯავახიშვილი და მისთვის წაუკითხავს განცხადება, სადაც დაუსწრია უპარტიო ბ. ჟღენტი, აქვე ბოლოს მოსულა ამხ. ს. ეული, რომელმაც გადმომცა მე ეს ამბავი. მე მიმაჩნია ყოვლად დაუშვებლად ის ფაქტი, რომ ფრაქციისადმი საიდუმლოდ მიცემული განცხადება დ. დემეტრაძეს გამოუტანია განსახილველად უპარტიო ამხ. ბესო ჟღენტთან.

მით უფრო, რომ მას არაერთხელ მივეცი სათანადო გაფრთხილება და ვთხოვე ეგ საკითხი უპარტიო მწერლებში ფრაქციაზე განხილვამდე არ გამოეტანა.

ამ ფაქტს, რასაკვირველია, საქ. კპ (ბ) ცეკა მისცემს სათანადო შეფასებას. კიდევ მეტად აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ იქვე ამხ. ბ. ჟღენტს განუცხადებია, რომ შესაძლოა ი. ლისაშვილმა იმიტომ დაწერა მიხ. ჯავახიშვილზე ასეთი განცხადება, რომ ეს უკანასკნელი მონაწილეობას იღებს კომისიის მუშაობაში, რომელმაც „ფედერაცია“ გამოიკვლიაო. მე წინასწარ კარგად ვიცოდი, რომ მსგავს პროვოკაციებს ზოგიერთ „ხელმძღვანელის“ მხრივ მწერალთა კავშირიდან უეჭველად ექნებოდა ადგილი ჩემს მიმართ, მაგრამ მე კომუნისტი ვარ და ამის გამო არ შემეძლო უკან დამეხია და მომხდარი

ფაქტი მიმეჩქმალა. მიუხედავად იმისა, რომ (ისე, როგორც კომისიის სხვა წევრების) წინასწარ ვიცოდი მიხ. ჯავახიშვილის დადებითი დასკვნები „ფედერაცია“-ს მუშაობის გამოკვლევის შედეგად მიღებული (გამომც. „ფედერაციას“ მთავარმა ბუღალტერმა ვ. ცქიტიშვილმა ჩემს მიერ ფრაქციის სახელზე განცხადების შეტანამდე გამაცნო მწერალ მიხ. ჯავახიშვილის აზრი გამოკვლევის შედეგად მიღებული, რომელსაც უთქვამს, რომ თქვენ სავსებით ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა გქონიათო“. ამის შესახებ მე ვსთქვი ამხ. დ. დემეტრაძესთან, რომელმაც დამიდასტურა და სთქვა, რომ მიხ. ჯავახიშვილმა მეც ასე მითხრაო. ამიტომ მე მგონია, რომ ბ. ჟღენტის მხრივ მსგავსი განცხადება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას თუ რამდენად სერიოზულად ეპყრობიან მწერალთა კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელები ფაქტებს და ადამიანებს, განსაკუთრებით რამდენად სჯერათ და აფასებენ იმდენი პარტიული ამხანაგების სიტყვას, რომელიც ფაქტებით არის სავსებით დადასტურებული და ცდილობენ და ყველაფერ ამას კერძო, კინკლაობის ხასიათი მისცენ. მე რომ ანგარიში გამეწია და მშინებოდა იმის, რომ მიხ. ჯავახიშვილი „ფედერაციას“ გამომკვლევი კომისიის წევრია, მაშინ არ უნდა შემეტანა მასზე მთავარი განცხადება (რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ფრაქციისადმი საიდუმლოდ მიცემული განცხადების ავტორს აუცილებლად გაიგებდა მიხ. ჯავახიშვილი და სხვა უპარტიოები მსგასად ბ. ჟღენტისა და ეს გარემოება სურვილს აღუძრავდა მიხ. ჯავახიშვილს გამომცემლობა „ფედერაციას“ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი დეფექტები და შეცდომები აღმოეჩინა) მიუხედავად ამისა, მე მომხდარი ფაქტის დაფარვა მაინც არ შემეძლო, ვინაიდან ეს პარტიის საქმისადმი

ღალატი იქნებოდა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ გაუძნელდება გამიგოს მე და გაიგოს ის ფაქტები, რომლის შესახებაც მე ამ განცხადებაში ვწერ, რომ აქედან სათანადო დასკვნები იქნეს გამოტანილი.

იაკინთე ლისაშვილი

8/VII.35 წ.

P.S. აქვე ვადგენ ასლს ფრაქციისადმი მიცემულ განცხადებისა.

ი. ლისაშვილი

8/VII.35 წ."

ასე ეხმარებოდა ზოგიერთი ჩვენი მწერალი მშობლიურ კომპარტიას საბჭოეთის დაცვაში, ასეთმა ქვეშევრდომულმა ერთგულებამ ხელი შეუწყო 1937-ის ავადმოსაგონარ წლად ქცევას.

1937 წლის 8 ივნისს პრეზიდიუმის სხდომაზე მიხეილ ჯავახიშვილს ყველაფერი უბედურება დააბრალეს. არ გაჭრა თავის მართლებამ...

ბესო ჟღენტი ბეჭდავს წერილს „მოღალატური სიტყვა და საქმე", შემდეგ მთელი ცხოვრება მოეწამლა ამაზე ფიქრით, თავს იმართლებდა – მაიძულესო. ეს არ არის სიმართლეს მოკლებული, თავადაც დასაჭერად ჰქონდა საქმე...

ახლა ადვილია თქმა – ასე რატომ იქცეოდნენ, ხმას რატომ არ იღებდნენო...

გულში ბევრი არ ეთანხმებოდა კომუნისტური ხელისუფლებისა და მისი შინსახკომის უსამართლობასა და სისასტიკეს, მაგრამ ხმის ამაღლება სიკვდილს მოასწავებდა...

ამ მტკივნეულ საკითხს ეხება თავის მოგონებებში პოეტი ირაკლი აბაშიძე:

> „დღეს, ბუნებრივია, ახალ თაობებს დაებადება კითხვა: სად იყვნენ სხვები? სად იყავით თქვენ (მაშინ სრულიად არაფრის შემძლე ახალგაზრდები)? ვუპასუხებ: ყველას, ვისაც თავისი სახელმწიფოებრივი თუ პარტიული გავლენით ამ „ეჭვმიტანილების"

> რაიმე დახმარება შეეძლო, ან რაიმე ავტორიტეტი გააჩნდა, თვითონვე ჰქონდა საკუთარი გაჭირვება – არავინ იცოდა, ხვალ ვის რა მოელოდა, ვის რა დაბრალდებოდა. მათი დახმარება, შესაძლოა, კიდევ უფრო გაართულებდა „ეჭვმიტანილთა“ საქმეს, ან მათ თვითონ გაურთულებდა მდგომარეობას“.

დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ, 17 აგვისტოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე კიდევ ერთხელ გაითახსირეს თავი. ეს მოსალოდნელი იყო. მაგრამ... გარიცხვას ისეთი საშინელი მოთხოვნა დაუმატეს, მანამდე რომ არ გაუკეთებიათ – „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნეს მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული“, – აი, ეს მოთხოვნა სამუდამო შავ ლაქად დააჩნდა მწერალთა კავშირს და იმ ხელისუფლებას, რომელმაც ეს შემოქმედებითი კავშირი აიძულა ასეთი დადგენილება მიეღო.

მ. ჯავახიშვილის ტრაგედიას გულისშემძრავად გვისურათებს ლ. ბერიას ჯგუფის პროცესზე მთავარი სამხედრო პროკურატურის პოდპოლკოვნიკ ლობიშევის მიერ დაკითხული მიხეილ გიორგის ძე ნაცვლიშვილის ჩვენება:

> „1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართველი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მას ბრალად ედებოდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მუშაობა. პირველ დღეს ჯავახიშვილის დაკითხვა ჩაატარა ბერიამ ქობულოვისა და საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილეობით. ამ დაკითხვაზე ჯავახიშვილმა მისცა საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე. მეორე დღეს აბაშიძემ ჯავახიშვილის საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები გადმომცა მე, ჯავახიშვილის ხელით დაწერილი ოქმის გასაფორმებლად. მე გავეცანი ჯავახიშვილის ხელით დაწერილ ჩვენებებს და გამიჩნდა ეჭვი ამ ჩვენებების უტყუარობაში, ვინაიდან მის ჩვენებებში

მოცემული იყო ისეთი ფაქტები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ სინამდვილეს.

მაშინ მივმართე აბაშიძეს, რომელიც მონაწილეობდა ჯავახიშვილის დაკითხვაში და ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი? აბაშიძემ მიპასუხა რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით (რომელთაგან ახლა მახსენდება ერთი, საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი აივაზოვი): „ჩემთვის რომ ისე ეცემათ, მეც ვაღიარებდი, რომ ვარ სიამის ჯაშუში“ და დაუმატა: „დაწერეთ როგორც არის“.

ამის შემდეგ გამოვიძახე პატიმარი ჯავახიშვილი, რომელიც ორმა ვახტიორმა მოიყვანა, ვინაიდან მას დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო, მარჯვენა ლოყაზე ყურის არე დალილავებული და გასიებული ჰქონდა.ჯავახიშვილის ცემის შესახებ აბაშიძემ მიამბო: ბერიას ბრძანებით, ყურის არეში მუშტით ისეთი დარტყმა მივაყენე, რომ ჯავახიშვილი სკამთან ერთად იატაკზე გაგორდა და გონება დაკარგა. ხოლო ბერია იცინოდაო, შემდეგ ჯავახიშვილს წყალი ასხეს და გრძნობაზე მოიყვანეს, ხოლო ქობულოვს აბაშიძე გაუფრთხილებია, მეტი ჯავახიშვილს სახეში არ სცემოო.

განმეორებითი ცემის შემდეგ, როგორც აბაშიძემ მითხრა, ჯავახიშვილი დათანხმდა საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენების მიცემას.

ჩემს მიერ ჯავახიშვილის დაკითხვისას მან მთლიანად დაადასტურა ბერიას და ქობულოვის მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებანი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩვენებები აშკარა გამონაგონი იყო, ჯავახიშვილმა ეს ჩვენებები არ უარყო ჩემს მიერ ჩატარებულ დაკითხვაზე და ერთი სიტყვაც არ გადაუკრავს, რომ ქობულოვისა და ბერიას მიერ დაკითხვისას სცემეს.

ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა საქმიანობის არავითარი კონკრეტული მასალები არ იყო. როგორც მახსოვს, ძიება აბაშიძემ დაასრულა. ჯავახიშვილის ბრალდებების საფუძვლად აღებული იყო მისი საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები. ვინ განიხილა ჯავახიშვილის საქმე, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სესიამ თუ სამეულმა, – ახლა არ მახსოვს.

ჯავახიშვილის დახვრეტის შემდეგ მალე დააპატიმრეს და დახვრიტეს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძე, რომელიც ბერიასთან და ქობულოვთან ერთად მონაწილეობდა ჯავახიშვილის დაკითხვაში. რაში სდებდნენ ბრალს აბაშიძეს – არ ვიცი. მის საქმეს იძიებდა სავიცკი. ჩემი აზრი აბაშიძის დაპატიმრების თაობაზე ასეთია: ის, ცხადია, დააპატიმრეს იმისათვის, რომ მრავალი თანამშრომლის თანდასწრებით ლაპარაკობდა ჯავახიშვილის ცემის შესახებ ქობულოვისა და ბერიას მიერ მისი დაკითხვისას. სავსებით შესაძლებელია, რომელიმე თანამშრომელმა ამის შესახებ შეატყობინა ქობულოვს ან ბერიას და ეს შეიქნა ძირითადი მიზეზი მისი დაპატიმრებისა...“

მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს 1937.30.IX.[16]

1937 წლის მძიმე ატმოსფეროს გასაგებად მომყავს რამდენიმე აბზაცი მწერალ კონსტანტინე ჭიჭინაძის ჩვენებიდან, რომელიც მან 1956 წელს მისცა მწერალ ნიკოლო მიწიშვილის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით:

„1938 წლის თებერვალში, ტაშკენტიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც უზბეკეთის სამწერლო ორგანიზაციისა და მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის მიწვევით ვიყავი მიელინებული რუსთაველის იუბილესთან

დაკავშირებულ მუშაობასა და ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, – მე, ჩემივე თხოვნით მიმიღო ბერიამ.

მისი პირველი ფრაზა იყო: „მე დიდი ხანია მინდოდა თქვენი გაცნობა“.

მოვუყევი რა მას ჩემი მოგზაურობის შედეგებზე, მივმართე კითხვით: რატომ მოხდა, რომ რუსთაველის საიუბილეო გამოცემას, რომელიც ძირითადად ჩემი ცნობილი გამოცემის გამეორებაა, ხელს ვაწერ არა მე, არამედ ამ ტექსტის მტრები?“

ბერიამ მიპასუხა: „იმ მიზეზით, რომ თქვენ ბრალი გედებოდათ ჯავახიშვილთან და ტოროშელიძესთან კავშირში“ და შემდეგ დაუმატა: „ორგანიზაციულ კავშირში“. მე დავიფიცე, რომ მათთან არავითარი ორგანიზაციული კავშირი არ მქონდა. ამაზე მან თქვა: „აქ ბევრი იფიცებოდა, მაგრამ სხვა ადგილას აღიარებდნენ“. მე ვუპასუხე: „ცუდია, თუ ადამიანს უხდება აღიაროს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია“. ბერიამ მითხრა: „ყველაფერმა ამან ჩაიარა და ახლა შეგიძლიათ აღარ იშფოთოთ“.[17]

უგზოუკვლოდ გაქრალი პოლიტპატიმრების რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. შესაბამისად დიდდებოდა შეშფოთებულ-გამწარებულ მეუღლეთა და სხვა ახლობელთა რაოდენობაც. ისინი ყოველდღე შინსახკომის, პროკურატურის, საპატიმროების კარებთან იდგნენ, თავიანთი პატიმრების ბედის გაგებას ცდილობდნენ, უამრავ განცხადებას წერდნენ, პასუხს ითხოვდნენ.

ამით შეწუხებულ-შეშფოთებულმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ ახალი ვერაგული გადაწყვეტილება მიიღო და ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა - პოლიტპატიმართა მეუღლეები მოიშორა, გადაასახლა და საბჭოთა იმპერიას დამატებითი მუქთი მუშახელიც უშოვა:

1937 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საბჭოთა კავშირის შინაგან

საქმეთა კომისრის ოპერატიული ბრძანება №00486, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი 1936 წლის 1 აგვისტოდან I და II კატეგორიებით მისჯილ „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების რეპრესირების მომზადების, დაპატიმრებისა და ჩხრეკის, საქმეების გაფორმების, განხილვისა და სასჯელის ზომების, განაჩენის სისრულეში მოყვანის წესი: შინსახკომის განსაკუთრებული საოთბიროების მიერ სამშობლოს მოღალატეთა მსჯავრდებული ცოლები სასჯელის მოსახდელად უნდა გაეგზავნათ ტემნიკოვის შრომა-გასწორების ბანაკებში, ჩვილბავშვებიანი და ხანდაზმული ქალები განაჩენის გამოტანისთანავე უნდა დეპატიმრებინაი და უშუალოდ ბანაკში გადაეყვანათ, მსჯავრდებულ ქალთა სოციალურად საშიში ბავშვები 15 წლის ზემოთ იგზავნებოდა შინსახკომთან არსებულ შრომა-გასწორების ბანაკებში, მცირეწლოვანები კი - ბავშვთა ბაგებსა და სახლებში...

ასე დატრიალდა ახალი საშინელება...

2003 წელს ქ. ასტანისა და აკმოლინსკის ოლქის უსამართლო რეპრესიების მსხვერპლთა ასოციაციამ და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალმა“ გამოსცა 267 გვერდიანი წიგნი „Узницы Алжира“ (ესაბრევიატურა ასეიშიფრება Акмолинский Лагер Жен Изменников Родины – ხალხის მოღალატეთა ცოლების აკმოლინსკის ბანაკი), რომელშიც მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით აღნუსხულია უამრავი მ. შ. ქართველი ქალი, რომლებმაც ამ ერთ-ერთ უდიდეს ბანაკში გაატარეს წამების წლები.

კერძოდ, ქეთევან ორახელაშვილი (გვ.382) - ცნობილი კომუნისტების, დახვრეტილი ცოლ-ქმარის მამია და მარიამ ორახელაშვილების ასული, გამოჩენილი რეჟისორის ასევე დახვრეტილი ევგენი მიქელაძის მეუღლე. მისჯილი ჰქონდა 5 წელი;

ელენე ბაგრატის ასული ვირსალაძე (გვარი დამახინჯებულადაა ჩაწერილი შინსახკომის უვიცი მუშაკისგან) (გვ.122) - შემდეგში ცნობილი ფოლკლორისტი, პროფესორი. მისჯილი ჰქონდა 5 წელი;

ალექსანდრა ივანეს ასული ღუმბაძე-ბახტაძე (გვ.182) - გამოჩენილი მწერლის ნოდარ ღუმბაძის დედა. მოიხადა 8 წელი;

ელენე ავგუსტის ასული თათარიშვილი (გვ.475) - დახვრეტილი დიდი კომუნისტის, საბჭოთა მუშაკის აკაკი


საგვრეთა
ხელისუფლებაა
ეს ქალები
ეგრის
სოციალისტიკის
დახვრიტა!!!

თათარიშვილის მეუღლე. მოიხადა 8 წელი. მეორეჯერ 50-იან წლებში დასმენის შედეგად ხელახლა დააპატიმრეს. მალე დაბრუნდა, მაგრამ – დაბრმავებული.

ნ. მიწიშვილის, პ. იაშვილის, მ. ჯაკახიშვილის და სხვათა მონელების შემდეგ ტიციან ტაბიძის ჯვარცმის დღეც დადგა. პროლეტმწერლები მუდამ კრიჭაში ედგნენ ტიციანს. 1937 წლის 29 მაისს პრეზიდიუმის სხდომაზე ერთ დროს ცისფერყანწელთა მეგობარმა ალი არსენიშვილმა ღორი უწოდა ტიციანს.

პრეზიდიუმის ამ სხდომაზე სასტიკი დაკითხვა მოუწყვეს. იმავე არსენიშვილმა კვლავ ამოატივტივა ტიციანის ლექსი გრიგოლ რობაქიძეზე. ტიციანი იძულებული შეიქმნა ვრცელი რეპლიკით ეპასუხა:

> „ამის შესახებ ვთქვი, რომ შემცდარი ვარ, ამაზე ილაპარაკა დემეტრაძემ, ბუაჩიძემ, უფრო დიდ დაწესებულებაშიც იყო საქმე, გაირკვა, რომ ეს შეგნებით არ მიქნია, მე ის მოვინანიე, აქაც ვთქვი, რა გინდათ ვირტყა თავში?“

30 სექტემბერს ტიციანზე იბეჭდება გიორგი ნატროშვილის წერილი „პოლიტიკური გახრწნის ჭაობში.“

8 ოქტომბერს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ასეთი ფორმულირებით: *„ტ. ტაბიძე რიგი წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა უკვე გამომჟღავნებულ ხალხის მტრებთან... არ ისურვა ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა“.*

წარმოგიდგენთ საბუთს, რომელიც ტ. ტაბიძის (და არა მარტო მის) ბედზე, უფრო სწორად – უბედობაზე მოგვითხრობს. ეს არის მიმოხილვითი ცნობა, რომელიც აღმოჩნდა ნ. მიწიშვილის საგამოძიებო საქმეში:

> „საარქივო საქმიდან – ტიციან იუსტინეს ძე ტაბიძის №968-51 წ. საქმე – ფორმულარიდან ჩანს, რომ 1937 წლის 6 ოქტომბერს შემოვიდა აგენტურული შეტყობინება, რომელშიც წერია: „...ტ. ტაბიძის ცოლი შესჩიოდა შემტყობინებელს, რომ ისინი გაწამდნენ გაურკვევ-

ლობის მდგომარეობაში და რისხვის მოლოდინში. მან თქვა, რომ ასევე იყო პაოლო იაშვილი, ექვსი თვის განმავლობაში დადიოდა განცხადებით ხან ბერიასთან, ხან სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, სადაც მას ყველა აწამებდა და ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ თავი მოიკლა. ასევე შეიძლება დაემართოს ტიციანს, მთელი ღამეები არ გვძინავს, ყურს ვუგდებთ ყოველ გაფაჩუნებას, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მეტი აღარ შეიძლება, ჯობს დააპატიმრონ".

საშინელების ამ მოლოდინმა ბევრი გატანჯა კომუნისტური რეჟიმის ბატონობისას, განსაკურებით გასული საუკუნის 30-იან წლებში. და საერთოდ, ეს დამრთგუნველი ფიქრი და შიში ყოველთვის ძნელი ასატანი იყო ადამიანისთვის. სწორედ ამაზე მიუთითებდა პოეტი ფრიდრიხ შილერი:

„მოსული მწუხარება უფრო ასატანია,
ვიდრე მოსალოდნელი;
საშინელი დასასრული სჯობს
დაუსრულებელ შიშსა".

ზემოხსენებულ შეტყობინებაზე დადებულია *რეზოლუცია: „ამხ. კრიმინს. დღესვე დააპატიმრეთ ტ. ტაბიძე.* 9/10. 37 წ. (ᲗᲡ. 63)".

მართლაც ტიციანი იმავე დღეს წაიყვანეს თავისი ბინიდან (გრიბოედოვის ქ.18). ეტყობა, შეეშინდათ, არ დაგვასწროს და თავი არ მოიკლასო.

აი, რა საზარელი დრო იყო – შესჩივი ვინმეს, გულშემატკივარი გგონია (აბა, ქუჩაში პირველ გამვლელს ხომ არ შეაცოდებ თავს?) და ეს შენი ნაცნობი თუ გულშემატკივარი, იქნებ ახლო ნათესავიც ჩეკაში გარბის...

ეს საყოველთაო უნდობლობის დრო (რომელიც შემდეგაც კარგა ხანს გაგრძელდა), მოგვიანებით ასე გამოხატა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა:

ორი მსჯელობს ამხანაგი,
ერთი ამბობს – ეს რა მესმის!..
მყის შეწყვიტეს ლაპარაკი,
შეეშინდათ მესამესი.

1954 წლის 10 ივნისს მთავარმა სამხედრო პროკურორმა; იუსტიციის პოლკოვნიკმა სტრუკოვმა, როგორც მოწმე, დაჰკითხა ვახტანგ გიორგის ძე არზანოვი, რომელმაც თქვა:

„კრიმიანს ყავდა პატიმარი – პოეტი ტიციან ტაბიძე, რომელსაც სასტიკად სცემდა, თხოვდა აღიარე, რომ რომელიღაც მტრული ორგანიზაციის ჯაშუში ხარო..."

სამეულმა 1937 წლის 15 დეკემბერს დახვრეტა მიუსაჯა ტიციან ტაბიძეს.[18]

ძველი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, პროლეტარული მწერალი, "საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის" გამომცემლობა „ფედერაციის" დირექტორი (1933-1937), რომანების „დაფანტული ფურცლების", „ეკლიან გზაზე", „ქვა და რკინის" ავტორი პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე ტ. ტაბიძესთან ერთად 8 ოქტომბერს გარიცხეს მწერალთა კავშირიდან *„როგორც პოლიტიკურად და მორალურად გაბრწყინილი პიროვნება"*.

წამების შედეგად ბევრი რამ აოქმევინეს...

და ეს დამართეს იმ კაცს, რომელმაც გულუბრყვილოდ ირწმუნა მარქსისა და ლენინის მოძღვრების ადამიანურობა, მთელი თავისი ცხოვრება რევოლუციურ ბრძოლებსა და კატორღებში გაატარა, შემდეგ გამარჯვებულ რევოლუციას ემსახურა...

პ.მ. საყვარელიძის მეუღლის ნ. საყვარელიძის განცხადებიდან:

„ქმრის დაპატიმრებას ზედ დაერთო ოჯახის შემდეგი უბედურებაც: მძიმე ოპერაციის შედეგად თბილისში გარდაიცვალა ჩემი ვაჟიშვილი მიხეილი. დავრჩი უფროსი ქალიშვილის – ჩემი მოხუცებულობის ერთადერთი იმედის ამარად და ვინაიდან ქმრის დაპატიმრების შემდეგ ბინაც და მთელი ოჯახის მოწყობილობაც ჩამოგვართვეს, იძულებული

> გავხდი ჩემს ქალიშვილთან ერთად გადავხვეწილიყავი შორეულ ციმბირში, ჩემს ნათესავებთან. აქ კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდი და იძულებული ვიყავი ხელზე მოსამსახურედ მემუშავა. ბედმა ამდენი ტანჯვა-წამება აღარ მაკმარა და რამდენიმე წლის შემდეგ ერთადერთი ქალიშვილიც გარდამეცვალა".[19]

შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით პავლე საყვარელიძე დახვრიტეს 1937 წლის 10 ნოემბერს.

წარმოგიდგენთ საზოგადოება „მემორიალის"თავმჯდომარის, ბ-ნ ილამაზ ნიკოლოზის ძე მიწიშვილის მიერ მოსკოვის ასეთივე საზოგადოებისგან ინტერნეტში განთავსებული, ე.წ. „დასახვრეტთა სიებიდან" ამოკრებილ, 1937-1938 წლებში რეპრესირებული საქართველოს საუკეთესო შვილების აგრეთვე სხვა ცნობილ პირებთან ერთად თვით კომუნისტების ერთგულ და მაინც მათგანვე გამეტებულ ფუნქციონერთა და მათ დახვრეტაზე ხელის მომწერთა სიას:

Том	Список от	№ списка	№ в списке	Катег.	Шифр страницы	Фамилия, имя, отчество	Резолюция - "За"
1	2	3	4	5	6	7	8
II	10.08.37	29	2	I	pg02203	АБАШИДЗЕ Мемед Бек	*Сталин, Молотов, Каганович*
V	22.11.37	3	19	I	pg05014	АМАГЛОБЕЛИ Сергей Иванович	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
VI	03.01.38	19	21	I	pg06156	АМИРАДЖИБИ Дмитрий Васильевич	*Жданов,Молотов,Каганович,Ворошилов*
I	31.06.37	19	12	I	pg01150	АХМЕТЕЛИ Александр Васильевич	*Сталин, Молотов*
XI	12.09.38	9	16	I	pg11075	БАЛАЗОВ Герцель Давидович	*Сталин, Молотов, Жданов*
V	22.11.37	3	39	I	pg05015	БЕДИЯ Ермолай (Эрик) Алексеевич	*Сталин, Молотов, Жданов*
I	31.05.37	19	20	I	pg01150	БИБИНЕИШВИЛИ Барон (Варф.) Епифанович	*Сталин, Молотов*
III	15.09.37	13	48	I	pg03075	БУАЧИДЗЕ Бенито Михайлович	*Сталин, Молотов*
II	10.08.37	29	64	I	pg02205	ГАРРИК-ВАЧНАДЗЕ Вахтанг Георгиевич	*Сталин, Молотов, Каганович*
I	31.05.37	19	27	I	pg01151	ГАСВИАНИ Лидия Ларионовна	*Сталин, Молотов*
V	22.11.37	3	83	I	pg05017	ГЕГЕЧКОРИ Григорий Георгиевич	*Сталин, Молотов, Жданов*
I	27.02..37	3	94	I	pg01019	ГОГОБЕРИДЗЕ Леван	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
II	10.08.37	29	85	I	pg02205	ГОГОБЕРИДЗЕ Жанго (Иван) Сергеевич	*Сталин, Молотов, Каганович*
IV	21.10.37	6	87	I	pg04028	ГУЛИСАШВИЛИ Михаил Захарьевич	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
IV	21.10.37	6	95	I	pg04028	ДЕВДАРИАНИ Сеид Сердионович	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
V	22.11.37	3	123	I	pg05018	ДЕМЕТРАДЗЕ Давид Георгиевич	*Сталин, Молотов, Жданов*
III	15.09.37	13	92	I	pg03077	ДЖАВАХИШВИЛИ Михаил Саввич	*Сталин, Молотов*
I	31.05.37	19	44	I	pg01151	ДЖИКИЯ Владимир Гаврилович	*Сталин, Молотов*
V	22.11.37	3	142	I	pg05019	ДУДУЧАВА Александр Иосифович	*Сталин, Молотов, Жданов*
III	15.09.37	13	137	I	pg03078	КАРЦИВАДЗЕ Михаил Соломонович	*Сталин, Молотов*
I	31.05.37	19	59	I	pg01152	КАРЦИВАДЗЕ Николай Иотамович	*Сталин, Молотов*
IX	10.06.38	24	74	I	pg09155	КИКАЧЕИШВИЛИ Владимир Леванович	*Сталин, Молотов*
VI	03.01.38	19	143	I	pg06161	КОНЦЕЛИДЗЕ Хасан Дурсунович	*Жданов,Молотов,Каганович,Ворошилов*
V	22.11.37	3	210	I	pg05021	КОТЕТИШВИЛИ Вахтанг Ильич	*Сталин, Молотов, Жданов*
I	31.05.37	19	75	I	pg01152	КУПРАШВИЛИ Бачуа (он же Самуил)	*Сталин, Молотов*
I	26.06.37	30	28	I	pg01225	КУРУЛОВ Георгий Давидович	*Сталин, Каганович, Ворошилов, Молотов*
III	15.09.37	13	172	I	pg03079	ЛЕОНИДЗЕ Леон Николаевич	*Сталин, Молотов*

I	31.05.37	19	84	1	pg01153	ЛОРДКИПАНИДЗЕ Элгуджа Гедеванович	*Сталин, Молотов*
VI	03.01.38	19	163		pg06161	ЛУАРСАМИДЗЕ Валериан Иванович	Жданов,Молотов Каганович,Ворош
II	10.08.37	29	230	1	pg02210	МГАЛОБЛИШВИЛИ Герман Андреевич	*Сталин, Молотов, Каганович*
V	22.11.37	3	257	1	pg05023	МИКЕЛАДЗЕ Евгений Семенович	*Сталин, Молотов, Жданов*
I	26.06.37	30	43	1	pg01225	МИЦИШВИЛИ Николай Иосифович	*Сталин, Каганович, Ворошилов, Молотов*
VI	03.01.38	19	196		pg06162	МУШИШВИЛИ Григорий Андреевич	Жданов,Молотов Каганович,Ворош
I	31.05.37	19	106	1	pg01153	ОКУДЖАВА Михаил Степанович	*Сталин, Молотов*
I	31.05.37	19	26	2	pg01157	ОКУДЖАВА Ольга Степановна	*Сталин, Молотов*
I	26.06.37	30	42	1	pg01225	ОНИАШВИЛИ Давид Ефремович	*Сталин, Каганович, Ворошилов, Микоян*
II	10.08.37	29	266	1	pg02211	ОРАХЕЛАШВИЛИ Мамия (Иван)Дмитриевич	*Сталин, Молотов, Каганович*
II	10.08.37	29	267	1	pg02211	ОРАХЕЛАШВИЛИ Мария Платоновна	*Сталин, Молотов, Каганович*
IV	21.10.37	6	217	1	pg04032	ОРДЖОНИКИДЗЕ Павел Константинович	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
II	10.08.37	29	288	1	pg02212	РАМИШВИЛИ Бидзина Ираклиевич	*Сталин, Молотов, Каганович*
VI	03.01.38	20	222	1	pg06176	РАЧВЕЛИШВИЛИ ХристофорЛукич	*Жданов,Молотов,Каганович,Ворошилов*
IV	21.10.37	6	246	1	pg04033	САКВАРЕЛИДЗЕ Павел Михайлович	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
XIII	06.09.40	1	366	1	pg13023	СВАНИДЗЕ Александр Семенович	
	10.08.37 01.11.37	29				СВАНИДЗЕ Мария Семеновна	*Сталин, Молотов, Каганович*
V	22.11.37	3	340	1	pg05026	ТАБИДЗЕ Тициан Иоаннович	*Сталин, Молотов, Жданов*
I	31.05.37	19	123	1	pg01154	ТОРОШЕЛИДЗЕ Малакия Георгиевич	*Сталин, Молотов*
XI	12.09.38	9	235	1	pg11083	ЦЕРЕТЕЛИ Григорий Филимонович	*Сталин, Молотов, Жданов*
II	10.08.37	29	380	1	pg02215	ЦИНЦАДЗЕ Шалва Ражденович	*Сталин, Молотов, Каганович*
V	22.11.37	3	387	1	pg05028	ЦУЛУКИДЗЕ Пермен Луарсабович	*Сталин, Молотов, Жданов*
I	31.05.37	19	33	2	pg01157	ЦУЛУКИДЗЕ Тамара Григорьевна	*Сталин, Молотов*
V	22.11.37	3	403	1	pg05028	ЧЕРНЯВСКИЙ Андрей Гаврилович	*Сталин, Молотов, Жданов*
II	10.08.37	29	403	1	pg02216	ЧИЧИНАДЗЕ Хатуна Семенович (!)	*Сталин, Молотов, Каганович*
I	31.05.37	19	35	2	pg01157	ШАВИШВИЛИ Бужужа Доментьевна	*Сталин, Молотов*
II	10.08.37	29	413	1	pg02216	ШЕВАРДНАДЗЕ Дмитрий Ираклиевич	*Сталин, Молотов, Каганович*
IV	21.10.37	6	324	1	pg04036	ЭЛИАВА Зураб Николаевич	*Сталин, Молотов, Каганович, Ворошилов*
I	26.06.37	30	72	1	pg01227	ЭЛИАВА Георгий Григорьевич	*Сталин, Каганович, Ворошилов, Микоян*
I	26.06.37	30	71	1	pg01227	ЭЛИАВА Амалия Станисл. (ВОЛЬ-ЛЕВИЦКАЯ)	*Сталин, Каганович, Ворошилов, Микоян*

რეზოლუციები საქართველოდან წარდგენილ სიებზე

ტომი	საქმის ნომერი	სიის ნომერი	თარიღი	სასჯელის ზომა (კატეგორია)				ხელმომწერი
					მათ შორის:			
				სულ	I	II	III	
I	409	19	31.05.37	174 (17)	139 (7)	35 (10)	-	სტალინი, მოლოტოვი
		30	26.06.37	73(3)	73 (3)	-	-	სტალინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მოლოტოვი
II	410	4	10.07.37	2	1	1	-	სტალინი, მოლოტოვი
		29	10.08.37	555 (17)	425 (10)	130 (7)	-	სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი,
III	411	13	15.09.37	325 (4)	312 (3)	13 (1)	-	სტალინი, მოლოტოვი
IV	412	6	21.10.37	330 (3)	330 (3)	-	-	სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი
V	413	3	22.11.37	439 (5)	439 (5)	-	-	სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი
VI	414	19	03.01.38	316 (6)	316 (6)	-	-	ჟდანოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი
		20	03.01.38	300 (5)	300 (5)	-	-	ჟდანოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი
		51	14.02.38	408 (9)	408 (9)	-	-	სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი
VII	საქართველო არ არის							
VIII	416	5	19.04.38	253 (4)	253 (4)	-	-	სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ჟდანოვი,
IX	417	24	10.06.38	174 (3)	174 (3)	-	-	სტალინი, მოლოტოვი
X	საქართველო არ არის							
XI	419	9	10.09.38	283 (5)	283 (5)	-	-	სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი
სულ		13		3 632 (81)	3 453 (63)	179 (18)	-	

ასე მოსპეს ოპოზიციურად განწყობილი თუ ასეთად მიჩნეული საუკეთესო ქართველები.

მწერალთა მაგალითზე შეგვიძლია ვნახოთ რა დაუზოგავად კეთდებოდა ეს ბნელი საქმე.

მას შემდეგ, რაც:

დატუსაღების მოლოდინით დატანჯული პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს;

პატიმრობაში დამცირებული, დაუნდობლად გვემულ-წამებული მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, სერგო ამაღლობელი, ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი), ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე, ვლადიმერ ბერაძე („ხოზიკა") ცხოვრებიდანაც და მწერლობიდანაც ამოგლიჯეს;

თვით ბოლშევიკების მეხოტბე კომუნისტი პროლეტარული მწერლები პავლე საყვარელიძე, ბენიტო (მირიან) ბუაჩიძე, ბარონ (ბართლომე) ბიბინეიშვილი, რაჟდენ კალაძე, სევასტი თალაკვაძე, ალექსანდრე დუდუჩავა, ბაჭუა (სამუელ) კუპრაშვილი... დასახვრეტად გაიმეტეს;

მოსასპობად გამზადებული ქრისტეფორე რაჭველიშვილი, გერცელ ბააზოვი, არჩილ ჯაჯანაშვილი და კომუნისტი პროლეტმწერლები გრიგოლ მუშიშვილი (ხოფერია), ვალერიან ლუარსამიძე განგებ გამოტოვეს, – „ლიტერატურულ საქართველოში" 1937 წლის მიწურულს, დეკემბერში ქვეყნდება გადარჩენილ მწერალთა ფოტოსურათი, გადაღებული მწერალთა სასახლის ბაღის კიბეებზე.

გადარჩენილ?.. მაგრამ ამ იმედთან ერთად ბევრ მათგანს შიში მაინც ძილს უფრთხობდა – ვითომ გადაერჩითო?..

ზეშიდან. მარცხნიდან: გრიგოლ ცეცხლაძე. ერემია ქარელიშვილი. ბორის ჩხეიძე. ბესო ყელენჯი. დიმიტრი ბენაშვილი. სიმონ მთვარაძე. გრიგოლ (გუგული) ბუსნიკაშვილი. ლევან შეტრრეველი. ნიკოლაოსიანიძე. ალექსი გაბეს ყორია. კარლო კალაძე. აკაკი გაწერელია. პოლიკარპე ქეთაფელი. ბერიოზი ქისოძე. როდიონ ქორქია. ილია ალლაძე. აკაკი ბელიაშვილი. ვალერიან გაფრინდაშვილი. სოლომონ თავაძე. ვასო გორგაძე. კალუბიბინბიძე. ია კინთელისაშვილი. იოსებ გრიშაშვილი. სერგო კლდიაშვილი. მარიკა ბიქელაძე. ალმა შენგელაია, ლეო ქიაჩელი. ლევან ასათიანი. დავით სულიაშვილი. იოსებ ტატიშვილი. პავლე ინჯარიოვა. კონსტანტინე გამსახურდია. არისტო ჭუმბაძე. ანა ხახუტაშვილი. ეკატერინე გაბაშვილი. მარიამ გარიყელი. სანდრო შანშიაშვილი. სანდრო ეული. გიორგი ლეონიძე. ალექსანდრე გომიაშვილი. შალვა რადიანი. ილო ძოსაშვილი. ალი მაშაშვილი (მარცხენა ალვა). კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ირაკლი აბაშიძე.

მწერალი დია ჩიანელი (დავით მელიტონის ძე ჩხეიძე), საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე (1926-1937 წ.წ.) და საერთოდ იქაური კულტურულ-სამწერლო ცხოვრების თავკაცი და დაუცხრომელი მოღვაწეც 1937 წლის მსხვერპლი შეიქმნა.

აი, როგორ იგონებს იმ დღეებს მწერლის ვაჟი, ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე:

„მოსახდენი მოხდა: ღამის 2 საათზე მოვიდნენ (მაშინ უკვე ბალახვანში, ხახანაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით), გაგვეღვიძა პატარებს, ჩხრეკაა, სახლი გადაქოთებულია, დედა და მამა გაოგნებული დგანან. დგება სამუდამო განშორების წუთები, მამა იღებს საფულეს, საფულიდან 26 მანეთს. ესაა სულ ჩვენი სიმდიდრე... იწყება უმამობა, უბინაობა. ხახანაშვილის დიდი ბინიდან გამოგვყარეს ზამთრის სუსხში, შეგვიფარა რკინიგზელმა, ახლო ნათესავმა ლადო მაჭავარიანმა დროებით. შეგვიფარა მაშინ, როცა ბევრს ჩვენი დანახვის, ჩვენთან დალაპარაკებისაც (ზოგჯერ სურვილიც არ ჰქონდა) ეშინოდა... კეთილი ადამიანები კი

მაინც არსებობდნენ“.

იმ კეთილი ადამიანებიდან კიდევ ერთის წყალობით დია ჩიანელი მეუღლეს ფაცია (სერაფიმა) გოგოძე-ჩხეიძეს აწვდიდა პაპიროსის ქაღალდზე დაწერილ ბარათებს:

„ტანჯვას ოდნავ ის მიმსუბუქებს, რომ აქ, ციხეშია ყველა ის ადამიანი, ვისაც პატიოსანი ქართველი ერქვა“;

„მოველი ცუდს, კარგს – არა. მაგრამ რა ვქნა?..“

მეუღლეც სულ ციხეს აკითხავდა. აი, მისი მოგონება:

„ჩვენ (მე და პატარა რეზო) ყოველდღე ციხის ირგვლივ ვტრიალებდით. დია დავინახეთ კიდეც ფანჯრიდან... აქ გამოგვიჩნდა ერთი ქალი, 1937 წლის ოქტომბერში დიას წერილებს გვაწვდიდა“.[20]

წინ გვიდევს რამდენადმე დია ჩიანელის ბედთან დაკავშირებული, ქუთაისელი მწერლის მამია ვასილის ძე ასათიანის ჩახლართული საქმე, როცა არც ის გენდობა, ვის საქმესაც აკეთებ და მით უმეტეს – არც სხვა, ერთი სიტყვით, ისეთი საქმე, როცა მისი მთავარი მოქმედი პირი თავისსავე წამოწყებულ „თამაშში“ გაიხლართა...

მ. ასათიანი პირველად 1935 წლის 14 მაისს დააპატიმრეს (მაშინ ის გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქტორის მოადგილე იყო). ბრალად დასდეს ტროცკისტულ ორგანიზაციაში შედიოდიო.

მ. ასათიანმა თავი ასე იმართლა: ტროცკისტულ ორგანიზაციაში შეგზავნილი ვიყავი, ტროცკისტების მუშაობის შესახებ ინფორმაციას ვაძლევდი მერკვილაძესო (კომკავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივანი).

მ. ასათიანის ამ აღიარებას ადასტურებს მიხეილ რუხაძე (1936 წლის 15 თებერვლით დათარიღებული მისი ცნობა ჩაკრულია მ. ასათიანის პირველ საქმეში №79, ფ.12):

„1926-27-28 წლებში ვმუშაობდი კომკავშირის სამაზრო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგედ. აღნიშნულ წლებში პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად კომკავშირის ორგანიზაცია აწარმოებდა ბრძოლას ტროცკისტულ

კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან. ქუთაისში არსებობდა როგორც პარტიის რიგებში, ისე კავშირში მათი მძლავრი არალეგალური ორგანიზაციები. აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციები გახსნილი იქნა ამხ. მ. ასათიანის აქტიური მონაწილეობით. მ. ასათიანი ჩვენი და პირადად ს. მერკვილაძის (პ/მგ მდივანი) დავალებით აწარმოებდა ფორმალურად ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, რისთვისაც გამოვრიცხეთ ის ორგანიზაციიდან, მთავარი მიზანი იყო, რომ მას კავშირი დაეჭირა არალეგალურ ორგანიზაციებთან. ჩვენი დავალება ამხ. ასათიანის მიერ შესრულებული იქნა. რომ აღგვედგინა შემდეგ ის ორგანიზაციაში, მას ხელი მოვაწერინეთ დეკლარაციაზე. ეს საქმე იცოდა მხოლოდ მერკვილაძემ და მე. დანარჩენი ბიუროს წევრებისთვის არ გაგვიმხელია, რადგან ერთ-ერთ დაჭერილ არალეგალურ საქმეებში, ოპოზიციონერთა სიაში აღმოჩნდა მათი სახელი და გვარი, რამაც იძულებული გაგვხადა მიგვეტანა ეჭვი ბიუროს ზოგიერთ წევრებზე".

საქმეში არის სოკრატ მერკვილაძის (ამ დროისათვის უკვე ტყიბულის რაიაღმასკომის თავმჯდომარის) ხელით დაწერილი ცნობაც, რომელიც ადასტურებს – მ. ასათიანი ჩვენი დავალებით იყო შეგზავნილიო (ფ.14).

მ. რუხაძისა და ს. მერკვილაძის ამ ცნობების საფუძველზე (მ. ასათიანი სინამდვილეში კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა, ჩვენი დავალებით იყო შესულიო) 1935 წლის 4 ივნისს მ. ასათიანი გაათავისუფლეს და საქმე შეუწყვიტეს.

ხომ არ იყო ყოველივე ეს მ. ასათიანის გადასარჩენად მოფიქრებული?

1936 წლის 1 დეკემბერს ისევ გაუხსენეს ტროცკისტულ ორგანიზაციაში ყოფნა – თანაც სწორი არაა, რომ კომკავშირის დავალებით იყავი შესულიო და დააპატიმრეს.

ეს მოხდა ალექსანდრე ტარასის ძე მაღლაკელიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით (მან დაკითხვაზე თქვა: მ. ასათიანი თავისით მოვიდა ჩვენთან, მითხრა – პარტიას არ ვეთანხმებიო). მაგრამ მ. ასათიანის საქმე (ამჯერად №1524) ცალკე გამოყვეს იმის დასაზუსტებლად, მისცა თუ არა ქალაქის სამაზრო კომიტეტის მდივანმა მერკვილაძემ დავალებაო, რადგან მ. ასათიანმა შინსახკომის ქუთაისის განყოფილებას ახალი განცხადებით მიმართა და ამტკიცებდა (საქმე №1524,

ფ.10-20): "მე ყოველ ღამეს ინფორმაციას ვაწვდიდი მერკვილაძეს ჩატარებული კრებების შინაარსის შესახებ".

მ. ასათიანმა ამჯერადაც მოიშველია მ. რუხაძისა და ს. მერკვილაძის ცნობების ასლები, მაგრამ გამოჩნდა მ. ჭყონიას ინფორმაცია (ფ.40): 1926-1927 წლებში ვიყავი კომკავშირის რაიკომის პრეზიდიუმის წევრი და სამხედრო განყოფილების უფროსი, ასეთი მასალები ჩემთან იყრიდა თავს, მ. ასათიანს კი არაფერი მოუცია და მე არაფერი ვიციო.

ს. მერკვილაძემ კვლავ დაადასტურა: მხოლოდ მე და მ.რუხაძემ ვიცოდითო (1936.XII; ფ.103-108).

გამომძიებელმა დემუროვმა შეისწავლა საქმე და საქართველოს შინსახკომმაც ტროცკისტობის დაუსაბუთებლობის გამო 1937 წლის 28 თებერვალს კვლავ გაათავისუფლა მ. ასათიანი – თავის საქმეს აკურატულად აკეთებდაო.

სამი თვის შემდეგ ჯიქიას სახელზე შედის საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელობის წერილი, რომელიც აქ მთლიანად მომყავს (მ. ასათიანის მე-3 საქმე №20644, ტ.1, ფ. 1-2):

„ამით გაცნობებთ, რომ ტროცკისტი მამია ვასილის ძე ასათიანი, რომლის შესახებაც ჩვენ ქუთაისის შინსახკომის ყოფილი უფროსის, ეხლახან გამომჟღავნებული გაიძვერა ტროცკისტ შ. შოთაძის სახელზე შეტანილი გვქონდა განცხადება და რომელსაც ვაცნობეთ მამია ასათიანის ტროცკისტობის და მთელი რიგი სხვა ბრალდების შესახებ, როგორიც არის: პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა ლანძღვა-გინება, ქუთაისმრეწვიდან, პროფსაბჭოს კულტსექტორიდან, საკონსერვო ქარხნიდან ფულების გამოძალვა და გაფლანგვა, მწერალთა კავშირის წევრთა და ხელმძღვანელთა დისკრედიტიზაცია და ავტორიტეტის დაცემა და სხვა. ყოველივე ამ გარემოებათა გამო ასათიანი დაპატიმრებული იქნა გასული წლის ე. ი. 1936 წლის ოქტომბერის თვეში.

ორი თვის პატიმრობის შემდეგ მ. ასათიანი გამოშვებულ იქნა . განთავისუფლების შემდეგ მან განცხადებით მიმართა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აღდგენის შესახებ, მაგრამ უარით იქნა გასტუმრებული. აგრეთვე განცხადება ჰქონდა შეტანილი მწერალთა კავშირში აღდგენის შესახებ. ჩვენც უარი ვუთხარით. ამის შემლეგ მ. ასათიანმა ისევ განაგრძო მითქმა-მოთქმა, ჩვენი ლანძღვა-გინება.

როგორც თვით ტროცკისტი, კავშირი ჰქონდა ტროცკისტ რაუდენ გაბესავასთან, გ. სეფერთელიძესთან, კ. კენჭოშვილთან.

მ. ასათიანმა მწერალთა კავშირში წარმოადგინა ქუთაშინსახკომის ცნობა მისი რეაბილიტაციის შესახებ. ცნობას ხელს აწერდნენ თვით შ. შოთაძე და მ. დემუროვი, მიუხედავად ამისა, ჩვენ მ. ასათიანი არ აღვადგინეთ, ვინაიდან ეს ცნობა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად*. გამოძიებისა საქმის ვითარებიდან.

ტროცკისტი მ. ასათიანი უსათუოდ იმეოფებოდა მოღალატე შ. შოთაძის და შინსახკომის ზოგიერთი მუშაკის მფარველობის ქვეშ და მისთვის მოხდა მ. ასათიანის განთავისუფლება.

გაცნობებთ რა ამ მდგომარეობას, საჭიროა ტროცკისტ მამია ასათიანის საქმის ხელმეორედ გამორკვევა და სათანადო ზომების მიღება.

ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე
დია ჩიანელი, პარტიის წევრი 1930 წ.
ქუთაისის მწერალთა კავშირის პ/მგ მდივანი
ილ. ხოშტარია, კომკავშირის წევრი 1925წ.
მწერალთა კავშირის წევრი, დ. კვირკველია
16.VI.37 წ.

1937 წლის 10 ივლისს მ. ასათიანი მესამედ დააპატიმრეს. მეორე დღეს დაკითხვაზე წერილობით კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა ადრე თქმული:

„მე 1927 წელში ქუთაისში კომკავშირის საშაზრო კომიტეტის მდივნის მერკვილაძის მიერ ვიყავი შეგზავნილი ტროცკისტულ ორგანიზაციაში იმ მიზნით, რომ მეშოლა ტროცკისტული მუშაობა და მიმეწოდებინა ცნობები მერკვილაძისათვის, რასაც ვაწარმოებდი სისტემატურად" (საქმე №20664, ტ.1, ფ.1).

ამასვე იმეორებს 19 ივლისის დაკითხვაზე და უმატებს: ალექსანდრე მაღლაკელიძის ამ ტროცკისტულ ჯგუფში შედიოდნენ რუბენ შალამბერიძე, გრიგოლ ურიდია, სპარტაკ ხელაია, პავლე წაქაძე, გრიგოლ (კრიშა) ფხაკაძე, შალვა ღაღანიძე, რაულ ცორეკიძე, არტემ კარაპეტიანი, მენაბდე, სერაბიონ უგულავა და სხვანი.

3-4 თვე ვმუშაობდი, მერე კონტრრევოლუციური ტროცკის-

---

* გავიხსენოთ, რომ სწორედ აქ ნახსენები მ. დემუროვი ატარებდა დია ჩიანელის დაკითხვას. ცხადია, ის არ დაუვიწყებდა დიას, ოღონ ხნის წინ უნდობლობა რომ გამოუცხადა შოთაძესთან ერთად მის მიერ ხელმოწერილ ცნობას. რ. კ.

ტობა მეც დავგმეო (ფ.21-22).

ეს ისევ გაიმეორა 24 ნოემბრის დაკითხვაზე (ტ.1, ფ.250).

მ. ასათიანის საქმის გამო მის მიერ დასახელებული ტროცკისტული ჯგუფის წევრებიდან დაჰკითხეს რამდენიმე კაცი:

გრიგოლ იუსტინეს ძე ურიდია (1937.26.IX; ტ.1, ფ.3): ტროცკისტულ მუშაობაში მ. ასათიანმა ჩამაბა, ის აგიტაციას ეწეოდა, ამას ბასილაძე და გვანცელაძე დაამტკიცებენო (მეორე დღეს დაკითხულმა კალისტრატე გიორგის ძე ბასილაძემ მართლაც დაადასტურა – ტ.1, ფ.5-6).

რუბენ ნიკიფორეს ძე შალამბერიძემაც დაადასტურა (1937.7.X; ტ.1, 9-8-10): ტროცკისტულ აგიტაციას ეწეოდაო.

მწერალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ი. ხოშტარიაც დაჰკითხეს (1937.14.X; ტ.1, ფ.7). მან თქვა: მ. ასათიანი ახლოს იყო ხალხის მტრებთან კენჭოშვილთან, ჯიშკარიანთან, აბელ ქირიასთან, ლომინაძეებთან, პაოლო იაშვილთანო.

ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ახალგაზრდა მწერლებს რაზმავდაო. „ასათიანი ატარებდა შინსახკომის თანამშრომლის სახელს და ეჩემებოდა მოქალაქეებს დაპატიმრებით“.

მ. ასათიანს ისევ ის კითხვა დაუსვეს: თუ ტროცკისტულ ჯგუფში შეგზავნილი იყავი, რატომ შინსახკომმა არ იცოდაო.

საბრალდებო დასკვნაში ჩაწერეს (1937.25.X) მ. ასათიანის მტკიცება – ტროცკისტულ ჯგუფში დავალებით ვიყავი შეგზავნილიო და საქმე სამეულს გადაუგზავნეს.

საქართველოს შინსახკომის სამეულმა არ დაეჯერა მ. ასათიანს და 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში ყოფნა მიუსაჯა. სასჯელს „ვიატლაგის“ X საბანაკო პუნქტში იხდიდა (კიროვი, სოროკამსკი).

1939 წლის 22 სექტემბერს მ. ასათიანი ვიატკის ბანაკიდან განცხადებას უგზავნის შინსახკომის ქუთაისის განყოფილების უფროსს (ტ.1, ფ.29-31). ასეთივე განცხადებით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს (ტ.1, ფ.42-43).

ამ განცხადებებში მ. ასათიანი წერს: „თქვენ გემსახურებოდით, შეცდომით ვარ დაპატიმრებულიო და კონკრეტული მაგალითით დაადასტურა თავისი დამსახურება: „ჯგუფს უერთდებოდა... ცნობილი ტროცკისტის სამსონ გოგოლაშვილის

და ელენა გოგოლაშვილი. ეს უკანასკნელი ითვლება უფრო პასივად, მაგრამ ამბობდა, რომ „ხმას ვაძლევ ძმის იდეებსო". ეს მე მერკილაძეს ვუთხარი... ასე რომ, ეს ფარული ტროცკისტი ჩემს მიერ იქნა გამომჟღავნებული... მე დავალებული მქონდა გამეგო ვინ ეშატებოდა მათ, ვინ დადიოდა მათთან , რა საკითხებზე მსჯელობდნენ და სხვა".

საჩივრის საფუძველზე საქართველოს შინსახკომმა მ. ასათიანის საქმეს გადახედა. ამ დახლართულ საქმეში მსჯავრდებული ამტკიცებდა – თქვენ გეშსახურებოდითო, და ამის მოწმეებიც იყვნენ. მეორე მხრივ, ვინც ეს არ იცოდა, ისინი ხედავდნენ, რომ მ. ასათიანი ტროცკისტულ ორგანიზაციაში იყო და მერე სულ ამტკიცებდნენ – ტროცკისტია, საბჭოთა ხელისუფლების მტერიაო. შინსახკომმა, თუნდაც 99 პროცენტით დარწმუნებული ყოფილიყო ჩვენიანიაო და მხოლოდ 1 პროცენტით ჰქონოდა ეჭვი – შეიძლება ჩვენი მოწინააღმდეგე იყოსო, როგორც ყოველთვის, შეცდომა არ დავუშვათო, ამჯერადაც – 1940 წლის 14 მარტის დადგენილებით ამჯობინა ბანაკში დაეტოვებინა (ტ.1, ფ.54) და მ. ასათიანს მხოლოდ 10 წლის მერე, 1947 წელს მისცეს დაბრუნების საშუალება.

მაგრამ 1948 წელს კვლავ გაჩნდა დაპატიმრების საშიშროება. ამას ამტკიცებს შინსახკომში მ. ასათიანის შესახებ შეგროვებული ახალი მასალების საფუძველზე გამოძიების მიერ გამოთქმული მოსაზრება: მ. ასათიანზე მაკომპრომეტირებელი მასალები არაა მოპოვებული. მისი ცოლი ანტისაბჭოთა საქმიანობაში არაა შემჩნეული. მიმაჩნია, დაპატიმრებისაგან თავი უნდა შევიკავოთო. 1948.30.XI აგრეთვე ამაზე წაწერილი უშიშროების მინისტრის ნიკოლოზ რუხაძის რეზოლუცია: „დაპატიმრებისაგან თავი შეიკავეთ. მოხდილი სასჯელი ჩაითვალოს საკმარისად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ 1937 წლის მარტში ის გათავისუფლებული, ხოლო შემდეგ ხელახლა დაპატიმრებული იქნა. 1.XII.48. ნ.რუხაძე (ტ.1, ფ.56-59).

აქვე ყურადღებას იმსახურებს მ. ასათიანის დაპატიმრებაში ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის განცხადების როლის შეფასება: „როგორც საგამოძიებო საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, 1937.10.VII დაპატიმრების საფუძველი გახდა ქუთაისის მწერალთა კავშირის განცხადება შინსახკომის

ქუთაისის განყოფილების სახელზე" (ტ.1, ფ.58).

მ. ასათიანმა აღრევე მოინდომა რეაბილიტაციის მიღება, მაგრამ 1951 წლის 7 აპრილის დადგენილებით სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბირომ უარი უთხრა ნასამართლეობის მოხსნაზე (ტ.1, ფ.60).

1958 წლის 21 აპრილის დადგენილებით საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ აღნიშნა: 1927 წლამდე ტროცკისტული ორგანიზაცია ოფიციალურად დაშვებული იყო, მერე კი არ ჩანს, ტროცკისტულ საქმიანობას რომ ეწეოდა, ამასთან შეგზავნილი ყოფილაო და უკანონოდ გასამართლებულად ჩაივალა და გაამართლა

ასე აწამეს ეს ადამიანი.

მაშინაც, წამებულია, თუ მართლა კომკავშირის საქმე აკეთა და მაინც დასაჯეს.

...

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ, რომან „კოჩას" ავტორმა ევგენი აქუბარდიამ ასეთი ცნობები მომაწოდა რეპრესიაგამოვლილ მწერალ ანდრო ჟვანიაზე:

„ციმბირგამოვლილი მწერალი ტყვარჩელში გავიცანი. ანდრო ჟვანია საუბარშიც თავშეკავებული ჩანდა, უთქმელი. მშობლიურ სოხუმში ცხოვრების უფლებას ელოდებოდა. მეშახტეთა ბუღალტრულ სამსახურს კეთილსინდისიერად ასრულებდა. შემძრა მისმა თავგადასავალმა...

1957 წელი იყო. გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" გადაშალა და თავისი ნოველა მეშახტეთა ცხოვრებაზე რომ იხილა დაბეჭდილი, ცრემლები ვერ შეიკავა, თურმე, იტირა: „ბატონო ევგენი! ღმერთმა გაშოროთ ისეთი მძაფრი განცდა, მე რომ დამეუფლა, როცა ოცი წლის შუალედის შემდეგ ჩემი გვარი დაბეჭდილი ვიხილე! გმადლობთ, ანდრო ჟვანია".

მოგვიანებით, „შინ დაბრუნება" რომ ელირსა, მისთვის ღია იყო ჩვენი რედაქციის

კარი, თითქოს შესაძლებელი ყოფილიყო ჯოჯოხეთური ჭრილობის მოშუშება-დავიწყება!“

ა. ჟვანიამ 10 წელი (1937-1947) გაატარა გადასახლებაში.

აი, რას გვიამბობს იურისტი ირაკლი რაზმაძე თავის წერილში „ადვოკატის მოგონებანი“:

„პეტრე ქავთარაძე დააპატიმრეს როგორც „მავნებლის“ სერგო ქავთარაძის ძმა. სერგო ქავთარაძე შემდეგ გაათავისუფლეს და ისევ დიპლომატიურ სამუშაოზე დააბრუნეს, ხოლო პეტრე ქავთარაძე (რომელსაც 10 წელი ჰქონდა მისჯილი) ბანაკში, რეპრესირებული ექიმის ტერეზა სახოკიას თვალწინ შიმშილისაგან გარდაიცვალა“.[21]

პეტრე ქავთარაძე გახლდათ იურისტი და მთარგმნელი.

კონსტანტინე გამსახურდიას მიხედვით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეორე თაობის წარმომადგენელს, ჩინებულ სტილისტს, ფილოლოგსა და ისტორიკოსს, საქართველოს მოკლე ისტორიის და ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ნარკვევის შემქმნელს, დიდ პატრიოტს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, რომელსაც როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრს, ხელი ჰქონდა მოწერილი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე, - იმთავითვე ირიბად უყურებდა საბჭოთა ხელისუფლება - 1924 წელს მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ.

1937 წელს კი ლოგიკა სულ არ მოქმედებდა. თუმცა როგორ არა – უმეტესად საუკეთესო ქართველებს არ ინდობდნენ!

დაპატიმრებიდან 4 თვის შემდეგ ჩატარებულ პირველ (25.XI) და მეორე (31.XII) დაკითხვაზე უარყო ბრალდება, მაგრამ იმავე ღღეს *„ბამოძიების მიერ მოპოვებული ფაქტების დაწოლისა“* და შინაგანი ბრძოლის დაძლევის შედეგად კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა აღიარაო.

უფრო სარწმუნოა, ფაქტების კი არა, ფიზიკური დაწოლის გამო მოხდა ეს ფერიცვალება.

1938 წლის 16 იანვარს შინსახკომის სამეულმა ქრისტეფორე რაჭველიშვილს დახვრეტა გადაუწყვიტა.[22]

პოეტმა გივი გეგეჭკორმა მიამბო: 1956 წელს, ის მაშინ სრულიად ახალგაზრდა, საავადმყოფოში მოხვდა. მასთან პალატაში აღმოჩნდა გადასახლებიდან ახლადჩამოსული, ჯანგატეხილი გრიგოლ გიორგაძე, ყოფილი მინისტრი. მას გივი გეგეჭკორისთვის უამბნია:

„ჩემთან საკანში ორი სიკვდილმისჯილი იჯდა, ქრისტეფორე რაჭველიშვილი და ერთი სხვა. ჯერ დასახვრეტად იმ კაცის გასაყვანად შემოვიდნენ, რომელიც რაიკომის მდივანი ყოფილა სვანეთში. ამ ბრგე ვაჟკაცს ძალიან გაუჭირდა სიცოცხლესთან განსაშორებლად წასვლა, ყველაფერს ებღაუჭებოდა, ძლივს გაათრიეს...

ქრისტეფორემ თქვა: ახლა ჩემი ჯერია, მაგრამ მშია და ჯერ ბალანდა უნდა ვჭამოო. დაჯდა, ჭამა და ეს ჩია ტანის კაცი მღელვარების გარეგნულად გამოუხატავად, ღირსეულად გაჰყვა ჯალათებს...“

აპატიმრებდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ ავეჯს, საოჯახო ნივთებს... შემდეგ შეიძლება მოეხსნათ პატიმრობა ამ ნივთებზე ოჯახის წევრთა სასარგებლოდ.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მეორე თაობის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1918) წევრის, პირველად 1923 წელს დაპატიმრებულ, შემდეგ 1938 წელს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მუშაობის ბრალდებით დახვრეტილ არჩილ ჯაჯანაშვილის ნივთებსაც ასე მოექცნენ, მაგრამ მათგან საუკეთესო (პიანინო, ბუფეტი) 1939 წელს სპეცვაჭრობის მეშვეობით შეასყიდვინეს მწერლის ბინის ერთ ოთახში შესახლებულ შინსახკომის თანამშრომელ ქალს ტ. ვ. ალექსანდროვას, რომელსაც არც მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ უნდოდა ამ ნივთების დაბრუნება.[23]

ახლა ვნახოთ საბუთი, რომელიც ეხება ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს, ფოლკლორისტსა და მოქანდაკეს ვახტანგ კოტეტიშვილს. №9852 საგამოძიებო საქმეში დევს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწის პოდპოლკოვნიკ ბერძენიშვილის ხელმოწერილი, 1956 წლის 23 თებერვლით დათარიღებული ცნობა (ფ.64-65), რომელშიც ნათქვამია:

> „ვ. კოტეტიშვილის (აგრეთვე აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჯანელიძის, დავით ვირსალაძის და სხვ.) შესახებ აგენტურულ შეტყობინებებს სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს სამძებროს მე-5 განყოფილების უფროსის მოადგილეს მღებრიშვილს აწვდიდნენ აგენტები „ნერონი", „მოსკოვი" და „მიხაილოვსკი". კერძოდ, ვ. კოტეტიშვილზე ამ აგენტებმა შინსახკომს აცნობეს, რომ ის განწყობილი იყო ანტისაბჭოურად, პესიმისტურად, თითქმის ვერ ხედავდა საბჭოთა სინამდვილის პერსპექტივას. ექსპედიციაში ცოტას მუშაობდა, სამაგიეროდ საჯარო გამოსვლებს აწყობს, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის ხელმძღვანელად 1936 წელს დანიშნეს ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილს არ სურდა. თუმცა კოტეტიშვილმა იცის მარქსიზმ-ლენინიზმი და სწორად ესმის პარტიის პოლიტიკა, თავის ნაწარმოებებში სოციალიზმის გამარჯვება არ სჯერა".

ბოლო, 1937 წლის 3 ივნისის შეტყობინებაზე არის რეზოლუცია: *„ამხ. ქადაგიშვილს – დაიწყეთ ყველას აქტიური დამუშავება, ხოლო კოტეტიშვილზე მასალები მოამზადეთ – კოტეტიშვილი დაპატიმრებული უნდა იქნეს. ქობულოვი. 7.VI.37".*

ვ. კოტეტიშვილი 1937 წლის 5 ნოემბერს დააპატიმრეს, 1938 წლის 17 ივნისს საბრალდებო დასკვნა წარუდგინეს და დახვრიტეს.

კარგად რომ გავიგოთ შინსახკომი თავისი სისასტიკით როგორ აიძულებდა პატიმრებს ყველაფერი სისაძაგლე „ელიარებინათ“, მომაქვს ადგილები ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივნის ჩვენებიდან, რაც მიცემულია ვ. კოტეტიშვილის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

„ეს ჩვენებები უდაოდ მონაჭორია, სისულელეა, უაზრობაა, მასში არაა არცერთი მართალი სიტყვა, არცერთი ფაქტი, სინამდვილეს რომ შეესაბამებოდეს, მართალია მხოლოდ აქ დასახელებულ პირთა გვარები, რომლებიც გარდაცვლილი ან ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. ასეთ სისულელეს, მონაჩმახს, უაზრობას არ იკადრებდა კოტეტიშვილი, რომელსაც აინტერესებდა მეცნიერების, განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურის საკითხები, რომელიც იყო უზადო პატიოსნებით, უაღრესად სამართლიანობით, დიდი ბუნებრივი ჭკუითა და ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მას, რა თქმა უნდა, არც ბოროტი განზრახვა შეიძლებოდა ჰქონოდა. . . მაშასადამე . . კოტეტიშვილი მსხვერპლია რაღაც ვერაგული გეგმისა, რომელიც საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ მიმართული იყო რაღაც საშინელი მიზნის მისაღწევად და ვფიქრობ, ვიხსენებ რა ჩემი საქმის გამოძიების ყოველმხრივ გასატანჯველ მეთოდებს, ვახტანგ კოტეტიშვილი ზეგავლენის ზომებით იქამდე მიიყვანეს, რომ ცილი დასწამა როგორც ყველაზე უახლოეს მეგობრებს, ახალი, საბჭოთა საქართველოს ნიჭიერ, პატიოსან მუშაკებს, ქრისტეფორე რაჭველიშვილსა და მიხეილ საყვარელიძეს, რომლებიც დიდ იმედებს იძლეოდნენ როგორც პუბლიცისტები, ასევე თავის უფროს ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, საქართველოს გამოჩენილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც პატიოსნად, გულწრფელად ერთგულებდნენ საბჭოთა საქართველოს

ინტერესებს, მეცნიერებისა და საზოგადოების ინტერესებს: გიორგი ახვლედიანს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, იოსებ ბარათაშვილს, შალვა მესხიშვილს, არჩილ ჯაჯანაშვილს და სხვებს, ხოლო პირადად მე მომაწერა ყველა სახე სახელმწიფო დანაშაულისა, რომლებიც თავისთავად შესაშინებელია, მაგრამ სასაცილოა მათი სრული სულელურობის გამო".

„ჩემი საქმის ძიება თითქმის წელიწადნახევარს გრძელდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე თითქმის ყოველდღე განვიცდიდი აბუჩად აგდებას, შებღალვას და ფიზიკურ ზემოქმედებას, ორჯერ განვიცადე საგრძნობი რეპრესია.

გამოძიების ასე წარმოებისას ჩემი ჩვენებები იძულებითიც იყო და თანაც იწერდნენ არა იმ რედაქციით, როგორც მე გამოვხატავდი. საერთოდ ჩემი საქმის მთელ გამოძიებას პროცესუალური წესების მეტად უხეში დარღვევებითა და დამახინჯებით ატარებდნენ. ჩემი ყოველი შეპასუხება გამომძიებლის უკანონო მოქმედებაზე ჩემთვის მეტად საკალალოდ მთავრდებოდა, იძულებული ვიყავი დავდუმებულიყავი, ვიღებდი რა მწარე დარტყმებს ხან რაღაც ჯოხით, ხან სახაზავით, ანდა დავთანხმებოდი იმას, რასაც გამომძიებელი ითხოვდა. გამომძიებელმა ჩემს ჩვენებებს ისეთი ფორმა და ხასიათი მისცა, რაც გამოიწვევდა ჩემს დადანაშაულებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში".

ასე განსაჯა ამ პატიოსანმა კაცმა! ჭკუამოკლე კი აყვირდებოდა: ვახტანგის სიტყვებმა წაქცევისა და გადასახლების ჯოჯოხეთური გზით მატარაო.

ვ. კოტეტიშვილის საქმეზე დაკითხული აკაკი შანიძეც, მიუხედავად იმისა, რომ მას, მადლობა ღმერთს, არ განუცდია

შინსახკომის შინაგანი ციხის საშინელებანი, მაინც მიხვდა, რა ჯოჯოხეთში ჩააგდეს და აიძულეს კოტეტიშვილი თავისი მასწავლებლები, მათ შორის აკაკი შანიძეც დაესახელებინა:

> „ჩვენებებს კოტეტიშვილმა ხელი შეურაცხადობის მომენტში მოაწერა. სხვანაირად ვერ აიხსნება ის უაზრო ბრალდებები, რომლებიც მან დასწამა უნივერსიტეტის პროფესორებსა და ზოგიერთ ასპირანტსა და სტუდენტს“.[24]

1938 წელს ახალი ძალით იფეთქა ბერიას ქებამ და ეს არცაა გასაკვირი: 1937 წელი კი ჩათავდა, მაგრამ მისი ზაფრა სულაც არ განელებულა.

ამ წელს მწერალთა გაზეთში ბერიას ადიდებდნენ:

შალვა აფხაიძე – „დეე, ელავდეს ხალხის სიმღერა – გმირი ბერია“, „დღეგრძელობა და დიდება შენს ხუროთმოძღვარს ბერიას, ვისი სახელიც უკვდავი, ხალხს გულში ჩაუწერია“;

იაკინთე ლისაშვილი – „მზე მიწაზეა ჩამოტანილი, წინ მიგვიძღვება ჩვენი ბერია და გზას გვინათებს დიდი სტალინი“;

კალე ბობოხიძე – „გმირულად იბრძვის ბერია, სტალინის ცეცხლით ჩაუქრობელი“; „ვინც მტარვალი დაბლა დასცა და მზნედ იცავს სადარაჯოს, მძლე სტალინელს ვაჟკაცს, ნაცადს, ჩვენს ბერიას გაუმარჯოს“; „გაუმარჯოს მოამაგეს, ჩვენს ბერიას, დიდ სტალინის ღვიძლ მოწაფეს ჩვენი ვაშა“;

დავით გაჩეჩილაძე – „სტალინის ფიქრით, აზრით, სახელით წინ ვაჟკაცურად გვიძღვის ბერია“; „არ დაივიწყებს სამშობლო ჩვენი მას, რა ამაგიც დასდო ბერიამ“;

რაჟდენ გვეტაძე – „დილის მზესავით მუდამ მგზნებარე, ახალ ტფილისის მშენებელია, ახალ ტფილისის ავტორი არი ქართველი ხალხის ბურჯი ბერია“.

ბერიას ადიდებდა ამ წელს გამოცემული კრებულიც: „ბედნიერ სამშობლოს“ (ვარლამ ჟურული და სხვები), „ბედნიერების სიმღერები“, „ახალგაზრდა მწერალთა კრებული“ (გიორგი გიასელი...).

თავისი თაობის ორი გაქორწილული ახალგაზრდა პოეტიც ჩაება ამ შეჯიბრში: 1938 წელს რევაზ მარგიანი, 1939 წელს კი – იოსებ ნონეშვილი.

ბერიას ხოტბა გრძელდებოდა 1941 წელს გამოცემულ კრებულშიც: „სამშობლო" (კალე ბობოხიძე), „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს" (ალიო ადამია, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი).

და ასე იყო მის დაპატიმრებამდე.

სხვათა შორის, 1954 წლის იანვარში მოსკოვიდან საქართველოს მწერალთა კავშირს მოუვიდა ბერიას მეხოტბეთა სია. ყველაზე მეტი, 19 ლექსი ბერიაზე დაუწერია კალე ბობოხიძეს, 14 – ირაკლი აბაშიძეს და ა.შ.

ჟანრების მიხედვით ბერიასათვის ქებათა-ქება უძღვნია 41 პოეტს, 5 პროზაიკოსს და 9 კრიტიკოსს.

აი, რა სახელმწიფოში ვცხოვრობდით!

მოსკოვში ზუსტად იყო აღრიცხული აქ რას ვაკეთებდით. ცხადია, აქედან აწვდიდნენ ცნობებს: მთავლიტი (ე. ი. ცენზურა) უშიშროების კომიტეტს დაუდებდა ნუსხას (თუმცა, ამ უკანასკნელს თავისი სიებიც ჰქონდა), უშიშროება ცკ-ს, პარალელურად მოსკოვს (ან იქნებ ჯერ მოსკოვის უშიშროებას მოახსენებდა და შემდეგ აქაურ ცკ-ს). რა თქმა უნდა, ცენტრის აგენტებიც ითვლიდნენ უშუალოდ და მათი აქაური ერთგულნიც...

დიახ, ვაქებდით და ვადიდებდით კერპებს...

კლასობრივ პრინციპზე აგებულ ამ ქება-დიდებაში კიდევ უფრო სამარცხვინოდ დახურდავებულან:

„თავისუფლების მოედანი ელის ბელადებს
მიხას, ფილიპეს, მალაქიას, სერგოს და
კოტეს,
ბუდუს, მამიას, მიხას, შალვას და კიდევ
სხვებს,
რომ მიმაგებოს მათ სამგზავრო
ავტომობილებს". *

(სანდრო ეული).

„და კავკასიის მოძმე ერებმა ზარდეს ლაშქარი ლევანდოვსკისა". (კალე ბობოხიძე)...

---

* მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მალაქია ტორო'შელიძე, სერგო ორჯონიკიძე, კოტე ცინცაძე, ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, მიხა და შალვა ოკუჯავები.

ძველ მაქებრებს რადა ეშველება, დღევანდელმა და მომავალმა მეხოტბეებმა კი ჩახედონ მარკუს ავრელიუსის „ფიქრებს“.[25]

„ოდესღაც ხოტბის საგანყოფილი რამდენი კაცი დავიწყებას მიეცა უკვე! ანდა რამდენი მათი მეხოტბე მიიბარა მიწამ!“

ამ მცირე წიაღსვლის შემდეგ გველოდება 1938 წელი...

ქართველი ებრაელი მწერალი გერცელ ბააზოვი ასე ჩიოდა თავის გაჭირვებაზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე 1932 წლის დეკემბრის მიწურულს:

„დავწერე და ვუწოდე მისტერია. ფსევდონიმმოწერილ ორ წერილში ერთმა თქვა: მისტერიებს ანტისემიტები წერენ გერმანიაშიო. გამოდის ანტისემიტი ვარ.

მეორემ – ავტორი ებრაელი ნაციონალისტია, სიონში დადისო. გამოდის ებრაელიც ვარ, ქრისტიანიც, მაჰმადიანიც“.[26]

ასე უსამართლოდ ბევრჯერ სდებდნენ ბრალს, მაგრამ 1938 წელს ეს დახვეწილი ინტელიგენტი მთლად ამოგლიჯეს მწერლობიდანაც და ცხოვრებიდანაც.

ბააზოვების ოჯახის უბედურება ამით არ ამოიწურა – მწერლის მამაც, ცნობილი რაბინი დავით მენახემის ძე ბააზოვიც სიონიზმისთვის დასაჯეს, კიდევ კარგი – მსოფლიო საზოგადოებრიობის აქტიური მოთხოვნების შედეგად დახვრეტა გადასახლებით შეუცვალეს, 1938-1945 წლები ციმბირში გაატარებინეს, საიდანაც ჯანმრთელობაშერყეულად დაბრუნებული, მალე 1947 წელს გარდაიცვალა.

ეს ის დავით ბააზოვია, რომელიც 1913 წელს გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში სიონისტთა საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარემ გენერალმა ლიფმანმა ასე წარუდგინა საზოგადოებრიობას:

„ძმებო, თქვენს წინაშეა თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან. ეს ქვეყანა შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს ყველა ებრაელის გულში. ევროპა დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას, ეს კი ქართველ ერს 2000 წლის წინათ ჰქონდა შეთვისებული. ამის მოწმეა მცხეთის ქალაქი,

რომელიც იერუსალიმიდან გამოსულ ებრაელებს პურ-მარილით დაუხვდა და ისტუმრა დღევანდელამდე. თუმცა ბევრი ცვლილება მოხდა ამ მშვენიერ ერში, მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა მათში შეუცვლელია".

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საქართველოს ებრაელთა წარმომადგენელს –დავით ბაზოვს, რომელმაც თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: *„ძმებო, მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც ებრაელობა 2500 წელია ცხოვრობს და არასოდეს უგრძვნია მტრობა. საქართველომ არ იცის გეტო, დარბევა-დისკრიმინაცია. ქართველში არ არის სიტყვა – „პოგრომი".*[27]



შალვა ნუცუბიძე.

სიმონ ყაუხჩიშვილი

1938 წელს დააპატიმრეს ცნობილი მეცნიერები შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და ვუკოლ ბერიძე.

ამ სასტიკ დროს მათი ბედის შემობრუნებაში დიდი წვლილი შეიტანა შ. ნუცუბიძის მიერ „ვეფხისტყაოსანის" რუსულად თარგმნამ. ამაში დარწმუნდებით, როდესაც გაეცნობით ამონარიდს ამ დიდი მეცნიერის მიერ დაწერილი დოკუმენტიდან:

„...თარგმანი დავიწყე 1937 წელს და იმდენად წარმატებულად მიმდინარეობდა, რომ საკმაოდ დიდ ნაკვეთებს ვუკითხავდი მსურველთ თავისუფალ აუდიტორიებში.

მოულოდნელად დამიჭირეს და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მოსკოვში, ლუბიანკაზე ვიყავი ჩასახლებული. ჩემი თარგმანის ნაწყვეტები, ქართული დედანი რუსთაველისა და ზოგიერთი განმარტებითი ხასიათის

ნაშრომები ჩამომართვეს და თბილისში დარჩა.

გავიდა დრო, არც ისე დიდი. ჩემი სულისკვეთების შემცველი ნაშრომები ჩემს ახალ მასპინძლებს და მეც, მათ მოულოდნელ სტუმარს, თითქმის დაავიწყდათ, ყოველ შემთხვევაში მათი გახსენებით თავს არავინ იწუხებდა და არც მე მაწუხებდნენ.

ერთი გამოძახების დროს მკითხეს:

– მართლა გაქვთ სურვილი რუსთაველის პოემის თარგმნისა?

– თქვენ ეს რატომ გაწუხებთ? რა იცით ამის შესახებ, – ვუპასუხე მე.

– როგორ არა: მე ვიცი, რომ თქვენ რუსთაველის პოემის თარგმანს დროგამოშვებით კითხულობდით და ხალხიც გესწრებოდათ. ჩვენ მოგცემთ საშუალებას რუსთაველის თარგმანის დამთავრებისა...

ამ ფრაზის რედაქცია მაინცდამაინც არ მომეწონა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, თანხმობა განვაცხადე და მეორე დღესვე ჩემს კამერაში იდო რუსთაველის ქართული გამოცემა, ხოლო სადილი არესტანტების სასადილოდან კი არა, თანამშრომლების სასადილოდან მომიტანეს.

ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. ერთი კვირის განმავლობაში გაკეთებული თარგმანი შაბათობით მიქონდათ და როგორც შემდეგ ნამდვილად გავიგე, ამ მასალას სტალინი კითხულობდა.

დრო გადიოდა. ერთი დღის ამბავი ქობულოვმა გადმომცა. თურმე, სტალინმა ჰკითხა ერთ თავის დიდ თანამშრომელს: „შაშვი თუ იცი რა ფრინველია?

– ბევრი იცის, ბატონო, ჩვენში და მრავლადაც მინახავს და მომისმენია – უპასუხა მობაასემ.

„გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია? – არ მოეშვა სტალინი მობაასეს, რომელიც ოდნავ დაიბნა.

– არც კამერაში მომღერალი მგოსანი არსებობს? – განაგრძო მან, – თუ მართლაც გსურს მიიღო რუსთაველის პოემის თარგმანი – გაუშვი ის გალიიდან, რომელშიც შენ მას ამღერებ.

გავიდა რამდენიმე კვირა. განთავისუფლების იმედი თანდათან ქრებოდა.

ერთ საღამო ჟამს ქობულოვმა გამომიძახა, არ დააგვიანა ეთქვა, რომ არსებობს სტალინის განკარგულება თქვენი განთავისუფლებისა რუსთაველის პოემის თარგმანის გარკვეულ ვადაში შესრულების პირობით.

– ეს უნდა მოხდეს ციხეში თუ ციხის პირობების გარეთ? – გავბედე შემეკითხა.

– მოლაპარაკებას გააჩნია, – მიპასუხა მან.

ძნელი იყო პასუხი. მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სანახევროდ უკვე გაკეთებული მქონდა, მაგრამ წელიწადნახევრის აღიარება თარგმანის დამთავრების მიჯნად მაინც გავბედე. გაუკვირდა, რადგან ასეთი პასუხი თავისუფლებას მიზღუდავდა.

– გავათავოთ, – თქვა ქობულოვმა, - გაგიშვებთ, მაგრამ გახსოვდეს, რომ რუსთაველის თარგმანი იყო და არის შენი გადარჩენის პირობაო.

იმ საღამოსვე გამიშვეს, სოკოლნიკში დამასახლეს ციხესა და საგიჟეთს შუა. ეს ის ადგილი იყო, რომლის შესახებ ჩემს სანახავად მოსულ კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრომტით მივმართე:

იქეთ ციხე და აქეთ საგიჟე,
აჰა, რით მართობს მე ეს სოფელი
ვდგავარ მათ შორის შეუპოვარი,
ვხარხარებ, როგორც მეფისტოფელი.

რუსთაველის თარგმანი ვერ მიდიოდა მოსალოდნელი სიჩქარით. საგანგებო შეთვალყურეები ხანდახან კეთილი სურვილითაც მაჩქარებდნენ.

როცა 1939 წელი პირველ მაისს მიუახლოვდა, რუსთაველის თარგმანი გავაკეთე, მაგრამ იმ დღიდან მე ის არ მინახავს, ვიდრე სტალინმა არ დაიწყო საბოლოო კორექტურა სტამბაში აწყობილი ტექსტისა, რომელიც მე რუსთაველის სახელობის ინსტიტუტს, აკად. ალექსანდრე ბარამიძეს არ ჩავაბარე, თანახმად მისი თხოვნისა.

ასე მომზადდა მასალა, რომელიც სტალინის მიერ კორექტირებულ თუ რედაქტირებულ ტექსტს იძლევა. სტალინს აზრადაც არ მოსდიოდა „ვეფხისტყაოსნის" კორექტირება ანუ რედაქტირება, მაგრამ მისი მდგომარეობა და სიტუაცია, რომელშიც იგი ისტორიამ რუსთაველის პოემას დაუკავშირა, უნებლიეთ ქმნიდა რაღაც გარკვეულობის შეტანას ამ ვითარებაში. მეორეს მხრივ, სტალინს თავისი აზრიც უნდა ჰქონებოდა „ვეხისტყაოსნის" ტექსტზე.

ამ ორ გარემოებათა გამო ორი დოკუმენტი არსებობს: ერთი წერილი ბერიასადმი, რუსულ ენაზე, ცისფერი ფანქრით დაწერილი. ჩანს, რომ ადრესატს სტალინმა დაავალა ამ წერილის ჩემთვის ჩვენება, რადგან გამოვჩნდი თუ არა ლუბიანკაზე, მასპინძელმა სტალინის წერილი ხელში მომცა. აი, ეს წერილი რუსულად, სტალინის ნებართვით გადმოწერილი ჩემს მიერ: „До последнего времени я считал, что лучший перевод Руставели на русский язык – это перевод Петренко. Ознакомившись с переводом Нуцубидзе я считаю он не только лучше Петренко, но само по себе выдающееся литературное явление.

Мне не понравилось только одно место из перевода Нуцубидзе – 1416. Я предлагаю мое исправление этого места. Хорошее надо заменить „лучшим".

მეორე წერილი ეკუთვნის გამომცემლობა „Гослитиздат"-ის დირექტორს ჩაგინს. ამ წერილში სტალინი კატეგორიულად მოითხოვს: „Я требую, чтобы моё имя не упоминалось в предисловии к «Витязу»".[28]

ვფიქრობ, ამ პროფესორთა გადარჩენაში ლომის წილი ედო ისევ და ისევ სტალინის სურვილს (დასავლეთისთვის დაემტკიცებინა, რომ ის უძველესი და დიდი კულტურის ქვეყნის შვილი იყო) და ამ სურვილის ასასრულებლად იმ დროს ბედად „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე კარგად მთარგმნელის გამოჩენას.

ამასთან ერთად, 1937-1938 წლების რეპრესიებმა ძირითადად მოსპო ი. სტალინის ოპოზიცია, ახლა შეიძლებოდა ლაგამის რამდენადმე მოშვება, ხოლო რეპრესირებათა საქმეში გადაჭარბების ვინმესთვის გადაბრალება (აბა, პარტია ხომ არ ცდებოდა!). ასეც მოხდა, ყველაფერი ეჟოვს დაბრალდა. საქმის ოდნავ შემსუბუქება ბერიას დაევალა. ამ პროფესორთა საქმეშიც აღმოჩნდა სასჯელის შემსუბუქების საბაბი – შალვა ნუცუბიძის მთარგმნელობითი ნიჭი...

მაგრამ კიდევ იყო ერთი მოტივი: ფაშიზმთან გარდაუვალად მოსალოდნელი ომის წინ კომუნისტური ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქვეყნის შიგნით მასთან დაპირისპირების მოსპობით თუ არა, შენელებით. აქ რეპრესირების ძველი სისასტიკის მეთოდი აღარ იყო სასურველი. ამიტომ ხელისუფლება რაღაც შეთანხმების მაგვარ გზებს ეძებდა. სწორედ ამის დამადასტურებელ საბუთებს მიაკვლია ისტორიკოსმა გიორგი ციციშვილმა.

და მაინც კიდევ იყო ერთი დიდი მიზეზი ფაშიზმთან კავშირში დადანაშაულებულთა პოლიტიკური რეპრესიების ერთგვარი შერბილებისა.

მოვიშველიოთ ბ-ნი გოგი ციციშვილი და შეეცადოთ უფრო უკეთ გაეცნოთ მაშინდელ პოლიტიკურ თამაშში:

> „...ისე მოხდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მიუნხენის ხელშეკრულებით (29.IX.1938) შეეკრა ფაშისტურ გერმანიას".

თავის მხრივ, აქის გამო საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა ორმხრივი ხელშეკრულება დაედო იმ ფაშისტურ გერმანიასთან, რომელსაც აქამდე თავის ნომერ პირველ მტრად თვლიდა და ფაშიზმთან კავშირის ბრალდებით ბევრი თავისი მოქალაქე

ციხეში გამოამწყვდია და ბევრიც საერთოდ მოსპო.

მაგრამ ახლა გერმანიასთან ჩახუტების გამო *„გაქოიირიცხა საქართველოსა და სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში ნაციონალისტების, ვითომ ფაშისტ-ჯაშუშების გრანდიოზული პოლიტიკური და სასამართლო აქციის მოზანშეწონილობა“.*

მაგრამ მთავრობის მაღალ ეშელონებში მოიხდარი ასეთი მკვეთრი შემობრუნება უცებ ვერც გაიგეს *„ბერიას და ეჟოვის მიერ დაკვალიანებულმა საქართველოს ჩეკისტებმა ჯერ ვერ აღიქვეს საერთაშორისო მასშტაბით მომხდარი შემობრუნება, მოქმედებდნენ ძველი ინერციით...*

...ზევით კი გადაწყვიტეს ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოების პოლიტიკაზე გადასვლა. შესაბამისად, მოიხსნა ქართული „ფაშიზმის“ და გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ყალბ საფუძველზე ჩეკისტური თავგამოდებით ნათითხნი გრანდიოზული აქციის საჭიროება...“

სწორედ ამან შეაჩერა შალვა ნუცუბიძის და ამ საქმეზე დაპატიმრებული სიმონ ყაუხჩიშვილის, ვუკოლ ბერიძის თუ სხვა დასაპატიმრებელ მეცნიერთა საქმის ბოლომდე მიყვანა.

1938 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს შინსახკომმა სსრკ შინსახკომის კომისარს ნ. ეჟოვს წარუდგინა კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის 121 წევრის სია. ამ ორგანიზაციის იდეოლოგად მიჩნეული იყო პროფ. ივანე ჯავახიშვილი, ერთ-ერთ უმთავრეს წევრად შალვა ნუცუბიძე.

ითხოვდნენ შემდეგ პირთა დაპატიმრებას: გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ზანდუკელი, პავლე ინგოროყვა, ალ. მდივანი, კოტე ფოცხვერაშვილი, ირაკლი ციციშვილი.

შინსახკომის მოქმედების ლოგიკა გამოხატულია ლ. ბერიას შ. ნუცუბიძისთვის ნათქვამ ამ სიტყვებში:

„თქვენ ყველანი, ვინც განათლება გერმანიაში მიიღეთ, გესტაპოსგან გადაბირებული ხართ“.

ბევრწილად შინსახკომის იძულებით შექმნილი სინამდვილე კი, მოსკოვში შ. ნუცუბიძის დამკითხავი შინსახკომელის (ილინი) სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი იყო:

„როგორც აგენტები, იმ გაგებით, როგორც ეს იგულისხმებოდა, ისინი არაფერს არ

წარმოადგენდნენ, ხოლო მათი ცნობები იყო ჩვეულებრივი შეტყობინებითი ხასიათისა განწყობილებებზე, საუბრებზე და ა.შ."[29]

ხოლო ჭეშმარიტი სინამდვილე ის გახლდათ, რომ ამ ქართველებს ფაშიზმი ხომ გულზე არ ეხატათ, ბოლშევიზმი მთლად შავ ჭირად ეიაჩნდათ. სწორედ კომუნისტური ხელისუფლების ასეთი „სიყვარულისთვის" ცდილობდნენ მათ ჩამოშორებას.

შეიძლებოდა თუ არა ამ უბედურებათა თავიდან აცილება, რაზეც აქამდე წარმოდგენილმა საბუთებმა გვიამბეს, რასაც კიდევ მოგვითხრობენ და რაც კომუნისტური ტირანიის დროს ჩვენი ხალხის მიერ გადატანილ საშინელებათა მცირე ნაწილია?

ძნელზე ძნელი იყო, მაგრამ არა შეუძლებელი, ჩვენ და ჩვენს წინამძღოლებს ილიასა და აკაკის, ვაჟასა და იაკობ გოგებაშვილის, მათი გუნდის ეროვნული სულისკვეთებისთვის, მართალი გზისთვის რომ არ გვეღალატა და 1918-1921 წლების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისას მეტი ერთიანობა და ერთგულება, მეტი ჭკუა-გონება, შორსმჭვრეტელობა და სახელმწიფოებრივი მიდგომა გამოგვეჩინა და საქართველოში ბოლშევიზმის გაბატონება თავიდან აგვეცილებინა.

ეს მუდამ უნდა გვხსომებოდა ჩვენც და ჩვენს წინამძღოლებს.

მაგრამ გვახსოვდა და გვახსოვს?

ახსოვდა ერის საუკეთესო ნაწილს, ერთგულ ნაწილს.

მაგრამ რას აკეთებდა საქართველოს ხელმძღვანელებისა და მოხელეების არცთუ მცირე ნაწილი, რომლის ხელში იყო ძალაუფლება?

ერთი მაგალითი კმარა მათი ნამოქმედარის დამღუპველობის გასაგებად:

რომელიღაც რაიაღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე იმ გადამთიელს ჩაწერდა თბილისში, ბათუმში ან სოხუმში, მიწასა და ბინას იმას მიჰყიდდა, ვინც ერთი ათასი მანეთით მეტს გადაუხდიდა, ვიდრე ამ ქალაქების, ამ მიწის ძირძველი მკვიდრი ქართველი.

რას მოგვიტანდა ასეთი საქციელი, ამაზე ამ წიგნში ერთხელ უკვე მოგახსენათ შემდეგში, 1937 წელს ასეთი ეროვნული შეხედულებებისთვის დახვრეტილმა მეცნიერმა და მწერალმა

ვახტანგ კოტეტიშვილმა, მაგრამ, ალბათ, საჭიროა კიდევ და კიდევ გავიხსენოთ მისი გაფრთხილება:

> „გახსოვდეთ, რომ ყოველი ლტოლვილის საქართველოში დასახლება იქნება იმ ეროვნული შუღლის დათესვა, რომელიც დღევანდელ პირობებში ადვილად ჰხარობს და მალე მოსამკელად მივიღებთ „ინტერ-ნაციონალის“ ყვავილებს კი არა, ეროვნული ანტაგონიზმის ეკლებს“.

ეს და ჩვენი სხვა საუკეთესო მოღვაწეების ბევრი სხვა გაფრთხილება, რისი ყურადღება, გათვალისწინება აუცილებელია ერის ღირსეული არსებობის გასაგრძელებლად – უნდა გვახსოვდეს ჩვენც და ჩვენს ხელისუფლებას, თუ არ გვინდა ერის საუკუნო რისხვა და წყევლა დავიმსახუროთ.

თავი XI.
1937-1938 წლების შემდეგ სტალინის გარდაცვალებამდე

„პატარა ერი თავის კუთხეს აღარ მმართველობს,
როგორც ცხვრის ფარა, სხვის კომბლის ქვეშ მიეღინება“

მარი აბრამიშვილი,
1943 წ. 12 დეკემბერი,
ნაპატიმრალი ლექსებიდან

„მე პირდაპირ უნდა განვუცხადო გამოძიებას, რომ მე მინდოდა და ვოცნებობდი საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას საქართველოს საზღვრებს გარეთ...“

ნინო ყარანგოზაშვილი-ავალიშვილი,
დაკითხვის ოქმიდან, 1946 წ.

ასე ფიქრობდა ქართველების უმრავლესობა, მაგრამ იყვნენ მშობელი ქვეყნის სიყვარულის გრძნობის უქონლობით გაღარიბებულ-გაუბედურებულნი, სხვა ქვეყანას რომ ფიცულობდნენ.

ერთი იანისარი ქართველი, სხვის დრაშას ატორღიალებული, მათებურად გვარშეცვლილი ილარიონ ვარდინი (მგელაძე), ბოლშევიკური რუსეთის თავგადაკლული დამცველი 1924 წლის 9 მაისს თათბირზე „რკპ (ბ) პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში“ ამბობდა:

„სახელმწიფო საჭიროა სულიერადაც შებოჭო... სახელმწიფომ უნდა დაიპყროს იდეოლოგიური ფრონტი... რამდენადაც ჩვენ აქ ამ სფეროში (იგულისხმება მწერლობა) ბრძოლას ვაწარმოებთ, იმდენად ლიტერატურული საგანგებო კომისიაც გვესაჭიროება ჩვენ“.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, სწორედ ამ საგანგებო კომისიამ, მაგრამ არა ლიტერატურულმა, არამედ სეკულებრიუმმა „ჩეკამ“ არ დაინდო ილია ვარდინ-მგელაძე, ჯერ 1927 წელს დააპატიმრეს,

მეორეჯერ 1934-ში 5 წელი მიუსაჯეს, ბოლოს 1940 წელს წაიყვანეს და 1941 წლის 27 ივლისს დახვრიტეს.[1]

მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ქართველთა უმრავლესობას. ისევე, როგორც მოსალოდნელი მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წ.წ.) წინ, 1937-1938 წლებში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის უსასტიკესი ომის დროსაც კომუნისტურ-საბჭოური მთავრობა და მისი შინსახკომი უაღრესად გაავდა და გამკაცრდა. ამაზე მეტყველებს უამრავი ადამიანის, მათ შორის, მუშებისა და გლეხების, დაბალი განათლების მქონე პირების დაპატიმრება-გადასახლება მხოლოდ იმისათვის, რომ ოდნავი საყვედური წამოცდათ საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ბელადის შესახებ, წითელი არმიის სისუსტეზე ფაშისტური გერმანიის არმიებთან შედარებით, ცხოვრების სიდუხჭირეზე და ა.შ.

მით უმეტეს, ვინ დაინდობდა შეგნებულ პატრიოტებსა და ანტისაბჭოელებს. ამათ რიგებში იყვნენ მწერლები, ლიტერატორები, მეცნიერები: ალექსანდრე სიგუა, 1941 წლის შეთქმულების მონაწილე საუკეთესო ახალგაზრდები – ასპირანტები და მეცნიერ-მუშაკები, უნივერსიტეტელი პროფესორ-მასწავლებლები ერეკლე ტატიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, მოსე გოგიბერიძე, იოსებ მეგრელიძე, პატრიოტული არალეგალური ჯგუფის წევრი, მისჯის რეკორდის დამამყარებელი ჭაბუა ამირეჯიბი, პოეტები დავით ნავროზაშვილი, ოთარ კანდელაკი და ალექსანდრე ბეგაშვილი, დაუფარავი ანტისაბჭოური ლექსების ავტორები მარი აბრამიშვილი და შალვა მჭედლიშვილი, შეუპოვარი პატრიოტი, თსუ თანამშრომელი ნინო ყარანგოზაშვილი-აკალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი და სხვანი.

ახლა სწორედ მათთან დაკავშირებულ საბუთებს წარმოგიდგენთ.

ლიტერატორმა ალექსანდრე სიგუამ მიამბო:

„1941 წლის ოქტომბერში გამასამართლეს. გაფრთხილებული ვიყავი – რომ გცემთ, სასამართლოზე არ თქვაო. როცა ბრალდებები

წამომიყენეს, მაინც ვიყვირე: ყველაფერი ცემა-ტყეპითაა გამოგლეჯილი-მეთქი. მოსამართლემ – მაშინ ხელმეორე გამოძიებას ვნიშნავო. ისევ ვიყვირე: არა, რაც გინდათ მომისაჯეთ!.. – ისევ გვემა-წამების მოთმენა აღარ შემეძლო!"

საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში გამოფიტული ალ. სიგუა ჩააყენეს რიგში – კომისიას უნდა ენახა „გასათავისუფლებელი" (ბანაკის გარეთ სულის დასალევად დასასახლებელი) ხალხი: *„გაბდილები, ჭუჭყიანი, პერანგის ამარა იდგნენ ექიმის წინ, – იგონებდა ალექსანდრე – ხორცი ფეხებამდე ეკიდათ. ნუთუ მეც ასეთი ვარ-მეთქი, ვიფიქრე თავზარდაცემულმა".*

ალ. სიგუასთან დაკავშირებულია ეს ისტორია, რომელსაც ახლა მოკლედ მოგითხრობთ და რომელიც მეტად დამახასიათებელია გასული საუკუნის საბჭოური ცხოვრებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტელ, ალ. სიგუას 1930 წლის ზაფხულში ვაზიანში ორთვიანი სამხედრო მომზადების გავლისას ანტისაბჭოურობის გამოვლინების გამო დაუახლოდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი შალვა ლავრენტის ძე ლანდია.

ეს ლანდია მისი ბინის (ვარციხის ქუჩაზე) საკუჭნაოში მოწყობილ სტამბაში პარიზის ემიგრაციიდან მიღებულ ტექსტებს ამრავლებდა, რასაც მისი და, და შემდგომ კი ალექსანდრეც ავრცელებდა, პირველი ონში, სადაც 1924 წელს ნათესავის დახმარებით დახვრეტას გადარჩენილი ლანდიას მამა (მღვდელი) ცხოვრობდა, მეორე კი – მშობლიურ სოფელში, საქეგრელოში.

შალე სტამბა აღმოაჩინეს და შ. ლანდია 4 წლით ურალში, ქ. შატრინსკში გადაასახლეს, რასაც იქიდან გამოგზავნილი ბარათები და საბუთები ამტკიცებს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ შ. ლანდიას თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა და ჯავახეთის ახალქალაქში დანიშნეს ექიმად. იქიდან წაიყვანეს და 1941-1945 წლები ფრონტზე გაატარა. იქ წინადადება მისცეს პარტიაში შედით. ანკეტაში არ მოიხსენია გადასახლებაში ყოფნა.

მარცხნივ
შალვა მჭედლიშვილი,
ყარაგანდა (ყაზახეთი).

ალექსანდრე სიგუა
ნათხოვარ პიჯაკში
კრასნოიარსკის ბანაკი

1948 წელი
აკაკალის ლოლინია, გარეული
ყაყიბრები

სხედან:
ანაჩიდ სანაკლი — ყარეი ადეში —
ანაკ ავლოს, ანიკროი, ალეკი საკარ
ბარალოს ანდრეკ-ანი,
ეიდ ბაკარის — ბოგანიშვილ ბიოლენკ,
ანაჩიდის უნიკი ბოლაკ;
დგანან:
ვალოდიკ ბაკალაძე — ბერი,
ეიოგეს — ალეკიანდრ, ეკეკ დემბალი ბე —
ბერეკი, რომლის ბკან-ბახლოს ბა —
გონია ამ წყალ ბიჯინს...

ბაგვილეკ, 1994 ლ.

შალვა ლანდია,
ურალი, 1932 წ.

ომის შემდეგ თბილისის ჰოსპიტალში მუშაობდა. იქ პოლკოვნიკის ჩინზე წარადგინეს. ვიღაცამ დაასმინა: მღვდლის შვილია, გადასახლებაში იყოო. რამდენჯერმე დაიბარეს

საგანგებო განყოფილებაში. ბოლოს მოხსნეს, სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობის უფლებაც ჩამოართვეს...

ამას წამოეწია ახალი დაპატიმრების შიში და... 1950 წელს შ. ლანდიამ თავის ბინაში თავი ჩამოიხრჩო..

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირში შემოჭრილი ჰიტლერული არმიების პირველმა წარმატებებმა ბევრ ქართველს გაუჩინა იმედი – საბჭოთა კავშირი მარცხდება და იქნებ საქართველოს თავისუფლების აღდგენა ელირსოსო...

ამ იმედმა ზოგიერთი ქართველი კიდეც შეაკავშირა. კერძოდ, ასე ჩაისახა საბჭოთა არმიაში ოფიცრებად გაწვეულთა თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა, ასპირანტების, მეცნიერ-მუშაკების 1941 წლის შეთქმულება.

ეს შეთქმულება იმავე წელს გასცეს. 1941 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ-გასამართლებული 33 კაციდან 17 საუკეთესო ქართველი ახალგაზრდა 1942 წელს დახვრიტეს...

თქვენს წინაშეა შინსახკომის უშიშროების სამმართველოს საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის ირაკლი ილიას ძე ნიბლაძის ჩვენება. მიცემული 1941 წლის შეთქმულთა საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით 1956 წლის 20 აგვისტოს:

> „დამირეკეს უმაღლესი სასამართლოდან. მომიყვანეს ილია იმერლიშვილი. მან მითხრა: ჩემი ბიძაშვილი, უმცროსი ლეიტენანტი გიორგი იმერლიშვილი ჩემთან სახლში ვიღაცას ელაპარაკა – ავჭალაში რაღაც ჯგუფია და მონაწილეობა მიიღეო.
>
> ეს დავაწერინეთ ამ იმერლიშვილს, თან ჩამოვართვით ხელწერილი – „უშიშარის“ აგენტურული სახელწოდებით ჩვენთვის ემუშავა. დავარიგეთ – გ. იმერლიშვილს არ მიეძალოო.
>
> ამ „უშიშარმა“ გვაცნობა, აგრეთვე, შილდელი დიმიტრი ბურდიაშვილი ჯარიდან გამოიქცაო. დავაპატიმრეთ ბურდიაშვილი. მან

ჯერ ჯარიდან გამოქცევა აღიარა, მერე – ორგანიზაციის არსებობა.

ასე დავიწყეთ დაპატიმრებები.

დაპატიმრებულები ჯერ უარობდნენ, მერე აღიარებდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ჯიუტობდა ჯოგლიძე.

არ მახსოვს, გამოვიყენეთ თუ არა ფიზიკური ზემოქმედება, გამოძიება უშუალოდ ა. მარქაროვს მიჰყავდა.

დასკვნა: ორგანიზაცია ნამდვილად არსებობდა, პირადად მე არ გამომიყენებია ფიზიკური ზემოქმედება, ასეთი რამ არც ჩემი თანდასწრებით მომხდარა".

მეორე დაკითხვიდან (1956.20.VII):

„ამ ორგანიზაციაზე მანამდე არაფერი მასალა არ გვქონდა, სანამ ის იმერლიშვილი არ მოვიდა...

...ორგანიზაციის საქმე მუშავდებოდა პირობითი სახელწოდებით „კრაზანას ბუდე"...

საქმეში არსებულ ერთ ცნობაში უფრო დაწვრილებითაა ლაპარაკი ნიბლაძის მიერ ნახსენებ „უშიშარზე":

„1914 წელს დაბადებული ილია ზაქარიას ძე იმერლიშვილი 1942 წლამდე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო.

ამ აგენტს დღიდან დაქირავებისა არცერთი ცნობა არ მოუწოდებია".

მაგრამ რაც დაქირავებამდე ნებაყოფლობით აცნობა შინსახკომს, იმან ხომ უამრავი ქართველი ახალგაზრდა გააუბედურა!

მწერალ კიტა ბუაჩიძის განცხადებიდან საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს 1956.8.1 :

„პირველად გამომძიებელ ა. მარქაროვის ძლიერ ფიზიკურ ზემოქმედებას განვიცდიდი, მაგრამ არაფერი მითქვამს.

კიდევ ერთი ადგილი (1956.23.III):

„გამომძიებელი მარქაროვი დაკითხვაზე აკრძალულ ხერხებს იყენებდა, უცენზურო სიტყვებით მედავებოდა, მერე მოითხოვდა,

„სწორი“ პასუხის მიცემას, მუშტებით მცემდა, სახეშიც გამილაწუნებდა (ერთხელ ისე ხეთქა, მარჯვენა ყურით დააყრუა, რ. კ.).

ბოლოს იძულებული გავხდი, ჩემი ხელით მეწერა განცხადებები, რასაც მარქაროვი მკარნახობდა – ის ძიგვაშვილის ჩვენებების მიხედვით აფორმებდა ჩემი დაკითხვის ოქმებს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ძიგვაშვილის ჩვენებებიც მარქაროვის შედგენილ-გამოგონილი იყო.

სასამართლოს წინ მარქაროვმა გამომიძახა და მითხრა: სასამართლოზე როგორ მოიქცევიო. სიმართლეს ვიტყვი-მეთქი, მეცა – ჩემს ხელში ხარ და ისე მოვაწყობ, დაგხვრეტენო...“

„მარქაროვი პროცესს ესწრებოდა და ტრიბუნალის თავმჯდომარეს წერილს სწერდა“;

...გამომძიებელი მარქაროვი სასამართლო სხდომებზე მუდამ მაგონებდა წინასწარი გამოძიების საშინელებებს და მე ვერ ვიპოვე ძალ-ღონე უარი მეთქვა წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებებზე“.

გამოძიებელ ა. მარქაროვის ტენდენციურობა და დაინტერესებულება შინსახკომის თანამშრომლებმაც, კერძოდ მაშინდელმა თარჯიმანმა სერგეი[illegible] მიხეილის ძე შინგაზდილოვმაც დაადასტურა საქმის გადასინჯვისას მიცემულ ჩვენებაში (1956.4.IV):

„მახსოვს, რომ სასამართლო გარჩევის მთელი დროის განმავლობაში სასამართლოს დარბაზში გამუდმებით იყვნენ შინსახკომის მუშაკები. განსაკუთრებით მახსოვს ერთი დაბალი შავი კაცი (გვარი და წოდება არ მახსოვს), რომელიც განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას მსჯავრდებულებს და როცა რომელიმეს დაჰკითხავდნენ, თვალს თვალში უყრიდა და თუ რომელიმე დაიწყებდა ისეთი ჩვენების მიცემას, რომელიც არ შეესაბამებოდა ბრალდებებს, იწყებდა რაღაცნაირ ნერვიუ-

ლობას“.

„დაბალი შავი კაცი“ – მარქაროვის პორტრეტია...

საქმის გადასინჯვისას დაკითხულმა ა. მარქაროვმაც აღიარა:

„კ. ჯოგლიძე ვცემეთ, რათა მასაც და სხვებსაც საჭირო ჩვენება მოეცათ“.

არც სხვა გამომძიებლები იქცეოდნენ უფრო სინდისიერად – აი, ამ საქმეზე დაპატიმრებულ მ. ი. არაშიძის ჩვენება (1956.23.VI):

„გამომძიებელი ურუშაძე დაკითხვაზე ჩემს მიმართ დაუშვებელ მეთოდებს იყენებდა – სახეში მუშტებს მირტყამდა, მაგრამ მე მაინც ჩემს სიტყვაზე ვიდექი. ერთხელ შემთავაზა ხელი მომეწერა მის მიერ შედგენილ ოქმზე. მოვითხოვე წაკითხვა. როცა აღმოჩნდა, რომ დაწერილი იყო ის, რაც არ მითქვამს, ხელის მოწერაზე უარი ვთქვი, რისთვისაც ურუშაძემ მცემა, მერე ოქმი დახია“.

გთავაზობთ ბრალდებულ კოტე ჯოგლიძის ორ ჩვენებას. ეს ის კ. ჯოგლიძეა, რომელზეც უშიშროების სამმართველოს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების მაშინდელმა უფროსმა ირაკლი ნიბლაძემ თქვა: განსაკუთრებით ჯიუტობდაო.

„მე, ბრალდებულ კ.ს. ჯოგლიძეს შემიძლია ზუსტად აღვადგინო – მოხდა ეს მაშინ, როცა მე და გ. იმერლიშვილი ერთად ვმგზავრობდით ავჭალიდან თბილისამდის თუ მის შემდეგ, – გვქონდა დაახლოებით შემდეგი სახის საუბარი: საუბარი ეხებოდა თანამედროვე ომს. მან საუბარში ასეთი შეკითხვა მომცა: შესაძლებელია თუ არა ამჟამად გერმანიამ დაგვძლიოს, მე ვუპასუხე: „არა მგონია“. მან მკითხა: „რომ მართლა გერმანიამ დროებით გაიმარჯვოს, რა უნდა უქნას საბჭოთა კავშირის ხალხებს?“

„საბჭოთა კავშირის ხალხებს, როგორც სტალინი აღნიშნავს, იგი უპირებს დამონებას: გერმანიაში კი, როგორც გაზეთებში სწერია, თურმე ამბობენ, რომ უნდა შეიქმნას რაღაც კონფედერაციის მსგავსი პოლონეთის,

ბალტიისპირა ქვეყნების, უკრაინისა და საქართველოსი“ – ვუპასუხე მე.

ის: მერე, არ გააკეთებს ამას ვითომ აგრე?

მე: კიდეც რომ ასე გააკეთოს, – ეს იქნება ფორმალური დამოუკიდებლობა.

ის: ამბობენ, მთავრობაც კი მოჰყავსო.

მე: ეს ხალხის მოჭორილია, თუმცა, შესაძლებელია, მარიონეტული მთავრობა მართლაც მოჰყავდეს ემიგრანტებისაგან შედგენილი.

ის: შენ როგორ გგონია გერმანია კავკასიამდის მოაღწევს?

მე: მე რა ვიცი, თუმცა ჩვენები ჯერ კიდევ უკან იხევენ.

ის: კავკასიიდან რომ დაიხიონ?

მე: არა მგონია კავკასია დაუთმონ ჩვენებმა, მაგრამ, კიდეც რომ ეს მოხდეს, ჩვენ გადავინაცვლებთ და იქედან ვიბრძოლებთ, სანამდის არ გავანთავისუფლებთ დაპყრობილ ტერიტორიებს.

ის: დავუშვათ, ასეთი რამ მოხდა: ჩვენ დავმარცხდით, რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება, მაგრამ ისე რომ სთქვას კაცმა, მაშინ ქართველებისათვის გერმანიასთან თანა-მშრომლობა შეიძლება, თუკი ის ქართველებს მართლა დამოუკიდებლობას ჰპირდება?

მე: ჩვენი საბოლოო დამარცხება გერმანიას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია და ეს არც მოხდება, მაგრამ თუნდაც რომ თეორიულად ასეთი რაიმე დავუშვათ, მაშინ საქართველოს გერმანიასთან ურთიერთობა არ გამოადგება არასოდეს, რადგან ის ყოველთვის თავის საქმეს აკეთებს და არა ხალხის. არც, რა თქმა უნდა, მათი მარიონეტული მთავრობა გამოდგება საქართველოში. მაშინ, ალბათ, საქართველოში ადგილობრივ შეეცდებიან საქართველოს საქმის მოგვარებას.

ის: შენ ასეთი აზრის მომხრე იქნებოდი?

მე: თუ ამას დავუშვებდით, მე ასეთი აზრის მომხრე ვიქნებოდი.

განმარტება

ეს არ არის, რა თქმა უნდა, ჩვენი საუბრის გამეორება სიტყვა-სიტყვით. მე ასეთი რამის აღდგენა ამჟამად არ შემიძლია. ეს მხოლოდ აღნიშნავს ჩვენი საუბრის ხასიათს, თემას საუბრისას და აზრს.

ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული: ჩვენი საუბარი მიმდინარეობდა არა ისეთი სერიოზული და ჩამოყალიბებული სახით, როგორც ზემოთ არის წარმოდგენილი, — ლიტერატურულად გაშალაშინებული და სერიოზული ელფერის მატარებელი. არა! ჩვენს საუბარს ჰქონდა ნახევრად ხუმრობისა და ნახევრადგართობის ხასიათი. არცერთი აზრის გამოთქმისას ჩვენ სერიოზული ტონი არა გვქონია. ტონი და ხასიათი საუბრისა გვიჩვენებდა, რომ ეს იყო არა პოლიტიკური საუბარი, არამედ უბრალო ლაპარაკი პოლიტიკის შესახებ.

ბრალდებული კ. ჯოგლიძე

16.1.42."

„მე, ბრალდებულ კ.ს. ჯოგლიძეს ბრალდებულ გ. იმერლიშვილმა, მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის ერთგვარი დაახლოება მოხდა, რომელზედაც მე ერთხელ ვუჩვენე, მკითხა: შენ ხომ არ იცნობ ისეთ ხალხს, რომლებიც ასეთივე აზრისა იყვნენო. მე ვუპასუხე: კი, ასეთი აზრის სხვაც შეიძლება იყოს-მეთქი. მე მხედ-ველობაში მყავდა გ. ძიგვაშვილი. ამ უკანასკნელის აზრს მე ვიცნობდი ჩვენი პირადი საუბრებიდან, განსაკუთრებით კი საუბრიდან, რომელიც ჩვენ გვქონდა ავჭალიდან თბილისამდის. საუბარი ეხებოდა ომს, მის მოსალოდნელ შედეგებს და

საქართველოს ბედს იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. იმერლიშვილმა მითხრა, თუ ასეთი ხალხი გეგულება, გამაცანი და ერთად ვისაუბროთ ამგვარ საკითხებზეო. მე, როგორც მახსოვს, მას ძიგვაშვილის გვარი დავუსახელე. აგრეთვე ძიგვაშვილსაც ვუთხარი ამგვარი საკითხებით სხვაც არის დაინტერესებული-მეთქი, რაც მან დიდის ინტერესით მიიღო. თუმცა ისინი ერთმანეთს მანამდისაც იცნობდნენ, მაინც იმერლიშვილმა მითხრა, შენთან ერთად თუ იქნება, თორემ ცალკე ასეთ საკითხებზე აგრე პირდაპირ მე ვერ მივალო. მე ეს შევასრულე და ერთხელ, როდესაც ჩვენ სამნი ერთად მარტო მოვხვდით, მე ვუთხარი: აი, ამასთან შეიძლება თავისუფლად ლაპარაკი-მეთქი. მე როგორც მახსოვს, მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გაეცინათ კიდეც. ამის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ საუბარი აღნიშნულ საკითხებზე.

არ მახსოვს, იმერლიშვილს მე ვუთხარი, შავიანიძესთანაც შეიძლება ასეთი საუბარი-მეთქი, თუ მან მკითხა შავიანიძის შესახებ, ოღონდ ეს კია, რომ შავიანიძე ამ წრეს მე დავუკავშირე, როდესაც ჩვენ შემთხვევით ერთად ვიყავით. როგორც მახსოვს, ეს მოხდა კვირა დილით, როდესაც ჩვენ მივდიოდით პაემანზე ნაცნობების სანახავად, ჩვენ გზაში ვსაუბრობდით. ასეთი შეხვედრა, თუ არ ვცდები, მეორედაც გვქონია, ისიც კვირა დღით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი მგზავრობისას ავჭალიდან თბილისამდის იმერლიშვილთან და ძიგვაშვილთან, მე მათ ჩამიყვანეს თბილისში ტრამვაის გაჩერებასთან არა პირდაპირი შარაგზით ან საცალფეხო გზით, რომლითაც მე ჩვეულებრივ მივლია, არამედ, გორაკებიდან ღელეში.

საუბრისას ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდა ძიგვაშვილი. დინჯად იქცეოდა იმერლიშვილი,

მაინცდამაინც დიდ ცოდნას არ ამჟღავნებდა სერთოდ. იმერლიშვილთან საუბარში ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ ის ნაკლებ იყო მომზადებული. არ ვიცი, ის იქნებ მაჩვენებდა თავს ასე თუ მართლაც ასეთი იყო. შავიანიძე თითქმის სულ არ ლაპარაკობდა. მხოლოდ ზოგჯერ იტყოდა „კის" და ან „არას". საერთოდ ნაკლებ ინტერესს იჩენდა.

იმერლიშვილი და ძიგვაშვილიც ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ამ წრეში ცენტრალური ადგილი მე მჭეროდა. იმერლიშვილმა კი მითხრა პირად საუბარში, რომ შენ უნდა იყოო. მეც ვუთხარი, რომ კარგი, საშიშარი არაფერი არ არის მაგათგან-მეთქი.

პრაქტიკული საკითხები ჩვენ წრეში არ დასმულა. არც იმერლიშვილს მოუცია ჩემთვის. იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრე, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა ლაყბობა ყოველგვარ საკითხზე.

იყო ლაპარაკი ასეთ საკითხებზე უმთავრესად: რა უნდა ქნას კაცმა იმ შემთხვევაში — თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. ყველანი, თუ არ ვცდები, იმ აზრისანი ვიყავით, რომ თუ მართლაც ეს ასე მოხდებოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაისმებოდა, მაშინ ჩვენ მომხრეც ვიქნებოდით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა გერმანიისაგან.

ეს ყოველივე ხდებოდა, ვიდრე გერმანია წინ მოიწევდა ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენი ჯარები ახორციელებდნენ დროებით უკანდახევას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ ომის სრული შემოტრიალება დაიწყო, მე ვუთხარი მათ საერთოდ, რომ ჩვენი უადგილო საუბრები, როგორც ვხედავთ, სისულელე იყო და ამიერიდან ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ-მეთქი. მართლაც, მას შემდეგ

ჩვენ არც პირად საუბარში, არც ერთად ყოფნისას აღნიშნულ ლაყბობას არ დავბრუნებივართ.

რაიმე ორგანიზაციის არსებობის შესახებ იმერლიშვილს ჩემთვის არასოდეს არაფერი არ უთქვამს, არ უთქვამს არც ძიგვაშვილს, ისე კი ორთავენი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი სხვანიც იქნებიანო, მაგრამ მათთვის არასოდეს მიკითხავს თუ ვინ იქნებოდნენ და არც მათ უთქვამთ რაიმე ამის შესახებ.

იმერლიშვილს მე ვიცნობ 1940 წლის შემოდგომიდან. ის მოვიდა უნივერსიტეტში ასპირანტურაში სამეცადინოდ, როგორც მაშინ სთქვა, ის ყოფილიყო მოსკოვში ასპირანტურაში: ამჟამად უნდოდა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში გადმოსვლა, ის იმხანად ჩარიცხული არ ყოფილა ასპირანტურაში, როგორც მახსოვს, ის ჩაირიცხა 1941 წლისათვის. მეცადინეობით კი მეცადინეობდა ჩვენთან ჩვეულებრივ.

დამოკიდებულება მე მასთან მქონდა ჩვეულებრივი, როგორც ეს შეეფერება ერთად გაწვეულთა დამოკიდებულებას. ოჯახში მე მასთან არასოდეს ვყოფილვარ, არც ის ყოფილა ჩემთან. არც არასოდეს ერთად პური გვიჭამია. არც ერთად გვიმეცადინია არასოდეს. ურთიერთობა გაგრძელდა მანამდის, ვიდრე ომი გამოცხადდებოდა. ომის გამოცხადების დღეს თუ მეორე დღეს, არ მაგონდება, ის ვნახე უკანასკნელად უნივერსიტეტში. ის, ისე როგორც მე, ღებულობდა საბოლოო ანგარიშს, მან მაშინ აიღო თუ არა საბოლოო ანგარიში, ეს არ ვიცი. ის მე წასვლისას არ მინახავს. ამის შემდეგ მე მის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვიდრემდის ის არ ჩამოიყვანეს ავჭალის ბანაკში. მე ის ჯერ არ მენახა, ვინაიდან მე ვიმყოფებოდი 83 პოლკის შეკრებაზე. ის კი

იმყოფებოდა 82 პოლკში. მისი იქ ყოფნის შესახებ მითხრეს, არ მახსოვს ვინ. შესაძლებელია მითხრა მისმა ბიძაშვილმა მ. იმერლიშვილმა, რომლისგანაც მე ადრევე გავიგე, რომ ის იყო მისი ბიძაშვილი.

შესაძლებელია კი სხვებმა, რომლებიც მაშინ იქ ჩამოსულიყვნენ განჯიდან ავჭალაში და ჩემთან მოვიდნენ.

მე როგორც მახსოვს, ავედი 82 პოლკში არა მარტო გ. იმერლიშვილის სანახავად, არამედ უნივერსიტეტის აშხანაგების სანახავად. ის წასულიყო თუ არ ვცდები, სასადილოში. ამის შემდეგ, არ მახსოვს იმავე დღეს იყო თუ შემდეგ, გ. იმერლიშვილი მოვიდა ჩვენთან. მე სხვებთან ერთად ვიჯექი წინა ხაზზე, იქვე ჩვენს საცხოვრებელ კარვებთან. ერთმანეს მივესალმეთ და დავიწყეთ ჩვეულებრივი საუბარი. სხვა დამსწრეთაგან, როგორც მახსოვს, იყო მისი ბიძაშვილი მ. იმერლიშვილიც. საუბარი გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი და უმთავრესად შეეხებოდა ავჭალისა და განჯის ბანაკის შეკრებათა შედარებას. ის ამბობდა, რომ თქვენ უფრო მეტი მუშაობა გაქვთ, ვიდრე ჩვენ გვქონდა. ის წავიდა, არ მახსოვს გამომეშვიდობა თუ არა. როგორც მახსოვს, მას გაჰ ყვა მ. იმერლიშვილი.

შემდეგ მე იგი აღარ მინახავს. ის კი გავიგე, რომ ავჭალის ბანაკიდან სხვებთან ერთად სხვაგან გაგზავნეს. შემდეგ ისიც მითხრეს, არ შემიძლია მოვიგონო — ვინ, რომ ის გაგზავნილი უნდა იყოს სამტრედიაში.

ბრალდებული კ. ჯოგლიძე

17.1.42 წ."

1942 წლის 17 იქტომბერს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ბრალდებით დახვრიტეს 17 საუკეთესო ქართველი ახალგაზრდა:

გიორგი მიხეილის ძე ახობაძე – თსუ დამთავრებული, ენის სპეციალისტი;

რომან თევდორეს ძე ბატიაშვილი – თბ. სასოფლო ინსტიტუტდამთავრებული;

დიმიტრი ისაკის ძე ბურდიაშვილი – თსუ დამთავრებული, ფილოლოგი.

გივი რაფიელის ძე თარგამაძე – ენის ინსტიტ. მეცნ. მუშაკი;

ლევან ივანეს ძე თორაძე - აგროტექნიკოსი;

გიორგი სიმონის ძე იმერლიშვილი – მ. ზანდუკელის ასპირანტი;

მიხეილ იასონის ძე იმერლიშვილი – თბ. სასოფლო-სამ. ინსტ. მეცნ. მუშაკი;

სოლომონ ანდრიას ძე იმერლიშვილი – თსუ იურიდ. ფაკ. სტუდენტი;

მიხეილ ილიას ძე კაციტაძე - თსუ ლექტორი;

ზურაბ ნიკოლოზის ძე მისაბიშვილი – თსუ ასპირანტი;

მიხეილ მიხეილის ძე საბაშვილი – თსუ სტუდენტი;

გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე – მ. ზანდუკელის ასპირანტი, პოეტი;

შალვა ნაუმის ძე შავიანიძე – კ. კეკელიძის ასპირანტი;

თურმან მოსეს ძე შანშიაშვილი – კ. კაპანელის ასპირანტი, პოეტი;

გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილი – პოეტი;

კოტე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი - ბელეტრისტი;

კონსტანტინე სერგოს ძე ჯოგლიძე - მ. ზანდუკელის ასპირანტი.

მინდა წარმოგიდგინოთ ერთი პატარა ბარათი, რომლითაც 1941 წლის შეთქმულების მონაწილე, მისი პროგრამის შემდგენელი, სამშობლოზე ზრუნვისათვის სიკვდილმისჯილი, თავად სანუგეშებელი გიორგი ახობაძე მშობლებს ამხნევებდა:

„დედა და დაო ქსენო, ვზივარ დასახვრეტთა

გიორგი ახობაძე

ნიკოლოზ ბერეკაშვილი

დიმიტრი
ბურდიაშვილი



გიორგი თანგაძე

ლევან თინაძე

გიორგი ამყნიეფაშვილი

ძმაბელი ამყნიეფაშვილი

ხოდეიმის ამყნიეფაშვილი

[illegible]

ხუნან
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]

საკანში შეწყალების უფლებით. ალბათ, გაგზავნით დეპეშებს სათანადოთ. დაგტანჯეთ ჩემი ფიქრებით და თქვენი იმედები დაიღუპა. გამაგრდით, მიხედეთ ბავშვებს. შოთას დანაპირები ვერ შევუსრულე. სხვაგვარად არ შემეძლო, გავიზიარე მამაჩემის ბედი... გეთხოვებით, გკოცნით".

გიორგის ხელით ნაწერი ეს ბარათი უბედურმა დედამისმა გულთან მიბნეული ატარა 12 წელიწადი, გარდაცვალების წინ კი უთხოვია – არ მომაცალოთო.

დღეს ეს სიტყვები აღიქმება როგორც საქართველოსათვის თავდადებულთაგან ჩვენი გამხნევება – გამაგრდითო, და როგორც ანდერძი – როცა მამულს თქვენი სამსახური დასჭირდება, ღირსეულად მოიქეცითო![2]

ასე იქცეოდა ბევრი ჩვენიანი და ბევრი კიდეეც ემსხვერპლა კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ ამ ბრძოლას. სამშობლოს თავისუფლებას შეწირულთა შორის იყვნენ ეს ახალგაზრდებიც: ადამ ბობღიაშვილი (ალვანელი), არჩილ კიტოშვილი, ოთარ მაისურაძე, მიხეილ ოქროპირიძე, ვანო ხალიფაშვილი...

1921 წლის 10 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის წინ, „კონტრრევოლუციური მოღვაწეობის" ბრალდებით დააპატიმრეს სიტყვიერების მასწავლებელი მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი.

ადამ ბობღიაშვილი (ალვანელი)

იგი მოათავსეს საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკას") კომენდატურაში, საიდანაც მალე გაათავისუფლეს განათლების სახალხო კომისრის დავით კანდელაკისა და მისი მოადგილის მარიამ ორახელაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, ხელწერილით, რომ ქალაქიდან არსად არ წავიდოდა. ცოტა ხნის შემდეგ, 5 ივლისს ისევ მოიწვიეს დასაკითხავად. აი, რა პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებზე:

„როგორ უყურებთ არსებულ წესწყობილებას?

– იმ დარგს, რომელსაც ვიცნობ, განათლებას, რაციონალურად.

– როგორ მიგაჩნიათ 26 მაისის გამოსვლები?

– არ მიმაჩნია რაციონალურად. რაც შეეხება საქართველოში რუსი წითელი არმიის ყოფნას, უნდა განვაცხადო, რომ ვარ მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობის, არ ვიცი თუმცა, რა იქნებოდა, რომ წითელი არმია არ ყოფილიყო, შეიძლება აქ თათრები ყოფილიყო, ეს სხვა საკითხია. ამიერკავკასიის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი მსოფლიო არის და მე თვითონ მას ვაღიარებ, მაინც ეს ჯერჯერობით მიმაჩნია ნაადრევად, რადგან ასეთი კავშირი უნდა გამომდინარეობდეს თვითოეული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საფუძველზე და მათი ერთი მეორისკენ ბუნებრივი ლტოლვით...“[3]

მიხეილ ზანდუკელი

მიხეილ ზანდუკელის ეროვნული მოღვაწეობა ბევრ კომუნისტს არ მოსწონდა. 1941 წლის 30 აპრილს, გრიფით „ფრიად საიდუმლოდ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე ასეთ ბარათს უგზავნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დავით ყიფშიძეს:

„პატივცემულო ამხანაგო დავით!

საჭიროდ მიმაჩნია ერთ გარემოებაზე მოგწეროთ. ეს მოწერილობა არ არის ოფიციალური ხასიათის, ხოლო თუ საჭირო იქნება, ოფიციალურადაც მოგწერთ. საქმე შემდეგშია: თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ერთ-ერთი პროფესორის თუ დეკანის მხრით ადგილი აქვს დაუშვებელ საქციელს სტუდენტებისა და ასპირანტების მიმართ: ყვირილს, უხეში სიტყვების ხმარებას,

პირდაპირ შეურაცხმყოფელ საქციელს. ასეთი რამ შეუძლებელია საბჭოთა დაწესებულებაში, მით უფრო დაუშვებელი და აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი პროფესორის თუ დეკანის მხრით და თუ ვინმე საბჭოთა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში მეცნიერების ტაძარში პროფესორის ქურქში ამას ჩადის, იგი უთუოდ სხვა დროს და სხვა წესწყობილების ნაშთია და ჩვენ საბჭოთა წყობილებასთან არა აქვს რა საერთო. ჩვენ არ გვაქვს უფლება ნება მივცეთ მათ განაგრძონ ამ ძველი წესწყობილების ჩვევების პრაქტიკა.

შეიძლება თქვენ მიხვდით კიდეც თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. ეს არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეკანი მოქ. ზანდუკელი.

დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თქვენ მიიღებთ უხეში, დაუშვებელ, ბიუროკრატიულ ჩვევების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს.

თქვენი პატივისმცემელი ფ. მახარაძე".[4]

ცხადია, ეს დაბეზღება აღრე თუ გვიან თავის შავ საქმეს გააკეთებდა და, აი, 1942 წელს, მრისხანე ომის დროს ძიხეილ ზანდუკელს აპატიმრებენ.

საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურორისათვის მიცემულ განმარტებაში ძიხეილ ზანდუკელმა ასე გადმოსცა შინაგან საქმეთა კომისართან მისი დაკითხვის ამბები:

„სახალხო კომისრის რაფავას დაჟინებულ მოთხოვნაზე, მეამბა ჩემს კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე, კონკრეტულად არაფერი წამოუყენებია, მე თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი: „თუ თქვენ არაფერი იცით ჩემს საქმიანობაზე, რომელიც როგორც ხელისგულზე, ისე მიმდინარეობდა თქვენს წინაშე ქ. თბილისში (მე ამ ხნის მანძილზე თბილისიდან არასოდეს გავსულვარ), მაშინ თქვენ და თქვენი დაწესებულება არ უპასუხებთ თქვენს დანიშნულებას". ჩემმა პასუხმა სახალხო კომისარ რაფავას რისხვა

გამოიწვია... შემდეგ სახალხო კომისარმა რაფავამ ყურში ჩამჩურჩულა „განა შემეძლო თქვენი დაპატიმრება, ფაქტები რომ არ მქონოდა? თქვენ რომ დამეპატიმრებინეთ, ნებართვა თვით ბერიას ვთხოვე". ამაზე შევეპასუხე: „თქვენ დაუჯერეთ მავნებელთა დანოსებს, ამაზე დაყრდნობით ინფორმაცია მიაწოდეთ ბერიას და სხვებს. იმათ ან უნდა დაეჯერებინათ თქვენთვის და ჩემი დაპატიმრების ნება მოეცათ, ანდა თქვენ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინეთ. მაგრამ იქნება სასამართლო. მე მწამს საბჭოთა სასამართლოს სამართლიანობა და განაჩენი იქნება არა ჩემს, არამედ თქვენს წინააღმდეგ".

ამან უფრო მეტად გააბრაზა სახალხო კომისარი რაფავა... ამაზე დამთავრდა ჩემი პაემანი რაფავასთან, მეტი მას აღარ გამოუძახივარ.

შემდეგ დღეებში დაიწყო რეპრესიები ჩემს წინააღმდეგ (პირით კედლისკენ დგომა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე უმოძრაოდ, ქუსლების ცემა, 14 თვე გადაცემის გარეშე...). ჩემს რეპრესიებს ატარებდა განყოფილების უფროსი ნიბლაძე".[5]

ასევე დაუწეწქვეს ფეხისგულები ინგლისური ენისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, მთარგმნელსა და ესპერანტ ერეკლე ტატიშვილს ასევე სასტიკად მოექცნენ გამოჩენილ მკვლევარს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს. რომელმაც მ. ზანდუკელზე და ე. ტატიშვილზე დიდხანს იცოცხლა და თავის ზნეობრივ მოვალეობად თვლიდა ყველაფერ ამაზე საჯაროდ ელაპარაკა და ებეჭდა

უკვე ნახსენები 1941 წლის შეთქმულთა გარდა სხვა ასეთი ჯგუფებიც არსებობდა. ერთი მათგანი იყო ლევან აბდუშელიშვილისა და სრულიად ახალგაზრდა მუსტაფა შელიას ჯგუფი. ესაა, რომ ეს ჯგუფიც შეიპყრეს და გაასამართლეს. თქვენს წინაშეა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალის 1944 წლის 7-12 აპრილის განაჩენი:

აეჭალის კოლონია, 1945 წ.
მხატვარი ლ. ცომაია

ნოეთხუმკის ბანაკი (ოსეტრიოვი)
1955 წ.

მორდოვეთის ბანაკი
1958 წ.

„კ/რ ორგანიზაციის საჭიროებისათვის სახსრების გამონახვის მიზნით ბრალდებულ მზეჭაბუკ ამირეჯიბისა და რომან სუტოს ხელმძღვანელობით ...ორგანიზაცია უყვეს პურის ტალონების ბეჭდვას... რომლებსაც ასაღებდნენ ქ. თბილისში სხვადასხვა პირებთან არჩილ წულუკიძე, გიორგი წულუკიძე და რევაზ ტყავაძე... რათა შეეძინათ იარაღი კ/რ ორგანიზაციისათვის".

ორგანიზაციის საჭიროებისთვისო, თვით ტრიბუნალი გვეუბნება (არ თქვან ახლა – მოიხყიდესო!) და რატომ უნდათ განაჩენიდან ამოგლეჯილი ნაწილის გამოქვეყნებით მაინცდამაინც ამტკიცონ – პურის ტალონებს საკუთარი სარგებლობისთვის ამზადებდნენო, რატომ უნდათ საზოგადოებამ მათ დაუჯეროს და არა იმათ, ვინც ჭაბუასთან წლები გაატარა ციხეებსა და ბანაკებში, სადაც ყველაზე კარგად გამოჩნდება, იცნობა ადამიანის ნამდვილი ბუნება?!

ჭ. ამირეჯიბთან ერთად გასამართლებული ლუკა ტყემალაძე იხსენებდა:[6]

„ისიც მახსოვს, როდესაც ტრიბუნალის თავმჯდომარემ ჰკითხა ბატონ ჭაბუას: რომ გაგიშვათ, როგორ მოიქცევი, რას იზამო? მან დაუყოვნებლივ მიუგო: „როგორც მოვიქეცი, ისე მოვიქცევი. რაც ჩემს მამა-პაპას უქნია, იმას ვიზამო". მის პასუხში მის გვერდით მსხდომთა პასუხიც იგულისხმებოდა, ასეთი განწყობა სუფევდა ჩვენში".

ამ პატიმრებს რომ თავი იმთავითვე გადადებული ჰქონდათ, ამას ლუკა ტყემალაძის გახსენებული მეორე მაგალითიც ადასტურებს:

„არ დამავიწყდება სასამართლოზე მუსტაფას ბიძის ბატონ ლევან აბდუშელიშვილის ვაჟკაცური არწივისებური გამოხედვა, როდესაც სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუცხადეს. არ აღელვებულა, წარბიც კი არ შეუტოკებია, თავზე ხელი გადაისვა და მხოლოდ ეს თქვა სინანულით: „ეგ არაფერია, ნეტავ ჩემს ხელში გაზრდილი დისშვილი

მყოლებოდა ცოცხალიო, მე ხომ ბევრი ბრალდება მის გადასარჩენად ავიღე ჩემს თავზეო" (მან სასამართლოზე გაიგო მუსტაფას მოკვლის ამბავი). მშვიდად გამოეთხოვა ყველას".

მე ბევრჯერ მისაუბრია ბატონ ლუკასთან. ის სერიოზული კაცი იყო (საერთოდ ასეთი ხალხისგან შედგებოდა ლევან აბლუშელიშვილის ჯგუფი). ლუკა ზოგიერთივით ამჩატებულად არავითარ შემთხვევაში არ გააზვიადებდა პატიმართა ქცევას სასტიკი განაჩენის გამოტანისას და მე უფლება არ მაქვს ეჭვი შევიტანო მის ნათქვამში.

ოთარ კანდელაკი

ვფიქრობ, მთელ საბჭოთა იმპერიაში ისე ხანგრძლივი სასჯელი არავის არგუნეს, რამდენიც ჭაბუა ამირეჯიბს. მაგრამ მისჯილი 83 წლიდან ფაქტიურად თავისუფლებაშეზღუდული, ჭაბუას სიტყვებით რომ ვთქვა, *„სულ იყო 16 წელი, აქედან ბანაკებში გავატარე 10.5 წელი, დანარჩენი გაქცევებში ვიყავი – 5.5 წელი"*.

პოეტი ოთარ კანდელაკი ჭაბუას შესახებ: *„ჭაბუა ამირეჯიბმა რომ ავჭალის კოლონიის ადმინისტრაციას დამსმენთა სია მოპარა და საქვეყნოდ გამოფინა, იმაში არც ერთი წყენი ნაცნობი არ იყო. იმ კოლონიაში კი მაშინ წყენებიდან იმყოფებოდნენ მწერლები ალექსანდრე ბეგაშვილი, კოტა ბუაჩიძე, შალვა მეჭედლიშვილი, სიმონ სულაკაური"*.

„ჭაბუა ამირეჯიბი კოლონიაში თითით საჩვენებელი იყო როგორც შესახედაობით, ისე ქცევით. ამხანაგებიც ბევრი ჰყავდა: ამირან მორჩილაძე, ლელიკო ნანეიშვილი, ვახტანგ ჯორჯაძე, ძმები წულუკიძეები...

ჭაბუა კოლონიაშიც წერდა მოთხრობას..."

ჭაბუა რომ იქაც წერდა, ამის თაობაზე უფრო ვრცლად და საბუთიანად მასთან ერთად ვორკუტაში ნატანჯმა პოეტმა ლადო სულაბერიძემაც მოგვითხრო ავტობიოგრაფიულ რომანში „ცხადსიზმარიანა".

ასეთი ბანაკების, ციხეებისა და საერთოდ ჩვენი დიდი სატუსალოს – საბჭოთა კავშირის დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების მართალმა სურათებმა შეადგინა ჭაბუა ამირეჯიბის მრავალმხრივ საყურადღებო მეორე რომანი „გორა მბორგალი", ისეთი, როგორც ეკადრებოდა საუკუნის რომანის „დათა თუთაშხიას" ავტორს.[7]

ჭაბუა ამირეჯიბთან მოხსენიებული ოთარ კანდელაკი კი, ეს ფიზიკურად გოლიათი კაცი, სულიერად სპეტაკი ადამიანი, დაკითხვიდან გაოფლილ-შეჩურებულად გამოყვანილი საკანში დაგდეს. ძაღალი სიცხე მისცა, არც ექიმმა ნახა, არც ლაზარეთში წაიყვანეს...

დიდხანს იბორგა ვონდაკარგულმა. როცა მოიხედა, იყვირა, მაგრამ საკუთარი ხმა ვერ გაიგონა – თურმე მუსინგიტი გადაეტანა და ორივე ყურით დაყრუდა...

მწერალი კიტა ბუაჩიძე 1946 წელს ავჭალის კოლონიაში შეძენილი მეგობრის, მისი სიტყვებით რომ ვთქვა, „ახოვანი, დეკკაციანი წარმოსადეგი, ათლეტურად ძლიერი ახალგაზრდის", პოეტ ოთარ კანდელაკის შესახებ:

> „ოთარ კანდელაკმა ჩეკისტი-გამომძიებელი თავისებურად გააფრთხილა კიდევაც – ჩემს სიცოცხლეში არასოდეს გავლახულვარ და თუ ცემას დამიპირებთ, იცოდეთ, არც თქვენ მოგითმენთო.
>
> ...და მაინც სცემეს გულივერს კაცუნებმა, ხელებშებოჭილს!"[8]

პოეტი ოთარ კანდელაკი თანამოკალმე ალექსანდრე ბეგაშვილის შესახებ:

> „1942-1948 წლებში ერთად ვიყავით კოლონიაში. ამდენ ხანში კაცი, მით უმეტეს პატიმარი იცნობა. მე ასე ვიცი – დაუსმენლობისთვის დააპატიმრეს. დამლაგებლად ვამუშავებდი აფთიაქში და თავისუფალ დროს იქაც ლექსებს წერდა. საწყალი, წესიერი კაცი იყო, დამბეზღებლების მტერი. იქ ისეთ

პირობებში ვიყავით, ბევრი გალანძღული გამოვიდა. ალექსანდრე კი სუფთად მოვიდა და სუფთადვე წავიდა“.[9]

1944 წლის 31 მარტს საქართველოს სსრ შინსახკომის სამხედრო ტრიბუნალმა იუსტიციის კაპიტან ყურაშვილის თავმჯდომარეობით (წევრები: უშაშროების კაპიტანი შავლიაშვილი და მამედოვი) დახურულ სასამართლო სხდომაზე, წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალების საფუძველზე დაადგინა:

„ბრალდებული თევზაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისას, 1940 წელს, სურდა რა შეესწავლა გერმანული ენა, დაუკავშირდა გერმანული ენის მასწავლებელ ივან ივანოვიჩ ბეკმანს.

ბეკმანმა, იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი, რამდენიმე თვის განმავლობაში დაამუშავა ბრალდებული თევზაძე და გადააქცია იგი თავგამოდებულ ანტისაბჭოურად და ფაშისტურად განწყობილ ელემენტად.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისა და ბეკმანის, როგორც გერმანელის, საქართველოს საზღვრებს გარეთ გასახლების შემდეგ ბრალდებულმა თევზაძემ მიზნად დაისახა გერმანული ჯარების წინსვლის ხელშეწყობა, რისთვისაც გერმანიის პროტექტორატით დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის მიზნით დაიწყო კონტრრევოლუციური არალეგალური ორგანიზაციის შექმნა სახელწოდებით „ადოლფ ჰიტლერი“.

თავისი განზრახვის შესასრულებლად თევზაძე 1942 წლის მარტში გაემგზავრა თელავის რაიონის სოფელ ალვანში და დაუკავშირდა იმ პოლიტიკური ბანდის მეთაურ ლუხუმანიძეს, რომელიც მოქმედებდა ბანდის მეთაურ იმედაძის ხელმძღვანელობით, თევზაძემ ლუხუმანიძისგან მიიღო დავალება - ბანდისთვის ეპოვა საბჭღი მანქანა

პროკლამაციების დასაბეჭდად.

საბეჭდი მანქანისა და იარაღის მოსაპოვებლად თევზაძემ მიმართა კ/რ ორგანიზაციის წევრს ზალდასტანიშვილს, რომელიც მან ჯერ კიდევ 1942 წლის ივნისში გადაიბირა და, მიიღო რა მისგან თანხმობა, გაემგზავრა ქ. თბილისში.

ქ. თბილისში თევზაძემ შესძლო ერთ დაწესებულებაში 50 ეგზემპლარი პროკლამაციის დაბეჭდვა და მთლიანად ალვანში ლუხუმანიძისთვის გადასაცემად გაგზავნა.

1942 წლის მიწურულს თევზაძემ თბილისში კ/რ არალეგალურ ორგანიზაციაში გადაიბირა ბრალდებულები პოპიაშვილი და ჩიკვილაძე, რომლებთანაც ერთად ცდილობდა თსუ შენობის ქვეშ მოეწყო არალეგალური სტამბა.

ბრალდებულმა თევზაძემ, პოპიაშვილმა და ჩიკვილაძემ, მას შემდეგ, რაც ვერ შეძლეს სახ. უნივერსიტეტიდან სტამბისთვის საბეჭდი მანქანის მოტაცება, 1943 წლის მაისში დაიწყეს ანტისაბჭოთა ფურცლების ბეჭდვა იმ საბეჭდ მანქანაზე, რომელიც ეკუთვნოდა სახ. უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს, სადაც მუშაობდა ჩიკვილაძე, მაგრამ არ იცოდა რა კარგი ბეჭდვა და არ ჰქონდა რა კარგი გადასაღები ქაღალდი, შეძლო მხოლოდ ერთი ეგზემპლარის დაბეჭდვა, რაც წაიღო თევზაძემ.

ამას გარდა დადგენილია, რომ ბრალდებული პოპიაშვილი ეწეოდა ფიქტიური დოკუმენტების ფაბრიკაციას, ჯარში გაწვეულებიდან თავის ამრიდებლებისთვის და დეზერტირებისთვის, რისთვისაც დიდძალ ფულს იღებდა.

ამრიგად სამხედრო ტრიბუნალმა თევზაძის, პოპიაშვილის, ზალდასტანიშვილის, ჩიკვილაძისა და ლუხუმანიძისთვის წარდგენილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის

კოდექსის შემდეგი მუხლებით 58-10 მე-2 ნაწ. და 58-11 გათვალისწინებული ბრალდებები ჩათვალა დამტკიცებულად.

ზემოთქმულის საფუძველზე და ხელმძღვანელობს რა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სამართლებრივი კოდექსის 319-320 მუხლებით

მიუსაჯა

სოლომონ ალექსანდრეს ძე თევზაძეს – დახვრეტა და მთელი პირადი ქონების კონფისკაცია;

ვალერიან ალექსანდრეს ძე პოპიაშვილს, ფარნაოზ იესეს ძე ზალდასტანიშვილს, მიხეილ სიმონის ძე ჩიკვილაძეს და ქრისტო ანდრიას ძე ლუხუმანიძეს - 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით და 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება".

1944 წელს წითელმა არმიებმა ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული საბჭოეთი გაანთავისუფლეს. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ დახვრეტებს მოუკლო. სოლომონ (ცუგრი) თევზაძეს დახვრეტა ვორკუტაში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს.[10]

რამდენიმე წუთით შევისვენოთ პოლიტიკური რეპრესიების სისხლის გამყინავი ამბებისაგან. თუმცა ამბავი, რომლის შემოთავაზებასაც ვაპირებ, არანაკლებ ამაღელვებელი და მრისხანების გამომწვევია.

1945 წელს ჟურნალ „ზნამიაში" (№10) გამოქვეყნდა ვიქტორ შკლოვსკის სტატია კონსტანტინე გამსახურდიას რომანების „დიდოსტატის მარჯვენისა" (რუსული გამოცემა, მ. 1944, „გოსლიტიზდატი") და „დავით აღმაშენებლის" (რუსული გამოცემა; მ. 1945, „სოვეტსკი პისატელი" და ჟურნალი „ნოვი მირ", 1944-1945) შესახებ, რომელშიც წამოყენებული იყო უსაფუძვლო და ქედმაღლური პრეტენზიები:

„გამსახურდიას რომანები კარჩაკეტილია,

სტუმართმოყვარე არაა, რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ რუსეთი სულ არ არის ნახსენები“;

„რუსეთი არ უნდა ზრუნავდეს ადგილის მოსაპოვებლად გამსახურდიას რომანებში, ეს ადგილი მას ისტორიის მიხედვით ეკუთვნის“.

მკაცრი და სამართლიანი იყო კონსტანტინე გამსახურდიას ერცელი პასუხი, რომელიც 1945 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ნოვი მირში“ (№4-5) და ჟურნალ „მნათობში“ (5-6):

„არც რუსულ, არც ქართულ, არც სომხურ და არც ბერძნულ წყაროებში რუს-ქართველთა შორის რაიმე ურთიერთობის ნიშან-წყალიც არ არსებობს ამ საუკუნეებში“ და რა გასაკვირია, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში“ რუსეთი არ მეხსენებიაო.

ვ. შკლოვსკიმ ჟურნალ „ზნამიაში“ (1946. №10) დაბეჭდა „პასუხი ავტორს“, მაგრამ ეს უფრო თავის მართლება და უკანდახევა იყო.

1945 წელს ლიტერატურულ სალონში და ხელნაწერ ჟურნალ „ანათემის“ გამოცემაში მონაწილეობისთვის ამ ჟურნალთან და თავიანთ ლექსებთან ერთად დააპატიმრეს ასალგაზრდა პოეტები მარი აბრამიშვილი და შალვა მჭედლიშვილი.

რა თქმა უნდა, რუსულად შედგენილ საბრალდებო დასკვნის მიხედვით ასეთი იყო მათი დანაშაული:

„იყვნენ რა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულად განწყობილი და საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენის მომხრენი, ისინი 1944 წელს გაერთიანდნენ ე.წ. „სალონში“, სადაც წერდნენ, განიხილავდნენ და ავრცელებდნენ კონტრრევოლუციურ ლექსებს. მათ გამოსცეს (ხელნაწერი) ჟურნალი ე.წ. „ანათემა“, რომელშიც საბჭოთა

მარი აბრამიშვილი

წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ლექსებს წერდნენ და ავრცელებდნენ თავიანთი ნაცნობების ვიწრო წრეში. ლექსებთან ერთად აქებდნენ შინსახკომის მიერ რეპრესირებულ ხალხის მტრებს".

ჩვენი ეროვნული კოდექსის მიხედვით კი ეს იყო და არის დამპყრობელთა და არაეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დაუმორჩილებლობა, ქართული საქმის კეთება, რასაც მრავალი ქართველი საუკუნეების განმავლობაში, მსგავს საშიშ პირობებში, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც აკეთებდა.

შ. მჭედლიშვილი:

„1949 წლის მაისიდან 1951 წლის მარტის დამლევამდე ვორკუტაში ვიმყოფებოდი. 1950 წლის ივლისში სანახავად მშობლები ჩამოვიდნენ. მაგრამ ნახვის ნება არ დაგვრთეს. მძიმედ გავხდი ავად და „სანიტარულ ქალაქში" გადამიყვანეს, სადაც ისეთივე მკაცრი რეჟიმი იყო".

ავადმყოფობამ შალვა იმდენად გაასავათა, რომ მკვდარი ეგონათ. ბედად ჩამოვლილმა პატიმარმა ექიმმა დავით კვიტაიშვილმა, პოეტ ემზარ კვიტაიშვილის მამამ, გამოიყვანა მორგიდან და გადაარჩინა.

მ. აბრამიშვილი: *„ჩვენს ხელნაწერ ჟურნალს (რომლის მხოლოდ ორი ნომერი გაკეთდა) „ანათემა" ერქვა. ეს სახელი ჩემი დარქმეული იყო და წინ ამავე სახელწოდების ჩემივე ლექსი უძღოდა, რომლის არცერთი სტრიქონი აღარ მახსოვს".*

ამ ჟურნალის ორივე ნომერი (№1–1945. იანვარი და №2–1945. თებერვალი), რომელთა ყდაზე პეტრე გრუზინსკის მოთხოვნით ხელი მოაწერეს ავტორებმა (მარი აბრამიშვილი, იაკობ ბალახაშვილი, პეტრე გრუზინსკი, ვახტანგ კეკელიძე, შალვა მჭედლიშვილი, თამარ შანშიაშვილი) დაპატიმრებულებს შინსახკომში დაუხვდათ.

როცა 1991 წელს საშუალება მომეცა და ლიტერატურის მუზეუმში, როგორც აღმოჩნდა, მცირე ხნით გადატანილი რეპრესირებულ ქართველ მწერალთა საგამოძიებო 50-მდე ტომთან ერთად ჟურნალ „ანათემას" ორი ნომერიც ვნახე და მრავალი დაპატიმრებული ლექსიც, რამდენიმე, მხატვრულადაც საინტერესო და პოლიტიკურადაც გაბედული ლექსი ამოვწერე

და აეტორებს მივართვი. დაკარგული შვილების ნახვასავით (მათი სიტყვებია) გაეხარდათ მარისა და შალვას. იმ ლექსების დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ მარი დაწერს: *ალარც მახსოვდათ...*[11]

ამონაწერი ნინო დიმიტრის ასული ყარანგოზაშვილი-ავალიშვილის დაკითხვის ოქმებიდან (დაიბადა 1881 წელს. დაპატიმრებისას, 1946. 2. IX, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმის მწარმოებელი; საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი, ინახავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არქივსა და ბეჭედს, მის ბინაში იმართებოდა თათბირები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით):

„მე პირდაპირ უნდა განვუცხადო გამოძიებას, რომ მე მინდოდა და ვოცნებობდი საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას საქართველოს საზღვრებს გარეთ, ვინაიდან საომარ მოქმედებათა გადატანა საქართველოს ტერიტორიაზე იწვევდა ერის განადგურების შიშს“.

„ვაცხადებ, რომ ვფიქრობდი: რაშე დროზე მაინც შესრულდებოდა ჩვენი იდეა – საქართველოს ჩამოშორება რუსეთთან, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა“.

„ვიმეორებ, რომ ვარ ნაციონალისტი, მინდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო“.[12]

ნინო ყარანგოზაშვილს 10 წელი მიუსაჯეს 1947 წელს.

თავი XII.
სტალინის შემდეგ

საქართველოსთვის, საქართველოსთვის,
საქართველოსთვის ბიჭებო სწორდით!
ტარიელ ჭანტურია

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკურ ამინდში ერთგვარად კი დათბა, მაგრამ წარმოშობით ქართველი ბელადის სიძულვილის მთელ საქართველოზე გადმოტანამ საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის ავი ზრახვების სინამდვილედ ქცევის საშიშროების წინაშე დაგვაყენა -- ნ. ხრუშჩოვის განზრახვაზე -- ქართველები გაესახლებინა -- ინტერვიუში საქართველოს უშიშროების თანამშრომელმა გიგი სვანიძემ ასე თქვა: „ასეთი ინფორმაცია იყო, მაგრამ სატვირთო მანქანები არ შემოსულან" (გაზეთი „ახალი თაობა", 1999. 5. VII).

ამ ახალ ლიდერს და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ სტალინი ქართველებს იცავდა და იფარავდა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, საქმე პირიქით იყო. აი, ისე, გალაკტიონ ტაბიძემ რომ დაგვისურათხატა:

ტრფობას სამშობლოსადმი

გულში ვინ ამოშლიდა,
რომ არა სჩანს ქართველი,
ნეტა ვინ ამოჟლიტა?
სისხლის ღვარი ამდენი
ნეტა ვინ დააყენა,
ჭირი სხვადასხვაგვარი
კარზე ვინ მოგვაყენა?
არე მათი ცხედრებით
ნეტა ვინ გადაფარა?
ვინ წაართვა სამარე,
ბნელს ვინ გადააბარა?
რატომ, რისთვის მითხარი,
აქ ვინ რა დააშავა?
მიწა რამ გააწითლა,
ზეცა რამ გააშავა?
წინ მიმქროლი ძერანი
ამ გზად ვინ შეაყენა

და აქამდე ნათელი
დიდი გზა ვინ გაჰყინა?
ვინ სად გადაასახლეს?
სიბნელეევ რა დაგარქვა,
ცხრა მთას იქით ეს ხალხი
ნეტა ვინ გადაჰკარგა?
კაცი, ვისაც სიმტკიცით
ვერავინ გადახრიდა,
ვინ, რომელი იუდა
კაცის ხელმა დახვრიტა?
წყლული ვით მოშუშდება
საამო მოშუშებით.
მწერლობა, ოჯახები
აივსო ჯაშუშებით
ვინ არის, რომ ამდენი
სისხლი რომ დააქცია?
ვინ არის, რომ ედემი
უდაბნოდ რომ აქცია?
სტალინია – სამშობლო
სისხლისფერად მოხატა,
სტალინია – ქართველ ერს
სული რომ ამოხადა.

ზემოხსენებულ შიშს ის აძლიერებდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისა და ხალხების მიმართ ასეთი მოპყრობა მათ გარუსებაზე მეოცნებე რუსული სახელმწიფოს ხელმძღვანელებისთვის, იმავე სტალინისთვის, უცხო არ იყო, ხოლო ხრუშჩოვი ამ ასიმილაცია-გარუსებაში სულსწრაფობას რომ იჩენდა, მისი დამქაშებისა და ლაქიების წამოწყებულ ყველასა და ყველაფერში, მათ შორის მწერლობაში, რუსულ ენაზე გადასვლის დაჩქარების კამპანიას. ე წ. აგაევშჩინას რომ აქეზებდა, ეს საქვეყნოდაა ცნობილი

ძველმა ტკივილებმა, აგრეთვე ზემოხსენებულმა მიზეზებმა და, ბოლოს, ხრუშჩოვის მონდომებამ მსოფლიოსთვის ეჩვენებინა საბჭოთა კავშირში დემოკრატიას ვამყარებთ და ამის დასამტკიცებლად პოლიტიკური რეპრესიების შერბილებამ კომუნისტური რეჟიმისადმი დაუძირწალებლობის, დისიდენტობის მძლავრი ალიძრაობა გამოიწვია

ამის მაგალითი იყო სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე, 1956 წლის 5 9 მარტს თბილისში ქართველი ერის

არსებობისა და ღირსების დასაცავად გამართული საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში არნახული მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები და დემონსტრაციები.

ამ მოძრაობაში მაშინაც და შემდეგომ წლებშიც ჩაბმული იყო მრავალი ქართველი, საქართველოს ბევრი ქალაქი.

ყველაფერ ამის შესახებ ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ საზოგადოება „მემორიალის“ საარქივო კომისიაში (ხელმძღვანელი – გურამ სოსელია). აქ კი დისიდენტთა ვრცელი სიიდან წარმოგიდგენთ ზოგიერთებს, ვისაც, როგორც პოლიტიკურ პატიმრებს, სასჯელს ჩეკას ციხეებსა და მკაცრი რეჟიმის ბანაკებში ახდევინებდნენ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ:

ამირან აფციაური	ვაჟა ულენტი
გივი ბარამიძე	ვიქტორ რცხილაძე
გიორგი ბატიაშვილი	ნიკოლოზ სამხარაძე
ეკატერინე ბებია	პაპლეტ სანაია
დავით ბერძენიშვილი	გიორგი სარალიძე
ლევან ბერძენიშვილი	კუკური სორდია
იური ბიბილეიშვილი	ვალენტინა ფაილოძე
ზვიად გამსახურდია	ნიკოლოზ ფარცვანია
გურამ გოგბაიძე	ირინდი ფაჩულია
სულიკო გოგია	მიხეილ ფიცხელაური
ზურაბ გრიგალაშვილი	გიორგი ფიცხელაური
თენგიზ გუდავა	ზაურ ქობალია
გრიგოლ დვალი	ინდიკო ქობალია
ენრიკო თვალაძე	ტარიელ ღვინიაშვილი
ავთანდილ იმნაძე	მიხეილ ყიფიანი
ნანა კაკაბაძე	ლუიზა შაკიაშვილი
ედემ კვირტია	ვახტანგ შოთია
მერაბ კოსტავა	ვალტერ შურდაია
ივანე კუხიანიძე	თამარ ჩხეიძე
ზაქარია ლაშქარაშვილი	ზურაბ ცინცაძე
გურამ მაკალათია	ვახტანგ ძაბირაძე
პეტრე მეუნარგია	ირაკლი წერეთელი
ალექსანდრე მირიანაშვილი	გიორგი ჭანტურია
გელა ნიკოლაიშვილი	თეიმურაზ ჭანტურიშვილი
ამბერკი პაიჭაძე	ვახტანგ ჭითავა

აქ ნახსენებმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ინტერესების დაცვაში თავისი წვლილი მოწაფეობიდანვე შეიტანა, როცა ის და მისი ჯგუფი, ასევე მოსწავლეები (მერაბ კოსტავა, ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ გუნჯუა, ანატოლი მიქაძე, ჯონდო მეტრეველი და თემურ ცერცვაძე) 1956 წლის მარტს დამოუკიდებლობის მომთხოვნი პროკლამაციით გამოეხმაურა.

უშიშროება ენერგიასა და გამომგონებლობას შემდეგ წლებშიც არ აკლებდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დევნას. ერთი ასეთი მაგალითი იყო საქართველოს მწერალთა კავშირიდან მისი გარიცხვა. ახლა სწორედ ამ აქციის სტენოგრამას გაეცნობით:

„სტენოგრაფიული ანგარიში

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა,

1977 წლის 1 აპრილი, თავმჯდომარეობს **გრიგოლ აბაშიძე**.

თავმჯდომარე: – ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთი ისეთი საკითხის განსახილველად, რომელზედაც, ალბათ, ეს დღეები ყველა თვენგანი ფიქრობს.

თქვენ ყველა გაეცანით ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ჩვენი კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას გარშემო.

ჩვენ, ყველანი, ბევრის მომსწრე ვართ, ბევრის მნახველნი, მაგრამ დიდი ხანია ასეთი უსიამოვნო შემთხვევა არა გვქონია მას შემდეგ, რაც სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში ასეთი ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა და ასეთი წარმატება აქვს საბჭოთა ქვეყანას, მთელი საბჭოთა მწერლობა დარაზმულია ჩვენი პარტიის ირგვლივ და არ ყოფილა რაიმე ფაქტი რომელიმე ქართველი მწერლის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შესახებ. უფრო მეტი კიდევ, ისეთი დიდი მწერალი ჩვენი დროისა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ, რომელმაც ასეთი რთული გზა გაიარა, სრულიად დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დაწერა ჩვენი დროისათვის სრულიად მოსაწონი ნაწარმოებები, დაწერა რომანი „მთვარის მოტაცება“, მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებიც იდგა საბჭოთა პოზიციებზე და ის მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა

ჩვენი ქვეყნის საქმეს, მოგეხსენებათ, ბოლოს კონსტანტინე გამსახურდია ლენინური ორდენის კავალერიც გახლდათ და მრავალი ჯილდოსა და სახელმწიფო პრემიის მფლობელი.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ დღევანდელი ჩვენი სხდომა ეხება ზვიად გამსახურდიას. ჩვენი კავშირის წევრს. თქვენ იცნობთ გაზეთის მასალას. დღესაც ბლომად არის გამოქვეყნებული მასალა. ეს დღეები პრესა უთმობდა ადგილს იმ მასალებს, რომელიც ეხებოდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას.

ჩვენ მოგვმართა რესპუბლიკის პროკურატურამ „სათანადო რეაგირებისათვის გეგზავნებათ... (კითხულობს)..." ეს მასალა მივიღეთ. პრეზიდიუმის წევრებმა გაიცნეს.

როგორც თქვენ ნახეთ და როგორც გაზეთები ადასტურებენ, ეს არის ანტისაბჭოთა პროპაგანდა. თქვენ მოგეხსენებათ მწერალთა კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც მწერალთა კავშირის წევრად ითვლებიან ისინი, ვინც მოლიანად დგანან საბჭოთა პოზიციებზე და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. თუ კაცი ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, ის თავის თავს აყენებს ამ ორგანიზაციის გარეშე. თუ ჩვენ გვაერთიანებს კომუნიზმის მშენებლობა და მისი აქტიური მშენებლები ვართ, ეს არის ჩვენი ხელის, ჩვენი მოწოდების ნაკარნახევი. და თუ კაცი იბრძვის ამის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავის თავს ჩვენი ორგანიზაციის გარეშე. ალბათ, ის თვითონ არ სთვლის თავს ჩვენი კავშირის წევრად.

აქ ბევრი მასალაა, მაგრამ მარტო ორს დავასახელებ ამ მასალიდან. ერთი გახლავთ „საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნებული პროკლამაცია, ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოსკოვში გაავრცელეს ფრანგმა და ნორვეგიელმა ტურისტებმა, რომლებიც ამის გამო დაპატიმრებული იყვნენ. ეს პროკლამაცია გადმობეჭდილია ამ „მოამბეში". მეორე, რამაც გული ატკინა ჩვენ ხალხს, ეს გახლავთ ფაშისტი გენერლის მაღლაკელიძის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული მასალა, სადაც ქება-დიდებაა იმ კაცისა, რომელიც მოუძღოდა ფაშისტურ ლეგიონს და რომელიც ვითომ საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

აი, მოკლედ, რაც მინდოდა მეთქვა.

ამხანაგები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და შემდეგ მოვუსმინოთ ზვიადს, როგორ გაიმართლებს თავს.

ძალიან საშწუხაროა ეს შემთხვევა, რადგან ჩვენ ასეთი შემთხვევა არასოდეს არ გვქონია, განსაკუთრებით ახლა, როცა რესპუბლიკას წარმატებები აქვს და როდესაც ედუარდი მოვიდა ხელმძღვანელობაში, კონსტანტინე ერთი პირველთაგანი მიესალმა მას, და კიდევ უფრო გასაკვირი და საშწუხაროა ეს შემთხვევა:

ზვიად გამსახურდია – რა იურიდიული საფუძველი აქვს ყველაფერ ამას, რით მტკიცდება?

თავმჯდომარე – პრესისა და პროკურატურის მასალით.

ზვიად გამსახურდია – იმ პროკურატურას რა იურიდიული საფუძველი აქვს? თქვენ საბუთებს არ გაცნობდნენ?

თავმჯდომარე – გამოიგზავნა ეს მასალა, პროკურატურა სთვლის, რომ მასალა არის საკმარისი. აი, რას იწერება... „რომლებიც დაბეჭდილია და გავრცელებულია მწერალთა კავშირის წევრის ზვიად გამსახურდიას მიერ არაოფიციალურ ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“.

ზვიად გამსახურდია – ის მთვლის მე რედაქტორად? მე ხომ ხელს არ ვაწერ, მე არა ვარ რედაქტორი.

თავმჯდომარე – მაგაზე თქვენ მიმართეთ პროკურატურას. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ მასალას, რომელიც გაზეთშია.

ზვიად გამსახურდია – გაზეთში ყველაფერი სიმართლეა?

თავმჯდომარე – ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმართლეა ზვიად! - არავის არ აინტერესებდა თქვენი გალანძღვა. გთხოვთ ამხანაგებო, გამოთქვით აზრი.

– ნოდარ, ხომ არ დაიწყებთ?!

ნოდარ დუმბაძე -- ჩვენ გაეცანით მასალას, რომელიც დაბეჭდილია არალეგალურ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. კიდევ გაეცანით ჟურნალების წყებას, რომელსაც „ოქროს საწმისი“ ჰქვია.

პირადად მე, როდესაც წავიკითხე „ოქროს საწმისი“, ის არ მომეჩვენა სერიოზულ ჟურნალად, რადგან მასში ფრიად სუსტი და დაბალი გემოვნების ნაწარმოებები ქვეყნდება და როდესაც გაეცანი იმ მასალას, რომელიც მოგვაწოდა ჩვენ პროკურატურამ, სადაც გამოქვეყნებულია ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, როდესაც წავიკითხე გენერალ მაღლაკელიძის ბიოგრაფია, რომელიც თურმე თანამშრომლობდა ჰიტლერთან, რომლის შთამომავალმა,

რომლის შვილიშვილმა ისახელა თავი ვიეტნამის ომში იმით, რომ ჟლეტდა ვიეტნამში ხალხს და ამ ბიოგრაფიაში სწერია, ქართველი ხალხის სახელით ვიღაც პირდება, რომ ამ დიდი სამსახურისათვის ქართველი ხალხი მას არ დაივიწყებს, – მე მიმაჩნია, რომ ამ ჟურნალის ხელმძღვანელი ან ავტორი ამ მასალისა არ არის ღირსი მწერალთა კავშირის წევრობისა და პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისათვის და კომუნისტისათვის მიუღებელია.

თავმჯდომარე – გიორგი!

გიორგი ციციშვილი – მე ჩემი მეგობრებისათვის არ მითქვამს, საერთოდ არ ვლაპარაკობდი, რომ ძალიან მძიმე წლები გავიარე ომში და არა იმიტომ, რომ დაჭრილი ვიყავი და ბრმა, არამედ ვნახე საშინელებანი, რომლებიც ჩემს თვალწინ ტრიალებდა. ჩვენი პროპაგანდა თავის დროზე კი არ აჭარბებდა, არამედ სუსტი იყო, რომ არ აჩვენა მთელი ის საშინელება, რაც ფაშიზმს მოჰყვებოდა.

მე ვნახე ხალხი დახოცილი „დუშეგუბკებში" მანქანებით დატვირთული რომ გამოყავდათ, მე ვნახე ორი შერყეული კაცი ნარვასთან, რომელთაც ტკინში რაღაცას უშხაპუნებდნენ და რამდენი საშინელება. და მე ეს საშინელებანი რომ ვნახე და გავიცანი ფაშიზმის არსი, ჩემთვის შეურაცხმყოფელია ყველაფერი ის, რასაც შეუძლია ფაშიზმის რეაბილიტირება.

მე საშინლად ამაღელვა იმან, მაღლაკელიძე აქციეთ ეროვნულ გმირად, მე არა ერთი პროკლამაცია ჩამვარდნია ხელში, მე შტაბში ვმუშაობდი და ბევრი მოჰქონდათ ასეთი პროკლამაციები, ის პროკლამაციები ბევრი მინახავს შტაბში. მაგრამ იმ პროკლამაციამ, რომელიც ამ არალეგალურ ჟურნალშია დაბეჭდილი, საშინლად ამაღელვა იმიტომ, რომ ქართველ ახალგაზრდობაში აღძრავს ეჭვს, ქართველ ახალგაზრდებს ეჭვს უღვიძებს და ამ პროკლამაციამ შეიძლება მოწამლოს ქართველი ახალგაზრდობა. ზვიადმა ბრძანა, რომ ამისი რედაქტორი არა ვარო და ჩვენ ყველამ ვიცით, და ისეთი ავტორიტეტული ორგანი წერს, როგორიც არის პროკურატურა.

ჩვენ წავიკითხეთ ეს მასალა, თმები ყალყზე დაგვიდგა, განსაკუთრებით ეს პროკლამაცია, წარმოუდგენელია 1977 წელს ასეთი პროკლამაცია ვინმემ შეთხზას ან გადმობეჭდოს.

მან ამრიგად შეურაცხყო ქართველი მწერლის სახელი, რამდენადაც ის დაკავშირებულია ამ დოკუმენტთან, ყველამ

ვიცით, რომ ეს ამასთან არის დაკავშირებული. მე მიმაჩნია, რომ, რა თქმა უნდა, ზვიადი არ შეიძლება იყოს კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – იოსებ!

იოსებ ნონეშვილი – მე საომარ ომის მონაწილე გახლავართ, ომ ოთობას ვეკუთვნი და არა მარტო ჩემი ოთობისათვის, არამედ ყველა ოთობისათვის ცნობილია, რა საშინელებაა ფაშიზმი. კაცობრიობის ყველა გონიერ ადამიანს ფაშიზმი ძაგს და ახლა ფაშიზმზე ლაპარაკი, ფაშისტი გენერლის ეროვნულ გმირად გამოყვანა ჩემთვის წარმოუდგენელია.

მე მიჭირს როცა ამას ვლაპარაკობ, როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ვამაყობ კონსტანტინე გამსახურდიათი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ფაქტია ეს პროკლამაცია, ამ ფაშისტი გენერლის ასე ეროვნულ გმირად გამოცხადება. მაგრამ, რაც მთავარია, ზვიადი ბრძანებს, რომ ჩემი დაწერილი არ არისო და ჩვენი პრეზიდიუმის წევრებს სხვა წყარო არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რასაც პროკურატურა გვწერს, რაც პრესაშია, ის, რაც დღეს „ლიტერატურულ საქართველოშია" დაბეჭდილი. მე ამაღელვა საქართველოს პატრიარქის წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოშია" დაბეჭდილი. ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც, რომ მათ შეისწავლეს და გვწერენ და თუკი ის შემდეგ დაადასტურებს, დაარწმუნებს პროკურატურას (ეს არ არის ამ საქმეში), ჩვენ ყველანი გახარებული ვიქნებით და ამოვისუნთქავთ, რომ ამ საქმეში მას მონაწილეობა არ მიუღია - არც ფაშისტი გენერლის ქებასა და არც პროკლამაციის შედგენაში.

მაგრამ ჯერჯერობით ეკლესია, პროკურატურა გვიმტკიცებს და როგორც წესდებაშია – მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას ჩვენს, საბჭოთა პოზიციაზე.

ამიტომ, მე, როგორც სხვებმა ბრძანეს, მიმაჩნია, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს ის, ვინც პროკლამაციას ავრცელებს და ფაშისტ გენერალს აქებს.

თავმჯდომარე – მორის!

მორის ფოცხიშვილი – შეიძლება გამეორება მომიხდეს იმისა, რაც უკვე ითქვა. ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენს წრეში, მწერალთა რიგებში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ასეთ მიმართულებას მოუნახავდა ფაშისტი გენერლის მოქმედებას. ამიტომ შეშფოთებული ვარ. და თუკი ეს დადასტურდება, რომ როგორმე

ვინმე მხარს უჭერდა ამ წერილებს, ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი, თუ ეს მისი ხელიდან არის გამოსული, ის არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – კარლო!

კარლო კალაძე – მე მინდა განვაცხადო, რომ სხვებთან ერთად უახლოესი, უერთგულესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო ჩემთვის კონსტანტინე გამსახურდია და არის.

ახლა, დღეს მე ძალიან ძნელ მდგომარეობაში ვარ. მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩვენ ზვიადმა. არა მარტო თავისი თავი ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში, უპირველეს ყოვლისა თავისი თავი, მაგრამ უკიდურესად ძნელ მდგომარეობაში ჩამაყენა მე და ყველა მწერალი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში, თითქმის 40 წლის განმავლობაში როგორც კონსტანტინესთან, ისე ამ ოჯახთან ახლოს ვიდექით.

რასაკვირველია, მე ვეკუთვნი იმ ამხანაგებს, რომლებმაც (ჩვენ) კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟიშვილი მივიღეთ მწერალთა კავშირში. მეც მივეცი ხმა.

ახლა, ვინაიდან მწერალთა კავშირში ყოფნა ეს ნიშნავს, რომ იზიარებდე შენ იმ შეხედულებას, იმ მდგომარეობას, იდეურად იდგე იმათ გვერდით, ვინც ამ მწერალთა კავშირშია გაერთიანებული, და, როცა ადამიანი თავისი საქციელით უპირისპირდება მწერალთა კავშირს, მწერლობას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ, გარდა იმისა, რაც ჩვენ ამ დღეებში პრესაში წავიკითხეთ, მე მეტი არაფერი ვიცი. თუ კიდევ არის რამე, უნდა ვიცოდე ისიც, რაც პრეზიდიუმშია, ისიც უნდა ვიცოდე, მაგრამ რაც ოფიციალურად ჩვენს თვალწინ არის, მე ამისაც მჯერა.

რასაკვირველია, ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით... ჩვენ იმიტომ, რომ მწერალთა კავშირის ხმა – ეს არის ისტორიული სიტყვა ადამიანზე და მით უფრო ისეთ ადამიანზე, რომელიც შვილია კონსტანტინე გამსახურდიასი. და რასაკვირველია, ჩვენ ვიქნებოდით ბედნიერები, რომ ამ ამბავში დასაწყისშივე მიგვეღო მონაწილეობა, ეს მოხდა ჩვენს გარეშე. ჩვენ ახლა ვიხილავთ.

რაც წავიკითხე, რაც ზვიადს უთქვამს, დაუწერია, თუ მანქანაზე დაუბეჭდია, ამისი წინააღმდეგი ვარ და არასოდეს არ გვქონია ამის შესახებ ჩვენ საუბარი. მე ათასჯერ შევხვედრივარ და ჩვენ არ გვქონია ამის შესახებ საუბარი, მაგრამ ეს მისი თვისებაა – აფეთქებული ხასიათის კაცია.

ამიტომ მწერალთა კავშირის უმრავლესობის აზრს ვიზიარებ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება. ეს სცილდება ყოველგვარ საკითხს, ეს არის სამშობლოს საკითხი, ეს არის პატრიოტული სინდისის საკითხი, ეს არის თვით კონსტანტინესთან დამოკიდებულების საკითხი, რაც არ უნდა მძიმე იყოს, პასუხი უნდა აგოს ზვიადმა თავისთავის მაგივრად, ზვიადმა პასუხი უნდა აგოს კონსტანტინეს მაგივრადაც. ის უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით და რადგან არ ისურვა, მან უნდა მკაცრი პასუხი აგოს, და ის ამას შეურიგდა. მე მგონია, ჩვენთან ერთად მისი ყოფნა ძნელია და წარმოუდგენელი.

თავმჯდომარე – კიდევ ვის სურს გამოთქვას აზრი?

ალექსი გომიაშვილი – ვიდრე ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდე, მინდა შევეკითხო ზვიადს. ზვიადმა რეპლიკა ისროლა, ის არის მწერალთა კავშირის წევრი.

თქვენ განაცხადეთ – ამისი არც რედაქტორი ვარ და არც ავტორიო.

თუ თქვენ რედაქტორი არა ხართ და არც ავტორი, როგორც მწერალთა კავშირის წევრი როგორ უყურებთ ამ ორგანოს პოზიციას? რა პოზიცია გაქვთ ამ ორგანოსთან? – და თუ თქვენ მონაწილე ხართ ამ ყველაფრისა, და იმის შესახებ, რაც გაზეთში იყო გამოქვეყნებული, იმ სიტყვების შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის პროცესში მოისმინეთ – რა აზრი დაგებადათ და რა მოსაზრება გაქვთ?

ზვიად გამსახურდია – მოკლედ მოგახსენებთ. სოლჟენიცინი რომ გარიცხეს კავშირიდან, საკუთარი ნაწარმოებებისათვის გარიცხეს. თქვენ მაგდებთ იმისთვის, რაც ჩემი არ არის, უმთავრესად ანტიფაშისტური პროკლამაციის და მაღლაკელიძის ბიოგრაფიისათვის, რომლებიც ჩემი არ არის, ჩემი დაწერილი არ არის. მე არ ვაწერ ხელს. მე ვაგებ პასუხს მხოლოდ იმაზე, რასაც მე ვწერ და ხელს ვაწერ. ეს რომ იყოს ჩემი ჟურნალი, მაშინ მოვაწერდი ხელს. შეიძლება ბევრ რამეს არ ვიზიარებ. ის პროკლამაცია ჩემთვის უცხოა. თუ არის ამ ჟურნალში რაიმე დოკუმენტური მასალა, ამას ვიზიარებ. აქ ცდილობენ გაცილებით მეტი დამაბრალონ მე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. პრესაც ამას ცდილობს.

ალექსი გომიაშვილი – მე მგონია ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი წესდება, რასაც გვეუბნება, ჩვენი ვალდებულებაა, მწერალთა კავშირის წევრები უნდა ვიყოთ

საბჭოთა პოზიციაზე და ვამარილებდეთ წესდებას, ვინც ამ წესდებას არ იზიარებს, ვინც ამ პოზიციაზე არ არის, ის მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს.

თავმჯდომარე – ვის სურს გამოთქვას აზრი?

ვანო თარბა – მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ, როგორც ყველა. მე მინდა დავიწყო კარლო კალაძის სიტყვით. კონსტანტინე გამსახურდია ჩემთვის იყო ღმერთი, უდიდესი ქართველი კაცი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და ძმა, როცა მამაჩემი მოკვდა, სპეციალურად ჩამოვიდა ოჩამჩირეში, ჩემს სახლში იყო და ძალიან ახლობელი კაცი იყო ჩემთვის და დღეს ჩემთვის ეს საკითხი ძალიან მძიმეა, მძიმე მდგომარეოაში ვარ, ისე როგორც ყველა თქვენ, სადღაც მე უფრო მეტადაც.

არ ვიცი, თუ ზვიადი დაამტკიცებს, რომ არაფერ შუაშია... ხდება განა, რომ ჩვენს პრესაში ასეთი მასალა იყოს მოთავსებული და არ იყოს სწორი? იმ მასალების მიხედვით ზვიადს, გაუჭირდება ჩვენს რიგებში, მწერლთა კავშირის რიგებში დარჩენა.

თავმჯდომარე – გიორგი!

გიორგი ნატროშვილი – ვანომ თქვა, რაც ყველა ჩვენგანის საწუხარია. გარდა ამისა, ჩვენი პრესა, ეს უცხოური გადმოცემები, ეს მასალა, ესენი ყველაფერი – როგორ შეიძლება?! ვუერთდები აქ გამოსულ ამხანაგებს.

თავმჯდომარე – ელგუჯა!

ელგუჯა მაღრაძე – ამხანაგებმა თქვეს უკვე გარკვევით, ჩემთვისაც ბატონი კონსტანტინე იყო ხატი, მამული'შვილობის, ვაჟკაცობის, დიდი მწერლობის და ყველაფრის იდეალი. ყველა იმის, რომელმაც (მე ასე მიმაჩნია) ქართველ ერს შეუქმნა სიტყვაკაზმული მწერლობა. შეაყვარა საკ'მობლო, თავისი ხალხი – ვისაც მისი წიგნები წაკითხული აქვს და სხვა ერის შვილებსაც კი შეაყვარა საქართველო. ჩემთვის დღევანდელი გამოსვლაც, ეს ლაპარაკიც ძალიან ძნელია, ეს კაცი ჩვენს ხელ'ში გაიზარდა.

მე მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდია არის მსხვერპლი იმ განუკითხაობისა, რაც 20 წლის განმავლობა'ში გრძელდებოდა ჩვენს რესპუბლიკა'ში, რასაც 20 წლის განმავლობა'ში ვერ ვებრძოდით და როცა მან პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ, ჩვენ პასუხისმგებლები ვართ და დამნაშავე ვართ, რომ თავის დროზე არ მივუთითეთ და არ ვუთხარით, რომ ეს მცდარი გზაა.

ჩვენს ორგანიზაციას რომ უფრო მეტი ფხა, უფრო მეტი ვაუკაცობა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა, მიეთითებინა მისთვის (თითქმის ყველას შვილეულ ასაკად გვეკუთვნის). ჩვენ შეგვეძლო მისი მობრუნება, აღზრდა, გვეთქვა, რომ ეს არის მცდარი გზა, მაგრამ ჩვენს მწერალთა კავშირში იმ 20 წლის მანძილზე იყო დანერგილი ის, რომ ექსცესებითა და ჩხუბით ვინც გადიოდა, ჩვენ ამას ვუწყობდით ხელს, ვაქებდით. ამანაც თავისი დაღი დაასვა. ჩვენ რომ თავის დროზე აგველაგმა ის, ვინც ექსცესებით იკაფავდა გზას, საქმე აქამდე არ მივიდოდა.

ახლა ის დაპირისპირებული აღმოჩნდა ჩვენთან, ყველა ჩვენთაგანთან და წესდებასთან. მისი საქციელი და მოქმედება დასაგმობია და ამდენად მწერალთა კავშირის რიგებში რომ დარჩეს, ძნელია.

თავმჯდომარე – ხუტა!

ხუტა ბერულავა – მწერალთა კავშირი – ეს არის თანამოაზრეთა კავშირი, როგორც ამას ჩვენი წესდება ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ეს მოქმედებაც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლების სახელთან.

მე მინდა დავეთანხმო ზოგიერთი აქხანაგის წინადადებას, რადგან ზვიად გამსახურდია აცხადებს, რომ ეს მას არ ეკუთვნის, რომ ეს მისი ხელმძღვანელობით, თუ მონაწილეობით არ გაკეთებულა (გვითხრას ვისია) და თუკი ეს ასეა, ერთხელ კიდევ შეეცადოთ, იქნებ აღმოვაჩინოთ.

თავმჯდომარე – ამაზე რომ არ იყოს ლაპარაკი, მოგახსენებთ: ის, რაც პრესაში დაბეჭდილი და აქ მოტანილია, ეს დადასტურებულია და არავის არ უნდოდა ამის გამოგონება და შეთხზვა. ეს არის დადასტურებული და დამტკიცებული და იმიტომ არის გამოტანილი. ვიდრე ბოლომდე არ იყო დამტკიცებული, არ გამოუტანიათ. ზვიადს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი. ის, რაც არის – დამტკიცებულია და ამას ნუ გაკვდით სადავოდ. ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ფაქტიური მასალაა. ხომ არ შეიძლება გაზეთი „კომუნისტი", „თბილისი", „ახალგაზრდა კომუნისტი", „ლიტერატურული გაზეთი" ტყუილს სწერდეს?!

ხუტა ბერულავა - ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ უფლება სული აუმღვრიოს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ჩვენ, შემოქმედებითმა მუშაკებმა უნდა აღვზარდოთ კომუნისტურ იდეალებზე და კომუნისტური

სულისკვეთებით და ამ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია ძალიან მაღალ და წმინდა საქმეებზე, აქ დათმობა არ შეიძლება.

მე ვუერთდები ამხანაგების აზრს – საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში არ შეიძლება, რომ ასეთი კაცი იყოს.

თავმჯდომარე – კიდევ?

ვახტანგ ჭელიძე – ჩემთვის ცოტა ძნელია ლაპარაკი იმიტომ, რომ თვითონ ზვიადთან არ მქონდა კეთილი ურთიერთობა, მაგრამ უნდა გამოვთქვა აზრი, იმის შემდეგ, რა საბუთებსაც ჩვენ გავეცანით – იმ პროკლამაციას, ფაშიზმის რეაბილიტაციის ცდას, – წესდება არ გვაძლევს უფლებას, რომ ჩვენს რიგებში იყოს და ვუერთდები საერთო აზრს – ასეთი ადამიანები არ უნდა იყოს მწერალთა კავშირის რიგებში.

თავმჯდომარე – სერგი!

სერგი ჭილაია – მე სხვა მასალას არ ვიცნობ, რაც გაზეთშია, იმასაც ვიცნობ და მე მიმაჩნია – საბჭოთა პრესაში მოყვანილი ფაქტები და მასალა ისეთ შეუვალ სურათის ქმნის, რომ აქ ორი აზრი არსებობდეს, შეუძლებელია.

ჩემთვის ყველაზე უფრო სამძიმოა ეს იმიტომ, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს – „თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, ჩემთვის დიდ მწერლობასთან წილნაყრობა არ შეიძლებოდა“. ესა აქვს ნათქვამი მას და ასე არის ნამდვილად – დიდ ოსტატად ის ჩვენმა სინამდვილემ აქცია და ამიტომაც ჩვენი სინამდვილის გულწრფელი მომღერალი იყო.

მით უფრო სამწუხაროა ამ დიდი ქართველი კაცის, ამ დიდი ოსტატის, ჩვენი ამ დიდ ლიტერატურულ ბრძოლებში ჩვენი მეგობრის შვილის საკითხს რომ ვიხილავთ – იყოს თუ არა ის ჩვენს რიგებში. დიდად გული მტკივა, მიშძიმს ამის წარმოდგენა იმიტომ, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიამ რაღაც საოცრად რთული გზა გაიარა და ეს განაცხადა. ამის დამადასტურებელია მისი ნათელი შემოქმედება, რომელიც მისი ხელიდან არის გამოსული.

ამიტომ მე ვიმეორებ და ვეთანხმები ამხანაგების აზრს, მაგრამ აქ ჩვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა განაცხადა „თუ ეს ასეა“ (მორის ფოცხიშვილზეა საუბარი) და როგორღაც ეჭვქვეშ დააყენა საკითხი, მე ვფიქრობ, საკითხი ისე უნდა გამოგეტანათ, რომ არ ყოფილიყო ეს „თუ ეს ასეა“. ეს იმ ტკივილებს კიდევ ერთ ტკივილს უმატებს. მე მომეწონა, ბატონმა ალექსიმ რომ პირდაპირ მიმართა კითხვით. ზვიადმა არ უპასუხა; უპასუხეთ

ბოლომდე, ჩვენ რომ შეგვეძლოს ნათელი დამოკიდებულება გვქონდეს საკითხთან.

ვიმეორებ, მე იმ მასალას ვიცნობ, რაც პრესაშია და აქ ისეთი ფაქტებია, რომ ამიტომ ამხანაგების იმ წინადადებას ვუერთდები, მაგრამ მაინც მოვითხოვ „თუ ეს ასეა" და სხვა – ამ კითხვებზე პასუხი იყოს.

მორის ფოცხიშვილი – ბატონო სერგო, ზვიადმა რომ სთქვა, მე ხელს არ ვაწერ, მე არ ვარ ავტორი, ამან დაბადა ეს აზრი.

ისე, თქვენ თუ არ წაგიკითხავთ მასალა, აქ არის და წაიკითხეთ.

თავმჯდომარე – კიდევ?

რევაზ მარგიანი – ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მწერლობა. მე გავეცანი ამ მასალებს. თავისთავად ზვიადის საქციელი მეტყველებს, რომ ის არ იზიარებს ქართული საბჭოთა მწერლობის პოზიციებს და თვითონ ლაპარაკობს – არ არის საჭირო იყოს წევრი ამ კავშირისა.

თავმჯდომარე – ირაკლი, ხომ არ იტყოდით რამეს?

ირაკლი აბაშიძე – რამდენი ხანია, რაც მივიღეთ ზვიადი მწერალთა კავშირში?

ზვიად გამსახურდია – 1966 წლიდან.

თავმჯდომარე – 1968 წლიდან. აქ არის მასალა, ზვიად!

ირაკლი აბაშიძე – 1968 წლიდან მე არ მახსოვს, რომელიმე კაცის შესახებ გველაპარაკა და მათ შორის პირველ რიგში, რასაკვირველია, უმძიმესია ვილაპარაკო კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის წევრების შესახებ.

თავმჯდომარე – უკაცრავად, 1965 წელს მიგვიღია წევრად.

ირაკლი აბაშიძე – რა მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამხანაგებო, უნდა ვთქვათ – საბჭოთა მწერალს არ შეიძლება სხვა რაიმე აზრი ჰქონდეს. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ჩვენს წესდებას იცნობს, მათ შორის რასაკვირველია, ზვიადიც იცნობს.

რასაკვირველია, არ შეიძლება, თუ ეს ყველაფერი ვიცით, რაც ვიცით ჩვენ... (მე ახლა ავად ვიყავი და ყველაფერი ვერ წავიკითხე).

თქვენ აქ დაგიძახეს იმიტომ, რომ სოქვათ...

ზვიად გამსახურდია – ბოლოს ვიტყვი.

ირაკლი აბაშიძე – სხვათა შორის, ბოლოს ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენ რას ვლაპარაკობთ?

ზვიად გამსახურდია – სასამართლოზე ჯერ ეკითხებიან

ბრალდებულს და შემდეგ გამოაქვთ განაჩენი.

ირაკლი აბაშიძე – თუ საჭიროა კენჭი ვუყაროთ, კენჭი იმიტომ, რომ ოქვენთვის გადაწყვეტილი, საკითხი ნათელია და მომხრე ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდია გაირიცხოს, მაგრამ ჩვენ, ალბათ, იმიტომ დავუძახეთ, რომ მას მოვუსმინოთ. ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ და მერე მოვუსმენთ?

11 წელია მწერალთა კავშირში გვყავს კაცი, ჩვენი დიდებისა და სიამაყის შვილი, ჩვენი ყველა ოჯახის შვილი. რა ვქენით, რა გავაკეთეთ?! ჩვენს თავზეც უნდა ვთქვათ და პირადად ჩემს თავზედაც – ვუთხარით მას რაიმე, გავაფრთხილეთ, დავუძახეთ? აი, მე რომ ირაკლი აბაშიძე ვარ – რა გავაკეთე. 1966 წელს მიგვიღია წევრად. ეგ დაჭერილი იყო ერთხელ, მეც მოვეხმარე, ჩვენს თვალწინ უთხრა კონსტანტინე გამსახურდიამ, მოგკლავო, თუკი გაიმეორებო. მერე რა მოხდა, დავუძახეთ, ვალაპარაკეთ, თუ რა ვქენით?! ასე არ არის სულ, ჩვენ რომ გვთხოვენ პასუხს და მოგვკითხავენ და სავსებით მართალი იქნება. ასე კი არ არის – აუწევთ ხელს. ეს იშხელა დიდი მოვლენაა, რომ არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა. თქვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ეს კაცი ამბობს – მე არა ვარ რედაქტორი. ჩემი ხელმოწერა არ არის, ეკითხოთ რაშია საქმე.

რა არის, დაგვეძახებინა, ერთხელ გაგვეფრთხილებინა, მეორედაც უნდა გვემუშავა.

მე ცოტა მკაცრად გამოვდივარ, ავად ვარ – მე ჩემს შესახებაც ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ძმად მიმაჩნდა კონსტანტინე და მეგობრად მისი ოჯახი. ამ ბოლო ხანებში ხუთჯერ ვიყავით და დღე არ იყო, რომ არ დაერეკა ჩემთვის და გიორგი ნატროშვილისათვის. ჩვენ დამნაშავეები ვართ და ჩვენც მოგვთხოვენ პასუხს.

ხმები – სიჭვას.

ზვიად გამსახურდია – საერთოდ რა უნდა მოგახსენოთ. სასამართლო რომ სასამართლოა, მას თავისი წესი აქვს – საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში არსებობს იურისპრუდენცია, არსებობს კანონი. თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და ოქვენ რაც გინდათ ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ. არ შეიძლება, სანამ სასამართლო არ დაადგენს დანაშაულს, კაცი დაისაჯოს და იმის თქმა, რომ ეს სიმართლეა იმიტომ რომ

პრესა'მია. პრესას შეიძლება შეეშალოს. ვერც პრესა გასწევს სასამართლოობას და ვერც პროკურატურა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო აღარ იქნებოდა. პროკურატურა გამოსთქვამს თავის აზრს და მას რომ შეეძლოს გადაწყვეტა, მაშინ სასამართლოც არ იქნებოდა საჭირო, მარტო პროკურატურის აზრი რომ იყოს კომპეტენტური, სასამართლო აღარ იარსებებდა. სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ დაადგინოს სიმართლე. ის სიმართლე, რომელსაც ვერ ადგენს პროკურატურა.

რატომ არსებობს სასამართლო და შეიძლება თუ არა ასე სროლა ადამიანის მიმართ ინსინუაციების და ყველაფერი ის, რასაც პრესა აკეთებს? ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება „სოვეტსკაია კულტურის" კორესპონდენტს, გადმოიგზავნება აქ და იბეჭდება. ან თუნდაც ის, რომ მე რადიო „სვობოდას" ვუგზავნი მასალებს, როგორ შეიძლება ასე დაბრალება? და რამდენი უნდა მოვთვალო?

აი, თვით აქ რაც წამძღვარებულია. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს ჟურნალი, ვის მიერ. მე ვწერ და ვაძლევ მეგობრებს. მე ვწერ და რასაც ხელს ვაწერ, სამწუხაროდ არ იბეჭდება. ცენზურა მკაცრია, ამიტომ გადავცემ ნაცნობ-მეგობრებს. მაგალითად, ძეგლთა დაცვის მდგომარეობაზე დავწერე, პრესის ყველა ორგანოს მივმართე, არ დამიბეჭდეს და შემდეგ გადავწყვიტე მიმეწოდებინა ხალხისათვის.

რაც შეეხება პროკლამაციას, არ მინახია, არც მითარგმნია და საერთოდ მე არ ვარ საბჭოთა წყობილების მტერი, არც მისი დამხობის მომხრე და არც არავის მოვუწოდებ ამისკენ, თუ მე რაიმეს ვწერ, ვაკრიტიკებ რომელიმე დაწესებულებას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მტერი.

ნუ აიღებთ თქვენს თავზე სასამართლოს ფუნქციას. მე ვიცი, თქვენ ეს დაგეგმილი გაქვთ და, რაც არ უნდა ვთქვა, თქვენ ვერაფერს შესცვლით, ეს გადაწყვეტილია, მაგრამ თქვენ სასამართლო არ ბრძანდებით, თქვენა ხართ მწერალთა წრე.

არავითარი მაღლაკელიძის შესახებ წერილის ავტორი მე არ ვარ. გადახედეთ და ნახავთ – არც ერთი სიტყვა ჩემი არ არის.

და, სხვათა შორის მაღლაკელიძის შესახებ უნდა მოგახსენოთ, – ის თქვენი „მერნის" კონსულტანტი იყო, თუ ის ფაშისტი გახლდათ, რატომ არ მოხვდა ნიუნბერგის პროცესში? იმიტომ, რომ სწორედ ის იყო ანტიჰიტლერელი, ანტიფაშისტი, უბრალოდ

სამხედრო. ის გახლდათ შელენბერგის დაჯგუფების წევრი, ანტიფაშისტი. მე არც ვიცნობდი და არც ვმეგობრობდი მაღლაკელიძეს, ის თქვენი გამომცემლობა „მერნის" თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში და ყველა თქვენთაგანს მასთან პური უჭამია და კარგი სიტყვა უთქვამს.

გიორგი ჟორჟოლიანი – მე არ ვარ მაგ წერილის ავტორიო.

ზვიად გამსახურდია -- თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მე ვარ მაგ წერილის ავტორი, ან ეს პროკლამაციაც ჩემი თარგმნილია... მე არ ვაწერ ხელს ჟურნალს, იმიტომ კი არა, რომ მეშინია, არა, მე არა ვარ მ'შიშარა. მე არ ვიცი სად გამოდის ჟურნალი. ამ ჟურნალ'ში ყველაფერი -- რაც ფაქტიური მასალაა – სიმართლეა და მე ამაზე ვაწერ ხელს.

გიორგი ციციშვილი – თქვენ ამბობთ, რომ არ იცით სად გამოდის, ვინ არის რედაქტორი და ხელმძღვანელი. გაქვთ თუ არა უფლება მწერალთა კავ'შირის წევრს ბეჭდოთ, გაუშვათ თუნდაც უწყინარი კორესპონდენცია იმ ჟურნალში, რომლის არც რედაქტორი იცით, არც შემდგენელი, არც ინიციატორი, არც ფასი აწერია და ის კი ნამდვილად იცით, რომ არალეგალური ჟურნალია. მე პირადად არც მინახია ეს ჟურნალი. ეს რომ ყოფილიყო დაბეჭდილი „ცისკარ'ში", „მნათობ'ში", გამოვიდოდი, შევაფასებდი.

რანაირად შეფასდება ეს თქვენი საქციელი ამ შემთხვევაში, როცა თქვენ ბეჭდავთ იმ ჟურნალში?

ზვიად გამსახურდია – ბატონო გიორგი, ეს ისეთი ჟურნალია, სადაც შეიძლება ხვალ თქვენი ნაწარმოებიც მოხვდეს. მე ჩემს ნაწარმოებებს ვუშვებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებში, ისეთებს, რომლებსაც მიბეჭდავს პრესა. იქ რედაქციაა და კანტორა კი არ არის, როგორც წერენ, არავითარი კანტორა არ არის. ეს გეშლებათ. ეს ყველაფერი დასადგენია და რაც განზრახული გაქვთ უკვე, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ.

თავმჯდომარე - ბატონო გიორგი!

გიორგი მერკვილაძე – ზვიადის გამოსვლამ ჩვენ მაინც ვერ დაგვარწმუნა, რომ მას არავითარი კავ'შირი არა აქვს. მაინც ფაქტებს თავისი ლოგიკა აქვს და არა მგონია, რომ თქვენ არ იცოდეთ ამ ჟურნალის ასავალ-დასავალი. ბოლოს და ბოლოს თქვენი ნების გარეშე როგორ იბეჭდება? თქვენ სრული უფლება გქონდათ პროტესტი გაგეცხადებინათ ოფიციალურად. როგორც ეს მოხდა მოსკოვის გაზეთებში და რაკი ეს ასე არ არის, თქვენ

თანამშრომლობთ ამ ჟურნალში და თანაუგრძნობთ ამ ჟურნალის პოზიციას.

კავშირის წევრად ყოფნა იმას ნიშნავს, რაც ევალება, უნდა დაიცვას, თქვენი პოზიცია ამას ეწინააღმდეგება. ბუნებრივად ისმება საკითხი, – თქვენი საქმიანობის შეფასება იმ მოვლენების გარეშე არ შეიძლება.

თქვენ თქვენი ნიჭით, თქვენი ოჯახის ტრადიციებით, რასაკვირველია, კავშირში უნდა იყოთ ჩვენთან და თქვენი პრაქტიკული საქმიანობა საწინააღმდეგოა ამისა, ამიტომ მეც მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ თქვენი კავშირში ყოფნა შეუთავსებელია კავშირის წევრის მოვალეობასთან.

თავმჯდომარე – გურამ!

გურამ ფანჯიკიძე – მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ველაპარაკებით, რადგან გვქონდა ძალიან დიდი ჩხუბი – ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე. ვინაიდან არ დავემსგავსო ჩასაფრებულ მტერს.

მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

ისე კი არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა. ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ.

თავმჯდომარე – ხომ არ სურს ვინმეს კიდევ გამოთქვას აზრი?

ხმები - ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, ყველამ!

თავმჯდომარე – არჩილ!

არჩილ სულაკაური – მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა. მე და ზვიადს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა უკვე დიდი ხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად არ ვკითხულობდი რასაც კი წერდა, მაგრამ ახლა რაღაცნაირად ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას, რომ პიროვნება უარყოფს, იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია...

ზვიად გამსახურდია – კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას ყველა ხედავს, მაგრამ ეს სად და როდის გამოიდის, მე არ ვიცი.

არჩილ სულაკაური – ისიც მართალია, რომ სასამართლომ

უნდა დაადგინოს. ზვიადი ისე უნდა მოსულიყო, რომ სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა ეს.

ისე, ვიზიარებ საერთო აზრს.

თამაზ ჭილაძე – ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

თავმჯდომარე – გურამ!

გურამ ასათიანი – ყველამ თქვა და მეც უნდა ვთქვა – ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მე არა მგონია, რომ ამ დარბაზში იყოს მწერალი, რომელიც პირად მტრად თვლიდეს ზვიად გამსახურდიას. მე ესეც მაწუხებს, მე მინდა ზვიადს მივმართო და თუ ის ობიექტურად შეაფასებს, ძნელია ასე დასცილდეს პირად განცდას.

მე მგონია ყველა, ვინც აქ არის, აბსოლუტური უმრავლესობა ისაა, რომელთაც ყველაზე მეტად იციან კონსტანტინე გამსახურდიას ფასი. უფრო მეტი, ეს ის ადამიანები არიან, არამარტო უფროსები, არამედ შუა თაობა, რომლებიც ზვიადის ოჯახს იცნობენ, მის ღვთისნიერ დედას, შესანიშნავ დას და გასაგები უნდა იყოს ჩვენი გრძნობები.

აქვე ითქვა და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ, რასაკვირველია, ჩვენი დღეანდელი საუბარი ნაგვიანევია. უნდა გვეცადა ყოველ ჩვენგანს (ჩემგან დავიწყებ), რომ ეს დღეს არ დამდგარიყო.

იმის მიხედვით, რაც მე მსმენია, რასაც გავეცანი გუშინ, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება – მე ვფიქრობ, ის გზა, რომელიც ზვიადმა აირჩია, მცდარია და სარისკო. ეს ის საქმიანობაა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მწარე შედეგები, ისეთი საკვალალო შედეგები, რომელსაც ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი ვერ გამოისყიდის. მე ასე მჯერა. ამის თქმის უფლებას მაძლევს გამოცდილება, რომელიც შეუძენია უფროსი თაობის მწერლებს, კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი თაობის მწერლებს.

საბოლოოდ გავიმეორებ, ის, რაც აქ ითქვა, – ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი პრინციპები, თავისი წესდება და თუ რომელიმე უპირისპირდება ამ პრინციპებს, ის აყენებს თავს ამ ორგანიზაციის გარეშე.

ზვიად გამსახურდიას ადგილზე მე პირადად უფრო ადრე დავწერდი განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოგვეყვანა კავშირიდან.

თავმჯდომარე – შემდეგ კიდევ ვის სურს გამოსთქვას აზრი?

კოსტა მარგიევი – მე ამ მასალებს არ ვიცნობ. ვიცნობ

მხოლოდ გაზეთში დაბეჭდილ მასალას. დღეს ვხედავ პირადად ამ შესანიშნავ ახალგაზრდას, მაგრამ მე თანახმა ვარ პრეზიდიუმის აზრისა.

თავმჯდომარე – ფრიდონ!

ფრიდონ ხალვაში – ამხანაგები გამოვიდნენ. მე ვეთანხმები ამხანაგების აზრს. სხვა მხრივ საქმის კურსში მე არ ვარ, გარდა იმისა, რაც პრესაში იყო და უმრავლესობის აზრს ვუჭერ მხარს.

თავმჯდომარე – რომან, თქვენ ხომ არ გნებავთ რამე?

რომან მიმინოშვილი – ძალიან ძნელია ლაპარაკი. გვიან შემოვედი. აქ რაზე იყო საუბარი, მე არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ვატყობ, პატივცემული ზვიადი უარყოფს იმას, რომ ეს გამოცემები მისი ინიციატივით ხდებოდა. პრესაში რაც გამოქვეყნდა მასალა, ეს მხოლოდ ნაწილია, რის საქმის კურსში შეიძლება იყოს განყოფილება.

აქ რომ მოვდიოდი, მე ზოგიერთი რამ მოვიტანე (გადასცემს გრიგოლ აბაშიძეს) და ზოგი რამ გამგეს აქვს. ეს არის „თავისუფლების ტრიბუნა", სადაც დაბეჭდილია ზვიად გამსახურდიას სიტყვა და აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნოველა და რამდენადაც მე ვიცი კონსტანტინე გამსახურდიას არქივზე არავის არ მიუწვდება ხელი.

თავმჯდომარე – ეს არის ემიგრანტული ჟურნალი?

რომან მიმინოშვილი – დიახ, ეს არის ემიგრანტული ჟურნალი, რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. წერეთელი, მ. ნოზაძე და ზვიად გამსახურდიას ღია წერილი პროფესორ ლენგს. ასევე ხვდება „თავისუფალ ხმაში" ყველაფერი. ვის მიაქვს მე არ ვიცი.

ზვიად გამსახურდია – ეს ჩემია, მე ვაწერ ამას ხელს. ეს წერილი მე გავუგზავნე დევიდ ლენგს.

რომან მიმინოშვილი – აი ეს ეროგვერდიანი ამონაწერი „საქართველოს მოამბიდან". აქ არის ჩამოთვლილი ის პირები, რომლებიც მოსკოვში ხელმძღვანელობენ ე. წ. ადამიანთა უფლებათა დაცვას და მათი წერილია, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიკოსი სახაროვი, ტვერდოკრედოვი და ჭელიძე და იტყობინებიან „საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებათა დაცვის ჯგუფი"... (კოთხულობს)... შემდეგ ამას მოსდევს ადამიანთა უფლებათა დაცვის საინფორმაციო ჯგუფი საქართველოში – „ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი ჩამოყალიბდა საქართველოში 1974 წელს ჯგუფი მიზნად

ისახაკს შეისწავლოს... (კითხულობს)... ჯგუფის წევრები. ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე" და სხვანი. „ოქროს საწმისის" შესახებაც იგივე მდგომარეობაა.

ზვიად გამსახურდია – რასაც მე ვაწერ ხელს, ის არის ჩემი, რაც შეეხება მაგ ჯგუფს – ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფს, საბჭოთა კავშირმა მოაწერა პირველად ხელი.

რომან მიმინოშვილი – ამ „ოქროს საწმისთან" დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, „ოქროს საწმისში" არის კონსტანტინე გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, საიდან ღებულობს რედაქცია?

ზვიად გამსახურდია – მთელს ქალაქში დადის ეს.

რომან მიმინოშვილი – აი, ეს არის ჩემი ინფორმაცია.

თავმჯდომარე – რეზო!

რევაზ ჯაფარიძე – მეგობრებო, ალბათ თვითოეული ჩვენგანი დათმობდა თავისი სიცოცხლის რამდენიმე წელს, რომ ეს ამბავი არ მოსწრებოდა. მე დავთმობდი რამდენიმე წელს, რომ არ მჭირდებოდეს აქ გამოსვლა. მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვიადი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე, ისიც ასე იტყოდა.

არსებობს წესდება და ფორმალური ლოგიკა მოითხოვს, როცა არ ეთანხმები ამ წესდებას, შენ თვითონ დასწერო განცხადება და არ ჩაგვაყენო ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში.

კარგი იყო, რომ ზვიადს ასე გაეკეთებინა და ძალიან ვწუხვარ, და იძულებული ვარ ყველა იმის გამო, რაც ჩვენთან არის აქ, მხარი დავუჭირო ამ წინადადებას.

თავმჯდომარე – მურმან!

მურმან ლებანიძე – გაოცებული ვარ იმ მდგომარეობით და გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული და დასამტკიცებელი ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატონი ზვიადი აცხადებს, არის თუ არა ის ყველა მასალის ორგანიზატორი, რედაქტორი და რედაქტორ-გამომცემელი.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, მე ოფიციალურად ვაცხადებ –. როცა ეს საკითხი დაისვა, ჩვენ გვითხრეს, რომ ყველაფერი დოკუმენტირებულია და ნუ გავხდით სადაოს, და თუკი ზვიადი დაამტკიცებს, ჩვენ არ გაგვიჭირდება სხვანაირად ვიმსჯელოთ.

მურმან ლებანიძე – მაინც ნუთუ ზვიადს არ დაუძახეს და

დღეს სალაპარაკო ხდება – არის თუ არა რედაქტორი. დღეს ზვიადი აქ უნდა მოსულიყო აბსოლუტურად განიარაღებული, აბსოლუტურად შემზადებული, რომ ეთქვა – კი ბატონო! ამის შემდეგ უნდა მოხდეს ზვიადის აღსარება და სად? – სხვაგან, ისე რომ ჩვენ არ გვეცოდინება.

თუ ის მარტო გურამ რჩეულიშვილის კეთილი მოსაგონარის ავტორია, მაშინ ულოგიკოა მისი გამორიცხვა. მაგრამ თუ ის ჟურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მაღლაკელიძის მოსაგონარია დაბეჭდილი, მაშინ მისთვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირიცხება.

თავმჯდომარე – კიდევ თუ დარჩა ვინმე?

შოთა ნიშნიანიძე – ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რაც აქ ითქვა. თუ ეს ბრალდებები დოკუმენტირებულია, კარგია, თუკი ზვიადი მოახერხებს თავის მართლებას, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ საჯაროდ პრესაში აღიაროს შეცდომები, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. მას ისეთი აღზრდა აქვს, ისეთ გარემოშია აღზრდილი, რომ არ შეიძლება ერისათვის სასარგებლო არ იყოს განათლების გამო, წიგნიერების გამო, ხომ შეუძლია ისე ითანამშრომლოს, რომ ერისათვის სასარგებლო იყოს. მე მგონია მთელი ქართველი მწერლებისათვის ეს კარგი იქნება. თუ გამართლება და თავისთავის რეაბილიტაცია ვერ მოახერხა, ამ შეცდომის აღიარება ნიშნავს მისი სინდისის წინაშე ერთგვარ გამარჯვებას და პერსპექტივაში ჩვენთან იქნება ეს კაცი.

თავმჯდომარე – ვინ დარჩა კიდევ?

ანა კალანდაძე – ბატონი მურმანისა არ იყოს, რა უნდა ვილაპარაკო. პირველი განცდა ის არის, რომ ბატონი კონსტანტინეს აჩრდილის წინაშე ვართ ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განსაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმამაა ჩემი, ნათელ-მირონი მაკავშირებს.

და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო – ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მარტო ჩვენა ვართ პირველები?.. შეიძლება მოხდეს სასწაული და ზვიადმა თავი გაიმართლოს და ამოვისუნთქოთ. შეიძლება მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულის მჯერა.

თავმჯდომარე – ბატონი დემნა!

დემნა შენგელაია – ამხანაგებო, ძნელია იმ ყმაწვილის

მდგომარეობა და მისი გათვალისწინება ჩემთვის, რომლის ხელშიც ის გაიზარდა. სულ პატარა იყო, როდესაც კონსტანტინე მას თავს ევლებოდა და დღეს სულ სხვანაირად წარმოსდგა. საკმარისია ჩემთვის ის, რაც პრესაშია. არ შეიძლება ასე, პირადი მორალის საკითხი საეჭვოა ძალიან, ანონიმურ წერილებს რომ კაცი წერს სამღვდელოებაზე. 170 წერილი გაუგზავნია ანონიმური, და ზვიადმა ამაზე ნაკლები წერილები კი არ გაგზავნაო. გაუფრთხილდეთ ქართულ ენასო, ეს ისეთ ეჭვებს აღძრავს, აქ არაკითარი სასამართლო დადასტურება არ გვჭირდება, ყველაფერი ნათელია. ეს ყველაფერი ახდენს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას, როგორც მოქალაქის და აქ ინტელიგენტის მდგომარეობაა კიდევ საფიქრებელი. ჭკუათმყოფელი კაცი ამას არ იზამს და მით უმეტეს შენ, სამშობლოს შვილი ხარ და ამღვრევ წყალს.

მე ვწუხვარ, ჩვენი ოჯახის წევრი აქამდე რომ მოვიდა და თუ ზვიადი მოახერხებს იმას, რომ გაიმართლებს თავს, არ ვიცი, ეს არის ცილისწამება. თუ ის გაიმართლებს თავს, ეს იქნება ბედნიერება, ეს იქნება მისი გადარჩენა და კონსტანტინეს გადარჩენა და გადარჩენა ჩვენი პრეზიდიუმის სახელის გატეხისა. ეს საკითხი ძალიან რთულია, რთულია ჩემთვის პირადად ბიოგრაფიულად მისი წარმოდგენა, ეს „სამიზდატი“, ეს ყველაფერი, არაფერი სისაძაგლე რომ არ აკლია ამ საქმეს. ეს სამწუხარო მდგომარეობაა. არ აკლია არც ანტიპატრიოტიზმი, არც ამხანაგების დასმენა და გაწირვა. აბა რა არის ანონიმური წერილები, მე ძალიან მენიშნა ერთი სიტყვა, რომელსაც ამბობს სამღვდელოება „პარანოიკები“.

მე ვფიქრობ, ეს საქმე გარკვეული იქნება და, თუ თქვენ გაიმართლებთ თავს, ამაზე ბედნიერება რა იქნება, მაგრამ არა მგონია აქედან გამოსავალი იყოს რამე.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, ყველამ გამოთქვა აზრი და ყველამ აღნიშნა ეს მძიმე ამბავი და, თუ ვინმე არის მძიმე მდგომარეობაში, ჩემთვის ეს არის ყველაზე მძიმე, რადგან ჩემს დროს ხდება.

რა თქმა უნდა, თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი მტერი ჰყავს, რომ მტრის გამოგონება კიდევ არავის სჭირდება და ვიდრე ამ საკითხს აქ მოვიტანდით, გვითხრეს, რომ ეს ფიქსირებულია, მაგრამ რაკი ზვიადმა ეს განაცხადა, ბევრი სიკეთე გვაკავშირებს მასთან, თუკი ის იმ აზრისაა, რომ არ

იზიარებს, რაც აქ არის და გაიმართლებს თავს, ან დასწერს ესლავე, რომ გმობს ყველაფერს...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს არ ვგმობ, რაც მე დამიწერია, იმას არ ვგმობ, არავითარი ანტისაბჭოთა მე არ დამიწერია. მთავრობის წინააღმდეგ მე არაფერი დამიწერია. რაც შეეხება პროკლამაციას, ის მე არ შეხებოდა, არ ვიცი.

თავმჯდომარე – თუ თქვენ იცნობთ, რომ ეს არის ანტისაბჭოთა მოღვაწეობა, გმობთ და არ იზიარებთ, არ იზიარებთ იმ რადიოგადაცემებს და წინააღმდეგი ხართ ამ მოქმედების...

ზვიად გამსახურდია – ყველაფერს როგორ ვგმობ, ჩემი თავის წინააღმდეგი ხომ არ ვიქნები? დამიწერია დავით გარეჯის ძეგლის მდგომარეობის შესახებ და სხვა ძეგლების შესახებაც და ამას ყველაფერს მე არ ვგმობ. ვგმობ იმ პროკლამაციას, რაც არის ანტისაბჭოთა. ანტისაბჭოთა მე არაფერი დამიწერია...

გიორგი ჟორჟოლიანი – თქვენ განაცხადეთ – არ იცით ამ ჟურნალის გამოცემა, სად იცემა და ვინ განაგებს და არც მოგწონთ. მაშ როგორ ბეჭდავთ?

შოთა ნიშნიანიძე – დაწეროს ახსნა-განმარტებითი ბარათი, აი ის, რაც აქ მოგვახსენა. ეს კარგი იქნება.

თავმჯდომარე – ზვიად, როცა თქვენ იყავით სირაძესთან, განა არ იყო ამაზე ლაპარაკი?

ზვიად გამსახურდია – სირაძესთან მე ვიყავი მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით და ეს ვუთხარი.

გიორგი ჟორჟოლიანი – „ოქროს საწმისი" იხსნება თქვენი წერილით და ლექსით.

ზვიად გამსახურდია – ლექსი ჩემია, წერილი კი არა.

გიორგი ჟორჟოლიანი – ხელმოწერა არის ბატონი ზვიადის.

სერგი ჭილაია - ბევრ რამეზე აბობს უარს და ეგებ დაწეროს.

თავმჯდომარე – მე ნუ ჩამაყენებთ ბრალმდებლისა და მოსამართლის როლში. ჩვენ მოვუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დააფტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვიან და აღვადგენთ ისე, რომ წასული არ იქნება მისი გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასახელო და ჩვენი ყველას რეაბილიტაცია. განა მარტო ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაციაა უხერხულ მდგომარეობაში. ვის გაეხარდება ეს. ხვალვე დავარღვევთ ამ დადგენილებას, ოღონდ დააფტკიცეთ, როგორ გეკადრებათ?!

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი კავშირის წევრისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ არაფერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს. ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რევაზ ჯაფარიძე – არ უნდა კენჭისყრა.

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე იმ აზრისა, რომელიც თქვენ სთქვით?.. არ არის კენჭისყრა საჭირო?! ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა აწერს ხელს?

ირაკლი აბაშიძე – რომ გაირიცხოს?!

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე რომ გაირიცხოს, გთხოვთ ასწიოთ ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე წინადადება მიღებულია ერთხმად.

მე კიდევ ვიმეორებ, თუ ზვიადი დღესვე დაამტკიცებს იმას, რაც მან განაცხადა – არა აქვს კავშირი ამ საქმიანობასთან, ჩვენ პირველები ვიშუამდგომლებთ, რომ გააუქმონ დადგენილება.

ალექსი გომიაშვილი – მოდით ორშაბათამდე მივცეთ ვადა, ორშაბათს თუ წარმოადგენს, ხელახლა შევიკრიბოთ და გადავხედოთ.

თავმჯდომარე – ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გავათავეთ და მე ვამბობ – თუკი ზვიადი გამართლდება, რომ მას არავითარი მოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლამაციის ეჭვლვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი უჭერთ მხარს მის კავშირში დაბრუნებას.

ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია.. ".[2]

რაც შეეხება მწერლობის დათრგუნვას, კომპარტიის მითითებული გზით მისი სიარულის მოთხოვნას – ეს ისევ გრძელდებოდა. მაგრამ მწერლობაც განაგრძობდა დაუმორჩილებლობას. ამის საბუთი დაგვიტოვა თავად საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელმა ვასილ მჟავანაძემ, როცა 1957 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების რესპუბლიკურ თათბირზე გულახდილად აღიარა:

„მახსოვს, როგორ მოვიწვიეთ ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტში, მწერალი ვიქტორ გაბესკირია და შევეცადეთ განგვემარტა

მისთვის მავნე კონცეპცია მისი პიესისა „უფსკრულთან“, რომელიც არასწორად ასახავს ჩვენს სინამდვილეს. გაბესკირია მაშინ დაგვპირდა, რომ გაითვალისწინებდა ამ შენიშვნებს თავის ახალ ნაწარმოებთა შექმნის დროს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამხ. გაბესკირია დაკმაყოფილდა მხოლოდ სიტყვიერი დაპირებით, საქმით კი მის ახალ პიესაში – „გურიის მთები დაუთოვია“ იგი კიდევ უფრო აღრმავებს წინანდელ შეცდომებს და კვლავ იცავს თავის არასწორ პოზიციებს“.[3]

არც ვ. მჟავანაძემ იფიქრა, არც იმან, ვინც ეს გამოსვლა დაუწერა, როდისმე ჩვენი ბატონობა დასრულდება და ამ ნათქვამს ცუდად გაგვიხსენებენო.

თუმცა 1921 წლის თებერვლის სიმწარემ ცისფერყანწელ პოეტ კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძეს იმ დღეებშიც მწვავე სიტყვები ათქმევინა სამშობლოსთვის (გონიერი ქართველები უმთავრესად ჩვენშივე ხედავდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის მიზეზებს), მას ხმამაღლა სათქმელად არდანებებულიც ბევრი რამ აწვალებდა ათეული წლების განმავლობაში.

ბოლოს, იფიქრა თან არ გამყვესო (იგი ხომ უკვე 74 წლისა იყო) და 1969 წელს დაწერა ლექსი „25 თებერვალი 1921 წ.“

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
მღვიძარად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდ ღა თოვლი ცვივოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –

განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

კოლაუ ნადირაძე
25 თებერვალი 1969 წ. თბილისი

დაწერით კი დაწერა, მაგრამ იფიქრა ამის დაბეჭდვას სიცოცხლეში ვერ მოვესწრებიო და საიმედოდ შესანახად მეგობარს, შედარებით ახალგაზრდა შალვა დემეტრაძეს მიაბარა. მაგრამ... გზანი უფლისანი შეუცნობელია – შალვა კოლაუზე ადრე გარდაიცვალა და ეს ლექსი მის არქივთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში მოხვდა.

„პოეტის ათასი სტრიქონის“ პროექტით გამოსაცემი წიგნები, (1986 წ). მ.შ. კოლაუ ნადირაძის კრებული, ხელახალ ცენზურას არ ექვემდებარებოდა, რადგან აპრობირებული ლექსები იბეჭდებოდა.

მაგრამ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლის გურამ ვანიძის დახმარებით კრებულში მოხვდა ზემოხსენებული ლექსი, რომელიც წიგნის რედაქტორმა მწერალმა ლეილა ბეროშვილმა წაიკითხა, მთ. რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა პოეტმა იზა ორჯონიკიძემ – მეც ვნახე და გავუშვიო.

ფაქტი მხოლოდ მთელი ტირაჟის მაღაზიებში გასვლის შემდეგ გახმაურდა და ერთი მხრივ ქართველების უმეტესობის სევდანარევი აღფრთოვანება გამოიწვია, მეორე მხრივ კი ხელისუფალთა და მათი სუკის კბილების ღრჭიალი.

როგორც ქ-ნი იზა იგონებს, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის

თავმჯდომარემ ვალერი ბაქრაძემ ამ საქმის განხილვას თავი აარიდა, მისი პირველი მოადგილე რეზო ღლონტი კი „დამნაშავეთა“ დამცველად უფრო გამოვიდა, ვიდრე კომიტეტის კიდევ ერთი მოადგილე ალექსანდრე ბრეგვაძე და რაც უფრო საწყენია, გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი მწერალი მამუკა წიკლაურიო.

შედეგად საშსახურიდან დაითხოვეს გ. ვანიძე, ლ. ბეროშვილი, ი. ორჯონიკიძე, სულ გამომცემლობისა და მუზეუმის 12 თანამშრომელი. გვარიანად დატუქსეს მოხუცი პოეტიც.

90-იან წლებში ეს ლექსი ფართო საზოგადოებას გააცნო გაზ. „ქართულმა ფილმმა“ (1990 წ.) მომდევნო წელს კი – „ლიტერატურულმა საქართველომ“ (22 თებ.).

სულ უფრო ძლიერდებოდა, ღრმავდებოდა დისიდენტური მოძრაობა, მძლავრდებოდა ეროვნული დაუმორჩილებლობის ხმა, ამის ყველაზე უფრო გამოკვეთილი სახე იყო აკაკი ბაქრაძე.

აქვე არ შეიძლება გამორჩეულად არ ვახსენოთ მამა-შვილი ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეები.

აკაკი ბაქრაძემ ჩვენი ინტელიგენციის, მწერლობის მოთვინიერების კომუნისტური ცბიერული თუ ბინძური მეთოდებიც დაგვისურათხატა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებსაც უშიშრად იცავდა. აი, რამდენიმე წინადადება მისი ვრცელი სტატიიდან „რა მოელის საქართველოს?“, რომელიც საბჭდ მანქანაზე გამრავლებული ვრცელდებოდა:

> „ერთადერთი, რაც კომუნისტებმა შეძლეს, – მოსპეს აზროვნება, ამიტომ სსრკ-ში არავინ არ ცხოვრობს ისეთ რთულ პირობებში, როგორც მოაზროვნე ადამიანები. ...შეიძლება თუ არა ქართული ჩაითვალოს სახელმწიფო ენად, თუ არცერთ დოკუმენტს, ან მოხსენებას ადგილობრივი მმართველები არ წერენ ამ ენაზე, ბანკები ოპერაციებს არ აწარმოებენ, ტელეგრაფი არ მუშაობს ამ ენაზე, რკინიგზა, ქარხნები და ფაბრიკები ამ ენით არ სარგებლობენ?“

მას შემდეგ, რაც საბჭოთა წყობილებას რუსეთში გვარიანად მოურყია მთავარი დასაყრდენი სვეტები, საქართველოს

კომუნისტებიც ააფორიაქა ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის ლექციებმა:

„კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელსაც ნაცისტური რეჟიმიც კი ვერ შეედრება, ვერ შესძლო სიცოცხლე დაეთრგუნა...

სოციალიზმი, როგორც სისტემა – ანტიდემოკრატიულია, შეუძლებელია დემოკრატიული სოციალიზმის არსებობა.

ოქტომბრის რევოლუცია – ეს ისტორიიდან ამოვარდნაა“.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მძიმე წარსულს. ამჯერად ამაში პოეტი დაგვეხმარება.

უამრავ ადამიანს გული ტკიოდა და უტიროდა მშობლების, დაძმის, ნათესავებისა თუ მეგობრების სიცოცხლის მოსწრაფების, საპყრობილეებში გამოკეტვის, ყინულოვან ჩრდილოეთსა და ასევე მკაცრი შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში გამომწყვდევის გამო.

მით უფრო აუტანელი იყო ეს ტკივილი, რომ ხმამაღლა არ შეეძლო ამოგმინვა, ვერ ამოიოხრებდა... ყველაზე ახლობელ ადამიანს თუ გაუმხელდა.

ასე გაუნდვია ქაღალდისთვის ეს ტკივილი პოეტ სიმონ ჩიქოვანს გასული საუკუნის 40-იან წლებში და შეუნახავს უჯრაში, თუმცა ესეც შეტად საშიში იყო.

კალოზე ქარმა გაფანტა ნამჯა,
მომტაცა სიყრმის წმინდა იმედი,
ორი ჭრილობა სხეულში ჩამრჩა,
ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი.

ორი ჭრილობა გულით დამქონდა,
ნისლმა შებურა შუბლი რამდენი
ჩემს ძველ ეზოში ქარი დაქროდა,
ბევრჯერ ჩამიქრო თაფლის სანთელი.

ვერ გავამთელე ორი ნახმლევი,
თქმას მე ვარჩიე სიტყვაძვირობა,
ცხოვრების აღმართს ბევრჯერ ავყევი,
ვერ მოვაშუშე ორი ჭრილობა.

ცოტა ხანში ცოცხალი სტალინის ნახელავ 1924-სა და 1937-ს დაემატა მკვდარი სტალინის სახსოვარი.– 1956 წლის 9 მარტი.

ამ თარიღმაც ბევრი ტრაგედია დაატრიალა, ბევრი ტკივილი დატოვა, ითთო-ოროლა აშკარა პროტესტთან ერთად ბევრი იძულებული იყო გულში ჩაკლულ-ჩამარხულად შეენახა ეს სატკივარი. მაი შორის იყო ს. ჩიქოვანიც:

9 მარტი

წუხელ ქურდულად მესროლეს ტყვია, ,
ტყვია ამცდა და ჩემს ბავშვებს მოხვდა.
გულზე მარტყია სიკვდილის ხვია,
ოცი დაჭრეს და ოცივე მოკვდა

რას ვიფიქრებდი, ხმა ჩამიწყდება,
ვერ დავიფარავ მკერდით პატარებს,
ჩემი ოცნება აქ დამიწდება
და გზებზე მარტის წყევლა მატარებს.

მთლიანად ეს ლექსები პოეტის არქივიდან პირველად გამოამზეურეს ნიკა ჩიქოვანმა და ცისანა გენძეხაძემ.[4]

ყველაფერი ეს ჩვენ, ვისი სიცოცხლის წლები ამ საშინელ ამბებს დაემთხვა, არსებობის ბოლომდე მოგვაგონებს მაშინდელ სიმწარეს, „ფრაგმენტებს მოგონებათა სარკიდან". ასე ჰქვია პოეტ ნაზი თარგამაძის ვრცელ ლექსს, რომელიც უძღვნა „*1937 წელს რეპრესირებული მამის ხსოვნას, ვინც ჩვიდმეტი წელი უდანაშაულოდ დაჰყო გადასახლებაში, შეურაცხყოფილმა და გულნატკენმა ჩამოაღწია სამშობლოში და საბედნიეროდ მის მიწას მიებარა*".

მომყავს ეს ცრემლდანაფრქვევი ამონარიდი:

მამის დაჭერით დაცრემლილი დროება ჩემი
და საზეიმო ტკბილი სუფრა ქცეული შხამად,
აუნთებელი ტორტზე ბოლო, მერვე სანთელი,
ვითომ ცოტა ხნით გაყვანილი სუფრიდან მამა.

ლოჯში სამადლოდ გამოყრილი ჩვენი ლოგინი,
ლოჯის კუთხეში მიყუჟული გოგო პატარა,
ძირს წიგნები და ტანსაცმელი მიყრილ-მოყრილი,
ოთახის კარზე მიტყეპნილი ლუქი – „სატანა".

ავეჯის გარდა დალუქული კარების იქით,
დედის სურათი და გოგონას დიდი თოჯინა,
ფანჯრიდან იქით იპარება გოგონა ფიქრით,
კუთხეში მარტო, სევდიანი რომ ზის მორჩილად.

პატრონის ძებნით დაქანცული ეზოში ძაღლი,
კაკლის ხის ძირში ფრთებშეჭრილი ბიჭი –
ცანგალა,
ტირის, უხმობს და ვერ აგონებს მამიკოს ძახილს
და მისი ცოდვით ცრემლებს ყლაპავს უცხო ცა
რგვალი...[5]

ბოლოს მრავალთაგან კიდევ ერთი გულის გამგმირავი ამბავი:

„მამაჩემის დახვრეტის შემდეგ ოჯახი განადგურდა. დედაც მალე გარდაიცვალა, ორი და-ძმაც პატარები, უფროსი დაც, ჯულიეტა – სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი, დიდედა, ბაბუა და... ამასობაში დიდი ომიც დაიწყო. უფროსი ძმა, ასე 16-17-ოდე წლისა, უშანგი, არ ვიცი გაწვევით თუ მოხალისედ წავიდა, ომიდან უფეხოდ, ყავარჯნებით და ტუბერკულოზით დაფლეთილი ფილტვებით დაბრუნდა. რამდენიმე თვე იცოცხლა მხოლოდ და ჩემს ხელში დალია სული...

...სოფლის „გაბედულმა“ რამდენიმე მამაკაცმა მიმაცილებინა სასაფლაომდე, „ქალი“ კი... შვიდიოდე თუ რვა წლისა, მე მივყვებოდი მხოლოდ...

...ხალხის მტრის, სამშობლოს მოღალატეების, ტროცკისტების შვილები თავშიჩარტყმულები ვიყავით, ზოგჯერ, ზოგიერთები, ამას პირდაპირ ცხვირში გვახლიდნენ.

...უფროსი ძმა რომ ტუბერკულოზიანი, თანაც მძიმედ დაჭრილი გვყავდა, წამლებს თუ გაკეთებულ კერძებს, ნამცხვრებს, ცხელ-ცხელ კეცის მჭადებს დაგვიწყობდნენ ჩუმად შემოსასვლელში ისე, რომ არავის დაენახა.

...ხან ერთი, ხან მეორე, სხვადასხვა

მასწავლებლები გაგვიხმობდნენ ცალკე დაძმას, მოგვცემდნენ გადასახდელ თანხას, თან გვაფრთხილებდნენ, არ გაგვემხილა ვინ მოგვცა.

...უდედმამო ბავშვთა სახლში მაინც არ გაგვიშვეს მეზობლებმა".[6]

მჯერა, ეს დაუნდობელი წარსული იმათ გულებსაც შეძრავს, ვინც ამ უბედურებებს ასცდა და იმათ გულებსაც, ვინც იმ საზარელი დროის შემდეგ დაიბადა...

თავი XIII.
...და ისევ საბუთები

შინსახკომში დაკითხვისას საშინელი ხერხების გამოყენების მაგალითებს მინდა კიდევ რამდენიმე დავუმატო. ეს ჩვენებები განსაკუთრებით საწრმუნოა, რადგანაც მათ იძლევიან თვით შინსახკომის მუშაკები.

უშიშროების შინაგანი ციხის ზედამხედველის ვ. ა. დოცენკოს 1956 წლის ჩვენებიდან:

„ლ. გოთუა დაკითხვაზე მე დამყავდა. მიხდებოდა დახმარება, რადგან გაჭირვებით დადიოდა, დიდხანს ერთკაციან საკანში იჯდა";

უშიშროების შინაგანი ციხის ფერშალ ფ. ვ. მახარაძის 1956 წლის ჩვენებიდან:

„1946-1947 წლებში შინაგან ციხეში მყოფ პატიმრებს სცემდნენ და მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მიწევდა. ძირითადად იმ პატიმრების რეპრესირება ხდებოდა, რომლებიც ერთ კაციან, ან პატარა, 2-3-კაციან საკნებში ჰყავდათ".[1]

1938-1952 წლებში შინსახკომის შინაგანი ციხის უფროსის რაფიელ იაკობის ძე რაზმაძის ჩვენებიდან:

„1939-1952 წლებში შინაგან ციხეში თითქმის ყველას მიმართ იყენებდნენ რეპრესიებს. ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. რეპრესიებს მიმართავდნენ კუციავა, თავდიშვილი, მალილოვი, შავგულიძე, ყრუაშვილი, ბუდაგოვი და სხვ. კარგად მახსოვს, რეპრესიები განიცადა ცხინვალელი ებრაელების ჯგუფმა (35-40 კაცი, გვარები აღარ მახსოვს), მილიციელთა ჯგუფმა (15-20 კაცი), იურისტებმა (20 კაცი), პოლკოვნიკ ფერაძის ჯგუფმა (40 კაცი), 1942 წელს სომეხ ბავშვთა ჯგუფმა (12-14-წლიანები) ვითომ კ/რ ორგანიზაციაში მონაწილეობდნენო.

...შინსახკომის შინაგანი ციხის სანიტარული ნაწილის 1937-1948 წლების არქივი განადგურებულია".[2]

საშუალება გვაქვს კიდევ ერთხელ ვნახოთ რა დახმარებას უწევდნენ შინსახკომს მისი აგენტები, რომლებიც ასე ბევრნი იყვნენ საბჭოთა ქვეყანაში. ხალხმა, ცხადია, არ იცოდა მათი ვინაობა, რადგან ისინი ეფარებოდნენ შერქმეულ სახელებს. ამიტომ იყო, რომ ყველას ყველასი ეშინოდა...

აი, ასეთი საყოველთაო ჯაშუშობის დაკანონებასა და წახალისებაშიც ედება ბრალი საბჭოთა კომპარტიასა და მის ბელადს!

მწერალ იოსებ მჭედლიშვილის საბრალდებო დასკვნიდან:

„ინფორმაციის წყაროების „ემასა" და „სტალის" თანდასწრებით სხვადასხვა დროს ამჟღავნებდა სკკპ (ბ) და საბჭოთა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას და აგრეთვე ეწეოდა ანტისაბჭოთა საუბრებს".[3]

შინსახკომის ცნობით, ი. მჭედლიშვილი *„1942 წლის 23 იანვრიდან 1944 წლის 1 თებერვლამდე იყო დაპატიმრებული და გათავისუფლდა, ჩაეთვალა რა სასჯელში წინასწარი პატიმრობის ვადა".*

თქვენს წინაშეა კიდევ ერთი საბუთი, რომელიც დაგვეხმარება გავერკვეთ, როგორც საბჭოთა პერიოდის შემოქმედის მდგომარეობაში, ასევე იმდროინდელ ვითარებაში:

„პატიმარი მწერლის იოსებ მჭედლიშვილის მოხსენებითი ბარათი

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

ჩემი ფიქრი და საქმე თქვენ წინ დიდი ასოებით დაწერილი წიგნივით არის გაშლილი. აქ არაფრის დამალვა არ შეიძლება და არც მინდა. თქვენ უკვე მოგახსენეთ ჩემი დიდი შეცდომა, რომ ოცდაერთი წლის წინათ ხელისუფლებასთან მტრულად მიველ. მაგრამ ხანმა გაიარა, დავრწმუნდი, რომ

საქართველოში მხოლოდ ხელისუფლება შეიცვალა, მაშინ მოვინანიე ცოდვა ლექსით „თვალი დაგიდგეს, თავო ჩემო, თვალი დაგიდგეს!" ამის შემდეგ დავიწყე ახალი ცხოვრება. მაგრამ უკვე გაფუჭებული მქონდა სახელი და სულ ეჭვის თვალით მიყურებდნენ. თუმც ბევრ რასმე ვწერდი და ვაკეთებდი, მაინც გასაქანი არ მქონდა, რა თქმა უნდა, პირადი ინტრიგების მიზეზით მწერლების სახით და იმითაც, რომ საბუთი ჰქონდათ ეთქვათ ჩემზე ანტისაბჭოთა ელემენტიაო. ბერიას მივწერე ამის შემდეგ, რამაც საქმე გამოასწორა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ შემეკრა გაქანების გზა. მიზეზი ალბათ ისევ ძველი ლექსები იყო.

მე რაკი ერთხელ დავადექ ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობას, ჩემს გადაწყვეტილებას პირნათლად ვასრულებდი. ზოგი რამ თუ იბეჭდებოდა, ზოგი და უფრო მეტი არ ისტამბებოდა. ჩემი პიესა „ოიანა-ბუიანა" უკვე მომზადებული არ დაიდგა და გადაიდო შემდეგისათვის, უკეთ რომ ვთქვათ, სამუდამოდ, „ლადო კეცხოველი" ყველასაგან მოწონებული არ წაიკითხეს თეატრებში და სხვა მრავალი. ყველაფერმა ამან რამდენიმეჯერ მწერალთა პლენუმებზე მაიძულა მეთქვა: თქვენ გინდათ ხელისუფლების მტრად მაქციოთ, მაგრამ მტერი არ გავხდები-მეთქი.

ამის გამო უკმაყოფილო ვიყავი. ხშირად მრუდი და უხეში სიტყვა მითქვამს ხელისუფლების და განსაკუთრებით იმ პირთა მიმართ, რომელნიც მე პირად მტრებად, მოშურნეებად და ინტრიგანებად მიმაჩნდნენ. ეს მე მაინც ხალისს არ მიკარგავდა მემუშავა იმ მიმართულებით, რომელიც აღებული მქონდა.

ამ ბოლო დროს, როდესაც მეორე იმპერიალისტური ომი დაიწყო, მე პირველმა მივიტანე მასალა რედაქციაში, მაგრამ

მხოლოდ წაიკითხეს, მომიწონეს, მაგრამ არ დაბეჭდეს (პოემა"სამშობლოსათვის").

როდესაც ომი გამოცხადდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაშინაც პირველმა მე მივიტანე პატარა მოთხრობა „ჩვენი თაობის" სათაურით, თუ ახალგაზრდები როგორის ხალისით მიდიოდნენ და უნდა წასულიყვნენ მტრის წინააღმდეგ. ესეც წაიკითხეს, პირში მითხრეს კარგიაო, ზურგს უკან არ ვიცი რა თქვეს და არ დაბეჭდეს.

ამის შემდეგ სხვა ხერხს მივმართე, რომ მეც სხვებივით ერთად მემუშავნა ხელისუფლების მხარში ამოდგომით.

ომმა გაჭირვება გამოიწვია ეკონომიკური, ამან ააყაყანა მტრები. მე ნახევრად ყრუ ვარ, მაგრამ რაც ამ ყურით გავიგე ქუჩაში გაბოროტებული მტრებისაგან, დავიხსომე, ჩავიწერე და მათი ნათქვამი მტრული ფრაზები თუ ანეგდოტები „ნიანგისთვის" გადავაკეთე მთქმელებისავე საწინააღმდეგოდ. ზოგი დაიბეჭდა, ზოგიც არა. კიდევ ვმუშაობდი, მაგრამ ამ დროს დამაპატიმრეს.

მიუხედავად იმისა, რომ მტერი ღრმად შემოიჭრა საბჭოთა მიწა-წყალზე, მე ჩემს მოვალეობას, როგორც მწერალი, პირნათლად ვასრულებდი. მაგრამ ეკონომიკურმა გარემოებამ მეც ამაყბედა. ჩამოველ უბრალო, შეუგნებელი ადამიანის სულმდაბლობამდე და ვსაყვედურობდი, თუმც კარგად მესმოდა ყოველივე ამ საქმის მდგომარეობა, მისი დროებითობა, მისი წარმავლობა.

ეს ჩემი დანაშაულია.

ოქტომბერში ჩემთან მოვიდა გურჯაანელი კომკავშირელი ქალი თამარ მაჟინაშვილი (შორეული ნათესავი), მთხოვა: გამოცდების ჩაბარების შემდეგ საბეითლოზე გამაწესეს და არ მინდა, იქნებ მომიხერხო სტომატოლოგიურ ინსტიტუტში ან პედაგოგიურშიო. სტომატო-

ლოგიურ ინსტიტუტში უარი მითხრეს, მაშინ წაველ პედაგოგიური ინსტიტუტის გამგე ზანდუკელთან. ზანდუკელი მანამდე 4 წლის განმავლობაში არ მენახა. შინ დამხვდა. რა თქმა უნდა, თავიდანვე ჩემი მისვლის მიზეზი ვუთხარი, ქალის მოწყობის შესახებ პედაგოგიურ ინსტიტუტში, რაზედაც მან უარი სთქვა – დაგვიანებულიაო. მითხრა სექტემ-ბერში მოდიო (1942 წლისა).

ამის შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი, გესმის რა ამბები ხდებაო. მისი სიმპათია უეჭველად გერმანიისაკენ იყო – გაიმარჯვებსო, მაგრამ ისიცა სთქვა, რამდენადაც მახსოვს, ბოლო მაინც ინგლისისაო. ამან ჩემი აზრიც გამოიწვია. მე ვუთხარი, თუ გერმანიას ინგლისმა ჯერ საბჭოთა კავშირი დაა-მარცხებინა და მერე გერმანია დაამარცხეს, მეფის მთავრობას აღადგენს რუსეთში და პატარა ერების მზე ჩაესვენება-მეთქი. მან მიპასუხა, ინგლისი გავლენას მოახდენს ახალს რუსეთზეო.

ბოლოს მითხრა: როგორც უნდა გათავდეს ომი, ქვეყნად ბევრი რამ შეიცვლებაო. მე დავეთანხმე და ისიც ვთქვი: მწერლებს მეტი გასაქანი ექნება, თუკი საერთო ენა იქნება გამონახული მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის-მეთქი.

რა თქმა უნდა, დამეთანხმებით, რომ ყველაფრის გახსენება და ზუსტად მოყვანა აქ, რაც მაშინ ვთქვით, შეუძლებელია, რადგან დახსომება არ ვიცი ხოლმე იმისი, რასაც წარა-მარა ვლაპარაკობ. მე ამ სალაპარაკოდ არ ვიყავი მასთან მისული და ამიტომ წამოველ თუ არა იქიდან, ზანდუკელი მაშინვე ამოვარდა ჩემი გონებიდან, ჩემი მეხსიერებიდან.

ერთი რამ ნათლად მახსოვს: მას ჩემთვის არავითარი წინადადება არ მოუცია

არალეგალური მუშაობისათვის. ასეთი რამ რომ ეთქვა ჩემთვის, გავლანძღავდი, ხალხის მტერს დავუძახებდი, ერის მოღალატეს, რადგანაც არალეგალურმა ორგანიზაციებმა და მათმა ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლებასთან გაანადგურა ხალხი, ერი. 21 წლის განმავლობაში არ შეიქმნა ისეთი ანტისაბჭოთა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც კი ძირ-ფესვიანად არ იქნა მოსპობილი. ამიტომ სრული შეგნებით და სრული სიყვარულით ქართველი ხალხისადმი – თავდადებული მტერი ვიყავ ამ ორგანიზაციებისა – ჭეშმარიტად ხალხის მტრებისა.

თუ ზანდუკელი ამბობს, რომ მე რამეში დავთანხმდი მას ამ მხრივ, სცრუობს, თავის ცოდვებს სხვას ახვევს, ან არ ახსოვს ვის უთხრა იგი.

მე ახლოს მყავს მეზობელი დავით ჩიჩუა, დიდი ხანია ვიცნობ მას. ტელეფონისათვის ძალიან იშვიათად შევდიოდი მასთან. იშვიათადაც ვხვდებოდი. ერთხელ, რომ ჩემს უკმაყოფილებას გამოვთქვამდი ხელისუფლების მიმართ, მან მითხრა, შე მამაძაღლო, მაშ ლექსებს რაღას უწერ, თუ არ მოგწონს, ებრძოლეო.

– შენ ხომ არ ფიქრობ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან, – ვუთხარი მე, – თუ ამას ფიქრობ, – ან გინდა იფიქრო, შენი ფეხითვე ჩადი შინსახკომში, რადგანაც სანამ შენ იფიქრებ, იქ უკვე იციან-მეთქი. ასეც ვუთხარი: შენ უნდა ემსახურო ერთგულად, თავგანწირვით, პატიოსნად და გულში რაც გინდა იფიქრე, რამდენიც გინდა უკმაყოფილო იყავ, თორემ თუ თითი გაატოკე საბრძოლოდ, შენს ბდღვირს აღარ დატოვებენ-მეთქი.

იგი დამეთანხმა, მაგრამ არ ვიცი ეს კაცი ურევია რამეში თუ არა. ამის მეტი ჩემთვის აღარაფერი უთქვამს. თუმცა მისი სიმპათია

გერმანელებისაკენ იყო.

როგორც მწერალს, ბევრი მიცნობს. მე ზოგს ვერ ვიცნობ. ისინი სახელს შინაურულადაც კი მეძახიან, მე იმათი არც სახელი ვიცი, არც გვარი. უხერხულია, კაცი ასე შინაურულად მოგესალმოს და გვარი და სახელი ჰკითხო. ამიტომ ბევრი ისეთი კაცი დამლაპარაკებია, რომელსაც არ ვიცნობ. როდესაც კაცს არ იცნობ, არც ჰო უნდა უთხრა და არც არა. ამის გამო, როცა ასეთები მელაპარაკებიან, ყურს ვუგდებ და ვერიდები. არ ვიცი, ძნელი გასახსენებელია, ვის რა უთქვამს ჩემთვის.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ მე ვინმე წავაქეზე, უმტრე, არ დაზოგო საბჭოთა ხელისუფლება-მეთქი. მაგრამ ყოველივე ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ უმანკო, აბრამის ბატკანი ვიყო. ის, რაც გარეთ ყოფნის დროს ცოდვა არ მეგონა, შინსახკომში დავრწმუნდი, რომ ცოდვაა. არც საყვედურები, არც რაიმე უკმაყოფილება არ უნდა გამომეთქვა. მით უმეტეს, რომ მე კარგად ვიცი ჩვენი გაჭირვება ეკონომიური რისგან არის გამოწვეული. ვიცი, რომ ომის გათავებისა და კაპიტალისტური გარემოცვის შემდეგ დაიწყება ნამდვილი ცხოვრება.

უეჭველია, რაიმე ისეთი ცოდვა მაქვს, რაც ვერ მომიგონია. ამდენი ხანია ვზივარ, ვფიქრობ და მაინც ვერ მომიგონია.

თქვენ კარგად იცით, რომ ამ მსოფლიო ომით არამც თუ მე, როგორც მწერალი, ვარ დაინტერესებული - ყველა, უბრალო მენავთე რომ არის, ისიც გაფაციცებით ადევნებს თვალს ომის მსვლელობას. მე, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ყურადღება შემფერის ამ მოვლენებისადმი. ამიტომ ხშირად ვეკითხები ნაცნობებს, თუ რა სწერია გაზეთში, რომელიც ჯერ არ წამიკითხნია, ან რა სთქვა რადიომ. ერთი ასეთი მომენტიც იყო, როცა მტრისკენ გადამიქანდა გული და ვიფიქრე, ვაითუ ჩვენი

არმია დამარცხდეს, მაშინ კერძო საკუთრება გაცოცხლდება, რაც ჩემს სახლის პატრონს უფლებას მისცემს ბინიდან დამითხოვოს-მეთქი. მრცხვენიან ჩემს ასეთ სულმდაბლობას და შეუფერებელ საქციელს რომ ვამბობ, მაგრამ ეს მაინც მომიხდა და ამ პირადულმა ამბავმა შემაწუხა. მტერი გავხვდი ხელი-სუფლებისა ერთ წამს, მაგრამ მის წინააღმდეგ რაიმე საქმის გაკეთება ფიქრადაც არ მომსვლია.

35 წელია, რაც მე სამწერლო ასპარეზზე ვარ. ბევრი რამ გამიკეთებია, როგორც მწერ-ლობაში, ისე საზოგადოებრივ საქმეში. შეუცდომელი არავინ არ არის. მეც შემცდა ბევრი რამ, რის გასწორება, რა თქმა უნდა, შემიძლიან.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ გარეთ ყოფნის დროს ბევრი რამ ცუდი არ მეგონა. აქ ბევრი რამ ვისწავლე. არცერთ სკოლას, არცერთ უნივერსიტეტს ამოდენა ცოდნა ცხოვრებისა არ შეუძენია ჩემთვის, როგორც შინსახკომში ყოფნამ.

ჩემი შეცდომები ჩემი კალმის ბრალიც არის... ჩემი ერის მოყვარული ვარ და ხშირად მეტი მომდიოდა, რაც არ შემეფერება და რასაც უეჭველად ფაშიზმში გადავყავდი. აქ, შინსახკომში საკმაოდ განვიწმინდე, ჭკუაზე მოველ. ნუ გეგონებათ, მე ვფარავ ვისმე, ვაუკაცობასა და გმირობას ვიჩენ. არა, მეტი არა ვიცი-რა, გარდა კერძო ლაპარაკებისა სხვადასხვა პირებთან ან ეკონომიურ სიძნელეებზე, ან, საერთოდ, ომის მიერ გამოწვეულ მდგომარეობაზე.

ბოლოს მსურს მოკრძალებით გთხოვოთ.

მაპატიეთ ცოდვები.

სამი შემთხვევა მახსოვს ჩემნაირად ჩავარდნილ და გაუბედურებულ მწერლისა: სამი მწერალი ჩავარდა ჩემს დღეში და სამივე

თქვენისთანა პასუხისმგებელმა იხსნა უბედურებისაგან. ეს სამი მწერალი არის: ილო მოსაშვილი, გამსახურდია და ბალიაური. სამივე, ოდესმე მოსისხლე მტრები, დღეს თავდადებული მწერლები არიან საბჭოთა ხელისუფლებისა.

თუ თქვენც იმათ რიცხვში შემიყვანთ, დაინახავთ, რომ სიკეთემ ფუჭად არ ჩაგიარათ.

პატიმარი იოსებ მჭედლიშვილი

22/III-42 წ."[4]

დასასრულს მოგაწვდით, რამდენიმე მოწმობას, რაც ემყარება განცდილ-გადატანილს, ნანახსა და მონასმენს და ამის გამო დროის უტყუარი საბუთია:

ა) გორის ინსტიტუტიდან ზაფხულში კოლმეურნეობის დასახმარებლად გაგზავნილ სრულიად ახალგაზრდა დავით ნავროზაშვილს იქაურ უთაობაზე ორიოდე სიტყვა წამოსცდა, გლეხებს გამოექომაგა. ამისათვის სოფლის მყვლეფავებისა და მათი დამქაშების, მათ შორის მისი ნათესავის დაბეზღებით იგი რვა წლით გადაასახლეს (1937-1944), უზბეკეთის ბამბის პლანტაციებში ამუშავებდნენ. სწორედ იქაურ მძიმე პირობებზე მოგვითხრობს მისი წერილი დედისადმი:

„რომ იწერებით, პური გყოფნის თუ არაო, წარმოიდგინე თვითონ ვინა ვარ ახლა აქ მე. თავისუფლად კი არ დავდივარ, არამედ ვიმყოფები ლაგერში. თუ ვასრულებ 100 პროცენტს, მივიღებ 800 გრამ პურს. წარმოიდგინე, დედა, შემწევს თუ არა ამდენი ძალა? ვარ თუ არა ჯანმრთელი?.. ფული ჯერ არ მოუციათ.

...თქვენი გამოგზავნილი „პასილკა" აქამდის მეყო და იმან მომაბრუნა. ახლა კარგად ვარ, მაგრამ თვალებიდან სინათლე დამაკლდა...

სმენა გამოდის ხუთი საათიდან, საღამოს 8 საათამდის ვმუშაობ, ღამე ძილი არ მყოფნის.

1938.24.IV. ტაშკენტი, მთავარი ფოსტამტი, ს/ყ №123, საბჭოთა მეურნეობა „დალვერზინი".

ციხეში დაწერილ დავითის ამ ერთსტროფიან ლექსს იმ საშინელი დროის ამსახველი საბუთის ღირებულება აქვს:

როცა მიმოდის ჩემს საკანთან ზედამხედველი,
სულ ახლო მოჩანს წამების ველი
და სისხლიანი ჯალათის ხელი...
მე სიკვდილს ველი,
როცა მიმოდის ჩემს საკანთან ზედამხედველი

ეს ლექსი დაწერილია 1937 წლის 30 ივლისს ციხის საკანში. ალბათ, იმასაც ხვდებით, დაწერილია მეხსიერებაში და შემდეგ გვიანაა გადატანილი ქაღალდზე.

გადასახლებაში, ჩირჩიკში, 1939 წლის აგვისტოში დაწერილ ამ ლექსსაც საბუთის მნიშვნელობა მიენიჭა:

ისევ მესიზმრა საქართველო წუხელის
ღამით...
ნეტავ სულ ასე ტკბილ სიზმარში ღამე ვათიო!
და არ დამიფრთხოს ყოველ დილით ნეტარი
წამი
ნარიადჩიკის მრისხანე ხმამ: „ანუ პადიომ!!!"

მოქანდაკე (გიორგი სააკაძის, თეედორე მღვდლის ბიუსტების ავტორი) და პოეტი დ. ნავროზაშვილი 1996 წელს გარდაიცვალა.

ბ) მწერალ როდიონ ქორქიას ჩანაწერი „ეპოქის ამბები":

„ვიცნობდი ერთ ჩეკისტს, ძალიან კულტურული, ე. ი. ლიტერატურის მცოდნე კაცი იყო. პიროვნების კულტის დროს საკონცენტრაციო ბანაკის (80.000 კაცის) უფროსი იყო.

ყოველდღიურად 150 კაცს ვხვრეტდიო. საამისოდ მოსკოვიდან ნებართვა მქონდაო. საამისოდ მყავდაო შერჩეული 30 კაცისაგან – ბანდიტებისაგან რაზმი..."[5]

გ) მწერალმა ცირა ქიტიაშვილმა მიამბო:

მამაჩემმა თქვა: ჩემი საკნის პირდაპირ იჯდა ახმეტელი. ერთხელ გავიგონე, როგორ უთხრა ზედამხედველმა: ძია, რამე ხომ არ გინდაო. კი,

მაწონი და ნიორიო.

მიუტანა იმ ზედამხედველმა...

ცირას მამა გადაასახლეს, ის ზედამხედველი იქ დახვდა – ვიღაცას დაებეზღებინა...

დ) 1993 წლის 24 მაისს საზოგადოება „მემორიალის" გამგეობის სხდომაზე ახალი წევრის მარიამ ვაჩნაძის ნაამბობიდან –1924 წელს მამამისის, თავად მიხეილ ვაჩნაძის კახეთში დახვრეტის თაობაზე:

„კეთილისმყოფელებმა დედაჩემს ურჩიეს: წადით, სადმე თავი შეაფარეთ, გლეხები აღელვებული არიან და თქვენც არ ჩაგქოლონო..."

ეს არ იყო მხოლოდ გლეხების ამბოხი, მათ ხელისუფლება, მისი პრესა აქეზებდა თავად-აზნაურების, სამღვდელოების, ინტელიგენციის წინააღმდეგ.

რეაბილიტაციის დრო რომ დადგა, მარიამ ვაჩნაძეს შეუღწევია ინაურთან, უნდოდა გაეგო, რისთვის დახვრიტეს მამამისი. ინაურს მ. ვაჩნაძის საქმეში ჩაუხედავს და უთქვამს: არავითარი კონკრეტული ბრალდება არ ჰქონია, დახვრიტეს, როგორც თავადიო.

აი, კიდევ ერთი დასტური, რომ სპობდნენ მთელს წოდებებს...

1924 წლის სისხლიანი დღეებიდან ისევ უფრო საშინელ 30-იან წლებს დავუბრუნდეთ:

ნაწყვეტი ევგენი (უჩა) სალუქვაძის წერილიდან:

„...მირიანსკიდან გორნოშორიაში გამგზავნეს. ეს კუთხე მდებარეობს მონღოლეთის საზღვარზე და კაცის ფეხ-დაუდგმელ ადგილას, სადაც ფრინველიც კი ვერ შეძლებს ზამთრობით ფრთების გაშლას... მე და მრავალი ჩემისთანა კირკით და ნიჩბით ხელში რკინიგზის მშენებლობას შევუდექით. უძნელესი პირობების ატანა მომიხდა ციმბირის სუსხიან ზამთარში, 40-45 გრადუსიან ყინვაში იარაღქვეშ გავდიოდით სამუშაოზე და სრულ დაბნელებამდე

ვურტყამდი წაკატს ყინვისაგან ქვაზე უფრო გამყარებულ თიხა-მიწას. საღამოს კი ილაჯგამოლეული, სასოწარკვეთილი და დაბნეული ვბრუნდებოდი ცივ ბარაკში და მკვდარივით მივეგდებოდი ქვეშაგებში, ხშირად საჭმელის ჭამის ძალაც აღარ მქონდა, თუმცა ამ მხრივ სახარბიელო არაფერი იყო...

28.VII. 36 წ."[6]

ასე ააშენა ი. სტალინმა ის უკიდეგანო სახელმწიფო, რომლის „დერჟავად" ქცევას რუსები და, გასაკვირი ისაა, ზოგიერთი ქართველიც დიდ ბელადს ღირსებად უთვლიან. იმ, მადლობა ღმერთს, დაშლილი ქვეყნის აღმშენებლებს კი გაუსაძლის პირობებში ცხოვრება და შრომა არ აკმარა – უარესი ბედი განუმზადა. ასე დახვრიტეს ზემოხსენებული წერილის ავტორი და მისი მეუღლეც მანონ სალუქვაძე! – აკადემიკოს მინდია სალუქვაძის დედ-მამა...

იმ ქალბატონს კი, ვისი წერილის ნაწყვეტს ახლა წარმოგიდგენთ, მთლად მანონ სალუქვაძის ბედი არ ერგო, მაგრამ საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მთელი სიმკაცრე და სიმწარე იმანაც იწვნია – მეუღლე, გენერალი გიორგი ქუთათელაძე 1937 წელს დაუხვრიტეს, თავად კი იმავე წელს ყაზახეთში აკმოლინსკის ბანაკში გაგზავნეს. აი ამონარიდი ნინო სიამაშვილ-ქუთათელაძის1940 წლის 24 იანვრის წერილიდან:

„ეს ბედნიერება მაინც მაღირსეთ, მოითხოვეთ ჩემი ნახვის უფლება, მეც აქ მივიღებ ზომებს, იქნებ მოგვცენ შეხვედრის უფლება. უნებართვოდ არ წამოხვიდეთ. აქ იყო ასეთი შემთხვევა და არ შეახვედრეს დედა შვილს. ახლა თქვენი ამანათების წყალობით კანტორაში ვმუშაობ აღმრიცხველად. აქეთ გადმოყვანამ ბევრად შემიმსუბუქა მდგომარეობა, ფიზიკურ სამუშაოზე აღარა ვარ. გული ღამღამობით ისე აღარ მაწუხებს. ამ წერილს კანტორაში ვწერ, ხელის თითები მეყინება. ცივა, გარეთ ყინავს, 30 გრადუსია, მკაცრი ზამთარია. ხშირი ქარბუქების გამო, ზოგჯერ პურის გამოცხობას ვერ ახერხებენ და

სადილსაც ვერ ამზადებენ, ზამთრის თვეებში
სარეცხზე და აბანოზე ფიქრიც კი ზედმეტია".[7]

შინსახკომი რეაბილიტაციების დაწყების შემდეგაც მალავდა დახვრეტის ფაქტებს და ეს, ცხადია, ხდებოდა ცენტრალური მთავრობის განკარგულებით – ეშინოდათ, ხალხს ერთბაშად არ გაეგო ამთელი საშინელებანი...

ამისთვის, აი, როგორ იქცეოდნენ:

1937 წლის 28 დეკემბერს სამეულმა დაადგინა ვალერიან ლუარსამიძის დახვრეტა, რაც მეორე დღესვე სისრულეში მოიყვანეს.

1955 წელს ვ. ლუარსამიძის დედის მიერ სსრკ გენერალური პროკურორისათვის გაგზავნილი განცხადების (1954.20.VIII) საფუძველზე დაიწყეს ამ მწერლის საქმის გადასინჯვა. ამას დრო უნდოდა, საწყალ დედებს კი, მათ შორის, ვ. ლუარსამიძის უბედურ დედას, აინტერესებდათ თავიანთი ასევე ბედდამწვარი შვილების ხვედრი, თანაც სადღაც კიდევ ციაგობდა იმედის ნაპერწკალი – იქნებ ცოცხალი იყოსო.

ასეთ შემთხვევაში უშიშროება საქმეს ასე აგვარებდა:

1956 წლის 28 აპრილს ინაური ამტკიცებს უშიშროების თანამშრომლის, ლეიტენანტ დმიტრიუკის მიერ შედგენილ, კაპიტან მაისურაძისა და პოდპოლკოვნიკ ნ. კოპალეიშვილისაგან თანხმობამიცემულ დასკვნას, რომელშიც ნათქვამია:

„მხედველობაში იღებენ რა, რომ საჭიროა გაიცეს ლუარსამიძის სიკვდილის ცნობა პენსიის მისაღებად, შესაძლებლად თვლიან ლუარსამიძის სიკვდილი რეგისტრირებული იქნეს, აცნობებენ რა შსს-ის მმაჩის ბიუროს შერჩეულ თარიღსა და სიკვდილის მიზეზს.

ამის საფუძველზე მიზანშეწონილად შეიძლებოდა მიგვეჩნია:

ვალერიან ივანეს ძე ლუარსამიძე, დაბადებული 1903 წელს თბილისში, დაპატიმრებამდე მცხოვრები თბილისში, ბარნოვის ქ. №21, იხდიდა რა პატიმრობის ვადას, გარდაიცვალა 1939 წლის 13 თებერვალს ღვიძლის ანთებით".[8]

ხოლოვეცკის კუნძულის ან ხუზდალის ტუსაღთა პატიმრობის ვადა რომ მიიწურებოდა, საქმის განმეორებით განხილვას ჩაატარებდნენ, რაც უმეტესწილად თავდებოდა ახეთი განაჩენით: „ადრინდელი დადგენილების შესაცვლელად დარჩენილი ვადით გაიგზავნოს ნარიმში“ (ან უკრაინაში, თურქესტანში, ციმბირში, ვორნოშირიაში და კიდევ სხვაგან – უკიდეგანო საბჭოეთში ხომ ბევრი იყო დასაკარგავი ადგილი!).



I რიგი, მაცხნიდან, ხელან: ეპიფანე იმნაიშვილი, ვანო მგელაძე, კოწია კანდელაკი, კიჭუ ჩიქოვანი, უჩა ითხელიანი, კანდო (ლეონიდე) ხუბულავა, დიბლა – ბუდე მიქელაძე.

II რიგი, დგანან: ირაკლი ბრეგაძე, სანდრო გვიმრაძე, გრიგოლ ნიკურაძე, გოგი მანველაძე, დათიკო ქებაძე, ბიქტორ მორჩილაძე, აბესალომ ხხილაძე.

ციმბირი, ნარიმი, 26 მაისი, 1928 წ.

ასეც გააკეთეს და ოჯახსაც ასე აცნობეს. ამ დროს კი ვ. ლუარსამიძის საქმეში, პატარა კონვერტში იდო (მე თავად ვნახე) ასევე პატარა ცნობა – განაჩენი სისრულეში მოყვანილიაო.

ერთი ასეთი ცნობა, გაცემული 1956 წლის 4 იანვარს, ნიკოლო მიწიშვილის საქმეშიცაა. იმის მიხედვით მწერალი გარდაიცვალა 1939 წლის 23 იანვარს, მაგრამ იმავე საქმეში პატარა კონვერტში დევს ცნობა: განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში 1937.13.VII".[9]

კიდევ ერთი მაგალითი: მწერალ მემედ აბაშიძეს 1937.17.IX დახვრეტა მიუსაჯეს და იმაე დღეს დახვრიტეს. ხოლო 1941 წელს გარდაიცვალაო, ეს შინსახკომის ჩვეულებრივი ცინიკური ოინია.[10]

შინსახკომი განთავისუფლების შემდეგაც თვალს არ აცილებდა სასჯელმოხდილს. მწერალი მოსე გვასალია 1947 წელს დაბრუნდა და უკვე ორი წლის შემდეგ შინსახკომი ისევ დაინტრესდა მისი პიროვნებით. საგამოძიებო საქმეში არის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია: მ. გვასალიასთან ერთ ჯგუფში მყოფნი კალე ბობოხიძე, ნიკოლოზ ფხაკაძე, ფრიდონ ნაროუშვილი არცერთი არ დაუპატიმრებიათ (აქ გაკვირვების ნიშანია. მართლაც ეს უკანასკნელი კიდეც დააპატიმრეს და მეტიც უყვეს. რ. კ.). მ. გვასალიას საქმეშიც ახალი მონაცემები არაა მის ანტისაბჭოთა საქმიანობაზე. ამიტომ, ვიღებთ რა მხედველობაში მასალების დაუსაბუთებლობას, დაპატიმრებისაგან თავი შეიკავეთ. წინადადება მიეცით განყოფილებას მ. გვასალიას დამუშავება განაგრძოსო.

რეაბილიტაციის შემდეგაც კი იყო ცდა მ. გვასალიას ჯაშუშად გადაბირებისა. 1958 წლის 13 ნოემბერს აფხაზეთის ასსრ უშიშროების მე-4 ნაწილის უფროსი გუსევი წერდა თბილისს: გადმოსაბირებლად ვსწავლობთ მ. გვასალიას და მისი გამოძიების საქმე, ან აგენტურული დამუშავების მასალები გადმოგვიგზავნეთო...[11]

და კიდევ ვინ იცის, რამდენი იყო ასეთი მაგალითები!..

ბოლოთქმა

გასულ საუკუნეში, ერთ ასწლეულში ქართველმა ხალხმა ათასწლეულებში ნაოცნებარი უდიდესი საგანძური – თავისუფლება და დამოუკიდებლობა კიდევაც მოიპოვა 1918 წელს (ამან რა აღტაცება და აღფროთოვანება გამოიწვია, რამდენადმე, ალბათ, ამ წიგნმაც გაგრძნობინათ!) და კიდევაც დაკარგა 1921 წელს (ამას რა სიმწარე და მსხვერპლი მოჰყვა, იმედია, იმის ნაწილიც განიცადეთ...).

მართალია, ისევე როგორც ხშირად მთელი ჩვენი არსებობის განმავლობაში, ახლაც დამპყრობელმა იმძლავრა ჩვენი ფასდაუდებელი განძის წართმევაში, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც მიგვიძღვის დანაშაული და უფრო მეტი დანაშაული – საუკუნის დასაწყისში რომ სხვადასხვა იზმებს თავი გავაბრუებინეთ, ჩვენს წიაღში რომ ვზარდეთ უძღები შვილები, რომლებიც იმ გარეშე ძალების მთავარ დასაყრდენად იქცა ჩვენი დამონებისას.

დიახ, უნდა ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული, რადგან *„მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა“* (ს. ფირცხალავა)...

ვფიქრობ, ამ წიგნმა ნაწილობრივ მაინც განგაცდევინათ – სხვისმა ძალადობამ და ვერაგობამ თუ ჩვენმა შეცდომებმა და დანაშაულმა რა საშინელი 70 წელი მოგვიტანა!..

მაგრამ იმავე საუკუნეში მოხდა საოცრება – ჩვენმა ქვეყანამ, ღვთის შეწევნით, 1991 წელს ისევ აღიდგინა დამოუკიდებლობა და თავისუფლება!..

და ნუთუ ამ წიგნში წარმოდგენილი საბუთების გაცნობის შემდეგაც გულგრილად და ზერელედ მოვეკიდებით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოვლა-პატრონობას, დაცვას და დაფარვას?! ნუთუ კვლავ უნდა გაეგრძელოთ ძველი შეცდომების გამეორება?!

განა კვლავ შეიძლება ვინმემ ამტკიცოს – კომუნისტები თუ ვინმეს სჯიდნენ, მართლა ქვეყნის, ხალხის მტრებსო? რა არის ეს, სხვისი ჭირის არად მიჩნევა თუ ასეულ ათასობით გადასახლებაში წამებულ, დახვრეტილ ადამიანთა, მათი დაწიოკებული, გაუბედურებული შვილების ხსოვნის შეურაცხყოფა, ან იქნებ კომუნისტების, მათი სადამსჯელო

ორგანიზების მუშაკთა შვილებისა და შვილიშვილების მიერ ისტორიის შეგნებული გაყალბება, სიმართლის მიზანმიმართული დაფარვა?!

ნუთუ კვლავ შეიძლება ვინმეს სჯეროდეს – სტალინმა შინსახკომის განუკითხაობაზე არაფერი იცოდაო, როცა უკვე დიდი ხანია ინტერნეტშიც არის განთავსებული და წიგნებშიც, მათ შორის, ქართულ გამოცემებშიც შეგიძლიათ ნახოთ 1937-1938 წლებში დახვრეტილთა სიები, რომლებსაც ხელს აწერს ი. სტალინი?!

ან სამართლიანია სტალინი იმით ამართლო – უზარმაზარი ქვეყანა უძლიერეს სახელმწიფოდ აქციაო? ამის მოქმელისთვის ის უზარმაზარი და მძლავრი ქვეყანაა საშობლო თუ საქართველო? ეს იმას ემგვანება – ვილაცას მამა დავაწყნიდა და მამინაცვალს იფიცებდაო.

ანდა იმის თქმა შეიძლება - ბერიას საქართველოსთვის სიკეთე უნდოდა, ამას ვერ გაამხელდა. ეროვნული ძალები კი ხელს უშლიდნენო? მარტო მთა-გორებისთვის უნდოდა სიკეთე, საქართველოს საუკეთესო შვილები რომ უნადგურა? თუ ხელს უშლიდნენ, ხომ შეიძლებოდა მათი ინტერნირება, 8-10 წლით გადასახლებაში გაგზავნა. საქართველოსთვის კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთების საშუალება მიცემოდათ დაბრუნებულ მიხეილ ჯავახიშვილსა და გრიგოლ წერეთელს, ევგენი მიქელაძესა და სანდრო ახმეტელს, გიორგი ელიავასა და დიტო შევარდნაძეს, ტიციან ტაბიძესა და ნიკოლო მიწიშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილსა და ქრისტეფორე რაჭველიშვილს და სხვა საუკეთესო მოღვაწეებს...

იფიქრე ყოველივე ამაზე ერო და ბერო, ხანშესულო და ახალგაზრდავ, ხელისუფალო და ამომრჩეველო!..

შემოკლებანი

თხზ. – თხზულებანი.
იხ. – იხილე.
„ლს“ („ლგ“, „სგ“, „ლხ“) – „ლიტერატურული საქართველო“ (სხვადასხვა წლებში: „ლიტერატურული გაზეთი“, „სალიტერატურო გაზეთი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“).
ლხცსა, 8-2-29ს – ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწერა 2, საქმე 29, საიდუმლო.
ჟ. – ჟურნალი.
სსლმ – საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (გ. ლეონიძის სახელობისა).
ფ. – ფურცელი.
ხ. – სსლმ 5743-ხ – ხელნაწერი

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

შესავალი

1. მ. ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, თბ. 2005, გვ. 20.
2. „მწერლური ცხოვრება“, 2005, № 4, შ. კვანტალიანის პუბლიკაცია.
3. მ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.
4. „ტრიბუნა“, 1921. 27. X. № 57.

თავი I. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ

1. „ივერია“. 1992. 10. X.
2. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.). თბ. 2001. გვ. 13.
3. „საქართველო“, 1917. № 67.
4. იქვე, № 84.
5. ციტირებულია გ. საითიძის წიგნიდან „სწამდა სამშობლოს აღორძინება“, 1997, გვ. 83.
6. კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, 1996, გვ 207.

თავი II. ქართველ მოღვაწეთა ძალისხმევა ხალხის შესაკავშირებლად

1. ჟ. „ცხოვრება“, 1916, №9.
2. „საქართველო“, 1916, № 82.

3. სსლმ 5743-ხ.
4. ი. იმედაშვილი, აკაკი მეორე თუ ირაკლი მესამე, „თეატრი და ცხოვრება“, 1917, ღვინობისთვის 15.
5. ქართველ მწერლებს, „საქართველო“, 17 ღვინობისთვე, 1917.
6. „ალიონი“, 1917, № 53.

თავი III. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

1. ციტირებულია ნ. რამიშვილის წიგნიდან „ემიგრაციის პერიოდის (1921-1930 წ.წ.) რჩეული წერილები“. 2001, გვ. 140.
2. ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები, 2000, გვ. 15-16.
3. ა. ჩხენკელის შვილიშვილის გამოსვლა „იმედის“ სატელევიზიო არხით, 2005. 30. V.
4. ნ. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი. გვ. 278-279.
5. ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი.
5'. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, ჟ. „მხედარი“, 1991, № 1. გვ. 38.
6. ნ. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი.
7. „დოკუმენტი ი მატერიალი...“ ციტირებულია ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 17.
8. ციტირებულია გ. საითიძის წიგნიდან – „ათი წელი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის სათავეში“ თბ. 2001, გვ. 26.
9. იქვე, გვ. 18-19.
10. ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.
11. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები, 1998, გვ. 38.
12. ციტირებულია ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომიდან.
13. იქვე, გვ. 18.
14. „თეატრალური მოამბე“, 1990. № 5, 6.
15. გ. ყორანაშვილი, „ახალი 7 დღე“, 2005. 29. IV – 5. V.
16. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 25.
17. იქვე, გვ. 11-12.
18. ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.
19. დ. ვაჩნაძის სიტყვა, ჟ. „მხედარი“, 1991, № 1, გვ. 68.
20. მ. წურწუმია, სახალხო გვარდიიდან – ეროვნული გვარდიისაკენ, „მხედარი“, 1991, № 1.
21. „ლს“, 1992, № 22, თ. ღა ვ. ვეშაპიძეების პუბლიკაცია.
22. ა. ბენდიანიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.

23. გ. მაზნიაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.
24. იქვე, გვ. 6-8, 69-70.
25. იქვე, გვ. 12.
26. გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, ჟ. „საისტორიო ვერტიკალები", 1991, № 1.
27. ა. ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, „მხედარი", 1991, № 1, გვ. 41.
28. გ. მაზნიაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 10, 150-151.
29. იქვე, გვ. 152-154.
30. ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.
31. გ. ვეშაპელის სიტყვა, „ლს", 1992, № 22, თ. და ვ. ვეშაპიძეების პუბლიკაცია.
32. ა. ჩხეიძის დასახელებული ნაშრომი, „მხედარი", 1991, № 1, გვ. 42.
33. გურამ შარაძე, გიორგი შარაძე, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, 2001, თბ. გვ. 81.
34. გრ. ლორთქიფანიძე, წერილი არჩილ რუხაძეს, სანდრო ფარნიევს...
35. ა. რამიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 294, 297.
36. „ერთობა", 1920.21.X; 26.IX; 12.XII; აგრეთვე ა. ბენდიანიშვილის დასახელებული ნაშრომი.

თავი IV. დამოუკიდებლობის გადასარჩენად

1. „სახალხო საქმე", 1918, № 242.
2. „ცისარტყელა", 1920, № 4.
3. „ერთობა", 1920. 19. X.
4. „ერთობა", 1920, № 284.
5. ციტირებულია ე. კვიტაიშვილის წიგნიდან „ქართული სიტყვის ბაზიერი", თბ. 2003, გვ. 28-29.
6. „ნაციონალისტი", 1920. 3. X.
7. „სახალხო საქმე", 1917. 17. XI; 1918. 29 XII; 1920. 10. VIII; 1920. 5. XII.
8. „ერთობა", 1919.26.5. №115.
9. „ერთობა", 1920, იანვ.; 24. III.
10. მარო მაყაშვილი: დღიური, პუბლიკაცია მარიამ (ნუგეშა) მაყაშვილისა, „მნათობი", 1996, №3-4
11. შ. ხიდაშელი. 26 მაისი და ‘ხურაბ ავალიშვილი, „საქართველოს რესპუბლიკა", 1993 25. V.
12. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921

წლების პოლიტიკაში, ტფილისი, 1925, გვ. 15.

თავი V. დამოუკიდებლობის დაკარგვა; გასაბჭოება

1. მ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 270.
2. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 104; თხზ. ტ. 4, გვ. 384, 406; თხზ. ტ. 5, გვ. 276, 280, 279, 281.
3. მ. ქავთარაძე, ნაწერები და სიტყვები, პარიზი, 1977, გვ. 160.
4. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ. 2001, გვ. 206, 227.
5. ციტირებულია „კვირის პალიტრიდან", 2000. 21-27. VIII. იზო რიკაძის სტატია.
6. „ერთობა", 1921. 16. II.
7. „სახალხო განათლება", 1990. 22. II, ა. მენთეშაშვილის პუბლიკაცია.
8. Роман Гуль. Я унес Россию. т. 2 – Россия во Франции. ст. 197.
9. ა. ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, „მხედარი", 1991, № 1.
10. „ერთობა", 1921. 24. II.
11. „საქართველო", 1991, № 16.
12. „ერთობა", 1921, მარტი, ბათუმი.
13. დაპყრობის 60 წლისთავი, პარიზი, 1981, გვ. 8.
14. იქვე, გვ. 26.
15. იქვე.
16. „კვირის პალიტრა", 2000. 21-27. VIII, ი. რიკაძის წერილი.
17. ლხცსა, 8-2-29 ს.
18. გ. მაზნიაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 177-178.
19. გ. ლორთქიფანიძე, კრებული, „ფიქრები საქართველოზე", თსუ გამომც. 1995; გ. ზარქუა, „გრიგოლ ლორთქიფანიძე და ქუთაისის საზავო მოლაპარაკება", „პოლიტიკა", 1996. № 9-10.
20. მ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 23, 49, 65.
21. კ. გამსახურდია, საქართველო – რუსეთის დამოკიდებულებისთვის, „სოციალ-ფედერალისტი", 1921. 1 და 2. VI, № 75-76. ციტირებულია ჟ. „საისტორიო ვერტიკალებიდან", 1991, № 1.

თავი VI. გლოვა.

1. გ. ქიქოძე. თანამედროვის ჩანაწერები.
2. „ლს", 1990. 6. IV.
3. კ. გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი, „სოციალ-

ფედერალისტი“, 1921. 26. V. № 70
4. მ. ჯავახიშვილი, დახახელებული ნაშრომი, გვ. 287.
5. „სოციალ-ფედერალისტი“, 1921. 8. V; რუსულად - „გრუკავროსტას ბიულეტენი“, „ლს“: 1989. 26. V - ვ. კოკნაძის პუბლიკაცია.
6. იქვე. № 62.
7. „ტრიბუნა“, 1921. 27. X. № 57.
8. „სოციალ-ფედერალისტი“, 1921. 19. VII. № 114.
9. „ტრიბუნა“, 1922. 7. VII.
10. იქვე. 1921. 8. X. № 41.
11. იქვე, 1922. 20. VII.
12. „ლომისი“, 1923, № 28, 31, 32.
13. „ბახტრიონი“, 1922. № 13.
14. მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „კავკასიონი“, პარიზი, 1964. წ. IX, გვ. 21.
15. ი. ერენბურგი, ტ. 8, მოსკოვი, 1966.
16. „რუბიკონი“, 1923, № 14.

თავი VII. „ჩეკას“ შექმნა; ცენზურა; პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი

1. „სამშობლო“, პარიზი, 1930, № 8; ციტირებულია გ. შარაძისა და გ. გვერდწითელის შედგენილი წიგნიდან „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, თბ. 1989, გვ. 44.
2. „დილის გაზეთი“, 1999. № 151.
3. დაპყრობის 60 წლისთავი, პარიზი, 1981.
4. „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1998, № 45.
5. საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული) არქივი, 14-1-493-14, ოქმი № 8.
6. „დილის გაზეთი“, 1999, № 151.
7. საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-1-493, ფ. 35, 41. ოქმი № 23.
8. იქვე. 14-1-9-41.
9. „ფოგარი“, 1921, № 1.
10. საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-1-493-11.
11. „კომუნისტი“, 1990. 22. IV.
12. ლხცსა, 8-2-31-3.
13. შ. დადიანი, თხზ. ტ. 5, გვ. 165.
14. მცირე უწყება... „კავკასიონი“, პარიზი, 1964, წ. IX, გვ. 29-30.
15. „კრიტერიუმი“, № 4.

16. „ტრიბუნა“, 1922, № 287.
17. „რუბიკონი“, 1923, № 14.
18. საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-1-493-78, ოქმი № 52.
19. იქვე, ფ. 65, 66.
20. „საქართველო“, 1991, № 16.

თავი VIII. 1921-1923 წლების დაუმორჩილებლობა; 1924 წლის აჯანყება

1. გ. ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თბ. 2003.
2. ციტირებულია ი. ორჯონიკიძის პუბლიკაციიდან „ქართველები ქართველებად იხოცებოდნენ“, „ლს“, 1990, № 18.
3. „კომუნისტი“, 1925, ივლისი.
4. შინსახკომის საგამოძიებო საქმე № 9997; რეპრესიებზე, კერძოდ მწერალთა რეპრესიებზე, აქაც და შემდეგაც იხ. საგამოძიებო საქმეების გამოყენება-დამუშავებაზე დაფუძნებული ნაშრომი რ. კვერენჩხილაძისა „წამების გზა“, წ. I – 1999, წ. II – 2005.
5. „კავკასიონი“, პარიზი, 1965, წ. X, გვ. 11.
6. „ბრძოლა“, პარიზი, 1927, № 26 – „ქართული ფილმი“, 1990, № 8.
7. „კომუნისტი“, 1925, № 165.
8. იქვე.
9. სიტყვები ქართველი ერისადმი, „სოციალ-ფედერალისტი“, 1921. № 70.
10. „ილიონი“, 1923. № 3.
11. გ. ციციშვილის დასახელებული ნაშრომი (სიმართლე 1921-1923...), გვ. 187.
12. მ. ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე № 9997, ფ. 6.
13. „თბილისი“, 1993. 6. VII.
14. „დილის გაზეთი“, 1999, № 151.
15. შ. ბერიშვილი, „თბილისი“, 1993. 6. VII.
16. მ. ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე № 9997.
17. „ზარია ვოსტოკა“, 1923. 23. V; „ტრიბუნა“, 1923. 24. V.
18. ლხცსა, 8-2-3ს-4; გ. ციციშვილის დასახელებული ნაშრომი (სიმართლე 1921-1923...); გ. ციციშვილი, რისთვის

დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ. 2001.
19. „ცისკარი“, 1990, № 4, გვ. 145.
20. „ცისკარი“, 1997, № 6.
21. გ. ციციშვილის დასახელებული ნაშრომი (სიმართლე 1921-1923...).
22. იქვე.
23. მ. ქავთარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 98-99.
24. რ. გულის დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.
25. „განთიადი“, 1991, № 6, გვ. 70-71.
26. ა. მენთეშაშვილი, წერილები 20-იანი წლების საქართველოზე, „კომუნისტი“, 1989. 15. VIII.
27. მთავარი მიზეზები აგვისტოს აჯანყების მარცხისა, „სამშობლო“, პარიზი, 1930, ოქტ. № 8, იხ. აგრეთვე გ. შარაძისა და გ. გვერდწითელის შედგენილი წიგნი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, „მერანი“, 1989, გვ. 50; ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ. 1994, გვ. 51.
28. ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი, 1888-1930 წ.წ.; ალ. კარგარეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1881, გვ. 51.
29. „თბილისი“, 1993. 6. VII.
30. „კომუნისტი“, 1924. 9. IX.
31. „საქართველო“, 1991, № 16.
32. „კომუნისტი“, 1925, № 170.
33. ციტირებულია გ. ცქიტიშვილის ნაშრომიდან „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების“, თბ. 1990, გვ. 213-214.
34. ს. ჩიჯავაძე-კედიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 274.
35. „კომუნისტი“, 1924. 6. IX.
36. იქვე.
37. იქვე, 1925, № 176, 177.
38. მეტეხის ციხეში დაწერილი დღიურები, „ლს“, 1989, № 38, 39.
39. „კომუნისტი“, 1925. 9. VIII.
40. ვ. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962, გვ.106, 109; ს. ჩიჯავაძე-კედიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 273.
41. ციტირებულია თ. ენდელაძის ნაშრომიდან „ტრაგიკული 1924“, 2004, გვ. 43.
42. ე. მგელიაშვილი, ღმერთმა აცხონოს გმირები, „თიანეთი“, 1990. 29. V.
43. ჭ. აბირეჯიბი, გიორგი ბრწყინვალე, 2003, გვ. 49.

44. „ისპირი“, 1924, № 1.
45. ლხცსა, 8-2-6ს-1.
46. „დროშა“, 1925, № 28.
47. იქვე
48. ვ. ჯავახაძე, უცნობი, 1991, გვ. 504; რ. ივარაძე, „კრიტიკა“, 1990, № 4; ო. ჯანელიძე, დახვრეტილი თავისუფლება, „ლს“, 1997, № 48.
49. ციტირებულია ე. კვიტაიშვილის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 62, 63.

თავი IX. 1924 წლიდან 1937-მდე.

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, 600-1-461-2- ციტირებულია გ. შენგელიას წერილიდან, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992. 10. VI.
2. „ლს“, 1991. 26. VII.
3. მწერლის პირადი საქმე საქართველოს მწერალთა კავშირის არქივში.
4. „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა“, „ქართული მწერლობა“, 1990, № 1, გვ. 115.
5. კ. გამსახურდია, ლანდებთან ლაცაცი, „ლგ“, 1963, № 35; გაგრძელდა – „მნათობი“, 1963, № 8, 9; დამთავრდა – „ლს“, 1991, № 27, 31.
6. „მნათობი“, 1928, № 4; „კომუნისტი“, 1931, № 248.
7. „პროლეტარული მწერლობა“, 1929, № 5; „სგ“, 1932, № 1.
8. იქვე, 1929, № 6-7, 10-11.
9. იქვე, 1927, № 8.
10. „ლს“, 1932, № 7.
11. „პროლეტარული მწერლობა“, 1929, № 10-11.
12. გ. ტაბიძე, არიფის შენიშვნები, თხზ. ტ. 12, გვ. 79.
13. ლხცსა, 8-2-12ს და 13ს; 8-1-238 – ფ. 12-15.
14. საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-7-5, ფ. 67, 68.
15. ლხცსა, 8-1-273-46.
16. თ. ჯავახიშვილი, წარსულიდან, თბ. 1976, გვ. 63-65.
17. საგამოძიებო საქმე № 23288, ფ. 450-451; ფ. 332, 293-294.
18. ლხცსა, 8-1-383.
19. „მემორიალი“, 1998, № 4.
20. „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 1.

21. „ტრიბუნა“, 1922. 26. III.
22. საგამოძიებო საქმე № 233, ფ. 229-231.
23. „ძნათობი“. 1960, № 6.
24. „ლს“, 1939, № 28-30.

თავი X. 1937-1938 წლები.

1. საგამოძიებო საქმე №7982, ტ.3, ფ.134; 133, 38, 45-47; 120-124.
2. იქვე, ტ. 2, ფ. 234.
3. ლხცსა, 8-1-593.
4. საგამოძიებო საქმე № 7982, ფ. 323, 327, 62, 284.
5. რ. კალაძის საგამოძიებო საქმე № 8329, ფ. 27, 29-30, 70-71, 99, 103-104, 92-93.
6. ბ. ბიბინეიშვილის საგამოძიებო საქმე № 8518, ფ. 47, 273-274, 276-277.
7. მ. წიკლაური, ჭაობი, „ლს“, 1990, №44.
8. „კომუნისტი“, 1937, № 115, 116; „ჩვენი თაობა“, 1937, № 5-6.
9. იხ. აგრეთვე „კომუნისტი“, 1933. 18. XI.
10. ნ. მიწიშვილის საგამოძიებო საქმე № 9259, ფ. 250-256, 223-225, 241-242.
11. „ლს“, 1937, № 15.
12. „კომუნისტი“, 1937. 12. VI.
13. ლხცსა, 8-2-31ს.
14. მ. აბაშიძის საგამოძიებო საქმე №22018 – დ. ხარას ჩვენება, 1921 წ. დაპატიმრება – ფ. 114; 1957.10.IX ცნობა, საარქივო ცნობა საქმეში ფ. 45, 115, ოქტომბრ. რევოლუც. ცენტრ. სახელმწ. არქივში; განცხადება საქ. კომპარტიის პრეზიდიუმს; კომპარტიის პრეზიდიუმის რეზოლუციები – საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-1-102-341; 1923 და 1937 წ.წ. დაპატიმრებები.
15. პ. იაშვილის 1932 წ. საქმე – ფორმულარის ცნობა ნ. მიწიშვილის საგამოძიებო საქმეში №9259, ფ. 191; პაოლოს განცხადებანი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე – ლხცსა, 8-1-600-ფ.5-6; „ლს“, 1937, №13. პრეზიდიუმი პაოლოს თვითმკვლელობაზე – ლხცსა, 8-2-35 ს.
16. მ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 315, 208; „ლიტერატურის მატიანე“, 1988. №7-8; საქ. კპ ცკ-ის ბიუროს დადგენილება - საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-11-136-ფ.31-32 და 14-11-137-ფ.30; ბ. ჟღენტის წერილი - „ლს“, 1989.15.IX.

8. იქვე.
9. იქვე.
10. განაჩენის ასლი მომაწოდა ს. ოققუზაძის მეუღლემ ნუნუ ასათიანმა.
11. საგამოძიებო საქმე № 210, ტ. II.
12. ლ.გოთუას საგამოძიებო საქმე № 11796, ტ. 2, ფ. 59, 66, 66-67.

თავი XII. სტალინის შემდეგ

1. „ახალი თაობა", 1999.5.VII.
2. ლხცსა, 8-1-2913.
3. „ლგ", 1957, №41.
4. სიმონ ჩიქოვანის უცნობი ლექსი. „კალმასობა", 2005, №2.
5. „საქართველოს ქალი".
6. ავადმოსაგონარი 1937, ანუ ჟურნალისტ ლელა გორდაძის ცრემლიანი ბავშვობა, „ალიონი", 2002.

თავი XIII. ...და ისევ საბუთები

1. ლ. გოთუას საგამოძიებო საქმე № 11796, ტ. IV, ფ. 100, 97.
2. 1941 წლის შეთქმულთა საგამოძიებო საქმე № 1964, ტ. 6.
3. ი. მჭედლიშვილის საგამოძიებო საქმე № 2080, ფ. 126, 122.
4. საგამოძიებო საქმე № 2036, ფ. 66-68.
5. „საქართველო", 1991, № 16.
6. გაზ. „მემორიალი".
7. მედეა ქუთათელაძე, მამაჩემი – გენერალი გიორგი ქუთათელაძე, ე. „განთიადის" გამომცემლობა, ქუთაისი, 2000.
8. საგამოძიებო საქმე № 12748, ფ. 40, 139.
9. ნ. მიწიშვილის საგამოძიებო საქმე № 9259 , ფ. 340, 150.
10. მ. აბაშიძის საგამოძიებო საქმე № 22018, ფ. 63-64, 65.
11. მ. გვასალიას საგამოძიებო საქმე № 9424.

სარჩევი

წინათქმა - 3
შესავალი - 5

თავი I. საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადების წინ - 9
თავი II. ქართველ მოღვაწეთა ძალისხმევა
ხალხის შესაკავშირებლად - - - - - - - - - - - - - - - - 14
თავი III. საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადება - 24
თავი IV. დამოუკიდებლობის გადასარჩენად - - - - - - - - 65
თავი V. დამოუკიდებლობის დაკარგვა;
გასაბჭოება - 83
თავი VI. გლოვა - 110
თავი VII. „ჩეკას“ შექმნა; ცენზურა;
პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი - - - - - - - 125
თავი VIII. 1921-1923 წლების დაუმორჩილებლობა;
1924 წლის აჯანყება - 146
თავი IX. 1924 წლიდან 1937-მდე - - - - - - - - - - - - - - 188
თავი X. 1937-1938 წლები - - - - - - - - - - - - - - - - - - 220
თავი XI. 1937-1938 წლების შემდეგ,
სტალინის გარდაცვალებამდე - - - - - - - - - - - - - 313
თავი XII. სტალინის შემდეგ - - - - - - - - - - - - - - - - - 344
თავი XIII. ...და ისევ საბუთები - - - - - - - - - - - - - - - 376

ბოლოთქმა - 391
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები - - - - - - - 393

კორექტორი: ზაირა პაქსაშვილი

მხატვარ-დიზაინერი: მალხაზ თავაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ვახტანგ ზაქარაია

გამოხმაურებისა და შენიშვნებისათვის მოგვმართეთ
ტ. 37-10-91

ფასი სახელშეკრულებო